საქართველოს ეროვნული მუზეუმის

# მოამბე

## III
## (48-B)

თბილისი
2012

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე
III
(48-B)

ტონდო წმ. მამაის გამოსახულებით. გელათი, XI ს.
Tondo with representation of Saint Mamas. Gelati, 11th c.

# საქართველოს მუზეუმის

# მოამბე

ტომი I.

(1920—1922).

---

# BULLETIN DU MUSÉUM DE GÉORGIE

t. I.

(1920—1922).

---

ტფილისი.
უ. ს. ს. ს. პოლიგრაფგანყოფილების მე 3 სტამბა.
1922.

# საქართველოს ეროვნული მუზეუმის

# მ ო ა მ ბ ე

III
(48-B)

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია

გამოდის 1920 წლიდან

# Bulletin

of the

Georgian National Museum

III
(48-B)

Series of Social Science

Issued since 1920

თბილისი 2012 Tbilisi

უაკ(UDC)069(479.22)(051.2)
902+903+737+736.2+39+904+93/94+930.27+7
ს-323
G-37

**სარედაქციო კოლეგია:** დავით ლორთქიფანიძე, ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, თეიმურაზ ბერიძე, ნანა ბურჭულაძე, იულონ გაგოშიძე, დარეჯან კაჭარავა, დავით ლომიტაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი, დავით მინდორაშვილი, ელდარ ნადირაძე, ზაზა სხირტლაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, მედეა წოწელია, ოთარ ჯაფარიძე

**Editorial Board:** David Lordkipanidze, Zurab Tvalchrelidze, Nodar Bakhtadze, Teimuraz Beridze, Nana Burchuladze, Iulon Gagoshidze, Darejan Kacharava, David Lomitashvili, Giorgi Marsagishvili, David Mindorashvili, Eldar Nadiradze, Zaza Skhirtladze, Nodar Shoshitashvili, Medea Tsotselia, Otar Japaridze

**სარეცენზიო საბჭო:** ნანა გოგიბერიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ნინო კალანდაძე, ივანე მენთეშაშვილი, თინათინ ქუთელია, თემურ შარიქაძე, ნანა შერვაშიძე, მედეა შეროზია, გურამ ჩხაიძე, ნინო ჩიხლაძე, მინდია ჯალაბაძე.

**Review Committee:** Nana Gogiberidze, Rozeta Gujejiani, Nino Kalandadze, Ivane Menteshashvili, Tinatin Qutelia, Temur Shariqadze, Nana Shervashidze, Medea Sherozia, Guram Chkhaidze, Nino Chikhladze, Mindia Jalabadze.

**რედაქტორი:** ზურაბ თვალჭრელიძე
**Editor-in-chef:** Zurab Tvalchrelidze

**პასუხისმგებელი მდივანი:** მედეა წოწელია
**Executive secretary:** Medea Tsotselia

**ISSN** 1512-1895

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2012
**Georgian National Museum, 2012**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის მოამბის (1920-1935 წწ), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1936-1944 წწ) და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1947-2004 წწ) ტრადიციული, სერიული გამოცემების გაგრძელებას – საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით.

ტომში წარმოდგენილია ნაშრომები ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიის, სამუზეუმო საქმისა და რესტავრაცია-კონსერვაციის საკითხების შესახებ, რომლებშიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული.

ტომს ერთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2012 წლის ქრონიკა.

The present volume of the Bulletin of the Georgian National Museum is continuation of the traditional, social sciences serial, publications of the Bulletin of the Georgian Museum (1920-1935), the Bulletin of the Georgian State Museum (series of social sciences – B, 1936-1944) and the Bulletin of the Simon Janashia Georgian State Museum (series of social sciences – B, 1947-2004).

The volume presents papers dealing with history, archaeology, numismatics, ethnography/ethnology, art history, about Museum activities and restoration-conservation issues in which the main aspects of Georgian cultural heritage are discussed.

The issue is supplied with 2012 year chronicle of the Georgian National Museum.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 6-31
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 6-31

**არქეოლოგია**

**გიორგი გოგოჭური**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის 14, 0102, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: giorgigogochuri@yahoo.com

# გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსები

სტატია ეძღვნება 1983 წლის ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თორი-ლიკანის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ. ნასიძე) ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე, გუჯარეთის ხეობაში, ადგილ „ღინტორას მიწების" მიდამოებში გამოვლენილი სამარხეული კომპლექსების შესწავლას[1].

სამაროვანი მდებარეობს სოფ. წაღვერიდან 9-10 კმ-ზე, ყერძენის ხევისა და გუჯარეთის წყლის შესართავიდან ოდნავ ქვემოთ, ხეობის მარჯვენა მხარეს. სამაროვნის ტერიტორია ტყისპირა ფერდობია. იგი სამანქანო გზით ორ ნაწილადაა გაყოფილი. სამარხები აღმოჩნდა გზის მარცხენა ნაპირზე[2].

დანგრეული სამი სამარხის გაწმენდის გარდა, სამაროვანზე გაიჭრა სადაზვერვო თხრილი, სადაც აღმოჩნდა ორი სამარხი. სამაროვანზე სულ გაითხარა ხუთი სამარხი. აქედან სამი სამარხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სანახევროდ დანგრეული იყო. სამარხები მიეკუთვნება ქვაყრილიან ორმოსამარხთა ტიპს. ისინი ჩაუჭრიათ ყვითელ თიხნარ ნიადაგში. ოთხ სამარხს მცირე, ოთხკუთხა ქვაყრილი ჰქონდა, რომელთა ზომები ზუსტად შეესაბამებოდა სამარხ ორმოთა კონტურებს. დაუზიანებელი სამარხი ორმოები საშუალო ზომისა იყო (1,70 მX1,75 მX1,20 მ). განსხვავდებოდა №4 ორმოსამარხის წრიული ქვაყრილი, რომელსაც გარედან შემოზღუდავდა საგანგებოდ მჭიდროდ ჩაწყობილი და მოზრდილი ქვებისგან შედგენილი წრე. ამ სამარხის დასაკრძალავი კამერაც განსხვავდებოდა დანარჩენი სამარხი ორმოებისაგან. ის ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ

[1] სტატია დაწერილია 1985 წელს და იბეჭდება ოდნავ შეცვლილი სახით.

[2] სოფ. წაღვერში მცხოვრებმა ს. ხალაძემ მოგვაწოდა ცნობა, რომ 1980 წლის ზაფხულში წაღვერ-გუჯარეთის სამანქანო გზის გაფართოებისას დაუნგრევიათ სამარხები. მანვე მიგვიყვანა შემთხვევის ადგილზე. ინვენტარი,რომელიც განადგურებას გადაურჩა,გზის მშენებლებს გადაუცია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის. აღნიშნული ტერიტორიის დათვალიერებისას გაირკვა, რომ გზის რეკონსტრუქციის დროს დაუნგრევიათ სამაროვანი, რასაც ადასტურებდა ჭრილში არსებული სამარხთა ქვაყრილები და თიხის ჭურჭელი.
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა გამოქვეყნებულია მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1981 წლის ანგარიშში [Гамбашидзе О., Квижинадзе К. Д. . . . 1984: 20. Таб. XXIII-8-13].

წაგრძელებული ოვალური ორმო იყო (1,72 მ X 1,65 მ X 1,30 მ), მაშინ, როდესაც დანარჩენ სამარხთა კამერები მოგრძო ოთხკუთხედი ფორმის იყო, მომრგვალებული კუთხეებით (ტაბ. I, II).

კონსტრუქციის თვალსაზრისით, რამდენადმე გამოირჩეოდა №№2, 3 სამარხები. მათი ქვაყრილების ქვეშ აღმოჩნდა საშუალო ზომის ფილაქვები (0,80 მ X 0,70 მ; 0,60 მ X 0,50 მ), რომლებიც ჩონჩხებზე ელაგა. სამარხთა დამხრობას რაც შეეხება, ხუთივე სამარხი ერთი მიმართულებით, NW-დან SO-კენ, იყო დამხრობილი. სამარხის ეს ტიპი საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ძალინ ადრე ჩნდება და თითქმის ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანამდე არსებობს. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს იწყება სამარხი ორმოების ფილაქვებით გადახურვა და იგი ფართოდ ვრცელდება გვიანბრინჯაოს ეპოქაში. საქართველოში სამარხების ქვის ფილებით გადახურვა დადასტურებულია ორიალეთში ბაიბურთისა და ბეშთაშენის სამაროვნებზე. ბ. კუფტინის მიერ ეს ძეგლები დათარიღებულია შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპით [Куфтин Б. 1941: 75–76. Таб. LV]. ქვის ფილებით იყო გადახურული ლილოს №5 გორასამარხის კამერაც, რომლის ასაკიც ე. გოგაძემ კ. ფიცხელაურის მიერ შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისათვის მიღებული თარიღით (ძვ.წ. 1450-1350 წწ.) განსაზღვრა [Гогадзе Е. 1976: 226. Таб. XVIII]. ქვის ფილებით გორასამარხთა კამერების გადახურვა დამახასიათებელი ჩანს დავით გარეჯის უდაბნოში გათხრილ შუა და გვიანბრინჯაოს ეპოქათა ძეგლებისთვისაც [ყვავაძე დ. 1988: 53-60].

აღმოსავლეთ საქართველოში ქვის ფილებით გადახურული გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები შესწავლილია ქვემო ქართლში. დასავლეთ საქართველოში უფრო მოგვიანო ხანაში ისინი გვხვდება ბრილში [თუშიშვილი ნ. 1972: 60]. მადნის ჭალის სამაროვანზე ქვის ფილებით გადახურული სამარხების ორი ჯგუფია წარმოდგენილი: პირველი, რომელთაც მხოლოდ მიწის ყრილი აქვს და შემდეგ გადახურულია ფილებით; მეორე – სამარხები, რომელთაც მიწაყრილის შემდეგ ჰქონდა ქვაყრილი, მის ქვეშ კი სახურავი ფილებით იყო გაწყობილი [თუშიშვილი ნ. 1972: 59].

გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილი სამარხების დასაკრძალავ ორმოებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოვლინდა საშუალო ზომის ფილაქვები, რომლებიც პირდაპირ მიცვალებულთა ჩონჩხებზე ელაგა. №№2, 3 სამარხები, გადახურვის კონსტრუქციის მიხედვით, მადნის ჭალის სამაროვნის მეორე ჯგუფის სამარხებს ემსგავსება მხოლოდ ერთი მცირე განსხვავებით: გუჯარეთის ხეობის სამარხების გადასახურავად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხის ძელები, რაზეც ელაგა ქვის ფილები, ხოლო შემდეგ გამართული იყო ქვაყრილი და მიწაყრილი.

ნ. თუშიშვილი გამორიცხავს მადნის ჭალის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხების გადახურვაში ხის მასალის გამოყენებას [თუშიშვილი ნ. 1972: 60]. ხის ძელებით გადახურული და ზემოდან ქვის ფილებით გაწყობილი სამარხები გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე გამოვლენილია: სამთავროში, კასპში, ნარეკვავში, ხოვლეში, ქვასათალში, ღრმაღელეში, გულგულაში, წოფსა და ა.შ. [თუშიშვილი ნ. 1972: 59-60].

სამარხთა ძელური გადახურვა და შემდგომ ქვამიწაყრილის მოწყობა დამახასიათებელია საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ტიპის სამარხებისათვის [ჩუბინიშვილი ტ. 1957: 43-44; Гогадзе Е. 1976: 226]. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ადრეულ, შუა საუკუნეებშიც [Джорбенадзе Б. 1988: 127]. საქართველოს ფარგლებს გარეთ მსგავსი კონსტრუქციის სამარხები გათხრილია სომხეთში, თაზაკენდისა და ჰარიჭის სამაროვნებზე. აღნიშნული ძეგლები შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება [Кушнарева К. 1957: 137; Хачатрян Т. 1975: 92].

№4 სამარხს, რაც შეეხება, რომლის ქვაყრილიც წრიული იყო, არც ეს ფორმაა უცხო აღმოსავლეთ საქართველოში გათხრილი შუა და გვიან ბრინჯაოს ხანათა სამარხებისთვის. გორასამარხებისა და ორმოსამარხთა გარშემო ქვის წრეების ან წრიული ქვაყრილების მოწყობა იწყება ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდან და არსებობს ძვ.წ. IX საუკუნის ჩათვლით [აბრამიშვილი რ. 1978: 55-56].

ყველა სამარხი ინჰუმაციურია. მიცვალებულები დაუკრძალავთ ძლიერ მოხრილად. სამ სამარხში-მარცხენა გვერდზე, ერთხელ-მარჯვენაზე (№1 სამარხში, რომელიც ძალიან იყო დაზიანებული, ჩონჩხის მხოლოდ ფრაგმენტი აღმოჩნდა). დამხრობის მიხედვით რაიმე კანონზომიერების არსებობა არ შეინიშნებოდა (ტაბ. I-II).

საინტერესოა სამი სამარხის №№2, 3, 5 (ტაბ. I-II) ოთხივე კუთხეში, ვერტიკალურად ჩარჭობილი, თითქმის ოთხკუთხა, მოგრძო ქვების აღმოჩენის ფაქტი. ქვები სამარხ ორმოთა ძირებს დაახლოებით 15-20 სმ-ით იყო აცილებული. შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში მსგავსი ფაქტი ჩვენთვის უცნობია.

გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე იგი დადასტურებულია კასპის რაიონის სოფ. ქანდასთან და ნარეკვავში გათხრილ სამარხებში. გამთხრელები ვარაუდობდნენ,რომ საქმე გვაქვს მიცვალებულის სარეცელზე დაკრძალვასთან [Бохочадзе А., Мирианашвили Н., Зангури А. 1987: 71; დავლიანიძე რ. 1985: 6]. ნ. თუშიშვილი თავის მონოგრაფიაში წერს, რომ მიცვალებულს სამარხში ზოგჯერ ოთხ ქვას შორის ათავსებდნენ [თუშიშვილი ნ. 1972: 76].

კახეთის გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე გათხრილ სამარხებშიც ზოგიერთ მიცვალებულს შემოწყობილი ჰქონია რიყის ქვები [ფიცხელაური კ. 1973: 68]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამარხებში მიცვალებულის გარშემო ქვები პოზის სტაბილიზაციის მიცემის მიზნით უნდა დაეწყოთ. ეს აზრი ჩვენ მთლად მართებული არ გვეჩვენება, რამეთუ მიცვალებულის სხეულისთვის, ტრადიციის მიხედვით,ფორმის მიცემა გარდაცვალებისთანავე უნდა მომხდარიყო და არა სამარხში ჩასვენებისას. ჩვენს შემთხვევაში სამარხთა კუთხეებში არსებული ქვების დანიშნულების ასახსნელად არც ის ფაქტი გამოდგება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო სარეცელზე დაკრძალვის წესი [Пицхелаури К. 1979: 27], ხოლო სომხეთში იგი უფრო ადრე, შუა ბრინჯაოს ხანის, ლჭაშენის, კიროვაკანისა და არტიკის სამარხებშია დადასტურებული [Хачатрян Т. 1975: 112].

გუჯარეთის ხეობის სამარხებში ქვები სიმაღლეზეა ჩარჭობილი, რომელთა ზედა ბოლოები ვიწროა და ოდნავ ბრტყელი, რაც სარეცლის ქვებზე დადგმას გააძნელებდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ფეხების ფიქსაციისთვის უნდა გამოეყენებინათ მოზრდილი და ბრტყელი ქვები, როგორც ეს ზემოთ დასახელებულ სამაროვნებზეა. მიუხედავად აღნიშნულისა, გუჯარეთის ხეობის სამარხების კუთხეებში სიმაღლეზე ჩარჭობილ ქვებს პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. არ არის გამორიცხული, რომ მიცვალებულს რიგშემოხვევებში ასვენებდნენ საგანგებოდ გაკეთებულ საკაცეზე, ხოლო ქვები კი საკაცის „სახელურების" ჩამოსადებად გამოიყენებოდა.

გუჯარეთის ხეობაში, ადგილ „ღინტორას მიწების" მიდამოებში, გათხრილი ხუთი სამარხიდან ოთხში (№№ 1, 3, 4, 5) აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარი. იგი, ძირითადად, წარმოდგენილია კერამიკით (სულ 16 სხვადასხვა დასახელების თიხის ჭურჭელი). ლითონის ნაწარმიდან გვხვდება საკინძები, სამაჯურები და მძივები. სამაროვანზე მოპოვებული მასალის სიმცირის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლის გათხრამ და შესწავლამ, შესაძლოა, ბევრი სიახლე შეიტანოს აღმოსავლეთ საქართველოს შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდების არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთობის კვლევის სფეროში.

კერამიკის მიხედვით, სამარხები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველი ჯგუფის სამარხთა კომპლექსებში (№№ 1, 4) აღმოჩნდა მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი (ტაბ. III-2; ტაბ. IV-2). მეორე ჯგუფში (№№ 3, 5) კი შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელთან თანაარსებობს გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფორმები (ტაბ. III-8,9; ტაბ. IV-27).

კერამიკულ მასალაში გვხვდება შავპრიალაზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ნაწარმი (ტაბ. III-1, 3, 4, 7; ტაბ. IV-17, 18, 28). ტლანქი, უხეშკეცციანი, ხელით ნაძერწი ქოთნები და კოჭობები (ტაბ. IV-16, 19, 29, 30) და, როგორც უკვე ვთქვით, გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ჩარხზე დამზადებული, მქისე კეცის მქონე, თიხის ქოთნები (ტაბ. III-8, 9; ტაბ. IV-27).

თიხის ჭურჭელი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულებისაა. ფორმის მიხედვით, ისინი, შეიძლება, შემდეგნაირად დაჯგუფდეს: ქილები, ქოთნები, ჯამები, კოჭობები და სასმისები.

**ქილები** წარმოდგენილია ორი ცალით. ფორმის მიხედვით, ერთი-ბირთვისებრი, ხოლო მეორე კვერცხისებურტანიანია (ტაბ. III-3; ტაბ. IV-17). ორივესთვის დამახასიათებელია შავპრიალა ზედაპირი და ვარდისფერი სარჩული. ერთი ქილა სადაა და უორნამენტო. მას გადაშლილ პირზე, შიგნიდან, ერთი კონცენტრული ღარი შემოუყვება. მეორე ქილას, როგორც ჩანს, ამკობდა ნაპრიალები ხაზებით შექმნილი ბადისებური ორნამენტი, რომლის მთლიანი კომპოზიციაც გაურკვეველია. ორნამენტის მხოლოდ ფრაგმენტებიდაა ქილის მხრებზე შემორჩენილი. ქილას მხრებზე შემოუყვება შიგნიდან გამოყვანილი ხუთი პატარა კონუსური კოპი. ერთ ადგილზე წყვილი კოპი ზის, ხოლო სამი ცალ-ცალკეა განლაგებული.

ბირთვისებრტანიანი და მოგრძო, ანუ კვერცხისებრი ფორმის დერგე-

ბი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია თრიალეთის კულტურისათვის. ე. გოგაძის მიერ გამოყოფილი მესამე ჯგუფის ყორღანების კერამიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს თიხის ჭურჭლის კოპებითა და ნაპრიალები ხაზებით შემკობილ ორნამენტულ მოტივებს [გოგაძე ე. 1972: 40]. ჭურჭლის ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებული ჩანს მესხეთ-ჯავახეთის გორასამარხების კერამიკულ მასალაში [ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. ... 1981: 144-151]. მას ვხვდებით წალკისა და ზურტაკეტის გორასამარხებში, შიდა ქართლსა და კახეთში [ჯაფარიძე ო. 1981: 145; დედაბრიშვილი შ.,რუსიშვილი რ. 1980: 48]. ჩვენი ქილების მსგავსი ქილები აღმოჩენილია: თრიალეთის №№15, 36 გორასამარხებში [Жоржикашвили Л., Гогадзе Е. 1974: Таб. 75-643, 644; Таб. 103-929], საბიდ-ახჩას №5 გორასამარხში [ჯაფარიძე ო. 1960: ტაბ. XXI].

ყელდაბალი ქილები მხრებზე კოპებითა და ნაპრიალები ორნამენტით აღმოჩენილია ახჩიის №1-3 გორასამარხებში, რომელთა თარიღი ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეებით განისაზღვრება [ჯაფარიძე ო.,კიკვიძე ი. ... 1981: 170. სურ. 2-2; 5-38; 71; 8-74, 80, 85, 86, 90]; ლილოს №1 გორასამარხში, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. XVII საუკუნით [Гогадзе Е. 1976: Таб. XXII, ил. 1]. საქართველოს ფარგლებს გარეთ მსგავსი ფორმები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება სომხეთში, ჰარიჭის სამაროვნის მასალაში [ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. ... 1981: 145].

**ქოთნები** სულ ხუთი ცალითაა წარმოდგენილი. ფორმისა და დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით, მიუხედავად მცირე რაოდენობისა, ქოთნებში ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯუფს მიეკუთვნება №4 სამარხში აღმოჩენილი,ხელით ნაძერწი,უხეში,ტლანქზედაპირიანი ქოთნები (ტაბ. IV-16, 19). მათთვის დამახასიათებელია მორუხო-მოყავისფრო და მოვარდისფრო ზედაპირი. ისინი დამზადებულია წვრილქვიშამინარევიანი თიხისაგან. კეცი მკვრივია და ერთფენიანი. ორივე ქოთნისათვის ნიშანდობლივია ძირთან შედარებით ტანის ზედა ნაწილის სიფართოვე. ერთ ქოთანს მხრებზე სიმეტრიულად დაძერწილი აქვს ზემოთკენ მიმართული ბრტყელი შვერილები (ტაბ. IV-16). ამგვარი შვერილი აქვს მეორე ჭურჭელსაც. მის მოპირდაპირე მხარეს კი მიძერწილი ყოფილა მცირე ზომის ყური,რომელიც სამარხში ჩატანებამდე მოტეხილა (ტაბ. IV-19). ორივე ქოთანს ეტყობა ცეცხლის კვალი. ერთ-ერთში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები (ტაბ. IV-16).

თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხებში შესანიშნავი შავპრიალაზედაპირიანი თიხის ნაწარმის გვერდით ზოგჯერ გვხვდება მეტად უხეშად,ტლანქად ნაძერწი ჭურჭელი [ჯაფარიძე ო. 1960: 11. ტაბ. VII]. მსგავსი სახის კერამიკა აღმოჩენილია თრიალეთის XXVIII, XXIX და ტაბაწყურის XLII გორასამარხებში [Жоржикашвили Л., Гогадзе Е. 1974: Таб. 91-775,Таб. 92-782,Таб. 102-908]. ეს გორასამარხები თრიალეთის კულტურისათვის ე. გოგაძის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური შკალის მიხედვით II (ძვ. წ. 1800-1600 წწ.) და III (ძვ. წ. 1600-1450 წწ.) ჯგუფშია გაერთიანებული. „ღინტორას მიწების" სამაროვნის ქოთნები უფრო მეტად ემსგავსება XXIX და LXII გორასამარხების თიხის ჭურჭელს. უხეში კერამიკა გვხვდება ახჩიის №14 [ჯაფარიძე ო.,კიკვიძე ი. ... 1981: 71. სურ. 27-259, ტაბ. XXXVII-259), ლილოს №8 [Гогадзе Е.

1976: 230-231. Таб. XVII-3] გორასამარხსა და წაღვლის სამარხებში [Рамишвили А. 1981: Таб. XXXI-163, 252]. უხეშკეციანი, ხელით ნაძერწი კერამიკა აღმოჩენილია კახეთში, შვინდიანის სამაროვანზე [რუსიშვილი რ. 1977: 28], ცხინვალში [Куфтин Б. 1949: 49]. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მსგავსებას სამთავროს სამაროვნის №243 გორასამარხისა და №1 სამარხის (კენოტაფი) სქელკედლიანსა და უხეშზედაპირიან ჭურჭელთან [ჩუბინიშვილი ტ. 1957: ტაბ. VIII-2285; ჩუბინიშვილი ტ. 1955: ტაბ. II-4; კალანდაძე ა. 1980: სურ. 3, 13].

საქართველოს ფარგლებს გარეთ, სინქრონულ ძეგლებზე, ტლანქი, უხეში, უორნამენტო და ცუდად გამომწვარი კერამიკა აღმოჩენილია სომხეთის ძეგლებზეც [Кушнарева К. 1957: 130. Рис. 51].

**ქოთნების** მეორე ჯგუფში გაერთიანდა სამი ქოთანი. ისინი აღმოჩნდა №№3, 5 სამარხებში (ტაბ. III-8, 9. ტაბ. IV-27). მათთვის დამახასიათებელია: მორუხო-მონაცრისფრო ზედაპირი, სფერული ტანი, დაბალი ყელი, ხაოიანი ზედაპირი, რომელსაც ეტყობა ჩარხისეული წმინდა კონცენტრული ღარები. მხრებზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევების თითო რიგი. კეცი მქისე აქვს. თიხა წვრილქვიშანარევია. მსგავსი თიხის ჭურჭელი, როგორც ცნობილია, ჩნდება შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპისა და შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის კომპლექსებში, თავდაპირველად, იშვიათი სახით. განვითარების მომდევნო ეტაპზე მათი რიცხვი მატულობს, ხოლო შემდეგ იგი ყველაზე დამახასიათებელი ხდება აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის [ფიცხელაური კ. 1973: 185; ფიცხელაური კ., მენაბდე ც. 1982: 7].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ ორ სამარხში (№№1, 4) აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი ინვენტარი. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, თავს იჩენს იმ სამაროვნებზე, სადაც შერეული კომპლექსები ჭარბობს. კ. ფიცხელაურის აზრით ერთი და იმავე სამაროვანზე გათხრილ შერეულსა და შუაბრინჯაოს ხანის კომპლექსებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს [ფიცხელაური კ. 1973: 57].

ორი ქოთანი ფორმის მიხედვით თითქმის იდენტურია (ტაბ. III-8, ტაბ. IV-27), მესამე კი ოდნავ განსხვავებულია. იგი შედარებით პატარა ზომისაა, პირმოყრილი, ძირიც ვიწრო აქვს. მხრებზე დაძერწილი ჰქონია მრგვალგანივკვეთიანი ყური (ტაბ. III-9). სამივეს ეტყობა ცეცხლის კვალი.

მსგავსი თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია თრელის №43 სამარხში, ოღონდ ის საკმაოდ დიდი ზომისაა, თუმცა, ფორმისა და ჩარხზე ამოყვანის მიხედვით, ის ძალიან ემსგავსება №3 სამარხის ქოთანს (№8). თრელის სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. XVI საუკუნით [აბრამიშვილი რ. 1978: 68]. მსგავსი ქოთანი ცნობილია სადუღას №1 გორასამარხიდან. კ. ფიცხელაურს აღნიშნული სამარხი ე. გოგაძის მიერ გამოყოფილ თრიალეთის გორასამარხების III ჯგუფზე ოდნავ გვიანდელად მიაჩნია [Пицхелаури К. 1979: 67. Таб. I-5]. თიხის მსგავსი ქოთნები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის კომპლექსებში და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებზე. ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია პარალელების მოხმობა.

**ჯამები** წარმოდგენილია ორი ცალით. ისინი აღმოჩნდა ნახევრად დანგრეულ №1 სამარხში (ტაბ. III-1, 4). ორივე ჯამისთვის დამახასიათებელია შავი ნაპრიალები გარე და შიდაპირი. ისინი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. მსგავსების გარდა, მათ რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანიც აქვს: ერთი დიდია, მეორე კი- პატარა. დიდი ზომის ჯამს გარედან შემოსდევს ღრმა ღარი, ხოლო პატარას პირთან გარედან მიძერწილი აქვს მცირე შვერილი.

ნახევარსფერულ მოუხატავსა და მოხატულ ჯამებსა და ბადიებს ვხვდებით თრიალეთის კულტურის სხვადასხვა სამარხეულ კომპლექსში. ჯამების ეს ფორმა თრიალეთში ჩნდება II და III ჯგუფის გორასამარხთა კერამიკაში [გოგაძე ე. 1972: 40. ტაბ. 15-13, 14, ტაბ. 22-14]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მცირე ზომის ჭურჭელი დამახასიათებელი არაა თრიალეთის კულტურისათვის. ის დიდი რაოდენობით თავს იჩენს სამცხე-ჯავახეთის გორასამარხების ინვენტარში. ჯამები და ბადიები ცნობილია ახჩიის, ბერთაყანებისა და ნიალას გორასამარხებიდან [ჯაფარიძე ო. 1981: ტაბ. XXVIII]. ნახევარსფერული, მოუხატავი ჯამები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც.

ჯამების ორივე სახეობა (მოუხატავი და მოხატული) საქართველოს ფარგლებს გარეთ გვხვდება სომხეთის სინქრონულ კულტურებში. აღნიშნული ჯამები არსებობს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდშიც. შემდეგ ეტაპზე კი ისინი გადმონაშთის სახით გვხვდება ცალკეულ კომპლექსებში. გვიანბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე უკვე სხვა ფორმის ჯამები ჩნდება.

**კოჭობი** ერთი ცალია აღმოჩენილი №5 სამარხში (ტაბ. IV-30 ). აქვე იყო მცირე ზომის ჭრაქიც (ტაბ. IV-29). ორივე მოშავო-მოყავისფრო ზედაპირიანია, ახასიათებს უხეში ხელით ნაძერწი და არასიმეტრიული კედლები. ორივეს ზედაპირი გამურული აქვს.

მცირე ზომის უხეში კერამიკა-კოჭობები, სამარილეები და ჭრაქები აღმოჩენილია: ახჩიის №14 გორასამარხში [ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. ... 1981: ტაბ. XL]; წაღვლში [Рамишвили А. 1981: 52-56. Таб. XXVII-XXXII]; კახეთში, აკაკიანთ ხევის № 1 გორასამარხში, რომელიც თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრით [კაპანაძე მ. 1980: 43. ტაბ. VII-10]; შვინდიანში [რუსიშვილი რ. 1977: ტაბ. III-8-12]. თრელის შუაბრინჯაოს ხანის №№43, 51 სამარხებშიც გვხვდება ხელით ნაძერწი უხეში, მინიატიურული ჭურჭელი [აბრამიშვილი რ. 1978: 50; 64].

სასმისებში პირობითად გავაერთიანეთ სამი სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭელი: კათხა, ფინჯანი და ბიკონუსური ორყურა ჭურჭელი.

**კათხა** (ტაბ. IV-18), მოშავო-მოწაბლისფრო ზედაპირითა და მოყავისფრო შიდაპირით. კედლები პირთან თხელია, ძირისკენ თანდათანობით სქელდება. პირსა და წიბოსთან მიძერწილი ჰქონია მრგვალგანივკვეთიანი ყური (ნატეხები სამარხში არ აღმოჩნდა). ყურის ბოლოების მიერთების ადგილზე შერჩენილია ფოსოები. დამზადებულია წვრილქვიშამინარევიანი თიხისაგან. კეცი ორფენიანია – შავი და მოყავისფრო.

მსგავსი კათხები დიდი რაოდენობით აღმოჩენილია მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე: ახჩიის №№2, 4 [ჯაფარიძე ო.,

კიკვიძე ი. ... 1981: სურ. 6-18; სურ. 12-112; ტაბ. XII] და კოჟრების №№2, 3 გორასამარხებში [ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. ... 1981: სურ. 39-421. ტაბ. LIII, ტაბ. LIV]. კათხები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი აგრეთვე ხაშურის რ-ში, წაღვლის სამაროვანზე, №№5, 8, 10, 15 სამარხებში [Рамишвили А. 1980: Таб. XXXIV-4, 5; XXXVI-3; XXXVII–2; XXXIX-4]. წაღვლის სამარხებში გამოყოფილია რამდენიმე ჯგუფი, აქედან პირველი ჯგუფის სამარხები მიეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანას, მეორისა კი – შუა ბრინჯაოს ხანის ბოლოსა თუ შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს [Рамишвили А. 1980: 68-69]. ბიკონუსური ფორმის, ორყურა, კათხა აღმოჩნდა ნატახტარი I-ის შუაბრინჯაოს ხანის №7 სამარხში [Апакидзе А. Николдишвили В.В. ... 1985: 45. Таб. LXI-9].

კათხები აღმოჩენილია კახეთში: ალვანის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში. აქვეა ნაპოვნი ორი სასმისიც, რომლებიც იმეორებს კათხების ფორმას,მაგრამ მათ ყურები არ აქვს. ალვანის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილი უყურო სასმისები კათხების მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული. აღნიშნული სამარხი დათარიღებულია შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულით [დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. 1980: 48. ტაბ. IX-4,5,6]. ასეთივე კათხები გვხვდება შვინდიანის სამაროვანზე [რუსიშვილი რ. 1977: ტაბ. III–13]. ორყურა კათხა მომდინარეობს ფურცელწყლის №3/2 გორასამარხიდან. სამარხეული კომპლექსი, მ. კაპანაძის აზრით, ძვ. წ. 1900-1800 წწ-ს უნდა მიეკუთვნებოდეს [კაპანაძე მ. 1984: 38. ტაბ. XXIII-31]. არ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული სამარხი რამდენადმე მოგვიანო ხანისა იყოს.

განხილული კათხები თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელი არ არის. ისინი ჩნდება მესხეთ-ჯავახეთის ძეგლებზე. კარგადაა ისინი წარმოდგენილი შიდა ქართლშიც, წაღვლის სამაროვნის მასალაში; კახეთში, შვინდიანისა და ალვანის სამარხებში და ახლა აღმოჩნდა გუჯარეთის ხეობაში. უკვე შეიძლება ფორმისა და ორნამენტაციის მიხედვით მათი კლასიფიკაცია. გვხვდება ცალყურა და ორყურა, ორნამენტირებული და უორნამენტო, წელში გამოყვანილი, პირგანიერი და წიბოდან პირისაკენ შევიწროებული კათხები. მათი საერთო ნიშანია ტანის ქვედა ნაწილში მკვეთრი წიბურის არსებობა, ანუ ოდნავ ბიკონუსურობა და მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომები. კათხების არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ამჟამად ცნობილ ძეგლთაგან არ სცილდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედსა და III მეოთხედის საწყის საუკუნეებს. ზედა ზღვარი ჯერჯერობით შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ საფეხურზე მოდის.

**ფინჯანი** (ტაბ. IV-28) აღმოჩნდა №5 სამარხში. იგი შავპრიალა ზედაპირიანია, ოდნავ ბიკონუსური, ძალზე თხელკედლიანი. პირთან და წიბოზე მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური.

თრიალეთის კულტურისათვის,როგორც უკვე ითქვა, დამახასიათებელი არ არის მცირე ზომის თიხის ჭურჭელი. მსგავსი თიხის ფინჯნები აღმოჩენილია სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიურ ძეგლებსა [ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. ... 1981: ტაბ. LIV-419; 437] და წაღვლის სამაროვანზე [Рамишвили А. 1981: ტაბ. XXXI-251, 253].

**ორყურა ჭურჭელი** თიხისა (ტაბ. III-7), შავპრიალაზედაპირიანი, ბიკონუსური. აქვს მკვეთრად გამოყოფილი ქუსლი, რომელიც ზუსტად ცენტრში გახვრეტილია და მასში ჩასმულია ობსიდიანის თხელი, გამჭვირვალე ნატეხი. დამახასიათებელია ძალიან თხელი კედლები. კეცი მკვრივი და ერთფენიანია.

მსგავსი თიხის ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია: ბორჯომის ხეობაში სოფ. გომნაში [ნიორაძე გ. 1944: 189. ტაბ IX-e]; სამთავროს №№92, 156 სამარხებში [კალანდაძე ა. 1980: სურ. 20, 21, 46-67], კახეთში, სადუღას №1 გორასამარხში [Пицхелаури К. 1979: Таб. I-1], თრელის №43 [აბრამიშვილი რ. 1978: 51. ნახ. 19-405-408] და სადახლოს № 43 სამარხებში[3]. საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამიერკავკასიაში, ისინი აღმოჩენილია მხოლოდ სომხეთში, ლჭაშენის №№6, 46 გორასამარხებსა [Ханзадян Э. 1962: 66-71] და ჰარიჯის №56 სამარხში [Хачатрян Т. 1975: 116. Рис. 71]. ამ თიხის ჭურჭელმა აღმოჩენისთანავე დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოთქმულია მრავალი მოსაზრება მათი წარმომავლობისა და გავრცელების შესახებ[4]. სომეხმა არქეოლოგმა გ.არეშიანმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა სომხეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაში არსებული მსგავსი ტიპის ჭურჭლის შესწავლას.

გ. არეშიანი თიხის ჭურჭელს ზეაწეული ყურებით კანთაროსებს უწოდებს. იგი წერს, რომ ამ ტიპის თიხის ჭურჭელი სათავეს იღებს შორეულ წარსულში, ანატოლიის ადრეული ხალკოლითის ეპოქაში. დასავლეთ ანატოლიაში ჩათალჰუიუკის გათხრებისას ადრე ხალკოლითურ II ფენაში (ძვ.წ. 4900 წ.) აღმოჩენილია ჭურჭელი ორი ყურით, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოგვიანო ხანის კანფარებისა და კიათოსების საწყის ფორმად. ბალკანეთის ნახევარკუნძულის, უძველეს კულტურებში სესკლოს პერიოდში (ძვ.წ V ათასწლეულის I ნახევარი) ცნობილი ყოფილა მსგავსი ფორმები. კრეტაზე თიხის ჭურჭელი დიდი ყურებით ჩნდება ადრემინოსურ I პერიოდში. ადრებრინჯაოს ეპოქაში კანთაროსების ფორმა მეტ-ნაკლებად ყალიბდება ცენტრალური და დასავლეთი მცირე აზიის სხვადასხვა კულტურაში. მთელი III ათასწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო კანთაროსები და კიათოსები ცენტრალურ ანატოლიაში: ქიულთეფზე, ყარაოღლანში, ახლათლიბელში,

ალაჯა-ჰუიუკზე, ბოღაზქოიში. შუა ბრინჯაოს ხანაში მცირე აზიის დასავლეთით ჭურჭლის აღნიშნული ფორმა ცნობილია ბეიჩესულთანიდან, რომელიც თარიღდება ძვ. წ. 1900-1780 წლებით [Арешян Г. 1973: 45-47].

სომხეთში გამოვლენილ თიხის ჭურჭლის შესახებ გ.არეშიანი წერს, რომ სტანდარტული ფორმები, ზომები და ამ ჭურჭლის უნიფიცირებული მხატვრული სტილი მეტყველებს,რომ ისინი გაკეთებულია კვალიფიციურ ხელოსან-მეთუნის მიერ

[Арешян Г. 1973: 43]. სომხეთში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭლის შემცველი კომპლექსები შემდეგნაირადაა დათარიღებული: ლჭაშენის №6 გორასამარხი ა.მარტიროსიანმა დაათარიღა ძვ.წ. XVIII-

[3] თიხის ჭურჭელი გვაჩვენა არქეოლოგმა დ.გოგელიამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.
[4] საქართველოში ამ საკითხებს საგანგებოდ იკვლევს არქეოლოგი მ. აბრამიშვილი.

XVII საუკუნეებით, ხოლო ე. ხანზადიანმა იგი, ზოგადად, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნა [Ханзадян Э. 1962: 71]. 1959 წელს გათხრილი ლჭაშენის №46 გორასამარხი თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედით [Арешян Г. 1973: 44]. ჰარიჭის №65 სამარხი დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწლეულის II მეოთხედით [Хачатрян Т. 1975: 117]. ამ სამარხში აღმოჩენილი ორყურა თიხის ჭურჭლის შესახებ ტ.ხაჩატრიანი წერს, რომ იგი დამზადებულია მცირე აზიაში ხმელთაშუა ზღვის აუზის მატერიალურ კულტურებში გავრცელებული კერამიკის ფორმათა მიხედვით. იგი აღნიშნავს, რომ მეუნეებმა არა მარტო ფორმები გადაიღეს აღნიშნული კულტურებიდან, არამედ მათი დამზადების ტექნიკური მხარეც [Хачатрян Т. 1975: 117]. სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჭურჭლის კავშირები გარე სამყაროსთან გ.არეშიანს შემდეგნაირად წარმოუდგენია: უნეტიცე-ტროა-ალაჯა-ჰუიუკი-კიროვაკანი-ტალიში. მიუხედავად ამისა, იგი აღნიშნავს, რომ ეს თიხის ჭურჭელი არ შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ იმპორტად. მას მიაჩნია, რომ ისინი დამზადებულია მცირეაზიური კერამიკის ფორმების მიბაძვით [Арешян Г. 1973: 48].

რ. აბრამიშვილი თრელის №43 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის შესახებ შენიშნავს, რომ ისინი გენეტიკურ კავშირში არაა ამიერკავკასიაში აღმოჩენილ არც წინამორბედ შუა ბრინჯაოს ხანისა და არც მომდევნო ხანის კერამიკასთან. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ფორმებს იღებდა მცირეაზიური ანალოგიური კერამიკისგან. რ. აბრამიშვილი პირამიდულთავიან საკინძეებსაც მცირეაზიური ანალოგების მიხედვით დამზადებულად მიიჩნევს. იგი არ გამორიცხავს მცირე აზიიდან ეთნიკური ჯგუფების შემოსვლასაც, რომელთაც შეიძლება გამოეწვია ცვლილებები ამიერკავკასიის მატერიალურ კულტურებში [აბრამიშვილი რ. 1978: 68, 71].

გუჯარეთის ხეობაში, ადგილ „ღინტორას მიწების" მიდამოებში, გათხრილ №3 სამარხის ორყურა თიხის ჭურჭელი ფორმის მიხედვით ყველაზე მეტად ემსგავსება თრელის №43 სამარხში აღმოჩენილ თიხის რამდენიმე ჭურჭელს, განსაკუთრებით კი, №405-ს [აბრამიშვილი რ. 1978: 64. ნახ. 19-405]. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კანთაროსებს ახასიათებს მეტ-ნაკლებად ერთნაირი და დახვეწილი ფორმები. სომხეთში ნაპოვნი ჭურჭელი, სულ სამი ცალი, განსხვავდება როგორც ერთმანეთისგან, ასევე ქართული პარალელებისაგან. შესაძლოა, ამ განსხვავებაში აღნიშნული თიხის ჭურჭლის ფორმის განვითარების ფაზებიც ჩანდეს.

კ. ფიცხელაურს კახეთში, სადუღას №1 გორასამარხში, აღმოჩენილი ორყურა ჭურჭელი არ მიაჩნია ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილად. იგი აღნიშნავს, რომ თიხის ჭურჭლის ეს ტიპი ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურათა წრეში [Пицхелаури К. 1979: 67-68].

ორყურა თიხის ჭურჭლის, ანუ კანთაროსების მსგავსი ჭურჭელი ბევრია აღმოჩენილი ეგეოსური კულტურის ძეგლებზე, ტროის სხვადასხვა ფენაში [Schlimann H. 1881: 443. Abb. 417, 418]. ჩვენს ჭურჭელთან შედარებით ახლოს უნდა იყოს ტროის VI და VII ფენებში

აღმოჩენილი ჭურჭელი [Schaeffer C. 1948: Abb. 169-16, 22]. ჰ. შლიმანმა კანთაროსის მსგავსი ჭურჭელი პირველად მიკენში, სამეფო სამარხში, იპოვა [Schlimann H. 1881: Abb. 600-602]. ვერცხლის ორყურა კანთაროსის მაგვარი ჭურჭელი ცნობილია კრეტადან, ადგილ გურნიიდან [Пендлбери Дж. 1950: Рис. 47-f]. გარკვეული მსგავსება შეინიშნება საქართველოსა და სომხეთში აღმოჩენილ კანთაროსებსა და ორხომენოსიდან, კიკლადებიდან და მიკენის IV სამარხიდან მომდინარე თიხისა და ოქროს ჭურჭელს შორის [Bonev Al. 1984: 166. Abb. 3] კანთაროსები აღმოჩენილია ბულგარეთის ტერიტორიაზე – თრაკიაში [Троя и Фракия 1983: 32. 49. Рис. 14,26]. ველჩიტრანსა და პლოვდივში ნაპოვნია ლითონის და თიხის ჩვენთვის საინტერესო ჭურჭელი [Bonev Al. 1984: 166.168. 1-b; 5-a,b, d]. აქ მსგავსი ტიპის ჭურჭელი ვრცელდება ეგეოსური სამყაროდან გვიანი ბრინჯაოს ხანაში და არსებობს ადრერკინის ხანაშიც [Bonev Al. 1984: 167]. ტროაში ამ ფორმის ჭურჭლის გამოჩენას უკავშირებენ ბალკანეთიდან ხალხის მასების გადასახლებას მცირე აზიაში. განსაკუთრებით ეს ეხება ტროის VI ფენას [Бонев А. 1983: 56-3-56; Гайс Х. 1983:19].

გ. არეშიანს პარალელები მოჰყავს მცირეაზიური კულტურებიდან: ჩათალ-ჰუიუკიდან, ფოლათლიდან, ალაჯა-ჰუიუკიდან, ბეიჩე სულთნიდან [Арешян Г. 1973: 46. Рис. 3]. მის მიერ მოხმობილ პარალელებში თვალში საცემია მხოლოდ ყურების ფორმათა მსგავსება. საქართველოსა და სომხეთში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს შედარებით ახლო პარალელები ეძებნება ეგეოსურ ძეგლებზე: ორხომენოსში, კიკლადებსა და მიკენში, თუმცა ზუსტი ანალოგების მონახვა იქაც ჭირს.

მკვლევართა უმეტესობა, როგორც აღვნიშნეთ, ამ თიხის ჭურჭელს მცირეაზიური და ეგეოსური კულტურებისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმის მიბაძვით დამზადებულად მიიჩნევს. არ გამორიცხავენ აგრეთვე ამიერკავკასიურ მატერიალურ კულტურებში უცხო ეთნიკური ჯგუფების შემოსვლით გამოწვეულ შესაძლო ცვლილებებსაც.

პირდაპირი კავშირურთიერთობის დროს ვაჭრობის ან მიგრაციული პროცესების შედეგად ახალ გარემოში მოხვედრილი მატერიალური კულტურის ელემენტები თავდაპირველად რაიმე ცვლილებას არ განიცდის. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიაში აღმოჩენილი მცირეაზიური თუ ეგეოსური ელფერის მატარებელი თიხის ჭურჭელი პირდაპირი გზით არ უნდა იყოს მოხვედრილი საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე. საეჭვოდ მიგვაჩნია ადგილზე ამ ფორმის თიხის ჭურჭლის მიბაძვით დამზადების ფაქტიც. ამიერკავკასიაში აღმოჩენილი კანთაროსები არაფრით ჩამოუვარდება, თუ კიდევაც არ აღემატება თავიანთ უცხოურ პროტოტიპებს ფორმის დახვეწილობითა და დამზადების ტექნიკით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადგილობრივ ხელოსან-მეთუნეებს ესოდენ მაღალი დონისათვის მიეღწიათ იმ დროს, როდესაც ჩვენთან მეთუნეობის არა თუ აღმავლობა, არამედ ერთგვარი დაქვეითებაც კი შეინიშნება, ვგულისხმობთ შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ საფეხურს და შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს.

კულტურათა კავშირების ერთ-ერთი კრიტერიუმი განუწყვეტლობის

პრინციპია, როცა კულტურები დაშორებულია ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არსებულ ტერიტორიაზე გავლისას კულტურის ამა თუ იმ ელემენტმა დაკარგა ზოგიერთი ნიშანი, შეიძინა ახალი და ამ სახით მოაღწია ახალ კულტურებში და მაინც შეინიშნება კავშირი თავდაპირველ ცენტრებთან [ლეკიაშვილი ა. 1964: 108].

მართალია, მძლავრი კონტაქტები შეიმჩნევა გარე სამყაროსთან, რაც კარგად აისახა საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებშიც [Пицхелаури К. 1979: 49-50]. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში დიდი ეთნიკური ცვლილება არ მომხდარა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისთვის და თუ რაიმე ცვლილებას ჰქონდა ადგილი, მას ადგილობრივ მატერიალურ კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

კანთაროსების ტიპის ჭურჭლის გამოჩენასთან დაკავშირებით არსებითი ხასიათის სიახლე არ ჩანს თვით იმ კომპლექსებშიც კი, სადაც ეს ჭურჭელია აღმოჩენილი. ვგულისხმობთ სამარხთა კონსტრუქციებს, დაკრძალვის წესსა და სამარხეულ ინვენტარს. ჩვენთვის საინტერესო თიხის ჭურჭელი ამიერკავკასიაში პირდაპირი გზით (ვაჭრობა, მიგრაცია) არ უნდა მოხვედრილიყო. ჩანს, თიხის ჭურჭლის ამ ფორმამ გაიარა განვითარების რაღაც ეტაპი, გარკვეულწილად დაშორდა თავდაპირველი ცენტრების ჭურჭლის ფორმას და მხოლოდ შემდეგ მოხვდა საქართველოს ტერიტორიაზე.

საკითხი, თუ ვის, საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს აღნიშნული თიხის ჭურჭლის შემცველი კომპლექსები, ძნელი გადასაჭრელია. იგი აღმოჩენილია როგორც გორასამარხებში (ლჭაშენი – №46, სადუდა – №1 და სადახლო – №11), ასევე ორმოსამარხებში (თრელი – №43, სამთავრო – №№ 92, 156, გომნა, გუჯარეთი, ჰარიჭი). სამარხეული ინვენტარი ორივე ტიპის სამარხებში თითქმის ერთნაირია: ღარიბული და მცირერიცხოვანი. ჩამოთვლილ ძეგლთაგან გამოირჩევა თრელის №43 სამარხისა და ლჭაშენის №6 გორასამარხის კომპლექსები. ამ სამარხების დასაკრძალავი კამერების მოყვანილობაც და დაკრძალვის წესიც თითქმის მსგავსია [აბრამიშვილი რ. 1978: 49. ნახ. 18]. რაც შეეხება მათს სამარხეულ ინვენტარს, გარდა ორყურა ჭურჭლისა (კანთაროსებისა), საერთო არაფერი აქვთ.

საქართველოსა და სომხეთში გათხრილი ამ ჭურჭლის შემცველ კომპლექსთაგან მხოლოდ ლჭაშენის №6 ყორღანის მთელი სამარხეული ინვრნტარი ატარებს მცირეაზიური კულტურებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ძირითადად ეს ეხება კერამიკულ ფორმებსა და ორნამენტულ მოტივებს. ე. ხანზადიანი ამ კომპლექსის პარალელებს ბოღაზქოის კერამიკაში პოულობს. იგი კიროვაკანის ყორღანების ფონზე ლჭაშენის №6 გორასამარხს ტომის ბელადის სამარხად არ მიიჩნევს [Ханзадян Э. 1962: 68, 71]. სამარხთა ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით ვერ დგინდება, საზოგადოების რომელი ფენის საკუთრება იყო ეს იშვიათი ფორმის თიხის ჭურჭელი. არქეოლოგები, მიუხედავად დიდი ინტერესისა, არაფერს წერენ ამ თიხის ჭურჭლის დანიშნულების შესახებ. ისინი იმდენად არიან პირმოყრილნი, რომ იქიდან წყლისა თუ სხვა რაიმე სითხის დალევა ძალიან გაჭირდებოდა.

აქედან გამომდინარე, ეს სასმისი ყოველდღიური ხმარებისთვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. გუჯარეთის ხეობაში გათხრილ №3 სამარხში აღმოჩენილი ორყურა თიხის ჭურჭლის ქუსლი შუაში გახვრეტილია და შიგ ჩასმულია ობსიდიანის ნატეხი. აქამდე ამიერკავკასიაში ნაპოვნ ამგვარ ჭურჭელს მსგავსი რამ არ ჰქონია. ობსიდიანის „თვალი“, რომელიც საგანგებოდაა დამუშავებული, შიგნიდან ჯდება ქუსლში. ჯერ ჭურჭლის ქუსლი გაუხვრეტიათ, შიგ ობსიდიანის „თვალი“ ჩაუსვამთ, ნაპირები ამოულესავთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუწვავთ.

კავკასიაში „სარკმლიანი“ ჭურჭელი აღმოჩენილია ფლავისმანში, შეითან დაღსა და რედკინ-ლაგერში [Ниорадзе Г. 1934: 94]. კავკასიის ფარგლებს გარეთ ტროაში, ევროპაში–შვეციაში, ნორვეგიაში, ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში. ზოგიერთი გამოიყენებოდა მიცვალებულის ფერფლის შესანახ ურნებად [Ниорадзе Г. 1934: 94]. ძირგახვრეტილი თიხის ჭურჭელი ცნობილია კრეტიდან. მას ხმარობდნენ საყვავილეებად [Пендлбери Дж. 1950: 219]. ევროპაში სარკმლიან ჭურჭელს „Fenster Gefässe”- ს უწოდებენ. მათს უმრავლესობას სარკმელში ჩადგმული აქვს მინის ნატეხი. კავკასიაში სარკმლებად მხოლოდ ობსიდიანის ან მთის ბროლის ნატეხებია გამოყენებული. ევროპული „Fenster Gefässe»-ები თარიღდება ახ.წ. I-VI საუკუნეებით. მცირეაზიური კი – ძვ.წ. 2000-500 წწ-ით [Ниорадзе Г. 1934: 94]. ამიერკავკასიაში აღმოჩენილი სარკმლიანი თიხის ჭურჭელი არ შეიძლება ურნებად ან საყვავილეებად მივიჩნიოთ მათი მცირე ზომის გამო.

სარკმლიანი თიხის ჭურჭლის დანიშნულების შესახებ არ არის ერთიანი აზრი მეცნიერებს შორის. ალბათ, ამ ტიპის ჭურჭლის რიტუალთან დაკავშირება ყველაზე მართებული იქნება. საქართველოში აღმოჩენილ ჭურჭელს, ძირითადად, ძირი აქვს გახვრეტილი. აქედან გამომდინარე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დანიშნულება გამორიცხულია, გარდა სარიტუალოსი. გ. ნიორაძე წერს, რომ ქუსლში ყველანაირ ქვას კი არ სვამდნენ, არამედ ისეთს, რომელიც სინათლეს ატარებდა. სინათლე შედიოდა ჭურჭელში სითხის დალევის დროს, ანათებდა და განწმენდდა მას. შესაძლოა, ასეთი თიხის ჭურჭელი დაკავშირებული იყოს მზის კულტთან. მსგავსი ნიმუშები თარიღდება ძვ.წ. XI-X საუკუნეებით [Ниорадзе Г. 1934: 95,99]. საქართველოში ყველაზე ადრეული „სარკმლიანი“ თიხის ჭურჭელი ცნობილია სამშვილდის მტკვარ-არაქსის კულტურის სამაროვნიდან და ამავე ეპოქის ილტოს ნამოსახლარზე გათხრილი ბავშვის სამარხიდან [მირცხულავა გ. 1975: 48. ტაბ. XVI-3, ტაბ. XXXVIII-7].

გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილი ორყურა თიხის ჭურჭელიც სარიტუალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, იგი მართლაც მზის კულტთან იყოს დაკავშირებული. სამარხებში მათი აღმოჩენის იშვიათობა კი შეიძლება იმით აიხსნას, რომ მსგავსი ტიპის სასმისი ეკუთვნოდა კულტის მსახურთ ან ქურუმთა ფენას და გარდაცვალების შემდეგაც, ცხადია, მათთვის უნდა ჩაეტანებინათ საფლავში.

**საკინძები** გუჯარეთის ხეობის ადგილ „დინტორას მიწების“ მიდამოებში გათხრილ სამარხებში აღმოჩნდა სამი საკინძი, სამივე ბრინ-

ჯაოსი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ფორმითა და დამზადების ტექნიკით. ერთი ღმოჩნდა №3 სამარხში (ტაბ. III-13), ორი – №4 სამარხში (ტაბ. IV-20, 21).

№3 სამარხში ნაპოვნი საკინძი (ტაბ. III-13) საკმაოდ მასიურია, ბირთვისებრი თავით, თავს ქვემოთ შემოუყვება თანაბარი მანძილით დაშორებული ხუთი კონცენტრული ღარი, მათ ქვევით, შემსხვილებულ ადგილზე, აქვს ყუნწი. დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმით. მსგავსი ფორმის საკინძები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებიდან. შესაძლოა, ისინი ზუსტი ანალოგები არ არის, მაგრამ საკინძის ეს ფორმა გავრცელებული ჩანს. თრიალეთში ვერცხლის სფერულთავიანი საკინძები აღმოჩენილია VIII და XVII გორასამარხებში, რომლებიც I და II ქრონოლოგიურ ჯგუფშია გაერთიანებული [Жоржикашвили Л., Гогадзе Е. 1974: Таб. 87-731]. მსგავსი ფორმის ბრიჯაოს საკინძები გვხვდება ბეშთაშენის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში [Куфтин Б. 1941: 73. Рис. 80-3], მესხეთ-ჯავახეთში, ნაკალოების №2 გორასამარხში, ნაპოვნია საკინძი ბირთვისებრი თავით [ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი. ... 1981: 155. სურ. 46-612, 613; ტაბ. LXI]. ამ ფორმის ბრინჯაოს საკინძებს ვხვდებით შიდა ქართლში, ნულის სამარხებში, რომლებსაც ბ. კუფტინი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს აკუთვნებდა [Куфтин Б. 1949: 34. Таб. XVII-1]; საკინძის ეს ტიპი არის თლიის სამარხებშიც [Техов Б. 1980: 7. Таб. XV-2. Ил. 5-10]. სფერულთავიანი ბრინჯაოს საკინძები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამთავროს ადრეული და განვითარებული გვაინბრინჯაოს ხანის სამარხებში [ჩუბინიშვილი ტ. 1957: 26. ტაბ. XVIII]. მრგვალთავიანი ბრინჯაოს საკინძები აღმოჩენილია კასპის სამაროვნის სამარხებშიც [ბარამიძე მ. 1965: 54. ტაბ. I–3, 7]. ადრეული საკინებისაგან განსხვავებით, მოგვიანო საკინძებს, თავზე უჩნდებათ ნაჭდევები, თავს ქვემოთ არსებული კონცენტრული ღარებიც ორადაა გაყოფილი. სფერულთავიანი ბრინჯაოს საკინძები ცნობილია ტროის II-V ფენებიდან, რომლებიც თარიღდება ძვ.წ 2500-1900 წწ-ით [Троя и Фракия. 1983: 65. Таб. 40].

**მეორე საკინძი** ე.წ. თავხვია საკინძია (ტაბ. VI-20.). იგი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს მავთულისაგან. თავში ღერაკი გაბრტყელებულია და მოხვეული. ერთ დროს თუ საკინძის ეს ტიპი საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების ერთ-ერთ დამთარიღებელ ნივთად იყო მიჩნეული, ამჟამად ამის თქმა უკვე აღარ შეიძლება. თავხვია საკინძი ფართოდ არის გავრცელებული შუა ბრინჯაოს ხანაში. უფრო ადრე კი წინა აზიაში ძვ.წ III ათასწლეულშია ცნობილი. ამიტომაც ამ საკინძის წარმოშობის, განვითარებისა და გავრცელების საკითხი ახლებურად უნდა დაისვას [Пицхелаури К. 1979: 68].

**მესამე საკინძი** შედგენილთავიანია (ტაბ. IV-21). პირველად დაუმზადებიათ მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღერაკი ყუნწით, ხოლო შემდეგ ღერაკთან ერთად ყალიბში ჩამოუსხიათ ანთიმონისაგან დამზადებული თავი, თავი ბიკონუსურია, მას შუა წელზე სიმეტრიულად განლაგებული ოთხი კოპი ჰქონია (თავის ნახევარი დაკარგულია),

თითო-თითო კი – თავსა და ბოლოში. ქვედა, ბოლო, კოპი ღერაკისგან ორად იყოფა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი საკინძები საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო ხანებამდე თითქმის ცნობილი არ იყო.

ხაშურის რ-ის სოფ. წაღვლში ჩატარებულმა გათხრებმა ანთიმონის თავიანი საკინძები დიდი რაოდენობით გამოავლინა. მარტო ერთ, №205, სამარხში 18 ცალი ასეთი საკინძია აღმოჩენილი [Рамишвили А. 1981: Таб. XXVIII-XXX]. წაღვლის სამაროვნის მასალაში საკინძების IV ტიპი გამოიყოფა. ყველაზე უფრო დამახასიათებელია III ტიპი, ანუ ანთიმონის თავიანი საკინძები. აქვე ვხვდებით საკინძების ღერაკებს დიდი რაოდენობით, რომლებსაც, როგორც ჩანს, თავები დაეკარგა, ანდა, შესაძლოა, ისინი ასეთი დაუსრულებელი სახითაც მოხვდა სამარხებში. წაღვლის მასალის II ტიპის საკინძები ბიპირამიდულ თავებიანია. ისინი იმეორებს ანთიმონის თავიანი საკინძების ფორმას [Рамишвили А. 1980: 65-66, Таб. XXXVIII-9; XXXIX-6; XL-4].

წაღვლის სამარხები თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანის დასასრული საფეხურითა და შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით [Рамишвили А. 1981: 68]. შესაძლოა, შედგენილთავიანი საკინძის ღერაკი იყოს ოზნის ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე გათხრილ ჩაშვებულ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძი, რომელსაც ბ. კუფტინი ნემსისმაგვარ საკინძს უწოდებდა [Куфтин Б. 1948: 33. Таб. VIII-8]. იგი ზუსტად ჰგავს გუჯარეთის ხეობაში, №4 სამარხში, აღმოჩენილ ანთიმონის თავიან საკინძის ღერაკს. ასეთივე საკინძის ღერაკი უნდა იყოს ქვასათალის გვიანბრინჯაოს ხანის №3 სამარხის ბრინჯაოს ღერაკიც [ჯაფარიძე ო. 1966: 13-14. ტაბ. IV].

საქართველოს ფარგლებს გარეთ ანთიმონის თავიანი საკინძების მსგავსი საკინძები აღმოჩენილია ირანში, თეფეგიანის II და III Sფენებში, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრის მეორე მეოთხედითა და II ნახევრის დასაწყისით (1700-1400) თარიღდება [Schaeffer C. F. A. 1948: 456. ტაბ. 244-38, 68, 86, 91].

**სამაჯური** აღმოჩნდა № 4 სამარხში (ტაბ. IV-24). იგი დამზადებულია რომბისებრგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღერაკისაგან, ბოლოებგახსნილია. მსგავსი ფორმის ბრინჯაოს სამაჯურები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ქვასათალისა და ნულის შუა ბრინჯაოს ხანის კოლექტიურ სამარხებში [Джапаридзе О. 1955. Ил. IV-3, 4] სამაჯურის ეს ფორმა ქვასათალსა და ნულში არსებობს გვიანბრონჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზეც [ჯაფარიძე ო. 1966: 14-17]. ჩვენი სამაჯურის ზუსტი ანალოგი უნდა იყოს ა. პჩელინასა და ა. სმირნოვის მიერ 1931 წელს ნულში გათხრილი სამარხის სამაჯურიც [Куфтин Б. 1949: 31-33. Таб. XVII]. წაღვლის სამარხებშიც ვხვდებით აღნიშნული ფორმის ბრინჯაოს სამკაულს [Рамишвили А. 1980: Таб. XXXVIII-7; XL–7}. ბრინჯაოს რომბისებრგანივკვეთიანი სამაჯური საკმაოდ გავრცელებული ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს შუა და გვიანბრინჯაოს ეპოქების არქეოლოგიურ კულტურებში.

**რგოლები და ხვიები.** ბრინჯაოს რგოლები და ხვიები აღმოჩნდა №№3, 4 სამარხებში (ტაბ. III-11, 12; ტაბ. IV-22, 23). მსგავსი ტიპის რგოლები და ხვიები მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოს შუა

და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე და მათ თითქმის ყოველთვის ერთნაირი ფორმა ახასიათებს. ამიტომ ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით.

**მძივები** აღმოჩნდა №№1, 3, 4 სამარხებში. ისინი დამზადებულია ბრინჯაოს, ანთიმონის, სარდიონის, პასტისა და ძვლისგან.

საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს მძივები ადრებრინჯაოს ხანიდან გვხვდება და ამის შემდეგ ისინი თითქმის უწყვეტად მზადდებოდა და მუდმივად გამოიყენებოდა. ცხადია,იცვლებოდა ფორმა და დამზადების ტექნოლოგიაც.

გუჯარეთის ხეობაში გათხრილ №1 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მძივები (ტაბ. III-6) დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმით. 28 ცალი ძალიან პატარა ზომისაა, სფერულია, ხოლო ორი საკმაოდ მოზრდილია და ბროწეულის ფორმა აქვს. ამ ფორმის ბრინჯაოს მძივები ჩვენთვის სხვაგან უცნობია. მხოლოდ ბაიბურთის სამარხებში გვხვდება პასტისგან დამზადებული მსგავსი ფორმის მძივები [Куфтин Б. 1941: 77. Ил. 87-4].

**ანთიმონის მძივები** აღმოჩნდა მხოლოდ ერთ, №4, სამარხში (ტაბ IV-25). მათთვის დამახასიათებელია გულის, ზარაკის, ცრემლისა და ა. შ. ფორმები. უმეტესობა ყალიბშია ჩამოსხმული, რაზედაც მეტყველებს ნაწიბურები. საქართველოში შუა ბრინჯაოს ხანიდან ფართოდაა გავრცელებული ანთიმონის მძივები და მათ ვხვდებით ნულის, ქვასათალის, ბრილისა და სამთავროს შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ სამარხებში [ჯაფარიძე ო. 1966: 18]. მიუხედავად აღნიშნულისა, მსგავსი ფორმის ანთიმონის მძივები უკანასკნელ დრომდე საქართველოში ცნობილი არ იყო. ახლახანს ანალოგიური მძივები აღმოჩნდა წაღვლის სამაროვანზე [Рамишвили А. 1980: 66-67].

**სარდიონის მძივები** აღმოჩნდა №3 სამარხში (ტაბ. III-14). მათ მრგვალი, ოდნავ ბიკონუსური, ფორმა აქვს. სარდიონის მძივები უძველესი დროიდან ჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება,რომ მრგვალი და ბიკონუსური მძივები უფრო ადრეულია, ვიდრე ნაპობი მძივები.

**პასტის მძივები**. ცილინდრული და ე.წ. მანდარინისებური ფორმისა, აღმოჩნდა №4 სამარხში (ტაბ. IV-26). პასტა და პასტისაგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის მძივები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებში. „მანდარინისებური" მძივები კი საქართველოში ჩნდება შუა ბრინჯაოს ხანაში და მომდევნო ეპოქებშიც გამოიყენება.

გუჯარეთის ხეობაში, ადგილ „ღინტორას მიწების" მიდამოებში, გათხრილ სამარხებში მოპოვებული მასალის ანალიზისას გაირკვა, რომ საქმე გვაქვს შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის ძეგლთან.

რ. აბრამიშვილი თრელის №43 სამარხს, სადუღას №1 და ლჭაშენის №6 გორასამარხებს სინქრონულად მიიჩნევს და მათ ძვ.წ. XVI საუკუნით ათარიღებს [აბრამიშვილი რ. 1978: 68, 71]. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორეული თიხის ჭურჭლის შემცველი კომპლექსის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველა კომპლექსში შედის გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ფორმის მქონე ერთი ან რამდენიმე თიხის ჭურჭელი.

ასეთი ჭურჭელია: სადუღას №1 გორასამარხში [Пицхелаури К. 1979: Таб. 1-5], თრელის №43 სამარხში [აბრამიშვილი რ. 1978: 51, 80. ნახ. 19-382]. გუჯარეთის ხეობის №3 სამარხში (ტაბ. III-8, 9), სამთავროს №156 სამარხში [კალანდაძე ა. 1980: სურ. 18-19].

ჩამოთვლილი ნიმუშები გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ჭურჭლის ფორმათა პროტოტიპებია, რომლებიც მნიშვნელოვან გარეგნულ ცვლილებებს არ განიცდის მომდევნო ეტაპზე. ზემოთ ჩამოთვლილი სამარხები ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც შუა ბრინჯაოს ხანის კომპლექსებში ჩნდება ახალი ელემენტები, კერძოდ კი – გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი. იმ სამარხთაგან, რომლებშიც ზეაწეულყურებიანი ჭურჭელი აღმოჩნდა, ადრეულია თრელის №43 სამარხი. დანარჩენი სამარხებისა და, მათ შორის, გუჯარეთის ხეობის №3 სამარხის შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულითა და შუადან გვიანიბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით დათარიღება მართებულად მიგვაჩნია. გუჯარეთის ხეობაში გათხრილი სამი სამარხიც (№№1, 4, 5) ქრონოლოგიურად ახლოს უნდა იყოს №3 სამარხთან. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალა და მათი შესაბამისი პარალელები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან შესაძლებლობას გვაძლევს, გუჯარეთის ხეობაში, ადგილ „ღინტორას მიწების" მიდამოებში, აღმოჩენილი სამაროვანი ძვ.წ. XVI-XV საუკუნეთა მიჯნით დავათარიღოთ.

განხილული სამარხები აღმოჩენილი მასალით ბევრ საერთოს პოულობს თრიალეთის, მესხეთ-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და კახეთის შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ძეგლებთან. განსაკუთრებით სიახლოვე ჩანს წაღვლის მასალასთან. გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილი სამაროვანი, ისევე, როგორც წაღვლის სამაროვანი, უნდა იყოს შუა და გვიანბრინჯაოს ეპოქებს შორის გარდამავალი ეტაპის ძეგლი. ამიტომ, ამ ძეგლის გათხრა და შესწავლა აუცილებელ საქმედ მიგვაჩნია. გასათვალისწინებელია, რომ ყერძენისა და გუჯარეთის წყლების შესაყართან, ხერთვისზე, ამჟამად ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, შეინიშნება ნამოსახლარის არსებობა. არ არის გამორიცხული, რომ იგი სამაროვნის თანადროული იყოს. გუჯარეთის ხეობის ამ მონაკვეთში ნამოსახლარისა და სამაროვნის გაჩენა განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ ხეობაზე გამავალი ერთ-ერთი ძირითადი გზის არსებობით, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უკავშირდებოდა თრიალეთს, სამცხე-ჯავახეთსა და, საერთოდ, სამხრეთით მცხოვრებ მეზობლებს [Пицхелаури К.Н. 1979: 50). გზა, რომელიც უძველესი დროიდან იყო ცნობილი, დღემდე ფუნქციონირებს. შიდა ქართლიდან საქონლის გადარეკვა საზაფხულო საძოვრებზე, მდინარე ქციის სათავეებში, ახლაც ამ გზით ხდება.

GIORGI GOGOCHURI

The Georgian National Museum
Otar Lordkipanidze Archaeological Research Centre
14 D. Uznadze St. 0102, Tbilisi, Georgia
E-mail: giorgigogchuri@yahoo.com

# GRAVE COMPLEXES DISCOVERED IN GUJARETI RAVINE

## Summary

The article is dedicated to grave complexes, which were discovered in summer 1983 by Tori-Likani expedition (head: G. Nasidze) of Archaeological centre of Georgian Academy of Science. The site is located on the territory of Borjomi Region, in Gujareti ravine, in the place called "Dintoras Mitsebi".

Five burial grounds were excavated totally. Three of them were damaged partly during road building. The graves belong to a stone pit grave type. All graves were oriented on the axial line form NW to SO. The deceased were buried on the right or on the left side in a very crooked position.

Burial grounds are basically represented with ceramic vessels. There are also bronze artifacts such as bracelets, pins, rings, spirals and beads. In ceramic vessels prevail forms which are characteristic for the Middle Bronze Age, but in some complexes new forms appear which became typical for the Late Bronze Age (Tab. III, IV).

A small size ceramic vessel is of a special interest for us. It has a black surface and a handle. It has a black surface, B-cone shape and straight up handles. Its bottom with a hole has a limpid obsidian set in it (Tab.III-7). This detail indicates to a ritual function of this artifact. Similar shape vessels are not typical for Transcaucasia. The total amount of such type of vessels which were discovered in Eastern Georgia and Armenia is about twenty. There is a supposition in scientific literature that those type of vessels were imported from the Asia Minor and centers of the Aegean culture . Ethno-cultural infiltration is not excluded too. There are also opinions that these kind of vessels were made locally and they imitated foreign forms.

The so-called "Canpars" discovered in Transcaucasia do not repeat the forms of their distant parallels exactly, this fact excludes their direct import from the marked centers (migration, trade). Production of these pottery locally is also doubtful. They are worth of their foreign prototypes and even surpass them by their refined forms and manufacturing.

It is very hard to imagine that local artisan-potters could reach such a high level when pottery was experiencing decrease and degradation. We mean the final step of the Middle Bronze Age and a transition period from the Middle to Late Bronze Age.

In Transcaucasia,and mainly in Georgia, big ethnical changes did not take place in the Middle Ages of the second millenium B.C. and if they happened, they did not

influence on local material culture greatly. Appearance of this type of vessels did not change complexes in which they have been found. We mean grave constructions, burial rituals and inventory. The vessels, we are interested in, should have got into Transcaucasia directly (trade, migration). It seems that the forms of these vessels have passed some development, they became different from the forms of initial centers and only after this they appeared in Georgia. According to these materials and their parallels from eastern Georgian archaeological sites, we can date the burial grounds and graves discovered in Gujareti ravine back to the 16th-15th cc BC.

## ბიბლიოგრაფია


**აბრამიშვილი რ. 1978**: *ორელის შუა და გვიანიბრინჯაოს ხანის სამაროვანი. თბილისი. I.* გვ. 48-87. თბილისი (რედ. რ. აბრამიშვილი).

**ბარამიძე მ. 1964**: კასპის სამაროვანი. *მსკა.* ტ. IV. გვ. 31-66. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**გოგაძე ე. 1972:** *ორიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი.*

**დავლიანიძე რ. 1985:** ნარეკვავის სამაროვანი. კატალოგი (1977-1979 წ. განათხარი). *მცხეთა.* ტ. VII. თბილისი.

**დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. 1980:** ზემო ალვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი. *კაეშ.* ტ. IV. გვ. 45-49. თბილისი (რედ. კ. ფიცხელაური).

**თუშიშვილი ნ. 1972:** *მადნის ჭალის სამაროვანი.* თბილისი.

**კალანდაძე ა. 1980:** *სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.* მცხეთა. ტ. IV. თბილისი.

**კაპანაძე მ. 1980**: აკაკიანთ ხევის შუაბრინჯაოს ხანის №1 გორასამარხი. *კაეშ.* ტ. IV. გვ. 38-44. თბილისი (რედ. კ. ფიცხელაური).

**კაპანაძე მ. 1984:** ივრისპირების შუაბრინჯაოს ხანის სამაროვნები. *კაეშ.* ტ. VI. გვ. 27-55. თბილისი (რედ. კ. ფიცხელაური).

**ლეკიაშვილი ა. 1964:** კულტურის დიფუზია და კულტურულ-ისტორიული სკოლის მეთოლოგიური პრინციპები. *ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა.* გვ. 96-120. თბილისი (რედ. მ. გეგეშიძე).

**მირცხულავა გ. 1975:** *სამშვილდე.* თბილისი.

**ნიორაძე გ. 1944:** არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. *სსმმ.* ტ. XIII–B. გვ. 173-221. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**რუსიშვილი რ. 1977:** შვინდიანის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა. *არქეოლოგიური ძიებანი.* გვ. 23-30. თბილისი (რედ. რ. რამიშვილი).

**ფიცხელაური კ. 1973:** *აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.).* თბილისი.

**ფიცხელაური კ., მენაბდე ც. 1982:** *გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

**ყვავაძე დ. 1982:** შავი მიწის ველის შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხები.

*გარეჯი.* გვ. 53-60. თბილისი (რედ. კ. ფიცხელაური).
**ჩუბინიშვილი ტ. 1957:** *მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.
**ჩუბინიშვილი ტ. 1955:** სამთავროს ყორდანული სამარხი №243. *მსკა.* ტ. I. გვ. 5-25. თბილისი.
**ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. 1981:** *მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.* თბილისი.
**ჯაფარიძე ო. 1966:** მასალები გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან. *მსმკი.* ტ. I. გვ. 12-27. თბილისი (რედ. ვ. ჯაფარიძე).
**ჯაფარიძე ო. 1960:** *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.* თბილისი.
**Арешян Г. Е. 1973**: Малоазийские формы в керамике Армении среднего бронзового века. *СА.* №4. сс. 40-49. Москва (Ред. А.В. Арциховский).
**Апакидзе А. М., Николаишвили В. В., Гиунашвили Г. Д., Манджгаладзе Г. Н., Дзнеладзе М. С. , Садрадзе В. Г., Давлианидзе Р. В., Глонти Н. В. 1985:** Ахеологические раскопки в Мцхета и ее округе. *ПАИ в 1982 году*. Сс. 44-55. Тбилиси (ред. От. Д. Лорткипанидзе, Т. К. Микеладзе, И.Л. Джалаганиа).
**Бонев А. 1983:** Фракия и Троя в конце позднего бронзового и в начале раннего железного века. Каталог выставки *"Троя и Фракия".* сс. 53-56. Москва (Ред. Е. Р. Беспалова).
**Бохочадзе А. В., Мирианашвили Н. Г., Зангури А. Н. 1987:** Настакисская археологическая экспедиция в 1984 г. *ПАИ в 1984- 1985 гг.* сс.69-73. Тбилиси (Ред. От. Д. Лорткипанидзе, Т. К. Микеладзе, И.Л. Джалаганиа).
**Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д., Ткешелашвили О. В. Б. , Личели В. Т. 1984: Работы** Месхет-Джавахетской зкспедиции. *ПАИ в* **1981** *году.* сс. 18–21. Тбилиси (Ред. От. Д. Лорткипанидзе, Т. К. Микеладзе, И.Л. Джалаганиа).
**Гайс Х. 1983:** Спор о Гомеровской Трое. Каталог выставки *"Троя и Фракия".* сс. 19-22. Москва (Ред. Е. Р. Беспалова).
**Гогадзе Э. М. 1976:** Курганные погребения Лило. *სსმმ.* ტ. XXXII–B. გვ. 223-251. თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).
**Джапаридзе О.М. 1955:** Квасатальски могильник зпохи бронзы в Юго-Осетии. *КСИИМК.* вып. 60. сс. 23-30. Москва (Ред. А.Д. Удальцов) .
**Джорбенадзе В.А. 1988**: Могильники раннего средневековья в Иорском ущелье. *Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа.* сс. 126-133. Орджоникидзе (Ред . Т. Б. Тургиев).
**Жоржикашвили Л. Г., Гогадзе Е.М. 1974:** *Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы.* Тбилиси.
**Кушнарева К. Х. 1957:** Раскопки на холме Узерлик-тепе, около Агдама. *КСИИМК.* вып. 69. сс. 138. Москва (Ред. А.Д. Удальцов).
**Кушнарева К. Х. 1960:** Тазакентский могильник в Армении. *СА.* № 1. сс. 137-147. Москва (Ред. А.В. Арциховский).
**Куфтин Б.А. 1941:** *Археологические раскопки в триалети.* Тбилиси.
**Куфтин Б.А. 1948:** *Археологические раскопки в триалети 1947 г. в Цалкинском районе.* Тбилиси.

**Куфтин Б.А. 1949:** *Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию.* Тбилиси.
**Ниорадзе Г. К. 1934:** Могильник "Стеклянного завода". *Проблемы истории до капиталистических обществ*. №3. сс. 91-99. Москва- Ленинград (ред. Н. Я .Марр).
**Пендлбери Дж. 1950:** *Археология Крита*. Москва.
**Пицхелаури К.Н. 1979:** *Восточная Грузия в конце бронзового века*. Тбилиси.
**Рамишвили А.Т. 1980:** Археологические раскопки в с. Цагвли. *ПАИ в 1977 г.* сс. 60-69. Тбилиси (Ред. О. Д. Лорткипанидзе, Т. К. Микеладзе, И.Л. Джалаганиа).
**Рамишвили А.Т.** 1981: Археологические раскопки в с. Цагвли. *ПАИ в 1978 г.* сс. 52-56. Тбилиси (Ред. От. Д. Лорткипанидзе, Т. К. Микеладзе, И. Л. Джалаганиа).
**Техов Б. В. 1980***: Тлиский могильник*. Тбилиси.
**Троя и Фракия 1983:** Каталог выставки. Москва.
**Ханзадян Э. В. 1962:** Лчашенский курган №6. *КСИА*. вып. 91. сс.66-71. Москва (Ред. Т. С. Пасек).
**Хачатрян Т. 1975:** *Древняя культура Ширака.* Ереван.
**Bonev Al. 1984:** Datierung des Goldschatzes von Vălčitrăn. *Studia Praehistoric.* 7. pp. 164-177. Sofia. (Red. G. I. Georgiev).
**Schlimann H. 1881:** *Ylions Stadt und Land der Trojaner*. Leipzig.
**Schaeffer C. F. A. 1948:** *Stratigraphie comporée et Chronologie de l'Asie Occidentale*. Oxford.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I.** „ღინტორას მიწების“ სამაროვნის №№2, 3 ორმოსამარხების გეგმები.
**ტაბ. II.** „ღინტორას მიწების“ სამაროვნის №№4, 5 ორმოსამარხების გეგმები.
**ტაბ. III-1**. №3 ორმოსამარხის (დაზიანებული) ინვენტარი: 7,8 ,9 – თიხის ჭურჭელი 11, 12, 13 – ბრინჯაოს ნივთები; 14 – სარდიონის მძივები; 15 – ფრინველის ხერხემლის მალებისგან დამზადებული მძივები.
**ტაბ. III-2.** №1 ორმოსამარხის (დანგრეული) ინვენტარი: 1, 3, 4 – თიხის ჭურჭელი; 6 – ბრინჯაოს მძივები.
**ტაბ. IV-1.** სადაზვერვო თხრილში გამოვლენილი №5 ორმოსამარხის თიხის ჭურჭელი.
**ტაბ. IV-2.** სადაზვერვო თხრილში გამოვლენილი №4 ორმოსამარ-ხის ინვენტარი: 16-19 თიხის ჭურჭელი; 20-24 – ბრინჯაოს ნივთები: საკინძები, რგოლები, ხვია და სამაჯური; 25 – ანთიმონის მძივები; 26 – მინისებური პასტის მძივები და იოტები.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I.** Plan of graves N 2 and N 3 of Gintoras Mitsebi cemetery.
**Tab. II.** Plan of graves N 4 and N 5 of Gintoras Mitsebi cemetery.
**Tab. III-1.** Grave goods of damaged grave N 3: 7, 8, 9 – ceramic vessels; 11, 12, 13 – bronze objects; 14 – sardion beads; 15 – beads made from the backbones of a bird.
**Tab. III-2.** Grave goods from damaged grave N 1, 3, 4 – ceramic vessel; 6 – bronze beads.
**Tab. IV-1.** Ceramic vessel from grave N 5.
**Tab. IV-2.** Goods from grave N 4: 16-19 – ceramic vessels; 20-24 – bronze objects: pins, rings, pendants and bracelets; 25 – antimon beads; 26 – tiny glass beads and so-called “Mandarin form” beads.



სამარხი №2



სამარხი №3



ტაბ. II Tab.



სამარხი № 4

N



სამარხი № 5

0 10 20 სმ




სამარხი № 3

სამარხი № 1


I
30
29
28
27
0 2
სამარხი №5
17
18
23
22
24
2
19
16
0 2
25
26
0 1
20
21
სამარხი №4

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 32-43
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 32-43

**არქეოლოგია**

**ნანა რეზესიძე*, მარინე ჭკადუა****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი
დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დმანისი, 1700, საქართველო
ელფოსტა: nanarezesidze@yahoo.com
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: makachkadua@yahoo.com

# დაკრძალვის განსხვავებული წესი დმანისის ნაქალაქარზე

დმანისის ნაქალაქარზე 2007 წელს აღმოჩენილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის შემორჩენილ ფართობზე [რეზესიძე ნ. 2010: 36] გამოვლინდა ორი სამარხი. ორივე სამარხი გამართული იყო სამეურნეო ორმოში (ტაბ. I, II).

სამარხი №1 გამართულია №5 ორმოს ძირზე. ორმო მსხლისებური ფორმისაა, ამოჭრილია პალეოლითურ ფენაში[1] (ტაბ. III, სურ. 3-4). იგი დასავლეთის მხრიდან ჩაჭრილი აქვს შუა საუკუნეების ნაგებობის კედლის საძირკველს. ორმო ამოვსებულია თიხანარევი, წვრილმარცლოვანი ყავისფერი გრუნტით. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არეული და დაზიანებულია. შემორჩენილი ქვედა კიდურების მდებარეობის მიხედვით, მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, სავარაუდოდ, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ. მიცვალებული მოზარდია, დაახლოებით 13-15 წლის. სამარხში აღმოჩნდა კუბის ფორმის მცირე ზომის ბაზალტის ქვა, რომლის გვერდების შუა ნაწილები ჩაღრმავებულია [რეზესიძე ნ. 2010: 51. ტაბ. V-2]. ხოლო ორმოში აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სამარხი №2 გამართულია №3 ორმოში, იგი თითქმის ცილინდრული ფორმისაა და ამოჭრილია პალეოლითურ ფენაში[2] (ტაბ. III-1, 2). ორმოს დასავლეთის მხარიდან ჩაჭრილი აქვს სხვა, №11 ორმო. №3 ორმო ამოვსებული იყო თიხანარევი, ფხვიერი, მოყვითალო ფერის გრუნტით, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა ნაცარსა და ნახშირის ფრაგმენტებს. ორმოს ძირის დონეზე გამართული იყო სამარხი. სამარხი ინჰუმაციურია. მიცვალებული დაკრძალულია ე. წ. ლოტოსის პოზაში,

[1] ორმოს პირის დონე – 3,60 მ-ია, ორმოს ძირის დონე – 4,51 მ, ორმოს მაქსიმალური სიღრმე – 0,91 მ, ორმოს პირის DC– 1,40 მ, ორმოს მუცლის DC– 1,60 მ, ორმოს ძირის DC– 1,47 მ.

[2] ორმოს პირის დონე – 3,75 მ-ია, ორმოს ძირის დონე – 5,22 მ, ორმოს მაქსიმალური სიღრმე – 1,47 მ, ორმოს პირის D – 1.40 მ, ორმოს მუცლის D – 1,60 მ, ორმოს ძირის DC– 1,47 მ.

ზურგზე გაშოტილი, მარჯვენა ხელი ჩამოშვებულია, მარცხენა ხელი მოხრილია და მიტანილია თავთან. ქვედა კიდურები ძლიერ მოხრილია. თავის ქალა ოდნავ დაშორებულია ჩონჩხიდან და ორმოს დასავლეთ კიდეში დევს. მიცვალებული დაკრძალულია თავით დასავლეთისკენ. მიცვალებული ქალია, დაახლოებით 35-50 წლის. ანთროპოლოგიური მასალა თითქმის სრულადაა წარმოდგენილი, ამიტომ შესაძლებელი გახდა სრულყოფილი მონაცემების აღება. განისაზღვრა ასაკი, სქესი, სიმაღლე და პროპორციები. მაქსიმალურად ვეცადეთ თითოეულ ძვალზე აგვეღო ყველა მნიშვნელოვანი ზომა. ზომები თავის ქალაზე რ. რაითის მიხედვით (29 ნიშანი) ავიღეთ (ცხრ. 1), რაც,სამწუხაროდ,C სათანადო ინფორმაციული დატვირთვის მატარებელი არ აღმოჩნდა. თავის ქალაზე აღებულმა ნიშნებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა მხოლოდ ის, რომ ინდივიდი დოლიქოკრანია (72, 59), თავის ქალის განივვერტიკალური მაჩვენებელი აკროკრანულია (119,94), ცხვირის მაჩვენებელი დიდია (52,82), თვალბუდის მაჩვენებელი – ძალიან დიდი (118,16). სხეულის პროპორციებისა და სიგრძის გამოთვლისას მივიღეთ შემდეგი შედეგები: სიმაღლე – 157,7 სმ (ცხრ 2), მხრების სიგანე – 33,6 სმ, კორპუსის სიგრძე – 74,12 სმ, ფეხების სიგრძე – 83,58 სმ.

მიცვალებულის ხერხემალზე, კერძოდ, წელის მალებზე შეიმჩნევა პათოლოგიური ცვლილება. წელის მე-4 და მე-5 (L 4, L 5) მალები ურთიერთშეზრდილია. მალების ასეთი პათოლოგია არორიტის ნაირსახეობაა – მაანკილოზებელი სპონდილიტი,რომელიც,ძირითადად,აზიანებს ხერხემლის სვეტს, თუმცა, ასევე შეიძლება პროცესში სახსრებიც იყოს ჩათრეული. მაანკილოზებელი სპონდილიტის დროს ხერხემლის მალები ერთმანეთს ისე შეეზრდება, რომ ხერხემალი ფიქსირდება ერთ პოზიციაში, ანუ მოძრაობა საგრძნობლად შეზღუდულია. ამას ახლავს მუდმივი დისკომფორტი და ქრონიკული ტკივილები დაზიანებულ,ჩვენს შემთხვევაში, წელის არეში. გამომწვევი მიზეზი, ძირითადად, უცნობია. შეიძლება ითქვას, რომ წამყვანი როლი გენეტიკას უჭირავს. ამ დაავადების მატარებელთა უმეტესობაში აღმოჩნდა, რომ მათი გენები გამოიმუშავებს ე.წ. გენეტიკურ მარკერებს, ცილას, სახელად HLA–B 27. ძალიან საინტერესო სიტუაციაა ამ მხრივ კავკასიაში, სადაც მაანკილოზებელი სპონდილიტით დაავადებულთა 95%-ს სწორედ ეს „გენეტიკური მარკერი" აღენიშნება. ეს დაავადება, ძირითადად, 35 წლამდე ასაკის ინდივიდებში იჩენს თავს. მისთვის დამახასიათებელია ტკივილები, განსაკუთრებით, უმოძრაობის დროს (დამით და დილით ადრე). მიუხედავად იმისა, რომ მაანკილოზებელი სპონდილიტის დროს სხვა სახსრებიც ზიანდება, №2 სამარხში აღმოჩენილ მიცვალებულს დანარჩენ ძვლებზე არ აღენიშნება რაიმე გამოხატული პათოლოგიური ცვლილება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა – მიცვალებული ამ დაავადების გამო ხომ არ დაკრძალეს ამ პოზაში? დმანისის ნაქალაქარზე, №2 სამარხში აღმოჩენილ ინდივიდს, რომელიც ასეთ უცნაურ პოზაშია დაკრძალული, მაანკილოზებელი სპონდილიტის, ასე ვთქვათ, „იოლი" ფორმა ჰქონდა (შეზრდილია წელის მხოლოდ 2 მალა, იმ დროს, როცა შეიძლება ხერხემლის უმეტესი ნაწილი ერთმანეთს შეეზარდოს). აქედან გამომდნარე, ინდივიდის მოძრაობა ძალიან

შეზღუდული არ უნდა ყოფილიყო.

სამარხი უინვენტაროა. ორმოში სხვადასხვა დონეზე აღმოჩდა გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები, ერთი ცისფერი პასტის მძივი, სხვადასხვა ზომის ქვები.

მეტად საინტერესოა სამარხების გამართვა სამეურნეო ორმოებში. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აქვე მდებარეობს სამაროვანი, სადაც შუა საუკუნეების სამარხების ქვეშ აღმოჩენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებიც (ეს სამაროვანი არ არის ბოლომდე შესწავლილი). დასაშვებია ის ფაქტი, რომ ჭირისუფალი რაიმე მოვლენის გამო იძულებული იყო, მიცვალებული დაეკრძალა სასწრაფოდ და თან იქვე ახლოს, სადაც სახლობდა. სრულიად შესაძლებელია, ამის მიზეზი ყოფილიყო სამოსახლოს დარბევა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნამოსახლარის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იყო ნახშირი და ნაცარი, ამავე დროს, კერამიკული მასალა დამსხვრეული სახით გვხვდებოდა, ზემოთ თქმული ვარაუდი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. შესაძლოა, ეს ტერიტორია რადაც პერიოდის შემდეგ არ გამოიყენებოდა საცხოვრებლად და აქ არსებული სამეურნეო ორმოები დროის დაზოგვის მიზნით ან რაიმე სხვა მოსაზრებით გამოყენებულ იქნა სამარხებად.

სამეურნეო ორმოში სამარხის გამართვა უცხოა ამ პერიოდის სამაროვნებისთვის. ადრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთი სამეურნეო ორმო ღრმახევისთავის სამაროვანზე სავარაუდოდ, გამოყენებულია გვიანბრინჯაოს ხანის სამარხად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ სამარხი ჩაჭრილია ორმოში [აბრამიშვილი რ. 1980: 167]. სამეურნეო ორმოს სამარხად გამოყენების ფაქტი გვიან ბრინჯაოს ხანაში დაფიქსირებულია ესპანეთში, ქ. მადრიდში [M-30 Un Viaje al Pasado. 2008: 62]. ზემოხსენებულ სამარხებში მხოლოდ საფქვავის ქვებია ჩატანებული. ესპანელი არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს სამარხები უნდა ეკუთვნოდეს მიწათმოქმედებს, რადგანაც გამართულია სამეურნეო ორმოში, რომელიც, შესაძლოა, გამოიყენებოდა მარცვლეულის შესანახად, თანაც მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ საფქვავის ქვები [M-30 Un Viaje al Pasado. 2008: 62]. სამეურნეო ორმოს სამარხად გამოყენების ფაქტი ასევე დაფიქსირებულია ჩრდილოეთ საფრანგეთში, სოუსიში, ბარბეიში, ვერენეს-სურ-სეინეში [Bredley R. 2005:176]. აქ ხორბლის შესანახ ორმოებს იყენებდნენ სამარხებად, სადაც მიცვალებული დაკრძალული იყო განსხვავებულ პოზებში. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მიცვალებულის დაკრძალვა ხორბლის შესანახ ორმოში დაკავშირებულია სიცოცხლის განახლებასთან. მათი ვარაუდით, აგროკულტურულ ციკლს წამყვანი ადგილი ეჭირა რკინის ხანაში [Bredley R. 2005:174].

დმანისის ნაქალაქარზე გამოვლენილ გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის ორ სამარხში დაკრძალვის სხვადასხვა წესია გამოყენებული. №1 სამარხში შემორჩენილი ქვედა კიდურების მიხედვით მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამწუხაროდ, ჩონჩხი ძლიერაა დაზიანებული შუა საუკუნეების მშენებლების მიერ და შეუძლებელია დამატებით რამის თქმა.

№2 მიცვალებულის დაკრძალვის წესი სრულიად უცხოა ამ პერიოდის სამაროვნებისათვის. მსგავს, ე. წ. ლოტოსის პოზაში დაკრძალული

მიცვალებულის სამარხი ჯერჯერობით სხვაგან საქართველოს ტერიტორიაზე არ გამოვლენილა. ამდენად, დიდ ინტერესს იწვევს დაკრძალვის ეს პოზა. მსგავსად დაკრძალულის სამარხს ბულგარეთში მივაკვლიეთ, კერძოდ კი, სოფელ ტარნავაში და ისიც ადრებრინჯაოს პერიოდს განეკუთნება [Николов Б. 1976: 38-50]. ჩვენ ვაგრძელებთ ამ საკითხზე მუშაობას, ვეძებთ პარალელებს. შესაძლებელია, მომავალში გამოვლინდეს მსგავსი ტიპის სამარხები, რომლებიც მოგვცემს დამატებით ინფორმაციას დაკრძალვის ამ განსხვავებული წესის შესახებ.

ამ ნამოსახლარზე გვხვდება დმანისის ტერიტორიისა და ამ პერიოდისთვის უჩვეულო სიტუაცია: სამარხები გამართულია ნამოსახლარზე, თანაც სამარხებად გამოყენებულია სამეურნეო ორმოები და ფიქსირდება სრულიად განსხვავებული დაკრძალვის წესი. ამ სამარხების კვლევა მოგვცემს ახალ ინფორმაციას დმანისის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შესასწავლად.

სამარხების მცირედ ინვენტარიანობა, საკმაოდ ართულებს მათი დათარიღების საკითხს. აღნიშნული ნამოსახლარი დათარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრისა და ძვ. წ. I ათასწლელის I ნახევრით [რეზესიძე ნ. 2010: 40], ნამოსახლარზე დაფიქსირებულია ორი საცხოვრებელი დონე [რეზესიძე ნ. 2010: 37, 38] გამომდინარე იქიდან, რომ №№ 3 და 5 სამეურნეო ორმოები შეიცავდა მხოლოდ ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებისთვის დამახასიათებელ კერამიკულ მასალას, რაც საშუალებას გვაძლევს სამარხები დავათარიღოთ ამავე პერიოდით და მივაკუთნოთ მეორე საცხოვრებელ დონეს.

## ARCHAEOLOGY

**Nana Rezesidze*, Marina Chkadua****

*The Georgian National Museum, Dmanisi Museum-Reserve
village Patara Dmanisi. 1700 Dmanisi municipality, Georgia
E-mail: nanarezesidze@yahoo.com
**The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: makachkadua@yahoo.com

# A New Type of Burial Discovered in Dmanisi

## Summary

In 2007 the Late Bronze-Early Iron Age settlement was discovered at Dmanisi site under the Medieval layer. It is represented by fragments of buildings and storage pits which were destroyed by Medieval builders. At the same time the Late Bronze-

Early Iron Age settlement has cut Paleolithic layers.

At Dmanisi site 10 storage pits were found in the Late Bronze-Early Iron Age settlement. Two of them (NN. 3 and 5) in the same period were reused as graves. Both of them are inhumations. The deceased was placed on the base of the pits. In N.3 pit the skeleton was placed in the so called "lotus" position on its back. The deceased was a female about 35-50 years old. The complete skeleton gave us an opportunity to measure stature (157.7 cm). The proportions are as follows: shoulder breadth (33.6 cm), height of a torso (74.12 cm) and length of the legs (83.58 cm). The skeleton has pathological changes on the vertebral column. Lumbar vertebrae are fused (L4 and L5).The person buried in grave №2 had a disease – ankylosing spondylitis- one of variety of arthritis. In №5 pit individual was laying on its right side with flexed limbs. This grave was damaged by medieval layers. The deceased was an adult about 13-15 years old.

The persons in these two storage pits were not buried accidentally. We can speculate about this because of certain reasons. They were buried hastily close to their houses. One reason might have been war. If we take into the consideration that at the Late Bronze-Early Iron age in Dmanisi settlement there were found traces of ashes and the whole ceramics was broken, it seems that the catastrophe in Dmanisi happened suddenly.

On the other hand, we can explain appearance of skeletons in storage pits, as the result of abandoning of those territories. People did not live there for some reasons and storage pits were used as graves.

The above described two inhumations represent two different funeral rites. Of special interest is grave N.2 where the individual was in so-called "lotus" position. This type of funeral rites is unknown for Georgia. The same type of funeral rites can be found in Bulgaria, in village Tarnava and it is dated back to the Early Bronze Age.

It should be mentioned that the appearance of this different type of funeral rites in Dmanisi is important for studying of the Late Bronze-Early Iron Age period of this region.

Both of those two graves are without any artifacts that makes difficult to date them. However, based on the fact that the settlement storage pits and layer that were above pits N. 3 and 5 contain materials belonging to the second half of the II millennium and the first half of the 1st millennium B.C, the two inhumations can be dated back to the 7th-6th cc. BC.

## ბიბლიოგრაფია


**აბდუშელიშვილი მ. 1976:** *კრანიოლოგია.* თბილისი.

**აბრამიშვილი რ. 1980:** *ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლი.* თბილისი.

**რეზესიძე ნ. 2011:** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი დმანისის ნაქალაქარიდან. *სემმ.* №2 (47- B). გვ. 36-52. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**Алексеев В.П. 1966:** *Остеометрия.* Москва.

**Николов Б. 1976:** Магилни погребения от раннобронзовата епоха при Търнава и Кнежаб, Врачански окръгб *Археология. К 3.* С. 38-21. София (Ред. Ангелов Б.)
**Bredley R. 2005:** *Ritual and domestic life in prehistoric Europe*. London and New York.
**Wright R**. Guide to using the CRANID programs CR6BIND: for linear and nearest neighbours discriminant analysis.
**M-30 Un Viaje al Pasado. 2008:** Madrid.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**
**სურ. 1-2.** დმანისის ნაქალაქარი. III არქეოლოგიური უბანი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. ნაგებობის ნაშთები და სამეურნეო ორმოები
**ტაბ. II**
დმანისის ნაქალაქარი. III არქეოლოგიური უბანი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. ნაგებობის ნაშთები და სამეურნეო ორმოები. გეგმა და ჭრილები
**ტაბ. III**
**სურ. 1-2**. დმანისის ნაქალაქარი. უბანი III, „ქუჩა“. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. №3 სამეურნეო ორმო, სამარხი. გეგმა
**სურ. 3-4**. დმანისის ნაქალაქარი. უბანი III, „ქუჩა“. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. №5 სამეურნეო ორმო, სამარხი. გეგმა
**ცხრილი 1** თავის ქალაზე აღებული ნიშნები რ. რაითის მიხედვით
**ცხრილი 2** სხეულის სიმაღლის განსაზღვრა

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**
**Fig. 1-2** . Dmanisi settlement. Archaeological excavation area № 3. The Late Bronze-Early Iron Age settlement. Remains of buildings and storage pits.
**Tab. II**
Dmanisi settlement. Archaeological Excavation area № 3. The Late Bronze-Early Iron Age settlement. Remains of buildings and storage pits. Plan and sections.
**Tab. III**
**Fig. 1-2**. Dmanisi settlement. Archaeological Excavation area № 3. ``Street``, the Late Bronze-Early Iron Age settleent, storage pit № 3, burial, plan.
**Fig. 3-4**. Dmanisi settlement. Archaeological Excavation area № 3. ``Stree``, the Late Bronze-Early Iron Age settlement, storage pit № 5, burial, plan.
**Tab. 1** . Measurements of skull according to R. Wright.
**Tab. 2**. Definition of body height.

ტაბ. I Tab.

სურ. 1 Fig.




სურ. 2 Fig.


დმანისის ნაქალაქარი
უბანი III. "ქუჩა" გვიანბრინჯაო-რკინის
ხანის ნამოსახლარი
გეგმა
N
a
b
c
d
e
f
g
h
ჭრილი
h-270.5 სმ
h-242.5 სმ
0 20 40 60 80 100 სმ
ხ.ედიშერიძე 2007 წელი

სურ. 3 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 4 Fig.




სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.




სურ. 7 Fig.

ცხრილი 1 Table

## Cranid by R. Wright

| | | |
|---|---|---|
| 1. Max Cranial Length | (g-op) | 185.97 |
| 2. Nasio-occipital length | th (n-op) | 184.65 |
| 3. Cranial Base length | (ba-n) | 99.09 |
| 4. Basion-bregma height | ght (ba-b) | 134.77 |
| 5. Max. Cranial Breadth | th (eu-eu) | 135 |
| 6. Max. Frontal Breadth | th (xfb) | 101.24 |
| 7. Biauricular breadth | (au-au) | 112.36 |
| 8. Biasterionic breadth | h (ast-ast) | 97.73 |
| 9. Basion-prosthion length | ngth(ba-pr) | 95.51 |
| 10. Upper Facial Height | ht (n-pr) | 61.2 |
| 11. Nasal height. | (n-ns) | 42.95 |
| 12.Orbital height | (obh) | 33.7 |
| 13.Orbital breadth | (d-ec) | 39.82 |
| 14. Bijugal breadth | (ju-ju) | 104.72 |
| 15. Nasal breadth | (al-al) | 22.69 |
| 16. Palate breadth (ecm-ecm) | (ecm-ecm) | 56.2 |
| 17. Bimaxillary breadth | h (zmb) | 90.05 |
| 18. Zygomaxillary subtense | tense (ss-zmb) | 25.45 |
| 19 Bifrontal breadth (fmt-fmt) | (fmt-fmt) | 100.19 |
| 20. Nasion frontal subtense | tense (ss-zmb) | 17.64 |
| 21. Biorbital breadth | (ec-ec) | 95.26 |
| 22. Interorbital breadth | (d-d) | 21.68 |
| 23. Cheek height | (wmh) | 19.43 |
| 24. Frontal chord | (n-b) | 111.27 |
| 25. Nasion-bregma subtense | btense | 26.9 |
| 26. Parietal chord | (b-l) | 121.29 |
| 27. Bregma-lambda subtense | | 25.2 |
| 28. Occipital chord | (l-o) | 106.98 |
| 29. Lambda-opisthion subtense | | 31.57 |

**ცხრილი 2 Table**

| № | დასახელება | ე. როლე | ლ.მანუკრიე | მ. ტროტერი და ბ. ბლეზერი |
|---|---|---|---|---|
| 1 | Humerus | 155.7 | 156.4 | 163.7 |
| 2 | Ulna | 159.3 | 157.5 | 164.7 |
| 3 | Radius | 160 | 158.2 | 162.3 |
| 4 | Femur | 152.4 | 155.1 | 160.4 |
| 5 | Tibia | 153.1 | 154.7 | 161.5 |
| 6 | Fubula | 151.2 | 154 | 158.7 |
| | ჯამი | 155.3 | 156 | 161.9 |
| | საერთო ჯამი | 157.7 | | |

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 44-66
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 44-66

**არქეოლოგია**

**მარიამ გველესიანი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: mariamtordia@yahoo.com

# ცეცხლის ტაძრებში ცხოველთა მსხვერპლშეწირვის საკითხისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ წინაქრისტიანულ არქიტექტურულ ძეგლთა გარკვეული ჯგუფის ზოროასტრულ ცეცხლის ტაძრებად განსაზღვრება ძნელდება იმის გამო, რომ მათში აღმოჩენილია ცხოველთა (ცხვრის, თხის) დამწვარი ნაშთები, რაც ადასტურებს ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის ფაქტს და რაც, როგორც ცნობილია, ზოროასტრული სარწმუნოებისათვის მიუღებელ მოვლენად ითვლება. როგორც ჩვენს, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ძეგლთა ცეცხლის ტაძრებად ინტერპრეტირების ერთ-ერთ ძირითად კონტრარგუმენტად სწორედ ეს გარემოება გვევლინება. ამის მიუხედავად, ზოროასტრიზმში ცხოველთა მსხვერპლშეწირვაზე მსჯელობისას მკვლევართა მხრივ ხანდახან შეუსაბამობებსაც აქვს ადგილი, მაგალითად, ამ რელიგიის ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიცაა პროფ. მერი ბოისი, მართალია, უარყოფს ცხოველთა მსხვერპლშეწირვის არსებობას ზოროასტრულ ტრადიციაში, ეს მოსაზრება ზოგ შემთხვევაში ხელს არ უშლის მას, ცეცხლის ტაძრად მიიჩნიოს ზოგი ისეთი ძეგლი (ოქსის ტაძარი ტახტ-ი სანგინში), სადაც გამოვლენილია ცხოველთა დამწვარი ძვლები [Коровчинский И. 2007: 17].

რამდენადაც, საზოგადოდ, ბოლო ხანებამდე მკვლევარნი ერთხმად იზიარებდნენ თეორიას ზოროასტრიზმში ამ ტრადიციის არარსებობის თაობაზე, ამდენად, თავის დროზე ჰქონდა საფუძველი კ. ხიმშიაშვილს, სწორედ ამ კუთხით დაეყენებინა კითხვის ნიშნის ქვეშ ციხიაგორას სატაძრო კომპლექსის ცეცხლის ტაძრებთან კავშირი. ამ უკანასკნელის შესაძლებლობას მკვლევარი მაინც არ გამორიცხავს იმ მიზეზით, რომ, მისივე დაკვირვებით, მათ შორის მეტად დიდია სტრუქტურული მსგავსება: „მიუხედავად იმისა, რომ იგი (ციხიაგორას მთავარი ტაძარი, – მ.გ.) ნამდვილად ავლენს მთელ რიგ ნიშნებს, რომლითაც უკავშირდება ირანულ ცეცხლის ტაძრებს (როგორც ადრეულს, ასევე თანამედროვეს), არის ერთი გარემოება, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ამ ნაგებობის დაკავშირებას ტრადიციულ ზოროასტრულ ტაძართან. კერძოდ, საქმე იმაშია, რომ ტაძრის წინ, ეზოში გამართულ მაღალ საკურთხეველზე აღმოჩნდა „რკინის დანა და ცხვრის დამწვარი ძვლები", ხოლო კომპლექსში შემავალ მარანში, ერთ-ერთ საკურთხეველზე, თხის დამწვარი რქები

იპოვნეს[1]. როგორც ზოროასტრული რელიგიის უდიდესი მცოდნე მერი ბოისი მიუთითებს, წარმოუდგენელია, რომ ტრადიციული ზოროასტრული (მაზდეანური) რელიგიის მიმდევრებმა მსხვერპლშეწირვის რიტუალი ჩაატარონ და წმინდა ცეცხლს გააკარონ რაიმე სხეული (ხორცი), რომელიც უწმინდურად ითვლება. ეს გარემოება ძირეულად ეწინააღმდეგება ამ ნაგებობის (და მთლიანად მთელი კომპლექსის) ტრადიციულ იდენტიფიცირებას ზოროასტრულ ცეცხლის ტაძრად. მიუხედავად ამისა, მგონია, რომ ციხიაგორა მაინც შეიძლება დაუკავშირდეს ცეცხლის ტაძრებს, იმდენად დიდია სტრუქტურული მსგავსება. ზემოაღწერილი მსხვერპლშეწირვის ახსნა კი, ალბათ, შეიძლება ელინისტურ ხანაში ზოროასტრული რელიგიის ღვთისმსახურების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბლებობით....მსხვერპლის არშეწირვა დამახასიათებელია ტრადიციული, ორთოდოქსული ზოროასტრიზმისათვის. საქართველოში კი, შესაძლოა, არსებობდა რაღაც ადგილობრივი ძლიერი ტრადიცია, რომლის მიხედვით გრძელდებოდა მსხვერპლშეწირვა, სამსხვერპლო ცხვრისა თუ თხის დაწვა. ამას თითქოს ეთნოგრაფიული მასალაც უჭერს მხარს. საკმარისია გავიხსენოთ, როგორც გ. ცქიტიშვილი მიუთითებდა, რომ დღესაც კი რთველში, როგორც წესი, მაინცდამაინც ციკანი იკვლება" [ხიმშიაშვილი კ. 2001:10-11].

მკვლევარი იქვე მართებულად სვამს საკითხს ირანულ ცეცხლთაყვანისმცემლობასა და მის ადგილობრივ, იბერიულ ვარიანტს შორის განმასხვავებელი ნიშნების სამომავლო ძიებისა და შესწავლის აუცილებლობაზე.

დედოფლის მინდვრის ძვ.წ. II-I საუკუნეების სატაძრო კომპლექსის მთავარი ტაძარი, ი. გაგოშიძის ვარაუდით, „არდვი სურა ანაჰიტას ტიპის რომელიღაცა ქალღმერთის სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული" [გაგოშიძე ი. 1977: 76]. ცეცხლის ტაძრად მიჩნეული ამ ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ დერეფანში აღმოჩნდა ასზე მეტი ქორბუდა ირმის თავის ქალა, რომლებიც ოდესღაც კედლებზე ყოფილა მიმაგრებული. როგორც ავტორი მიუთითებს, ამ მიზნით თავის ქალები კეფასთან არის ჩამოხერხილი, რქები კი – ძირებთან გახვრეტილი. იქვე გამოვლინდა ნიამორისა და ტახის რამდენიმე თავის ქალაც. ამავე ძეგლისადმი მიძღვნილ სხვა გამოკვლევაში მკვლევარი, ერთი მხრივ, აღნიშნავს ანაჰიტასადმი ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის შესაძლებლობას, მეორე მხრივ, იმოწმებს რა რ. გირშმანის მოსაზრებას ზოროასტრიზმთან სისხლიანი მსხვერპლშეწირვის შეუთავსებლობაზე, თამამი განაცხადისაგან თავს იკავებს [Гагошидзе Ю. 1981: 114].

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე გამოკვლევაში დამოწმებულ საკულტო ძეგლთა არქიტექტურული თვალსაზრისით გაანალიზება ცდება ჩვენი კვლევის ფარგლებს, რამდენადაც, როგორც სათაურშივე ჩანს, ის არის ცდა მათი მხოლოდ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ნიშნით ინტერპრეტირებისა.

დასავლელ მკვლევართა უკანასკნელი გამოკვლევებით [Iong A. 1997; Iong A. 2002; Razmjou Sh. 2004;] ეჭვქვეშ დადგა ზოროასტრულ ტრადი-

[1] ამ მონაცემებს ავტორი მოიხმობს ზ. მახარაძის სტატიიდან [მახარაძე ზ. 1987: 6]

ციაში ცხოველთა მსხვერპლშეწირვის არარსებობის თეორია. მათზე დაყრდნობითა და ახალი მონაცემების ქართულ წყაროსეულ რეალიებთან შეჯერება-გაანალიზებით შევეცდებით გარკვეული სიცხადე შევიტანოთ ჩვენში საკულტო ძეგლთა ერთი ჯგუფის ცეცხლის ტაძრებად გააზრების საკითხში, რომლის პრობლემურობას, ზემოთ აღნიშნული მიზეზით, სწორედ ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის კვალი განაპირობებს.

პირველი, რითაც ალბათ უნდა დაგვეწყო საკითხზე მსჯელობა, არის ლინგვისტურ მონაცემთა გაანალიზება აღნიშნული კუთხით. თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში მ. ბოისი განიხილავს ორი ირანული რელიგიური ტერმინის – *ātaš-zōhr*-ისა და *āb-zōhr*-ის მნიშვნელობას. მისი განმარტებით, *zōhr* (ავესტური „მსხვერპლშეწირვა") ფუძის მქონე ეს სიტყვები მსხვერპლშეწირვის ორი განსხვავებული წესის აღმნიშვნელია: *ātaš-zōhr* – ცეცხლის, ხოლო *āb-zōhr* წყლის მიმართ მსხვერპლშეწირვას გულისხმობს [Boyce M. 1966: 100]. პირველი ხშირადაა დადასტურებული ზოროასტრულ ტექსტებსა და პრაქტიკაში და გულისხმობს როგორც სისხლიან მსხვერპლშეწირვას, ასევე წმინდა ცეცხლზე სამსხვერპლო ცხოველის ქონის მოთავსებას[2].

რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელ არაერთი ირანული წარმომავლობის სიტყვათა მოხმობისას მ. ანდრონიკაშვილი იხსენიებს სიტყვებს „ზორვა" (მისივე განმარტებით, „მსხვერპლშეწირვა") და „ზუარაკი", იგივე „მსხვერპლი" [ანდრონიკაშვილი მ. 1966: 34]. ამ ტერმინებს სულხან-საბა შემდეგნაირად განმარტავს: „ზორვა ესე არს კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი. ზორვა არს საკმეველთა დაკმევა[3], გინა თაყვანი, გინა შეწირვა მსხვერპლთა კერპთა მიმართ (დაწვა **ცეცხლით შესაწირავთა** – ხაზი ჩვენია, მ.გ). ზორვა არს შეწირვა, გინა თაყვანისცემა კერპთა. ზორვა არს კერპის თაყვანის-ცემა და შესაწირავი" [ორბელიანი ს. 1966: 283]; „ზუარაკი" (ზვარაკი), ნასუქარი (ოთხფ.). ნასუქარი ხბო, ნასუქალი. ზროხა" [ორბელიანი ს. 1966: 286]. საგულისხმოა, რომ „ზორვა"-დან წარმომდგარი „ზუარაკი" განმარტებულია როგორც ცხოველის გარკვეული სახეობა. ასევე საბასეული განმარტება სპარსული ძირის მქონე „ზუარაკისა" – „ზროხა" პირდაპირ კავშირს ავლენს ავესტურ *geuš hudā*-თან („კეთილისმყოფელი, მწყალობელი ძროხა").

„ზორვა" ფუძის მქონე სახელი ქართულ ტოპონიმიკაშიც დასტურდება: ნეკრესის მცირე ბაზილიკის ქვედა ფენაში ლ. ჭილაშვილი მითრაეუმისა და ასევე მაზდეანთა გოდოლის არსებობას ვარაუდობს, რაზეც, მისივე სიტყვებით, მიგვანიშნებს ადგილის შემორჩენილი სახელიც - „ნაზვრევი გორა". მკვლევრის აზრით, „ნაზვრევი" „ზორვიდან"

---

[2] დღემდე არსებული ზოროასტრული რიტუალები გულისხმობს ცხოველის არსებობას მსხვერპლშეწირვისას და კვერის („წმინდა პურის") მიღებას, რაც ნაწილია *drōn*-ის სახელით ცნობილი რიტუალისა. *drōn*-ის რიტუალში ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელს საშუალო სპარსულად *gōšūdāg* ეწოდება, რაც წარმომდგარია ავესტური *geuš hudā*-დან („კეთილისმყოფელი, მწყალობელი ძროხა"). თანამედროვე რიტუალებში *gōšūdāg* არის უმეტესად კარაქი ან ერბო, თუმცა ირანული ზოროასტრული რიტუალებიდან და რიტუალური ტექსტებიდან ირკვევა, რომ თავის დროზე სამსხვერპლო ცხოველის ხორცის ნაჭერი იყო *gōšūdāg*-ოვის საერთო (თუ ერთადერთი არა) ატრიბუტი [Boyce M. 1966: 101-103; Iong A. 2002:128].

[3] ის, რაც სხვაგვარად „ლიბაციის" (libation) ტერმინითაა ცნობილი. თ. ყაუხჩიშვილისეულ თარგმანში ამ ცნების აღმნიშვნელია „დანთხევა" (იხ. ქვემოთ ციტატა ჰეროდოტეს "ისტორიიდან").

არის მიღებული....ეს სიტყვა ძველი ირანული მეტყველებიდან ჩანს შემოსული და ეტყობა თან შემოჰყვა ირანიდან ცეცხლის რელიგიას მაზდეანობას" [ჭილაშვილი ლ. 2000: 47]. ამ კავშირების ნიშნით, რასაც ზემოთ მოხმობილი მონაცემებიც ემხრობა, მართებული გვგონია ლ. ჭილაშვილის დაკვირვება მასზე, რომ ერთ-ერთი ასურელი მამის, აბიბოს ნეკრესელის თავგანწირული ბრძოლა ცეცხლთაყვანისმცემლობისა და ცეცხლის მსახურთა წინააღმდეგ სწორედ „ნეკრესის, მაზდეანთა ბუდესთან არის დაკავშირებული". მაზდეანობის ნეკრესში გავრცელებისა და უშუალოდ ნეკრესის სამლოცველოს დაფუძნების ხანას ავტორი ძვ. წ. II საუკუნით განსაზღვრავს.

ტერმინ „ზორვას" ვაწყდებით ასევე „ნინოს ცხოვრების" იმ პასაჟში, რომელიც არმაზის (არმაზობის) დღესასწაულის აღწერას ეთმობა: „მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდთა ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა, და წარჰყვა წმიდა იგი მათ თანა. ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, წიად მოგუთასა ჴიდსა ზედა, და დადგეს მუნ. და ხედვიდა წმიდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მოგუებასა ცოომასა; და ტიროდა წმიდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა, და იგლოვდა უცხოებასა თჳსსა" [ქართლის ცხოვრება. 1955: 88].

ის გარემოება, რომ ირანული წარმომავლობის ეს რელიგიური ტერმინები ჩვენს სინამდვილეში შინაარსობრივადაც ზუსტად შესატყვისება მათს ორიგინალურ მნიშვნელობას –„მსხვერპლშეწირვას", გვიქმნის პერსპექტივას თავად მსხვერპლშეწირვის რიტუალთა ანალოგების ძიებისა ქართულსა და ირანულ სამყაროს შორის.[4] ამავე თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ „ღმერთი ღმერთთა" არმაზის თაყვანსაცემად და „ზორვად" აღძრულ ერს მოგვთაგან ცდომილი, „ცეცხლის მსახური ერი", ანუ ზოროასტრიზმის მიმდევარნი ხვდებიან მცხეთაში „მოგუთასა ჴიდსა ზედა". აქვე აღვნიშნავთ, რომ არმაზის კულტისადმი მიძღვნილ ჩვენს ნაშრომში გვქონდა მცდელობა ქართლის უზენაესი ღვთაების დაკავშირებისა ირანელთა უზენაეს ღვთაება აჰურა მაზდასთან [გველესიანი მ. 2003: 47-93].

„ფარნავაზის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ მეფე ფარნავაზმა „ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა" [ქართლის ცხოვრება. 1955: 25]. „სატფურება" საბას მიხედვით, „წლითი-წლად მსხვერპლთა განახლებას" ნიშნავს [ორბელიანი ს. 1993: 58], რითაც ვგებულობთ, რომ ფარნავაზს არმაზისადმი მიძღვნილი ყოველწლიური მსხვერპლშეწირვითი დღესასწაული დაუარსებია.

მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში" (II. 86) დაცულია ცნობა „ქართველთა არამაზდის" მიმართ მსხვერპლის შეწირვაზე: „[ნუნემ] დაუყონებლივ მოსპო ჭექა-ქუხილის [მომვლინებელი] არამაზდის ქანდაკება, რომელიც ქალაქისაგან განცალკევებით, დიდი მდინარის მეორე მხარეს იდგა. როგორც წესი, დილდილობით ყველა სცემდა მას თაყ-

[4] საგულისხმოა, რომ, მ. ბოისისა და სხვა მკვლევართა მოსაზრებით, სპარსული *zōhr*-იდან არის ნასესხები სომხური *zoh*, რაც გულისხმობს ცხოველის მსხვერპლად შეწირვას, ხოლო *zohel* –ამ ქმედების გამომხატველი ზმნაა [Boyce M. 1966:105].

ვანს სახლთა სახურავებიდან, საიდანაც სახით ჩანდა იგი; თუ ვინმეს მსხვერპლის შეწირვა ეწადა, მდინარეზე გადადიოდა და ბომონის წინ სწირავდა" [ხორენაცი მ. 1984: 171].

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები წარმართულ მსხვერპლშეწირვას წარმოგვიჩენს როგორც რიტუალს, „უსაძაგლეს" ეშმაკთა მიმართ „ბოროტად შეცდომილ კაცთაგან" აღსრულებულს. „იოანე ზედაზნელის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ იოანე „გავიდა წუერსა ზედა მის მთისასა, ამ მთაზე კი გოდოლი აღეშენა წარმართთა და ეშმაკი ფრიად დამკვიდრებულ იყუნეს". იოანესავე მეტაფრასტული რედაქციის მიხედვით: „წარმართთა მიერ გოდოლი აღმართებულ იყო მთასა მას ზედა და ბომონი მდგომარე იყო, რომელსა ზედა საძაგელი მსხუერპლნი უსაძაგლესთა ეშმაკთაგანი აღესრულებოდეს უსახურთა და მათ მიერ ბოროტად შეცდომილთა კაცთაგან" [საბინინი ს. 1882: 199; გველესიანი მ. 2003: 118]. სამწუხაროდ, თხზულების ავტორი დუმს იმაზე, თუ რა იგულისხმებოდა „საძაგელ მსხვერპლში" და, ზოგადად, რა სახის იყო მსხვერპლშეწირვა.

რამდენადაც წინაქრისტიანული ქართლისა და სომხეთის უზენაეს ღვთაებათა კორელატობა ჩვენ ორივეს ირანულ უზენაეს ღვთაება აჰურა მაზდასგან წარმომავლობით დავსაზღვრეთ, ჩვენი წყაროების მწირი მონაცემების ფონზე, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ სომხეთში.

სომხურ წყაროებზე დაყრდნობით, გ. ვარდუმიანი აღნიშნავს, რომ არამაზდისადმი მიძღვნილ ნავასარდის დღესასწაულზე ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ საქონელს – ხარებს, ცხვრებს, თხებს, თეორ ცხენებს, ასევე ფრინველს – მამალს. ამ მოვლენის გადმონაშთი დღევანდელი სომხეთის რელიგიურ ყოფაშიცაა შემორჩენილი „მატახისა" (ხორცის შეწირვა) და „ტაპლას" (ფრინველის შეწირვა) სახელით. მსხვერპლშემწირველნი, იგემებენ რა შენაწირს, წარმოთქვამენ: „შეეწიოს" [Вардумян Г. 1991: 105]. სტრაბონის (გეოგრაფია XI. 14.9) ცნობით, სომხები ყოველწლიურად *Mithrakāna*-ის დღესასწაულზე 20 000 კვიცს უგზავნიდნენ ხარკის სახით აქემენიანთა დიდ მეფეს. *Mithrakāna*-ის დღესასწაული თანხლებულ იყო ცხოველთა მსხვერპლშეწირვით [Russell J. 2004: 555].

აღმოსავლური რელიგიების დიდი ავტორიტეტი ფ. კიუმონი (1868-1947წწ.) თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში მოიხმობს, მისივე სიტყვებით, სომხური და ქართული რელიგიების მცოდნე პ. პიტერსის ერთ მეტად საყურადღებო ცნობას: სამეგრელოში, გიორგობის დღეს იდუმალად შედიოდა ხარი ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში, რისი მოწმეც XIX საუკუნის მიწურულს პ. პიტერსი თავად გამხდარა. ამ მოვლენით ფრიად დაინტერესებულ ფ. კიუმონს მისი დაწვრილებითი აღწერილობისათვის მიუკვლევია ჟან შარდენის ჩანაწერებში. ფრანგი მოგზაური 1672 წელს წვევია ილორს, სადაც ის დასწრებია რიტუალს, რომელიც, ფ. კიუმონის დაკვირვებით, ცხოველის მსხვერპლად შეწირვის წარმართული წეს-ჩვეულების ოდნავი სახეცვლილებაა. შარდენის ჩანაწერებიდან ფ. კიუმონის ყურადღება რიტუალის ცალკეულმა დეტალებმა მიიპყრო: „ხარის დაკვლის დროს გულდასმით აკვირდებიან მის აღნაგობას, მოძრაობას, რათა ამის მიხედვით იწინასწარმეტყველონ"

[შარდენი ჟ. 1975: 198; Cumont F. 1937: 65], რაც, ფ. კიუმონის შენიშვნით, გამოძახილია სასიკვდილოდ განწირული სამსხვერპლო ცხოველის მოქმედებებით წინასწარმეტყველების ტრადიციისა ძველ კულტურებში. ის, რომ „დიდი კრძალვითა და მოწიწებით" შეექცეოდა ხალხი ამ ხარის ხორცს, ნიშნავდა იმას, რომ ეს მათთვის ზიარების ტოლფასი იყო, ზიარებისა ღმერთებთან, რომლებსაც ეწირებოდა ცხოველი. მის ხორცს, შესაბამისად, აღიქვამდნენ როგორც ღვთაებრივი ძალის მქონეს, რომელსაც მათი ფიზიკური განკურნებაც ძალუძდა [შარდენი ჟ. 1975: 197; Cumont F. 1937: 65].

ეყრდნობა რა პლუტარქეს ცნობას მისივე „ლუკულუსიდან", ფ. კიუმონი მოგვითხრობს: „სამეგრელოსთან ახლოს, ლუკულუსის მიერ მდ. ევფრატის გადალახვისას მითრიდატეს წინააღმდეგ ლაშქრობის ჟამს, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მოვლენას,რაც კარგი ამბის ნიშნად იქნა აღქმული. ანაიტისის – სპარსული არტემისის სამსხვერპლო ძროხები ძოვდნენ მდინარის განაპირას, მოშორებით. ცხოველები ძლივძლივობით შეიპყრეს მოლაშქრეებმა. მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლისას ერთ-ერთი ძროხა დაუსხლტდათ ხელიდან, ის თავად ავიდა იმ კლდის თავზე, რომელიც ქალღვთაების სახელობისა იყო და თავის იმგვარი დახრით, თითქოსდა საბელით ქვემოთ სწევენო, თავისით წარუდგა ლუკულუსს როგორც მსხვერპლი შესაწირი" [Cumont F. 1937: 65-66]. ფ. კიუმონი არაერთ საინტერესო ანალოგს მოიხმობს საკითხზე მსჯელობისას, რაზეც აქ აღარ განვევრცობით. შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ, მკვლევრის აზრით, თუ ლუკულუსის ძროხა ანაიტისის სამსხვერპლო იყო, ილორის ხარი ეწირებოდა სპარსელთა ღვთაება მითრას, რაზეც ნათლად მიანიშნებს ილორის მოსახლეობის „უცნაური რწმენა", რომ გიორგობა დღეს მითრას სამსხვერპლო ხარს იპარავდა წმ. გიორგი[5] [შარდენი ჟ. 1975: 195-6; Cumont F. 1937: 65-66]. როგორც ვხედავთ, ეს მოვლენა ფ. კიუმონის ნაშრომის სათაურშიც აისახა.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი კვლევის საკითხს. ზოროასტრიზმში ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის წეს-ჩვეულებებში ტრადიციულად იგულისხმება ცხოველის დაკვლისა და ხორცის მოხმარების რიტუალი. მკვლევართა მიერ საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიუხედავად, ის დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას სამეცნიერო მიმოქცევაში, რაც, ძირითადად ორი მიზეზითაა განპირობებული: ესაა, ერთი მხრივ, „ჭეშმარიტი" ზოროასტრიზმის სპირიტუალურობის დასავლური გაგება და, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ სადღეისოდ ეს რიტუალი უკუგდებული აქვს ზოროასტრიზმის ყველაზე თანმიმდევარ ინდოეთში მოსახლე პარსის თემს. მართალია, ზოროასტრიზმის თანამედროვე გამოვლინებანი არ არის ჩვენი კვლევის საგანი, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ირანის ზოროასტრიზმში ცხოველთა მსხვერპლშეწირვას დღესაც მისდევენ, ხოლო ირანელ პარსთა თემში კი ამ ტრადიციას XIX საუკუნის მიწურულამდე ჰქონდა ადგილი. ხაზგასასმელია, რომ ცხოველთა მსხვერპლშეწირვა იყო ერთ-ერთი ქმედითად დამკვიდრებული

[5] დასავლელ მკვლევართა არაერთი ნაშრომი არსებობს მითრასა და წმ. გიორგის კავშირზე, რაც ალბათ, წარმოაჩენს ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული თეორიის გადამოწმების საჭიროებას მთვარის ღვთაებისა და წმ. გიორგის კორელატობასთან მიმართებით.

რიტუალი ზოროასტრიზმისა ძველ, წინაისლამურ, ხანაში [Iong A. 2002: 127]. მკვლევარნი სიროულეებს აწყდებიან მაშინ, როდესაც პრობლემის არსიდან გამომდინარე, ცდილობენ ეს რიტუალი დაუკავშირონ ზოროასტრულ ლიტერატურაში გარდაცვალებისა ან მოკვდინების შესახებ არსებულ შეხედულებებსა და მოსაზრებებს, რის შედეგადაც ცხოველთა მსხვერპლშეწირვის თეოლოგიური ასპექტი მეტად იწევს წინ, ვიდრე, საზოგადოდ, რიტუალის არსისა და მნიშვნელობის გააზრება ზოროასტრელთათვის. შესაბამისად, სიძნელეს იწვევს გამიჯვნა საერო ცხოვრებაში დამკვიდრებული რელიგიურობისა სასულიერო ზოროასტრული ტექსტებისაგან.

ცხოველთა მსხვერპლშეწირვა ირანულ ზოროასტრულ ტრადიციაში არ არის ხშირი, მაგრამ, ამ წეს-ჩვეულების შედარებით იშვიათი გამოვლინების მიუხედავად, დასტურდება ის გარემოება, რომ ძველი ზოროასტრელებისათვის ის მათი რელიგიური ცხოვრების ერთი, ჩვეულებრივი ნაწილი იყო. გაანალიზება „გათების" სახელით ცნობილი უადრესი ზოროასტრული ტექსტებისა, რომლებიც წინასწარმეტყველ ზარათუშთრას მიეწერება, ზოგ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ წინასწარმეტყველი წინააღმდეგი იყო მასზე უწინ არსებული ცხოველთა მსხვერპლშეწირვისა და ცდილობდა მის გაუქმებას. გათების ეს ინტერპრეტაცია დაედო საფუძვლად ძველი ზოროასტრიზმის, როგორც წმინდად სპირიტუალური ეთიკური რელიგიის, აღქმა-გაანალიზებას; ზარათუშთრა წარმოჩენილ იქნა, როგორც რიტუალის მოწინააღმდეგე ღვთისმეტყველი, რომელიც კრძალავდა ცხოველთა მსხვერპლშეწირვასა და ჰაომას[6] მიღებას [Moulton J. 1913: 395, შენ.1; Lommel H. 1930: 248-249; Lincoln B. 1981: 50; Zaehner R. 2002:166], რასაც მან ჩაანაცვლა ლოცვებისა და მედიტაციისაგან შემდგარი და წმინდა ცეცხლის შენახვისათვის გამიზნული რიტუალი. ვინაიდან ცხოველთა მსხვერპლშეწირვა და ჰაომას მომზადება/მიღება მაინც დასტურდება ზოროასტრიზმის მიმდევართა შორის წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდგომ, ამას მკვლევარნი ხსნიან იმით, რომ ზარათუშთრა, უბრალოდ, წარუმატებელი აღმოჩნდა თავის რელიგიურ რეფორმებში; ვარაუდობენ, რომ წინასწარმეტყველის მყისიერ მიმდევრებს გაუძნელდათ შეგუებოდნენ ამგვარ მკაცრ ეთიკურ მოთხოვნებს და მისი გარდაცვალების შემდგომ სწრაფადვე მიუბრუნდნენ თავიანთ ნახევრად წარმართულ წეს-ჩვეულებებს [Boyce M. 1975: 214-218; Boyce M. 1979*:*173-174; 211; Eliade M. 1987: 581; Iong A. 2002: 129].

ალბერ დე იონგის ნაშრომებით ეჭვქვეშ დადგა ამ მოსაზრების მართებულობა. ავტორისეულ კონტრარგუმენტებს აქ არ მიმოვიხილავთ, და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი დაკვირვებით, გათებში, რომლებიც სადღეისოდ უმეტესად სარიტუალო ხასიათის მქონე ტექსტებად მოიაზრება, მაგრამ ისე, რომ თითქმის არ განიხილება თავად ამ რიტუალთა არსობრივი მხარე, არანაირი წინააღმდეგობა არ ჩანს ცხოველთა მსხვერპლშეწირვის მიმართ [Iong A. 1997: 357-58; Iong A. 2002: 130]

[6] ინტოქსიკაციური შემადგენლობის მქონე წვენი, რომელსაც მიიღებენ გარკვეული სახეობის მცენარის დანაყვის შედეგად.

ცნობებს ცხოველთა მსხვერპლად შეწირვასა და ჰაომას გამოხდაზე ვაწყდებით მცირე ავესტაში, განსაკუთრებით, იაშტებსა და *Hōm* იაშტში (Y. 9), სადაც ასახულია ირანული მითოლოგიის გმირების მიერ ცხოველთა (ცხენები, ძროხები, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი) მსხვერპლად შეწირვა იმ ღვთაებათაგან წყალობის მისაღებად, რომლებსაც სწირავენ მათ [Iong A. 1997: 359]. ამ რიტუალთა ტექნიკური მხარეები აღწერილია *Nērangestān*-ში („რიტუალური დამოძღვრის წიგნი"). როგორც ქვემოთ ვნახავთ, ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის ფაქტს, სხვასთან ერთად, მატერიალური კულტურის ძეგლებიც ადასტურებს.

უადრესი ზოროასტული ტექსტები იმდენად რთულია გასაგებად, რომ სრული სიცხადის შეტანა მათში შეუძლებელია. განზე თუ დავტოვებთ გათებს, სიტუაცია უფრო ნათელი ხდება: ცხოველთა მსხვერპლშეწირვა იქ დადასტურებულია და ის რელიგიური ცხოვრების არსებით ნაწილად ითვლება. ამ რიტუალის მნიშვნელობა, ისევე, როგორც მისი წეს-ჩვეულებანი, იცვლებოდა ზოროასტრული ტრადიციის განვითარების კვალდაკვალ, თუმცა, ტექსტობრივი ლაკუნის გამო, ამ ცვლილებების დოკუმენტირებულად თვალის გადევნება არ ხერხდება. შესაბამისად, ზოროასტრიზმში ეს გაცილებით რთული საქმეა, ვიდრე ეს სხვა ძველი რელიგიების შემთხვევაშია. ზოროასტრიზმის ადრეული შრეების მკვლევარნი ზოროასტრულ წეს-ჩვეულებების ინტერპრეტირებას ვედური ინდოეთის მდიდარ მასალასთან ანალიზის საფუძველზე ახდენენ, რამდენადაც ის მსგავსია მსხვერპლშეწირვაზე ვედური ინდოეთის რელიგიაში არსებული რწმენა-წარმოდგენებისა, რომლებიც ზოროასტრიზმთან საერთო ძირების მქონეა. ამასთან, მათ შორის მნიშვნელოვანი და უცილო განსხვავებებიცაა: ვედური რელიგია, ყველა თვალსაზრისით, მსხვერპლშეწირვითი რელიგიაა – მსხვერპლშეწირვა არის არსებითი კომპონენტი ვედური ტრადიციისა, რითაც ხდება ყველა მისი ნააზრევის ჩამოაყალიბება და ფორმირება. ამას ვერ ვიტყვით ზოროასტრიზმზე, სადაც გამონაკლისად და ისიც – სავარაუდოდ, მხოლოდ გათებია მიჩნეული.

ირანულ სამყაროში მსხვერპლშეწირვის ტრადიციის უადრესი დამათარიღებელი საბუთი ორი წყაროა: ესაა სპარსელთა რელიგიის ბერძენ ავტორთა აღწერილობანი და პერსეპოლისში აღმოჩენილი, დარიოს I-ის დროინდელი აქემენიდური ადმინისტრაციის ელამური თიხის ფირფიტები, რომლებიც უმეტესწილად აღნუსხავს იმ ულუფას, რაც უნაწილდებოდათ ქურუმებსა და სხვა პირთ გარკვეული რიტუალის ჩასატარებლად; რიტუალები ხშირადაა სახელდებული, თუმცა, ძნელდება ამ სახელთა იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება სრული დასაბუთებით. მათ უფრო დაწვრილებით ქვემოთ მიმოვიხილავთ.

რიტუალების (რაშიც უმეტესწილად სამეფო რიტუალი იგულისხმება) ბერძნულ აღწერილობებში ცხოველთა მსხვერპლშეწირვა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. თუმცა, ეს შესაძლოა განპირობებულ იყოს ბერძენ დამკვირვებელთა უშუალოდ ამ კუთხით მიმართული ინტერესით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ბერძნულენოვანი ტექსტი: ჰეროდოტეს „ისტორია" 1. 123 და სტრაბონის „გეოგრაფია" 15.3.13-15.

ჰეროდოტე აღწერს საერო ხასიათის მსხვერპლშეწირვას, ინიცირე-

ბულსა და აღსრულებულს რიგითი სპარსელის მიერ თვისი ნება-სურვილით, რათა თაყვანი სცეს მისთვის სასურველ ღმერთს. ამ რიტუალს ესწრება ქურუმი (მოგვი), რომლის როლი იფარგლება მხოლოდ ღმერთებისადმი შესალოცის მღერით. ჰეროდოტეს მიერ აღწერილი მსხვერპლშეწირვა მეტად ფრაგმენტულია, რის გამოც მისი საფუძვლიანი გაანალიზება შეუძლებელი ხდება. საწინააღმდეგო ითქმის სტრაბონის აღწერილობაზე, რომელიც იმდენად დეტალურია და საფუძვლიანი, რომ ის უმთავრეს წყაროდ მიიჩნევა ზოროასტრულ რიტუალთა ისტორიის შესასწავლად.

პონტოს ელინისტურ ქალაქ ამასეაში დაბადებული სტრაბონი, რომელმაც განათლება ნისაში მიიღო, მრავალ ქვეყანაში მოგზაურობდა, სომხეთიდან დასავლეთამდე და პონტოდან ეთიოპიამდე. საკუთრივ სპარსეთში მას არ უმოგზაურია, მაგრამ მას ჰქონდა, ასე ვთქვათ, „შინაურული" ცოდნა ირანული კულტურისა დიასპორის მეშვეობით – ცოდნა ბერძნული, სომხური და ირანული კულტურების ნაზავისა, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე დომინირებდა აღმოსავლეთ ანატოლიაში. იგი არის ერთ-ერთი იმ რამდენიმე ბერძენ ავტორთაგან, ვინც გადმოგვცა ინფორმაცია ზოროასტრიზმზე, როგორც თავისი დროის კაპადოკიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის დიასპორულ თემებში ცოცხლად არსებულ სარწმუნოებაზე. ზოროასტრული რიტუალის აღწერილობაში [Strabo. 1930: 15.3.13-15; Iong A. 2002: 133], სადაც ის იშვიათად ახსენებს სპარსელთა სარწმუნოებას[7], სტრაბონი მოგვითხრობს:

13. [.....] „და ისინი ასრულებენ მსხვერპლშეწირვას მიძღვნითი ლოცვების წარმოთქმის შემდგომ წმინდა ადგილას, სადაც გამოჰყავთ გვირგვინმოსილი მსხვერპლი. და როდესაც მოგვი, რომელიც ცერემონიას მართავს, ნაწილ-ნაწილ დაჭრის ხორცს, ის მორწმუნეებს მიაქვთ ისე, რომ არანაირ ნაწილს არ ტოვებენ ღმერთებისათვის. რადგან, მათივე თქმით, ღმერთებს სჭირდებათ ოდენ სული მსხვერპლისა და მეტი არაფერი. და კიდევ, ზოგიერთის მიხედვით, ისინი დებენ ჯორჯალის პატარა ნაჭერს ცეცხლზე[8].

14. ისინი მსხვერპლს სწირავენ ცეცხლს და წყალს სხვადასხვაგვარად. ცეცხლის მიმართ მსხვერპლშეწირვას ასრულებენ შემდეგნაირად: დებენ მასზე მშრალ უქერქო შეშას, რომელზეც ათავსებენ ქონის რბილ ნაჭერს; შემდგომ, მოასხურებენ ზეთს და უკიდებენ ცეცხლს ქვემოდან, ოღონდ არა სულის შებერვით, არამედ საგრილებლის დაქნევით; ისინი კლავენ კიდეც მათ, ვინც სულს შეუბერავს ან ლეშს თუ რაიმე უწმინდურს დადებს ცეცხლზე. წყალს ასე სწირავენ მსხვერპლს: მიდიან ტბასთან, მდინარესთან ან წყაროსთან, თხრიან ორმოს, რომლის თავთან სწირავენ მსხვერპლს, უფრთხიან რა იმას, რომ ახლომახლო წყალი არ დაბინძურდეს სისხლით, რადგან ამით ისინი წაბილწავენ მას. შემდგომ აწყობენ ხორცის ნაჭრებს მირტის ან დაფნის რტოზე, მოგვი ეხება მას

[7] როგორც ვნახავთ, სტრაბონი მსხვერპლშეწირვის აღწერილობებისას არ მოიხმობს სიტყვას „სპარსელები". ნაცვლად ამისა, ის თითქმის ყოველთვის იყენებს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს.

[8] ცეცხლზე სხეულის ანატომიური ნაწილის - ჯორჯალის დადება ირანული რიტუალებიდან *(vapāhuti)* მომდინარეა, რომლის კვალი ირანულ ტექსტებშიც თვალსაჩინოა [Iong A.1997: 360; Boyce M. 1966: 108].

წვრილი ჯოხებით და იწყებს გალობას, რომლის დროსაც დააკმევს შესაწირ ხეთს რძესა და თაფლთან ერთად არა ცეცხლზე ან წყალზე, არამედ მიწაზე. და ისინი შეულოცავენ დიდხანს, ხელთ კი უპყრიაო კედრის წვრილი წკნელების კონა.

15. მაგრამ კაპადოკიაში კი, სადაც მოგვთა ტომი დიდია, მათ ასევე უწოდებენ ცეცხლის ამანთებლებს, და იქ არის მრავალი ტაძარი სპარსთა ღმერთებისა – ისინი არ სწირავენ მსხვერპლს დანის გამოყენებით, არამედ ურტყამენ (ცხოველს მოკვდინებამდე) ხის ჯოხებით ისე, როგორც ხელკეტებით" [....][9].

როგორც ვხედავთ, სტრაბონის ეს ცნობა მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს სპარსელებში მსხვერპლშეწირვის რიტუალის ხასიათის შესაცნობად და ასევე, ირანული ტექსტების დოკუმენტაციის ფრაგმენტული ნაწილების შესავსებად.

გარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამონაკლისისა, ცხოველთა უმეტესობა შეიძლებოდა მსხვერპლად შეეწირათ. ყველაზე მნიშვნელოვანი გამონაკლისია ის ცხოველები, რომლებიც მიიჩნეოდნენ ბოროტი სულის (ე.წ. *xsrafstras*) მიერ შექმნილად და ასევე – გარკვეული სახეობის ცხოველები, რომლებიც განსაკუთრებულ სიწმინდის მქონედ ითვლებოდნენ მათი დიდი სარგებლობისა და გამოყენების გამო ბოროტებასთან ბრძოლაში: ყვინჩილა, ძაღლი, თახვი და ზღარბი, მაგალითად. ბოროტი ცხოველები განცალკევებით დგანან ცხოველთა სამყაროში, როგორც ბოროტი ძალის მიერ ქმნილნი იმისათვის, რომ ავნონ კეთილ ქმნილებას.

თეორიულად, ყველა დანარჩენი ცხოველი შეიძლებოდა მსხვერპლად შეწირულიყო, გარდა იმათისა, რომლებიც საკვებად უვარგისად მიიჩნეოდა. ზოგ ტექსტში, სამსხვერპლოდ ვარგისი მოიცავს მხოლოდ შინაურ ცხოველებსა და ასევე, ყველა სახეობის თევზსა და ფრინველს [Iong A. 2002: 134-135].

ირანელთა შორის მსხვერპლშეწირვის ჩვეულებაზე ცნობებს ვაწყდებით ავესტაში. იაშტებში, კერძოდ, აბან-იაშტსა და ტირ-იაშტში აღწერილია მსხვერპლშეწირვა ღვთაებრივ არსებათადმი ცხენის, ხარისა და ცხვრის სახით. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია არსებობდა ძველ ირანელ ხალხში და აქემენიანები მისი მიმდევარნი დარჩნენ. როგორც ზოროასტრიზმის ცნობილი მკვლევარი მ. დალა აღნიშნავს, ხორცი მთავარი კომპონენტი იყო ირანელთა მსხვერპლშეწირვითი რიტუალებისა და დღესასწაულებისას. სამსხვერპლო ცხოველთა შორის ის მოიხსენიებს ცხენებს, აქლემებს, რქოსან პირუტყვს, სახედრებს, ირმებს, ცხვარსა და ფრინველებს. ცხოველთა დაკვლისას მსხვერპლშეწირვის ლოცვები აღევლინებოდა, იკურთხებოდა თითოეული ნაჭერი, რომელიც ეწირებოდა ცალკეულ ღვთაებებს. ჰეროდოტეს ცნობით, ქსერქსემ შეწირა ათასი რქოსანი პირუტყვი ილიუმიელ ათენას[10] ჰელესპონტში [Dhalla M. 1938: 255-256; Iong A. 1997: 361], კიროს მეფემ კი ხარები დაუკლა მსხვერპლად

[9] გარდა ამონარიდისა ჰეროდოტეს „ისტორიიდან", ყველა უცხოენოვანი წყაროს თარგმანი ინგლისური ენიდან შესრულებულია წინამდებარე სტატიის ავტორის მიერ.
[10] ვისშიც, მ.დალას აზრით, ჰეროდოტე უეჭველად ანაჰიტას გულისხმობს [Dhalla M. 1938: 133].

ზევსს, ხოლო ცხენები ცეცხლს მისცა დასაწვავად მზისადმი თაყვანისცემის ნიშნად [Ксенофонт. 1975: 8.3.24][11].

მ. დალასეულ ჩამონათვალში ცხოველთა შორის ირმებიცაა მოხსენიებული, რომელთა ნაშთები გამოვლენილია როგორც დედოფლის მინდვრის, ასევე ღართისკარის სატაძრო კომპლექსში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის საკურთხევლის ცენტრში შეიმჩნევა ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი. იქვე აღმოჩნდა ნაცრის საკმაოდ სქელი ფენა [ნარიმანაშვილი გ., ხიმშიაშვილი კ. 1993: 104]. ირმის რქა იდო საკურთხევლის კიდეზე [ხიმშიაშვილი კ. 2001: 12][12].

ავესტის იაშტებში, ცალკეულ ღვთაებათადმი მიძღვნილ ჰიმნებში, სადაც ვედრება და ხოტბა-დიდებაა აღვლენილი ღმერთებისადმი, ასევე აღწერილია იმ ღვთაებათა სახელზე შესრულებული მსხვერპლშეწირვანი, რომელთაც ეძღვნება ჰიმნი. ამის ტიპური ნიმუშია ნაყოფიერების ღვთაება ანაჰიტასადმი მიძღვნილი ჰიმნი (იაშტი, 5. 45-47):

„მამაცმა, ძლიერმა ქავი უსანმა შეწირა მას (ანაჰიტას) ერეზიფიას მთაზე ასი ულაყი, ათასი ძროხა და ათი ათასი ცხვარი. შემდგომ მან ჰკითხა მას: „ყოვლად ძლიერო არდვი სურა ანაჰიტა, მომმადლე მე ქვეყანათა, *daēva*-თა და კაცთა მეუფება ზედა, გრძნეულთა და ჯადოქართა, წვრილ-მეფეთა, *kavi*-ს[13] და *karapan*-თა[14] ზედა. არდვი სურა ანაჰიტამ მოჰმადლა ეს წყალობა მას – ვინც უკმევდა, თაყვანს სცემდა და მსხვერპლს სწირავდა მას (ანაჰიტას – მ.გ.)" [Iong A. 2002: 143].

ცხოველის შერჩევისა და გასინჯვის შემდგომ ქურუმი თხრიდა ორმოს, რომლის თავზეც უნდა დაეკლათ მსხვერპლი და აქუჩებდა ბალახების გროვას, რომელზეც უნდა განეთავსებინათ ხორცის ნაჭრები. სტრაბონთან ორივე ეს მომენტი არის ნახსენები. ბალახი ფიგურირებს მასზე ბევრად ადრეულ, ჰეროდოტესეულ „ისტორიაში" (I. 132): „ზემოთხსენებული ღმერთების მიმართ სპარსელებს შემდეგნაირი მსხვერ-

[11] ა. იონგი ქსენოფონტის ამ ცნობას მზისადმი შეწირული ცხენების დაწვის შესახებ ბერძნულ რიტუალთან აღრევად მიიჩნევს, რამდენადაც ის უარყოფს ცხოველთა დაწვის ტრადიციის არსებობას ირანულ მსხვერპლშეწირვის რიტუალში [Iong A. 1997:361].

[12] კვლევის ამ ეტაპზე გვიძნელდება დედოფლის მინდვრისა და ღართისკარის სატაძრო კომპლექსებში გამოვლენილი, მსხვერპლად შეწირული ირმების ასოცირება კონკრეტულ ღვთაებასთან, რაც სამომავლო კვლევის საქმეა, ისევე როგორც ჩვენს ტორევტიკის ნიმუშებში ტრადიციულად მითრაიზმთან დაკავშირებული, ბიმონის წინაშე მდგომი ცხენის რაობა ითხოვს სიღრმისეულ შესწავლას. საზოგადოდ, არქეოლოგიური და წერილობითი მონაცემების შეჯერების მცდელობა სიძნელეების წინაშე აყენებს მკვლევარს, რასაც უმეტესწილად განაპირობებს ცივილიზაციათა აკულტურაციის უწყვეტი და რთული პროცესი და რაც ხშირად მოულოდნელი (თუმცა ზოგჯერ დასაბუთებული) დასკვნების საფუძველი ხდება. ამ „მოულოდნელობაზე" თავად მიუთითებს გერმანელი მკვლევარი გერნოტ ვინდფური დასკვნით ნაწილში თავისი ნაშრომისა, რომელიც ციმბირში, დაბა ფილიპოვკასთან არსებულ სარმატულ ყორდანში (ძვ.წ. V-IVსაუკუნეები) აღმოჩენილი მასალის გაანალიზებას ეძღვნება. ესაა ოცდაექვსი ირმის ხის მოოქრული და მოვერცხლილი ქანდაკება, რომლებსაც მკვლევარი მთლიან არქეოლოგიურ კონტექსტში მითრაისტულ კოსმოგონიასთან დაკავშირებულ, ზოროასტრული კალენდრის ამსახველ ძეგლებად მიიჩნევს [Windfuhr G. 2002: 78-79]. ელინისტურ ხანაში ანაჰიტა-არტემიდას კორელატობის მიუხედავად [Gvelesiani M. 2009: 1-24], რაც საფუძველს მოგვცემდა გვეფიქრა ამ უკანასკნელთან ირმების კავშირზე, რაიმე მოსაზრების გამოთქმისაგან მაინც თავს ვიკავებთ კულტთა და მათთან დაკავშირებულ ნიშან-სიმბოლოთა იმ უსაზღვროდ ინვარიანტული ხასიათის გამო, რომლის დასტურადაც გ. ვინდფურის აღნიშნული გამოკვლევაც წარმოგვიდგება.

[13] *kavi* – სანსკრიტული სახელი, რომელიც აღნიშნავს მოაზროვნე, გამგებიან, ბრძენ, წინამძღოლ ადამიანს; წინასწარმეტყველს, მომღერალს, ბარდს, პოეტს.

[14] *karapan* – ამ ტერმინით აღნიშნავენ ქურუმთა იმ კლასის წარმომადგენლებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ზარათუშთრას რელიგიას

პლშეწირვა აქვთ დაწესებული: მსხვერპლშეწირვას რომ აპირებენ, არც საკურთხევლებს აკეთებენ და არც ცეცხლს ანთებენ. არ ახდენენ დანთხევას. არც ავლოსზე უკრავენ, არც გვირგვინებს ხმარობენ და არც ქერის მარცვალს. ღმერთთა შორის ვინმეს მიმართ თუ უნდათ მსხვერპლის შეწირვა, თავს ტიარით იმკობენ, უფრო კი მირტით და ისე გაიყვანენ წმინდა ადგილას საქონელს და მიმართავენ ღმერთს. მსხვერპლის შემწირველმა რომ პირადად თავისი თავისათვის ილოცოს, არ შეიძლება. იგი ლოცულობს ყველა სპარსელისათვის, რომ კარგად იყვნენ (ყველა სპარსელში ხომ თვითონაც იგულისხმება) და მეფისათვის, ხოლო შემდეგ ასო-ასო დაჭრის სამსხვერპლო ცხოველს, ხარშავს ხორცს, დააფენს ბალახს, რაც შეიძლება ახალს, ჩვეულებრივ სამყურას, და ამაზე დაალაგებს მთელ ხორცს. ამას რომ გააკეთებს, იქვე მდგომი მოგვი მდერის ღმერთების წარმოშობის შესახებ, რადგან ისინი ამბობენ, რომ ასეთია მათში ლოცვა. უმოგვებოდ არა სჩვევიათ მათ მსხვერპლშეწირვა. ცოტა ხანი რომ გავა, მსხვერპლშეწირველს მიაქვს თან ხორცი და იხმარს ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია" [ჰეროდოტე. 1975: 86. ამ ამონარიდის შესახებ იხ. ქვემოთ].

ამავე ხასიათის ცნობებს ვაწყდებით *Nērangestān*-ში, სადაც ცხვრის დაკვლასა და მსხვერპლად შეწირვაზეა დარიგება: „დადე ცეცხლზე მკერდის ნაჭერი,გათხარე ორმო და დადე ბალიში[15] რაიმეს წარმოუთქმელად. თუ ორმო არ გაითხრება, ბალიში დაზიანდება" [Iong A. 2002: 137]. ზოროასტრულ წყაროებში ეს ერთადერთი პასაჟია, სადაც დასტურდება მსხვერპლშეწირვისთვის ორმოს ამოთხრის წესი და რასაც ახლავს ახსნა – დაიცვას წმინდა ადგილი სისხლით წაბილწვისაგან, რის გამოძახილსაც სტრაბონის ზემოთ მოხმობილ ტექსტში ვაწყდებით წყალთან მიმართებით. ორმო ითხრებოდა ცხოველთა საკვებად უვარგისი ნაწილებისა და სისხლის შესაგროვებლად. რამდენადაც მიწა, წყალი და ცეცხლი ყველა წმინდაა და მათი წაბილწვა, ასევე ადამიანის მოკვეცილი თმის, ფრჩხილებისა და ეკსკრემენტების მიწაზე (ბალახზე) მოსროლა, წყალში გადაყრა ან ცეცხლზე დაწვა იკრძალებოდა, ორმო ასრულებდა ამ ფუნქციას; ის რომ არა, წაიბილწებოდა („დაზიანდებოდა") *Nērangestān*-ში ა. იონგისა და სხვათა მიერ "cushion``-ის („ბალიში") შესატყვისობად ხსენებული სპარსული წყაროსეული *bāliš* - ფონეტიკურად და შინაარსობრივადაც იდენტური ქართული „ბალიში"-სა, რაც ლინგვისტურ პარალელებს ამდიდრებს კიდევ ერთი ახალი სიტყვით და რაც, შესაძლოა, ქართულ-ირანული მსხვერპლშეწირვითი რიტუალების ანალოგიზმის მაუწყებელი იყოს[16].

---

[15] ინდურ რიტუალთა პარალელის მოხმობით, „ბალიშში" მკვლევარნი გულისხმობენ ბალახის გროვას, გამოყენებულს ცხოველთა მსხვერპლშეწირვის რიტუალისას. ჰეროდოტეს სიტყვები – „დააფენს ბალახს" სწორედ ამგვარ „ბალიშს" გულისხმობს [Iong A. 1997: 360; Iong A. 2002: 136].

[16] ინდური წარმოშობის მქონე *barhis* ავესტაში დამოწმებულია როგორც *bareziš* (>სპარსული *bāliš)*, რაც უკავშირდება ავესტურ *baresman*-ს, იგივე *barsom* – ესაა წკნელების კონა, რომელიც მოგვებს რიტუალის შესრულებისას უპყრიათ ხელთ [Flattery D., Schwartz M. 1989: 83].

ფრიად საგულისხმოა, რომ არა მარტო ქართული "ბალიში" არის წარმომდგარი სპარსული ენიდან, არამედ რელიგიურ ცნებათა აღმნიშვნელი მთელი რიგი სიტყვებისა: წმიდა, მართალი, ნეტარი, ზორვა, ზვარაკი, ცოდვილი, ცრუ, ჯოჯოხეთი, ეშმა, ეშმაკი, ბარძიმი, ფეშხუმი, კერპი, წარმართი, ტაძარი, ბაგინი და სხვ. [ანდრონიკაშვილი მ. 1966: 34].

ცხოველი ცეცხლის პირისპირ მზადდებოდა დასაკლავად. მას უკრავდნენ კანჭებს, წარმოთქვამდნენ ლოცვას, აღვლენილს ვოჰუ-მანას - საქონლის მფარველი ღვთაებისადმი, პირუტყვს ხის ძელით აწყვეტყდნენ თავს ან აბრუებდნენ მისივე რტყმევით, რის შემდგომაც ყელში დანის გაყრით კლავდნენ. ეს ქმედება ყველაზე უკეთ ასახულია პართული (შუა სპარსული) ხანის ერთ პატარა პოეტურ ტექსტში, რომელსაც ჰქვია *Draxt ī Aśuīg* (14-17), სადაც ბაბილონელ ხესა და სამსხვერპლო თხას შორის წარმოქმნილი კამათისას ხე ამგვარად მიმართავს თხას:

„ისინი ამზადებენ ჩემგან საბელს, რომელიც გიკრავს შენ კანჭებს,
ისინი ამზადებენ ჩემგან ხელკეტს, რომელიც გაწყვეტს შენ კისერს,
ისინი ამზადებენ ჩემგან პალოს, რითაც პირდაღმა გკიდებენ შენ,
მე ვარ საწვავი ცეცხლთათვის, რაშიც საშინლად იწვები შენ" [Iong A. 2002: 138].

ამ სიტყვების თითქოსდა ცოცხალი ილუსტრაციაა ოქსფორდის ეშმოლის მუზეუმში დაცული აქემენიანთა ხანის საბეჭდავი (სურ. 1). მასზე გამოსახულია ცეცხლის საკურთხეველი,რომლის რქებშუა,თავით ქვემოთკენ მიმართული მოელი ტანით, წარმოდგენილია ტახის ფიგურა. ცხოველის ცეცხლზე დაწვის რიტუალს, რაც მკვლევართათვის ყოველგვარ ეჭვგარეშე დგას [Razmjou Sh. 2004: 106; Moorey P. 1976: 221, Fig.3b], ასრულებს ორი მოგვი, რომელთაგან მარცხენას ხელთ ტრადიციულად ბარსომი უპყრია. პ. მორეი ამ უნიკალური კომპოზიციის მქონე საბეჭდავს განიხილავს აქემენიდური სახვითი ხელოვნების იმ იშვიათ ძეგლთა შორის, რომლებიც ცხოველთა მსხვერპლშეწირვის რიტუალის არსებობას მოწმობს [Moorey P. 1976: 221]. სწორედ ამ ნიშნით, ამ ძეგლმა არაერთი მკვლევრის ყურადღება მიიპყრო და სხვა, ქვემოთ მოხმობილ ნიმუშებთან ერთად, წარმოგვიდგა ამ ფაქტის ნივთიერ მტკიცებულებად.

ცხოველთა მსხვერპლშეწირვასთან მიმართებით, ალბათ, მაინც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სცენა, რომელიც წარმოდგენილია დასავლეთ მცირე აზიაში მდებარე, ფრიგიის ქალაქ დასკელეიონის[17] (ქ. ერგელი) ძვ.წ. V საუკუნის სამარხზე. ბარელიეფური კომპოზიცია წარმოგვიდგენს მოგვებს ბარსომით ხელში წმინდა ადგილას რიტუალური ცერემონიის შესრულებისას [Razmjou Sh. 2004: 110-111, Fig. 1; Moorey P. 1976: 221]. მოგვთა ორი ფიგურის წინ გამოსახულია სამსხვერპლო ხარისა და ბატკნის თავები, მდებარე ჰორიზონტალური გრაფიკული ხაზებით წარმოდგენილ ფიჩხის კონაზე (სურ. 2). სწორედ ამ მომენტის გამო, აღნიშნულ ცხოველთა მსხვერპლად შეწირვას **დაწვის სახით** ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე აყენებს პ. მორეი [Moorey P. 1976: 221]. ამ გამოსახულებას ასევე მოგვთა მიერ ცხოველთა მსხვერპლშეწირვის სცენად მიიჩნევენ მ. დანდამაევი და ვ. ლუკონინი, რომლებიც თვლიან, რომ დარიოს I-ის დროინდელი ეს ძეგლი ბერძენი ოსტატების ნახელავი უნდა იყოს [Dandamaev M., Lukonin V. 2004: 299]. თუ ა. იონგის აზრი ირანულ ტრადიციაში მსხვერპლშეწირვისას ცხოველთა დაწვის

[17] ქსენოფონტის ცნობით, დასკელეიონი იყო ჰელესპონტისა და ფრიგიის სატრაპის-ფარნაბაზუსის რეზიდენცია: [ http://www.perseus.tufts.edu/ (The Princeton Encyclopedia of Classical Sites)].

მიუღებლობაზე სწორია, მაშინ, სავარაუდოდ, დასკელეიონის კომპოზიცია ბერძნული რიტუალური წეს-ჩვეულების ირანულზე ზეგავლენის ასახვად უნდა ჩაითვალოს. ასეა თუ ისე, ჩვენთვის არსებითია ის, რომ გვაქვს ნივთიერი მტკიცებულება ამგვარი სახის მსხვერპლშეწირვისა აქემენიანთა იმპერიის პერიფერიულ რეგიონში.

ამ მხრივ წინააქემენური ხანაც არ არის გამონაკლისი: ელამურ რელიეფებზე კულ-ე ფარადან წარმოდგენილია ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის სცენა ელამელი ქურუმის მონაწილეობით (სურ. 3), რაც გვიდასტურებს ამ ტრადიციის არსებობას ელამშიც [Amiet P. 1966: 558, Fig. 425; Razmjou Sh. 2004: 106].

შავი ქვის ცილინდრულ საბეჭდავზე, რომელიც პერსეპოლისის ე.წ. სატახტო დარბაზის პორტიკის ნანგრევებში აღმოჩნდა, გამოსახულია მსახურებით თანხლებული ქურუმი, რომელსაც მარჯვენა ხელით იქვე გაწოლილი ვერძის რქა უპყრია, მარცხენით კი ხმალი უჭირავს. ვერძის ქვეშ მკვდარი ცხოველია, იქვეა მთვარის გამოსახულებაც. ე. შმიდტმა ეს სცენა ცხოველთა მსხვერპლშეწირვის გამოსახულებად მიიჩნია [Schmidt. E. 1957: Fig.15: PT 5 36]. პ. მორეის შენიშვნითაც, აქაც ყოველგვარ ეჭვგარეშეა ცხოველთა დაწვითი მსხვერპლშეწირვის ფაქტი [Moorey P. 1976:221].

მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, ერნესტ ჰერცფელდის მიერ პერსეპოლისში წარმოებული გათხრების შედეგად გამოვლინდა ზემოთ აღნიშნული თიხის ფირფიტები, რომლებიც როგორც ადმინისტრაციული, ასევე რელიგიური (რიტუალური მსხვერპლშეწირვა) შინაარსის მქონე ტექსტებს მოიცავს. მათ მიხედვით ირკვევა, რომ სურსათ-სანოვაგის განაწილება ხდებოდა *Lan*-ის სახელით ცნობილი ცერემონიისათვის, რომელიც *la-an*-ად არის ხსენებული ელამურ ტექსტებში. აქემენურ წყაროებში ამ სახელის ზუსტი შესატყვისობა მთლად ნათელი არ არის. მკვლევართა აზრით, ელამური წარმოშობის ეს სიტყვა ნიშნავს „რაიმეს მსხვერპლად შეწირვას წმინდა არსისადმი" (ღმერთისადმი, - მ.გ.). [Razmjou Sh. 2004:104]. ეროგან აღწერილია *Lan*-ის შესრულება მეოერომეტე *lankul*-ზე, რაც, შესაძლოა, იყოს ადგილი ამ რიტუალური – საკვების შეწირვის ცერემონიის შესასრულებლად. ვარაუდობენ, რომ ახალსპარსული *langar* („ღუზა") შეიძლება უკავშირდებოდეს *lankul*-ს. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი სახით იყოს მოღწეული ჩვენამდე. არქაული მნიშვნელობა *Langar*-ისა არის სუფიზმის მიმდევართა მონასტერი ან სარიტუალო ადგილი, სადაც სურსათი ნაწილდებოდა ღარიბთა შორის [Razmjou Sh. 2004:104][18]. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სულხან-საბასთან არ მოიხსენიება „ლანგარი" (ბრტყელი ფორმის ჭურჭელი), სამაგიეროდ მოცემულია განმარტება სიტყვისა „ლანკანი": „ესე არს ჭურჭელი ტაბლათა: თეფში, ფეშხუმი, ბარქაში, ლაკანი, ლანკანაკი, ფიალი, ტაშტი და მისთანანი... ლანკანი – უდიდესთა და ლანკანაკი – უმცირესთა" [ორბელიანი ს. 1966: 403].

[18] ირანელმა მკვლევარმა ჰ. ხაფიპურმა მიგვითითა, რომ ეს სიტყვა სპარსულ ენაში გარდა ღუზისა, აღნიშნავს ცნობილ პირთა სამარხის ირგვლივ აღმართულ კედელს და ასევე მოწყალების სახლსაც, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

ის ფაქტი, რომ, ზოგადად, ტაბლის ჭურჭლის – საჭმელთან დაკავშირებული ნივთების[19] აღმნიშვნელი „ლანკანი" ფუძე *lan*-ის მომცველია, საცნაურყოფს ამ სიტყვის სპარსული ძირებიდან წარმომავლობას და კვლავ და კვლავ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად გვესახება ჩვენში მსხვერპლშეწირვის ტრადიციის ირანულ სამყაროსთან დასაკავშირებლად.

მკვლევართა აზრით, ჰეროდოტე ვერ იქნებოდა ზემოთ მოხმობილი მსხვერპლშეწირვის ცერემონიის (I. 132) მომსწრე თავად, თუმცა, შესაძლოა,ეს ინფორმაცია მას ჰქონოდა მცირე აზიაში მოსახლე ირანელებისაგან [Razmjou Sh. 2004: 110]. საყოველთაო აზრით, საზოგადოდ, მისეული აღწერილობანი აქ და სხვა შემთხვევაშიც არ არის დაზღვეული უზუსტობებისაგან. მაგალითად, ჰეროდოტეს ცნობა ირანში საკულტო ტაძრების არარსებობის თაობაზე [„სპარსელებს ქანდაკებების, ტაძრებისა და საკურთხევლების აგება წესად არა აქვთ" (ჰეროდოტე. 1975: 86. 130)] არ შეესაბამება სინამდვილეს, რასაც თუნდაც ნუშ-ი ჯანის VIII-VII საუკუნეების მიდიური სატაძრო ნაგებობანი მოწმობს [გველესიანი მ. 2003:. 87-88]. ჰეროდოტეს აღნიშნული ცნობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ვ. ლუკონინის ვარაუდით, „ჰეროდოტე ამ შემთხვევაში გულისხმობს არა ირანულ, არამედ ელინური ტიპის ტაძრებს, კერპებსა და საკურთხევლებს, რითაც „ისტორიის მამა" ერთმანეთს უპირისპირებს მსხვერპლშეწირვის ელინურსა და სპარსულ წეს-ჩვეულებებს" [Луконин В. 1977: 97]. ასე რომ, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მისეული ცნობა ირანში მსხვერპლშეწირვისას „ცეცხლის არდანთებაზე", ისევე როგორც ლიბაციის შეუსრულებობაზე სიმართლეს არ შეესაბამება [Iong A. 1997: 353].

დასკელეიონის რელიეფზე წარმოდგენილი სცენის შედარება ჰეროდოტეს აღწერილობასთან გვიდასტურებს მსხვერპლშეწირვის აღსრულებას მოგვთა მიერ. რიტუალური შინაარსის მქონე თიხის ფირფიტების შესწავლა მკვლევართ აფიქრებინებს, რომ აქემენიანები მიმდევარნი იყვნენ ძველი ირანული წარმოშობის მქონე რელიგიისა, რომელშიც აისახა მიდიელ მოგვთა და მათი რწმენა-წარმოდგენების გავლენა [Razmjou Sh. 2004: 111]. სპარსული წყაროების შესწავლა ნათელყოფს *Lan*-ის სახელით ცნობილი ცერემონიის ყველაზე მეტ პოპულარობას. სავარაუდოა, რომ ამ სახელისა და ცერემონიის ხასიათი დროთა მანძილზე შეიცვალა და მას სხვაგვარი ფორმა მიეცა. ფირფიტების მიხედვით, *Lan*-ის რიტუალის უმეტესობა სრულდებოდა პერსეპოლისთან ახლოს მდებარე ქალაქ მათეზში – ამ ორ ქალაქს არაერთი წყარო მოიხსენიებს ერთად, რაც მათს მჭიდრო ურთიერთკავშირს მოწმობს. ჰიპოთეტურად შეიძლება დავუშვათ, რომ ასეთი ფართოდ ცნობილი და გავლენის მქონე ცერემონია ტარდებოდა არა თავად პერსეპოლისში, არამედ მასთან ახლოს. სამწუხაროდ, არ არის დოკუმენტაცია *Lan*-ის პერსეპოლისში შესრულების შესახებ. თუ ის იქ სრულდებოდა, მაშინ შესატყვისი გამოსახულებების იქ არსებობაც ივარაუდება. ამის ერთადერთ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს ე.წ. მსახ-

[19] საკვების მხსვერპლად შეწირვის რიტუალს უკავშირდებენ *Lan*-ის სახელით ცნობილ ცერემონიალს სხვა მკვლევრებიც [Hinz W., Koch, H. 1987: 803].

ურთა რელიეფები, რომლებსაც „მოხარკეთა” ან „ძღვენის მიმტანთა” რელიეფებადაც მოიხსენიებენ. მათი საუკეთესო ნიმუშებია პერსეპოლისის ტაჯარასა და ჰადიშის სასახლეების გამოსახულებანი (სურ. 4), სასახლე G,H და ტრიპილონის კარიბჭე. ამ რელიეფებზე წარმოდგენილ ფიგურებს მიაქვთ ტიკები, თავდახურული ჭურჭელი და, რაც მთავარია, ცოცხალი თხები და ბატკნები სასახლისაკენ, რაც, შ. რეზმჯოუსა და პ. მორეის მოსაზრებით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არიან მსახურები, რომლებსაც საკვები უნდა მიჰქონდეთ მეფესთან [Razmjou Sh. 2004: 111; Moorey P. 1976: 221]. ამას გარდა, მასალა, რაც ნაჩვენებია რელიეფებზე გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე ის მეფესა და სამეფო ოჯახს უნდა ესაჭიროებოდეს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცხოველთა დაკვლას, გამოშიგნვასა და შეწვას ადგილი ექნებოდა სასახლის ოფიციალურ ალაგას მეფის წინაშე, რამდენადაც სამზადის ნაგებობის არანაირი კვალი არ აღმოჩენილა პერსეპოლისის სასახლის ტერიტორიაზე. უფრო საფიქრებელია ის, რომ ეს თხები და ბატკნები მიაქვთ სადღაც სხვაგან მსხვერპლშეწირვის სარიტუალო ცერემონიის შესასრულებლად. დიდი ტიკები, როგორც ჩანს, გამიზნულია ლიბაციისათვის განკუთვნილი ღვინის გადასატანად. აღსანიშნავია, რომ პერსეპოლისის საგანძურის სასახლის ჩრდილოეთ ნაწილში და, განსაკუთრებით, №38 დარბაზში მწვანე ქვისაგან დამზადებული მრავალი როდინი, სანაყი ქვა[20] და ჭურჭელი აღმოჩნდა. მათზე იყო არამეული წარწერები რიტუალური ცერემონიის შესრულების შესახებ. ამ საგანთა ნუსხა მოცემულია საგანძურის არქივში. მათზე მოცემული თარიღი და რაოდენობა როდინების, სანაყებისა და ჭურჭლისა მოწმობს, რომ ცერემონია წელიწადში რამდენიმეჯერ სრულდებოდა. მოხმარების შემდეგ ამ საგნებს უკან აბრუნებდნენ საგანძურში და მას ხელმეორედ აღარ გამოიყენებდნენ. ამგვარი ცერემონიის გამოსახულება გვაქვს პერსეპოლისის საბეჭდავზე [Razmjou Sh. 2004: 113, Fig. 5], საიდანაც ჩანს, რომ ის სრულდებოდა საკურთხევლის წინ და როდინი და სანაყი იდგმებოდა იქვე, საკურთხევლის გვერდით მდგომ მაგიდაზე (სურ. 5). ამ ქვის საგნებზე არამეულად შესრულებული წარწერები და თავად ამ საგნების ფუნქცია აფიქრებინებს რ. ბოუმანს, რომ აქ საქმე გვაქვს ჰაომას სითხის მოსამზადებელ რიტუალთან [Bowman R. 1970:6-8].

მასალათა შეჯერების საფუძველზე შ. რეზმჯოუ უპრიანად მიიჩნევს გვეწოდებინა პერსეპოლისის რელიეფებზე წარმოდგენილი ფიგურებისათვის არა „მსახურნი, დამსწრენი, „ძღვენის მიმრომევნი”, ან „საკვების მიმტანნი”, არამედ „რელიგიური მსხვერპლშემწირველნი”, „საკმევლის მიმტანნი” ან „ქურუმნი” და „მოგვები”. მისი აზრით, უეჭვოა, რომ პერსპოლისის ზოგ ადგილას რიტუალური ცერემონია სრულდებოდა და, შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი *Lan*-ის ცერემონიის სახელით იყო ცნობილი. ბუნდოვანია საკითხი, ქრონოლოგიურად რა პერიოდში სრულდებოდა *Lan*-ის ცერემონია და რა პერიოდამდე ჰქონდა მას ადგილი და შემორჩა თუ არა ის მოგვიანებით სხვა სახელით. შესაძლებელია, რომ

[20] როდინი და ფილთაქვა აღმოჩნდა დედოფლის მინდვრის ტაძართან ახლოს, რომელსაც ი. გაგოშიძე გარკვეული სიფრთხილით, თუმცა, როგორც ჩანს, მართებულად, ჰაომას წვენის დასამზადებელ ჭურჭლად მიიჩნევს [Гагошидзе Ю. 1981: 112].

კმევა, რომელიც სასანელი მეფის, შაპურ პირველის (ახ.წ. 241-272წწ.) წარწერაში იხსენიება ქააბა ზარტუშტში (ზოროასტრის ქააბა), იყოს გაგრძელება *Lan*-ის ცერემონიისა: „ჩვენი სულის საოხად დღიურად თითო ბატკანი, ერთი გრივი და 5 ჰაფანის ნახევარ-კვერი და 4 პაში ღვინისა უნდა მიეცეს.... საოხად სულისა მეუფე სასანისა და მეფე ფაფაკისა და მეფე შაპურისა, ფაფაკის ვაჟისა და მეფეთ-მეფე არდაშირისა..."[ Razmjou Sh. 2004: 114].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ არქიტექტურულ ძეგლთა ცეცხლის ტაძრებად ინტერპრეტირებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათში ცხოველთა ნაშთების არსებობა, როგორც კვალი იქვე დადასტურებული ცხოველთა მსხვერპლშეწირვის ზოროასტრული ტრადიციისა.

## ARCHAEOLOGY

**Mariam Gvelesiani**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: mariamtordia@yahoo.com

# On the Problem of Animal Sacrifice in Fire Temples

There is a certain group of pre-Christian architectural structures in Georgia the interpretation of which as fire temples faces difficulties as the burnt bones of animals discovered at the sites suggest the existence of animal sacrifice – a practice to be wholly alien to Zoroastrianism. This evidence has been one of the prominent aspects in debates on the function of the temples both of the local and western scholars, as an argument being raised against such an interpretation. Whereas there had been a broad scholarly consensus on the absence of animal sacrifice in Zoroastrian tradition, in their recent studies A. Iong, Sh. Razmjou and others have meticulously examined this controversial question which marked a distinct stage in the progress of study and as a result put the reliability of this conception into the suspicion.

The article attempts to analyze the problems of animal sacrifice as it was practiced in Iran and through juxtaposition of Georgian textual data with the Iranian evidences exhibiting their connections, to remedy the uncertainties in the interpretation of some pre-Christian structures as fire temples (Tsikhiagora, Dedoplis Mindori, Ghartiskari). Research has shown that apart from the structural similarities between Georgian and Iranian fire temples referred to by specialists, linguistic data containing the terms related to sacrifice: [„ზორვა" – "zorva" ("offering"), „ზვარაკი" – zvaraki" ("victim", "quadruped"/"cow"/"calf")<zōhr, „ბალიში" – "balishi" ("cushion") < bāliš <baresman/barsom< barhis, „ლანგარი" – "langari" ("dish"), „ლანკანი" – "lankani" ("table vessel" < *Lan* ceremony)] strongly suggest its origin

to be traced back to the Iranian tradition of ritual offering, of which animal sacrifice is not an exception. It is beyond the shadow of a doubt that the linguistic parallelism can hardly be considered occasional, and therefore it gives us a clue to connect the rituals practiced in Georgia with the Iranian ones.

Animal sacrifices in Irani Zoroastrian traditions, however, are not very frequent, the comparative rarity of the rite in modern Zoroastrianism should not oppose to the fact that in ancient Zoroastrianism, animal sacrifice was a normal and regular part of religious life. In the Gāthās, which are largely interpreted by specialists, first and foremost, as ritual texts even though with less emphasis being placed on the meaning of ritual in Zoroastrianism itself, there is not a trace of opposition to sacrifices or haoma-cult. This fact, along with other evidences, should be supported by a number of monuments of material culture of the Achaemenid and earlier periods featuring the scenes of animal sacrifice (a cylinder seal from the collection of the Ashmolean Museum, Oxford, Daskeleion tomb relief, the Elamite relief from Kul-e Farah, the reliefs from the palaces at Persepolis, etc.). In addition, the earliest and more successive accounts of animal sacrifice provided by the Greek classical authors (Herodotus, Strabo) likewise suggest the existence of this rite among the Zoroastrians that might shed new light on the problem of interpretation of fire temples.

## ბიბლიოგრაფია


**ანდრონიკაშვილი მ. 1966:** *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან.* თბილისი.

**გაგოშიძე ი. 1977:** წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.* V. გვ. 72-77. თბილისი (რედ. ალ. ჯავახიშვილი).

**გველესიანი მ. 2003:** *არმაზის კერპის კულტურულ-ისტორიული ასპექტები. არმაზის კულტის დეფინიციისათვის.* დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბილისი.

**მახარაძე ზ. 1987:** ციხიაგორა. *ძეგლის მეგობარი* №3 (98). გვ. 5-7. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**ნარიმანაშვილი გ.. ხიმშიაშვილი კ. 1993:** იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი. *ლიტერატურა და ხელოვნება.* № 1. გვ. 102-120. თბილისი (რედ. გ. მაჭავარიანი).

**ორბელიანი ს. 1966:** *ლექსიკონი ქართული. ტ. I.* თბილისი

**საბინინი ს. 1882:** *საქართველოს სამოთხე.* პეტერბურდი.

**ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში** *(ცნობები საქართველოს შესახებ).* **1975:** ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი.

***ქართლის ცხოვრება.* 1955***:* ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩუშვილის მიერ. თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 2000:** *ნეკრესის წარმართული სამლოცველოები.* თბილისი.
**ხიმშიაშვილი კ. 2001:** იბერიის სატაძრო არქიტექტურის შესახებ. *არქიტექტურული მემკვიდრეობა.* ტ. I. გვ. 1-40. თბილისი (რედ. კ. ხიმშიაშვილი, დ. ხოშტარია).
**ხორენაცი მ. 1984:** *სომხეთის ისტორია.* ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაუროო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი.
**ჰეროდოტე. 1975:** *ისტორია I.* თბილისი.
**Вардумян Г. 1991:** *Дохристианские культы армян.* Ереван.
**Гагошидзе Ю. 1981:** Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II-I вв. до н.э. Дедоплис Миндори). *Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье.* сс. 102-115. Москва (Ред. Б.А. Литвинский).
**Коровчинский И. 2007:** *Культы Эллинистической Бактрии (на материалах «храма с уступчатыми нишами» в Ай-Ханум и Храма Окса в Тахти-Сангине).* Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Москва.
**Ксенофонт. 1975:** *Киропедия.* Москва.
**Луконин В. 1977:** *Искусство древнего Ирана.* Москва.
**Amiet P. 1966:** *Elam, Aubois sur-Oise.*
**Bowman R. 1970:** *Aramaic Ritual Texts from Persepolis*. OIC XCI.
**Boyce M. 1975:** *A History of Zoroastrianism.* Handbuch der Orientalistik Series. Leiden.
**Boyce M., Grenet F. 1991:** *A History of Zoroastrianism III: Zoroastrianism under Macedonian and Roman Rule.* Leiden.
**Boyce M. 1979***: Zoroastrians: Their Religious Beliefs and Practices (Library of religious beliefs and practices)*. London.
**Boyce M. 1966:** "Ātaš-zōhr and Āb-zōhr," *JRAS.* No3/4. pp. 100-118. Cambridge University Press.
**Boyce M. 1975:** On the Zoroastrian Fire Temple Cult of Fire**.** *JAOS,* Vol. 95**,** pp. 454-465. American Oriental Society, Berkeley. CA, USA
**Cumont F. 1937:** St. George and Mithra "The Cattle-Thief". *The Journal of Roman Studies* Vol. 27. Part 1. pp. 63-71.
**Dandamaev M., Lukonin V. 2004**: *The Culture and Social Institutions of Ancient Iran.* Cambridge.
**Dhalla M. 1938:** *History of Zoroastrianism.* London, Toronto, Melbourne and Bombay.
**Eliade M. 1987:** *The Encyclopedia of Religion*. New York.
**Flattery D., Schwartz M. 1989:** *Haoma and Harmaline: The Botanical Identity of the Indo-Iranian Sacred Hallucinogen "Soma" and Its Legacy in Religion, Language, and Middle-Eastern Folklore.* University of California Press, Near Eastern Studies. No. 21.
**Gvelesiani M. 2009:** "Pagan Cults of Pre-Cgristian Georgia"] www.nceeer.org/.../ Pagan_Cults_of_Pre-Christian_Georgia.doc .
**Herzfeld E. 1941:** *Iran in the Ancient East.* London-New York.
**Herzfeld E. 1934:** Notes of the Quarter: Recent Discoveries at Persepolis. *JRAS*. pp. 113-140. London (ed. M. Nawabi)

**Hinz W., Koch, H. 1987:** *Elamisches Wörtebuch.* 2 vols. Berlin.
**Iong A. 1997:** *Traditions of the Magi: Zoroastrianism in Greek and Latin Literature*. Leiden, Brill.
**Iong A. 2002:** Animal Sacrifice in Ancient Zoroastrianism. *Sacrifice in Religious Experience***.** pp.127-148. Leiden (Ed. A. I. Baumgarten).
**Lincoln B. 1981:** *Priests Warriors and Cattle: a Study in the Rcology of religions.* Berkeley, London.
**Lommel H. 1930:** *Die Religion Zarathustras.* Tübingen.
**Moorey P. 1976**: Aspects of Worship and Ritual on Achaemenid Seals. *Akten des VII. Internationalen Kongresses für Iranische. Kunst und Archäologie,* AMI Ergänzunsgband 6. pp. 218-28. Berlin.
**Moulton J. 1913:** *Early Zoroastrianism*. London.
**Razmjou Sh. 2004:** The Lan Ceremony and Other Ritual ceremonies in the Achaemenid Period: The Presepolis Fortification Tablets. *Iran,* Vol. 42. pp. 103-117. British Institure of Persian Studies.
**Russell J. 2004:** *Armenian and Iranian Studies.* Harvard.
**Schmidt. E. 1957:** *Persepolis II: Contents of the Treasurury and other Discoveries.* OIC LXIX. Chicago.
**Strabo. 1930:** *Geography, Books 15-16,* Loeb Classical Library No. 24. Translated by Horace Leonard Jones.
**Windfuhr G. 2002:** The Golden Deer of Eurasia. Perspectives on the Steppe Nomads of the Ancient World. *The Metropoliten Museum of Art Symposia***.** pp. 46-243. New York (Ed. J. Farkas, A. Farka and E. Fino).
**Zaehner R. 2002:** *The Dawn and Twilight of Zoroastrianism* . London.
**http://www.perseus.tufts.edu/** (The Princeton Encyclopedia of Classical Sites).

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ცხოველის მსხვერპლად შეწირვა ცეცხლის საკურთხეველზე მოგვთა მიერ. ცილინდრული საბეჭდავი ეშმოლის (ოქსფორდი) მუზეუმიდის კოლექციიდან.
**სურ. 2.** ცხოველთა მსხვერპლად შეწირვა მოგვთა მიერ. დასკილეიონის სამარხის ბარელიეფი. ძვ.წ. V ს.
**სურ. 3. ცხოველთა** მსხვერპლად შეწირვის სცენა ქურუმის მონაწილეობით კულ-ე ფარადან.
**სურ. 4.** მსხვერპლშემწირველნი. პერსეპოლისის ჰადიშის სასახლის დასავლეთი კიბე. ძვ.წ. V ს.
**სურ. 5.** ანაბეჭდი საბეჭდავისა პერსეპოლისიდან.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Magi Sacrificing Animal on Fire Altar. Cylinder seal from the collection of the Ashmolean Museum, Oxford.
**Fig. 2.** Magi Sacrificing Animal. Daskeleyon relief, the 5th century B.C.
**Fig. 3.** Priest Attending Animal Sacrifice. Kull-e Farah relief.
**Fig. 4.** Sacrificers. Western stairway of Hadish palace. Persepolis, the 5th century B.C.
**Fig. 5.** Seal impression from Persepolis



სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 67-81
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 67-81

**არქეოლოგია**

**ვახტანგ ნიკოლაიშვილი*, მედეა შეროზია****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის ქ. 14, 0102, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: vaxtangnikolaishvili@yahoo.com
**საქართველოს ეროვნულ მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველო მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: m.sherozia@yahoo.com

# ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე 1967 აღმოჩენილი საინტერესო სამარხეული კომპლექსი

თანამედროვე ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის მიწის სამუშაოებისას ჩნდება გვიანანტიკური ხანის სამარხები, რომლებიც უმეტესწილად მდიდრული ინვენტარის შემცველია [კალანდაძე ა. 1949: 253-287; ნიკოლაიშვილი ვ. 2006: 11–22]. ერთ-ერთი ასეთი სამარხეული კომპლექსი აღმოჩნდა 1967 წლის 25 სექტემბერს (გამთხრელები ალექსანდრე კალანდაძე და ალექსი ბოხოჩაძე). კრამიტსამარხი საინტერესო არტეფაქტების შემცველია. სამარხში აღმოჩნდა: სამგლოვიარო გვირგვინის ოქროს ფურცლები (24 ც.), ოქროსავე საყურეები და სამაჯურები – წყვილი; კილიტები (70 ც.), ოქროსა (1 ც.) და რკინის (2 ც.) ბეჭდები; იმპერატორების – ვესპასიანესა და ტრაიანეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები (2 ც); ავგუსტუსისა (12 ც.) და გოტარზეს (2 ც.) ვერცხლის მონეტები; ოთხკუთხა მინის ბოთლები (2 ც.); მინისა (2 ც.) და ვერცხლის (1 ც.) სანელსაცხებლები; სხვადასხვა მასალისა (პიროპი, მინა, პასტა) და ფორმის (ცილინდრული, მრგვალი, თოთხმეტწახნაგა) მძივები.

სამარხის აღწერილობა:

კრამიტსამარხი[1] ორფერდასახურავიანია, დამხრობილია O – W ხაზზე. ის ნაგები ყოფილა ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტებით. თავსა და ბოლოში თავბოლოშექცევით ორ-ორი ბრტყელი კრამიტი ჰქონდა ჩადგმული. გრძივი კედლები კი ხუთ-ხუთი ბრტყელი და ასევე ბოლოშექცეული კრამიტისაგან შედგებოდა – კეხი ღარიანი კრამიტით იყო გადახურული. ყველა კრამიტს წითელი საღებავის – წერნაქის კვალი ემჩნეოდა. კურტნის კრამიტის ზომები: სიგრძე – 42 სმ; დმ: შიგნითა – 39 სმ, გარეთა – 43 სმ; ვიწრო თავის დმ: შიგნითა – 31 სმ, გარეთა – 35 სმ; სისქე – 1,2-2,2 სმ. ვიწრო თავთან ახლოს 5 სმ-ის

[1] სამარხი აღმოჩნდა დ. აღმაშენებლის 140-ში, იქ, სადაც 1920 წელს ქვის ორფერდასახურავიანი მდიდრული სამარხი გაიძარცვა. ამ სამარხიდან შემორჩა მხოლოდ ბრინჯაოს მედალიონი ანტინოეს გამოსახულებით, რომელიც ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

სიგანის რელიეფური ზოლი გასდევდა. კრამიტი მორგვზე ამოყვანილი ცილინდრული ფორმის მილის ნახევარი იყო.

კრამიტსამარხი (სახურავის ჩაქცევის შემდეგ) ამოივსო მიწით (სამარხის შიდა ზომები: სიგრძე – 200 სმ, სიგანე – 78 სმ, სიმაღლე – 57 სმ, სიგრძეზე 8 ბრტყელი კრამიტი იყო პირჩაღმა ჩაქცეული. შიგ ორი მიცვალებული თავით W-კენ ესვენა. ერთი ზრდასრულ ინდივიდს ეკუთვნოდა, რომელსაც ხელები მკერდის არეში ეწყო, ესვენა გულაღმა, გაშოტილი, ჩრდილოეთი კედლის ძირში; მეორე – სამხრეთ კედელთან. ისიც გაშოტილი იყო. ერთი ხელი მკერდზე ედო, მეორე – მენჯის არეში.

სამარხეული ინვენტარი მიცვალებულების გარშემო ეწყო.

კრამიტსამარხში აღმოჩნდა:

1. **ბოთლი მინისა** (ინვ. №10625. ტაბ. I-1), მოელი, ოთხკუთხა, მოცისფრო – გამჭვირვალე, ირიზებული. გვერდები ოდნავ შეზნექილი აქვს, მხრები – ამოზიდული, პირი – ბრტყელი, ბორბლისებური (პირის დმ – 5 სმ, სადინარი ხვრელის დმ – 2,2 სმ, ყელის დმ – 2,8 სმ, მხარის ზომა – 6,0X6,5 სმ), ძირი – ბრტყელი, ცენტრში ოდნავ შეზნექილი. ძირზე დამდა – 2 კონცენტრული ზოლი შემოსდევს. კუთხეებში თითო რელიეფური წრე ემჩნევა.

სიმაღლე – 19 სმ, ყელის სიმაღლე – 3,4 სმ, ყურის სიგანე – 3,8 სმ, ოთხკუთხა ძირის ზომა – 6X6 სმ.

2. **ბოთლი მინისა** (ინვ. №10626. ტაბ. I-2), ზემოაღწერილის ანალოგიურია.

სიმაღლე – 19,5 სმ, პირის (სადინარი ხვრელის) დმ – 2,1 სმ, ყელის სიმაღლე – 4,3 სმ, ბაკოს სიმაღლე – 1,7 სმ, ყურის სიმაღლე – 4,0 სმ, ყურის სიგანე – 4,6 სმ; ოთხკუთხა ძირის ზომა – 5,8X5,7 სმ, დამღიანი წრეხაზის დმ – 5,5 (4,5) სმ, მცირე წრის დმ – 1,1 სმ.

3. **სანელსაცხებლე მინისა** (ინვ. №1062. ტაბ. I-4), მომწვანო, სქელი, გამჭვირვალე მინისა, ირიზებული. პირი გადაშლილი აქვს, დაბრტყელებული, ყელი – მაღალი, ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული, ტანი – კონუსისებური, ძირი – ბრტყელი, შესქელებული. ძირზე ემჩნევა წიბო (საბერავი მილის კვალი).

სიმაღლე – 8,5 სმ, ყელის სიმაღლე – 4,7 სმ, ძირის დმ – 5,0 სმ, პირის დმ – 3,4 სმ. სანელსაცხებლე აღმოჩნდა მიცვალებულის ფეხებთან.

4. **სანელსაცხებლე მინისა** (ინვ. №10628), ზემოაღწერილის ანალოგიური.

სიმაღლე – 7,5 სმ, ყელის სიმაღლე – 5 სმ, ძირის დმ – 4,7 სმ, პირის დმ – 2,7 სმ.

5. **სანელსაცხებლე ვერცხლისა** (ინვ. №10629. ტაბ. I-3), პატინირებული. შემორჩენილია ვიწრო ყელისა და შესქელებული პირის ნაწილი.

შემორჩენილი სიმაღლე – 1,6 სმ, პირის დმ – 0,6-0,7 სმ.

სანელსაცხებლე აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის ქვეშ.

ზემოაღწერილი ბოთლების (ინვ. №№10626, 10628) მსგავსი მინის ჭურჭელი გავრცელებულია ანტიკურ სამყაროში. იგი ცნობილია და დასტურდება რომის იმპერიის როგორც მეტროპოლიაში, ასევე პროვინციებში. მათ ძირზე სხვადასხვა ფორმის დამღები აქვს, რაც ამა თუ

იმ სახელოსნოზე უნდა მიუთითებდეს [Spartz E. 1967]. ბოთლები ახ.წ. პირველ საუკუნეებშია გავრცელებული. III საუკუნის შემდეგ ისინი აღარ ჩანს. სპეციალისტები ოთხწახნაგა ბოთლებს მათი წარმომავლობის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფენ: ხმელთაშუაზღვისპირა ჯგუფი (სირია, ეგვიპტე) და დასავლეთ-რომაული ჯგუფი (გალია, რეინის ოლქი და სხვა). პირველი ჯგუფის ბოთლები შედარებით თხელკედლიანია, ღია ცისფერი და მათი ზომა არ აღემატება 20 სმ-ს [საგინაშვილი 2005: 39-45]. ამ ნიშნის მიხედვით, ჩვენი ბოთლები ზემოაღნიშნულ პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. მსგავსი ბოთლებია აღმოჩენილი სამთავროსა და ბაიათხევის სამაროვნებზე. რაც შეეხება სანელსაცხებლებს (ინვ. №№10627, 10628), მსგავსი სანელსაცხებლე აღმოჩენილია იქვე, 1948 წელს აღმოჩენილ ორფერდასახურავიან სამარხში [კალანდაძე ა. 1949].

მსგავსი სანელსაცხებლე აღმოჩნდა ურბნისშიც [საგინაშვილი 1970:78]. ზემოაღნიშნულის ანალოგიური მინის ჭურჭელი დასტურდება დასავლეთ საქართველოში, კლდეეთის სამაროვანზე [ლომთათიძე გ. 957: 23. ტაბ. XX-5]. ეს ჭურჭელი I-II საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებშია აღმოჩენილი.

ვერცხლის სანელსაცხებლის აღმოჩენის ფაქტი, შეიძლება ითქვას, იშვიათია და მას ანალოგი ამ პერიოდის სამარხეულ კომპლექსებში არ მოეძებნება.

**6. ქოირის ფურცლები ოქროსი** (ინვ. №10633. ტაბ. III-2), (24 ც.), ტრაპეციის ფორმის. დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისაგან. სიგრძეზე რადიალურად ამოღარული ზოლები ემჩნევა. 12 ცალი ფურცელი ხუთკბილიანია, 12 კი – ოთხკბილიანი. წონა – 8,97 გრ. ისინი აღმოჩნდა მიცვალებულთა თავის ქალათა გარშემო.

სამგლოვიარო გვირგვინით თავის შემკობა მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს რიტუალი ჯერ კიდევ ეგვიპტიდან და ეგეოსური სამყაროდან მოდის [Картер Г. 1959: 157]. ყველაზე მეტად გავრცელდა კლასიკურ საბერძნეთში, აგრეთვე გვიანელინისტურსა და რომაულ ხანებში. ქართლის (იბერიის) სამეფოში სამგლოვიარო გვირგვინის ფურცლები სამარხეულ კომპლექსებში სწორედ ახ.წ. პირველ საუკუნეებში დასტურდება (მცხეთა, თბილისი, ურბნისი). ყველაზე დიდი რაოდენობით ის აღმოჩენილია ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე – არმაზისხევში, სამთავროში, ბაიათხევში და ქალაქის ფარგლებში [ნიკოლაიშვილი ვ. 2006: 11-22].

**7. კილიტები ოქროსი** (ღილები) (ინვ. №10633; ტაბ. III-2), (7ც.). ისინი ოქროს თხელი ფურცლებისაგან დამზადებული, კონუსურთავიანი ნახევარსფეროებია, რომლებსაც შეზნექილ ნაწილში შიგნიდან ქსოვილზე მისაკერებლად დარჩილული აქვს ყუნწი. დმ – 0,5-0,8 სმ, წონა – 17 გრ.

კილიტები აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

კილიტები თუ ღილები დიდი მცხეთის ტერიტორიაზე თითქმის ყველა მდიდრულ სამარხშია გამოვლენილი (არმაზციხე, არმაზისხევი, სამთავრო). საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი სამკაული ადრეანტიკური ხანიდან გვხვდება. ძირითადად, იგი ქსოვილზე დასაკერებელ სამკაულად გამოიყენებოდა [ჭყონია ა. 1981].

**8. საყურე ოქროსი** (ინვ. №10634. ტაბ. II-1), წყვილი, სამნაწილედი:

ა) ზედა ნაწილი ყურზე დასამაგრებელი S ფორმის ოქროს მავთულია, რომელიც მირჩილულია მრგვალ ოქროს ბუდეზე. ბ) ბუდეში პიროპის თვალია ჩასმული. გ) ბუდეზე ქვემოდან ყუნწის მეშვეობით დამაგრებულია ოქროს სამფა მავთული, რომელიც ცვარას ოთხი მტევნით ბოლოვდება.

საყურის საერთო სიგრძე – 4,1 სმ, ბუდის დმ – 1,3 სმ, წონა – 7,9 სმ.

საყურეები აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის ქალასთან.

ეს საყურეები ფორმითა და დამუშავების ტექნიკით თითქმის იდენტურია არმაზისხევის ერისთავთა (პიტიახშთა) სამაროვნის ქვის სარკოფაგებში (№№6-7) გამოვლენილი ოქროს საყურეებისა, აგრეთვე იქვე, პირველ კრამიტყუთში, დადასტურებული წყვილი ოქროს საყურისა. თუმცა, განსხვავებით ჩვენი საყურისგან, იქ ბუდეში სარდიონის კამეაა ჩასმული [კალანდაძე ა. 1949: 272. ტაბ. IX-55].

**9. ბეჭედი ოქროსი** (ინვ. №10635. ტაბ. IV-2), ოვალისებური მოყვანილობის რკალი მხრებთან გაფართოებულია. რკალში ამოჭრილია ოვალისებური თვალბუდე, რომელშიც პიროპის კონუსისებური თვალი ზის.

დმ – 1,5X1,3 სმ, თვალის ზომა – 0,7X0,5 სმ, წონა – 3,6 გრ.

ბეჭედი აღმოჩნდა №2 მიცვალებულის მარცხენა ხელის მტევანთან, მენჯის არეში.

მსგავსი ბეჭედია აღმოჩენილი III-IV საუკუნეებით დათარიღებული თიხის ფილებითა და კრამიტით ნაგებ №13 სამარხში, სვეტიცხოვლის ეზოში, 2001 წელს [აფაქიძე ა. 2003: 81-110].

**10. ბეჭედი რკინისა** (ინვ. №10643), ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული, მხრებთან გაფართოებული. რკალში ამოჭრილია ოვალისებური თვალბუდე, რომელშიც სარდიონის გემა-ინტალიო ზის.

თვალის ზომა – 1,4X1,0 სმ.

ბეჭედი აღმოჩნდა №2 მიცვალებულის მარცხენა ხელზე.

გემაზე გამოსახულია გავრცელებული სიუჟეტი: კალათა, რომელშიც ჩადგმულია ხორბლის თავთავები და ყაყაჩოები. კალათის მარჯვნივ და მარცხნივ სიუხვის ყანწები დგას. მსგავსი სიუჟეტი გამოსახულია ურბნისის ნაქალაქარის XXV უბნის № 172 სამარხში გამოვლენილ სარდიონის ინტალიოზე. ანალოგიური სიუჟეტი გამოსახულია რომაული ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე [Furtwengler A.1898: Tab. №№6153-6154].

**11. ბეჭედი რკინისა** (ინვ. №10644; ტაბ. IV-1), ძლიერ დაჟანგული და დაზიანებული, მხრებთან გაფართოებული. რკალში ამოჭრილია თვალბუდე, რომელშიც ოვალისებური (მოყავისფრო) სარდიონის გემა–ინტალიო ზის. გემის ზომა – 1,9X0,8 სმ. ცხენზე მარჯვენა პროფილით გამოსახულია მხედარი (მითრა?), რომელსაც თავზე სხივანა ფრიგიული ქუდი ახურავს, მოსასხამი უფრიალებს.

საქართველოში მხედრის გამოსახულებიანი ინტალიოები ჯერ კიდევ ადრეანტიკური ხანიდან გვხვდება. ანალოგიური მხედრის გამოსახულება, ოღონდ ბომონის წინაშე მდგომი, სამთავროს №600 ქვასამარხში აღმოჩენილ სარდიონის გემა-ინტალიოზეცაა ამოკვეთილი. ბომონის წინაშე მდგარი, ტორაწეულ ცხენზე ამხედრებული, ღვთაება, როგორც ჩანს, მითრაა. აღსანიშნავია, რომ ოთხი გემიდან, რომელიც

დღემდეა აღმოჩენილი, სამი საქართველოშია მოპოვებული, მეოთხე კონსტანტინოპოლშია შეძენილი და ამჟამად ბერლინის მუზეუმში ინახება. აღნიშნული გემების წარმომავლობასა და ზედ გამოსახული სიუჟეტის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მარგო ლორთქიფანიძე საქართველოში აღმოჩენილ ნიმუშებს „მცირე აზიის გავლენით შექმნილ იბერიულ გემად მიიჩნევს" [ლორთქიფანიძე მ. 1969: 144, 137].

შეიძლება ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვათ, რომ ჩვენს გემაზე მხედრის ამოკვეთისას ხელოსანი შთაგონებული იყო ღვთაება მითრას პორტრეტული გამოსახულებით.

**12. სამაჯურები ოქროსი** (ინვ. №10632. ტაბ. II-2), სადა, ბოლოებგახსნილი ოვალისებური მოყვანილობის წყვილი რგოლი, ოქროს ბრტყელი ფურცლებისაგან დამზადებული. დმ – 6,3 სმ, ღეროს სიგანე – 1,2 სმ.

სამაჯურები გამოვლინდა №2 მიცვალებულის მაჯებზე.

სამაჯურები უფრო ნამზადის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**13. მძივები აქატისა** (ინვ. №10630. ტაბ. II-3), (2 ც), ცილინდრული ფორმის, ჭრელი, ტალღოვანი შრეებით.

სიგრძე – 1,6-2,0 სმ, ნახვრეტის დმ – 0,2-05 სმ.

**14. მძივები მინისა** (ინვ. 10640. ტაბ. II-5), სხვადასხვა ფორმის (10 ც.): 6 ცისფერი მინის, თხელი, გამჭვირვალე, მრგვალი; 2 – მოგრძო, ღეროვანი; 2 – მუქი მოწითალო.

მძივები აღმოჩნდა №2 მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

**15. მძივები სარდიონისა** (ინვ. №10641. ტაბ. II-4) – თოთხმეტწახნაგა, მუქი და ღია წითელი, კარგად გახეხილ-გაპრიალებული.

იქვე.

**16. მძივები სხვადასხვა მასალისა** (13 ც.): 5 – მრგვალი, წითელი პიროპის მძივი; 5 – მრგვალი მინის, ძლიერ ირიზებული; 2 – თეთრი მინის, მოგრძო, ცილინდრული; 1 – ცისფერი მინის, დაწახნაგებული – მილაკისებური. აღმოჩნდა იქვე.

სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები ზემოთ მითითებულ პარალელურ კომპლექსებშიც დასტურდება და მათ უმნიშვნელო დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ზემოაღწერილისა, სამარხში აღმოჩნდა 14 მონეტა.

რომაული ვერცხლის დენარი (10 ც.), მოჭრილი რომის პირველი იმპერატორ, ოქტავიანე ავგუსტეს (ძვ.წ.27-ახ.წ.14 წწ.) სახელით. აქედან, ერთი მონეტა (მ.№3712-10645) დაშლილია და დაკარგული აქვს მონეტის იერსახე; ორი რომაული საიმპერატორო აურეუსი, მოჭრილი ვესპასიანესა (69-79 წწ.) და ტრაიანეს (98-117 წწ.) სახელით. ორი პართული დრაქმა არტაბან II-ისა (10-38 წწ.).

1. **დენარი**. ვერცხლი. მ. №3713. რომის იმპერია. ოქტავიანე ავგუსტე (ძვ.წ.27-ახ.წ.14 წწ.), მოჭრილი ძვ.წ.2-ახ.წ.4წწ-ში. ლუგდუნუმის ზარაფხანა. წონა – 3.48 გრ. ზომა – 19 მმ.

შუბლი: კეისარ ავგუსტეს დაფნის გვირგვინიანი თავი, მარჯვნივ წრიული წარწერით: CAESAR AVGUSTUS DIVI F. PATER PATRIAE („კეისარი ავგუსტე ღვთაებრივი მამა სამშობლოსი").

ზურგი: გაიუს და ლუციუს ცეზარები მოსასხამებითა და თავსაბურავებით დგანან ერთმანეთის პირისპირ, ხელით ეყრდნობიან მათ

შორის მოთავსებულ ფარებს. ასევე მათ შორის გადაჯვარედინებული შუბებია, შუბებს შორის, ზემოთ, გამოსახულია მარჯვნივ – სიმპულუმი (simpulum-შესაწირი ჩამჩა პონტიფიკებისა), მარცხნივ – ლიტუსი (litus-მოღუნული კვერთხი ავგურისა), ირგვლივ წრიული ზედწერილი: C.L. CAESARES AVGUSTI F. COS, DESIA. PRINC.IVVENT. (C(ajus)(et) L(ucius)Caesares Augusti F(iliae) Cos (=Cosulatos) (aliciu) Desig (natus) Pric(eps) juvent(utis) („გაიუსი (და) ლუციუსი კეისარ ავგუსტეს შვილები კონსულებად დეზიგნირებულნი (არჩეულნი) ტახტის მემკვიდრეები“) [Mattingly H.1965:89, №519. tab. XIII, №9; Robertson A.S. 1962:41. tab. VII. №218].

2. მ. №3714, როგორიც №1. წონა – 3,25 გრ., ზომა 18 მმ.

3. მ. №3715, როგორიც №1. წონა – 3,36 გრ., ზომა 19 მმ. გაცვეთილი.

4. მ. №3716, როგორიც №1. წონა – 3,29 გრ., ზომა 18 მმ.

5. მ. №3717, როგორიც №1. წონა – 3,50 გრ., ზომა 20 მმ.

6. მ. №3718, როგორიც №1. წონა – 2,0 გრ., ზომა15/16 მმ. დაზიანებული, ნაკლული.

7. მ. №3719, როგორიც №1. წონა – 3,07 გრ., ზომა 19 მმ.

8. მ. №3720, როგორიც №1. წონა – 3,54 გრ., ზომა 18/19 მმ.

9. მ. №3721, როგორიც №1. წონა – 3,54 გრ., ზომა18/19 მმ.

ცხრავე მონეტა არის ერთი ქვეტიპის, მეტნაკლებად გაცვეთილი. ყველას ეტყობა მიმოქცევაში ხანგძლივად ყოფნის კვალი.

10. **დრაქმა**. ვერცხლი. მ. №3722. პართია. მოჭრილი არტაბან II-ის მიერ (10-38წწ.). ეკბატანში. წონა – 3,23 გრ., ზომა – 19 მმ.

შუბლი: არტაბან II-ის ბიუსტი მარცხნივ, გრძელი თმითა და წვერულვაშით, რომელიც პარალელური შვეული ხაზებით არის წარმოდგენილი. თავზე დიადემია ადგას, რომელიც კეფაზეა გაბაფთული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება. ყელზე აქვს სამწყება ყელსაბამი. მოჩანს სამოსის შემკული გულისპირი. გამოსახულებას თავს ზემოთ გადაუყვება წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ტახტზე მჯდომი არშაკ I-ს მარჯვნივ გაწვდილ ხელში მშვილდი უჭირავს. მშვილდს ქვემოთ მონოგრამაა. ირგვლივ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: „მეფეთა მეფისა არშაკისა, კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა” [Sellwood D. 1971:185].

11. **დრაქმა**. ვერცხლი. მ. №3723. პართია. არტაბან II-ის (10-38 წწ.). წონა – 3,31 გრ., ზომა – 20/22 მმ. ისეთივე, როგორიც №10.

12. **აურეუსი**. ოქრო. მ.№3703. რომის იმპერია. ვესპასიანე (69-79 წწ.) 73წ. რომის ზარაფხანა. წონა – 7,2 გრ. ზომა – 18/20მმ.

შუბლი: მარჯვნივ წვეროსანი ტიტუსის თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინით. ირგვლივ წარწერა: T CAES IMP VESPCEN და წერტილოვან-ხაზოვანი რკალის მცირე ფრაგმენტი.

ზურგი: მარჯვნივ მიმართული ღვთაების (მშვიდობა) დრაპირებული გამოსახულება მთელი ტანით. მას გაწვდილ მარჯვენა ხელში ფრთოსანი კადუცეუსი უჭირავს, მიმართული სამფეხისაკენ, რომელზეც დევს ქისა (საფულე). მარცხენა ხელი, რომლითაც ტოტი უჭირავს, ჩამოდებული აქვს გირლიანდებიან კოლონაზე. წარწერა: P A X A V G და წერტილოვან-ხაზოვანი რკალის მცირე ფრაგმენტი [ Mattingly H.1966:

II. №111. tab. III-22].

მონეტა ბარბარიზებულია. სქემურია იმპერატორის პორტრეტი. განსაკუთრებით უხეშადაა შესრულებული გამოსახულება ზურგზე. მონეტის ზედაპირი არასწორია, წარწერები – თითქოს განახლებული. მონეტის ზედაპირს ეტყობა ხელით მუშაობის კვალი. მონეტა არ არის მრგვალი. მას ოვალური ფორმა აქვს.

13. **აურეუსი**. ოქრო. მ. №3704. რომის იმპერია. ტრაიანე (98-117 წწ.). წონა – 7,1 გრ. ზომა – 18/20 მმ.

შუბლი: ტრაიანეს თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინით მარჯვნივ. ირგვლივ წარწერა: IMP TRAIANO AVG. CER. DAC P M TR.P. და წერტილოვან-ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: მარჯვნივ სერესის დრაპირებული გამოსახულება მთელი ტანით. თავზე ხორბლის თავთავების გვირგვინი ადგას. მარცხენა ხელში ქვემოთ დახრილი თავთავები უჭირავს, მარჯვენაში – გრძელი, სწორი ჩირაღდანი. ირგვლივ ზედწერილი: COS. V.P.P.SP.Q.P.OPTIMO PRINC და წერტილოვან-ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი [Mattingly H.1966. III. №259. tab. XIII-69].

ამ მონეტასაც, ვესპასიანეს ზემოთ აღწერილი აურეუსის მსგავსად, აქვს ოვალური ფორმა, ნაპირები – უსწორმასწორო, უხეშად ნაკეთები.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს აურეუსი წონით, ასევე ლითონის სინჯით შეეფერება შესაბამისი პერიოდის სტანდარტებს, მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ჩამორჩება I საუკუნის რომის ზარაფხანაში მოჭრილ ანალოგიურ აურეუსებს. მიუხედავად მათ შორის მცირე განსხვავებისა, ისინი ვიზუალურად მსგავსია და შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ერთი სახელოსნოს ნახელავია. სავარაუდოდ, ისინი ერთდროულად დამზადდა მოგვიანო პერიოდში.

ზოგადად, ზემოაღნიშნული ინვენტარის უმეტესი ნაწილი II-III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება. ჩვენი სამარხიც ამავე პერიოდისა უნდა იყოს. უფრო ზუსტად კი სამარხის გამართვის თარიღად III საუკუნე მიგვაჩნია.

VAKHTANG NIKOLAISHVILI*, MEDEA SHEROZIA**

*The Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Archaeological Research Center
14. D.Uznadze St., 0102. Tbilisi, Georgia
E-mail: vaxtangnikolaishvili@yahoo.com
** The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: m. sherozia@yahoo.com

# AN INTERESTING BURIAL PLACE DISCOVERED ON THE TERRITORY OF MTSKHETA

## Summary

During performing various land works burial places from late Antique period emerged on the territory of modern Mtskheta. Most of them contain wealthy inventory. One of those burial complexes was discovered on September 25, 1967 (Excavations were carried out by Aleksandre Kalandzadze and Aleksy Bokhochadze). The following things were discovered in the burial: golden leaves of the mourning crown, golden earrings and bracelets – a set, buttons (70 items), golden (1) and iron rings (2), which date back to the 1st-2nd cc, as well as golden coins minted in the names of emperors Vespasian and Trajan (2), silver coins of Augustus and Gotarzes (12), square glass bottles (2), glass (2) and silver (1) perfume containers, beads of different material (glass, sardion) and shape.

The part of the material discovered in the burial ground (square sealed glass bottles), khorium leaves, intaglio rings and coins) point to the fact that there were busy commercial and cultural relationships between Kartli (Iberian) Kingdom and the Antique world countries, namely, with the strong Roman empire – in the 2nd-3rd cc. A.D. The above-mentioned situation proves existence of well-off traders in Mtskheta and indicates to a well developed city life and culture.

## ბიბლიოგრაფია

**აფაქიძე ა., ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ. კაპანაძე მ. 2003:** *2001 და 2002 წლების საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ანგარიშები.* VI სამეცნიერო სესია. მცხეთა-თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**კალანდაძე ა. 1949:** *ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში. მიმომხილველი. I. საქ. მეც. აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი* (რედ. ნ. ბერძენიშვილი).

**ლომთათიძე გ. 1957:** *კლდეეთის სამაროვანი.* თბილისი.

**ლორთქიფანიძე მ. 1969:** *ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I.* თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., გიუნაშვილი გ., სიხარულიძე ა., მანჯგალაძე გ. 2006:** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა მცხეთაში. *ეურ. „კამარა". ქართული არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები.* №215. გვ. 11-22. თბილისი (რედ. ნ. შავიშვილი).
**საგინაშვილი ლ. 1970***: ურბნისში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი.* თბილისი.
**საგინაშვილი ლ. 2005.** მინის „დამღიანი" ოთხწახნაგა ჭურჭელი მცხეთიდან. *იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევიური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი)* №2. გვ. 39-45. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).
**ჭყონია ა. 1981:** ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან. *ვანი VI.* თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).
**Картер Г. 1959:** *Гробница Тутанхамона.* Москва.
**Furtwengler A. 1898:** *Beschreibung der Geschnitten steinein Antiguarium.* Berlin.
**Mattingly H. 1965:** *Coins of the Roman Empire in the British Museum.* London.
**Robertson A.S. 1962:** *Roman imperial Coins in the Hunter Coins.* Cabinet University of Glasgow, I.
**Sellwood D. 1971:** *An introduction to the coinage of Parthia.* London.
**Spartz E. 1967:** *Antike Cleser. Vollstad, ger Katalog bearbaitet.* Staatliche Kunstsamlungen Kassel.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**
**სურ. 1.** ბოთლი მინისა.
**სურ. 2.** ბოთლი მინისა.
**სურ. 3.** სანელსაცხებლე ვერცხლისა. ფრაგმენტი.
**სურ. 4.** სანელსაცხებლე მინისა.
**ტაბ. II**
**სურ. 1.** საყურეები ოქროსი.
**სურ. 2.** სამაჯურები ოქროსი.
**სურ. 3.** მძივები აქატისა, ცილინდრული ფორმის.
**სურ. 4.** მძივები სარდიონისა, ოოთხმეტწახნაგა.
**სურ. 5.** მძივები მინისა.
**ტაბ. III**
**სურ. 1.** ქოირის ფურცლები.
**სურ. 2.** კილიტები.
**ტაბ. IV**
**სურ. 1.** სარდიონის გემა-ინტალიო მხედრის გამოსახულებით.
**სურ. 2.** ბეჭედი ოქროსი.
**სურ. 4.** ვალერიანეს აურეუსი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 5.** ტრაიანეს აურეუსი. ავერსი, რევერსი.
**ტაბ.V**
**სურ. 1.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 2.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 3.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.

**სურ. 4.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 5.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 6.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 7.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 8.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 9.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარი. ავერსი, რევერსი.
**სურ. 10.** არტაბან II-ის დრაქმა. ავერსი, რევერსი.
**სურ. 11.** არტაბან II-ის დრაქმა. ავერსი, რევერსი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**
**Fig. 1.** Glass bottle**.**
**Fig. 2.** Glass bottle**.**
**Fig. 3.** Silver box for ointment, fragment.
**Fig. 4.** Glass box for ointment.
**Tab. II**
**Fig. 1.** Golden earring.
**Fig. 2.** Golden bracelets.
**Fig. 3.** Agate beads of cylindric form.
**Fig. 4.** Sardonyx 14 beads.
**Fig. 5.** Glass beads.
**Tab. III**
**Fig. 1.** Sardonyx seal intalio with a horseman's image.
**Fig. 2.** Golden ring.
**Fig. 3.** Valerians's aureus. Obverse, reverse.
**Fig. 4.** Trajan's aureus. Obverse, reverse.
**Tab. IV**
**Fig. 1.** Sardonyx seal intalio with a horseman's image
**Fig. 2.** Golden ring.
**Fig. 3.** Valerian's aureus. Obverse, reverse.
**Fig. 4.** Trajan's aureus. Obverse, reverse.
**Tab. V**
**Fig. 1.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 2.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 3.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 4.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 5.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 6.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 7.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 8.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 9.** Octavia Augustus's dinar. Obverse, reverse.
**Fig. 10.** Artaban II's drachm. Obverse reserve.
**Fig. 11.** Artaban II's drachm. Obverse reserve.

1

2


3

4

ტაბ. II Tab.



1



2

3

4



5




1
2

ტაბ. IV Tab.



სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 82-100
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 82-100

**არქეოლოგია**

**ნიკოლოზ მურღულია**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nikomurgulia@yahoo.com

# ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების სისტემა

## შესავალი

IV-VI საუკუნეებში ეგრისის სამეფოში მოქმედი ერთიანი გამაგრების სისტემა თავისი დანიშნულებიდან და ქვეყნის გეოგრაფიული მახასიათებლებიდან გამომდინარე სხვადასხვა ქვესისტემას აერთიანებდა. ისინი ქვეყნის განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებს მოიცავდა და მათი მოქმედება კონკრეტული საფრთხეების წინააღმდეგ იყო მიმართული. ასე მაგალითად, სამეფოს ზღვისპირა თავდაცვით ხაზში შემავალი ციხეები ქვეყანას საზღვაო თავდასხმისაგან იცავდა და, იმავდროულად, სამეფოში ზღვით შემოტანილი პროდუქტისა და შემოსული ვაჭრების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ამასთანავე, შავიზღვისპირა ციხე-ქალაქები საბაჟო კონტროლსაც ახორციელებდა; სამეფოს სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ თავდაცვით სექტორებში შემავალი ციხესიმაგრეები ეგრისის სამეფოს შესაბამის საზღვრებს იცავდა; ჩრდილო-დასავლეთ სექტორის ციხეების მთავარი დანიშნულება ჩრდილოეთ კავკასიიდან ეგრისში შემომავალ ხეობებზე გამავალი გადმოსასვლელების კონტროლი და რეგულაცია იყო [მურღულია ნ. 2011].

ეგრისის სამეფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვა იყო. ქვეყნის ეს ნაწილი უმეტესწილად დღევანდელი სამეგრელოს რეგიონის საზღვრებში ექცეოდა. მას აღმოსავლეთიდან მდინარე ცხენისწყალი შემოსაზღვრავდა, სამხრეთიდან – მდ. რიონი, დასავლეთიდან – შავი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთიდან – მდ. ენგური და ეგრისის ქედი. აღნიშნული მონაკვეთის კვლევის პირველი ეტაპი პარმენ ზაქარაიას სახელს უკავშირდება, რომელმაც სამეგრელოს რეგიონში მდებარე ციხესიმაგრეები შეისწავლა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისინი ერთი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილები იყო [ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991: 126]. შემდგომ ეს კვლევა კიდევ უფრო გააფართოვა და ახალი მასალით გაამდიდრა დავით ლომიტაშვილმა, რომელმაც დღევანდელი სენაკისა და მარტვილის რაიონებში მდებარე ციხეები ერთ თავდაცვით ხაზში გააერთიანა [ლომიტაშვილი დ. 2003: 205-218]. ეგრისის სამეფოს ცენტრალური

მონაკვეთის თავდაცვითი სისტემის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციები მოიპოვა და გამოსცა გოგიტა ჩიტაიამ, რომელსაც, ძირითადად, დღევანდელი ხობის რაიონის ძეგლები აქვს მიმოხილული, მათ შორის, ნაწილი IV-VI საუკუნეების ციხეებია [ჩიტაია გ. 2007].

2010 წელს ჩვენ მიერ სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევა-ძიების შედეგად ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვითი სისტემის შესახებ უფრო მეტმა ინფორმაციამ მოიყარა ერთად თავი, ძველი მასალები გადაიხედა და შეივსო ახალი მონაცემებით (GPS კოორდინატები, Google Earth-ის მასალა, ციფრული ფოტოები, ნახაზები, ანაზომები და სხვ.) და, შესაბამისად, საკითხის კვლევამაც უფრო სრულყოფილი და მასშტაბური ხასიათი შეიძინა [მურღულია ნ. 2011: 135-147]. კვლევის შედეგად სამეგრელოს ტერიტორიაზე დღემდე გამოვლენილი და ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდით (IV-VI სს.) დათარიღებული ციხესიმაგრეების უმეტესი ნაწილი სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვით სისტემაში გაერთიანდა. ასეთი ციხეების საერთო რაოდენობა დღეისათვის ცხრამეტია. თუმცა, სამომავლო დაზვერვებისა და კვლევა-ძიების შედეგად მათი რაოდენობა, სავარუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება.

## რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთი მთისა და ბარის (სერებად დანაწილებული პლატოსა და კოლხეთის დაბლობის) შესაყარზე მდებარეობდა და მოიცავდა როგორც მთიან მასივებს, ისე გაშლილ ვაკეებს. რეგიონში რელიეფის სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: გორაკ-ბორცვები, მდინარეთა ვიწრო და გაგანიერებული ხეობები და დაბლობი [საქართველოს გეოგრაფია. 2001: 266-269]. ასეთი გეოგრაფიული მრავალფეროვნება ხელსაყრელი იყო როგორც მოსახერხებელი თავდაცვითი სისტემის შესაქმნელად, ისე სამოსახლოების გასაჩენად. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით – ხე-ტყითა და სხვადასხვა ჯიშის ქვებით (საშენი მასალა), კერამიკული თიხებით, კვარცის ქვიშებით, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი მინერალებით (ობსიდიანი, გიშერი, ქალცედონი, სარდიონი, აქატი), მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულით. მდინარეების – ენგურის, ტეხურის, ცხენისწყლისა და რიონის ქვიშებში ოქროს მარაგები მოიპოვება. რეგიონის ასეთი მდებარეობა და ბუნებრივი რესურსების არსებობა ხელს უწყობდა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ეკონომიკურსა და, შესაბამისად, სოციალურ დაწინაურებას და დასახლებათა ხანგრძლივი არსებობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა [ლომიტაშვილი დ. 2003: 3-4; გამყრელიძე გ. 1999: 13]. ბუნებრივ რესურსებთან ერთად მხარის დაწინაურებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მიწათმოქმედება. იქ არსებული კლიმატური გარემო კარგ პირობებს ქმნიდა აგრარული მეურნეობის გასავითარებლად. იქ ნიადაგი კოლხეთის დაბლობთან შედარებით ნაკლებად ნესტიანდება და ჭაობდება, ხოლო საკმარისი ნალექების გამო ხელოვნური მორწყვა საჭირო არ არის. კარგად იყო

განვითარებული მეცხოველეობა, მეთევზეობა და ნადირობა [ლომიტაშვილი დ. 2003: 104]. არქეოლოგიური გათხრებით რეგიონში გამოვლენილ მდიდარ ოსტეოლოგიურ მასალაში დიდი წილი სწორედ შინაურ (ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი) ცხოველებზე მოდის. ასევე გათხრებით გამოვლენილია მეთევზეობასთან დაკავშირებული არტეფაქტები – ბადის საწაფები, ანკესები და სათევზე ლანგრები.

მხარის ეკონომიკური დაწინაურება იქ მოსახლეობის კონცენტრაციასაც გულისხმობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან, დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე საკმაოდ დაწინაურებული და მჭიდროდ დასახლებული სამოსახლოების არსებობაა დადასტურებული. მაგალითად, ნოქალაქევში, ნოსირში, ოჩხომურში, მუხურჩასა და სხვა ძეგლებზე [გოგაძე ე. 1982; მიქელაძე თ. 1985; Апакидзе Д. 1991; ჯიბლაძე ლ. 1997; ლომიტაშვილი დ. 2003].

აღნიშნულ პერიოდში (ძვ. წ. I ათასწლეული) ამ რეგიონის განვითარების შედეგად მოგვიანებით იქ მცხოვრები ლაზების ტომი მნიშვნელოვნად დაწინაურდა და მეზობელი მონათესავე ტომები მიიერთა, ეს კი საბოლოოდ ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა, სადაც ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და, ნაწილობრივ, ეკონომიკური ცენტრი სწორედ ცენტრალური ეგრისი იყო – ეს იყო ახალშექმნილი სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) გეოგრაფიული ცენტრი და, შესაბამისად, აქვე მდებარეობდა სამეფოს დედაქალაქი – ნოქალაქევი-არქეოპოლისი.

ახალჩამოყალიბებულ სამეფოში მისი ცენტრალური ნაწილის მნიშვნელობა კიდევ უფრო ჩამოყალიბებული და განვითარებული იყო. ეს იყო სამეფოს გეოგრაფიული ცენტრი დედაქალაქითურთ. აქედან თანაბარი წარმატებით შეიძლებოდა სამეფოს ყველა რეგიონის გაკონტროლება (მაგ., ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ იმერეთის); სამეფოს ცენტრი მოშორებული იყო შავი ზღვის სანაპიროს,რაც ეგრისის მესვეურებს საშუალებას აძლევდა მეტნაკლები დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ ჯერ რომაელებისაგან, ხოლო მოგვიანებით ბიზანტიელებისაგან [ლომოური ნ. 1981: 32-33]. როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონის დაწიანურებას გარემო პირობებიც უწყობდა ხელს – ნაკლებად ტენიანი და ჭაობიანი ლანდშაფტი და მეცხოველეობა-მესაქონლეობის განვითარების მაღალი დონე. არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ ნაწილში გამავალი გზებიც, რომლებიც რეგიონში ვაჭრობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ძველი კარტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან, განსაკუთრებით კი IV-VI სს-ში,არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა: ცენტრალური ეგრისი ერთმანეთთან აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონებს აკავშირებდა.

## გამაგრების სისტემის დახასიათება და მისი შემადგენელი ნაწილები

ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების სისტემის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ხაზი ეგრისის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე გადიოდა. ეს მონაკვეთი დღევანდელი წალენჯიხის, მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონებს მოიცავს და, ძირითადად, რთული მთიანი რელიეფით ხასიათდება. აქ, სხვადასხვა მაღალი მთის წვერებზე და ხეობებში მდებარე ციხეები, ჩრდილოეთიდან (სვანეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან) მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად იყო აშენებული. აღნიშნული ციხესიმაგრეები (კურზუ, ნაფიჩხოვო, ოსინდალე და სქური) ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვით სისტემაში ერთიანდებოდა; ამ მხარის სამხრეთ-დასავლეთით – დღევანდელი მარტვილისა და სენაკის რაიონებში ციხეები უმეტესად უნაგირა მთის სამხრეთსა და აღმოსავლეთ კალთებზეა განლაგებული და ერთ თავდაცვით ხაზს ქმნის; კიდევ უფრო დასავლეთით, ხობისა და ზუგდიდის რაიონებში, ციხესიმაგრეები განლაგებულია იქ არსებულ შედარებით მცირე ურთის მთის კალთებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის სამეფოს ცენტრალური სექტორის თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრეების უმეტესობა მდინარეების გასწვრივ მდებარეობს, ანუ ციხის ასაგებად ადგილის შერჩევის დროს, მთიან რელიეფთან ერთად, აუცილებელი პირობა იყო რომელიმე მდინარესთან მისი სიახლოვე. ეს გარემოება ერთი მხრივ წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის აუცილებლობით აიხსნება, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ დიდი მდინარეები, როგორებიცაა ტეხური, ოჩხომური, ჭანისწყალი და ხობისწყალი, საგზაო არტერიებიც იყო (სურ 1).

***უნაგირა მთის გამაგრების ხაზი***. უნაგირა მთა ეგრისის ქედის ერთ-ერთი განშტოებაა. მთას წაგრძელებული ფორმა აქვს; მისი სრული სიგრძე 35 კმ-ს აღწევს, ხოლო სიგანე (ძირიდან ძირამდე) – 2-5 კმ-ს შორის მერყეობს; მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 590 მ-ია. ის მდ. ცხენისწყლის დასავლეთით 8 კმ-ში, ხოლო ქ. მარტვილიდან ჩრდილოეთით 3 კმ-ში იწყება და აღმოსავლეთისაკენ გრძელდება, მცირე დახრილობით სამხრეთისაკენ; 11 კმ-ის გავლის შემდეგ, სოფ. კვაუთთან, მთა მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ და 8 კმ-ის მანძილზე მიემართება სოფ. ნოქალაქევისკენ, სადაც მთის მასივში მდ. ტეხურას კალაპოტი აქვს გაჭრილი. აქედან მთა კიდევ უფრო სამხრეთით იხრება და სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით 15 კმ-ის მანძილზე ქ. სენაკამდე გრძელდება, სადაც დაბა მენჯთან სრულდება კიდეც (სურ. 2). უნაგირა მთა ეროგვარი ბუნებრივი დაბრკოლებაა სამეგრელოს მთიან რეგიონში მოსახვედრად. მასზე მრავლად გადის საცალფეხო ბილიკი, თუმცა, სავაჭრო ქარავნებისა და საჯარისო შენაერთებისათვის ამ მთის ჩრდილო-დასავლეთით მოხვედრა მხოლოდ 3-4 გადასასვლელის მეშვეობით იყო შესაძლებელი. ყველაზე ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მთის დასაწყისშივე მდებარე მცირე ხეობა, დღევანდელ სოფ. თამაკონთან, საიდანაც მარტვილის რაიონის მაღალმთიან სოფლებში მოხვედრაა შესაძლებელი. ეს მონაკვეთი დღემდე რჩება ხონიდან და

მარტვილიდან ჩრდილოეთით მდებარე რეგიონებთან (მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონებთან) დამაკავშირებელ უმთავრეს სამანქანო გზად. სწორედ სოფ. თამაკონში გამოვლენილია ციხე, რომელიც თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მოქმედებდა და მისი უმთავრესი დანიშნულება სწორედ აღნიშნული გზის გადაკეტვა უნდა ყოფილიყო. ბიზანტიური წერილობითი წყაროები, მართალია, მწირ, მაგრამ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ეგრისის სამეფოში გამავალი სხვადასხვა მარშრუტის შესახებ. მაგალითისათვის, პროკოპი კესარიელის ცნობით, ბიზანტია-ირანის ომის დროს ირანელთა სარდალმა მერმეროემ მოხირისიდან ილაშქრა აბაზგიაში, წებელდის ციხეზე, თუმცა, უშედეგოდ და უკან გამობრუნებული არქეოპოლისს მიადგა, სადაც ასევე ვერ მიაღწია წარმატებას [გეორგიკა. 1965: 211]. ამ ცნობიდან აშკარა ხდება, რომ მერმეროეს იმერეთიდან (მოხირისი) აფხაზეთში ულაშქრია, რა თქმა უნდა, სამეგრელოს გავლით, თუმცა, ნოქალაქევ-არქეოპოლისთან მხოლოდ უკან გამობრუნებული მისულა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის დღევანდელი ხონი-მარტვილი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-გალის რაიონების გავლით მოხვდებოდა აფხაზეთში და გაივლიდა შემდეგ ციხესიმაგრეებს – თამაკონი, კურზუ, ნაფიჩხოვო, სათანჯო, წარჩე და რეკა (სურ. 3). იგივე მარშრუტი უნდა იყოს დატანილი, სავარაუდოდ, IV საუკუნის ანონიმი ავტორის „პეუნტინგერიანის ტაბულაზე", რომლის XI სეგმენტზე მოცემულია ქ. არტაშატიდან ქ. სებასტოპოლისამდე მიმავალი გზა. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს გზა ჯავახეთისა და შემდეგომ დღევანდელი ბაღდათის რაიონის გავლით მიემართებოდა იმერეთში, შემდეგ – სამეგრელოში და იქიდან გადადიოდა აფხაზეთში [მურღულია ნ. 2011: 62-64].

კიდევ ერთი გადასასვლელი უნაგირა მთაზე, თამაკონიდან დასავლეთით, 7 კმ-ში მდებარეობს. ეს არის ბუნებრივად შექმნილი ხევი, რომელიც მთას პერპენდიკულარულად მთელ სიგანეზე სერავს და ქმნის ბუნებრივ ხელსაყრელ გადასასვლელს (სურ. 4). ამ გადასასვლელის სამხრეთ ნაწილში, მთის სამხრეთ კალთაზე, მდებარეობს აბედათის ციხე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აგათია სქოლასტიკოსის ონოგურისთან არის გაიგივებული [ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991: 130]. ცალკე საკვლევი საკითხია, რამდენად სწორია ამგვარი იდენტიფიკაცია. თუმცა, ფაქტია, რომ ციხეზე გამოვლენილი, ქრონოლოგიურად პირველი სამშენებლო და არქეოლოგიური ფენების თარიღები სწორედ IV-VI საუკუნეებითაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აბედათში მიკვლეული ციხე სწორედ IV-VI საუკუნეებსა და მოგვიანო პერიოდშიც არსებობდა და უნაგირა მთაზე არსებულ გადასასვლელს აკონტროლებდა. აბედათის ციხიდან დასავლეთით, 2.5 კმ-ში, სოფ. კვაუთში, იქ, სადაც უნაგირა მთა სამხრეთ-დასავლეთისაკენ უხვევს, მდებარეობს კიდევ ერთი ციხე. ის მეტად მაღალსა და მიუდგომელ ადგილასაა აშენებული და, შესაბამისად, ამ ციხიდან რაიმე გზის გაკონტროლება (ჩაკეტვა) შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი აზრით, მისი მთავარი ფუნქცია სამხრეთითა და ჩრდილოეთით ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა იყო. იმავდროულად, კვაუთში გამოვლენილი ციხე, მისი ზომებიდან და სამშენებლო ტექნიკიდან გამომდინარე, რომელიმე

ადგილობრივი დიდებულის რეზიდენციაც უნდა ყოფილიყო [ლომიტაშვილი დ., მურღულია ნ. 2010: 187-195].

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვაუთის ციხიდან უნაგირა მთა სამხრეთით უხვევს და მიემართება სოფ. ნოქალაქევამდე, სადაც მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე ეგრისის სამეფოს დედაქალაქი არქეოპოლისი მდებარეობდა. ამ ადგილას მდ. ტეხურას უნაგირა მთა ღრმად ჩაუჭრია და, შესაბამისად, საფიქრებელია, რომ აქ მეტად ხელსაყრელი და კომფორტული გადასასვლელი არსებობდა და დედაქალაქის აქ დაარსების ერთ-ერთი მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო. ამ გადასასვლელით ერთმანეთს კოლხეთის (ეგრისის, დასავლეთ საქართველოს) სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონები უკავშირდებოდა. აქედან შესაძლებელი ხდებოდა ისტორიული (ეთნიკური) ეგრისის შიდა ტერიტორიებზე მოხვედრაც.

ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება თავდაცვითი ხაზი, რომელიც უნაგირა მთის გასწვრივ, ნოქალაქევიდან სამხრეთით, ქ. სენაკამდე იყო გამართული. ამ ხაზში ნოქალაქევ-არქეოპოლისთან ერთად კიდევ ხუთი სიმაგრე ერთიანდებოდა: კოტიანეთი, სორტა, შხეფი, საკალანდარიშვილო და მენჯი (სურ. 5). საფიქრებელია, რომ 15 კმ-ში 5 ციხის განლაგება ამ ხაზზე მნიშვნელოვანი გზის არსებობით იყო განპირობებული. ხაზის დამამთავრებელია მენჯის ციხე. აქედან უკვე გაშლილი ტერიტორიები იწყება როგორც სამხრეთით, ისე დასავლეთით. შესაბამისად, გზის უსაფრთხოებისათვის იქ ფორტიფიკაციების მოწყობა გართულდებოდა. მენჯიდან დასავლეთით პირდაპირი ხაზით 32 კმ-ში მდებარეობს ქ. ფოთი და, სავარაუდოდ, დაშორება ისტორიულ ფაზისსა და მენჯს შორის დაახლოებით ამდენივე იქნებოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არქეოპოლისიდან წამოსული სახმელეთო გზა, რომელიც მდ. ტეხურასა და უნაგირა მთას შორის მდებარეობდა, მას შემდეგ, რაც მენჯამდე მიაღწევდა და გასცდებოდა მთიან რელიეფს, მიემართებოდა მდ. რიონისაკენ და უკვე სანაოსნო გზის მეშვეობით უკავშირდებოდა ფაზისს. ფაქტია, რომ ისეთ ორ მნიშვნელოვან ქალაქს შორის, როგორებიც არქეოპოლისი და ფაზისი იყო, პირდაპირი გზის არსებობა აუცილებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ გზის დაცვაც. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო ამ 5 ციხის მთავარი დანიშნულება. ამასთან ერთად, აღნიშნული ციხეების გარემოზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თამაკონისა და აბედათის სიმაგრეების მსგავსად, ნოქალაქევი-სენაკის გზის გასწვრივ განლაგებული ციხეებიც უნაგირა მთაზე არსებული გადასასვლელების გასაკონტროლებლად იყო აშენებული. ასე მაგალითად, კოტიანეთისა და სორტას ციხეებს შორის საკმაოდ განიერი, ბუნებრივი გადასასვლელია, რომელიც უნაგირა მთის გადაჭრის შემდეგ სოფ. ეკში ჩადის. საინტერესოა, რომ არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად სორტის ციხის მიმდებარედ ძვ.წ. III საუკუნის სინოპური ამფორის დამღიანი ყურის ნატეხი გამოვლინდა [ლომიტაშვილი დ. 2003: 216], რაც ამ ციხის სიახლოვეს ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ასეთივე გადასასვლელები და საურმე გზები შეინიშნება შხეფისა და საკალანდარიშვილოს

ციხეების მიმდებარედ. აღნიშნული გზების დახმარებით უშუალოდ ციხეებს შორის მიმოსვლაც და უნაგირა მთის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე მოხვედრაცაა შესაძლებელი (სურ. 5). განხილულ ხაზში განსაკუთრებით გამოსარჩევია შხეფის ციხე, რომელმაც გვიანშუა საუკუნეებამდე შეინარჩუნა თავისი ფუნქცია. ის ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი გამორჩეული სტრატეგიული სიმაგრე და დადიანების რეზიდენცია იყო.

***ურთის მთის გამაგრების ხაზი.*** მთა ურთა დღევანდელი ხობის რაიონში, ქ. ხობიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ში, იწყება. მას წაგრძელებული ფორმა აქვს და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 9 კმ-ზე გრძელდება. მისი მაქსიმალური სიგანე 3.5 კმ-ია; მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან – 446 მ-ს უდრის. ურთისა და უნაგირა მთებს შორის მოქცეული ტერიტორია, ძირითადად, მცირე მაღლობებითა და ბორცვებითაა წარმოდგენილი და დაახლოებით 15 კმ სიგრძისა და 5 კმ-ის სიგანის მონაკვეთს მოიცავს დღევანდელი ხობისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საზღვარზე. ამ მონაკვეთის გამაგრება უზრუნველყოფილი იყო ორი ციხით – ეკით მდ. ცივის ხეობაში და ნოჯიხევით ბიის მაღლობის სამხრეთ კალთებზე. ჩვენი აზრით, ამ ორი ციხის მთავარი დანიშნულება უნაგირისა და ურთის მთებს შორის არსებული გადასასვლელების ჩაკეტვა და კონტროლი იყო (სურ. 6).

მთა ურთის დასავლეთით ვაკე ადგილები იშლება, სადაც მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 20 მ-ს არ სცილდება, ძირითადად კი ნიშნული 10 მეტრზე ნაკლებია, შესაბამისად, ეს მხარე უმეტესად დაჭაობებული იყო. ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ურთის მთის დასავლეთი ნაწილები გადაადგილებისათვის გამოსადეგი არ უნდა ყოფილიყო; სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მოსახვედრად, ჩვენი აზრით, სწორედ ურთის მთის ზედა ზოლი გამოიყენებოდა და არა მისი ძირი. ამის თქმის საფუძველს მთის დასაწყისში გამოვლენილი ციხეების მდებარეობაც იძლევა. ურთის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთების მისადგომებთან, სოფ. პირველ მაისში, 2.8 კმ-ის სიგრძის მონაკვეთში, ეგრისის სამეფოს პერიოდის სამი სიმაგრეა გამოვლენილი (ჩიტაია გ. 2007: 90-98) – მაჩხომერი, ნასკალუ და ყურუმულია (სამივე ადგილობრივი უბნების სახელწოდებებია). მათგან ყველაზე სამხრეთით მაჩხომერის ციხეა (სურ. 7). ზედაპირული დაზვერვებით გამოვლინდა ციხის დასავლეთი გალავანი ორი კოშკით. მაჩხომერის ციხე, სავარაუდოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წამოსული გზის პირველი შემხვედრი, ჩამკეტი და მაკონტროლებელი უნდა ყოფილიყო. მისგან ჩრდილოეთით, 1700 მეტრში, მაღალ მთაზე, უბან ნასკალუში, წრიული ფორმის კოშკის ნაშთია შემორჩენილი. ეს კოშკი ისეთ შემაღლებულ ადგილზეა აშენებული, რომ მის სიახლოვეს გზის არსებობა სათუოა. შესაბამისად, ის უფრო სასიგნალო-საგუშაგო დანიშნულების კოშკი უნდა ყოფილიყო, რომელიც მაჩხომერის ციხეს ნასკალუდან ჩრდილოეთით 1100 მეტრში მდებარე ყურუმულიის ციხესთან აკავშირებდა და, იმავდროულად, ამ ორ ციხეს შორის არსებულ მცირე მონაკვეთსაც უწევდა ვიზუალურ კონტროლს [მურღულია ნ. 2011: 139]. ყურუმულიის ციხე მდინარეების – მუნჩიასა და ჩხაიას შეერთების ად-

გილას ერთ-ერთ მცირე ბორცვზე მდებარეობს. მისგან ჩრდილოეთით შედის ვიწრო ხეობა, რომელიც ურთის მთის წვერისკენ მიემართება; ციხიდან სამხრეთით კი ეს ხეობა ნელ-ნელა ფართოვდება და მდინარე მუნჩიას გასწვრივ გადის ვაკე ადგილებისაკენ. შესაბამისად, ამ სამი ციხის ფუნქცია ურთის მთის თხემზე გამავალი გზის სამხრეთი შესასვლელის ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო (სურ 8). ურთის მთაზე რომ მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, ამის მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ მის შუა მონაკვეთში, რომელსაც ჯეგეთას უწოდებენ, არსებული ქვით აშენებული მცირე კედელი, რომელიც ერთგვარი საბაჟოს შთაბეჭდილებას ტოვებს. ის მშრალი ქვების გროვაა და 1 მეტრი სიმაღლისაა. კედლის შუა მონაკვეთში მცირე გასასვლელია დატოვებული (სურ. 9). კედელი აშენებულია მთის პერპენდიკულარულად, რაც, ცხადია, მთის წვერზე გამავალი გზის ჩასაკეტად და იქ მოძრავი მგზავრების შესამოწმებლად იყო განკუთვნილი. ჯეგეთას კედლიდან ჩრდილო-დასავლეთით, მცირე შემაღლებაზე, ეკლესიისა და პალატების ნაშთებიცაა შემორჩენილი, რაც ამ ადგილის განსაკუთრებულ დატვირთვაზე მიუთითებს [ჩიტაია გ. 2007: 61-68]. ზედაპირული დაზვერვებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ქვის კედელი გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობაა, თუმცა, თავად ამ გადამკეტი კედლის მდებარეობა აქ გზის არსებობაზე მიუთითებს, რომელსაც, ჩვენი აზრით, ეგრისის სამეფოს პერიოდშიც უნდა ჰქონოდა დატვირთვა. სამომავლოდ, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ჯეგეთის ტერიტორიაზე, შესაძლოა ადრეული შუა საუკუნეების კულტურული და სამშენებლო ფენებიც გამოვლინდეს. ჯეგეთიდან გზა მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე ეშვება; აქედან კი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო ჩრდილოეთისკენ – მდ. ენგურისკენ და შემდეგ დღევანდელი აფხაზეთისკენ მიემართებოდა, ანუ, ალბათ უერთდებოდა იმ გზას, რომელიც თამაკონის, კურზუსა და ნაფიჩხოვოს გავლით ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართებოდა.

***მდ. ხობისწყლის გამაგრების ხაზი.*** მდ. ხობისწყალი სოფ. მუხურთან (ჩხოროწყუს რაიონი) ეგრისის ქედის სამხრეთი კალთების ვიწრო ხეობებიდან გამოდის და სამხრეთით, შედარებით გაშლილსა და გავაკებულ ადგილებზე, მიედინება. მდინარის სრული სიგრძე 150 კმ-ს აღწევს. მდინარე ხობისწყალი არაერთ ბერძნულ-რომაულსა და ბიზანტიურ წერილობით წყაროშია მოხსენებული, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარე კოლხეთში. სხვადასხვა ავტორი მას განსხვავებული სახელებით მოიხსენიებს: არიოსი (ფსევდო სკილაქსი); ხარიუსტოსი (კლავდიოს პტოლემაიოსი); ქარიეისი, ქარიენტი (არიანე) [ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 10]. V საუკუნის ანონიმი ბიზანტიელი ავტორი თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" შავი ზღვისპირეთის სხვა მდინარეებსა და დასახლებულ პუნქტებთან ერთად ახსენებს სანაოსნო მდინარე ქარიანტეს [გეორგიკა. 1965: 6], რომელიც მდ. ხობთანაა გაიგივებული. როგორც ცნობილია, ბერძნულსა და რომაულ წერილობით წყაროებში ასევე იხსენიება მდინარე ხობი. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს მდ. ენგურია და არა თანამედროვე ხობი (ლორთქიფანიძე ოთ. 2002: 10). თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ ძველი საისტორიო

მწერლობა ენგურს ხობის სახელით მოიხსენიებს, მაშინ როდესაც ამ სახელს დღეისათვის სხვა მდინარე ატარებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი „ხობუს" „პეუნტინგერიანის ტაბულაზეც" ფიქსირდება. რუკაზე ამ პუნქტის მარცხნივ (სამხრეთით) მოცემულია პუნქტი ქარიენტე (Cariente), ხოლო მარჯვნივ (ჩრდილოეთით) – სიკანაბისი (Sicanabis), რომელიც ისტორიული წყაროების ზიგანეოსი, ანუ თანამედროვე გუდავაა. მოცემულ რუკაზე პუნქტ ხობის შავი ზღვის სანაპიროზე არსებობა ისეთივე საინტერესოა, როგორც ენგურის ამ სახელით მოხსენიება, რადგან დღეისათვის ქ. ხობი სამეგრელოს ტერიტორიაზე, ზღვიდან 23 კმ-ის მოშორებით, მდებარეობს. არსებობს კიდევ ერთი წერილობითი წყარო, სადაც მდ. ხობისწყალი იხსენიება. კერძოდ, VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ 554 წელს ლაზთა მეფე გუბაზი ბიზანტიელმა სარდლებმა სწორედ მდ. ხობისწყალთან მოკლეს [გეორგიკა. 1936: 48]. ზემოთ მოცემული სხვა წყაროების შინაარსიდან გამომდინარე, სადაც ისტორიული მდ. ხობი თანამედროვე მდ. ენგურთანაა გაიგივებული, ძნელი სათქმელია, რომელ მდინარეს გულისხმობდა აგათია სქოლასტიკოსი გუბაზის მკვლელობის ადგილად – მდ. ხობისწყალს თუ მდ. ენგურს.

მდინარეების – ენგურის, ხობისწყლის, ისტორიული ხობისა და ქარიანტეს ურთიერთმიმართება და მათი დაკავშირება ცალკე კვლევის საგანია და აქ ამ თემაზე მეტს ადარ შევჩერდებით. ის კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხობისწყალი ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარე იყო და ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, არც მოგვიანებით გამქრალა. XVII საუკუნის ავტორის პავლე ალეპოელის ცნობით, „არის ექვსი დიდი მდინარე, რომელზედაც დასცურავენ ხომალდები.

პირველი მდინარე კოდორი, მეორე ღალიძგა, მესამე ენგური, <u>მეოთხე ხობი</u> (ხაზი ჩვენია – ნ.მ.), მეხუთე ტეხური, მეექვსე ცხენისწყალი" [ბერიძე თ. 1981: 114].

მდ. ხობისწყლის ხეობიდან გამოსვლის ადგილიდან აღმოსავლეთით, 3 კმ-ში, სოფ. თაიაში, მაღალ მთაზე, დგას ოსინდალეს ციხე, რომლის სამშენებლო ფენები VI საუკუნით თარიღდება. აღნიშნული ციხე იმდენად მაღალ მთაზეა აშენებული, რომ იქედან ხობიწყლის ხეობის ჩაკეტვა და კონტროლი შეუძლებელი იქნებოდა. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ აღნიშნული ციხე ვიზუალურ კონტროლს უწევდა მის სამხრეთსა და დასავლეთით მდებარე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მდ. რიონამდე და შავ ზღვამდე [მურღულია ნ. 2011: 137]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსინდალეს ციხესიმაგრე თავისი მასშტაბებიდან და მდებარეობიდან გამომდინარე უფრო მეტად რომელიმე დიდებულის (ან თუნდაც მეფის) რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, ვიდრე თავდაცვითი სისტემის ორგანული ნაწილი.

ხეობიდან გამოსვლის შემდეგ მდ. ხობისწყალი განიერ ხეობაში მიედინება, მდინარის ორივე სანაპიროს გარს აკრავს 300 მეტრი სიმაღლის მთიანი ზოლი (აღმოსავლეთით – ჩხოროწყუს რაიონი; დასავლეთით – ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონების საზღვარი). სწორედ ამ მთებზე განლაგებული ციხესიმაგრეები (ხომაკირდე და ხორში) აკონ-

ტროლებდა მდ. ხობისწყლის გასწვრივ მდებარე გზას. ეს გზა სამეფოს ჩრდილოეთ ნაწილს (სვანეთს) მის ცენტრალურ მონაკვეთთან (დღევანდელ ჩხოროწყუსა და ხობის რაიონები) აკავშირებდა, და შესამაბამისად, ის ეგრისის სამეფოს საკომუნიკაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ხომაკირდეს ციხე მდინარის ვიწრო ხეობიდან გამოსვლის შემდეგ სამხრეთით, 20 კმ-ში, მდებარეობს. ეს ციხე მდ. ოჩხომურის მარცხენა სანაპიროზე მაღალ მთაზეა აშენებული. ისე რომ, იქიდან ხობისა და ოჩხომურის ორმდინარეთი საკმაოდ შორ მანძილზე შესანიშნავად იზვერება. ამასთანავე, ხომაკირდეს ციხის ხელსაყრელი მდებარეობიდან გამომდინარე, რთული არ იქნებოდა ამ ორ მდინარის გასწვრივ გამავალი გზის ჩაკეტვაც. ეგრისის სამეფოს სხვა მდინარეებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ოჩხომურსაც. ის სამეგრელოს სხვა დიდი მდინარეების მსგავსად ეგრისის ქედის სამხრეთი კალთებიდან გამოდის ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონების საზღვარზე, სოფ. კურზუსთან და მიედინება ჯერ აღმოსავლეთით, ხოლო შემდეგ დაბა ჩხოროწყუს გავლით – სამხრეთით. მდ. ოჩხომურის ხეობას ორი მნიშვნელოვანი ციხე კურზუ და ნაფიჩხოვო აკონტროლებდა, რომლებიც ამ მდინარის სხვადასხვა ნაპირზე იდგა და ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს კეტავდა [მურღულია ნ. 2011: 58-71].

მდ. ოჩხომური ხომაკირდის ციხიდან სამხრეთით, 9 კმ-ში, მდ. ხობისწყალს უერთდება. საინტერესოა, რომ ამ ორი მდინარის შეერთებამდე სწორედ ხომაკირდეს ციხესთან ისინი ერთმანეთისგან ძალიან ახლოს მიედინება, შემდეგ შორდება და მოშორებით ერთდება. ეგრისის სამეფოს ციხეებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი დიდი ნაწილი მდინარეების შესართავთანაა აგებული (შორაპანი: ყვირილა-ძირულა; ვარდციხე: რიონი-ყვირილა-ხანისწყალი; ტოლები: რიონი-ცხენისწყალი-ხევისწყალი და სხვ.). ამიტომ შესაძლებელია დავუშვათ, რომ უწინ ეს ორი მდინარე უფრო ჩრდილოეთით, ხომაკირდის ციხის მახლობლად უერთდებოდა ერთმანეთს (სურ 10).

ხობისწყლისა და ოჩხომურის შეერთების ადგილიდან სამხრეთით, 9 კმ-ში, ხობისწყალს უერთდება კიდევ ერთი მდინარე – ზანა. სწორედ მათი შეერთების ადგილას სოფ. გაღმა საჯიჯაოსა და სოფ. ხორშის საზღვარზე მდებარეობს ციხე, რომლის დანიშნულებაც ამ ორი მდინარის გადაკვეთის ადგილას გაერთიანებული გზების გაკონტროლება და ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო, ისევე, როგორც ხომაკირდის ციხისა ოჩხომურ-ხობისწყლის შეერთების ადგილას. ხორშის ციხის გავლის შემდეგ მდ. ხობისწყალი მკვეთრად უხვევს დასავლეთისკენ და 8 კმ-ის გავლის შემდეგ მას მდ. ჭანისწყალი უერთდება. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მდინარეების შეერთების ადგილას, მარჯვენა სანაპიროზე, ერთ-ერთ მაღალ მთაზე მდებარეობს ჯახუთის ძნელად მისასვლელი და კარგად დაცული ციხე. ციხიდან საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი როგორც ჩრდილოაღმოსავლეთით, ისე სამხრეთ მიმართულებით, ანუ სწორედ აღნიშნული ორი მდინარის აუზებისკენ, ეს კი აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჯახუთის ციხიდან რომელიღაც მნიშვნელოვანი გზის კონტროლი ხორციელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის შიდა ტერი-

ტორიის, ყველაზე უკეთ დაცულ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიწის დონეზე იკითხება დაუდგენელი დანიშნულების ნაგებობის კვალი (დაახლოებითი ზომები: 7მ X 9მ), რომელიც, შესაძლებელია, სასახლე ან ეკლესიაა (ნაგებობის ნაშთი დასავლეთ-აღმოსავლეთი დამხრობისაა), რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხე, სავარაუდოდ, რომელიმე მთავრის რეზიდენციაც იყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო-საფორტიფიკაციო თვალსაზრისით ციხე ისეთ მიუვალ ადგილასაა აშენებული, რომ იქიდან შეუძლებელი იქნებოდა ბარში მოძრავი მტრის რაზმის შეჩერება ან წინააღმდეგობის გაწევა. ჯახუთის ციხის ამშენებელმა აქცენტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის მიუვალობასა და დაცულობაზე გააკეთა და არა რომელიმე გზის ჩაკეტვასა თუ მტრის შეფერხებაზე.

***მდ. ჭანისწყლის გამაგრების ხაზი.*** მდ. ჭანისწყალი სამეგრელოს ერთ-ერთი წყალუხვი და გრძელი მდინარეა. ის სათავეს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებზე, 200 მეტრ სიმაღლეზე, იღებს. მდინარის სრული სიგრძე 63 კმ-ია.

მდ. ჭანისწყლის ხეობაზე სვანეთისა და სამეგრელოს დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა. ამის დადასტურებაა IV-VI საუკუნეებით დათარიღებული სქურის ციხე, რომელიც დღევანდელი წალენჯიხის რაიონში მდებარეობს [ზაქარაია პ., კაპანაძე თ., 1991: 158]. ციხე აგებულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ხეობის დაბალ წერტილში, იმ გათვლით, რომ ხეობაზე მოძრავი მგზავრი მისი გვერდის ავლით ვერც სამხრეთით – სამეგრელოს ტერიტორიაზე მოხვდებოდა და ვერც ჩრდილოეთით – სვანეთისკენ შეძლებდა გზის გაგრძელებას. ასევე საინტერესოა, რომ სქურის ციხის სიახლოვეს სვანეთიდან წამოსული გზა ორად იყოფოდა – ერთი მდინარის გასწვრივ სამხრეთ-დასავლეთისკენ, ბარისკენ, მიემართებოდა, ხოლო მეორე – მთების გავლით აფხაზეთისკენ. სწორედ ამ ორი გზის გადაკვეთის ადგილას იყო აგებული სქურის ციხე და, შესაბამისად, ის ეგრისის სამეფოში გამავალ მნიშვნელოვან გზებს აკონტროლებდა [მურღულია ნ. 2011: 138].

სქურის ციხიდან სამხრეთ-დასავლეთით, 1 კმ-ში, მდ. ჭანისწყალი ვიწრო ხეობიდან გამოდის და შედარებით გაშლილ ადგილებზე მიედინება. როგორც მდ. ხობისწყალს, ჭანისწყალსაც ორივე ნაპირიდან მცირე ზომის (200-300 მ) მთები აკრავს გარს. სქურის ციხიდან ჯახუთის ციხემდე, სადაც მდ. ჭანისწყალი მდ. ხობისწყალს უერთდება, 45 კმ-იანი სიგრძის მონაკვეთზე, მდინარის გასწვრივ დღემდე ეგრისის სამეფოს პერიოდის მხოლოდ ორი ციხეა გამოვლენილი – სოფ. ჭაქვინჯასა და სოფ. ძველ ხიბულაში. ორივე მდ. ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე საკმაოდ მაღალ მთებზეა აშენებული და, შესაბამისად, ამ ორი ციხის კოშკებიდან მდ. ჭანისწყლის თითქმის მთელი ხეობა იზვერება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მდინარის გასწვრივ ამ ორი ციხის გარდა სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებიც გამოვლინდება. ამის თქმის საფუძველს ეგრისის სამეფოს სხვა თავდაცვით ხაზებზე დაკვირვება იძლევა, მაგ., უნაგირა მთის ან ხობისწყლის გამაგრების ხაზები, სადაც ციხესიმაგრეების ერთმანეთთან უფრო ახლოს მდებარეობს. გარდა ამისა, თავად მდ. ჭანისწყლის ხეობაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს,

რომ მის ზედა მონაკვეთზე, სქურისა და ჭაქვინჯის ციხეებს შორის, კიდევ ერთი შუალედური საფორტიფიკაციო რგოლი უნდა არსებულიყო. ასეთ ადგილად ჩვენ დღევანდელი წალენჯიხის რაიონის სოფლების, ლესალეს და საჩინოს მიდამოები მიგვაჩნია. ეს სოფლები მდებარეობს მცირე მთაზე, რომელიც მოხერხებული ადგილია ციხესიმაგრისათვის. ამ მთის მახლობლად მდ. ჭანისწყალს მარჯვენა (ჩრდილოეთ) მხრიდან უერთდება მდ. ინწრა. აქვე უნდა ითქვას, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შეტანილია ციხის ნანგრევები სოფ. საჩინოში [http://www.tsalenjikha.ge]. თუმცა, მისი ზუსტი ქრონოლოგია განსაზღვრული არ არის. მომავალმა დაზვერვებმა, შესაძლოა, დაადასტუროს ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრება ამ რეგიონში ეგრისის სამეფოს პერიოდის ციხის არსებობის შესახებ (სურ. 11).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მდ. ჭანისწყალზე მდ. ხობისწყალთან ერთად IV-VI საუკუნეებში მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომელიც ეგრისის რიონისპირა და ცენტრალურ რეგიონებს სამეფოს ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებთან აკავშირებდა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ხიბულისა და ჭაქვინჯის ციხეებზე ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო ფენებთან ერთად განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ფენებიცაა გამოვლენილი [ზაქარაია პ. 2002: 89-94; ჩიტაია გ. 2007: 50-52], რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭანისწყალზე გამავალ გზას თავისი სავაჭრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არც მოგვიანო პერიოდში დაუკარგავს.

## დასკვნა

ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვით სისტემას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მთლიანად სამეფოს თავდაცვაში. სისტემაში შემავალი თავდაცვითი ხაზები სხვადასხვა მიზნისა და ამოცანისთვის იყო შექმნილი. მათგან უმთავრესი უნაგირა მთის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული გამაგრების სისტემა იყო, რომელიც სამეფოს ცენტრალურ მონაკვეთს (დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორია) აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი თავდასხმებისგან იცავდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ უნაგირა მთის 35 კმ-იან ხაზზე ერთმანეთის მიჯრით 9 სიმაგრე იყო აგებული, მათ შორის, სამეფოს დედაქალაქი ნოქალაქევი-არქეოპოლისიც.

სამეფოს ცენტრალურ მონაკვეთს სამხრეთიდან ნოჯიხევი-ეკისა და ურთის მთის თავდაცვითი ხაზები იცავდა და, შესაბამისად, ამ მხარიდან იქ შეღწევა რთული უნდა ყოფილიყო; საფიქრებელია, რომ უფრო დასავლეთით – კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთი მონაკვეთი ეგრისის სამეფოს არსებობისა და უფრო მოგვიანო პერიოდშიც ძლიერი დაჭაობების გამო გაუვალი იქნებოდა და იქ მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის შექმნა აუცილებელი არ იყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეგრისის სამეფოს ყველაზე ნაკლები საფრთხე სწორედ დასავლეთიდან, ანუ შავი ზღვიდან მოელოდა, რადგან ამ მხარის

პოლიტიკურ მდგომარეობას ეგრისის მოკავშირე ბიზანტია აკონტროლებდა.

ლაზიკის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილოეთ მისადგომებს, ანუ ეგრისის კალთებზე არსებულ ხეობებს სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში გაერთიანებული სიმაგრეები იცავდა.

საგულდაგულოდ იყო დაცული ქვეყნის ცენტრალური ტერიტორიის სამდინარო და სახმელეთო გზებიც. ამას მდ. ხობისწყალსა და ჭანისწყალზე მდებარე მძლავრი თავდაცვითი ხაზები მოწმობს. როგორც ჩანს, ამ ორ მდინარეზე (ოჩხომურთან, ტეხურასა და სხვა შედარებით მცირე მდინარეებთან ერთად) სამეფოს მნიშვნელოვანი გზები გადიოდა, რომლებიც ცენტრალურ მონაკვეთს ქვეყნის ჩრდილოეთ (სვანეთი), ჩრდილო-დასავლეთ (აფხაზეთი), სამხრეთსა (რიონისპირა) და სამხრეთ-დასავლეთ (ფაზისი) ნაწილებთან აკავშირებდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის აღმოსავლეთი საზღვრები უნაგირა მთის აღმოსავლეთით ბუნებრივად იყო გამაგრებული მდ. ცხენისწყლით. ამ ხაზს საგანგებოდ იცავდა ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ნესოსი, ტელეფისი და ონოგურისი. სამივე ეს ციხე ბიზანტია-ირანის ომების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და რომელიმეს დაკარგვა ან მოპოვება დიდ სამხედრო წარმატებად აღიქმებოდა ეგრისის ფრონტზე [გეორგიკა. 1965;. 1936]. სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრების მიხედვით, ნესოსი რიონ-ცხენისწყლის [გრიგოლია გ. 1994: 112-140] ან რიონ-ტეხურის [გეორგიკა. 1936: 98-99; 160-161] შეერთების ადგილზე მდებარეობდა. ტელეფისი დღევანდელ სოფ. ტოლებში გამოვლენილ ციხესთანაა გაიგივებული, ხოლო ონოგურისი, პარმენ ზაქარაიას მოსაზრებით, აბედათის ციხეა. მიუხედავად იმისა, რომ ეს იდენტობა ჯერაც საკამათოა, პირადად ჩვენთვის ეჭვს არ იწვევს ის მოსაზრება, რომ ონოგურისი ნოქალაქევსა და ქუთაისს შორის, მდ. ცხენისწყლის ხეობიდან გამოსვლის სიახლოვესაა საძიებელი [გეორგიკა. 1936: 59-63]. შესაბამისად, საკამათო არ უნდა იყოს, რომ სამივე ეს პუნქტი აღმოსავლეთი და დასავლეთი ეგრისის გამყოფ ხაზზე მდებარეობდა და VI საუკუნის ეგრისის დიდი ომიანობის დროს სამეფოს ცენტრალურ, დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთებს აღმოსავლეთ ეგრისში გაბატონებული სპარსელებისგან იცავდა.

NIKOLOZ MURGULIA

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nikomurgulia@yahoo.com

# THE FORTIFICATION SYSTEM OF THE CENTRAL PART OF THE LAZICA (EGRISI) KINGDOM

## Summary

The fortification system of the Lazica Kingdom in the 4th-6th cc. included several subsystems according to their roles. Those subsystems worked in different geographical areas of the country and they operated against concrete dangers.

The defense of the central part of the Lazica Kingdom was one of the most important problems for the country which situated within the borders of modern Samegrelo region. That region was bordered by the Tskhenistskali river from the east, the Rioni river from the south, the Black Sea from the west and by the Enguri river and Egrisi ridge from the north side.

The more detailed and verified information was collected about the fortification system of the central part of the Lazica Kingdom by us during a large-scale investigation carried out in Samegrelo region in 2010. The old materials have been crosschecked and filled by new data (GPS coordinates, Google Earth images, digital photos, measurements, drawings, etc.). As a result, most of the 4th-6th cc. castles, discovered in Samegrelo region have been united in a fortification system of the central part of the Lazica Kingdom. The total quantity of such castles is nineteen, but the amount of them can rise after the future prospect and investigation.

The central part of Lazica system was situated in the junction of mountains and plain. There are three main types of the landscape in that region: hills, gulches, wide gorges and lowlands. Such a multifarious landscape was very convenient for the creation of fortification system, as well as, for the appearing of new settlements.

The central part of Lazica system was a geographical centre of West Georgia. There was situated the capital of the Kingdom - Nokalakevi-Archaeopolis. It had a perfect location for the successful control of all parts of the country (for example: north-west Abkhazia or south-east Imereti). According to the historical sources, archaeological and old cartographical data, we can suppose, that very important and strategic roads were crossing territories of modern Samegrelo region from the ancient times, especially in the period when the Lazica Kingdom was a powerful state (4th-6th cc.). The central Lazica was connected with Abkhazia, Imereti and Guria regions.

The north-east line of the fortification system of the central part of the Lazica Kingdom was situated on the south-west slope of Egrisi ridge. That part of the system

was located in Tsalenjikha, Martvili and Chkhorotsqu districts.The castles of that region were built on the tops of high hills and in gorges to protect danger from the north (Svaneti, North Caucausus). Those castles (Kurzu,Napichkhovno,Osindale, and Tskuri) were united in the fortification system of north-west part of the the Lazica Kingdom. To the south-west of that region - in modern Martvili and Senaki districts and castles were located in the south and east slopes of Unagira mountain, creating one fortification line. To the west from Unagira mountain - were Khobi and Zugdidi districts, castles situated in Urta mountain slopes. Besides that, most of Lazica castles situated across rivers. This means that for choosing the place, it was necessary to set up castles not only to have a but to erect them nearby a river mountain landscape. The first reason for this was water supply. Such long rivers as Tekhuri, Ochkhomuri, Chanistsqali and Khobi could be used as important and strategic trade routs too (Fig. 1).

## ბიბლიოგრაფია


**ბერიძე თ. 1981:** ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბილისი.

**გამყრელიძე გ. 1999**: ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ისტორიაზე. *სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში.* გვ. 12-21. თბილისი-ზუგდიდი (რედ. ი. ანთელავა).

***გეორგიკა.* 1965:** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. თბილისი (რედ. სიმ. ყაუხჩიშვილი).

***გეორგიკა.* 1936:** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. თბილისი (რედ. სიმ. ყაუხჩიშვილი).

**გოგაძე ე. 1982:** *კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა.* თბილისი.

**გრიგოლია გ. 1994:** ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ცენტრების (ნეოსი, ტელეფსისი) ლოკალიზაციისათვის. *არქეოლოგიური კრებული.* I. გვ. 112-140. თბილისი (რედ. გ. ავალიშვილი).

**ზაქარაია პ. 2002:** *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია.* თბილისი.

**ზაქარაია პ. კაპანაძე თ. 1991:** *ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება.* თბილისი.

**ლომიტაშვილი დ. 2003:** *ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII – ახ.წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი).* დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

**ლომიტაშვილი დ.. მურღულია ნ. 2010:** კვაუთის ციხის კომპლექსი. *კულტურულ-საისტორიო ძიებანი.* გვ. 187-195. თბილისი (რედ. მ. მშვილდაძე).

**ლომოური ნ. 1981:** ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი). *ნოქალაქევი-არქეოპოლისი.* I. გვ. 18-45. თბილისი (რედ. პ. ზაქარაია).

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.

**მიქელაძე თ. 1985:** *კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები.* თბილისი.

**მურღულია ნ. 2011:** ნაფიჩხოვო და კურზუ - ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონებიდან. *ამირანი.* XXIII. გვ. 58-71. თბილისი (მთ. რედაქტორი პ. ბუხრაშვილი); http://www.caucasology.com/amirani23/murgulia.djvu
**მურღულია ნ. 2011:** ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა IV-VI საუკუნეებში (კვლევის მეთოდები). *სემმ,* № II (47-B). გვ. 135-147. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).
*საქართველოს გეოგრაფია.* **2001:** თბილისი.
**ჩიტაია გ. 2007:** *ფოთისა და ხობის ეპარქია. ისტორიული ძეგლები. თბილისი.*
**ჯიბლაძე ლ. 1997:** *კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია,ქრონოლოგია და პერიოდიზაცია.* თბილისი.
**Апакидзе Д. 1991:** *Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа.* Тбилиси.
**http://www.tsalenjikha.ge/index.html#**

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** Google Earth გამოსახულება. ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის ციხეები და საზღვრები.
**სურ. 2.** Google Earth გამოსახულება. უნაგირა მთის გამაგრების ხაზი.
**სურ. 3.** Google Earth გამოსახულება. ეგრისის სამეფოს ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ სექტორების დამაკავშირებელი გზა თამაკონის გავლით.
**სურ. 4.** Google Earth გამოსახულება. გადასასვლელი უნაგირა მთაზე აბედათის ციხესთან.
**სურ. 5.** Google Earth გამოსახულება. უნაგირა მთის სამხრეთ-დასავლეთ (ქვედა) ზოლის გამაგრების ხაზი და გადასასვლელები.
**სურ. 6.** Google Earth გამოსახულება. ურთისა და უნაგირა მთების გამაგრების ხაზი.
**სურ. 7.** Google Earth გამოსახულება. მაჩხომერი-ნასკალუ-ყურუმულიას გამაგრების ხაზი.
**სურ. 8.** Google Earth გამოსახულება. გზა ურთას მთის თხემზე.
**სურ. 9.** ჯეგეთას კედლის ფრაგმენტი გასასვლელით.
**სურ. 10.** Google Earth გამოსახულება. მდინარეების – ოჩხომურისა და ხობისწყლის ხეობები, ხომაკირდის ციხის მახლობლად.
**სურ. 11.** Google Earth გამოსახულება. მდინარეების – ჭანისწყლის და ხობისწყლის გამაგრების ხაზები და მათ გასწვრივ გამავალი გზები.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Google Earth Image – Castles and borders of the fortification system of the central part of the Lazica Kingdom.
**Fig. 2.** Google Earth Image – Fortification line of Unagira Mountain.
**Fig. 3.** Google Earth Image – Road near Tamakoni castle, connecting the Lazica Kingdom central part to the North-West section.
**Fig. 4.** Google Earth Image – Crossing road on the Unagira mountain near the Abedati castle.
**Fig. 5.** Google Earth Image – Fortification line and crossing roads of South-West (lower) part of Unagira Mountain.
**Fig. 6.** Google Earth Image – Fortification line of Urta and Unagira mountains.
**Fig. 7.** Google Earth Image – Machkhomeri-Naskalu-Q'urumulia fortification line.
**Fig. 8.** Google Earth Image – Crossing road on the top uf Urta mountain.
**Fig. 9.** The fragment of Jegeta wall with an exit.
**Fig. 10.** Google Earth Image – Gorges of the Ochkhomuri and Khobistsqali near the Khomakirde castle.
**Fig. 11.** Google Earth Image – Fortification lines and roads parallel to the Tchanistsqali and Khobists'q'ali rivers.




სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.




სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.




სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.




სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 101-132
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 101-132

**არქეოლოგია**

**დავით ბერიკაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: d.berikashvili@yahoo.com

# ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები

ისტორიული სოფელი ოლოზი მდებარეობს ქალაქ გორიდან 14 კმ-ზე, მდ. ათრეულას ხეობაში. ის განფენილია მდინარის ორივე ნაპირზე და შემოსაზღვრულია შერეული ტყის მასივებით [ქსე. 1984: 522.]. სოფლის აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა ნაპირზე, დგას შირიმის თლილი ქვით ნაგები ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (6,9×10,8 მ), რომელიც სტილისტური ანალიზით X-XI საუკუნეებით თარიღდება [სიკძა. 1990:80-81]. ტაძრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით საჭირო გახდა მისი არქეოლოგიური გათხრა, რასაც დაეთმო ორი საველე სეზონი. ჩატარებული სამუშაოების განმავლობაში მიწის სტერილური და კულტურული ფენები აღებულ იქნა ტაძრის ინტერიერში, დასავლეთიის და სამხრეთის მინაშენებში, ჩრდილოეთის კედლის მიმდებარე ფართზე. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა ცოკოლის დონეზე მდებარე სამარხები [ბერიკაშვილი დ. 2011].

გათხრების დასაწყისისათვის ტაძრის საბჯენი თაღები, კამარა, აფსიდის კონქი და კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად ჩამონგრეული იყო. ეკლესიის სამხრეთი კარი 1 მ-ის სიმაღლეზე იყო შემორჩენილი, დასავლეთისა კი ნატეხი ქვით მთლიანად ამოშენებული დაგხვდა. გათხრების შედეგად ხანძრის ან სხვა სახის ანთროპოგენური ნგრევის კვალი არ გამოვლენილა. ვფიქრობთ, ასეთი მნიშვნელოვანი დაზიანება ტაძრის ადგილმდებარეობით უნდა აიხსნას: კერძოდ, მდინარის სიახლოვეს, მთის ფერდობზე, მდებარე ეკლესია მუდმივად განიცდიდა წყლისა და მეწყრული ქანების ზემოქმედებას, რაც აისახა კიდეც მის მდგომარეობაზე.

ტაძრის ჩრდილოეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 5 მეტრს აღემატებოდა. ის გარედან მთლიანად იყო დაფარული ფერდობიდან მოზვინული მიწით (სურ. 1-2). ეს გარემოება ქმნიდა მისი გადმონგრევის საშიშროებას, ამიტომ გათხრები სწორედ მისი გაწმენდით დაიწყო.

1 მეტრის სისქის ნაყარი ფენის აღების შემდეგ თხრილში გამოჩნდა უსისტემოდ ჩაყრილი გათლილი კვადრები, რომლებიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ჩრდილოეთ კედლის ნანგრევი იყო. გათლილი ქვები მოიცავდა 2 მეტრის სისქის ფენას, რომლის ქვეშ გამოჩნდა არქეოლო-

გიური მასალა. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო კერამიკა მიწის ზედაპირიდან 2,5 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა.

აღნიშნულ დონეზე დაღრმავების შემდეგ ტაძრის ცოკოლის სიახლოვეს გამოვლინდა ორ იარუსად განლაგებული სამარხთა ჯგუფი (სულ 20 სამარხი), რომელთაგან პრეპარაცია გაუკეთდა ზედა იარუსის შვიდ სამარხს (სურ. 3, 5).

ყველა ქვის ფილებით შედგენილი ინდივიდუალური ქვაყუთი იყო. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისკენ. მხოლოდ №-4 სამარხში აღმოჩნდა ზარაკის ფორმის ლითონის ღილები და თიხის უმნიშვნელო ფრაგმენტები; სხვა სამარხები უინვენტარო იყო. ტაძრის ჩრდილოეთით მიმდინარე სამუშაოების პარალელურად გათხრები წარმოებდა ეკლესიის დასავლეთით, სადაც გაიწმინდა მიწის 1,5 მ სისქის ფენითა და ნანგრევებით ამოვსებული მინაშენი (სიგანე 3 – მ; სიგრძე – 9,8 მ) (სურ. 4, 6). გაირკვა, რომ მინაშენი ტაძარზე გვიანდელია და მისი კედლები ეკლესიის ძირითად კედლებზე „გადაბმული" არ ყოფილა.

მსგავსი ვითარება დადასტურდა ტაძრის სამხრეთით, სადაც გათხრებმა გამოავლინა 3 მ სიგანისა და 11 მ სიგრძის გარშემოსავლელის ნაშთი. მოგვიანებით ის ქვის კედლით შუაზე გადაუტიხრავთ, თუმცა, მისი ორი სათავსო (ზომები: 2,5×3,8 მ; 2,5×4,8 მ) ერთმანეთს 1 მ სიგანისა და 2 მ სიმაღლის ღიობით უკავშირდებოდა (სურ. 4, 7). ტაძრის სამხრეთი მინაშენის გათხრების დროს გამოვლინდა გვიანდელი პერიოდის ორი უინვენტარო სამარხი. ორივე ინდივიდუალური ქვაყუთი იყო და ტაძრის ჩრდილოეთით შესწავლილ სამარხებთან შედარებით სტრატიგრაფიულად მაღლა მდებარეობდა.

ეკლესიის სამხრეთით ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ აქ გამოვლენილი მინაშენიც, მსგავსად დასავლეთისა, ტაძარზე მოგვიანებით მიუშენებიათ.

ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ ჩატარებულმა გათხრებმა საინტერესო ვითარება დაადასტურა. დადგინდა, რომ ტაძრის ჩრილოეთი და სამხრეთი კედლების სარინელს შორის სხვაობა 1,20 მ-ს აღწევს, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო რელიეფის თავისებურებით. გარდა ამისა, ტაძრის ფუნქციონირების გარკვეულ ეტაპზე სამხრეთიდან და დასავლეთიდან გარშემოსავლელი მიუშენებიათ, რითაც ეკლესიის შიდა ფართი საგრძნობლად გაზრდილა.

მნიშვნელოვანი იყო გათხრები ტაძრის ინტერიერშიც, სადაც ნაყარი ფენის სისქე 1,5 მ-ს აღემატებოდა. აქ გასაწმენდი ფენის სისქე მატულობდა აღმოსავლეთით და საკურთხეველთან მისი სიმძლავრე 2 მ-ს აღემატებოდა (სურ. 8). აღსანიშნავია, რომ საკურთხეველთან, უშუალოდ აღმოსავლეთ სარკმლის სიახლოვეს, 20 სმ სისქის მიწის ფენის მოხსნის შედეგად გამოვლინდა ტრაპეზის ქვა (80×40×40 სმ). ის აღმართული იყო ამბიონზე, რომელიც ეკლესიის იატაკიდან 90 სმ-ით მაღლა მდებარეობდა. აქვე გამოვლინდა ამბიონზე ასასვლელი ხუთსაფეხურიანი ქვის კიბე, რომლის პირველი საფეხურიც ტაძრის ქვის ფილებით მოგებული იატაკიდან იწყებოდა (სურ. 9). ინტერიერში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები –

კრამიტები და აგურები,რომლებიც,როგორც ჩანს,ტაძრის გადახურვისას იყო გამოყენებული. აქვე აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ლითონის ნივთები. ცალკე უნდა აღინიშნოს ტაძრის ინტერიერში, საკურთხევლის კედელზე გამოვლენილი ასომთავრული წარწერა, რომელიც მთლიანად ნაყარი ფენის ქვეშ იყო მოქცეული. წითლად შეფერილი მსგავსი წარწერა გამოვლინდა ტაძრის სამხრეთ ფასადზეც. აღსანიშნავია, რომ ამ წარწერის საერთო სიგრძე 1,5 მ-ს აღწევს და სამ სტრიქონადაა წარმოდგენილი. მსგავსად ინტერიერში გამოვლენილი წარწერისა, ეს უკანასკნელიც მთლიანად მიწით იყო დაფარული. მიგვაჩნია, რომ ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესიის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა აუცილებელია. მათი შინაარსის ამოკითხვა მეტ სიცხადეს შეიტანს ტაძრის ისტორიაში.

მრავალფეროვანია ის არქეოლოგიური მასალა, რაც ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიისა და ინტერიერის გათხრების დროს აღმოჩნდა. თიხის ნაწარმში განირჩევა სამშენებლო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ორი განსხვავებული პერიოდის მასალით წარმოდგება.

როგორც აღინიშნა, სამშენებლო კერამიკა, ძირითადად, კრამიტისა და ბრტყელი აგურის ნამტვრევებია. თითქმის ყველა ნიმუში ტაძრის ინტერიერში, იატაკის დონეზე, აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ისინი აქ გადახურვის ჩამონგრევის დროს მოხვდა. გამოვლენილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტების სიგრძე თანაბარია და 45-50 სმ-ს შორის მერყეობს. ისინი დამზადებულია მოწითალო, საშუალოდ გამჭლევებული თიხისაგან, ახასიათებს სხვადასხვა მინარევი და ხარისხიანადაა გამომწვარი. ბრტყელი კრამიტის სიგანე ვიწრო ბოლოში 30-32 სმ-ია, განიერ ბოლოში კი – 35-37 სმ. აკეცილი გვერდის სიმაღლე 4 სმ-ს აღწევს. ზოგიერთზე შეინიშნება გამოწვამდე თითით დატანილი დიაგონალური ხაზებით გამოყვანილი ჯვარი (სურ. 10-11). ღარისებური კრამიტისათვის დამახასიათებელია მაღალი ღობე, რომელიც ვიწრო ბოლოდან 10-12 სმ-ით არის დაშორებული. ღობის სიმაღლე 1,5-2,0 სმ-ია. იგი ზოგჯერ უშუალოდ გამოწვამდე კრამიტიდანაა ამოყვანილი, ზოგჯერ კი კრამიტის ზურგზე ცალკეა დაძერწილია. ამ ტიპის კრამიტს ახასიათებს გრძივი, რელიეფური ხოლი, რომელიც მას მთელ სიგრძეზე გასდევს. არის რამდენიმე ერთეული, რომელსაც აღნიშნული რელიეფური ხოლი არ აქვს და მათი ზურგი გლუვია (სურ. 12). ცალკე უნდა აღინიშნოს ღარისებური კრამიტები, რომელთაც ზემოდან ნაჭდევებიანი დეკორი ახასიათებს და ორი ნიმუში ანტეფიქსისა, რომელთაგან ერთ-ერთს შუბლზე თითის დაჭერით გამოყვანილი ჯვარი აქვს (სურ. 13-14).

ანტეფიქსების გამოყენება ეკლესიების სახურავის კიდეების შესამკობად შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისათვის უცხო არ ყოფილა [ჯღამაია ჯ. 1980]. ისინი ცნობილია მცხეთიდან, რუსთავიდან, სამთავისიდან, ალავერდიდან, ურბნისიდან, გურჯაანიდან, ვაჩნაძიანიდან, აკურადან, აღაიანიდან და სხვ. [ჯავახიშვილი ალ. 1962: 3; კალანდაძე ა. 1959: 15; ზაქარაია პ. 1965: 67]. ხშირად ანტეფიქსის შუბლზე სხვადასხვა სახის რელიეფური გამოსახულებაა (მცენარე, ცხოველი) მოცემული [ყიფიანი გ. 2001: 41; ბერიკაშვილი დ. 2011: 173]. თუმცა, ხში-

რია სადა ანტეფიქსების გამოვლენის შემთხვევებიც. ოლოზის ჯვრიანი ანტეფიქსის სიგრძე უახლოვდება აქაური ღარისებური კრამიტების სიგრძეს (40 სმ). მისი შუბლის სიმაღლე 20 სმ-ია, სიგანე კი 12 სმ-ს აღწევს. თავისი ფორმითა და ზომით იგი მსგავსია სამთავისის სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის ანტეფიქსებისა [მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ლომთაძე გ., გაგოშიძე გ. 2010].

სამთავისის კრამიტებს ჰგავს ოლოზის ბრტყელი და ღარისებური კრამიტებიც. ამავე ზომისა და ფორმის კრამიტები ცნობილია განვითარებული შუა საუკუნეების სხვადასხვა ძეგლიდან (ფიტარეთი, მანგლისი, კუმურდო, ალავერდი) და, ვფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარი კრამიტითა და ანტეფიქსებით უნდა ყოფილიყო გადახურული ოლოზის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაც.

არქეოლოგიური მასალის ის ნაწილი, რომელიც სამეურნეო დანიშნულების კერამიკით წარმოდგება, ძირითადად, ეკლესიის მინაშენის შიდა სივრცეში აღმოჩნდა. თიხის ნამტვრევები გვხვდებოდა ეკლესიის ჩრდილოეთ მხარესაც, ცოკოლის დონეზე, სადაც ზემოაღნიშნული სამარხები მდებარეობდა. კერამიკაში განირჩევა ორი განსხვავებული სახისა და პერიოდის მასალა. პირველ ჯგუფში ერთიანდება განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თეთრანგობიანი და მოჭიქული კერამიკა, მეორე ჯგუფში კი – გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წითელკეციანი კერამიკული ნაწარმი. მოჭიქული კერამიკა შედარებით მცირერიცხოვანია. თითქმის ყველა ნიმუში ტაძრის ცოკოლთან XI საუკუნის დონეზე აღმოჩნდა. მათთვის დამახასიათებელია წითელ კეცზე გადავლებული თეთრი ანგობი, ამოკაწრული ხაზები, წრეები და გამჭვირვალე, კამკამა ჭიქური (სურ. 30). არის ნიმუშები, რომელთაც თეთრ ანგობზე სოსანისფერი, მომწვანო და ცისფერი ლაქები ახასიათებს. აქ არ გვხვდება მცენარეული ან ცხოველური მოტივი, თუმცა, დამზადების ტექნიკით, ფორმებითა და ჭიქურის მაღალი ხარისხით ეს ნიმუშები XI-XIII საუკუნეების პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილ მასალას უახლოვდება [ჯაფარიძე ვ. 1956: 43; მინდორაშვილი დ. 2010: 30; მინდორაშვილი დ. 2005: 116-118]. მიგვაჩნია, რომ ოლოზში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა ღვთისმშობლის ტაძრის აგების თანადროულია.

შედარებით მრავალრიცხოვანია გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წითელკეციანი კერამიკა, რომელიც ტაძრის დასავლეთი და სამხრეთი მინაშენების გათხრების დროს აღმოჩნდა. განირჩევა ბრტყელძირიანი ქოთნისებური ჭურჭელი (სურ. 15), ღრუქუსლიანი და ბრტყელძირიანი ჯამები (სურ. 16, 17, 21-23), სქელკედლიანი კეცები (სურ. 19), პირგადაშლილი პროფილირებული თეფშები და ქობამომრგვალებული ქოთნები (სურ. 24-26). ჭურჭლის ძირითადი ნაწილი კარგად მოზელილი და მაღალი ხარისხის თიხისაგანაა დამზადებული, თუმცა, კეცებს უხეში და მსხვილმარცვლოვანი მინარევები ახასიათებს. პროფილირებულკედლიანი თეფშები წერნაქით წითლადაა შეღებული. რაც შეეხება დანარჩენ ჭურჭელს, ისინი ცეცხლისაგან შემურული და ზოგჯერ დახეოქილია. ძალზე დამახასიათებელია ამ კერამიკის ორნა-

მენტი ძირითადად, ამოკაწრული ხაზებით გამოყვანილი ტალღისებური დეკორი, ზიგზაგები, სამკუთხა და ოთხკუთხა ფიგურები და ნაჭდევები. ხშირია ნაკაწრი ხაზებით დაუდევრად გამოსახული ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ხაზები და მყარი საგნით ჩაჭდეული ნაწიბურები. იშვიათად, თუმცა მაინც, გვხდება რელიეფური ორნამენტი, რომელიც დაძერწილი ნაჭდევებიანი და ტალღოვანი ზოლებით არის წარმოდგენილი (სურ. 19, 20, 28, 29).

ოლოზში გამოვლენილი ზემოთ აღნიშნული კერამიკა ტიპურია საქართველოს ამ პერიოდის ძეგლებისათვის. სხვადასხვა ფორმის ქოთნები, ღრუქუსლიანი ჯამები, პირგადაშლილი თეფშები, წერნაქით შეღებილი ჯამები და ბადიები კარგადაა ცნობილი დმანისიდან [ჯაფარიძე ვ. 1956: ტაბ. LXVIII$_{7}$; კოპალიანი ჯ. 1996: ტ. XLII6], თბილისიდან [გრძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961: ტაბ. 20. სურ. 13; ტაბ. 21, სურ. 61; ტაბ. 25, სურ. 159; ტაბ. 34, სურ. 270], კვეტარის ციხიდან [მინდორაშვილი დ. 2007: 95], თელავიდან [ჩიკოიძე ც. 1974: 78] და მათი თარიღი XVI-XVII საუკუნეებით განისაზღვრება. ნაკაწრი, ტალღოვანი, სწორი და ამოღარული ხაზებით, ასევე წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით შემკული კოკები, ხელადები, დოქები და სხვა. ჭურჭელი ცნობილია ნარიყალიდან [არჩვაძე თ. 1974: 177]. ასეთივე ჭურჭელი გამოვლინდა თბილისის ქარვასლის არქეოლოგიური გათხრების დროს და თარიღდება XVIII საუკუნით [მინდორაშვილი დ. 2009: 10]. აღსანიშნავია, რომ ოლოზის გვიანი შუა საუკუნეების კერამიკა ძალზე უახლოვდება სამთავისის სამონასტრო კომპლექსის მესამე ფენის კერამიკულ ნაწარმს, რომლის თარიღი XV-XVI საუკუნეებით განისაზღვრება [მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ლომთაძე გ., გაგოშიძე გ. 2010; ბერიკაშვილი დ. 2010: 99-109]. მიგვაჩნია, რომ ოლოზის აღნიშნული კერამიკა ეკლესიის ფუნქციონირების მოგვიანო ხანას მიეკუთვნება და განისაზღვრება XV-XVI საუკუნეებით, როდესაც ტაძარზე გარშემოსავლელი მიუშენებიათ.

DAVID BERIKASHVILI

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: d.berikashvili@yahoo.com

## Summary

## ARCHEOLOGICAL EXCAVATIONS OF THE OLOZI VIRGIN'S CHURCH

Olozi church of the Virgin is located in village Olozi ( Gori region) and it dates back to the 10th-11th centuries.

The church is built of well cut blocks and has two entrances – one from the south and the other from the west, though the latter appeared to be closed up. Performing of reabilitation works of the church caused the need of archaeological excavations which lasted for two seasons.

After excavations were carried out in the interior of the church, an altar stone, an ambon and stone steps leading to the ambon were discovered. The excavations revealed an annex in western and southern parts of the church, which was added to the church later. Its walls have survived in 1-1.5 meters high. Various and interesting archaeological material has been found in its interior.

Excavations which were carried out in the northern part of the church revealed seven burial grounds which were individual graves and were made of flat, huge stones.

Archaeological material found in the Virgin church of Ozori belonged to two different periods.

The first and earliest period contained some glazed ceramics which date back to the 10th-11th centuries and coincide with the period when the church was built.

The second, later archaeological material consisted of red ceramics which date back to the 15th-16th centuries. It belongs to the period of time when the annex was added to the church.

## ბიბლიოგრაფია


**არჩვაძე თ. 1974:** თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი. *ფსაძ.* ტ. II. გვ. 174-178. თბილისი (რედ. ვ. ჯაფარიძე).

**ბერიკაშვილი დ. 2010:** სამთავისის მონასტრის ზეთსახდელი. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ჟურნალი.* V. გვ. 99. თბილისი (რედ. გ. მახარაძე).

**ბერიკაშვილი დ. 2011:** *ოლოზის ღვთისმოშობლის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო 2010-2011 წლების ანგარიში.* თბილისი.

**ბერიკაშვილი დ 2011:** ანტეფიქსები და კრამიტები სამთავისის სამონასტრო კომპლექსიდან. *სემმ.* ტ. II. გვ. 167-199. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).

**გრძელიშვილი ი. ტყეშელაშვილი ო. 1961:** *თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები.* თბილისი.

**ზაქარაია პ. 1965:** *ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება.* თბილისი.

**კალანდაძე ა. 1959:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წლის სეზონის ძირითადი შედეგებისათვის. *ისტორიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური სესიის თეზისები.* თბილისი.

**კოპალიანი ჯ. 1996:** *დმანისის ციხე.* თბილისი.

**მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ლომთაძე, გ., გაგოშიძე გ. 2009-2010:** *სამთავისის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ანგარიში.* თბილისი.

**მინდორაშვილი დ. 2005:** *არქეოლოგიური გათხრები ხევში.* თბილისი.

**მინდორაშვილი დ. 2007:** კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა. *სშაძ.* ტ. I. გვ. 90-95. თბილისი (რედ. რ. რამიშვილი).

**მინდორაშვილი დ. 2010:** *კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა.* თბილისი.

**მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ლომთაძე გ., გაგოშიძე გ. 2010:** *სამთავისის კომპლექსური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში.* თბილისი.

***საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.* 1990**: ტ. V. თბილისი.

**ყიფიანი გ. 2001:** სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. *2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.* თბილისი.

**ჩიკოიძე ც. 1974:** თელავი გვიანფეოდალურ ხანაში. *ფსაძ.* ტ. II. გვ. 68-75. თბილისი (რედ. ვ. ჯაფარიძე).

**ჭლამაია ჯ. 1980:** *სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი.*

*ჯავახიშვილი ალ.* **1962**: *ურბნისი I.* თბილისი.

**ჭფარიძე ვ. 1956:** *ქართული კერამიკა XI-XIII სს.* თბილისი.

***ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* 1984:** ტ. VII. თბილისი.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესია გათხრების დაწყებამდე.
**სურ. 2.** ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი გათხრებამდე.
**სურ. 3.** ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი გათხრების დასრულების შემდეგ.
**სურ. 4.** ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესია. გენგეგმა.
**სურ. 5.** ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან გამოვლენილი სამარხები და ცოკოლი.
**სურ. 6**. ტაძრის დასავლეთი მინაშენი.
**სურ. 7.** ტაძრის სამხრეთი მინაშენი.
**სურ. 8.** ტაძრის ინტერიერი გათხრების დაწყებამდე.
**სურ. 9**. ტაძრის ინტერიერი გათხრების დასრულების შემდეგ.
**სურ. 10-11**. გათხრების დროს აღმოჩენილი ბრტყელი კრამიტები.
**სურ. 12-13**. გათხრების დროს აღმოჩენილი ღარისებური კრამიტები.
**სურ. 14.** ანტეფიქსისა და კერამიკის ნიმუშები.
**სურ. 15-17.** ბრტყელძირიანი ჭურჭლის ნიმუშები.
**სურ. 18.** ქოთნის ძირები და ორნამენტის სახეები.
**სურ. 19-20**. ქოთნის ფრაგმენტები და ორნამენტის სახეები.
**სურ. 21-23**. გათხრების დროს აღმოჩენილი ჯამები.
**სურ. 24-27**. პირგვერდის ნიმუშები და ორნამენტის სახეები.
**სურ. 28-29.** ორნამენტის სახეები.
**სურ. 30.** მოჭიქული კერამიკის ნიმუშები.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** The Virgin church of Olozi before excavations.
**Fig. 2.** Northern wall of Olozi church before excavations.
**Fig. 3.** Northern wall of Olozi church after excavations.
**Fig. 4.** The Virgin church of Olozi. Archaeological plan.
**Fig. 5.** Burial grounds at the northern wall of Olozi church.
**Fig. 6**. Western annex of Olozi church.
**Fig. 7.** Southern annex of Olozi church.
**Fig. 8.** Interior of Olozi church before excavations.
**Fig. 9**. Interior of Olozi church after excavations.
**Fig. 10-11**. Tiles from Olozi church.
**Fig. 12-13**. Striated tiles found during excavations.
**Fig. 14.** Samples of antefixes and ceramics from Olozi.
**Fig. 15-17.** Flat-bottomed pottery.
**Fig. 18.** Pieces of pottery and ornamentation types.

**Fig. 19-20**. Fragments of clay pots and ornamentation types.
**Fig. 21-23.** Bowls found during excavations.
**Fig. 24-27**. Pieces of pottery and ornamentation types.
**Fig. 28-29.** Types of ornamentations.
**Fig. 30.** Patterns of glazed pottery.

**სურ. 1 Fig.**




**სურ. 2 Fig.**




**სურ. 3 Fig.**




**სურ. 4 Fig.**

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.




სურ. 14 Fig.




სურ. 15 Fig.




სურ. 16 Fig.




სურ. 17 Fig.




სურ. 18 Fig.




სურ. 19 Fig.




სურ. 20 Fig.




სურ. 21 Fig.




სურ. 22 Fig.




სურ. 23 Fig.




სურ. 24 Fig.




სურ. 25 Fig.




სურ. 26 Fig.




სურ. 27 Fig.




სურ. 28 Fig.




სურ. 29 Fig.




სურ. 30 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 133-138
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 133-138

**ნუმიზმატიკა**

**მედეა შეროზია**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: m.sherozia@yahoo.com

# ოქროს მედალიონი სამთავროს სამაროვნიდან

1979 წელს ქალაქ მცხეთაში, სამთავროს ველზე, არქეოლოგიური სამუშაოების დროს (რაზმის ხელმძღვანელი გ. მანჯგალაძე) 445-ე ქვაყუთში აღმოჩნდა ოქროს მედალიონი (ინვ. №1537), რომლის დასამზადებლად, ჩვენი აზრით, გამოყენებულია მონეტა. გარდა მედალიონისა, სამარხში აღმოჩნდა კოლბისებური სანელსაცხებლის ძირი. სამწუხაროდ, კომპლექსი გამოუქვეყნებელია. მედალიონი ამჟამად დაცულია ქალაქ მცხეთის მუზეუმში.

მედალიონი მრგვალი, თხელი ოქროს ფირფიტაა, რომელსაც ოქროს ყური აქვს მირჩილული. წონა – 1,395 გრ. ზომა – 24-24 მმ. მედალიონის მხოლოდ ერთ მხარეს ანფასით გამოსახულია ტახტზე მჯდომი ფიგურა (კონსტანტინოპოლი), რომელსაც მუზარადიანი თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული. მარჯვენა გაწვდილ ხელში სფერო უჭირავს, მარცხენაში – გრძელი კვერთხი. გამოსახულებას შემოუყვება გაურკვეველი წარწერა (ლათინური ბერძნული ტრანსკრიფციით). მარცხნივ 7 ასო-ნიშანია – EICOCOC, მარჯვნივ 5 ასო-ნიშანი – COHOI. იქვე, ქვემოთ, ვარსკვლავია (ექვსქიმიანი?). გამოსახულებას შემოუყვება წერტილოვან–ხაზოვანი რკალი (სურ. 1).

ფირფიტა ძალზე თხელია, ამიტომ ზურგის მხარეს გამოკვეთილად მოჩანს შუბლის გამოსახულების ანაბეჭდი (სურ. 2).

ჩვენი აზრით, მედალიონისთვის გამოყენებული უნდა იყოს აღმოსავლეთ რომის მმართველ თეოდოს II-ის (408-450 წწ.) მიერ კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში მოჭრილი ოქროს სოლიდის ბარბაროსული იმიტაციის დასამზადებლად გამზადებული რევერსის სიქა.

იბერიის ფულად მეურნეობაში არსებობდა მინაბაძების მოჭრის ტრადიცია. ეს შეეხება როგორც ოქროს, ასევე ვერცხლის საფასეებს. იგულისხმება ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) დენარების ადგილობრივი მინაბაძები [შეროზია მ. 2009: 61-71].

დედნად გამოყენებული მონეტის რევერსი ასე გამოიყურება:

მარცხნივ მიბრუნებით მჯდომი პერსონაჟი (კონსტანტინოპოლი) მუზარადით, მხედრის სამოსელში; მარჯვენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია; მარცხენაში – სკიპტრა თუ კვერთხი, რომელიც მხარზე აქვს მიდებული; მარჯვენა ხელის იდაყვი ფარზე აქვს დაყრდნობილი; მარჯვნივ, მონეტის არეზე, რვაქიმიანი ვარსკვლავია. შემოწერილია:

VOTXXXMVLTXXXB – მონაკვეთს ქვემოთ – CONOB [აბრამიშვილი თ. 1965:31; Толстой Н. 1912:83].

ასეთივე სიუჟეტის მქონე სოლიდებს, მცირე სხვაობებით, ჭრიდნენ იმპერატორები არკადიუსი (395-408 წწ.), ვალენტინიანე III (425-455 წწ.) და იუსტინე II (565-578 წწ.).

გამოსახულება მედალიონზე საკმაოდ რეალისტურადაა შესრულებული. ის ბევრად არ ჩამოუვარდება შესაბამისი პერიოდის სოლიდებზე არსებულ გამოსახულებებს. მას აკლია მნიშვნელოვანი ელემენტი: სფეროს, რომელიც მარჯვენა ხელში უჭირავს ქალს (კონსტანტინოპოლს), თავზე ჯვარი უნდა ედგას – ქრისტიანობის სიმბოლო. ჩვენი აზრით, ჯვრის იგნორირება სიქის დამზადების დროს შემთხვევით არ მომხდარა. ეს ვითარება ქართლის სამეფოში ამ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების გამოძახილი უნდა იყოს.

მეხუთე საუკუნეში, განსაკუთრებით შუა პერიოდში, ირანელებს „... შეტევა მიუტანიათ ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგაც და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება დაუწყიათ [ქართლის ცხოვრება. 1955: 138]. „მეფეთა ამბავის" თანახმად, მირდატთან ბრძოლის დროს ირანელებმა „გარეუნნეს ეკლესიანი". ჯუანშერი უმატებს: „...და დამალეს ჯუარები ქართველთა,და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი" [ქართლის ცხოვრება. 1955: 138; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973: 83].

ზედწერილები მონეტაზე საკმაოდ კარგადაა შესრულებული, თუმცა, შინაარსის გარკვევა ჭირს. შესაძლებელია, ხელოსანს უნდოდა დაეწერა იმპერატორის სახელი თეოდოსი. შესაბამისად მონეტის შუბლის წარწერა ასეთია: DNTHEODOSIUS P F UC = Dominus noster Theodosius, perpentuus, filix, augustus („ბატონი თეოდოსი, მუდამ ბედნიერი"). მარცხნივ, მეტი ალბათობით, შეგვიძლია ამოვიკითხოთ – კონსტანტინოპოლი. ასეთი წარწერა უმეტესად მოთავსებულია გამოსახულების ქვემოთ და ნიშნავს კონსტანტინოპოლის ზარაფხანის მე-2 სახელოსნოს.

წარწერა ლათინურია, გადმოცემული ბერძნული ტრანსკრიფციით, რაც ამ ეპოქის მონეტებისათვისაა დამახასიათებელი, რადგან თანდათანობით ლათინური ანბანი და ენა ისპობა, შესაბამისად, ადგილს იმკვიდრებს ბერძნული და VI საუკუნის დასასრულისთვის ის უკვე სახელმწიფო ენაა. ეს სახელმწიფოს ცხოვრების მრავალ სფეროში და, მათ შორის, ფულის მოჭრის დროსაც ვლინდება (Аверинцев С. 1967: 409).

445-ე ქვაყუთი მცირეინვენტარიანია. სანელსაცხებლის ფრაგმენტი არ იძლევა მყარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. ზოგადად, კოლბისებური სანელსაცხებლები, დანიშნულების მხრივ, დასაკრძალავ რიტუალთან დაკავშირებული ჭურჭელია და ხშირადაა IV-V საუკუნეთა სამარხებში წარმოდგენილი [უგრელიძე ნ. 1967: 38]. ჭირს სამარხის მოწყობისა და, ამასთან, მედალიონის დამზადების კონკრეტული თარიღის დადგენა. ამ შემთხვევაში, თავად მედალიონია მთავარი დამათარიღებელი. სამარხეული კომპლექსი V საუკუნეში უნდა იყოს გამართული.

ამ პერიოდის სამონეტო მიმოქცევის შესწავლა ცხადყოფს, რომ იბე-

რიის სამეფოს ტერიტორიაზე V-VI საუკუნეებში აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან შემოდის და მიმოქცევაშია ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის საფასეები. VII საუკუნის ბოლოდან, არაბობის გააქტიურებასთან დაკავშირებით, მონეტების შემოსვლა შედარებით იკლებს [აბრამიშვილი თ. 1966: 24].

ჩვენი აზრით, მედალიონი და, შესაბამისად, მის დასამზადებლად გამოყენებული მონეტის მოსაჭრელად არსებული რევერსის სიქა ადგილობრივი ნივთია. მსგავსი ტიპის სამკაული სამთავროს სამაროვანზე [აფხაზავა ნ. 1979], ასევე იბერიის ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა. ხშირია მონეტების გადაკეთება სამკაულად. ამგვარი ნივთები სამთავროს სამაროვანზეც მრავალგზისაა აღმოჩენილი [Иващенко М. 1980: 83. Ил.184-186].

მედალიონი, როგორც სამკაული, არ არის მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ნაკეთობა, მაგრამ მის დასამზადებლად გამოყენებული მონეტის სიქა საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული. ეს ეხება როგორც გამოსახულებას, ასევე წარწერების ხარისხს. სიქა დამზადებულია ამ საქმის მცოდნე პირის მიერ.

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, საშუალებას გვაძლევს, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ III– IV საუკუნეების იბერიის სამეფოში რომაული აურეუსების იმიტაციიების მოჭრის არსებული ტრადიციები [Капанадзе. Д. 1970: 81; შერიზია მ. 2011: 247] გრძელდება V საუკუნეშიც. ამის დამადასტურებელი საბუთია მედალიონი სამთავროს სამოროვნიდან. ამ მოსაზრებას ამყარებს შემდეგი ინფორმაცია: 1903 წელს სოფელ გლდანში (თბილისის მიმდებარე ტერიტორია), მარილიანი ტბების ახლოს, ე. ა. რესლერის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს №1 სამარხში სხვადასხვა ნივთთან ერთად აღმოჩნდა V საუკუნის რომაული სოლიდის ბარბაროსული იმიტაცია [Пахомов Е. 1940: 31]. სამწუხაროდ, არ ვიცით, მინაბაძი რა ტიპის იყო. ასევე არ არის ცნობილი მისი დღევანდელი ადგილსამყოფელი.

MEDEA SHEROZIA

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: m.sherozia@yahoo.com

# GOLDEN MEDALLION FROM SAMTAVRO BURIAL

## Summary

In 1979 in town Mstkheta during the excavation works on Samtavro valley golden medallion (№1537) was discovered in stone box N445. We think that a coin was used fon producing of this medallion. Apart from medallion the bottom part of perfume container was also discovered.

The medallion is a thin round golden plate; it has golden handle attached to it. Weight: 1, 39 gr. size: 24 mm. The image is only on one side. It is a figure on the throne (Constantinople) sitting straight, with a helmet on the head which is turned left. He has a sphere in his right stretched hand and a wand in the left. The image is circled with obscure inscription (Latin with Greek transcription). There are seven letter-signs on the left EICOCOC and 5 letter-signs COHOI on the right. There is a six-pointed star near the image which is circled with dots.

The frontal image is well visible as the backside plate is too thin.

We think that for producing this medallion masters used existing form for minting barbaric imitation of golden solids of the Eastern Roman Empire ruler Theodosius II (408-450) coined in Constantinople mint house.

The image on the coin looks pretty realistic, it is not worse than the images on the solids of that period, only one detail is missing: sphere in the hand of a woman should have a cross on it.

Inscriptions on the coin are pretty well made, thought it is difficult to decipher their meaning; it's possible to read Constantinople on the left.

Stone box №445 must have been erected in the 5$^{th}$ c A.D.

We think that the medallion and correspondingly the coin mintage used for producing it was made locally. Similar to this piece of jewelry has not been discovered neither in Samtavro burial nor on the territory of Iberia.

The medallion has no high artistic value, but the mintage used to produce medallion is of high quality.

All this allows us to suppose that the existing tradition of minting the imitations of Roman aurei in the Iberian Kingdom in the 3$^{rd}$-4$^{th}$ cc. continued up to the 5$^{th}$ c. The medallion from Samtavro burial is a good proof of it.

## ბიბლიოგრაფია

**აბრამიშვილი თ. 1966:** *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები.* თბილისი.
**აფხაზავა ნ. 1979:** *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა.* თბილისი.
**უგრელიძე ნ. 1967:** *ადრეულ შუა საუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის.* თბილისი.
***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. 1973:** თბილისი.
***ქართლის ცხოვრება.* 1955:** ტ. I. თბილისი.
**შეროზია მ. 2009:** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ. *იბერია-კოლხეთი.* №5. გვ. 61-71. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).
**შეროზია მ. 2011:** რომაული აურეუსების ადგილობრივი (იბერიული) იმიტაციების ახალი ნიმუშები. *სემმ.* II. გვ. 247–259. თბილისი (რედ. ზ. თვალჭრელიძე).
**Аверинцев С.С. 1967:** Византийская литература IV-VII вв. *История Византии.* Т. I Москва (Ред. Сказкин С. Д.).
**Иващенко М. 1980:** Мцхета III. Тбилиси.
**Капанадзе Д. Г. 1970:** Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии. *ВДИ.* №4. С. 81-92. Москва.
**Граф Толстой Н.Н. 1912:** *Византийская монеты.* Вып.I. Санкт-Петербургъ.
**Пахомов Е.А. 1940:** *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа.* Вып. 3. Баку.

## ილუსტრაციის აღწერილობა

**სურ. 1.** მედალიონი, შუბლი.
**სურ. 2.** მედალიონი, ზურგი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Medallion, obverse.
**Fig. 2.** Medallion, reverse.

**სურ. 1 Fig.**

**სურ. 2 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 139-146
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 139-146

**ნუმიზმატიკა**

**ციალა ღვაბერიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

# ნახიდურის განძი

ნახიდურში (ბოლნისის რ-ნი), მდ. ქციის ხეობის ნაპირას, არქეოლოგიური გათხრების დროს № 272 ქვაბის იატაკში, 20 სმ-ის სიღრმეზე, ტილოს ქისაში აღმოჩნდა 21 სპილენძის მონეტა (აქედან 5 მონეტა ძალზე დაზიანებულია). ნახიდურის განძი[1] შედგება XII-XIII საუკუნეების პირველი ნახევრის ქართველი მეფეების სპილენძის მონეტებისაგან. მიუხედავად განძში შემავალი მონეტების მცირე რაოდენობისა, იქ მოხვედრილია სამი მეფის: 1. გიორგი III-ის (1156-1184) – 2 ცალი; 2. გიორგი III-ისა და თამარის (1178-1184) – 6 ცალი; 3. თამარის (1187) – 4 ცალი და 4. გიორგი IV ლაშას (1207-1223) – 4 ცალი მონეტა.

ნახიდური ლოკალიზდება გარდაბნის დასავლეთით, მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი არუხლოს ადგილზე. ნახიდური ძველი დროიდანვე „ხიდის თავი“ იყო. ამ ადგილს XII საუკუნის დასაწყისშიც „ნახიდური“ ეწოდებოდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, იგი ამ დროს მოქმედი ხიდი იყო, რომლის მოშლის შემდეგ ეს სახელი მიიღო ამ ადგილმა, ხოლო ხიდი კიდევ უფრო ადრე უნდა ყოფილიყო [ბერძენიშვილი ნ. 1966:75-76]. წერილობით წყაროში „ნახიდური“ იხსენიება XII საუკუნეში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან დაცულია ცნობა, რომ 1118 წელს მეფე დავითი „წარმოემართა ღანუხით წარსვლად რახსის პირსა და ზატიკი გარდაიხადა ნახიდურს“. [ქართლის ცხოვრება. 1955: 331]. ნახიდური, ამავე დროს, გზასაყარიც იყო. გარდა დმანის მარნეულისა, აქედან მიდიოდა გზები სამშვილდის, წინწყაროსა და მარაბდის მიმართულებით. აქ უძველესი დროიდან საბაჟო უნდა არსებულიყო [ბერძენიშვილი ნ. 1966: 76].

როგორც ჩანს, დმანისის გზაზე ნახიდური მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. თბილისიდან ნახიდურის გავლით გზა მიემართებოდა შუა საუკუნეების დიდ სავაჭრო ქალაქ დმანისსა და უფრო შორს, სომხეთისაკენ. ნიშანდობლივია, რომ ნახიდურში (არუხლო) 1974 წელს, მიწის სამუშაოების დროს, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირას თიხის ქოთანში აღმოჩნდა ქართულ-ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტების დიდი განძი (XIII ს.) [Джалаганиа И. 1979: 126-127] არქეოლოგიური გათხრების შედეგად და შემთხვევით აღმოჩენილი სამონეტო განძების არსებობა მიუთითებს, რომ ნახიდური შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო.

XII-XIII საუკუნეები ემთხვევა საქართველოს პოლიტიკური გაერ-

[1] განძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში №№ 25720-25735.

თიანების დასასრულსა და მის მძლავრ სამეფოდ ჩამოყალიბებას. საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ და ძლიერმა ეკონომიკამ შექმნა პირობები იმისთვის, რომ ქართული ფულის მოჭრა უწყვეტლივ წარმოებულიყო ქვეყანაში. XII საუკუნის დასაწყისიდან ქართული ფულის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა – იწყება ე.წ. ვერცხლის კრიზისი. მოვლენამ, რომელიც ცნობილია ამ სახელწოდებით, თავი იჩინა აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში. მან მოიცვა სამხრეთი კავკასია, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები, შუა აზია. „ვერცხლის კრიზისის“ დროს: ფულად მიმოქცევაში არსებული ვერცხლის მონეტები იცვლება სპილენძით, რომელსაც იძულებითი კურსით ვერცხლის ფასი ჰქონდა; სპილენძის მონეტა ცვლის ვერცხლს და იქცევა ე.წ. საკრედიტო მონეტად; გამოდის ე.წ. სწორი და არასწორი ჭედვის სპილენძის ფული; გაჩნდა სპილენძის დრამა, იგივე დირჰემი. ეს საფასე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით აკავშირებდა სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. გაერთიანებული საქართველოს მეფეები დემეტრე I-ის (1125-1156) დროიდან ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოში გამოშვებულ სპილენძის ფულზე ქართული ზედწერილების გვერდით ათავსებდნენ არაბულ წარწერას, რაც ეკონომიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. ამით ქართულ ფულს გზა ეხსნებოდა ისლამური მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე. შეიცვალა მონეტის გარეგანი სახეც. შემოხვევითი ფორმისა და ზომა-წონის ფულის ნიშნების ე.წ. არასწორად მოჭრილი მონეტების პარალელურად საქართველოში სწორი ფორმის მონეტებიც იჭრება.

აღნიშნული ხანა ხასიათდება სამონეტო განძების სიუხვით, რასაც ადასტურებს XII-XIII საუკუნეებში საქართველოში გამოშვებული ფულის ის დიდი რაოდენობა, რომელიც ათასეული ცალებითაა აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე.

ვიძლევით ნახიდურის განძის სამონეტო ტიპების აღწერილობას:

განძების ფონდი № 25721. სპილენძი, გიორგი III. წონა – 3,9 გრ., ზომა – 20/34 მმ.

Av. შუაში: გიორგის სახელის ინიციალი ასომთავსულით – „Ⴒ“, ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერილი: „მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი“.

Rv. არაბული ზედწერილი, ხალიფას სახელი: „ალ-მუკთაფი-ლიამრ ალაჰი, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“ (ტაბ. I-1).

გ.ფ. № 25720. სპილენძი. გიორგი III. წონა – 3,6 გრ., ზომა – 20/21 მმ.

Av. სამეფო სამოსელში გამოწყობილი გიორგი III შევარდნით მარჯვენა ხელზე. გიორგის სახელი მხედრული დამწერლობით – „გი“ და თარიღი ქორონიკონით – „394“ (=1174 წ.).

Rv. არაბული ზედწერილი: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი“ (ტაბ. I-2).

გ.ფ. № 25726. სპილენძი. გიორგი და თამარი. წონა – 2,04 გრ., ზომა – 13/14 მმ.

Av. ექვსბუდიანი ვარდულის ცენტრში გიორგის სახელი ასომთავრულით – „Ⴒ Ⴓ“. გარშემო ასომთავრული ზედწერილი: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“. მონეტის შუაში ჩაჭდეულია რუსუდანის დამღა № 1.

Rv. ვარდულის შუაში თამარის ასომთავრული ინიციალი – „Ꭲ“. გარე ბუდეებში: „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“. მონეტის შუაში ჩაჭდეულია რუსუდანის დამღა № 1. (ტაბ. I-3).

გ.ფ. № 25729. სპილენძი. გიორგი და თამარი. წონა –1,75 გრ., ზომა – 11/12 მმ.

Av. ექვსბუდიანი ვარდულის ცენტრში გიორგის სახელი ასომთავრულით – „Ⲗ“. გარშემო ასომთავრული ზედწერილი: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“.

Rv. ვარდულის შუაში თამარის ასომთავრული ინიციალი – „Ꭲ“. გარე ბუდეებში: „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“. მონეტის შუაში ჩაჭდეულია რუსუდანის დამღა № 2. (ტაბ. I-4).

გ.ფ. № 25725. სპილენძი. თამარი. 1187 წ. წონა –19.1 გრ. ზომა – 25/27 მმ.

Av. შუაში გამოსახულია თამარის ხელრთვა „თამარ“. გარშემო ასომთავრული ზედწერილი: „სახელითა ღვთისათა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 407“ (=1187 წ.). მონეტის კიდეზე ჩაჭდეულია დამღა „Ȯ“-დონი.

Rv. არაბული ზედწერილი: „დედოფალი დიდებული, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი, განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“ (ტაბ. II-5).

გ.ფ. № 25733. სპილენძი. გიორგი IV ლაშა. 1210 წ. წონა – 16,4 გრ, ზომა – 23/20 მმ.

Av. შუაში ასომთავრული ზედწერილი: „გიორგი, ძე თამარისი“. გარშემო: „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისა ამის ქორონიკონსა 430“ (=1210 წ.) მონეტის შუაში ჩაჭდეულია რუსუდანის № 1 დამღა.

Rv. შუაში არაბული ზედწერილი: „მეფეთა მეფე, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი“. გარშემო სპარსული ზედწერილი: „სახელითა უწმინდესის ღვთისა, იჭედა ესე ვერცხლი წელსა „430“ (=1210 წ.) (ტაბ. II-6).

საქართველოში „ვერცხლის კრიზისის“ დროს მონეტებზე გაჩნდა დამღები[22]. მონეტის დადამღვა, ე.ი. მასზე სპეციალური ნიშნის მოთავსება, მიზნად ისახავდა წინამორბედი, ბრუნვიდან გამოსული, ფულის გამოცოცხლებასა და მისთვის ნომინალური ღირებულების დაბრუნებას.

რამდენადაც სპილენძის ფული საკრედიტო მონეტა იყო, რომელიც იძულებითი კურსით მიმოიქცეოდა, ხელისუფლება დროდადრო ანახლებდა ბრუნვაში მყოფ ფულად მასას მონეტებზე დამღის დასმით. ხელახლა დადამღული მონეტა ნომინალური კურსით იბრუნოდა. ეკონომიკური მოსაზრებით გამოწვეული დადამღვის ეს ხერხი რეალურად ამცირებდა მონეტის გამოშვების ხარჯებს. ახალი მეფე დასტურს აძლევდა, რომ ხელმეორედ შესულიყო იგი ბრუნვაში. ცნობილია XII-XIII საუკუნეების პირველი ნახევრის დამღების თერმეტი სახეობა.

ქართულ მონეტებზე დამღა თამარისა და დავითის 1200 წლის

[2] ამჯერად ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რუსუდანის ორი დამღის დახასიათებით, რომლებიც მოთავსებულია ნახიდურის განძის საფასეებზე. ვამზადებთ სტატიას ქართული დამღების შესახებ.

სპილენძის ფულზე გაჩნდა. არაბული დამწერლობით შესრულებული მეფე თამარისა და დავითის სახელების ინიციალი ჩასმულია გვერდიგვერდ მოთავსებულ ორ ოთხკუთხედ ჩარჩოში. ეს დამღა გამოყენებული იყო მხოლოდ თამარისა და დავითის 1200 წლის მონეტების დასადამღად. იგი უკეთდებოდა თანადროულ მონეტას და არა მიმოქცევიდან გამოსულსა და განახლებულს, ე.ი. მას სხვა დატვირთვა ჰქონდა. იგი თვით დედოფლის სურვილით უნდა ყოფილიყო შემოღებული, რაც მათს ცოლ-ქმრულ ურთიერთობას აღნიშნავდა. მონეტაზე დაჭდეული ეს დამღა იძლეოდა სრულფასოვნების გარანტს, რომელსაც სახელმწიფო იძლეოდა. მეფე თამარისა და დავითის სახელებით აღბეჭდილი ეს დამღა მათი წინამორბედი ქართველი მეფეების არც ერთ მონეტაზე არ გვხვდება. არა გვაქვს „ვერცხლის კრიზისის“ დროინდელი დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დამღები.

ქართულ დამღებზე, როგორც წესი, სხვადასხვა ასო-ნიშნიანი, მონოგრამაა გამოსახული. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე მონეტაზე მოთავსებულია ორი სხვადასხვა დამღა. ზოგჯერ ერთ დამღაში ჩასმულია მეორე დამღა. ეს კი საშუალებას იძლევა დავადგინოთ რიგი და დრო, თუ როდის იხმარებოდა ესა თუ ის დამღა. ფაქტია, რომ ქართულ ფულზე მოთავსებული დამღები ქართველ მეფეთა სახელთანაა დაკავშირებული.

საქართველოში საკრედიტო ფულის დადამღვის წესი პირველად რუსუდან დედოფლის (1223-1245) დროს ჩნდება. ეს დამღა სპეციალურად დამზადებული იყო იმისთვის, რომ სპილენძის მონეტა კვლავ შესულიყო ფულად მიმოქცევაში. 1227 წელს რუსუდანმა შეწყვიტა არასწორი ფორმის სპილენძის მონეტების ემისია და წინამორბედი ქართველი მეფეების მიერ გამოშვებულ სპილენძის ფულზე დააჭდევინა დამღა.

რუსუდან მეფის 1227 წლის სპილენძის მონეტის ორნამენტულ შემკულობაში მოთავსებული, მისი სახელის მხედრული და ასომთავრული დამწერლობით შესრულებული მონოგრამები საშუალებას იძლევა გაიხსნას იმ დამღების შინაარსი, რომლებითაც მის დროსაა დადამღული საკრედიტო მონეტები. მონოგრამის დანაწევრებით მიღებულია მთავრული ასოებით შედგენილი რუსუდანის სახელი [აბრამიშვილი თ. 1961: 109-115; კაპანაძე დ. 1957: 491-495]. ცნობილია მეფე რუსუდანის რამდენიმე სახეობის დამღა. ნახიდურის განძის საფასეებზე რუსუდანის ორი დამღაა მოთავსებული.

დამღა № 1 რუსუდანის 1227 წლის მონეტის შუბლის ორნამენტულ შემკულობაში მოთავსებული მისი სახელის ასომთავრული დამწერლობით შესრულებული მონოგრამაა – „ᲩᲡᲥᲝᲠᲗ“ (სურ. 7).

დამღა № 2 № 1 დამღაა ოდნავი გამარტივებით (სურ. 8).

რუსუდან მეფის № 1 და № 2 დამღებით იდამღებოდა ყველა წინამორბედი ქართველი მეფის საკრედიტო მონეტა დემეტრე I-დან რუსუდანის მმართველობამდე.

ნახიდურის განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრება დაახლოებით 80 წლით. მისი დაფლვა უნდა მომხდარიყო XIII საუკუნის 60-იან წლებში.

TSIALA GHVABERIDZE

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave. 0105 Tbilisi, Georgia

# THE HOARD OF VILLAGE NAKHIDURI

## Summary

During the archeological excavations in the cave complex of village Nakhiduri (Bolnisi region) 16 copper coins were discovered (Giorgi III; Tamar and Giorgi and Lasha-Giorgi). These coins are preserved in the funds of The Georgian National Muzeum.

This epoch coincides with a big global-economical event which is known under the name of „The Silver Famine". Chronologically this period was defined in Georgia with 30th of the 12th-13th cc. It became typical for the Muslim world too. The peculiarity of „The Silver Crisis" is that in those countries the circulation of silver money was changed into copper currency. Starting with Demetre I, during one century, on the copper money which was minted in Georgia together with Georgian legends, were placed also Arabic inscriptions. The coin hoard from village Nakhiduri compiles with so-called „Silver Famine" period copper coins produced by Georgian kings. At that period of time hallmarks appear on coins.

The article shows the reasons of putting hallmarks on coins, their meaning is explained. It has been determined that hallmarks appear for the first time on Queen Rusudan's credit coins.

## ბიბლიოგრაფია

**აბრამიშვილი თ. 1961:** საქართველოს მუზეუმის ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამდები. *სსმ* XXII-B. გვ. 107-118. თბილისი (რედ. ან. აფაქიძე).

**ბერძენიშვილი დ. 1979:** *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი.* ნაკვეთი I. თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1966:** *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში.* თბილისი.

**დუნდუა გ. დუნდუა თ. 2006***: ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი (რედ. ა. ბოშიშვილი)

**კაპანაძე დ. 1957:** მ. ბარათაევისა და ვ. ლანგლუას ზოგიერთი განსაზღვრის შესახებ. სმამ XVIII № 4. გვ. 491-495. თბილისი (რედ. ო. გიგინეიშვილი).

**კაპანაძე დ. 1969:** *ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი.
*ქართლის ცხოვრება.* **1955:** ტ. I. თბილისი.
**Джалаганиа И. 1979:** *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* Тбилиси.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**
**სურ. 1.** გიორგი III (1156-1184).
**სურ. 2.** გიორგი III შევარდენით მარჯვენა ხელზე.
**სურ. 3.** გიორგი III და თამარი.
**სურ. 4.** გიორგი III და თამარი.
**ტაბ. II**
**სურ. 5.** მეფე თამარი. 1187წ.
**სურ. 6.** გიორგი, ძე თამარისი (1207-1223).
**სურ. 7.** დამღა № 1. რუსუდან დედოფლის დამღა.
**სურ. 8.** დამღა № 2. რუსუდან დედოფლის მცირე დამღა.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**
**Fig. 1.** Giorgi III (1156-1184).
**Fig. 2.** Giorgi III With a falcon on the right hand.
**Fig. 3.** Giorgi III and Tamar.
**Fig. 4.** Giorgi III and Tamar.
**Tab. II**
**Fig. 5.** Tamar 1187.
**Fig. 6.** Giorgi, son of Tamar (1207-1223).
**Fig. 7.** Simbolic sing # 1. Simbolic sing of Queen Rusudan.
**Fig. 8.** Simbolic sing # 2. Queen Rusudan`s small simbolic sing.

ტაბ. I Tab.



სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 147-155
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 147-155

**ნუმიზმატიკა**

**თინათინ ქუთელია**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: tinatinqutelia@yahoo.com

# XVII საუკუნის მონეტები სოფელ აბანოდან (კოდის განძი)

2007 წლის ზაფხულში სოფელ აბანოსთან (ქარელის მუნიციპალიტეტი), ნასოფლარ კოდაში, წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის ნანგრევებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გიორგი მიქელაძემ და მევლუდ სებისკვერაძემ იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც დაინაწილეს. გ. მიქელაძის ხელთ არსებული 22 მონეტა მე ვნახე და აღვწერე. დანარჩენი მონეტების მოძიება ვერ მოხერხდა 2008 წლის ომის გამო, რადგან ნასოფლარი კოდა უშუალოდ ოკუპირებული ტერიტორიის საზღვართან მდებარეობს. 2010 წლის 27 ნოემბერს ჩავედი სოფ. აბანოში და შევხვდი მ. სებისკვერაძეს, რომელსაც მონეტები (4 ცალი) აღმოჩენის ადგილას დაუბრუნებია. ჩემი იქ ყოფნის დროს მან ამოთხარა ეს მონეტები, გადმომცა მუზეუმისთვის შესაძენად და მიმასწავლა. აქვეა აღმოჩენილი კიდევ ერთი მონეტის ადგილსამყოფელი, რომელიც ადრე განსასაზღვრად თბილისში გამოუგზავნია. მუზეუმმა შეიძინა კოდის განძის ოცდაშვიდივე მონეტა, რომლებიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის განძების ფონდშია დაცული 33546-33572 ნომრებით.

კოდის განძში შედის 21 ცალი პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587-1632), 4 ცალი ბრანდერბურგ-პრუსიის კურფიუსტრ გეორგ ვილჰელმისა (1619-1640) და ირანის შაჰ სულეიმან I-ის (1667-1694) დროს მოჭრილი 2 მონეტა.

ევროპული და ირანული მონეტების ერთად აღმოჩენა იშვიათობაა. როგორც ჩანს, კოდაში მათი ერთად აღმოჩენა გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ აქ საქმე გვაქვს ეკლესიისთვის შეწირულ მონეტებთან და არ არის გამორიცხული, რომ ირანული და ევროპული მონეტები სხვადასხვა დროს იყო შეწირული, მით უმეტეს, რომ მათ შორის მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური სხვაობაა: უგვიანესი ევროპული ფული მოჭრილია 1624 წელს, ხოლო ირანული თარიღდება 1688 წლით. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ამ მონეტების ერთდროული ბრუნვა სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, რადგან ევროპული ორტას (ტალერის მეოთხედი) ნომინალური წონა ორჯერ მეტია ირანული მუჰამადის წონაზე, ხოლო XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს სამონეტო ბაზარს თითქმის მთლიანად იპყრობს თბილისის ზარაფხანაში ირანული

სისტემით მოჭრილი ფული.

საქართველოში აღმოჩენილი ევროპული მონეტები მონოგრაფიულად შეისწავლა ნუმიზმატმა რევაზ ქებულაძემ [ქებულაძე 1971]. წინამდებარე წერილი ძირითადად მის მონაცემებს ემყარება.

განძის პოლონურ მონეტებში გამოიყოფა ორი ტიპი.

პირველი ტიპის ყველა მონეტა მოჭრილია ქალაქ გდანსკში.

Av. შერწყმულ-წერტილოვან რკალში გამოსახულია გვირგვინოსანი მეფის პროფილი მარჯვნივ. რკალს გარეთ ლათინური ზედწერილია – მეფის სახელი და ტიტულატურა: SIGIS. III. D. G REX POL. M: D. L. R: PR (Sigismundus III dei gratia rex Poloniae, magnus dux Lithuaniae, Russiae, Prusiae – („სიგიზმუნდ III, ღვთის წყალობით მეფე პოლონეთის, დიდი მთავარი ლიტვის, რუსეთის, პრუსიის”).

Rv. შერწყმულ-წერტილოვან რკალში ქალაქ გდანსკის გერბია, რკალს გარეთ თარიღი – 1617 და ლათინური ზედწერილი: MONETA: CIVIT: GEDANENSIS (Moneta civitatis Gedanensis – „ქალაქ გდანსკის მონეტა”). წრიული წარწერა გარედან ხაზოვანი რკალითაა შემოსაზღვრული.

1. № 33546. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,14 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1617 წ. გახვრეტილი (სურ. 1).

2. № 33547. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,05 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1621 წ. (სურ. 2).

გდანსკის ზარაფხანაშია მოჭრილი განძის კიდევ 4 მონეტა, რომლებიც იმავე ტიპისაა, როგორიც ზემოთ აღწერილი, ერთი განსხვავებით: მოჭრის თარიღის პირველი ორი ციფრი – 1 და 6 მოთავსებულია ავერსზე, მეფის პორტრეტის ორ მხარეს, ხოლო ბოლო ორი ციფრი – რევერსზე, ქალაქის გერბის თავზე.

3. № 33561. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,70 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1623 წ. (სურ. 3).

4. № 33562. ვერცხლი. ორტა. წონა – 7,10 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624 წ. გახვრეტილი (სურ. 4).

5. № 33565. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,00 გ, დიმეტრი – 29 მმ. 1624წ. (სურ. 5).

6. № 33566. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,10 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1624 წ. ორგან გახვრეტილი (სურ. 6).

მეორე ტიპის ყველა მონეტა მოჭრილია ქალაქ ბოდგოშში.

Av. შერწყმულ-წერტილოვან რკალში გამოსახულია გვირგვინოსანი მეფის ბიუსტი მარჯვენა პროფილით. მეფეს მარცხენა ხელში უჭირავს ჯვრიანი სფერო, მარჯვენაში – მახვილი. რკალს გარეთ ლათინური ზედწერილია – მეფის სახელი და ტიტულატურა: SIGIS. III. D. G REX POL. M. D. LI. RVS PRVS. M (Sigismundus III dei gratia rex Poloniae, magnus dux Lithuaniae, Russiae, Prusiae, Mosoviae – („სიგიზმუნდ III, ღვთის წყალობით მეფე პოლონეთის, დიდი მთავარი ლიტვის, რუსეთის, პრუსიის, მოზოვოის“).

Rv. შერწყმულ-წერტილოვან რკალში საგერბო ფარია ლიტვა-პოლონეთის გერბით. გერბის თავზე გვირგვინია, ქვეშ – ხაზინადარ დანილოვიჩის გერბი, ფარის ორ მხარეს თარიღი: 16 – 22. რკალს გარეთ ლათინური ზედწერილია – მეფის ტიტულატურა: SAM: LIN: NECN SV GOT: VAN: Q: HRI. R. (Samogitiae, Livoniae, nec non Svecorum, Gothorum, Vandalorumque Hae-

reditarius rex – „სამოგიტიის, ლივონიის და აგრეთვე მემკვიდრე მეფე შვედების, გუთების, ვანდალების“).

7. № 33556. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,55 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1621 წ. (სურ. 7).

8. № 33555. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,30 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ.

9. № 33548. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,42 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1621 წ.

10. №33549. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,34 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1622 წ.

11. №33550. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,30 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ. გახვრეტილი

12. № 33551. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,75 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ. (სურ. 8).

13. № 33552. ვერცხლი. ორტა. წონა – 5,96 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ.

14. № 33553. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,25 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ.

15. № 33554. ვერცხლი. ორტა. წონა – 5,95 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ.

16. № 33559. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,45 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1622 წ.

17. № 33558. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,29 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1623 წ. (სურ. 9)

18. № 33563. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,22 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1623 წ.

19. № 33564. ვერცხლი. ორტა. წონა – 5,90 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1623 წ.

20. № 33557. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,23 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624 წ.

21. № 33560. ვერცხლი. ორტა. წონა – 5,85 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1624 წ.

გეორგ ვილჰელმი. ბრანდერბურგ-პრუსიის კურფიურსტი. კროსენის ზარაფხანა.

Av. შერწყმულ-წერტილოვან რკალში გამოსახულია გვირგვინოსნის პროფილი მარჯვნივ, მარჯვენა ხელში კვერთხით, მარცხენაში მახვილით. გერმანული ზედწერილი – მმართველის სახელი და ტიტულატურა – GEORG: WILHELM: V: G: G: M: Z: BRAN (Georg wilhelm von Gottes gnaden markgraf zu Branderburg – „გეორგ ვილჰელმი, ღვთის წყალობით მარკგრაფი ბრანდერბურგის“) და ზარაფის ნიშანი.

Rv. შერწყმულ-წერტილოვან რკალში საგერბო ფარია პრუსიის, ნიუნბერგის, კლეევსისა და ბრანდერბურგის გერბებით: საგერბო ფარის თავზე – გვირგვინი, გვერდებზე – თარიღის დასასრული – 22; ირგვლივ თოკისებური რკალით გარშემოვლებულია გერმანული ზედწერილი: D: H: R: R: ERT: C: V: CHVRF: I: P: Z: G: C: B: H: (Des heiligen Römischen Reichs ertz cämerer und churfürst in Prussen zu Gülich, Cleve, Berg herzog – „რომის საღვთო იმპერიის უფროსი ხაზინადარი და კურფიურსტი, ჰერცოგი პრუსიის, იულიხის, კლევსის ბერგის“).

22. № 33567. ვერცხლი. ორტა წონა – 6,35 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624წ. (სურ. 10).

23. № 33568. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,60 გ, დიამეტრი–30 მმ. 1624წ.

24. № 33569. ვერცხლი ორტა. წონა – 6,19 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624წ. (სურ. 11).

25. № 33570. ვერცხლი. ორტა. წონა – 6,19 გ, დიამეტრი– 30 მმ. 1624წ. (სურ. 12).

კოდის განძის ორი მონეტა, როგორც უკვე ითქვა, ირანის სეფიანი შაჰის, სულეიმან I-ის (1667 –1694) სახელით ხოვეიზაში მოჭრილი მუჰამადებია.

26. № 33571. ვერცხლი. მუჰამადი. წონა – 3,22 გ, დიამეტრი – 17 მმ. ჰიჯრით 1100 (წელი (=1688 წ.). სურ. 13).

27. № 33572. ვერცხლი. მუჰამადი. წონა – 3,52 გ, დიამეტრი – 19 მმ (სურ. 14).

კოდის განძის ევროპული მონეტები, როგორც ვხედავთ, მოჭრილია დროის ვიწრო მონაკვეთში, 1617-1924 წლებში და, ცხადია, რომ იგი დაფლული ან ეკლესიისთვის შეწირული უნდა იყოს 1624 წლის შემდგომ, ახლო ხანაში, სანამ ეს მონეტები საქართველოში იბრუნოდა. ცნობილია, რომ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს სამონეტო ბაზარს მთლიანად იკავებს ირანული ყაიდის ვერცხლის ფული, მოჭრილი თბილისის ზარაფხანაში, რომელიც ინტენსიურად ამუშავდა ქართლში როსტომის (1632-1658) გამეფების შემდეგ.

საყურადღებოა კოდის განძის შემადგენლობაც – 21 პოლონური და 4 ბრანდერბურგულ-პრუსიული მონეტა. ანალოგიური შემადგენლობისაა საქართველოში აღმოჩენილი კიდევ ორი სამონეტო განძი: ზესტაფონისა (30 პოლონური, 3 ბრანდერბურგულ-პრუსიული მონეტა) და თბილისის (19 პოლონური და 3 ბრანდერბურგულ-პრუსიული) განძები [ქებულაძე 1971: 112-117]. გარდა ამისა, ჭალკათში (ლანჩხუთის რაიონი), ზედაუბანში (ოზურგეთის რაიონი), ნოჯიხევში (მარტვილის რაიონი), ჯაგირაში (წალენჯიხის რაიონი), აბასთუმანში, თისელში, წყორძასა (ახალციხის რაიონი) და შინდისში (თბილისი, კრწანისის რაიონი) აღმოჩენილია პოლონური ფულის განძები [ქებულაძე 1971: 117-122]. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ხსენებული განძების ყველა პოლონური მონეტა ვერცხლის მცირე ნომინალია – ორტა ან პოლტორაკი (ორტას მეოთხედი) და ყველა მოჭრილია მეფე სიგიზმუნდ III-ის სახელით 1622-1626 წლებში, ხოლო სამ შემთხვევაში პოლონურ მონეტებთან ერთად განძებში მოხვედრილი ბრანდერბურგულ-პრუსიული მონეტებიც ეკუთვნის მარკგრაფსა და კურფიურსტ გეორგ ვილჰელმს და ისინიც იმავე წლებშია მოჭრილი. ცნობილია, რომ გეორგ ვილჰელმის მონეტები თვით პოლონეთშიც იყო მიმოქცევაში სიგიზმუნდ III-ის მეფობის დროს [ქებულაძე 1971: 123].

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ აღნიშნული მონეტები საქართველოში უნდა მოხვედრილიყო დროის ვიწრო მონაკვეთში უშუალოდ პოლონეთიდან, როგორც ჩანს, პოლონური ფული აქ შემოსულია შავი ზღვა-დნეპრის სავაჭრო გზით, რომლითაც ქართული და შირვანული აბრეშუმი ევროპაში გადიოდა შემახა-თბილისი-ქუთაისი-ანაკლია-კაფუ (თეოდოსიოპოლი)-დნეპრი-კიევი-ვარშავის გავლით და რომელიც XVII საუკუნის 20-იან წლებში უფრო უხიფათო იყო, ვიდრე გზა ირანიდან ევროპაში თურქეთის გავლით [ცინცაძე ი. 1966: 30, 56]. ამ გზამ საქართველოსთვის, კერძოდ კი ქართლის სამეფოსთვის, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა შაჰ-აბასის მიერ 1614-1616 წლებში კახეთის აოხრების შემდეგ, როცა საქართველოს გადაეკეტა შირვან-დერბენდ-ასტრახანის სავაჭრო გზა. უკრაინისთვის დნეპრის სავაჭრო გზის ფუნქციონირება შეწყდა რუსეთ-პოლონეთის 1648-1654 წლების ომის შედეგად [გაგოშიძე ი., ... 2000: 380].

TINATIN KUTELIA

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: tinatinqutelia@yahoo.com

# THE 17-TH CENTURY COINS FROM VILLAGE ABANO (Koda Treasure)

In 2007 a hoard of silver coins was revealed in the ruins near the altar of St. Tevdore church at the site of Koda, near Village Abano (Kareli Municipality). The treasure includes: four *ortas* of Poland King Sigizmund III (1587-1632) and of Georg Wilhelm, the Kurfuster of Branderburg-Prussia as well as two *mahmudis* of Suleiman, Shah of Iran (1667-1694). The Polish coins were coined at the Gdansk and Bodgosh mints in 1617, 1621, 1622, 1623 and 1624. The Branderburg-Prussian *ortas* were coined at the Krossen mint in 1624. Iranian coins were minted at the Khoveiza mint and the date can be discerned on one of them - AH1100 in the year of the *hijra* (=1688).

The European coins must have ended up in Georgia through the trade route Tbilisi-Kutaisi- Anaklia – Kafu (the Crimea) – Dnepr –Kiev – Warsaw, which was used to export Georgian and Shirvan silk to Europe and which was safer in the first half of the 17th century than the roads passing through Derbend-Astrakhan or Turkey. The Dnepr trade route seized to exist after the Russian-Polish War of 1648-1654.

A long chronological gap between the coins of the treasure – 1624 and 1688 – might be explained by the fact that these coins were donated to a church. However, their simultaneous circulation should not be excluded either, as weight of *mahmudi* is twice less than of the Europian orta

## ბიბლიოგრაფია

**გაგოშიძე ი., ანთაძე მ., ღვაბერიძე ც., წოწელია მ., ქუთელია თ., შეროზია მ. 2000:** *ფული საქართველოში.* თბილისი.

**ქებულაძე რ. 1971:** *ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში.* თბილისი.

**ცინცაძე ი. 1966:** *მასალები საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობის ისტორიისთვის XV-XVII საუკუნეებში.* თბილისი.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. გდანსკი. წონა – 6,14გ, დიამეტრი – 29 მმ. 1617 წ.
**სურ. 2.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. გდანსკი. წონა– 6,05 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1621 წ.
**სურ. 3.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. გდანსკი. წონა–6,70 გ, დიამეტრი – 29 მმ.1623წ.
**სურ. 4.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. გდანსკი. წონა–7,10გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624 წ.
**სურ. 5.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. გდანსკი. წონა –6,00გ, დიმეტრი – 29 მმ. 1624 წ.
**სურ. 6.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. გდანსკი. წონა–6,10 გ, დიამეტრი – 29 მმ. 1624 წ.
**სურ. 7.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. ბოდგოში. წონა–6,55 გ, დიამეტრი – 30 მმ.1621 წ.
**სურ. 8.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. ბოდგოში. წონა–6,75 გ, დიამეტრი – 30 მმ.1622 წ.
**სურ. 9.** ვერცხლი. ორტა. სიგიზმუნდ III. ბოდგოში. წონა–6,29გ, დიამეტრი – 29 მმ.1623 წ.
**სურ. 10.** ვერცხლი. ორტა. გეორგ ვილჰელმი. წონა – 6,35 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624 წ.
**სურ. 11.** ვერცხლი ორტა. გეორგ ვილჰელმი. წონა – 6,19 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624 წ.
**სურ. 12.** ვერცხლი. ორტა. გეორგ ვილჰელმი. წონა – 6,19 გ, დიამეტრი – 30 მმ. 1624 წ.
**სურ. 13.** ვერცხლი. მუჰამადი. წონა – 3,22 გ, დიამეტრი – 17 მმ. ჰიჯრით 1100 წელი(=1688 წ.).
**სურ. 14.** ვერცხლი. მუჰამადი. წონა – 3,52 გ, დიამეტრი – 19 მმ.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1**. Silver, orta. Sigismund III. Gdansk 1617. 6.14 g; 29 mm.
**Fig. 2.** Silver, orta. Sigismund III. Gdansk 1621. 6.05 g; 29 mm.
**Fig. 3.** Silver, orta. Sigismund III. Gdansk 1623. 6.70 g; 29 mm.
**Fig. 4.** Silver, orta. Sigismund III. Gdansk 1624. 7.10 g; 30 mm.
**Fig. 5.** Silver, orta. Sigismund III. Gdansk 1624. 6.00 g; 29 mm.
**Fig. 6.** Silver, orta. Sigismund III. Gdansk 1624. 6.10 g; 29 mm.
**Fig. 7.** Silver, orta. Sigismund III. Bodgosh 1621. 6.55 g; 30 mm.
**Fig. 8.** Silver, orta. Sigismund III. Bodgosh 1622. 6.75 g; 30 mm.
**Fig. 9.** Silver, orta. Sigismund III. Bodgosh 1623. 6.29 g; 29 mm.
**Fig. 10.** Silver, orta. Georg-Wilhelm. Krosen 1624. 6.35 g; 30 mm.
**Fig. 11.** Silver, orta. Georg-Wilhelm. Krosen 1624. 6.19 g; 30 mm.
**Fig. 12.** Silver, orta. Georg-Wilhelm. Krosen 1624. 6.19 g; 30 mm.
**Fig. 13.** Silver. Muhamadi. Suleiman I. Khoveiza. AH 1100 = 1688. 3.22 g; 17 mm.
**Fig. 14**. Silver. Muhamadi. Suleiman I. Khoveiza. 3.52 g; 19 mm.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 156-177
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 156-177

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**გულნარა კვანტიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: guliko-kvantidze@rambler.ru

# სავაჭრო ნაგებობანი გვიანშუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ბაზარი, აღებ-მიცემობის გარდა, ხელოსნური ნაწარმის დამზადების ადგილი იყო. შესაბამისად, მსგავსი დანიშნულების ნაგებობებს ქალაქებისა და დაბების ცენტრალურ ნაწილში განალაგებდნენ.

ბაზარი, როგორც სავაჭრო ცენტრი, უძველესი დროიდან მოწმდება საქართველოში. იბერიის ბაზრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტრაბონი, რომელიც ზოგადად მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ ბაზარს [ყაუხჩიშვილი ს. 1957: 125,127].

ადრეულ წერილობით ძეგლებში „ბაზრის“ ქართულ შესატყვისად ტერმინი „სავაჭრო“[1] გვხვდება. ქალაქის[2] (ტფილისის) ამირამ ქრისტიანობის რჯულზე მოქცეული აბო შეიპყრო. საპყრობილეში მყოფმა აბომ თავისი ტანსაცმელი „სავაჭროდ” გასცა, რათა აღებული თანხით მისთვის სანთელ-საკმეველი შეეძინათ [საბანისძე ი. 1987: 461].

ტერმინი „ბაზარი“[3] პირველად XII საუკუნეში მოიხსენიება. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, როდესაც ნესტანი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მულღაზანზარში მივიდნენ: „მოატყდეს მოქალაქენი, დაადგეს მუნ ბაზარია, შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია“ [რუსთაველი შ. 1937: 296].

სულხან-საბა „ბაზარს“ ზოგადად განმარტავს და აღნიშნავს, რომ ესაა „სავაჭრო ადგილი“ [ორბელიანი ს. 1991:91].

XVII-XVIII საუკუნეების წერილობით, ნარატიულსა და დოკუმენტურ მასალებში დაცული ცნობების თანახმად, შესაძლებლობა გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ „ბაზარი“ არ არის მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური

[1] „სავაჭრო” ზოგადი სახელია. ნიშნავს ადგილს, რომელიც ვაჭრობისათვის არის განკუთვნილი. ტერმინი „სავაჭრო” XII-XIII სს-ში გვხვდება და გასაყიდ საქონელს აღნიშნავს. ადრეულ ძეგლებში კი „სავაჭრო”, დაწესებულებას, ნაგებობას, მაღაზიას, დუქანს აღნიშნავდა [ჯავახიშვილი ივ. 1946: 54].

[2] საისტორიო წყაროებში, დოკუმენტურ მასალასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში, „ქალაქ”-ში იგულისხმება ქალაქი თბილისი, ხოლო „მოქალაქე” თბილისელს ნიშნავს.

[3] XI-XII სს-ის საქართველოში ბაზრის აღსანიშნავად იხმარებოდა სპარსული „ბაზარი” და არაბ. „შუკა”. „შუკა” არის იგივე „სუკ” (მრავლ. „ასვაკ”) – ბაზარი. ამ მნიშვნელობით იხმარება ეს არაბული წარმოშობის ტერმინი „ვეფხისტყაოსანში” („შუკასა მოდგნენ ვაჭარნი”) [გაბაშვილი ვ. 1976: 23].

მდგომარეობის მაჩვენებელი. მისი შესწავლით საშუალება გვეძლევა, თვალი ვადევნოთ სოციალურ ფენათა საურთიერთობო პროცესებს. ის ცალსახად ასახავს ასევე ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას, იმის მიხედვით, თუ რომელ სახელმწიფოსთან ამყარებს ვაჭრობას და რა დამოკიდებულება არსებობს ამ ქვეყნებს შორის. სავაჭრო ურთიერთობებით ბაზარი თითქოს აბალანსებს კავშირს სახელმწიფოთა შორის, რაც, შესაძლოა, დადებითად აისახოს თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბაზარი ქალაქის ცოცხალი ორგანიზმია, სადაც სისხამ დილიდან გვიან ღამემდე (ზოგჯერ მთელი ღამითაც) არ წყდება საქმიანობა. სავარაუდოდ, ამ გარემოების გამო, მოედნებზე (იქ, სადაც ბაზრებია განლაგებული) მეფის ხელისუფლების შესაბამისი სამსახურები („ჯარჩები“) მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. შემოხვევითი არ უნდა ყოფილიყო ასევე ბაზართან დაკავშირებული ერთი საგულისხმო ჩვეულების არსებობა – სადღესასწაულო დღეებში ქალაქის (თბილისის) ბაზრების მორთვა და ჩირაღდნებით განათება.

გვიანშუასაუკუნეების საქართველოს თითქმის ყველა პატარა და დიდ ქალაქში ცენტრალური ბაზრებია დამოწმებული. ასეთი ქალაქებია: თბილისი (სურ.1), თელავი, გორი, გრემი, ძეგამი (ბაზარი), ანანური (სურ. 2). საგულისხმოა, რომ აღნიშნული პერიოდის საბაზრო ქალაქები ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის ცენტრებიც იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ოსტატს ხელობისათვის საჭირო დაზგა-იარაღი „დუქანში“ ჰქონდა გამართული, პროდუქციაც იქვე იქმნებოდა. საამისო ნივთმტკიცებულებად გამოდგება გრემის ნაქალაქარის „ქულბაქებში” აღმოჩენილი წიდები და დამწვარი ქურის ნაშთები [ჭილაშვილი ლ. 1980: 51].

ძირითადი ბაზრების გარდა, რელიგიურ დღესასწაულებზე დროებითი ბაზრობები[4] (ყოველკვირეული, ყოველთვიური, ყოველწლიური) იმართებოდა.

ბაზრობა-დღესასწაული კახეთში იცოდნენ ალავერდობას (14 სექტემბერი ძვ.ს.), სადაც პანკისელ ქისტებს მოთელილი თეთრი შალი და „დაშოლტილი“ საქუდე ნაბდები გამოჰქონდათ გასაყიდად. დაღესტნიდან ხუნძური შალი შემოდიოდა, ქუთაისიდან – იმერული; ბაზარზე იყიდებოდა ასევე აზერბაიჯანიდან შემოტანილი ბრინჯი და კაკალი. ადგილობრივების გარდა, ხილს ზაქათალელი ლეკები ჰყიდდნენ. რძის ნაწარმი, კი თუშებსა და ხევსურებს შემოჰქონდათ [აბესაძე ნ. 1986: 74].

დროებითი ბაზრობა იმართებოდა ქიზიყში. სადაც სახორცე საქონელი კახეთის ახლომდებარე სოფლებიდან შედიოდა. თიხის ჭურჭელი – ბოდბისხევიდან, კაკაბეთიდან და თელავიდან, ხოლო ყველი და მატყლი – თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან [აბესაძე ნ. 1986: 74].

ქართლის ბაზრობა – დღეობებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეჯვრისხევის[5] ბაზრობა, სადაც მთიდან (ცენტრალური კავკასიის

[4] დროებითი ბაზრობები ქრისტიანულ ქვეყნებში კვირაობით და რელიგიურ დღესასწაულებზე იმართებოდა, მუსლიმანურ ქვეყნებში კი – პარასკეობით [გაბაშვილი ვ. 1946: 20].

[5] სოფ. მეჯვრისხევი მთისა და ბარის შუა ტერიტორიულ ზოლში მდებარეობს. ცნობილია, რომ მთისა და ბარის ზოლი ორი მეურნეობის დაახლოების სარბიელია; ზეგნით ახერხებს ბარი მთიანეთზე გავლენას, ზეგნითვე ეზიარება მთა ბართან ურთიერთობას [ბერძენიშვილი ნ. 1965: 242].

მთიანეთიდან) მოდიოდა მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა, ცხენი, მატყლი, ოსური და ლეკური შალი; საოჯახო-სამეურნეო დანიშნულების ნივთები. ბარი კი აღნიშნულ ბაზრობაზე ქალაქური ხელოსნობის პროდუქციას წარმოადგენდა. მაგ., ხაბაზი და მექალამნე-წუღასა და ქალამანს; დერციკი-სამოსს. დედაკაცები შინ ნამზად ჩახსაკრავებსა და ყაითნებს ჰყიდდნენ; მჭედლები ნაჭედი ნივთებით ვაჭრობდნენ [აბესაძე ნ. 1986: 74].

ზემოთ მიმოხილულ ბაზრებთან შედარებით, XVII-XVIII საუკუნეების უცხოურსა და ქართულ წერილობით წყაროებში, დოკუმენტურ მასალებსა და მოგზაურთა ჩანაწერებში გაცილებით მეტი ცნობებია შემონახული თბილისის ბაზრების შესახებ.

თბილისის ბაზარი ძლიერ მოსწონებია იტალიელ მისიონერ დიონიჯო კარლის. ის ქალაქში ერთ-ერთ ლამაზ ადგილად ბაზარს მიიჩნევდა [გიორგაძე ბ. 1951: 155]. ალექსანდრე დიუმას კი ნუხის ბაზრის დახასიათებისას უპირატესობა თბილისის ბაზრისთვის მიუნიჭებია: „სათვალავში არა მაქვს თბილისის ბაზარი. . . . აქ კეთდება და იყიდება ხალიჩები, იარაღი, უნაგირები, სავაზნეები, ბალიშები, სუფრები, ფაფახები, ჩოხები, ყოველგვარი ფეხსაცმელი, დაწყებული მთიულური ქალამნებით, ქართული წუღებით გათავებული“ [დიუმა ალ. 1964: 238].

არც ტურნეფორისთვის დარჩენილა თბილისური ბაზარი შეუმჩნეველი. მისი განსაკუთრებული ყურადღება ხილის სიუხვეს მიუქცევია: „ქალაქში ბაზარი საინტერესო სანახავია, . . . ჩვენ საშუალება გვქონდა თბილისის ბაზარზეც გაგვევლო. აქ ყველანაირი ჯიშის ხილი იყიდებოდა, განსაკუთრებით კი ბევრი იყო ქლიავი და მშვენიერი მსხალი“ [ტურნეფორი ჟ. 1988: 66].

თბილისის ბაზრით დაინტერესება, ვფიქრობ, ძირითადად, სამი მიზეზით უნდა ყოფილიყო განპირობებული: თბილისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქალაქთაშორისო სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდებარეობდა; თბილისის ეკონომიკურ პოტენციალზე გარკვეულწილად დამოკიდებული იყო მთელი კავკასია. და ბოლოს,თბილისი იყო საკვანძო ქალაქი. ის თავს უყრიდა არა მარტო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოდინებულ საქონელს,არამედ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის შინახელოსნურ ნაწარმსაც.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ გეგმებზე თბილისში სამი დიდი ბაზარია აღნიშნული. აქედან პირველი ორი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჩანს: ბაზარი „მეფის მოედანთან“ და ბაზარი „თათრის მოედანზე“; მესამე ბაზარი მეტეხის გალავნის შიგნით ყოფილა გამართული, რომელიც 1782 წლის გეგმაზე „სურსათ-სანოვაგის ბაზრის“ სახელწოდებითაა დატანილი (სურ. 3) [მესხია შ. 1983: 638].

თბილისური ბაზრების დაგეგმარებასა და სავაჭრო-სახელოსნოების ჩინებულ აღწერილობას გადმოგვცემს იოანე ბატონიშვილი მისი „კალმასობის” მთავარი გმირი-იპოდიაკვანი იოანე ბერ ფუჟუროს ქალაქის გასაცნობად თავდაპირველად, ბაზარში შეიყვანს: „ . . დაიწყეს მეიდნიდამ წასვლა,შევიდნენ ხარასხანის ბაზარში,იხილეს მუნ ოქრომჭედლები, მსხდომარენი დუქნებში. . . .მერე მივიდნენ მექოშეებთან, იხილეს ყოველი დუქანი სავსე ქოშებით და მაშიით. . .რა გაიარეს მცირე,

იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზად. . . .“ [ბატონიშვილი ი. 1990: 480].

იოანე ბატონიშვილის ბაზრის აღწერილობა ემთხვევა 1782 წელს ფრანგების მიერ შედგენილ გეგმას. გეგმის მიხედვით,„მეფის მოედნის“ ირგვლივ, განლაგებული ყოფილა სხვადასხვა სახელოსნო-სავაჭრო.

სამივე შემთხვევაში მოცემული ბაზრის აღწერილობა მოგვაგონებს იმდროინდელ თბილისში არსებულ „რასტასა“ და „ჩორსუბაზარს“. ბაზრის სახელწოდებები საკმაოდ ხშირადაა ნახსენები XVII-XVIII საუკუნეების ბაჟის, ნიხრის, მზითვის, მოქალაქეთა ნასყიდობისა თუ გარიგების წიგნებში. მაგალითისათვის მოვიხმობთ ზოგიერთ მათგანს: 1683 წლის 8 ივნისის შედგენილ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ:

„ . . . მკვიდრი მამული იყო რასტაბაზრის ჩარსუსაშია, თქვენსა დუქნებსა წინა. . .“ [ბერძენიშვილი ნ. 1962: 36] ან კიდევ 1689-1693 წლების ნასყიდობის წიგნი, მიცემული „დავითა შერგილასშვილისაგან გოშპარასადმი: „მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული . . . რასტაბაზარში ერთი ჩვენი ქულბაქი თავის ფასდუქნით. . . . აწე არის ეს ქულბაქი: ერთი გვერდი ხოჯა ბარხუდარას ქულბაქი, ერთი გვერდი ყაიბულას ქულბაქი, უკან გვერდი აბესალამანთ და მანთაშას სახლის კედელი . . “ [ბერძენიშვილი ნ. 1962: 50].

„რასტაბაზარი“[6] შედგებოდა გრძელი სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობებით დაკომპლექტებული რიგებისაგან. იგი თაღიანი კარიბჭით ბოლოვდებოდა, რომელიც ღამე იკეტებოდა. აღნიშნულ ბაზარს ჟან შარდენი, დაგეგმარების გამო გრძელ ბაზარს უწოდებს [შარდენი ჟ. 1986: 97].

„რასტაბაზრის“ ბოლო, თაღიანი ნაწილიდან მნახველი „თათრის მოედანზე“[7] ხვდებოდა. იქიდან იწყებოდა „ჩარსუ“, ანუ „ჩორსუბაზარი“[8]. ეს იყო გუმბათოვანი გადახურვის, ოთხკუთხა მოხაზულობის სავაჭრო ცენტრი.

„ჩარსუბაზარი”, ისევე როგორც „რასტაბაზარი“, სავაჭრო-სახელოსნო დუქნებისა და „ქულბაქებისაგან“ შედგებოდა, სადაც, ძირითადად, სურსათ-სანოვაგით ვაჭრობდნენ. იქვე ყოფილა გამართული ალაფხანა[9] და საბაყლო[10]. ერთმანეთს ენაცვლებოდა მეოევზეთა და ყასაბთა რიგე-

---

[6] გვიანშუასაუკუნეებში ბაზრის აღსანიშნავად ფართოდ იყო გავრცელებული სპარსული წარმოშობის ტერმინები: „ჩორსუბაზარი” და „რასტაბაზარი”. „რასტაბაზარი” სიტყვასიტყვით სწორს, სწორფერდას ნიშნავს [გაბაშვილი ვ. 1976: 8]. ამგვარი განლაგების ბაზრები მოწმდება აღმოსავლეთის ქალაქებში, ირანში. ირანის ბაზარი დაცული იყო კედლით, რომლის ნახვრეტებიდან ბაზარში შედიოდა შუქი [კუზნეცოვა 1985: 98].

[7] გვიანფეოდალურ ხანაში აღნიშნულ ტერიტორიაზე სახლობდნენ სპარსელები და ოსმალოები. შესაძლოა, ამგვარი სახელწოდება სწორედ სპარსისა და ოსმალოს განზოგადებული სახელისაგან იყოს ნაწარმოები. „თათრის მოედანი” წერილობით წყაროებში სხვა სახელწოდებებითაც მოიხსენიება. ესენია: „ქვემო მოედანი”, „შეითანბაზარი”, „მეიდანი”. ჟან შარდენი ხსენებულ მოედანს „სამხედრო მოედანს” უწოდებს.

[8] „ჩარსუ”, „ჩორსუბაზარი” სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ოთხკუთხა ბაზარს, კერძოდ ბაზრის სავაჭრო ნაგებობათა იმ ნაწილს, რომელიც ცენტრალური გუმბათის ქვეშ იყო მოთავსებული. სიტყვის უძველესი ფორმაა „ჩავრუსუკ” (“savrusuk”) ბაზარი. ამგვარი ბაზრები არსებობდა ირანისა და შუა აზიის ქალაქებში. აქედანაა ნაწარმოები ახალსპარსული „ჩაჰარსუ”, სიტყვასიტყვით ნიშნავს ოთხკუთხა ბაზარს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება „ჩაჰარსუ”-ც [გაბაშვილი ვ. 1976: 24].

[9] მარცვლეულითა და ფქვილით მოვაჭრე.

[10] ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე.

ბი; მენაბდეებისა და მექუდეების დუქნები (სურ. 4) და სხვ. მოედნის ბოლოს ლილახანა ჰქონიათ გამართული [კვირკველია თ. 1985: 53].

როგორც ვხედავთ, გვიანშუასაუკუნეების თბილისი მდიდარი და მრავალფეროვანი სავაჭრო ნაგებობებით ხასიათდებოდა სადაც ნაირფეროვან სახელოსნო და სასურსათო დუქნებს (სურ. 5) შორის, ე.წ. მეწვრილმანეების დუქანში (სურ. 6). სამედიცინო მედიკამენტების შეძენაც შეიძლებოდა. ცნობილი იყო „ექიმის დუქნებიც“. საექიმო დუქნებს შორის, „თათრის მოედნის“ პირას მდებარე ექიმ არუთინას დუქანი პირველობდა, რომელიც მისთვის მეფე ერეკლეს „მკურნალობის ხელოვნებით კეთილად განსწავლისათვის“ უბოძებია [სცსია, ფ. 229, დავთ. 19].

გვიანფეოდალურ თბილისში ბევრი „ექიმი“ მსახურობდა. ექიმს „ჰაქიმს“, ხან „ჰაქიმბაშს“ უწოდებდნენ და როგორც ზემოთ ითქვა, მათ თავიანთი „აფთიაქები“ – საექიმო დუქნები ჰქონდათ გამართული. „ჰაქიმი“ რამდენიმეჯერაა მოხსენებული ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში: „გაგზავნეს და ჰაქიმი და ჯარა თან გაატანეს“; „ჰაქიმსაც მათი თქმული უქნია და შენარჩომი თვალის სინათლე მეორეთ წაუხდენია“ [გორგიჯანიძე ფ. 1925: 263].

იმ დროისთვის მოსახლეობას დიდი იმედი უნდა ჰქონოდა აქიმბაშებისა, რადგან ქალაქის მოხელეები (მელიქ-მამასახლისი და სხვ.) თურმე ხშირად მიმართავდნენ ხოლმე „დოხტურის“ რჩევას [საქართველოს სიძველენი. 1910: 383].

ამგვარად, XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში გვერდიგვერდ არსებული ორი ცენტრალური ბაზარი („რასტაბაზარი“ და „ჩორსუბაზარი“) მოწმდება. საინტერესოა, ხომ არ არსებობდა მათ შორის რაიმე ფუნქციური სხვაობა.

როგორც უკვე ითქვა, ორივე ბაზარი დუქან-ქულბაქებისგან შედგებოდა. ორივეში ერთი სახის პროდუქცია იქმნებოდა და იყიდებოდა. სხვაობა, შესაძლებელია, მხოლოდ არქიტექტურულ მონახაზში ყოფილიყო, ვინაიდან „რასტაბაზარი” ერთ სიგრძეზე ჩამწკრივებული დუქან-ქულბაქთა რიგი იყო, ხოლო „ჩორსუბაზარში” სავაჭრო-სახელოსნოთა განლაგება ოთხკუთხა მოხაზულობას ქმნიდა. აქედან გამომდინარე, ბაზრებს შორის, შესაძლებელია, მხოლოდ არქიტექტურული სხვაობა ყოფილიყო, ფუნქციური დატვირთვა კი ერთი ჰქონდათ.

XVII-XVIII საუკუნეების თბილისის ბაზრებთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო ჩვეულება შემოგვინახა ქართულმა საისტორიო მწერლობამ. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მცხოვრებლებს ბაზრის მორთვა, „ჩირაღდნით გაბრწყინება“ ჰქონიათ წესად. როდესაც მეფე თიმურაზ II-ს ირანის შაჰმა ნება დართო ქართლის მეფედ ქრისტიანული წესით კურთხევისა, ქალაქში გაიმართა ლხინი. ლილოდან მობრძანებულ მეფეს წინ შეეგებნენ დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი: „ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირაღდნით. იყო სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ მეჯლისი და ლხინი უზომო, სიხარული ფრიად . . . .“ [ორბელიანი პ. 1981: 82].

ქალაქისა და ბაზრის ჩირაღდნებით „გაბრწყინება” მეფე თეიმურაზს ომში გამარჯვების აღსანიშნავადაც უბრძანებია: „ბრძანა შადლუხი

და ჩირაღდანი ბაზართა, შეიქნა სროლა ზარბაზანთა, რომ კომლისაგან ქალაქი ადარ ჩანდა, მოროვნეს ბაზარნი და ადალამპრნეს და იყო სიხარული დიდი ქართლსა და კახეთში“ [ორბელიანი პ. 1981: 188].

ამგვარად, XVIII საუკუნეში სასიხარულო ამბებს გაჩირაღდნებულსა და მოროულ ქალაქში ზეიმობდნენ. არც ადრეულსა და არც გვიანი პერიოდის საისტორიო მწერლობაში (ფარსადან გორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე, ომან ხერხეულიძე და სხვები) მსგავსი შინაარსის ცნობა არ შეგვხვედრია. ქართლში ბაზრის გაჩირაღდნების ამბავს მხოლოდ პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი ან საიდან დამკვიდრდა აღნიშნული წესი ქართლში?

ვფიქრობთ, რადგან თხზულების შექმნის მიზანი პაპუნა ორბელიანისათვის იყო „აღეწერა ყოვლი ყოფილი” და არა მხოლოდ მეფეებისა და ომების ისტორია, მემატიანემ საჭიროდ მიიჩნია დაეფიქსირებინა აღნიშნული წესი, როგორც ერთ-ერთი საყოფო რეალია. რაც შეეხება სეხნია ჩხეიძისა და ომან ხერხეულიძის საისტორიო თხზულებებს, მათში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მეფეთა საგმირო და საომარ საქმეებზე. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პაპუნა ორბელიანისაგან განსხვავებით, სეხნია ჩხეიძემ და ომან ხერხეულიძემ არაფერი თქვეს აღნიშნულის თაობაზე.

რაც შეეხება ბაზრის გაჩირაღდნების წესის ქართლში დამკვიდრებას, კითხვაზე პასუხს ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაში“ ვპოულობთ. ავტორის მონათხრობით, ყაენის ჩამოგდებით გახარებულმა ისპაჰანის მოსახლეობამ ქალაქში ლხინი გამართა. ამ დღის აღსანიშნავად: „ . . .თხუთმეტს ღამეს სულ ბაზარი ღია იყო, რომ მცველი კაცი არ უდგათ, იყო ჩირახოვანი“ [გორგიჯანიძე ფ. 1925:24].

მემატიანეს გადმოცემით, სალხინო დღეებში ბაზრის გაჩირაღდნება ისპაჰანში ცოდნიათ. ეს ცნობა კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული წესი ქართლში (თბილისში) ირანიდან შემოსულა.

ბაზრის სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობების აღსანიშნავად გვიანფეოდალური ხანის ქალაქებსა და დაბებში აღმოსავლური ტერმინები – „ქულბაქი“ და „დუქანი“ გამოიყენებოდა. ამათგან, „ქულბაქი” შედარებით ადრინდელია, ვიდრე „დუქანი”. ის პირველად გვხვდება, ატენის 1060-1068 წლების წარწერაში: „ავაგე სახლი და ქოლბაქი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა“ [ბარნაველი ს. 1957: 39].

„ქულბაქები“ განირჩეოდა დანიშნულების მიხედვით: „იყვნენ ქულბაქნი მკერვალისა, ჭონის, მაზმანისა, გალატოზისა და ხუროსი“ [ჯავახიშვილი ივ. 1946: 55; მოხილვა წმინდათა. 1852:43-44].

ბუნებრივია, სხვაობა იქნებოდა ფართობშიც. ცნობილია, რომ „ქულბაქი”, როგორც ბაზრის ერთ-ერთი სავაჭრო ნაგებობა, ქალაქშიც იყო და სოფელშიც. ცხადია, სოფლის ქულბაქი ქალაქისაზე ნაკლები სიდიდის იქნებოდა. ესეც რომ არა, მისი სიდიდე უფრო მეპატრონის მატერიალურ შეძლებაზე იქნებოდა დამოკიდებული, ვიდრე სურვილზე [ჯავახიშვილი ივ. 1946: 55].

მოგვიანო პერიოდისთვის ქულბაქის გვერდით ჩნდება დუქანი, მაგ.: 1669 წლის 28 ივნისს შედგენილ გირაოს დახსნის წიგნში ორივე ტერ-

მინია ნახმარი: „ქ. ესე წიგნი მოგეცი თუმანიშვილმა ყალანდარამ, მდივანმან შიოშ, ჩემმან ძმამ მანუჩარამ, შენ, ხითარიშვილებს სარქისასა. . . ასე რომე თქვენი ოთხი რასტაბაზარის დუქანი მოქალაქეს გარსუას ყაზაზ არაქელასთან, სამი ქულბაქი ოცდაათ თუმნათ დაგვიგირავებია...“ [უჩანეიშვილი დ. 1967: 19].

შემდგომ წლებში კი „ქულბაქს” იშვიათად თუ შეხვდებით დოკუმენტურ მასალებში. მას ენაცვლება ტერმინი „დუქანი“[11].

ტერმინის „დუქანი” – ყოფაში დამკვიდრება როსტომის (1632-1658) მეფობის პერიოდს ემთხვევა. ამ დროისათვის სპარსული კულტურის გავლენა მეტად ძლიერია ქართულზეც და ქართლში ადრეულ პერიოდში შემოჭრილ უცხოურ რეალიებზეც.

გვიანშუასაუკუნეების დოკუმენტურ წყაროებში „დუქნები” ვიწრო სპეციალობების მიხედვით ჩანს დაყოფილი. ასეთებია, მაგალითად: „მექუდეების დუქანი”, „მეჭურჭლეების დუქანი”, „მექვაბეების დუქანი” (სურ. 7) და სხვ. [მესხია შ. 1982: 648].

„დუქნის” არქიტექტურულ მოდელთან დაკავშირებით შესაძლოა ითქვას, რომ არაა დადგენილი ერთი განსაკუთრებულად გამოკვეთილი ტიპის ნაგებობა. ნასყიდობის ზოგიერთ დოკუმენტში ნახსენებია თაღიანი გადახურვის დუქანი, რომელსაც „თაღბანიან დუქანს“ უწოდებდნენ [სცსია, ფ. 229, დავთ. 14]. მოწმდება ასევე შეისრულთაღიანი ქულბაქები [ჭილაშვილი ლ. 1980: 49] და რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ეს არის ორსართულიანი დუქნების არსებობა, რომლის პირველ სართულზე მესაკუთრის ოჯახი ცხოვრობდა[12], მეორე სართულს კი სავაჭროდ გამოიყენებდნენ: „მოგყიდე ორი ქულბაქი და ქულბაქს ქვეშ სახლი“ [სცსია, ფ. 229, დავთ. 1] ან კიდევ,„დუქანი თავისი ძირი სახლით და დერეფნით“ [სცსია, ფ. 227].

XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში) დუქნებს, ძირითადად, ქვისგან აგებდნენ, რადგან სამშენებლო მასალა უმთავრესად ქვა და აგური იყო. დასავლეთ საქართველოში კი უფრო მეტად ხის დუქან-ფარდულებია დამოწმებული. რაც შეეხება ფართობს, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, „დუქანთა” საერთო ფართობი 15 კვ. ადლიდან 30 კვ. ადლს აღწევდა [მესხია შ. 1983: 648].

ამგვარად, ორივე ტერმინი – „ქულბაქიცა“ და „დუქანიც“ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობის ზოგადი აღმნიშვნელი ტერმინია, შესაბამისად, ბაზრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მათ განასხვავებენ ზომის, ფორმისა და მასალის მიხედვით. კიდევ რა სხვაობა შეიძლება იყოს მათ შორის? 1689-1693 წლებში შექმნილ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: “ახლა ჩვენ დაგვუჭირდა და მოგყიდე რასტბ(ა) ბაზარში ერთი ჩვენი ქულბაქი თავისი ფასდუქნით“ [ბერძენიშვილი ნ. 1962: 50]. ტექსტიდან გამომდინარე, გასაყიდ „ქულბაქს“ თავისივე „დუქანი“, „ფასდუქანი” ჰქონია. („ფას”-იგივე წინა მხარე, ფასადი). წინააღმდეგ

[11] დუქანის სინონიმი უძველეს ქართულ ძეგლებში არის „საფარდული” და „სამოსასყიდლო” [ქმკელ. 2011: 103].

[12] შედარებით გვიან, XIX საუკუნეში, ფოტოგრაფ ერმაკოვის ფოტოებზე დაკვირვებისას, აღმოჩნდა, რომ ორსართულიანი დუქნების მეპატრონეს პირველ სართულზე სავაჭრო ფასდუქნები აქვს გამართული, მეორე სართულს კი საცხოვრებელ ფართად იყენებდნენ (სურ. 8).

შემთხვევაში, თუ ორივე ტერმინი იდენტური მნიშვნელობისაა, გამყიდველს შეეძლო მრავლობითი რიცხვით გადმოეცა ქულბაქის ან დუქნის რაოდენობა, როგორც ეს სხვა დოკუმენტებშია აღნიშნული. ამასვე გვაფიქრებინებს, დუქნების მიჯრით განლაგება ბაზრის სამომხმარებლო მხრიდან, სადაც უშუალო გარიგება მიმდინარეობდა გამყიდველსა და მყიდველს შორის. მაშასადამე, მას მაღაზია-დახლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ხოლო ქულბაქი დუქანზე მიდგმული დანამატი ფართი უნდა იყოს. გამოდის, რომ ყველა „დუქანს“ თავისი სასაწყობე, დანამატი ფართი – „ქულბაქი“ ჰქონია. ყოველივე ზემოთქმულის მტკიცებულებად მოვიშველიებთ ზემოთ მოხმობილი ერთ-ერთი დოკუმენტის შინაარსს: „ქ. ესე წიგნი მოგეცი თუმანიშვილმა ყალანდარამ, მდივანმან შიომ, ჩემმან ძმამ მანუჩარამ, შენ, ხითარიშვილებს სარქისასა. . . ასე რომე თქვენი ოთხი რასტაბაზარის დუქანი მოქალაქეს გარსუას ყაზაზ არაქელასთან, სამი ქულბაქი ოცდაათ თუმნათ დაგვიგირავებია. ამ შემთხვევაშიც ორივე ტერმინია გამოყენებული. თუმანიშვილებს ხითარიშვილებისთვის რასტაბაზრის ოთხი „დუქანი“ მიუყიდიათ, ხოლო სამი „ქულბაქი“ ვინმე გარსუა ყაზაზ არაქელასთვის ჰქონიათ მიქირავებული.

ცნობილია აგრეთვე, რომ დუქნის უკან მდებარე სასაწყობო ფართში ვაჭარ-ხელოსნებს გარკვეული სიდრმის ორმოები ჰქონდათ გაჭრილი. ორმოში ნაკვერჩხლიანი ნახშირი ეყარა, რომელიც სათავსოს გათბობის წყარო იყო. სხვა მხრივ შეუძლებელი იქნებოდა, ორმხრივად ღია „ქულბაქში“ ზამთრის სიცივისგან თავის დაცვა. აღნიშნული პრობლემა ვაჭარ-ხელოსნებს გრემში კედელში დატანებული ბუხრით გადაუწყვეტიათ (ნაქალაქარის ზოგიერთი „ქულბაქის“ კედელში ბუხრის კვალია შემორჩენილი) [ჭილაშვილი ლ. 1980: 49].

გვიანშუასაუკუნეების საქართველოს (ქართლი) ქალაქების, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების, ზოგადი სურათის შესავსებად აუცილებლად მიგვაჩნია, განვიხილოთ კიდევ ერთი შენობა-ნაგებობა – „ქარვასლა“[13].

ქარვასლაში მუდამ მზად უნდა ყოფილიყო სადილ-ვახშამი მგზავრებისათვის. როსტომ მეფე, როდესაც მისივე აშენებული სოფლისა და ქარვასლის დასახედად განჯას წასულა, უბრძანებია: „მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდეს“ [გორგიჯანიძე ფ. 1925: 262].

სასტუმროს ადმინისტრაციულ სამსახურს ევალებოდა დაეკმაყოფილებინა დროებით გაჩერებული სტუმრების სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ხასიათის მოთხოვნები. ამ მიზნით, ქარვასლებს თავიანთივე ტერიტორიაზე გამართული ჰქონდათ საკუთარი სავაჭრო-სახელოსნოები. ვინმე ნაზარბეგაშვილის – „ნაზარბეგიანთ ქარვასლას“, როგორც 1781-1782 წლების თბილისის აღწერის დავთრიდან ირკვევა, თითქმის ყველა სახის სავაჭრო-სახელოსნო (ოქრომჭედლის, მეჩახ-

[13] მოქარავნეთა თავშესაფარი, ვაჭართა სასტუმრო სახლი. „ქარვასლა” გვიანდელი ხანის (XVII ს.) ტერმინია. ადრინდელი პერიოდის წერილობით წყაროებში (V-VIII სს.) მის ნაცვლად, ბერძნულიდან შემოსული „პანდოქიონ”-ი იხმარებოდა. IX-XII საუკუნეებიდან ჩნდება „პანდოქიონიდან” ნაწარმოები სიტყვა „ფუნდუკი” [ჯავახიშვილი ივ. 1946: 60-61].

მახის, მჭედლის, მექვაბის, ხარაზის, კალატოზის, მენახირის, დალაქის, მეაბანოესი და სხვ.) ჰქონია ქარვასლის ტერიტორიაზე.

გარდა იმისა, რომ ქარვასლა ვაჭართა დროებითი სადგომი იყო, „სასტუმროს“ მეპატრონე ვალდებული ყოფილა მექარავნეების პირუტყვი დაებინავებინა და, ამასთანავე, ადგილი მიეჩინა უცხოეთიდან შემოსული გასაყიდი საქონლისთვის. საამისოდ, „სასტუმრო სახლებში“ გამოყოფილი იყო სპეციალური სასაწყობე და სასაქონლე („ბაკი“) ფართები.

სიღნაღის ქარვასლაზე საუბრისას სომეხი ვაჭარ-მოგზაური არტემ არარატელი აღნიშნავდა, რომ „ვაჭართა მოსასვენებელი სახლი საკმაოდ დიდი ზომისა იყო, რომლის ეზოში მონასტერი (?) და ციხე იდგა” [Араратели А. 1981: 11].

ქარვასლა არსებობდა გვიანფეოდალური ხანისათვის საკმაოდ ცნობილ და დაწინაურებულ ქალაქ გრემში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქარვასლის ქულბაქების (სასაწყობო ფართი) რაოდენობა ემთხვევა გრემის ბაზარში („ქულბაქები“) არსებულ ქულბაქთა რიცხვს (32 ქულბაქია ბაზარში, 30-ია შემორჩენილი ქარვასლაში) [ჭილაშვილი ლ. 1980: 53]. დოკუმენტური ცნობების მიხედვით, ქარვასლა ყოფილა ლიახვის პირას [მესხია შ. 1983: 646].

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული ძუნწი მონაცემები არ გვაძლევს მეტის გაშუქების საშუალებას. განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ქარავანთა მიღებისა და იქ დროებით დარჩენილ ვაჭართა ცხოვრების დეტალების განხილვა.

თბილისის ქარვასლებში საქმე სხვაგვარადაა. შედარებით მეტი ცნობები მოიპოვება მათ შესახებ მოგზაურთა ჩანაწერებში, დოკუმენტურ და წერილობით წყაროებში. ამ მონაცემებს ავსებს სხვადასხვა დროს შედგენილი ქალაქის გეგმები.

1800 წლის ფრანგული გეგმისა და ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო თხზულების მიხედვით, თბილისში ოთხი დიდი ქარვასლა იყო. ესენია: „თბილისის (თბილელის) ქარვასლა“, „მეფის ფუნდუკი (ქარვასლა)“, „მელიქის ქარვასლა“ და ვინმე „ბეჟანის ქარვასლა“ სოლოლაკში.

„თბილისის (თბილელის) ქარვასლა“ სიონის ეკლესიის მახლობლად, მტკვრის ნაპირზე მდებარეობდა. ის 1650 წელს მეფე როსტომს აუგია და ქარვასლიდან აღებული შემოსავლის ნაწილი თბილისის ეპისკოპოსისათვის უბოძებია. შესაძლოა, დროთა განმავლობაში შენობა მწყობრიდან გამოსულა, რადგან XVIII საუკუნის დამდეგს აღნიშნული ნაგებობა თბილელ ეპისკოპოს დომენტი III-ს აღუდგენია. მას შემდეგ „თბილისის ქარვასლა“ „თბილელის ქარვასლად“ იწოდებოდა. 1800 წლის გეგმაზე ქარვასლა კვადრატული მოხაზულობის ჩანს, ვრცელია მისი შიდა ეზო. მოგვიანებით (XIX ს.) „თბილელის ქარვასლის“ ნანგრევებზე არწრუნის ქარვასლა აუგიათ [კვირკველია თ. 1985: 46].

„თბილისის ქარვასლის“ სამხრეთ-დასავლეთით ქალაქის „მელიქის ქარვასლა“ ყოფილა. ვახუშტის გეგმის თანახმად, ის სამკუთხა იყო და ვიწრო გასასვლელით სიონის ქუჩაზე გადიოდა [კვირკველია თ. 1985: 59].

„მელიქის ქარვასლის“ ახლოს „მეფის ფუნდუკი“ აღინიშნება. რომელიც რასტაბაზარს, ხარაზხანასა და სირაჩხანას შორის მდებარეობდა. ის სიდიდით გამოირჩეოდა ყველა დანარჩენი ქარვასლებისაგან. მას მთელი უბანი ეკავა და შიდა ეზოთი რასტაბაზრისკენ გადიოდა. ქარვასლა აღა-მაჰმად ხანის შემოსევას შეეწირა, ხოლო მის ნანგრევებზე თეკლა ბატონიშვილს XIX საუკუნეში ისევ ქარვასლა აუგია, რომელსაც შემდგომში „თეკლას ქარვასლას“ ეძახდნენ [კვირკველია თ. 1985: 63].

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, თბილისში პატარა „სასტუმრო სახლებიც“ არსებობდა.

ქარვასლები თბილისში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო თავმოყრილი, მაგ., 1672 წლით დათარიღებულ ნასყიდობის საბუთში ვკითხულობთ, რომ ვინმე ვაჭარ სარუხაანთ ხოსინას ქაფანაკანთ ფარსადანასათვის ქულბაქი მიუყიდია, რომლის უკანა მხარე „მეფის (ქარვასლა) ფუნდუკს“ ესაზღვრებოდა. 1768 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ იეზანთ სტეფანეს ჯალაბ ბატოასაგან დუქანი უყიდია „მისის ქვეშეთის ოთახებითა . . . და ზემო ბატონის ქარვასლის პირდაპირ მამისანთ პეტრესგნით ნასყიდი მთელი დუქანი . . “ [ბერძენიშვილი ნ. 1962:28]. ამგვარი დოკუმენტები საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში ორ დოკუმენტზე შევჩერდეთ.

როგორც ვხედავთ, თბილისში ქარვასლებისთვის ცალკე გამოყოფილი ტერიტორია არ არსებობდა. ისინი სტიქიურად ყოფილან გაბნეულნი რასტაბაზრის, ჩორსუბაზრისა და სხვა წვრილ-წვრილი ბაზრების ტერიტორიაზე. „სასტუმრო სახლების” ამგვარი განლაგების პრინციპი, შესაძლოა, უცხოეთიდან ჩამოსული მექარავნეებისა და ადგილობრივი ვაჭრების საქმიანობის გასაიოლებლად იყო მიჩნეული, რათა გასაყიდი საქონლის ჩაბარება-გადანაწილება ქარვასლასთან ახლო მდებარე ბაზრებში უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო.

თბილისში ბაზრები, როგორც უკვე ითქვა, ქალაქის ორ ცენტრალურ ნაწილში: „მეფის“ და „ციხის“ მოედნებზე იყო განთავსებული.

ქალაქის მთავარი მოედნები (მეფის, ციხის) აღნიშნული პერიოდის დოკუმენტებში სხვადასხვა სახელწოდებითაც გვხვდება, მაგ., „მეფის მოედანი“ იგივე „დიდი მოედანი“ და „ბატონის მოედანია“; ხოლო „ციხის მოედანს“,,ქვემო ციხის“,,ქვემო თათრის“,,თათრის“ და „ქვემო მეიდანსაც“ უწოდებდნენ [მესხია შ. 1983: 641].

არსებობდა მესამე მოედანიც, რომელიც გარეთუბანში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. მას „საასპარეზო” ერქვა, ხოლო 1782 წლის ფრანგულ გეგმაზე აღნიშნული მოედანი „ყაბახის” სახელწოდებითაა დატანილი. სახელწოდებიდან გამომდინარე, მოედანზე, ძირითადად, სამხედრო ვარჯიშები და გართობა-სანახაობები იმართებოდა.

ამჯერად, ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ „მეფის მოედანზე“, რომელიც საზოგადოების თავშესაყარი ადგილი ყოფილა, ისევე, როგორც სხვა საბაზრო მოედნები. უშუალოდ „მეფის მოედანზე“, ქალაქის მოურავის სამსახურს დაქვემდებარებული „ჯარჩები“ სახალხოდ აცხადებდნენ მეფის სხვადასხვა ბრძანებას, საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებებს, პოლიტიკურ მოვლენათა სიახლეებს, სოციალურ

ცხოვრებაში გატარებულ რეფორმებსა და ა.შ. [საქართველოს სიძველენი. 1909: 528]. აღნიშნული მოედანი იმდროინდელი საზოგადოებისთვის მედიის მაგივრობას სწევდა. ამის გამო აღნიშნულ ტერიტორიას მოგვიანო პერიოდისთვის „სალაყბოდაც" მოიხსენიებდნენ.

რაც შეეხება ბაზრის სოციალურ ფონს, აღნიშნული დროისათვის ქალაქის სავაჭრო-სახელოსნოებში დასაქმებულთა უმეტესობა სოფლიდან ჩამოსული ყმაგლეხები, ხელოსნები, ვაჭრები და წვრილი აზნაურები იყვნენ. მათი ქალაქისკენ მასობრივი დინება ფეოდალური მეურნეობის კრიზისმა და, შესაბამისად, გამწვავებულმა ბატონყმურმა ურთიერთობამ გამოიწვია [მესხია შ. 1983: 267].

ხშირად თავად ფეოდალი იყო დაინტერესებული საკუთარი ყმაგლეხის ქალაქში გადმოყვანით. ამით მას მეტი შანსი უჩნდებოდა (ყმების შრომის გამოყენება), საადებ-მიცემო ასპარეზი გაეფართოებინა.

იგივე შეიძლება ითქვას იმდროინდელ ეკლესიაზე, ფეოდალური არისტოკრატიის გარდა, ქალაქში ვაჭრობას ეკლესიაც აწარმოებდა და საკუთარი ყმაგლეხის შრომის ვაჭრობაში „დაბანდება", მისთვის სარფიანი საქმე იყო. 1703 წელს, ერეკლე I-ის მიერ გაცემულ სიგელში ვკითხულობთ, რომ ქვაბთახევის მონასტერს თავისი ყმების ნაწილი თბილისში გადმოუყვანია და მონასტრის კუთვნილი ადგილები დაუთმია. ყმათა უმეტესობა ვაჭარ-ხელოსანი ყოფილა [მესხია შ. 1983: 353; სცსია, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. 5].

მემკვიდრეობით მიღებული თუ სხვადასხვა ხერხით ხელში ჩაგდებული ქონების მეპატრონე ფეოდალური არისტოკრატია, მიუხედავად დიდი შემოსავლებისა, მაინც ავიწროებდა საქონლის მწარმოებელ წვრილ ვაჭარ-ხელოსნებსა და ქალაქში ახლად დასახლებულ ყმაგლეხებს. ამის ნათელი დადასტურებაა დოკუმენტური მასალების სახით ჩვენამდე მოღწეული „ყმის პირობითი წიგნები",რომელთა მიხედვით ხელოსნები იძულებულნი იყვნენ უსასყიდლოდ შეესრულებინათ სხვადასხვა სახის სამუშაოები [მესხია შ. 1955: 219].

გარდა იმისა, რომ მებატონე თავისი ყმის უფასო შრომას ითვისებდა, ამასაც არ სჯერდებოდა და ზოგჯერ მოტყუებით მას მისივე გამართულ სარეწავებსაც ართმევდა. ამგვარად, დაზარალებულა თაყუაშვილი ისაია, რომლისთვისაც მეფეს ქარხანა „თხოებით" ჩამოურთმევია და მამულის ბოძებას დაჰპირებია, მამული აღარ მიუცია და „თოფხანა" თავისთვის „დაუჭერია" [სცსია, ფ. 229, დავთ. 18].

სამწუხაროდ, გვიანშუასაუკუნეების საქართველოში (ქართლში) ბატონისა და ყმის ურთიერთობა ჩიხში მოექცევა. პერმანენტული ხასიათი ეძლევა მჩაგვრელის (საერო და სასულიერო არისტოკრატიის) მიერ ჩაგრულის გაძლიერებულ ექსპლუატაციას. გადასახადებით დამძიმებული ხელოსნები ვერ ახერხებდნენ ქვეყნის დოვლათის შექმნას. ამგვარ ყოფას ემატებოდა ფეოდალური არისტოკრატიის მიერ „პირობითი წიგნებისა" და „თხოების" მოტივით სარეწაოებისა და ქარხნების ჩამორთმევა. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ვაჭარ-ხელოსნებისა, ქალაქში არ იყო თავისუფალი წარმოება. ამ ვითარების გამო, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ქვეითდებოდა.

გვიანფეოდალური პერიოდისთვის აღმოსავლეთ საქართველოს

მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა შუა და მახლობელ აღმოსავლეთთან, წინა და შუა აზიის მუსლიმანურ სამყაროსთან. იგი კვლავ ხდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საქონლის მიმღები და მიმწოდებელი ბაზა. თბილისზე გადიოდა და მის მრავალრიცხოვან სავაჭრო სადგომ-ქარვასლებში ბინავდებოდა გასაყიდი საქონელი, რომელიც ქარავნებს მიჰქონდათ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირუკუ. ამის უტყუარი დადასტურებაა აღნიშნულ საუკუნეებში შედგენილ მზითვის წიგნებში შეტანილი და მოხსენიებული უცხო დასახელების ქსოვილების, ძვირფასი თვლებისა და სხვადასხვა ნაკეთობის სიმრავლე [იაშვილი მ. 1974]. ამასვე მოწმობს გვიანშუასაუკუნეებში სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, როგორიცაა გრემში აღმოჩენილი ჩინური ჭურჭელი [ჭილაშვილი ლ. 1980: 51,59], თბილისში, როსტომ მეფის აბანოს ნანგრევებში – აღმოსავლური წარმოშობის სხვადასხვა დანიშნულების ნივთები [გვერდწითელი რ. 1964: 13]. და სხვ.

საქართველოდან დიდი რაოდენობით გადიოდა ქართული ღვინო. ჟან შარდენის გადმოცემით, „თბილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო შაჰისათვის. ცხენის საპალნე ღვინო ღირს 8 ფრანკი, საუკეთესო ღვინო, თვარა ცოტა მდარე ღვინო არც ამის ნახევარი არ არის. საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის. . . . აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხვა გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ყიდიან" [შარდენი ჟ. 1986: 83].

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთთან არც იტალიელი მისიონერის – ანდრია ეპიფანეს მახვილ თვალს გამორჩენია. თბილისში მოსიარულე ხალხს შორის ბევრ აღმოსავლელ ვაჭარსაც შეიცნობდითო, – მოგვითხრობს იგი [თამარაშვილი მ. 1902:225].

სამწუხაროდ, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები მახლობელსა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წყდება. შესაძლებელია, ეს აღა-მაჰმად-ხანის დამანგრეველ შემოსევას უკავშირდებოდეს [გაბაშვილი ვ. 1976: 21].

საქართველოს ეკონომიკური წინსვლისთვის მნიშვნელოვანი იყო ჩრდილოეთის სავაჭრო-სტრატეგიული გზის აღდგენა-გამოცოცხლება.

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო ქართლის სახელმწიფოსა და ჩრდილოეთ ამიერკავკასიის ქვეყნების რუსეთის სახელმწიფოსთან ძველი, მივიწყებული კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის მცდელობა. 1750 წლის ქართლის მეფე, თეიმურაზ II-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაცემული შეწირულების სიგელი ნათელი დასტურია ოსეთის გზის გამოცოცხლებისა [სცსია, აქტები, II, გვ. 1133].

თბილისისკენ წამოსული ვაჭართა ქარავანი ქალაქში სამი კარიდან – „განჯის (ციხის)", „შუა", ანუ „დიდმის" და „კოჯრის კარიდან" შემოდიოდა.

„თბილისს მოვაღწიეთ განჯის კარით, რადგან აბანოს ხიდი გატეხილი იყო. ეს არის ამჟამინდელი ჩვეულებრივი გზა, რომლითაც ქარავანი მოდის, რადგან ხიდი აბანოს მდინარეზე მხოლოდ მსუბუქი კომუნიკაციისათვისაა განკუთვნილი" – გადმოგვცემს თბილისში „განჯის კარიდან" შემოსული მოგზაური გიულდენშტედტი [გიულდენშტ-

ედტი 1962: 85].

ქალაქის სამი მხარიდან წამოსული გზები (ვახუშტის გეგმის თანახმად) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთდებოდა, სწორედ იქ, სადაც „რასტაბაზარი“, „ჩორსუბაზარი“, ქარვასლები და დუქნები იყო გამართული.

ქალაქის კარი საბაჟოს ფუნქციასაც ასრულებდა, მაგ., „აბანოს კარი“ (მოგვიანებით, განჯის კარი) ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე № 53-ად არის დატანილი, როგორც „საბაჟო“. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალების მიხედვით, საბაჟო გვიანფეოდალური საქართველოს ყოველ დიდსა და მცირე ქალაქში არსებობდა. თბილისს გარდა, საბაჟო იყო გორში [ჟორდანია თ. 1897: 5], ანანურში [სცსია, ფ. 230, დავთ. 3]; ცხინვალში [სცსია, ფ. 229, დავთ. 25] და სხვა ქალაქებში.

ბუნებრივია, ქალაქში შემოსულსა თუ გასულ საქონელზე საგანგებო ბაჟი – „ციხის კარის“, ანუ „სამინბაშოს“ ბაჟი იყო დაწესებული, რომელსაც სამეფო ხელისუფლება განსაზღვრავდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში საბაჟო ნიხრი საპალნეებით განისაზღვრებოდა, მაგ., აბრეშუმის ერთი საპალნე ერთი შაური ღირებულა, ფართლის საპალნე ორი, თუთუნისა ნახევარი და ა.შ. [ბერძენიშვილი ნ. 1962:11].

საბაჟო გადასახადის საზომი XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან პერიოდულად ბაჟის გადასახადი სასაქონლო ღირებულებიდან გამოჰყავდათ.

ქვეყნის ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად იცვლებოდა საბაჟო ნიხრიც, მაგალითად, 1639-1736 წლებში თბილისში მარილზე, ერბოზე, თაფლზე, ქონსა და სხვა პროდუქტზე ერთიორად გაზრდილა. ამას გარდა, თუ 1736 წლამდე ხილსა და ბოსტნეულზე გადასახადი არ იყო, შემდგომი პერიოდისთვის ბაჟია დაწესებული. ქალაქში ნებადართული იყო ყველა სახის საბრძოლო იარაღის უბაჟოდ შემოტანა [მესხია შ. 1983: 463].

შესაძლებელია, მიღებული კანონი (საბრძოლო იარაღის უბაჟოდ შემოტანა) ხანგრძლივი დროით ყოფილიყო მოქმედი, ვინაიდან დაპყრობილი სახელმწიფოსთვის კარგად აღჭურვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ტოლფასი იყო.

საბაჟო საქმეების წარმოება ციხის „მინბაშს“ ევალებოდა. მისი მოვალეობა იყო საქონლის დათვალიერება, შემოწმება და დაწესებული ნიხრის მიხედვით ბაჟის აღება. მებაჟის გარდა, საქონლის მიღება-გაშვების პროცესს ორი მდივანბეგი, მოურავი, ნაცვალი და ორი ვაჭარი ადევნებდა თვალყურს [მესხია შ. 1983: 463].

XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილი სამართლის წიგნებიდან („ყანონლამა“, „დასტურლამალი“, „შართლამა“) ირკვევა, რომ მებაჟეებს სამეფო ხელისუფლება ჯამაგირსა და ულუფას უნიშნავდა. მიუხედავად მიღებული შრომის საზღაურისა, ისინი მაინც არღვევდნენ საბაჟო დებულებებს და „სამინბაშო ბაჟს“ გაზრდილი ნიხრებით იღებდნენ. როგორც ჩანს, ამის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული სამეფო ხელისუფლება.

გვიანფეოდალური საქართველოს მსხვილ ქალაქებში მოქმედებდა ხიდით სარგებლობის საფასური – ე.წ. „ხიდის ბაჟი“. ხიდებზე ჩვეულებრივი კოშკები მდგარა, სადაც „მეხიდური“ იჯდა და გატარებულ ქარავანს ბაჟს ახდევინებდა [მესხია შ. 1983: 643].

„სამინბაშო“ და „ხიდის ბაჟის“ გარდა, ვაჭრები „ყაფანის ბაჟსაც“ იხდიდნენ. როგორც ირკვევა, ყაფანდარს მხოლოდ „მძიმე საქონელთა“ აწონვა ევალებოდა. მასვე უნდა ჰქონოდა სამეფო ხელისუფლების მიერ დაბეჭდილი საზომ-საწყაოები, რომლებსაც ვაჭრები ყიდულობდნენ და წონიდნენ [მესხია შ. 1983: 465].

ყაფანთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ცნობაა დაცული მიხეილ ჩოდრიშვილის მოგონებაში, რომელშიც თბილისელების, როგორც მოქალაქეების, ერთი პრივილეგიის შესახებაა საუბარი:

„თათრის მოედნის“ შუაგულში გამართული ყოფილა ყაფანი, სადაც ყაფანდარი მახლობელი სოფლიდან ჩამოტანილ სურსათ-სანოვაგეს წონიდა. აწონილი საქონელი გლეხს შეეძლო იქვე გაეყიდა. მიღებული წესის თანახმად, პირველადი ფასის (პირველი ხელი) პროდუქტი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდათ უფლება ქორვაჭრებს აღებ-მიცემობის გამართვისა. ეს ყველაფერი დღის 12 საათამდე უნდა მოესწროთ, რადგან ზუსტად ამ დროისთვის ყაფანზე აღმართული ბაირაღი დაეშვებოდა და ზარბაზანიც დაიქუხებდა, რაც ნიშანი იყო მოქალაქის პრივილეგიის დასასრულისა [გრიშაშვილი ი. 1986: 7].

ამგვარად, გვიანშუასაუკუნეების დოკუმენტური მასალების, წერილობითი წყაროებისა და მოგზაურთა ჩანაწერების შესწავლის შედეგად, ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბაზარი, როგორც ყიდვა-გაყიდვის, გაცვლა-გამოცვლის სავაჭრო ცენტრი, ადრეული პერიოდიდან დასტურდება საქართველოში. გვიანშუასაუკუნეებისათვის ქართლში ბაზარი არსებობდა თითქმის ყველა დიდსა და პატარა ქალაქში. ცენტრალური ბაზრების გარდა, მოწმდება ასევე დროებითი ბაზრები, რომელთაც სადღესასწაულო-რელიგიურ დღეობებზე მართავდნენ. ხშირად ამგვარი ბაზრობები მასშტაბურ ხასიათს იძენდა.

XVII-XVIII საუკუნეებში სავაჭრო-სახელოსნო დანიშნულების ნაგებობების აღსანიშნად ირანული წარმოშობის ტერმინები (ბაზარი, დუქანი, ქულბაქი, ქარვასლა) იხმარებოდა. აღმოსავლურ ტერმინთა დამკვიდრება, შესაძლებელია, იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შედეგი ყოფილიყო.

ღირსშესანიშნავი თარიღების, სასიხარულო ამბების აღნიშვნა და საპატიო სტუმრის დახვედრა ამ პერიოდის ქალაქებში (თბილისში) ბაზრების მოროვა-„გაჩირაღდნებით“ სცოდნიათ. ეს წეს-ჩვეულება საქართველოში ირანიდან შემოსულა. აღნიშნული რეალია ერთი-ერთი მრავალთაგანია, რომლებმაც მკვიდრად მოიკიდა ფეხი გვიანშუასაუკუნეების ქართლის ყოფა-ცხოვრებაში.

ბაზარში დასაქმებულთა სოციალურ ფენას, ძირითადად, სოფლებიდან მასობრივად ჩამოსული ყმაგლეხები და ვაჭრები შეადგენდნენ. ისინი ქალაქებში მუდმივ საცხოვრებლად ზოგჯერ თავიანთი სურ-

ვილით გადმოდიოდნენ, ხშირად ძალდატანებითაც. საერო და სასულიერო არისტოკრატია, რომელთა მფლობელობაშიც იმყოფებოდნენ ისინი, კარგად ერკვეოდნენ სავაჭრო-საგარიგებო საქმიანობაში. მათ (საერო და სასულიერო არისტოკრატია) ხელს აძლევდათ სოფლად მცხოვრები გლეხების ქალაქის სავაჭროებში დასაქმება. ამით მათ მეტი სარგებელი ეძლეოდათ.

გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლი), მატულობდა კრიზისი ბატონისა და ყმის ურთიერთობაში. ფეოდალები ათასგვარი ხრიკებით და ცრუ დაპირებებით („პირობის წიგნები", დროებითი თხოვება, უსასყიდლო შრომა) ჩაგრავდნენ ყმაგლეხებს. სავალალო მდგომარეობას ერთვოდა მოუწესრიგებელი საბაჟო (მინბაშის, ყაფანის, ხიდის, ბაჟის იჯარის) სისტემა.

ვაჭრობის გზით ქართლში შემოდიოდა უცხოური საქონლის მრავალსახეობა – პროდუქტი, ნედლეული თუ ხალიჩური ნაწარმი. შესაბამისად, ექსპორტის სახით ქართლიდან გადიოდა სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმი და საკვები პროდუქტი. აღნიშნული პერიოდისთვის ქართლში არსებობდა ძლიერი ეკონომიკური პოტენციალი, რასაც ხელს უშლიდა საერო და სასულიერო არისტოკრატიის ზომაგადასული ქმედება.

## ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

**Gulnara Kvantidze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: guliko-kvantidze@rambler.ru

# Trade Constructions in the Late Middle Ages East Georgia

## Summary

The article deals with the late Middle Ages period East Georgian, mainly Kartli markets and trade-workshop buildings (caravanserai, shops, 'kulbaki'). Two types of provisions bazaars are stated in Tbilisi in that period of time: "Rastabazaar" and "Chorsubazaar". The difference between them was only in their shape. "Rastabazaar" was a long line of shops in the open air where merchants and workmen made and sold their various output. As for "Rastabazaar" it ended with an arch like gate.

"Chorsubazaar" was a square form arched trade place, where there were also arranged shops. Except central markets, there existed small "Chorsubazaars" too. Existence of temporal fairs are stated in the mentioned period of time too.

The article gives results of carried out researches made by Georgian scientists and documents which are kept in the Georgian Historical Central Archives as well as writings and notes by foreign travelers and records given in dowry books. The article

examines trade relations with foreign countries, a social-economical back-ground of markets, customs, taxes of customs and statutory prices.

## ბიბლიოგრაფია


**აბესაძე ნ. 1986:** *ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში (XIX ს-ის II ნახ. XX ს-ის დასაწყისი).* თბილისი.

**ბარნაველი ს. 1957:** *ატენის სიონის წარწერები.* თბილისი.

**ბატონიშვილი ი. 1990:** *კალმასობა.* თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1955:** *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის.* ტ. III. თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ. 1965:** *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით).* თბილისი.

**ბერძენიშვილი ნ.. ბერძენიშვილი მ. 1962:** *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.).* წიგნი I. თბილისი.

**გაბაშვილი ვ. 1976:** ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები.* წიგნი 1. თბილისი (რედ. ვ. გაბაშვილი).

**გვერდწითელი რ. 1964**: როსტომ მეფის სასახლის აბანო. *ძეგლის მეგობარი,* №2, გვ. 13. თბილისი (რედ. თ. ბუაჩიძე).

**გიორგაძე ბ. 1925**: დიონიჯო კარლის ცნობები თბილისის შესახებ (მე-17 ს.). *მსკი.* ნაკვ. 29. გვ. 155-167. თბილისი.

**გიულდენშტედტი 1962:** *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* ტ. I. თბილისი.

**გრიშაშვილი ი. 1986***: ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა.* ბათუმი.

**გორგიჯანიძე ფ. 1925:** ისტორია. *საისტორიო მოამბე.* წიგნი. II. გვ. 263-290. ტფილისი.

**დასტურლამალი 1856:** *დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა.* ტფილისი.

**დიუმა ალ. 1964:** *კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.* თბილისი.

**თამარაშვილი მ. 1902:** *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.* ტფილისი.

**იაშვილი მ. 1974:** *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნი).* თბილისი.

**კვირკველია თ. 1985:** ძველთბილისური დასახელებანი. თბილისი.

***მოხილვა წმინდათა.* 1852:** ტფილისი.

**მესხია შ. 1983:** *საისტორიო ძიებანი.* ტ. II. თბილისი.

**მესხია შ. 1955:** *მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIIIს. საქართველოს ქალაქებში.* თბილისი.

**ორბელიანი ს. 1991:** *ლექსიკონი ქართული.* ტ. II. თბილისი.

**ორბელიანი პ. 1981:** *ამბავნი ქართლისანი.* თბილისი.

**ჟორდანია თ. 1897:** *ქრონიკები (1213-1700 წლამდე).* ტ. II. თბილისი.

**საბანისძე ი. 1987:** *ჰაბოს წამება.* თბილისი.

**საქართველოს სიძველენი. 1909:** ტ. II. ტფილისი (რედ. ე. თაყაიშვილი).
**საქართველოს სიძველენი. 1910:** ტ. III. ტფილისი (რედ. ე. თაყაიშვილი).
**სცსია. ფ. 227**, საბ. 7084.
**სცსია. ფ. 229**, დავთ. 14, საბ. 20.
**სცსია. ფ. 229**, დავთ. 1, საბ. 37.
**სცსია. ფ. 229**, დავთ. 18, საბ. 15.
**სცსია ფ. 229**, დავთ. 19, საბ. 73.
**სცსია. ფ 229**, დავთ. 25, საბ 43.
**სცსია. ფ. 230**, დავთ. 1, ნაწ. 5, საბ. 130.
**სცსია. ფ. 230**, დავთ. 3, აღწ. 28, საბ. 16.
**ტურნეფორი ჟ. 1988:** *ტურნეფორი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ.* თბილისი.
**უჩანეიშვილი დ. 1967:** *დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის.* თბილისი.
**ფეშანგი:** *შაჰნავაზიანი.* ტფილისი.
**ყაუხჩიშვილი ს. 1957:** *სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ.* თბილისი.
**შარდენი ჟ. 1986:** *მოგზაურობა საქართველოში.* თბილისი.
**ჩხეიძე ს. 1913:** *საქართველოს ცხოვრება.* ტფილისი.
**ჭილაშვილი ლ. 1980:** *კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს).* თბილისი.
**ჯავახიშვილი ივ. 1946:** *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.* ტ. I. თბილისი.
**Кузнецова Н. А. 1985:** Из истории социально-экономичесских отношений В Иране. Москва.
**Араратели 1981:** *Жизнь Артема Араратского.* Москва.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** თბილისის ბაზარი თათრის მოედანზე.
**სურ. 2.** ანანურის ბაზარი.
**სურ. 3.** სურსათ-სანოვაგის ბაზარი.
**სურ. 4.** მექუდეების დუქანი.
**სურ. 5.** თბილისური სავაჭრო-სახელოსნოები.
**სურ. 6.** მეწვრილმანეების დუქანი.
**სურ. 7.** მექვაბეების დუქანი.
**სურ. 8.** ორსართულიანი დუქანი.
**სურ. 9.** ყასაბი.
**სურ. 10.** დერციკი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Tbilisi bazaar in the Tatar Square.
**Fig. 2.** Ananuri bazaar.
**Fig. 3.** Provisions bazaar.
**Fig. 4.** Hatters' shop.
**Fig. 5.** Tbilisi trade workshops.
**Fig. 6.** Chandler's shop.
**Fig. 7.** Boiler-maker's shop.
**Fig. 8.** Two-storied shop.
**Fig. 9.** A butcher.
**Fig. 10.** ``Dertsiki``- Georgian national suit-tailor.

სურ. 1 Fig.




სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.




სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.




სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

13815. Тифлисъ. Лавка азіатскаго портнаго. Шьютъ черкески. 1904.

სურ. 10 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 178-186
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 178-186

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**მარინე ბოკუჩავა**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: marinaboku@yahoo.com

# იაპონური ფაიფურის ჭურჭელი
## (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საფონდო მასალის მიხედვით)

ადრეული იაპონური კერამიკა ჩინური და კორეული ტრადიციების ზეგავლენას განიცდიდა. კორეული კერამიკის საწარმოები იაპონიაში ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არსებობდა, იაპონური კი XIII საუკუნიდან ჩნდება. ამ პერიოდში იაპონიაში ჩაი ძალზე პოპულარული გახდა,რამაც კერამიკის წარმოების აღმავლობას მისცა სტიმული. იაპონელებმა ქალაქ სეტოში ჩაის ცერემონიისთვის აუცილებელი ჩინური კერამიკის კოპირება დაიწყეს. XV საუკუნეში კი, კორეის დაპყრობის შემდეგ, კორეიდან იაპონიაში გამოცდილი კორეელი მეთუნეები გადმოასახლეს ოჯახებთან ერთად რომლებიც ჩაის ცერემონიისთვის საჭირო ნივთებს ამზადებდნენ. კერამიკის წარმოების ცენტრები შემდეგ ქალაქებში იყო განლაგებული: სეტო, კიოტო, საცუმა და კარაცუ. კორეელი ოსტატები შესანიშნავად ფლობდნენ ნივთის ხელოვნურად დაძველების ხელოვნებასაც. ამ ნაწარმზე ერთსა და იმავე დამღებს გამოსახავდნენ XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ამის გამო ძალიან რთულია ნივთის ზუსტად დათარიღება [Каневская Н. 2004: 15].

იაპონური ფაიფურის სტილზე დიდი გავლენა მოახდინა ჩინურმა ფაიფურმა. იაპონელებმა ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია XVII საუკუნის დასაწყისში შეიმუშავეს. იაპონური ფაიფურის მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ იაპონელმა მეთუნეებმა ფაიფურის მიღება დამოუკიდებლად შეძლეს. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მათ ჩინური ფაიფურის გასაიდუმლოებული ტექნოლოგიის მოპოვება მოახერხეს [Каневская Н. 2004: 18].

იაპონური ფაიფურის სახეობებია: *ლურჯ-თეთრი არიტა, კაკიემონი, კინკოზანი, წითელი კუტანი, ნაბესიმა, ხირადო, იმარი* და *საცუმა. ლურჯ-თეთრი არიტა* იაპონიაში XVII საუკუნის დასაწყისიდან, დაახლოებით 1615 წლიდან, კუნძულ კიუსიუზე, ქალაქ არიტაში, იწარმოებოდა. ეს იყო თეთრ ფონზე ლურჯი ჭიქურქვედა საღებავით მოხატული ფაიფური.

პოლიქრომულ ფაიფურ *კაკიემონს* სახელი მისი შემქმნელის, XVII საუკუნის ცნობილი ფერმწერის, საკაიდო კაკიემონის სახელის მიხედვით შეერქვა. ამ ფაიფურის აყვავების ხანად 1680-იანი წლები ითვლე-

ბა. *კაკიემონის* რძისფერი კეცი მწირი, ასიმეტრიული ორნამენტით არის მოხატული. მოხატულობისთვის ფერადი ემალის საღებავები გამოიყენებოდა.

ფაიფური *კინკოზანიც* მის შემქმნელ, ფაიფურის ოსტატ კინკოზანის სახელს ატარებს. ეს ფაიფური XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა. *კინკოზანი* პოლიქრომული ფაიფურია რომლის ნიმუშებიც ცნობილია როგორც ძალიან დახვეწილი, ისე საკმაოდ უხეშად შესრულებული ნაკეთობები.

*წითელი კუტანი* 1880-იან წლებში იწარმოებოდა. ამ ფაიფურის კეცი ისეთი თხელია, რომ მას კვერცხის ნაჭუჭსაც კი უწოდებდნენ. ფაიფურის მოხატვა ფერადი ჭიქურქვედა საღებავებით ხდებოდა.

*ნაბესიმა* იაპონიის ერთ-ერთი მმართველი დინასტიის – ნაბესიმას სახელს ატარებს. ეს ფაიფური 1650-1870 წლებში მზადდებოდა, მაგრამ მცირე რაოდენობით – მხოლოდ ნაბესიმას დინასტიის წარმომადგენლებისათვის. ეს მონაცრისფრო-თეთრი ფაიფურია რომელიც დაფარულია ნაცრისფერი ან მოცისფრო ჭიქურით და მოხატული სტილიზებული ყვავილებითა და ფოთლებით. *ნაბესიმა* იშვიათია და ძალიან ძვირად ფასობს.

*ხირადოს* XVIII საუკუნეში აწარმოებდნენ. ამ ფაიფურისაგან ამზადებდნენ ბავშვების, ცხოველების, დრაკონისა და სხვა მცირე ზომის ფიგურებს. ძალიან პოპულარული იყო იხვის ფიგურა. ეს ფიგურები ხშირად მოყავისფრო წითელი ან ლურჯი საღებავითაა მოხატული [Schiffer N. 1986:32].

*იმარი* – ასე მოიხსენიებენ XVII საუკუნის ფაიფურს, რომელიც ქალაქ არიტაში, პორტ იმარის მახლობლად, მზადდებოდა. ამ პორტიდან ხდებოდა ფაიფურის ექსპორტი და ფაიფურიც მისი სახელით არის ცნობილი. ფაიფური *იმარი* ძალიან პოპულარული იყო ევროპაში. მის კოპირებას ახდენდნენ ჩინეთში, ჰოლანდიასა და ინგლისში. *იმარი* პოლიქრომული ფაიფურია რომელიც მოხატულია ლურჯი ჭიქურქვედა კობალტითა და ჭიქურზედა ფერადი საღებავებით: წითლით, ნარინჯისფრით, ყვითლით, ცისფრით, ბაცი ნაცრისფრით, მწვანის სხვადასხვა ვარიაციით – ღია მწვანიდან მუქამდე და ოქროსფერით. *იმარის* ფაიფურისაგან ამზადებდნენ თეფშებს, ლანგრებს, ბადიებს, თასებს, ლარნაკებსა და სხვ. დიდი ზომის ნივთების მოხატულობა ქსოვილის დეკორის მიხედვით კეთდებოდა [Schiffer N.1997: 23].

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფაიფურის ფონდში არის *იმარის* სტილის ბადია №14-43/1 (სურ. 1-2), რომელიც მუზეუმმა თბილისში ვინმე რატიშვილისაგან შეიძინა. ბადია რძისფერი ჭიქურითაა დაფარული. მოხატულია ჭიქურზედა პოლიქრომული საღებავებით: ვარდისფერით, ყავისფერით, შავით, ცისფერით და მუქი ნარინჯისფერით, რომელიც ალაგ-ალაგ წითელში გადადის. გამოყენებულია ოქროს ვარაყიც. ბადიის კედლებზე, გარეთა მხრიდან, ოთხი კარტუში, ყვავილები და ჩიტებია გამოსახული. შიდა მხარე მთლიანად სხვადასხვა ფორმის კარტუშებითაა დაფარული. ცენტრალურ, ოთხკუთხა, კარტუშში ჯამბაზები და ილუზიონისტები არიან გამოსახულნი, ბადიის კედლებზე არსებულ კარტუშებში კი – პეიზაჟები, ყვავილები და ფრინველები.

ბადიას ძირზე ექვსნიშნა დამდაა – წითელი ჭიქურზედა საღებავებით გამოსახული ექვსი იაპონური იეროგლიფი (სურ. 3). მსგავსი ბადიები სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნით არის დათარიღებული ამიტომ ჩვენი ბადიაც ასევ დავათარიღეთ [Impey O. 2002: 55]. ბადია კარგადაა დაცული. ბადიის პირის დიამეტრი 31 სანტიმეტრია, ძირის დიამეტრი – 14 სმ, სიმაღლე – 14 სმ.

მეორე იაპონური ნივთი, რომელიც ფონდში ინახება, არის ფაიფურის ლარნაკი №33-26/145 (სურ. 4) რომელიც შეძენილია კერძო პირისგან თბილისში. ლარნაკი *საცუმას* სტილისაა. *საცუმას* ფაიფურსაც იმ ქალაქის სახელი ჰქვია, სადაც იგი მზადდებოდა. ქალაქი საცუმა ჯერ კიდევ XVI საუკენეში იყო ფაიფურის წარმოების ცენტრი. განსაკუთრებულ აღმავლობას *საცუმას* ფაიფურმა XIX საუკუნეში მიაღწია. საცუმაში დამზადებული ფაიფურის უდიდესი ნაწილი ექსპორტისთვის იყო განკუთვნილი. აქ ქმნიდნენ როგორც ძალიან მაღალი ხარისხის ფაიფურს, ისე საშუალო ხარისხის ნივთებსაც. *საცუმას* ფაიფური მოკრემისფროა და კრაკლეთია (ჭიქურის სახეობა, რომელიც მცირე დეკორატიული ბზარებით ხასიათდება) დაფარული. ჭიქურზედა მოხატულობა კეთდებოდა ფერადი ემალის საღებავებით. ემალთან ერთად ოქროს ვარაყსაც იყენებდნენ. *საცუმას* ფაიფურის მოხატულობის მოტივებია: პეიზაჟი, ყვავილები, ცხოველები და ჟანრული სცენები გეიშების, მეომრების ან წმინდანების გამოსახულებებით. დამდას მხოლოდ მაღალი ხარისხის ნაწარმზე სვამდნენ [Schiffer N.1997: 54].

ჩვენი ლარნაკის მოხატულობაც ჭიქურზედაა, პოლიქრომული. მოხატულობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ფერის ემალის საღებავები: ნაცრისფერი, წითელი, ნარინჯისფერი, მწვანე, ცისფერი, ყავისფერი და შავი, ასევე ოქროს ქანდა. ლარნაკს აქვს მაღალი ქუსლი. ყელზე დრაკონის რელიეფური გამოსახულებაა შემოვლებული. დრაკონის სხეული ქერცლითაა დაფარული, თავზე რქები აქვს, მოკლე და სქელ ფეხებზე – სამ-სამი თითი. ლარნაკის მუცელზე, რომელიც კრაკლეთია დაფარული, პეიზაჟის ფონზე, კიმონოებში გამოწყობილი 12 მსუქანი იაპონელი მამაკაცია გამოსახული. ყოველ მათგანს ხელში უჭირავს გარკვეული ნივთი: ჩაქუჩი, გრაგნილი, მცენარე ქოთნით, ჟდარუნა და სხვ. ლარნაკის ქვედა ნაწილსა და ქუსლზე, ორ ჩარჩოში, ორი ერთნაირი პეიზაჟია – წყლის ფონზე ხმელეთი. ლარნაკს ძირზე დამდა აქვს – ორი წითელი ჭიქურზედა იაპონური იეროგლიფი (სურ. 9). ლარნაკი კარგად არის დაცული. მისი სიმაღლე 30 სანტიმეტრია, პირის დიამეტრი – 12,5 სმ, ძირის დიამეტრი – 15 სმ.

იაპონელებისთვის დრაკონი განსაკუთრებული სიმბოლოა. მას ორი სახელით მოიხსენიებენ – *რიუ* ან *ტატსუ*. *რიუ* დიდი, ფანტასტიკური ცხოველია. იგი ჩინური და კორეული დრაკონების – ლონგისა და იონგის „ახლო ნათესავია". იაპონური დრაკონი ქერცლით დაფარული არსებაა, რომელიც გველსაც წააგავს. მას არა აქვს ფრთები, აქვს მოკლე და სქელი ფეხები გრძელი ბრჭყალებით. თავი რეპტილიას მიუგავს, მაგრამ რქები აქვს. იაპონელთა რწმენით, დრაკონები წყალში, ღრუბლებში ან სამოთხეში ცხოვრობენ. *რიუს*, განსხვავებით ჩინური და კორეული დრაკონებისაგან, სამი თითი აქვს, ჩინურ *ლონგს* – ხუთი,

*კორეულ იონგს* კი – ოთხი.

იაპონური დრაკონი *რიუ* (ისევე, როგორც მისი ჩინური და კორეული ანალოგები) ბუდისტური რელიგიიდან მომდინარეობს და ერთ-ერთია იაპონური მითოლოგიის ოთხ ურჩხულს შორის (დანარჩენი სამი – ფენიქსი, კუ და კირინი). დრაკონი საიმპერატორო სახლის სიმბოლოა. ამასთანავე, იგი სახელგანთქმული გმირების განსაკუთრებულ მფარველადაა მიჩნეული.

დრაკონების ქანდაკებები ბუდისტურსა და დაოისტურ ტაძრებს ამშვენებენ [Trubner H. 1972:45].

ჩვენს ლარნაკზე გამოსახული დრაკონი ტიპური იაპონური დრაკონია – ქერცლით დაფარული, რქებით, მოკლე, სქელი ფეხებითა და თითო ფეხზე სამ-სამი თითით.

რაც შეეხება ლარნაკზე გამოსახულ ადამიანის ფიგურებს – ეს არის თორმეტი მამაკაცის გამოსახულების ერთი მთლიანი „რკალი". ძნელი სათქმელია თუ რომლით იწყება და რომლით მთავრდება ეს წრე (სურ. 5-8).. საერთოდ, თორმეტი ძალიან „საინტერესო" რიცხვია – 12 თვე, ზოდიაქოს 12 ნიშანი და სხვ. იაპონურ ღვთაებათა პანთეონში ბუდისტური პანთეონიდან ბევრი ღვთაება გადმოვიდა. ვფიქრობთ, რომ ლარნაკზე გამოსახული თორმეტი მამაკაცი იაპონიაში ძალიან პოპულარული თორმეტი ღვთაებაა, საერთო სახელით – *დზიუნი-დზინსიო.* ეს ღვთაებები დიდი ღვთაება „იაკუსი-ნიორაიას" მცველები არიან. თავად *იაკუსი-ნიორაია* კი ბუდისტური პანთეონის ღვთაებაა და ადამიანთა სულების მკურნალად ითვლება. ეს თორმეტი მცველი ღვთაება ხან დიდ ღვთაება „იაკუსი-ნიორაიასთან" ერთად გამოისახება ხოლმე, ხან კი მის გარეშე. მცველი ღვთაებების რაოდენობა (12) ემთხვევა წელიწადის თვეთა რაოდენობას. ამიტომ ამა თუ იმ თვეში დაბადებული ადამიანები შესაბამის მცველ ღვთაებას თავიანთ მფარველად მიიჩნევენ [Trubner H. 1972:46].

ლარნაკზე გამოსახული თორმეტივე მამაკაცი მსუქანია, დიდი მუცლით. იაპონელები თვლიან, რომ ადამიანის სული მის მუცელშია. ამიტომ წმინდანებს ღვთაებებსა და ბრძენებს, როგორც წესი, დიდი მუცლით გამოსახავენ [Schiffer N. 1986:90].

შეიძლება ითქვას, რომ ლარნაკს დეკორატიულ-უტილიტარული დანიშნულების გარდა საკრალური ფუნქციაც გააჩნია – ლარნაკზე გამოსახული დრაკონი და თორმეტი ღვთაება მათ პატრონს ყოველივე ავისაგან იცავს. იაპონიაში ძალიან მიღებულია დამცველობითი ფუნქციის მატარებელი სიმბოლოების ჩუქება, მათ შორის, დრაკონისა და თორმეტი მცველი ღვთაების პატარა ფიგურებისაც.

როგორც ვხედავთ, ფაიფურის ფონდში დაცული ლარნაკი იაპონური ფაიფურის, კერძოდ კი, *საცუმას* სტილის კლასიკური ნიმუშია. ამგვარი ლარნაკები XIX საუკუნეში მზადდებოდა. ასე რომ, ჩვენი ლარნაკიც XIX საუკუნით უნდა დავათარიღოთ [Impey O. 2002: 88].

მიუხედავად იმისა, რომ ფონდში მხოლოდ ორი იაპონური ნივთია, ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იაპონურ ფაიფურზე ზოგადად. ფაიფურის ხელოვნების ნიმუშების მიხედვით შეიძლება მსჯელობა ამა თუ იმ ხალხის მსოფლმხედველობაზე, ისტორიაზე, კულტურაზე,

რელიგიაზე, მითოლოგიაზე, ფერწერასა და სხვ.

იაპონია არ ითვლება ფაიფურის სამშობლოდ, მაგრამ იაპონური ფაიფური მხატვრული ღირებულებების თვალსაზრისით თვითმყოფადია და განსაკუთრებული.

## ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY


**Marine Bokuchava**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave, 0105 Tbilisi, Georgia
E-mail:marinaboku@yahoo.com


# Japanese Porcelain Dishes
# (Based on the Fund Materials of Simon Janashia Georgian Museum)


## Summary

The porcelain fund of the Simon Janashia Georgian Museum has two Japanese porcelain objects: a bowl and a vase. After having studied both specimens, we concluded that they were produced in the 19th century. The bowl belongs to Imari style and the vase represents Satsuma style.

Imari is polychrome porcelain. Different colors were used in its paintings: red, orange, blue, yellow, gold and etc. Ornaments were created by the decorative motives of the fabrics and they mostly represent flowers as well as the scenes from everyday life. Imari pot has ivory color with a grayish tint.

Satsuma porcelain pot is cream-colored and is often covered with glaze crackle. It was painted in various enamel color. The use of golden color was obligatory too. Painting motives are: landscapes, flowers, animals, genre scenes with images of warriors, saints and geishas. Satsuma porcelain is often decorated with images of dragons.

Despite the fact that there are only two Japanese things in the porcelain depository of the Simon Janashia Georgian Museum, they give some idea about Japanese porcelain as a whole. High-quality porcelain products are true pieces of art which represent a worldview history, culture, religion, mythology. In spite of the fact that Japan is not a birthplace of porcelain, Japanese porcelain is beautiful and original from artistic point of view.

## ბიბლიოგრაფია

**Каневская Н.А. 2004:** *Традиционный японский фарфор XVII-XX вв. По материалам коллекции ГМВ.* Москва.
**Frederik R. 1981:** *Early Japanese Porcelain, Arita porcelain in the Drezden Collection*. London.
**Impey O. 2002**: *Japanese Export Porcelain: Catalogue of the Collection of the Ashmolen Muzeum*. Oxford.
**Schiffer N.1986:** *Japanese porcelain 1800-1950.* Pensylvania.
**Schiffer N.1997:** *Imari, Satsuma and Other Japanese Export Ceramics*. Pensylvania.
**Trubner H. 1972**: *Japanese Ceramics: A Brief History in "Ceramic Art of Japan".* Seattle.
**http://gotheborg.com/marks/index_jap_marks.htm** - Japanese porcelain.
**http://www.utsuwa.biz/e/meiji.htm** - Japanese Arita porcelain.
**http://gotheborg.com/marks/satsuma.shtml -** Japanese Satsuma porcelain.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1-3.** ბადია.
**სურ. 4-9** ლარნაკი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1-3.** Bowl.
**Fig. 4-9.** Vase.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.




სურ. 9 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 187-193
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 187-193

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**ცისანა კაკაბაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

# ლ|ლღენი – საკულტო-სარიტუალო სპილენძის ჭურჭელი

## (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფერადი ლითონების ფონდი)

ლ|ლღენის ერთადერთი და საუკეთესო ნიმუში დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში. იგი ექსპონირებული იყო ძველი ყოფის ამსახველ მუდმივმოქმედ ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. ლგლღენი ჩამოტანილია სვანეთიდან (მესტია) 1964 წელს. (№101-64/1) (სურ. 1). იგი უზარმაზარი – „ექვსსართულიანი", სპილენძის 52 ფურცლისაგან „შეკერილი" საკულტო დანიშნულების ქვაბია. ფირფიტები (ფურცლები) ერთმანეთზე გადაკერებულია და დამაგრებულია სპილენძის დიდი ზომის მანჭვლებით*(კოპებით)კვეპებით,* ანუ ღილებით, რომლებიც წყვილ-წყვილად და სიმეტრიულადაა განლაგებული ქვაბის ზედაპირზე, რომლის ზომებია: სიმაღლე – 128 სმ, პირის დიამეტრი – 109 სმ, გარშემოწერილობა – 300 სმ, წონა – 100 კგ-მდე.

ლ|ლღენს სახელურად ორი მრგვალი ყური აქვს. ცეცხლზე დასადგმელად ყურებში მას ეყრება ჯოხი, და ისე იდგმება ცეცხლზე. სამფეხას როლს სამი ქვა *(ლაკვინ)* ასრულებს. ლ|ლღენი სადგარზე ცარიელი იდგმება. ქვებსა და ლ|ლღენის ფსკერს შორის იდება თივა, რათა ქვებმა ქვაბის ფსკერი არ დააზიანონ. ლ|ლღენში ისხმება წყალი, იყრება დაჭრილი ხორცი, ინთება ცეცხლი და ასე იხარშება ხორცი [ჩართოლანი მ. 1961].

ცხადია, ასეთი მოცულობის და სიმძიმის ქვაბის ჩამოკიდება შეუძლებელი იყო, ამიტომ ის ზემოთ აღწერილი წესით იდგმებოდა ქვებზე.

ლ|ლღენი მართლაც განსაკუთრებული ჭურჭელია, სვანეთში მას გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი ფორმისა და ფუნქციის საუკეთესო შერწყმის ნიმუშია. ჩვენი აზრით, მას მთელ კავკასიაში ანალოგი არ მოეპოვება.

სვანეთში წინათ დიდ სათემო დღესასწაულს – *„ბაცხ"*-ს იხდიდნენ, რომლის დროსაც ლ|ლღენი გამოიყენებოდა. ამ დღესასწაულის შესახებ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას გვაწვდის ვერა ბარდაველიძე: *„ბაცხ"*-ს ჩვეულებრივ მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად იხდიდნენ. მისი მომწყობი ოჯახი წინა დღით კლავდა ეროს ან ორ-სამ

ხარს. ხორცი იხარშებოდა  და ულუფებად *(ლაგაფებად)* ნაწილდებოდა. ლაგაფი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენი კომლიც იყო უშგულში. ულუფებად დანაწილებამდე ლაგაფს ცალკე გამოყოფდნენ და ოჯახის გათხოვილ ქალიშვილს *(ჰასუიშ-ს)* უგზავნიდნენ ხარის მარჯვენა ბეჭს, რომელსაც *„ნაწუარ"*-ი (შესაწირავი) ეწოდებოდა. ამავე დროს ბაცხის გადამხდელ ოჯახში აცხობდნენ საკმაოდ დიდი ზომის თითო კვერს უშგულის მოსახლეობის თითო სულისთვის. ამ კვერებს *„სეფსკურ"*-ებს ეძახდნენ. ბაცხობა დღეს ხალხი დილიდანვე მოდიოდა მასპინძელთან არყის სასმელად. ეზოში დადგმული იყო არყით სავსე დიდი ზომის ხის ჭურჭელი – *„სეგდა"*, რომელსაც მიჩენილი ჰყავდა არყის გამანაწილებელი – *„მეგნე"*.  მეგნე არყით სავსე კათხებს აწვდიდა ხალხს იმდენჯერ, რამდენჯერაც ისინი მოისურვებდნენ. არყის ამგვარად დალევის წესს *„საყან"*-ი ეწოდებოდა. არყით დაკმაყოფილებულ ხალხს ურიგებდნენ წინასწარ დამზადებულ ხორცსა და პურს – მოსახლეს თითო „ლაგაფ ხორცს და მის ოჯახში შემავალ ყოველ სულს თითო სეფესკუერს, რომლებიც მათ თავ-თავის სახლებში მიჰქონდათ" [ბარდაველიძე ვ. 1939].

საბაცხე ქვაბი მაჩუბში ცხვრების სამწყვდევის თავზე ინახებოდა.

1977 წელს სვანეთის კულტურის შემსწავლელ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს (ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი) საშუალება მქონდა მენახა უშგულის თემში (ზემო უბანში) ლამარიას სახელობის ეკლესიაში დაცული ლ|ლღენი. იგი ეკლესიის *„ლადბამ"*-ში დგას. ეს არის ადგილი, სადაც ქალებს შეუძლიათ შესვლა და ლოცვა. ქვაბი გაზომილ იქნა ჩვენს მიერ. მისი სიმაღლე იყო – 104 სმ, პირის დიამეტრი – 102 სმ, ძირის – 102-103 სმ. აღნიშნული ქვაბი – ლ|ლღენი, როგორც სადღეობო-სამსხვერპლო საკლავის მოსახარში ჭურჭელი, ვ. ბარდაველიძის ნაშრომშია გამოქვეყნებული [ბარდაველიძე ვ. 1939].

სვანეთში ლიმრი დღეს (მარიამობას) სოფ. მურყვნელში ძროხას ან დეკეულს კლავდნენ და ამ ქვაბში ხარშავდნენ. სამივე (ჟიბიანი, ჩუბიანი, ჩაჟაში) სოფლიდან თითო ძროხა ან სამი დეკეული მოჰყავდათ მურყვნელში ან სამი სოფელი ერთ ძროხას ყიდულობდა. სამსხვერპლო საქონლის ყიდვაში თუ რომელიმე ოჯახი ვერ მიიღებდა მონაწილეობას (ღარიბი ან ხეიბარი იყო), დღეობაზე დასწრების უფლება მაინც ჰქონდა. სამსხვერპლო საქონელს ერთი წლით ადრე შეიძენდნენ, გაუშვებდნენ და სამარიამოდ დაკლავდნენ. საკლავი ეკლესიაში იხარშებოდა, რადგან ქვაბის გარეთ გამოტანა მისი ზომების გამო, შეუძლებელი იყო. ის ეკლესიის კარებში ვერ ეტეოდა.  მოხუცების გადმოცემით, ქვაბი ეკლესიის შიგნით ყოფილა სპილენძის ფურცლებისგან შეკერილი [კაკაბაძე ც. 1977].

ლ|ლღენის რამდენიმე ეგზემპლარია შემორჩენილი სვანეთში, სავარაუდოდ,ისინი XVIII საუკუნეში უნდა იყოს დამზადებული ან შეკერილი მზა ფირფიტებისაგან ჩვეულებრივი მჭედლის – *მშკიდ*-ის მიერ.

ლ|ლღენი დაცულია: 1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში; 2. უშგულის ლამარიას სახელობის ეკლესიაში; 3. სოფელ კალის წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესიაში;

4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (სურ. 2).

მესტიაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, დაცული ლ|ლღენის (№602) საკოლექციო აღწერილობაში ვკითხულობთ: „ქვაბი სპილენძის, XVIII საუკუნის. ასეთი ქვაბები ეკლესიისა და შეძლებული ოჯახების საკუთრება იყო და ითვლებოდნენ ძვირფას განძად. მათ იყენებდნენ სათემო შეკრებების დროს ხორცის მოსახარშად და ხორბლის შესანახად. მესტიის მუზეუმში დაცული ლ|ლღენი შეძენილია სოფელ მულახში, 1948 წელს".

ლ|ლღენი ოჯახის საკუთრება იშვიათად იყო. ის ეკლესიას ეკუთვნოდა და ლადბაში ინახებოდა. მასში დიდი სათემო დღესასწაულის დროს მიცვალებულის სულის მოსახსენებლად საკლავს ხარშავდნენ.

წესად იყო მიღებული მისი განათხოვრება. ის იცვლებოდა ხორბალზე ან ქერზე, იყიდებოდა ერთ დღიურ ყანაზე. ყოფილა შემთხვევა, ლ|ლღენი თავის მფლობელს შვილის ხელობის (მჭედლობა) შესწავლის საფასურად ოსტატისათვის გადაუხდია (სოფელი ცხუმარი, მესტიის რაიონი, 1974 წელი).

ანალოგიური ხერხით არის დამზადებული და „შეკერილი" ქვაბი (№19-83/153), რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (სურ. 3). ქვაბი აღმოჩენილია ცნობილ არქეოლოგ ჯურხა ნადირაძის მიერ სოფელ საირხეში. ავტორი მას ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრით ათარიღებს და საკულტო-სააღაპო ქვაბად მიიჩნევს [ნადირაძე ჯ. 1990].

ლ|ლღენის საუკეთესო ნიმუშის არსებობას სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში უნდა ვუმადლოდეთ ცნობილ ეთნოგრაფ მიხეილ ჩართოლანს. ბატონი მიხეილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სვანეთის მატერიალური კულტურის შემსწავლელ კომპლექსურ ექსპედიციას. მისი ხელმძღვანელობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა მესტიის მუზეუმისათვის და საერთოდ, სვანეთისათვის. იგი არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებებით იყო დაჯილდოებული. მის მიერ განხორციელდა ამ უზარმაზარი ქვაბის მესტიიდან ჩამოტანაც. მან ყველაფერს გაუკეთა ორგანიზება და ეს უნიკალური ექსპონატი წლების განმავლობაში გამოფენილი იყო ძველი ყოფის ამსახველ ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. დღეისათვის ნივთი ელოდება ახალ საგამოფენო სივრცეში ექსპონირებას.

Tsisana Kakabadze

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia

# ``Lglgeni`` – a cult-ritual copper pot (Depository of color metal of Simon Janashia Georgian Museum)

## Summary

``Lglgeni`` is a cult-ritual, big-sized copper pot. One of its best samples is kept in Simon Janashia Georgian Museum. It was brought from Mestia in 1964 by a famous ethnographer Micheil Chartolani

``Lglgeni`` is a very special vessel by its form and function. It was used during a big community holiday "Sadgeoboo" for boiling sacrificed cattle for slaughter. It was a property of a church and was kept in "ladbashi".

It was a custom to lend it. ``Lglgeni`` was exchanged to wheat or barley; it was sold for a day's cornfield. There was a case when its owner gave it to a master for his child's studying of profession (a blacksmith's work).

## ბიბლიოგრაფია

**ბარდაველიძე ვ. 1939:** *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I ახალწლის ციკლი.* თბილისი.
**კაკაბაძე ც. 1977:** *დღიური* №2. თბილისი.
**ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.
**ჩართოლანი მ. 1961:** *ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.* თბილისი.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ლგლღენი, სპილენძი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქარ-თველოს მუზეუმი (ფოტო – გ. ბუმბიაშვილი).
**სურ. 2.** ლგლღენი. სპილენძი. კოლექცია №602. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. (მხატვარი – რ. მეტრეველი).
**სურ. 3.** ქვაბი, საკულტო-სააღაპო, სპილენძი. ძვ.წ.აღ.-ის V საუკუნის II ნეხევარი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი (ფოტო – გ. ბუმბიაშვილი).

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** ``Lglgeni``, copper. Simon Janashia Georgian Museum.
Photo by G. Gumbiashvili.
**Fig. 2.** ``Lglgeni`` collection № 602. The Svaneti Historical-Ethnographical Museum. Painter –R. Metreveli.
**Fig. 3.** Pot for cult-funeral repast banquet, copper. It is dated back to the second half of the 5th c. BC.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 194-203
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 194-203

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**თამარ გელაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gtamar@rambler.ru

# მხატვარ დავით გველესიანის ნამუშევართა უცნობი კოლექცია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის სამეცნიერო-დამხმარე ფონდში დაცულია ქართველთა და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა ტიპაჟის, კულტურისა და ყოფის ამსახველი ბევრი ცნობილი მხატვრის მიერ შესრულებული სურათი. ამ ნამუშევართა შორის გარკვეული ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და, ამდენად, მუზეუმის „უცნობი კოლექციაა". მათს რიცხვს განეკუთვნება მხატვარ დავით გველესიანის ნამუშევრების ერთი ჯგუფი, რომელიც მან შეასრულა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ორგანიზებულ ექსპედიციებში მონაწილეობისას.

მოკლედ შევეხებით დავით გველესიანის (1890-1949) ცხოვრებასა და მოღვაწეობას [ვახვახიშვილი ნ. 1997: 38-39]. იგი დაიბადა ქ. ტფილისში. მამა – გენერალ-მაიორი ალექსანდრე გველესიანი ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთ ფუძემდებელის, რომანოზ გველესიანის (1859-1884) ძმა იყო, დედა თამარ ჭავჭავაძე – წინანდლელ ჭავჭავაძეთა შთამომავალი. დავითმა სპეციალური განათლება ტფილისის „ნატიფი ხელოვნების წამახალისებელ კავკასიის საზოგადოებასთან" არსებულ ხატვის სკოლაში (ოსკარ შმერლინგის კლასი) მიიღო (1906-1910, 1914-1917). ის მეცადინეობდა ხატვა-ფერწერაში მოსკოვში კ. იუონის, შემდეგ კი – რასელის სტუდიაში (1911-1914), სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1923-1929). მან თავიდანვე გიგო გაბაშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. იგი დავით გველესიანს „ნამდვილ ვირტუოზს, ფანქრის ნამდვილ ოსტატს" უწოდებდა. სამხატვრო აკადემიაში მისი მასწავლებლები იყვნენ აგრეთვე ევგენი ლანსერე, ედიშე თათევოსიანი და იოსებ შარლემანი.

დავით გველესიანი მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. ის ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა „სარმას" (საქართველოს რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია) წევრი და გარკვეული წვლილიც შეიტანა მისი ფორმირებისა და განვითარების საქმეში. 1919 წლიდან სისტემატურად მონაწილეობდა დროებით გამოფენებში. მან დამსახურებულად მოიპოვა ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი გრაფიკოსის

სახელი. 1924 წლიდან დ. გველესიანი აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს მუზეუმების მუშაობაში. ის დოკუმენტური სიზუსტით ასრულებდა ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის შეკვეთებს და თანამშრომლობდა გამომცემლობებთანაც. მნიშვნელოვანი იყო დ. გველესიანის პედაგოგიური საქმიანობაც. ის 1932 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სამხატვრო აკადემიაში კითხულობდა პერსპექტივის კურსს.

მხატვარმა (გრაფიკოსმა და ფერმწერმა) დავით გველესიანმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული მხატვრობის პორტრეტული და პეიზაჟური ჟანრების განვითარებაში. როგორც ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, ის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით [Беридзе В., Езерская Н. 1975:67]. მას ეკუთვნის საქართველოს ყველა სოციალური ფენის, სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობის მოქალაქეთა პორტრეტები. წლების მანძილზე გულმოდგინე და ფაქიზი მუშაობის შედეგად მხატვარმა შესძინა თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს (იმ დროისათვის „კომუნალური მუზეუმი") თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლების ამსახველი 50-მდე ტილო და ნახატი – სერია სურათებისა „ძველი თბილისი", რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალია.

დავით გველესიანის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ებრაელთა ყოფის ამსახველ სურათებს. მხატვარი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, მონაწილეობდა ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მუზეუმის მიერ მოწყობილ კომპლექსურ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. 1950-იან წლებში საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დაიხურა. იქ დაცული ფერწერული და გრაფიკული, მათ შორის, დ. გველესიანის ნამუშევრები გადაეცა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და დღემდე ინახება ამ მუზეუმის სამეცნიერო-დამხმარე ფონდში [გელაძე თ. 2003-2004:227].

დავით გველესიანის სურათები დაცულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და დაბების (ქუთაისის, თელავის, ყვარლის, თიანეთის, ყაზბეგის, სურამის, ახალციხისა და ონის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმებშიც.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დავით გველესიანი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთანაც თანამშრომლობდა. როგორც მუზეუმის საარქივო მასალიდან ირკვევა, იგი მონაწილეობდა 1924 წლის ხევის, 1939 წლის ქართლისა და 1940 წლის დიდოეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. ამ დროს მას ფანქრით, აკვარელით, ტუშით შეუსრულებია პორტრეტები (ნაწილი თანამედროვე, ხოლო ნაწილი ეროვნულ სამოსში), საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ამსახველი სურათები. ეს მასალა საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია. მისი პუბლიკაცია გაამდიდრებს ინფორმაციას კავკასიის მატერიალური კულტურის შესახებ და აგრეთვე წარმოაჩენს დავით გველესიანის „ამჟამად დაუმსახურებლად მივიწყებული მხატვრის"[Беридзе В., Езерская Н. 1975:67] მოღვაწეობის ზოგიერთ პერიოდს.

## კატალოგი

1. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. სოფ. მლეთა. 1924 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 36×25,5 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2798 (სურ. 1)

2. ნაგებობა. 1924 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 33×21 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2799

3. სამეურნეო ნაგებობანი. 1924 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 24×35 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2800

4. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. 1924 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 26×35 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2801

5. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. დაღესტანი, აული ჰუ-
პრი. 1940 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 30×41 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2802 (სურ.2)

6. საცხოვრებელი ნაგებობა. ქართლი, 1939 წ.
ქაღალდი, აკვარელი, ტუში. 32×42 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2803 (სურ. 3)

7. შაქრო ჩიტიშვილი. ქართლი, სოფ. მეჯვრისხევი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 32×21,5 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2804

8. იოსებ მელაშვილი. ქართლი, სოფ. მეჯვრისხევი. 1940 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 32×22 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2805 (სურ. 4)

9. ლადო ბეგიაშვილი. ქართლი, სოფ. მეჯვრისხევი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 43×30 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2806

10. იორამ დავითაშვილი. ქართლი, სოფ. მეჯვრისხევი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 32,5×22 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2807

11. კოლა კორინთელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ქართლი,
სოფ. მერეთი. 1939 წ.

ქაღალდი, ფანქარი. 43×30 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2808

12. მარო გუდაძე. ქართლი, სოფ. მერეთი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 42,5×30 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2809

13. ნათელა გიორგიშვილი. ქართლი, სოფ. მერეთი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 39×29,5 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2810

14. იოსებ მახარაშვილი. ქართლი, სოფ. მერეთი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 43×30,5 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2811

15. ნიკოლოზ მაზანაშვილი, ქართლი, სოფ. მეჯვრისხევი, ჩალხის უბანი. 1939 წ.
ქაღალდი, ფანქარი. 32×21,5 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2812

16. მამაკაცი ეროვნულ სამოსში.
მუყაო, აკვარელი. 42,5×25,5 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2813 (სურ. 5)

17. ქალი ეროვნულ სამოსში. 1940.
მუყაო, აკვარელი. 52×35 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2814 (სურ. 6)

18. ქალი ეროვნულ სამოსში. 1940.
ქაღალდი, აკვარელი. 40,5×28,5 სმ
ხელმოწერილია.
საინვ. № III – 2815 (სურ. 7)

19. ქალი ეროვნულ სამოსში.
ქაღალდი, აკვარელი. 56×40 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2816 (სურ. 8)

20. ქალი ეროვნულ სამოსში.
ქაღალდი, აკვარელი. 44×33 სმ
ხელმოწერილი.
საინვ. № III – 2817 (სურ. 9)

TAMAR GELADZE

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: gtamar@rambler.ru

# PAINTER DAVID GVELESIANI'S UNKNOWN COLLECTION OF WORKS

## Summary

In scientifically-auxiliary fund of the Simon Janashia Georgian National Museum are kept pictures painted by many famous painters. They describe types, culture and life of the Georgians and the Caucasian peoples.

Many among these works are unknown for a wide range of society and consequently they belong to the museum's ``unknown collection`` . A group of works of painter David Gvelesiani is considered to be one of them.

These pictures are painted in pencil, water color and ink and represent the Georgians (some of them wearing modern and the others national clothes).

The publication of this material will enrich the information about material culture of Caucasus.

## ბიბლიოგრაფია

**გელაძე თ. 2003-2004:** მხატვარი დავით გველესიანი. *სსმმ.* ტ. 45. გვ. 226-233. თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

**ვახვახიშვილი ნ. 1997:** მხატვარი დავით გველესიანი. *თეზისები. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია.* თბილისი.

**Беридзе В., Езерская Н. 1975:** *Искусство Советской Грузии*. Москва.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. სოფ. მლეთა.
**სურ. 2.** საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. დაღესტანი, აული ჰუპრი.
**სურ. 3.** საცხოვრებელი ნაგებობა. ქართლი.
**სურ. 4.** იოსებ მელაშვილი. ქართლი, სოფ. მეჯვრისხევი.
**სურ. 5.** მამაკაცის ეროვნულ სამოსში.
**სურ. 6.** ქალი ეროვნულ სამოსში.
**სურ. 7.** ქალი ეროვნულ სამოსში.
**სურ. 8.** ქალი ეროვნულ სამოსში.
**სურ. 9.** ქალი ეროვნულ სამოსში.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Inhabited and economic structures, v. Mleta.
**Fig. 2.** Inhabited and economic structures, Dagestan, aul Hupri.
**Fig. 3.** Inhabited structure. Kartli.
**Fig. 4**. Ioseb Melashvili, Kartli, v. Mejvrisxevi.
**Fig. 5**. Portrait of the man in national clothes.
**Fig. 6.** Portrait of the woman in national clothes.
**Fig. 7**. Portrait of the woman in national clothes.
**Fig. 8.** Portrait of the woman in national clothes.
**Fig. 9.** Portrait of the woman in national clothes.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 204-214
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 204-214

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**გვანცა არჩვაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gvantsa_ar@yahoo.com

# მცირე პლასტიკის ზოომორფული ფიგურები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციებიდან

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კერამიკის ფონდში მცირე პლასტიკის ზოომორფული ფიგურების მეტად საინტერესო ნიმუშებია დაცული. კოლექცია, უმთავრესად მოიცავს ცხოველების (ცხვარი, თხა, ცხენი, ირემი, ჯიხვი, კურდღელი), ფრინველების (მტრედი, ქათამი,მამალი) და მითოსური არსებების გამოსახულებებს. ექსპონატები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ძირთადად, შემოსულია 1961 და 1987 წლებში დაღესტანში განხორციელებული ექსპედიციების დროს. აღნიშნული ნივთები დაღესტნის კერამიკის წარმოების უძველეს ცენტრში – ბალხარშია დამზადებული და ბალხარულ ხალხურ სათამაშოებს მიეკუთვნება.

ბალხარული კერამიკული ნაწარმი მაღალი ხარისხით და მოხდენილი ფორმებით გამოირჩევა. თავისებური და ორიგინალური მოხატულობა (განსაკუთრებით, თეთრი ფერის ფილიგრანული არშია), რომლითაც შემკულია თითოეული ნივთი, განასხვავებს მას ნებისმიერი სხვა კერამიკის ცენტრის ნაწარმისგან. არაერთი მეცნიერი აღნიშნავს ბალხარული კერამიკის მაღალ ღირსებას: „ბალხარული მეთუნეობა, ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით, კავკასიაში საუკეთესოა" [ბოჭორიშვილი ლ. 1956: 103]. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ კერამიკულ ნაწარმს ბალხარში მხოლოდ და მხოლოდ ქალები ქმნიდნენ [http://kulturoznanie.ru; Шиллинг Е. 1936: 4]. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებთან ერთად ბალხარელები ხალხურ სათამაშოებსაც ამზადებდნენ. როგორც ირკვევა, გართობა-თამაშის გარდა, ამ ნივთებს სხვა ფუნქციაც გააჩნდათ, კერძოდ, მათ სარიტუალო დანიშნულებითაც იყენებდნენ. სხვადასხვა ცხოველისა თუ ფრინველის ფიგურებში ადამიანები ხედავდნენ მათი საცხოვრებლის, საქონლის, ნათესების მფარველ სულებს.

ჩვენი მიზანია მოვახდინოთ ფონდში დაცული დაღესტნური ზოომორფული ფიგურების იდენტიფიკაცია და შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ მათი ფუნქცია და როლი დაღესტნისა და, ზოგადად, კავკასიის ხალხთა

სულიერ კულტურაში.

დაღესტნის ხალხთა სამეურნეო ყოფაში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საქონლის განაყოფიერება და გამრავლება, როგორც ადამიანის ცხოვრების კეთილდღეობის საფუძველი, განაპირობებდა სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით დაღესტნელები ძველთაგანვე ასრულებდნენ მრავალ რიტუალს. ისინი მიმართავდნენ მსხვერპლშეწირვას, ტაბუირებას და სხვ. მათი აზრით, წინაპართა სულებსაც შეეძლოთ დახმარების გაწევა, ამიტომ მათ სახელზე ამზადებდნენ საკურთხს და შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას [Гаджиев Г. 1991: 95]. აღნიშნული მხოლოდ დაღესტნის მოსახლეობისთვის არ არის დამახასიათებელი. მსგავსი ფაქტები დასტურდება საქართველოშიც, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში. სამეგრელოში მსგავს რიტუალს „გალენიში ორთას" უწოდებენ, რომლის დროსაც, ზემოთ აღნიშნული მიზნით, საქონლის სადგომში შლიდნენ სუფრას მიცვალებულთა სულებისთვის. ოჯახის უფროსი სუფრასთან იწვევდა უხილავ სტუმრებს და დაჩოქილი შესთხოვდა საქონლის გამრავლებასა და გამოჯანსაღებას [სურგულაძე ი. 2003: 44). როგორც ჩანს, ქართველი და კავკასიელი ხალხის რწმენით, შინაურ ცხოველთა მფარველობა მიცვალებულთა სულებსაც შეეძლოთ.

დაღესტნის მთის ხალხი განსაკუთრებით იმ შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს ეთაყვანებოდა, რომლებსაც ეკონომიური თვალსაზრისით მეტი სარგებლობა მოჰქონდა [Гаджиев Г. 1991: 99]. ამ მხრივ გამოირჩეოდა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც ბალხარელთა მთავარ სიმდიდრედ ითვლებოდა. უპირველესად ეს ეხებოდა ცხვარსა და თხას. საგულისხმოა, რომ კერამიკის ფონდში დაცულ ბალხარულ სათამაშოებში ჭარბობს ცხვრის ფიგურები (საინვ. №98-987/11; 98-987/12; 98-987/13; 98-987/18) (სურ. 1).

დაღესტანში ცხვარი სამსხვერპლო ცხოველად ითვლებოდა, ამიტომ იგი მონაწილეობდა სხვადასხვა რიტუალში. მის სისხლს გვალვის დროს, წვიმის გამოწვევის მიზნით, მინდვრებსა და ნათესებს აპკურებდნენ. დაღესტნელების წარმოდგენით, ცხვრის თავის ქალა იცავდა სახლსა და მეურნეობას, რქები კი ავი თვალისაგან დასაცავად გამოიყენებოდა. ასევე ავი სულების განდევნა შეეძლოთ ცხვრის ტყავსა და ბეწვს. დაღესტანში უპირატესობა ენიჭებოდა შავ ცხვარს. სხვადასხვა მაგიური წეს-ჩვეულების დროს სამსხვერპლო ცხოველად უმთავრესად შავი ცხვარი გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს უძველეს ხალხებში ცხვარს რელიგიურ წარმოდგენათა მთელი სისტემა უკავშირდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (განსაკუთრებით, განვითარებული მეცხვარეობის რაიონებში) შემორჩა ცხვრისადმი, როგორც ღვთაების ხატისადმი თაყვანისცემა [ბრეგაძე ნ. 2004: 263]. საქართველოში ცხვარი მიიჩნეოდა დოვლათის, ნაყოფიერებისა და განახლების სიმბოლოდ. ჩვენში ცხვართან დაკავშირებული წარმოდგენათა ზრდა მეცხვარეობის სამეურნეო დარგად ქცევამ განაპირობა [სურგულაძე ი. 2003: 103, 137, 147].

კერამიკის ფონდში ასევე ვხვდებით თხის ფიგურებს (საინვ. №53-61/10; 98-987/1), რომლებიც გადაჯვარედინებული რქებით არიან წარმოდ-

გენილნი (სურ. 2). საერთოდ, დაღესტნელები თხას მიიჩნევდნენ ძაღლის შემდეგ პირველ ცხოველად. ხალხის აზრით, თუ თხა მიუძღოდა წინ ცხვრის ფარას, ეს ხელს შეუწყობდა ფარის ზრდას, ხოლო მისი რქები ხიფათისგან დაიცავდა [Гаджиев Г. 1991: 101]. საქართველოში კი თხა მიიჩნეოდა უწმინდურ ცხოველად, ამიტომ მას „არც ერთ სალოცავს არ სწირავდნენ, გარდა ელიასი" [სურგულაძე ი. 2003: 221].

ზემოთ აღნიშნულ კოლექციაში დაცულია ცხენის ორი ფიგურა, რომელთაგან ერთი (საინვ. №53-61/4) ნამდვილ ცხენს მოგვაგონებს (სურ. 3), ხოლო მეორე ცხენის ფიგურა (საინვ. №98-987/4) განმარტებულია, როგორც ფრთოსანი რაში. აღნიშნული ნივთი ფრთებითა და დაკბილული კუდით ზღაპრულ პერსონაჟს ჩამოჰგავს (სურ. 4). ზოგადად, ცხენის სახე ფართოდ არის წარმოდგენილი დაღესტნურ ზღაპრებსა და ლეგენდებში. დაღესტნელთა რწმენა-წარმოდგენით ცხენი მთიელთა განუყრელი თანამგზავრია. დაღესტნელები თვლიდნენ, რომ ცხენის ხორცი სხვადასხვა დაავადებას კურნავს, თავის ქალა კი გვალვისას წვიმის გამოწვევის რიტუალში გამოიყენებოდა. ქალაზე წერდნენ ნაწყვეტებს ყურანიდან და წყალს ატანდნენ. რაც შეეხება ცხენისა და მხედრის ურთიერთობას, მთიელთა რწმენით, ცხენი თავის პატრონს სულეთში მიაცილებდა [Гаджиев Г. 1991: 101]. ეს მოვლენა მთლიანად ესადაგება საქართველოს მთიანეთში არსებულ ტრადიციას, მაგალითად, როდესაც სვანეთში ადამიანი გარდაიცვლებოდა, მის კუბოსთან საგანგებოდ შეკაზმული ცხენი უნდა დაეყენებინათ, რომელიც პატრონის დამარხვის დღეს ისე უნდა დაექანცათ სირბილით, სანამ არ დაეცემოდა და მოკვდებოდა. სვანების რწმენით, ამის შემდეგ ცხენი იმქვეყნად თავის პატრონთან მივიდოდა. ვ. ბარდაველიძის აზრით, სვანეთში გავრცელებული ეს წესი გადმოცემულია ლიფანალის მხატვრობაში [ბარდაველიძე ვ. 1953: 67]. საერთოდ, ცხენს ჩვენში, როგორც დამოუკიდებელ რელიგიურ-ზოომორფულ სიმბოლოს, გვიან შემოსულად თვლიან. „ეს ცხოველი კავკასიის ძველ მცხოვრებთა თვალსაწიერიდან უნდა შემოსულიყო, როგორც მხედრობასთან დაკავშირებული მოვლენა ან გამწევი ძალა" [სურგულაძე ი. 2003: 112). რაც შეეხება ცხენის არაჩვეულებრივ სისწრაფეს, ალბათ, სწორედ ამან დაუდო საფუძველი სხვადასხვა ხალხის მითებში ფრთოსანი რაშის გაჩენას. ასეთი დამოკიდებულება უნდა დავინახოთ ფონდში დაცული რაშის ფიგურის შინაარსშიც.

შინაურ ფრინველთაგან კერამიკის ფონდში ყურადღებას იქცევს ქათმისა (საინვ. №53-61/7) და მამლის ორი ფიგურა (საინვ. №53-61/35; 53-61/36) (სურ. 5-6). დაღესტნელთა სამეურნეო ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მამალსა და ქათამს, რის გამოც მათ მრავალი წარმოდგენა უკავშირდებოდა. მთიელები განსაკუთრებულ მაგიურ დატვირთვას მიაწერდნენ ქათმის გულმკერდის ძვალს, რომელსაც ავი თვალისაგან დასაცავად ჯიბით ატარებდნენ. ასევე მიაჩნდათ, რომ შინაური ფრინველის ხორცი ადამიანს კურნავდა სხვადასხვა ფსიქიური დაავადებისაგან, კვერცხს კი სასწაულმოქმედი ძალა მიეწერებოდა. უბედურების თავიდან აცილების მიზნით, ქათამი უნდა დაეკლათ. ასევე იქცეოდნენ, თუ მამალი უდროო დროს დაიყივლებდა, თუმცა, სხვა შემთხვევაში, მაგ-

ალითად, დილით მამლის ყივილი, მათი რწმენით, აფრთხობდა ბოროტ სულებს.

როგორც ცნობილია, მამლის თაყვანისცემა დამახასიათებელია ზოროასტრიზმისათვის, რომლის მაგალითები კავკასიის ხალხთა ყოფამ შემოინახა. ზოროასტრიზმში მამალი ითვლება აჰურა-მაზდას წმინდა ფრინველად. ასევე საინტერესოა, რომ დაღესტნის სხვადასხვა ხალხში მკაცრად იყო განსაზღვრული შინაური ფრინველის ხორცის განაწილების წესი ოჯახის ამა თუ იმ წევრისთვის [Гаджиев Г. 1991: 105]. მამლისადმი სარიტუალო დამოკიდებულება ეთნოგრაფიული მასალით არაერთხელაა დადასტურებული საქართველოში, მაგალითად, სამეგრელოში ამინდის შეცვლის მიზნით გატყავებული მამლის ფიტულს ხეზე ჰკიდებდნენ და ისე სწირავდნენ წმინდანს. ასევე მამლის შეწირვის ფაქტები დასტურდება იმერეთსა და გურიაშიც. რაც შეეხება ქათამს, მას სარიტუალო-სიმბოლურ ხეებზე ჰკიდებდნენ [რუხაძე ჯ. 1999: 113-136]. ამგვარად, შინაური ფრინველებისადმი სარიტუალო დამოკიდებულება კავკასიის ხალხთა შორის საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. სწორედ ამ დამოკიდებულების ნივთმტკიცებად მიგვაჩნია ეთნოგრაფიის ფონდში დაცული კერამიკული ფრინველებიც.

დაღესტნის მთის მოსახლეობა თაყვანს სცემდა ისეთ გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს, რომლებიც მათთან ახლოს ბინადრობდნენ და რომლებზეც ნადირობდნენ, როგორსაც წარმოადგენდნენ კერამიკის ფონდში დაცული კურდღლისა (საინვ. №98-987/24; 98-987/23) და მტრედის (საინვ. №53-61/5) ფიგურები (სურ. 7-8).

კურდღელი შედარებით მოკლებული იყო სარეწაო მნიშვნელობას, მაგრამ მას მაინც უკავშირდება სხვადასხვა ცრურწმენა, მაგალითად, კურდღლის ყურების გამოსახულებას ავი თვალისგან თავდასაცავად მიაკერებდნენ ხოლმე ბავშვის ტანსაცმელს [Гаджиев Г. 1991: 106].

რაც შეეხება მტრედს, დაღესტანში იგი სარგებლობის მომტან ფრინველად ითვლებოდა. მის ხორცს ამატებდნენ საკვებში გულის დაავადებების დროს, სისხლს კი წითელა ბატონების გადალოცვის რიტუალში გამოიყენებდნენ. დაღესტნელთა რწმენით, მტრედები წყლით ამარაგებდნენ გამოქვაბულში მცხოვრებ წინასწარმეტყველებს. მთიელთა წარმოდგენებით, მტრედები ფრთების შესწორებისას ქმნიან ჩრდილს, რათა დაიფარონ ადამიანები სულეთში სიცხისგან. საინტერესოა, რომ დაღესტნელთა რწმენა-წარმოდგენებში მტრედი არის ფრინველი, რომელიც არ ღებულობს ბოროტი სულის, დემონის სახეს. მტრედი და მასთან ერთად მერცხალიც დაღესტნელებს მიაჩნდათ საღვთო ფრინველებად. ასეთი შეხედულებები, ალბათ, ანიმისტური წარმოდგენების შედეგად გაჩნდა, რომლის მიხედვითაც მიცვალებულთა სულები ჩიტის სახეს იღებდნენ. მიცვალებულთა სულებისათვის ფრინველის დაკავშირება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა რელიგიურ შეხედულებებში. მტრედის სიმბოლურმა მნიშვნელობამ განსაკუთრებით დიდი დატვირთვა შეიძინა ქრისტიანულ სამყაროშიც, სადაც მრავალრიცხოვან ფრინველს შორის მტრედს, როგორც წმინდა ფრინველს, განსაკუთრებით სცემენ პატივს და მას მსხვერპლშეწირვის რიტუალშიც იყენებენ [ნადირაძე ე. 2001: 203-206].

გარეულ ცხოველთაგან ყურადღებას იქცევს კერამიკის ფონდში დაცული ირმისა (საინვ. №98-987/8) და ჯიხვის (საინვ. №98-987/6) ფიგურები (სურ. 9-10). კავკასიის ხალხთა შეხედულებებში ირემი და ჯიხვი ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებებს უკავშირდება [ხიდაშელი მ. 2010: 15], რასაც ფონდში დაცული ირმის ფიგურა ადასტურებს, რომელსაც ზურგზე პატარა ირემი აზის. საქართველოში აღნიშნულ ცხოველებს ხალხი წმინდა ნადირს უწოდებდა. ეს ცხოველები მიცვალებულთათვის სასურველ შესაწირად ითვლებოდნენ. ჯიხვი და ირემი აქტიურად მონაწილეობდა დაკრძალვის რიტუალსა და საქორწილო ცერემონიალში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველა სალოცავი ჯიხვისა და ირმის რქებითაა შემკული [სურგულაძე ი. 2003: 21-23]. უდავოა, რომ მათ დაღესტნელთა შეხედულებებშიც მრავალი წარმოდგენა უკავშირდება.

საინტერესოდ მიგვაჩნია, კერამიკის ფონდში დაცული მითოსური ფიგურა, ე.წ. აჟდაჰი (საინვ.№98-987/5), ფრთებით, გრძელი კუდით, რომელიც, ერთი შეხედვით, ურჩხულს მოგვაგონებს (სურ.11). იგი მართლაც მითოლოგიურ-ზოომორფული არსებაა და ფართოდაა გავრცელებული დაღესტნის ხალხთა ზღაპრებში. თვითონ ბალხარში მრავალი ზღაპრის მოტივია – ბრძოლა ურჩხულ „აჟდაჰთან“, რომელიც ხალხს ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. ითვლებოდა, რომ იგი ცხოვრობდა წყაროებთან და ადგილობრივთა რწმენით, წყლის სანაცვლოდ მსხვერპლად ადამიანს მოითხოვდა. აღმოსავლური მითოსური ზღაპრების გავლენის მქონე ეს სიუჟეტი მთელ დაღესტანში გავრცელდა. მას მხოლოდ დამატებული აქვს მთიელთა ყოფისთვის დამახასიათებელი დეტალები.

ლეგენდები ურჩხულ „აჟდაჰზე“ ფართოდაა გავრცელებული კავკასიის ხალხთა სულიერ კულტურაში. მსგავსი გადმოცემები ცნობილია ბალკანეთის სლავურ მოსახლეობაშიც [Гаджиев Г. 1991: 32-35].

ამგვარად, კერამიკის ფონდში დაცული მცირე პლასტიკის ბალხარული ზოომორფული ფიგურები, რომლებიც საბავშვო სათამაშოებია, განკუთვნილია მოზარდის სააზროვნო სისტემისა და მასში ტრადიციული რელიგიური შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. ამასთან ერთად, ისინი გვაძლევენ მეტად საინტერესო ინფორმაციას დაღესტნის ხალხთა უძველეს რელიგიურ შეხედულებებსა და რწმენა-წარმოდგენებზე.

ვფიქრობ, რომ კვლევა ამ მიმართულებით, რომლის განხორციელება სამომავლოდ გვაქვს განზრახული, შემდგომ უფრო ფართო სპექტრით წარმოგვიჩენს აღნიშნული მასალის ფუნქციურსა და რელიგიურ მნიშვნელობას.

GVANTSA ARCHVADZE

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail:gvantsa_ar@yahoo.com

# SMALL PLASTIC ZOOMORPHIC FIGURES FROM THE COLLECTIONS OF THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM

## Summary

This article deals with the material that is kept in the ceramics depository of the Simon Janashia Museum of Georgia.The above mentioned material presents rather interesting and various Dagestanian, Balkharian zoomorphic figures.The collection consists of small plastic models of different animals ( a sheep, goat, horse, deer, aurochs, rabbit), birds (a dove, hen,cock) and mythological animals. The presented material entered into the Georgian National Museum in 1961 and 1987 years during ethnographic expeditions carried out in Dagestan and it is known as Balkharian national clay toys. Except the playing function, they had another deep function too. They give us information about Dagestanian people's ancient religious beliefs.

## ბიბლიოგრაფია

**ბარდაველიძე ვ. 1953:** *ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები.* თბილისი.

**ბოჭორიშვილი ლ. 1956:** დაღესტნური თიხის ჭურჭელი. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის.* ტ. VIII. გვ. 73-88. თბილისი.

**ბრეგაძე ნ. 2004:** *საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა.* თბილისი.

**ნადირაძე ე. 2001:** *საქართველოს მემორიალური კულტურა.* თბილისი

**რუხაძე ჯ. 1999:** *ბუნების ძალთა ადორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში.* თბილისი.

**სურგულაძე ი. 2003:** *მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში.* თბილისი.

**ხიდაშელი მ. 2010:** *საქართველოს ძველი კულტურის საკითხები.* თბილისი

**Гаджиев Г.А. 1991:** *Доисламские верования и обряды народов Нагорного Дагестана.* Москва.

**Шиллинг Е.М. 1936:** *Балхар*. Пятигорск.

**http://kulturoznanie.ru/interesno**/133-goncharnoe-iskusstvo-dagestana.html

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ცხვრის ფიგურები.
**სურ. 2**. თხის ფიგურები.
**სურ. 3.** ცხენის ფიგურა.
**სურ. 4.** ფრთოსანი რაშის ფიგურა.
**სურ. 5.** ქათმის ფიგურა.
**სურ. 6.** მამლის ფიგურები.
**სურ. 7**. კურდღლის ფიგურები.
**სურ. 8.** მტრედის ფიგურა.
**სურ. 9.** ირმის ფიგურა.
**სურ. 10.** ჯიხვის ფიგურა.
**სურ. 11.** ურჩხულ „აჟდაჰის" ფიგურა.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Figures of sheep.
**Fig. 2**. Figures of goat.
**Fig. 3.** Figure of horse.
**Fig. 4.** Figure of feathered fast horse.
**Fig. 5**. Figure of hen.
**Fig. 6**. Figures of cock.
**Fig. 7.** Figures of rabbit.
**Fig. 8**. Figure of dove.
**Fig. 9.** Figure of deer.
**Fig. 10.** Figure of aurochs.
**Fig. 11.** Figure of monster.

სურ.1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 215-229
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 215-229

**ეთნოგრაფია/ეთნოლოგია**

**როზეტა გუჯეჯიანი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ლია ცის ქვეშ
კუს ტბის ასახვევი 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: rgujejiani@gmail.com

# სოციალური მეხსიერების ფაქტები სვანეთის ტრადიციულ ყოფაში

ქართველთა ტრადიციულ ყოფაში სოციალურ-ისტორიული (კოლექტიური) მეხსიერების ფაქტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული სოციალური მეხსიერების ფაქტები, ცხადია, დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან სოციალური მეხსიერების მთავარი ნიშანი კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების დაკარგვა და გაქრობაა. სოციალურ მეხიერებაში რჩება მთავარი და არსობრივად მნიშვნელოვანი ფაქტები და ხდება მათი მკვეთრი მითოლოგიზება [Гуревич А. 1972; Элиаде М. 1987; Ле Гофф Ж. 1992; ხიდაშელი მ. 2011].

სოციალური მეხსიერების ფაქტები დასტურდება როგორც ფოლკლორში, ასევე წერილობით საისტორიო წყაროებში.

წარსულის სურათების რეკონსტრუირებისათვის, ცხადია, უმნიშვნელოვანესი მატერიალური კულტურის არტეფაქტებია, მაგრამ საყურადღებო ინფორმაციის მატარებელია ზეპირი საისტორიო წყაროებიც, რადგან ფოლკლორი რეალური ისტორიის მრავალი ამბის ანარეკლის მომცველია.

ტრადიციული მენტალობის ამა თუ იმ მხარის მიმოხილვისას ე. წ. კოლექტიური მეხსიერების დანაშრევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მენტალობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ლოკალურ ერთეულთან – ადამიანთა მჭიდროდ დაკავშირებულ (საერთო წარსული, საცხოვრისი, კულტურა...) ჯგუფთან მიმართებით [Гуревич А. 1989: 75-88]. ამ ჯგუფების აზროვნების სტერეოტიპები, რასაკვირველია, ყველაზე თვალსაჩინოდ მათს ზეპირსიტყვიერებაში აისახება.

სვანეთში შემონახულია სხვადასხვა ისტორიული ფაქტის მრავალი ანარეკლი, რომლებიც უნივერსალური სიუჟეტების სახითაა გავრცელებული ამ რეგიონის სამივე მხარეში (ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, დალის ხეობის სვანეთი – ზემო აფხაზეთი) და მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებში დაცული გადმოცემებისა.

ისტორიულ ფაქტთაგან აღსანიშნავია ამა თუ იმ ეკლესიის, ციხის, კოშკისა თუ ხიდების გადებასთან, გვირაბების, სარწყავი და სასმე-

ლი წყლის არხების, გზების გაყვანასთან; ტოპონიმებთან; სოფლების დაარსებასთან; წყაროების „ამოფეთქვასთან“ დაკავშირებული საისტორიო გადმოცემები. შემონახულია დიდძალი მასალა მტრების შემოსევების დროს სვანეთის ტერიტორიაზე მომხდარი ბრძოლების შესახებ, ყანსავ ყიფიანის საარაკო გმირობის ამბები, „თათრებისა“ და რუსეთის არმიის მიერ ჩადენილი არაერთი სისასტიკის ამსახველი ისტორია. ამ მხრივ, გამორჩეულია ხალდეს აჯანყებისა და 1921-1924 წლების სვანეთის ანტიბოლშევიკური გამოსვლების ისტორიები უამრავი საგმირო ეპიზოდითურთ; ზოგიერთი დღემდე არსებული ხალხური დღეობების დაარსების ისტორიები და სხვ. საგულისხმოა, რომ არქაული ხანიდან მომდინრე არტეფქტები შემოინახა სვანეთის მითოლოგიამ (მაგალითად, ამირანდარეჯანიანის ეპოსის უძველესი შრეები, ბეთქილის ციკლი და სხვ.).

სვანეთის ტრადიციულ ყოფაში მნიშვნელოვანი სოციალურ ფაქტებია წმიდა გიორგისა („ჯირგ“) და წმიდა თამარ მეფესთან („თამარ დედფლ“) დაკავშირებული ისტორიული მომენტები, რომლებიც, ამავე დროს, უნივერსალურია საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისთვისაც.

საეკლესიო გადმოცემით, სწავლება წმიდა გიორგის ცხოვრებისა და მოწამეობრივი ღვაწლის შესახებ ქართველ საზოგადოებაში გაავრცელა მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ. საქართველოში წმიდა გიორგის სახელზე პირველი ეკლესია IV–V საუკუნეებში აშენებულა, შემდეგ კი იმდენი ტაძარი აგებულა, რამდენი დღეცაა წელიწადში – „არ არის ბორცვი, ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანნი“ [ქართლის ცხოვრება. 1973: 40]. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, „არც ერთი წმიდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმიდა გიორგის სახელობაზეა აშენებული“ [ჯავახიშვილი ივ. 1979: 88].

წმიდა გიორგის ხატებას გამორჩეული ადგილი უკავია ტრადიციულ ქართულ კულტურაში. ცნობილია, საქართველოს ერთ-ერთი უცხოური სახელი **გეორგიაა**. საისტორიო ტრადიციით, ეს სახელი წმიდა გიორგის უკავშირდება, რადგან იგი ძველთაგანვე ქართველთა მხსნელად და მფარველად აღიქმებოდა.

წმიდა გიორგისადმი თაყვანისცემა განსაკუთრებით მასშტაბური საქართველოში IX საუკუნიდან გახდა. ამ დროიდან ითარგმნება წმინდანის ცხოვრებანი, იწერება გალობები, აკროსტიხები, იგება დიდი რაოდენობით ამ წმინდანის სახელობის ეკლესია-მონასტრები.

წმიდა გიორგის წმიდა ნაწილები და სასწაულთმოქმედი რელიკვიები (მშვილდი, ისრები, ჯაჭვი...) ინახება საქართველოს ეკლესია-მონასტრებშიც. წმიდა გიორგის ხატება გამოსახული იყო სამეფო (ბაგრატიონთა), სადროშოთა და დაწინაურებულ საგვარეულოთა გერბებზე. სახელი გიორგი დამკვიდრდა სამეფო სახელად.

წმიდა გიორგის სახელზე მთელ საქართველოში იგებოდა ეკლესია-მონასტრები, იქმნებოდა ხატები, ფრესკები. მხოლოდ სვანეთში ასზე მეტ წმიდა გიორგის ეკლესიას მოითვლიან, რომელთა შორისაც უდიდეს ისტორიულ ფუნქციას სვანეთის საერისთავოს სასულიერო და სო-

ციალური ცენტრი – სეტის წმიდა გიორგის მონასტერი – ასრულებდა. ცნობილია, სეტის წმიდა გიორგის ეკლესიაში ქორეპისკოპოსები მოღვაწეობდნენ. Rექ. თაყაიშვილის აზრით, შესაძლოა, სეტის მონასტერი საეპისკოპოსო საყდარიც ყოფილიყო [თაყაიშვილი ექ. 1991: 299]. იქვე ინახებოდა სვანეთის საერისთავო დროშა „ლემი“.

საქართველოს ტრადიციულ ყოფაში წმიდა გიორგი სხვადასხვა ხალხური ეპითეტით მოიხსენიება: *თეთრი გიორგი, ჯგირაგ, ჯგეგე// ჯეგე//გეგე, ლაშარი, თეთროსანი, ნაღვარმშვენიერო, მოისარი, შუბოსანი, ხანგარამი (ხანგაროსანი), ქაუშელდიანი (კავმშვილდიანი)* და სხვ.

წმიდა გიორგი – „*ჯგირაგ*“-*ი* სვანეთშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სხვადასხვა ეპითეტით იხსენიება. სვანეთში არსებული ვარიაციებია: „*წმიდა გიორგი მოისარი*“, „*წმიდა გიორგი შუბოსანი*“, „*წმიდა გიორგი კავმშვილდიანი*”, *თეთროსანი წმიდა გიორგი* და *სხვ.*

წმიდა გიორგის ეკლესიები აღმართულია ზემო და ქვემო სვანეთის ყოველ თემში, ზოგან – რამდენიმეც, ასევე დალის სვანეთში, ამჟამინდელ ზემო აფხაზეთში (აჯარის წმიდა გიორგისა და შყერის წმიდა გიორგის ეკლესიები). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბარად ჩასახლებულმა ეკომიგრანტმა ქართველმა მთიელებმა (სვანებმა) უკვე ახალ საცხოვრისებშიც ააგეს წმიდა გიორგის ეკლესიები (თეთრიწყაროს, მანგლისის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, წალკის რაიონებში) და გულმოდგინედ ზეიმობენ გიორგობის დღესასწაულებს.

სვანეთის ბევრი საგვარეულო ხაზგასმული სიამაყით თავის გვარს წმიდა გიორგის მრევლს *(ჯგირაგიშ მარილ)* უწოდებს. ეს საგვარეულოები (სეტიელები, ფალიანები, რატიანები, ნიგურიანები, მჭედლიანები, ჯაფარიძეთა ერთი შტო, გუჯეჯიანები, ქობალიები, ჭკადუების ზოგიერთი შტო, ქურდიანები..) წმიდა გიორგის ამა თუ იმ ეკლესიის მრევლნი და მომვლელნი არიან. მენტალური თვალსაზრისით, მეტად შთამბეჭდავია მესტიელ სეტიელთა, ფალიანთა, რატიანთა, ნიგურიანთა, მჭედლიანთა და ჯაფარიძეთა (ერთი შტოში) შორის არსებული ტრადიცია: ეს საგვარეულოები თავიანთ თავს *მოლჯგირაგ-ს* უწოდებენ, სეტის წმიდა გიორგის მრევლად ითვლებიან და სეტის წმიდა გიორგის საეკლესიო დღეობების დროს სხვა მესტიელებთან შედარებით დიდ უპირატესობას ფლობენ. მათ შორის დაცულია გადმოცემა, რომ *წმიდა გიორგი თავიდან ადამიანი ყოფილა, ორი უმცროსი ძმა ჰყოლია. შემდეგ იგი გამოჩენილი მეომარი გამხდარა. ბოლოს წმიდა გიორგი ღმერთს თავისთან წაუყვანია. ამ ორი ძმის შთამომავლები კი ჩვენ ვართო* [სვანური ენის ქრესტომათია. 1978: 88]. ამ გადმოცემის სხვა ვარიანტით„„მოლჯგირაგი“-თა კიდევ ერთი გვარი – მუტვილიანები – ადრევე გადაშენებულან. ამავე ეკლესიასთან სრულდება მაშტაბურობით გამორჩეული ხალხური დღესასწაული *ჰულიშ-ობა* [გუჯეჯიანი რ. 2005].

წმიდა გიორგი ქართველთა მსოფლაღქმით საქართველოს მხსნელია, ქართული მხედრობის მფარველია. საყოველთაოდ ცნობილი საისტორიო გადმოცემით, საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს დიდგორის ბრძოლაში წმიდა გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად მიუძღოდა დავით აღმაშენებელს და ქართულ მხედრობას: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღ-

ლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა“ [ქართლის ცხოვრება. 1955: 341]. ამ დიდი სასწაულის („ძლევაი საკვირველი“) ამსახველი მრავალი ხალხური ვარიანტი სვანეთის ეთნოგრაფიულმა მასალამ შემოგვინახა ლეგენდა-გადმოცემების სახით.

ძველთაგანვე სვანეთის საერისთავო საქართველოს ჩრდილოდასავლეთ საზღვრის ერთგული დამცველი და მეციხოვნე იყო. აქაური დიდგვაროვნები მაღალ სამხედრო სახელებს ფლობდნენ სამეფო კარზე და გამორჩეულ მეომრებად იყვნენ ცნობილნი. სვანები ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ უკვე მხოლოდ საკუთარი ძალებით, უმკლავდებოდნენ ჩრდილოკავკასიელთა შემოსევებს და „თათრების“ წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში სწორედ წმიდა გიორგი მოჩანს ქართველთა შემწედ და მფარველად ამ მხარეშიც. მრავალი ასეთი გადმოცემაა სვანეთში დაცული. შემონახულია ის ეკლესიებიც, რომელთა მახლობლადაც სასწაულები მომხდარა, მაგალითად, ადიშის, იფარის, ნაკიფარის, მულახის, შიხრის, შყერის, საყდრის, ლახამულის ხიდის წმიდა გიორგის ეკლესიები, აგრეთვე, კაიშის მთავარანგელოზის და სხვა საყდრები. გადმოცემებით, ამ და სხვა ადგილებში, რომლებიც, ძირითადად, უღელტეხილების მახლობლად მდებარეობს, საიდანაც საუღელტეხილო გზებით გადმოდიოდა მტრის ლაშქარი, სამშობლოს დამცველ ქართველ მეომრებს განცხადებულად მიუძღოდა წმიდა გიორგი, მისი შემწეობით ამარცხებდნენ ქართველები მტერს, ხოლო ერთ-ერთი ასეთი დიდი გამარჯვების აღსანიშნავად მადლიერმა სვანებმა წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ხალხური დღესასწაული *ლამპრობა/ლიჩედურალ-ი* დააწესეს. *ლამპრობა* მრავალი ისტორიული შრის მომცველი დღეობაა და წმინდა გიორგის ხატება შერწყმულია *ლამპრობის* – ადრექრისტიანული დღესასწაულის – სვანურ ხალხურ ვარიაციასთან და ამჟამად სადღეობო ლოცვა, ფაქტობრივად, ამ წმინდანს ეძღვნება[1]. ერთ-ერთი გადმოცემით, უხსოვარ დროში, როდესაც ჯერ კიდევ მშვილდისრებით იბრძოდნენ და თოფები არ არსებობდა, სვანეთს „თათრები“ შემოსევიან, თათრებს ქართველების სრული ამოწყვეტა და მათ მიწა-წყალზე დასახლება სდომებიათ. რიცხვობრივი უპირატესობით თათრები ბევრად სჯობნიდნენ ქართველებს, ქართველთა ჯარები ბრძოლების შედეგად განახევრებულა, მტერს კი ახალ-ახალი რაზმები ემატებოდა. სვანების ჯარს დაუჩოქია და წმიდა გიორგის დახმარებას შევედრებია. მყისვე ცის კაბადონზე წმიდა გიორგი გამოჩენილა, ქართველებს წინ წაძღოლია და მტერი ამოუჟლეტია. ამ გადმოცემის მრავალი ვარიანტი არსებობს, მათში ფიგურირებს ანთებული ლამპრები, როგორც მეგუშაგეთა და მხედართა სამხედრო ატრიბუცია. სხვა გადმოცემით, „თათრების“ მორიგი შემოსევისას მტერს მთლიანად ამოუწყვეტია მეომარი ქართველები; ქალებსა და ბავშვებს შველა წმიდა გიორგისათვის

1 ქართულ ტრადიციაში არსებულ „ლამპრობის” დღეობებთან დაკავშირებით მომზადებულია გამოკვლევა, რომელიც უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება.

უთხოვიათ. წმიდა გიორგი ხილულად გამოჩენილა საომარ ველზე, ერთ მახლობელ გორაკზე გაჩერებულა და მშვილდ-ისრით მტერი ერთიანად ამოუხოცავს. ასე გადაურჩენია მხედარ წმინდანს სვანეთი მერამდენედ და ამის მერე ხალხს მისთვის სიყვარულით შეურქმევია *წმიდა გიორგი მოისარი* [სვანური ენის ქრესტომათია. 1978: 89]. მოისარობის დღესასწაული (სვანეთში – *მეისარაბ//მეისარობ)* ცნობილია მთელ დასავლეთ საქართველოში, იგი ყველგან უშუალოდ წმიდა გიორგის ეძღვნება და დღეობის სახელადაც წმინდანის ეს ხალხური ეპითეტი – *მოისარი ფიგურირებს.*

წმიდა გიორგის სვანეთში არსებულ სხვა ეპითეტთაგან აღსანიშნავია ტერმინი *შუბოსანი.* ცნობილია, სვანეთში არათუ ძველად, არამედ დღესაც უძღვნიან წმიდა მხედარს, ნიშნად მადლიერებისა, შუბებსა და ისრებს და მთავარმოწამეს საქართველოსა და ქართული მხედრობის სიძლიერეს ავედრებენ. ამ მიძღვნას საინტერესო გადმოცემა ასაზრდოებს: ძველად ყარაჩაიდან გადმოსულ მტერს მთელი ბალსქვემო სვანეთი აუოხრებია. ქართველი მამაკაცების დიდი ნაწილი ბრძოლაში დაღუპულა. ჩუბეხევის თემის ქალები და ბავშვები მაღალ მთაზე აღმართულ კაიშის მთავარანგელოზების ეკლესიას შეჰფარვიან და წმიდა მხედრისთვის შველა უთხოვიათ. სასწაულებრივად გამოჩენილი წმიდა გიორგი მტრის ურიცხვ ჯარს შებმია, წმინდა მხედარს ეკლესიის მახლობლად მდებარე სახატო ტყეში აღმართული ნაძვებიც მიშველებიან, შუბისა და ისრისპირებად ქცეულ ნაძვის წიწვებს მტერი დაუსეტყვავთ. წმინდა მხედარს მტრისთვის მუსრი გაუვლია. ამის შემდეგ მადლიერი სვანები ზაფხულის ერთ დღეს ამ სასწაულის აღნიშვნას უმობენ და დღემდე სწირავენ ეკლესიას ხისაგან გამოთლილ შუბებსა და მშვილდ-ისრებს. იქვე მდებარე საეკლესიო ტყე კი ამჟამადაც სათუთადაა დაცული.

სვანეთში შემონახულია წმიდა გიორგის სასწაულებრივი ძლიერების კიდევ ერთი გამოხატულება: ტრადიციული სვანის აზრით, წმიდა გიორგის შეუძლია ქუხილად მოევლინოს მტერს და შემუსროს: ლახამულის თემის მასალით, „თათრები“ ხშირად ესხმოდნენ თავს ამ თემს. ერთხელაც იმდენი მტერი შემოჭრილა, რომ იქაურობა სულ დაუფარავს. ქვემო ლახამულელების მოთავეს თოფი გაუსვრია წმიდა გიორგის ეკლესიის მიმართულებით და მთელი ხმით უყვირია: „მადლიანო წმიდა გიორგი, გვიშველე, თორემ დღეს ამოწყდება შენი მრევლი“. უეცრად ეკლესიაში ისეთი სასწაულებრივი ქუხილის ხმა გავარდნილა, რომ სოფელს შემოხვეული „თათრები“ ერთიანად დაბრმავებულან და ქართველებს ისინი მთლიანად ამოუწყვეტიათ [სვანური ენის ქრესტომათია. 1978: 19].

სვანეთში შემონახული გადმოცემით, წმიდა გიორგის შექმნილად/დაწესებულად ითვლება *მშვილდი და ისარი, ხმალი და ხანჯალი, შუბი და ფარი.*

სვანი მოგზაური შინიდან გასვლამდე წმიდა გიორგის სახელზე ლოცულობს, მას შესთხოვს ბედნიერ მგზავრობას. სახიფათო უღელტეხილების გადავლის დროსაც სვანებს თავიანთ შემწედ და მფარველად წმიდა გიორგი მიაჩნდათ. შორეული სახიფათო გზიდან შინ მშ-

ვიდობით მობრუნებული მგზავრი სამადლობელ ლოცვას კვლავ წმიდა გიორგის აღუვლენს. დღესაც ყოველი ტრადიციული სვანი სვანეთიდან გასვლამდე, ენგურის ხეობის გავლით, ე. წ. ლენხერის გზაზე, ლახამულის წმიდა გიორგის ეკლესიას (*ჯგირაგ ბოგაშ-ს,* – ხიდის წმიდა გიორგის) გამოსთხოვს მშვიდობიან მგზავრობას.

წმიდა გორგის ერთ-ერთი ეპითეტი სვანეთში თეთროსანია, მაგალითად, *თეთროსან შქედილი.* ეს წმიდა ადგილი (შქედის წმიდა გიორგის ნაეკლესიარი) ლახამულის თემში მდებარეობს და იქ თეთროსანი წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი დღეობა იმართებოდა. ლოცვის ტექსტებში მლოცველები *თეთროსან შქედილ-ს* მიმართავენ.

სვანეთში წმიდა გიორგის *ქაუშელდიანის* – კავმშვილდიანის ეპითეტითაც იხსენიებენ. ი. კვიციანმა შეისწავლა მზის ან მთვარის დაბნელების პერიოდში სვანეთში არსებული წეს-ჩვეულებები. მასალა საგულისხმო და მრავლის მეტყველია: როდესაც გველეშაპი გადაყლაპვას დაუპირებდა მზეს ან მთვარეს, ხალხი სახლებიდან გარეთ გამოცვივდებოდა და დაიწყებდა ძახილს: „ქაუშელდიანო, სადა ხარ, გაიღვიძე, გვიშველე, მთვარე (მზე) წაგვართვეს, გველეშაპი ყლაპავს, უშველე!...“ სვანეთში ქაუშელდიანთან მზის (მთვარის) მხსნელად „ქალბბარიც“ მოიზრება: „აა, ქალბაბარ, ქაუშელდიან, სადა ხართ?! გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! მზეს (მთვარეს) მიეშველეთ!“ ამ შეძახილების პარალელურად, მოსახლეობა თავის ადგილობრივ ეკლესიებსა და წმინდანებსაც ევედრებოდა მზის (მთვარის) შველას. ეზოებში თოფებს ისროდნენ, რკინეულს (რკინისა და სპილენძის ქვაბებს, ტაფებს, სურებს) ახმაურებდნენ, რათა ბოროტი – ბნელი ძალა – გველეშაპი დაეფრთხოთ და მზეს (მთვარეს) – ნათელს – მიშველებოდნენ. ი. კვიციანის მართებული დაკვირვებით, სრულიად ბუნებრივია, რომ *ქაუშელდიანი იგივე კავმშვილდიანია* და ამ სიტყვის სვანურ ვარიაციას წარმოადგენს, მიესადაგება წმიდა გიორგის – მეომარს, მხსნელს, რომლის საომარ აღჭურვილობაში, ცხადია, კავი და მშვილდიც მოიპოვებოდა; ხოლო ქალბაბარი – წმიდა მთავარმოწამე ბარბარეა, რომლის ხატებასაც დიდი ადგილი უჭირავს სვანეთის ტრადიციულ ქართულ ყოფაში [კვიციანი ი. 1991: 78-83].

მითოლოგიური გადმოცემებით, *წმიდა გიორგის დევთა და გველეშაპთა შემმუსვრელია* [კვიციანი ი. 1991]. წმიდა გიორგი ითვლება ნადირთა და მონადირეთა მფარველადაც. მას „ემორჩილება“ ნადირთმწყემსი ქალ-ღვთაება დალი. *„დალს წმ. გიორგისგან ჩაბარებული ჰყავს ჯიხვები და არჩვები“* [ნიჟარაძე ბ. 1964: 35].

სვანი მონადირე გულდასმით იცავდა წინაპართაგან მომდინარე ტრადიციებსა და აღკვეთებს. სანადიროდ მიმავალი გამთენიისას საგზალს უმძრახად აიღებდა და სოფლიდან გადიოდა. სანადირო ადგილებს მიახლოებული კი ლოცვას აღავლენდა „დიდი ღმერთის“ – სვებედის მომნიჭებლის სახელზე. მონადირე მოკლავდა თუ არა ჯიხვს ან არჩვს, გაატყავებდა, გულ-ღვიძლს ამოაცლიდა, შეწვავდა და ისევ ილოცებდა. ამჯერად სამადლობელ ლოცვას აღავლენდა. შინ დაბრუნებული ეკლესიას მიაშურებდა, თან მიჰქონდა სანთლები, ზედაშე, სეფისკვერები/„ლემზირები“ და ღმერთს მადლობას სწირავდა. საღამოს კი ნათესავ-მეზობლებს ნანადირევზე პატიჟებდა. მონადირის

ლოცვა ამ სახის იყო: „დიდება ღმერთს, მადლი ღმერთს, დამბადებელო, ბატონო ქვეყნისაო, ნანადირევი და მონადირე ყველა შენი გაჩენილია, რა დროსაც კი მოგმართო, ყოველ დროს შენი კარგი ჯვარი დამწერე, მადლი და სახელი იქნება შენი. ქრისტე მაცხოვარო! *დიდება შენდა... მწყალობელო, ცხოველო წმ. გიორგი! დიდება შენდა. ადამიანის მწყალობელი შენა ბრძანდები, დღე და ღამე მარჯვნივ მომყევი, ქაჯ-ეშმაკი მაშორე.* ჩემს მწყალობელ ღმერთს დიდება... დალს კლდისას დიდება!..“ [ნიჟარაძე ბ. 1964: 36-37].

სვანური მითოლოგიით, მგელს „წმიდა გიორგის ძაღლს“ უწოდებენ. არსებობს გადმოცემები, რომლებშიც მონადირე მოკლულ მგელს „ბოდიშს უხდის“, „მონადირე ებოდიშებოდა მოკლულ მგელს, რომ შემთხვევით მოუხვდა ეს ამბავი, თორემ ისევე არ გაიმეტებდა სასიკვდილოდ, როგორც საკუთარ ძმას“ [ჩიტაია გ. 2001: 222]. მგლის მოკვლა ერთგვარად ტაბუირებული იყო და მთხრობელთა აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ „მგელი წმიდა გიორგის ძაღლია“: „ძველად, უხსოვარ დროს, მგლები არ ყოფილან, მგლები შემდეგ, წმიდა გიორგის ძაღლებისგან გამრავლებულან“ [სვანური ენის ქრესტომათია. 1978: 90-91].

წმიდა გიორგისთან დაკავშირებულ სვანური და მეგრული მასალა განსაკუთრებით მსგავსია. მიზეზი გეოგრაფიული სიახლოვე და სვანეთის მოსახლეობის სამეგრელოში მიგრაციის მასშტაბურობაცაა. ზოგიერთი წმიდა გიორგის ხატი სვანეთიდანაა გადატანილი სამეგრელოში და ადგილობრივ წარმოქმნილ დღეობაში ტრადიციული ქართული სულიერი კულტურის არაერთი სვანური ვარიაცია იკვეთება. მაგალითად, ცნობილია, რომ „ყულის წმ. გიორგის ჯვარი (ხატი) ხალხური გადმოცემით სვანეთიდან ჩამოუტანა როგას წინაპარს. ამ ხატს სთვლიან ილორის წმ. გიორგის ყურად., ილორის წმ. გიორგი კი გულიაო. ყულის ხატის მეხატულებს და მღვდლებს ირჩევდნენ როგასა და მაქაცარიების გვარიდან“ [მაკალათია ს. 1941: 364]; ასევე, „ხეთაში ურთის მთაზე დგას ეკლესია „ჯეგეთა“, ანუ ჯეგეს (წმ. გიორგი) მთად მიჩნეული... ჯეგეს მთაზე წამომდგარია ეკლესია... შიგ ხატიც ყოფილა წმ. გიორგისა, რომელიც მეგრელებს მოუპარავთ სვანეთში ისევე როგორც ყულისკარის წმ. გიორგის ხატი მოპარულია იმავე მეგრელებისაგან სვანეთშივე“ [სახოკია თ. 1956: 63] და სხვ.

ამრიგად, სვანეთში შემონახულია წმიდა გიორგისთან დაკავშირებული ტრადიციული ქართული საეკლესიო და საისტორიო გადმოცემების მრავალი ხალხური ვარიაცია. წმიდანის აღმნიშვნელი ხალხური ეპითეტებიც საეკლესიო სწავლებიდან და წმიდა გიორგის იკონოგრაფიის ქართული ტიპიდან და საისტორიო თხზულებებიდან მომდინარეა. მათში ასახულია რეალური საისტორიო ეპიზოდები და სხავდასხვა ეპოქალური დანაშრევი.

თამარ მეფის ნათელი ხატება ქართველთა ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერია და საქართველოს ისტორიასთან, ქართულ კულტურასთან მაკავშირებელი მთავარი სოციალური ფაქტია.

თამარ მეფის შესახებ არსებული გადმოცემები ისტორიული მეხსიერების ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშე-

ბია. გადმოცემებში ასახულია საისტორიო წყაროებიდან და საეკლესიო ტრადიციებიდან შემეცნებული ელემენტები: თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სიდიადე, ძლიერება და სოციალური ყოფის სტაბილურობა, სამხედრო გამარჯვებები, კულტურული აღმშენებლობა, ელემენტები თამარ მეფის ბიოგრაფიიდან, თამარ მეფის წმინდანობასთან დაკავშირებული უმშვენიერესი ლეგენდა-თქმულებები და სხვ. ამ ინფორმაციათა შორის ცალკე გამოიყოფა ლეგენდა-გადმოცემათა ლოკალური მახასიათებლებით აღჭურვილი ნაწილი: სვანეთის ყოველი მხარის მოსახლეობა ხაზგასმით საუბრობს წმიდა მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მის კონკრეტულ ხეობასთან, თემთან. ამავე დროს, ყველა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემში დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ მათ მხარეშია წმიდა მეფე დაკრძალული და ა. შ. შესაბამისად, სვანეთის ტრადიციულ ყოფაში შემონახულია მრავალი ლეგენდა წმინდა მეფის სამუდამო განსასვენებლის ადგილსამყოფლის შესახებ, მაგალითად, ასეთი გადმოცემები დაცულია ეცერში, უშგულში, იფარში, ლახამულაში და სხვ. თამარ მეფის დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით, სვანეთის სხვადასხვა თემი ერთმანეთს ეცილება. ლეგენდა-გადმოცემებში ყველაზე ხშირად უშგული და ეცერი ფიგურირებს. ა. ხახანაშვილის მასალით, სვანებს სწამთ, რომ თამარ მეფე უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველშია დაკრძალული, მაგრამ მალავენ ამას, რადგან შიშობენ, მეფის წმიდა ნეშტს წაასვენებენ და ამით სვანეთს ბედნიერებაც დატოვებსო [Хаханов А. 1895: 291-292], ა. სტოიანოვის ინფორმაციით, მას (1872 წელი) სვანეთის სხვადასხვა თემში უჩვენეს ათამდე ადგილი, სადაც თამარ მეფის საფლავი ივარაუდებოდა [Стоянов А. 1876: 324]. ეცერის მასალითაც, მეფე მათ თემშია დაკრძალული [ქრესტომათია 1987: 59-60; Стоянов А. 1876: 324], იფარელები კი თვლიან, რომ წმიდა მეფე ლენჩაშის წმ. გიორგის საყდრის საკურთხეველშია დაკრძალული [სვანური ენის ქრესტომათია 1978: 59] და ა. შ.

ადგილობრივი ტრადიციით, თამარ მეფეს უკავშირდება ზოგიერთი ეკლესიის, ციხის, ციხე-კომპლექსის მშენებლობა სვანეთში. მშენებლობებთან დაკავშირებული სიუჟეტები თითქმის ერთგვაროვანია და მსგავსია საქართველოს სხვა მხარეებში დაცული სიუჟეტებისა.

თამარ მეფის ეპოქის „ოქროს ხანამ“ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველების ისტორიულ მეხსიერებაში, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ შემოინახა „კოლექტიური ხსოვნის“ ყველაზე ცოცხალმა წყარომ, ფოლკლორმა. ფოლკლორში ხომ „გმირის იდეალი ფეოქავს და ამ გმირის სახეში თავმოყრილია ერის საუკეთესო თვისებები და ინტერესები“ [Вирсаладзе Е. 1964: 21].

თამარ მეფის აღმშენებლობითი ღვაწლი მრავალ სვანურ ლეგენდაშია ასახული: თამარ დედოფალს ეკლესიების შენება უშგულში დაუწყია და ეცერში დაუმთავრებია. თამარ მეფის მიერ აგებულად მიჩნეულ ეკლესიათა მშენებლობის ეტაპები საკრალური ელემენტებითაა აღჭურვილი: მაგალითად, ეცერის თემში აღმართული ფხოტრერის მთავარანგელოზების ეკლესია თამარ დედოფალს საქართველოს მტრის ძლევის საზეიმოდ აუგია. ამავე დროს, თამარ მეფეს „ეცერში

ფხოტრერის საყდარში დაუტოვებია მრავალი ძვირფასი ნივთი, მათ შორის, თავისი სარტყელი და კვერთხი [გაბლიანი ე. 1925: 50]. ეცერის თემის სოფელ ლანტელიში შემორჩენილია კოშკის ნანგრევი, მას თამარის კოშკი ჰქვია. ა. სტოიანოვის მასალით, ზემოთხსენებული სარტყელი თამარ მეფისეულად მიჩნეულ კატშანების საგვარეულო კოშკში ყოფილა დაცული და იგი თავად დადეშქელიანებს მიუთვისებიათ [Стоянов А, 1876: 320-328]. სარტყელი 1857 წელს ჯანუხ დადეშქელიანის ცოლს ეკატერინე ჭავჭავაძისათვის მიურთმევია. ამ ძვირფასი ნივთის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია. ლანტელიში მცხოვრებ კატშანთა შორის დაცულია ლეგენდა კატშანთა საგვარეულოს გიორგი რუსის ამალიდან მომდინარეობის შესახებ.

გადმოცემით, ეცერის თემს განსაკუთრებით წყალობდა თამარ დედოფალი. მას ისე მოსწონებია ეცერის სანახები და ამ თემისთვის „თეთრი ეცერი“ უწოდებია. ამის შემდეგ ეცერს კარგი ამინდები დაჰბედებია, რაც ხალხურ ლექსშიცაა ასახული:

„ყველგან წვიმს, ყველგან თოვს,
თეთრ ეცერს მზე ანათებს“.

სხვა ვარიანტით:

„ყველგან წვიმაა და ყველგან თოვლი,
ეცერის ვაკეზე მზე დგას ცხრათვალა“ [ლექსო არ დაიკარგები. 1985: 24].

ლატალის თემში კი დაცულია სიმღერა:

„ლატალს მობრძანდა თამარი, ლაჰლას ნათელი მოჰფინა
სვანეთი ვაკე მეგონა, სულ მთა და გორი ყოფილა“ [ლექსო არ დაიკარგები. 1985: 24].

სვანეთში ცნობილია თამარ მეფისეული წყაროებიც. ერთი მათგანი ეცერის თემის სოფლ უღვალის მახლობლადაა, ოდნავ მოშორებით, თანამედროვე სამანქანო გზის გასწვრივ კი „კეისრის“ წყაროა.

შემონახულია კოშკების კომპლექსი უშგულის თემში.

არა მარტო ზეპირი წყაროები, არამედ სვანეთში ფიქსირებული ნივთიერი მასალაც ადასტურებს თამარ მეფის, მისი წინაპრებისა და მემკვიდრეების განსაკუთრებულ ზრუნვას ამ მხარისადმი. ეცერის თემში, ფხუტრერის მთავარანგელოზების ეკლესიაში ე. თაყაიშვილმა აღნუსხა გიორგი III-ის, მისი მეუღლის – დედოფალ ბურდუხანისა და თამარის მამიდის – რუსუდანისაგან შეწირული საეკლესიო განძეული [თაყაიშვილი ექ. 1991: 471-477]. სვანეთში დაცული იყო თამარ მეფის მიერ შეწირული სიწმიდეებიც. გიორგი III-ის სურა ამაჟამადაც დაცულია მესტიის მუზეუმში და სხვ. გადმოცემები მოგვითხრობენ, ომიანობისას, რუსუდან მეფის სვანეთში ყოფნის შესახებ, რაც დიმიტრი ბაქრაძეს უეჭველ ფაქტად მიაჩნია [Бакрадзе Д. 1864: 32]. სომხური საისტორიო წყაროებით, რუსუდან დედოფლისა და ლაშა-გიორგის შვილები – „ორივე დავითი სვანეთში გაიქცნენ“ [აირივანეცი მ. 1990: 84]. დავით ნარინი ზრუნავს სვანეთის საეკლესიო ცენტრების აღორძინებისათვის: სვანეთში დაცული ლაბსყალდის სახარების მინაწერით, ირკვევა, რომ ეს სახარება ჰკუთვნებია დავით ნარინს. მეფეს სახარება უბოძებია თავისი მოძღვრის ილარიონ სოფრომისძისთვის. მხედრული მინაწერიდან

კი ჩანს, რომ ლაბსყალდის ეკლესია უკურთხებია, ცაიშის მთავარეპისკოპოსს დანიელს, ასევე, დავით ნარინის მეფობაში [თაყაიშვილი ექ. 1991: 458].

თამარ მეფესთან დაკავშირებული უამრავი ხალხური ისტორიაა დაცული სხვადასხვა თემში. ერთ-ერთი გდმოცემით, სვანეთში თამარ დედოფლის დროს ზამთარი არ სცოდნია. ეს გადმოცემა ანალოგიურია ზემო მაჭახლური (თურქეთის რესპუბლიკა) გადმოცემისა: მაჭახელში კარჩხალის მთის ერთ-ერთ კალთას თამარ მეფის დროს ვრცელი და კეთილმოწყობილი ქალაქი ამშვენებდა. ამ ადგილს დღეს ნაქალაქარ/ნაქალაქევს უწოდებენ. იგი დასახლებულ სოფელთაგან ყველაზე ახლოს ეფრატთანაა. *„ნაქალაქარში თამარაჲს დროს ზამთარშიც გაზაფხული ყოფილა, სანამ თამარაჲ კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, აქ ზამთარი არ სცოდნია, შვიდ წელიწადს პური კარჩხლის მთაზეც მოჰყავდათ ჩვენს დიდ დედეებს, თამარ მეფე რომ წასულა, ზამთარი მერე დაწყებულა“.*

სვანურ ლეგენდა-გადმოცემებში თამარ მეფეს სასწაულებრივ მკურნალად მიიჩნევენ. ეს ტრადიცია უნივერსალურია ზოგადქართული გადმოცემებისათვის. წმინდანის სახის ამგვარი გააზრება მსგავსია მთელ საქართველოში მოარული სიუჟეტისა, თამარ მეფე ხომ, საისტორიო და საეკლესიო ტრადიციით, წმინდანი, შესაბამისდ, სასწაულთმოქმედი იყო. მაგალითად, ფშაური გადმოცემით: „თამარ ნეფე სულ ეკლესიებს აშენებდა თურმე. ის იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვებზე ანაფორა დაუგავ ისე დავალა ზღვაზე და ჰაერში“ [ბარდაველიძე ვ. 1941: 128]. წმიდა მეფეებისადმი ამგვარი დამოკიდებულება დამახასიათებელია დასავლეთ ევროპისთვისაც. მაგალითად, მარკ ბლოკი მოგვითხრობს ინგლისისა და საფრანგეთის სამეფო კარების ისტორიებს, სადაც არსებობდა რწმენა მეფეების სასწაულებრივი ნიჭის შესახებ. ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს და დედოფლებს, ხალხის რწმენით, შესწევდათ ძალა საყმაწვილო სენითა და კანით დაავადებულთა განკურნებისა. ოდენ ხელის შეხებით. ეს „ნიჭი“ მეფეთა ქარიზმის მაჩვენებელი იყო [Blokh M. 1973: 421].

თამარ მეფის შესახებ არსებულ სვანურ გადმოცემებს თავისებური კეთილი ტონალობები შემოაქვს ზოგადქართულ მასალაში. თამარ მეფეზე საუბრისას სვანი მთხრობლები ფეხზე დგებოდნენ, ისევე როგორც ამა თუ იმ წმინდანის ან სალოცავის ხსენებისას. გადმოცემით, „ძველი ხელმწიფეებიდან სვანეთი ყველაზე მეტად თამარ დედფაფლს ემადლიერება, მას სვანეთში გზები გაჰყავდა, საყდრებს აშენებდა, სვანები გამორჩეულად უყვარდა და მათი განსაკუთრებული იმედიც ჰქონდა ომიანობისას. ყოველ საწყალს ეხმარებოდა, ზაფხულობით სვანეთში მობრძანდებოდა, ციხეებს აშენებდა [სვანური ენის ქრესტომათია 1978: 59].

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლეგენდა-გადმოცემათა ციკლის ის ნაწილი, რომელშიც თამარ მეფის მიერ მოპოვებული გამარჯვებების შესახებაა საუბარი. ამ დროს, სვანი მთხრობლები ხაზგასმით მიუთითებდნენ სვანი მოლაშქრეების მონაწილეობაზე ბრძოლებში. გადმოცემით, თურქების შემოსევისას თამარ მეფეს მხოლოდ მცირე-

რიცხოვანი ჯარი ხლებია, ამ დროს იგი სვანეთში ეკლესიებს აშენებდა და ერთ-ერთ მურყვამში (კოშკში) გამაგრებულა. სასწრაფოდ შეკრებილა სვანების ლაშქარი და მტერი სასტიკად დაუმარცხებიათ. დიდი გამარჯვების ექო ასახულია ერთ-ერთ სიმღერაში:

„თამარ მეფევ, თამარე, სად ყოფილხარ, თამარე?

ვის ეომე, ვინ დარისხე, ვინ დაამხე თამარე?

მტერი დაგიმარცხებია, დავლით მოხვალ თამარე,

სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ, ძლევით მოხვალ თამარე“ [ლექსო არ დაიკარგები. 1985: 25]; იხ. აგრეთვე, ამ სახის გადმოცემები ქ. სიხარულიძის ნაშრომებში [სიხარულიძე ქ. 1961].

ქართველთა ბრძოლებისა და გამარჯვებების ანარეკლი მოჩანს ტრადიციული სვანების დამოკიდებულებაში „წმინდად“ მიჩნეული დროშის – ლემის მიმართ. „ლემი“ „ერთადერთია გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთავარ დროშათაგან... სვანეთის „ერთობილი ჭევის“ დროშაა... ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, სვანეთის ეს დროშაც იყო ძალაუფლების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო“ [ბარნაველი ს. 1953: 27]. დროშა სვანეთის მთავარი სასულიერო ცენტრის – სეტის მთავარმოწამის ეკლესიაში იყო დაცული და მასთან დაკავშირებულია სვანეთის საერო ხელისუფლის „მელომის“ ინსტიტუტი [გასვიანი გ. 1991: 83-85]. გადმოცემით დროშა „ლემი“ თვით თამარ მეფეს შეუკერავს და გამარჯვებული სვანეთის ლაშქრისათვის უბოძებია. სეტის წმიდა გიორგის ეკლესიაში დავანებულ ამ სიწმინდეს სვანები წელიწადში მხოლოდ ერთხელ „ჰლიშობის“ – ელიაობის სადღეობო რიტუალისთვის გამოასვენებენ ტაძრიდან და ამ დროშით ლოცავენ სვანეთის ჭევს და მთელ საქართველოს [გუჯეჯიანი რ. 2005: 50-71]. ცხადია, ტრადიციული სვანების მენტალობაში, ფეოდალური ხანის სვანეთის საერისთავო დროშა „ლემი“-თან ასოცირებულია კოლექტიური ხსოვნა ძველი, დიდი საქართველოსა და „ერთობილი სვანეთის ჭევისა“ („ხოშა მურგვაშ შვანა ჭეობ“), ხსოვნა იმ სანეტარო დროისა, როდესაც მთელი ქვეყანა და, მათ შორის, სვანეთიც, ძლიერი და ბედნიერი („ჭევბედნიერი“) იყო.

ბუნებრივია, საკრალური ისტორიის გაზიარება ჰკრავდა და ადუღებდა ქართველ მთიელთა ერთობას.

თამარ მეფის ხსოვნასთან დაკავშირებით იკვეთება სხვა საყურადღებო ნიუანსიც: „თამარ დედფაშლს ქვეყნის შიგნით არასოდეს უომია, იგი მხოლოდ გარეშე მტერს, ურჯულოებს („ურჯვილ“) ებრძოდაო“ [ვირსალაძე ე. 1953: 384].

დღეს, როდესაც სადღესასწაულო თუ ყოფით თავყრილობებზე კვლავაც გაისმის თამარ მეფისადმი მიძღვნილი საგალობლები, როდესაც სრულდება ომახიანი ფერხულები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის ოდინდელ დიდებას ასხამენ ხოტბას, მსმენელს ერთგვარი სევდაც ეუფლება. ისეთი სევდა, რომელზეც ვაჟა-ფშაველა წერდა: „მივარდნილი კუნჭულებიდან მოისმის სიმღერა ძველებური, მკვნესარი, სიმღერა გულს სწვდება და ნაღველს აღვიძებს“ [ვაჟა-ფშაველა. 1937: 150]. XIX საუკუნეში მოამსვლელმა და მოგზაურმა დუგლას ფრეშფილდმა თარჯიმნის დაუხმარებლად ამოიცნო სვანური ფერხულის „თამარ დედფაშლ“-ის

შინაარსი: „სვანები გრძელ ბალადებს მღეროდნენ და თან მისამღერზე წრეში ცეკვავდნენ. სწორედ ამ ბალადებში დამარხულა სვანეთის დაკარგული ისტორია... ბალადებს გუნდი დიდი ძალითა და ემოციით მღეროდა. ჩვენ თამარ მეფის ქება-დიდების გარეშე არ დაგვიმთავრებია, რაც ისევე აუცილებელი წესია სვანეთში, როგორც ჰიმნი „ღმერთო, დაიფარე დედოფალი“ – ბრიტანეთის სამფლობელოებში [Ereshfield D. 1896: 253].

ამრიგად, თამარ მეფის ციკლთან დაკავშირებული სვანური ეთნოგრაფიული მასალა ყოველივე ზემოთქმულის ნათელი მაგალითია. თამარ მეფის ციკლში იკვეთება შემდეგი მომენტები: თამარ მეფეს განსაკუთრებით უყვარდა სვანეთი. მან იქ უამრავი ეკლესია-მონასტერი, ციხე-დარბაზი და საგუშაგო კოშკი აღმართა; თამარ მეფემ გაიყვანა და კეთილმოაწყო სვანეთის გზები; თამარ მეფემ სვანეთის ეკლესიებს დიდძალი ჯვარ-ხატი შეწირა; თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა სვანეთში (უშგული, იფარი, ეცერი, ლახამული, ჯორკვალი...). თამარ მეფის ლაშქარში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სვანი მოლაშქრეები; თამარ მეფემ აკურთხა სვანეთის საერისთავო დროშა ლემი და უბოძა იგი სეტის მთავარმოწამეს; თამარ მეფე სასწაულებრივი მკურნალი იყო; ლეგენდა-გადმოცემებში მოჩანს თამარ მეფის ბიოგრაფიის ანარეკლი: დემნა ბატონიშვილის შეთქმულება, გიორგი რუსის აჯანყება; ხონთქარის ძლიერი ლაშქრის შემოჭრა, მეფის საფლავის გაუჩინარება; თამარ მეფე დაკრძალულია სვანეთში.

ამგვარი საგულისხმო მენტალური პასაჟები წარმოდგენილია თანამედროვე ეთნოგრაფიულ მასალაშიც. სვანეთის ეთნოგრაფიულ მხარეებში დღემდე არსებული ისტორიული მეხსიერების ფაქტები და ტრადიციული ქართული მენტალური მახასიათებლები თვითმყოფადი ქართული კულტურის მობილობის კიდევ ერთი თვალშისაცემი ნიშანია. რასაკვირველია, სოციალური მეხსიერების ფაქტები მრავალმხრივ საყურადღებო ელემენტებია. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ტრადიციულ კულტურასთან მაკავშირებელი კოლექტიური მეხსიერების ესა თუ ის მოტივი. ამ მხრივ, წმიდა გიორგისა და თამარ მეფის სახეებაა უმთავრესი და მათში თავმოყრილია ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან.

ROZETA GUJEJIANI

The Georgian National Museum, Georgi Chitaia Open Air Museum of Etnography
1 Turtle Lake Road, 0162 Tbilisi, Georgia
E-mail: rgujejiani@gmail.com

# THE FACTS OF SOCIAL MEMORY IN THE TRADITIONAL LIFE OF SVANETI

## Summary

The work emphasizes the important facts of social-historical (collective) memory saved in Georgian traditional life. The facts of social memory obtained as the result of historical-ethnographic research, is obviously separated from concrete historical environment and time, but it is natural, because the main sign of social memory is losing the concrete and individual characteristics and their disappearance. The main and essentially important facts are left in social memory which they exist in the mythological form.

The facts of social memory can be seen in folklore as well as in the written sources.

The reflections of various historical facts are kept in Svaneti; they are spread as universal plots in all three parts of this region (Zemo (Upper) Svaneti, Kvemo (Lower) Svaneti, Svaneti of Dali Gorge – Zemo (Upper) Abkhazeti) and they are similar to the legends kept in other parts of Georgia.

Two most important social facts of the traditional life of Svaneti are presented in the work: the historical moments connected with St. George and St. King Tamar, which, at the same time, are universal for other historical-ethnographic regions of Georgia.

The image of St. George as savior of Georgia and the protector of Georgian army is presented in the traditional life of Svaneti. The facts of social memory are outlined in the celebrations dedicated to St. George and are saved in the folk epithets of the saint; many folk variations of traditional Georgian church and historical legends connected with St. George are also presented. The folk epithets designating the saint come from the teachings of the church, Georgian type of iconography of St. George and historical works. They show the real historical episodes and various epochal data.

The bright image of King Tamar, in general, is the important marker of Georgian ethnic identity and the main social fact linking to Georgian history and culture.

The legends about King Tamar are rare patterns of remoteness and durability of historical memory. The legends represent the elements of historical sources and church traditions: the greatness, strength and stability of social life of Georgia in the period of King Tamar, military victories, cultural development, the elements from the biography of King Tamar, the beautiful legends connected with St. King Tamar,

etc. Among these information the part equiped with the local characteristics of the legends is separated: the population of all parts of Svaneti underlines the special relations of King Tamar to the concrete george, community.

It is natural that sharing the sacral history helped the creation of the unity of Georgian mountaineers. The ethnographic materials connected with the cycle of King Tamar display the reflection of historical information: King Tamar's special concern for Svaneti; churches and monasteries built and decorated by King Tamar, fortresses, constructed roads, the role of the army of Svaneti in the hikes of King Tamar, the histories of Khontkari Battle, Svaneti considered to be the place where she found peace etc.

## ბიბლიოგრაფია


**აირივანეცი მ. 1990**: *ქრონოგრაფიული ისტორია.* თბილისი.

**ბარდაველიძე ვ. 1941:** *ივრის ფშავლებში.* თბილისი.

**ბარნაველი ს. 1953:** *ქართული დროშები.* თბილისი.

**გაბლიანი ე. 1925:** *ძველი და ახალი სვანეთი.* ტფილისი.

**გასვიანი გ. 1973:** *დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან.* თბილისი.

**გასვიანი გ. 1999:** ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბილისი.

**გუჯუჯიანი რ. 2005**: ელიაობა სვანეთში. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები.* IX. გვ. 50-71. თბილისი (რედ. ა. დაუშვილი, ნ. აბაკელია, გ. მაისურაძე, ნ. ღამბაშიძე).

**გუჯუჯიანი რ. 2006**: საეკლესიო მიწები სვანეთში. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები.* X. გვ. 20-57. თბილისი (რედ. ა. დაუშვილი, მ. ჩხარტიშვილი, ნ. მინდაძე).

**ვაჟა-ფშაველა. 1987**: *რჩეული თხზულებანი.* თბილისი.

**ვირსალაძე ე. 1953:** ზემო სვანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში. *ლიტერატურული ძიებანი.* VIII. გვ. 381-390. თბილისი (რედ. შ. რადიანი).

**თაყაიშვილი ე. 1991:** *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება.* ტ. II. თბილისი (რედ. გ. შარაძე).

**კვიციანი ი. 1991:** ახალი წლის ზოგიერთი თავისებურებანი სვანეთში. *აია.* გვ. 69-84. თბილისი (რედ. ს. ჭანტურიშვილი).

**ლექსიკონი 2007**: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი.

**ლექსო. არ დაიკარგები 1985:** თბილისი.

**მაკალათია ს. 1941:** *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.* თბილისი.

**მუსხელიშვილი დ. 1980:** *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები.* II. თბილისი.

**ნიჟარაძე ბ. 1973:** თამარ დედოფლის ხსოვნა თავისუფალ სვანეთში. *ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე.* გვ. 43. თბილისი (რედ. ა. რობაქიძე).

**სახოკია თ. 1956:** *ეთნოგრაფიული ნაწერები.* თბილისი.

***სვანური ენის ქრესტომათია.* 1978:** ოსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 21. თბილისი.
***სვანური პოეზია.* 1939**: ტ. I. თბილისი.
**სვანური პროზაული ტექსტები. 1957**: ტ. II. *ბალსქვემოური, კილო.* თბილისი.
**სიხარულიძე ქ. 1961:** *ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება.* თბილისი.
**ქართლის ცხოვრება. 1955**: I. თბილისი.
**ქართლის ცხოვრება. 1959:** II. თბილისი.
**ქართლის ცხოვრება 1973:** II. თბილისი.
**ჩიტაია გ. 2001:** ანიმისტური წარმოშობის კულტები საქართველოში. *შრომები. IV.* გვ. 220-224. თბილისი (რედ. რ. მეტრეველი).
***წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში.* 1991:** თბილისი.
**ჯავახიშვილი ივ. 1979:** *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. I. თბილისი.
**ხიდაშელი მ. 2011:** კოლექტიური მეხსიერება – ისტორიული მეხსიერების უძველესი ფორმა. *თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი 10 წლისაა, ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები.* გვ. 119-122. თბილისი.
**Бакрадзе Д. 1864:** Сванетия. *ЗКОИРГО.* V. Тифлис.
**Гуревич А. Я. 1972:** *Категории средневековой культуры.* Москва.
**Гуревич А. Я. 1989:** Проблема ментальностей в современной историографии. Всеобщая история: Дискуссии, новые подходы, вып., I. Москва.
**Ле Гофф Ж. 1992:** *Цивилизация средневекового Запада.* Москва.
**Стоянов А. 1876:** Путешествие по Сванетии. *ЗКОИРГО.* X. вып. 2. Тифлис.
**Хаханов А. 1895:** *Очерки по истории Грузинской словесности.* Вып. I. Москва.
**Элиаде М. 1987:** *Космос и история.* Москва.
**Чубинашвили Г. Н. 1959:** *Грузинское чеканное искусство.* Тбилиси.
**Freshfield D. 1896:** *The Exploration of the Caucasus by Douglas W. Freshfield.* V. I. London and New-York.
**Blokh M. 1973**: *The Royal Touch.* London.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 230-246
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 230-246

**ისტორია**

**ლევან ურუშაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: urushadze_levan@yahoo.com

# გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის ბიოგრაფიისათვის

მიმდინარე წლის 27 ნოემბერს სრულდება 145 წელი გამოჩენილი ქართველი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის დისშვილის და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებლის, 1900-1917 და 1921-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის (1918 წ.), საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევის (1917 წ.) ინიციატორის, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის (1867-1923) დაბადებიდან.

სახელოვანი მამულიშვილი დაიბადა 1867 წლის 27 ნოემბერს, კახეთის სოფელ კარდენახში, აფხაზთა საგვარეულო სასახლეში, შარვაშიძეთა საგვარეულოს შთამომავლის, გენერალ ნიკოლოზ აფხაზის და ნინო ჭავჭავაძის ოჯახში. მან მიიღო შესანიშნავი სამხედრო განათლება: 1885 წელს დაასრულა თბილისის კადეტთა კორპუსი, ხოლო 1890 წელს პეტროგრადის (პეტერბურგის) სამხედრო სასწავლებელი არტილერიის განხრით. კონსტანტინე აფხაზმა განვლო მხედრული გზა პოდპორუჩიკის წოდებიდან მეფის რუსეთის არმიის არტილერიის გენერალ-მაიორობამდე (1915 წ.), ოცეულის მეთაურის სამხედრო პოსტიდან საარტილერიო ბრიგადის სარდლობამდე. ის იყო მრავალი უმნიშვნელოვანესი ეროვნული წამოწყების სულისჩამდგმელი, რომელმაც სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულა 54 წლის ასაკში, 1923 წლის 20 მაისს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კოტე აფხაზის მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობის ის მომენტები, რომლებიც უცნობი ან ნაკლებად ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. სტატიაში ვეყრდნობით საარქივო დოკუმენტების და ქართული ემიგრანტული გამოცემების (ძირითადად, ცნობილი პოლიტემიგრანტების მოგონებების) მონაცემებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ შეცდომებზეც, რომლებსაც ვხვდებით კოტე აფხაზისადმი მიძღვნილ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

## 1. კოტე აფხაზი – 1900-1910-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე

როგორც საარქივო მასალები, ისე კოტე აფხაზის თანამედროვე მოღვაწეთა მოგონებები ნათელს ხდის იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც სახელოვანმა მამულიშვილმა შეასრულა საქართველოს 1900-1917 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ, ანტიიმპერიულ მოძრაო-

ბაში. იმ დროს იგი უკვე სარგებლობდა ღირსეული და უანგარო მამულიშვილის ავტორიტეტით რაშიც მას ხელს არ უშლიდა სამხედრო და სახელმწიფოებრივი საქმიანობა.

ამ პერიოდში მისი საქმიანობის შესასწავლად საყურადღებო პირველწყაროს წარმოადგენს კოტე აფხაზის 1918 წლის 9 სექტემბრით დათარიღებული ხელნაწერი ავტობიოგრაფია [სცსა, ფ. 1836, 1918: 80-82], რომელიც ადასტურებს მისი ბიოგრაფიის ერთ მომენტს. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წელს კოტე აფხაზი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში, 1921 წლამდე იგი არ იყო აღნიშნული პარტიის წევრი [სცსა, ფ. 1836, 1918: 80].

აღნიშნულ პერიოდში (1900-1917) ეროვნულ ასპარეზზე მეტად მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული საადგილმამულო ბანკისა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს საქმიანობა. 1906-1913 წლებში კოტე აფხაზი ასრულებდა თბილისის საადგილმამულო ბანკის საზედამხედველო კომიტეტის წევრის მოვალეობას. 1913 წლის დამდეგს იგი არჩეულ იქნა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, მარშლად [სცსა, ფ. 1836, 1918: 80; გაბაშვილი რ. 1992: 153-157].

გამოჩენილი მამულიშვილი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე რევაზ გაბაშვილი იგონებდა ცარისტული რუსეთის „ველიკოდერჟავული" პოლიტიკური ისტებლიშმენტის ერთი უაღრესად ვერაგული ჩანაფიქრის შესახებ, რომლის ჩაშლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კოტე აფხაზმა და მისმა გონებამახვილობამ.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში (1914-1915 წწ.) რუსეთის სარდლობამ, რომელიც უპირისპირდებოდა ოსმალეთს, რელიგიური ნიშნით გადაწყვიტა საქართველოდან აჭარლების გასახლება. ამ მიზნის ხორცშესხმისათვის გადაწყვიტეს ქართველი თავად-აზნაურობის გამოყენება. სარდლობამ კოტე აფხაზს, როგორც რუსეთის არმიის იმხანად უკვე გენერალს, და, იმავდროულად, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალს, დაავალა ათასი კაცისგან შემდგარი „მოხალისეთა რაზმის" შედგენა (ანალოგიური რაზმის შედგენა დაევალა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს). ამ ამბით შეშფოთებულმა კოტე აფხაზმა თავისთან, საკრებულოში, იხმო პროგრესულად მოაზროვნე, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული ახალგაზრდა არისტოკრატების ჯგუფი, მათ შორის, რ. გაბაშვილი. მარშალმა შეკრებილთ გააცნო რუსეთის იმპერიული ცენტრის და სარდლობის მზაკვრული გეგმა და გადაწყვეტილება აჭარიდან გასახლებული აჭარლების ნაცვლად იმერლების ჩასახლებისა. ახალგაზრდები აღშფოთებულნი შეხვდნენ ამ ცნობას და არც კოტე აფხაზს მისცეს საშუალება მისი მოსაზრების ბოლომდე გამოთქმისა. სრულიად ნათელი გახდა სახელოვანი მამულიშვილის უაღრესად გამჭრიახი გადაწყვეტილება. მას, როგორც გენერალს, არ შეეძლო წინ აღდგომოდა სარდლობის ბრძანებას. სამაგიეროდ, თავად-აზნაურობის მარშალს შეეძლო მიეღო საქართველოს ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება. მან აღასრულა ბრძანება და შექმნა აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა 1000-კაციანი „მოხალისე რაზმი", რომელსაც ფარულად დაევალა სრულიად განსხვავებული მისიის შესრულება. რაზმი დაკომპლექტდა პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული ახალგაზრდებით, რომელთა მეთაურად დაინიშნა კოტე აფხაზის ეროგული თანამებრძოლი, გენერალი ალექსანდრე ვაჩნაძე. საერთო შეთანხმებით, თბილისის და ქუთაი-

სის რაზმების ერთიანი ხელმძღვანელობა შეიქმნა გიორგი ჯანდიერის მეთაურობით. რაზმებს მიეცათ მითითება, რომ ყველა ღონე ეხმარათ აჭარლების დასაცავად.

„რაზმი წავიდა და თან გაჰყვა ჩვენი გული და თვალიც, რადგან ყველამ ვიცოდით, თუ ვისი იყო ეს რაზმი და რისთვის მიდიოდა უცნაურ ბრძოლის ველზედა. დიადაც „უცნაური" იყო ეს „ველი" მრავალი მხრით, და, რა როლი გაითამაშა, ქუთაისში მასთან გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს რაზმთან ერთად, თვით აჭარაში, ბევრნაირად საინტერესოა", სწერდა რევაზ გაბაშვილი [გაბაშვილი რ. 1992: 153-157]. ამავე მოვლენების შესახებ მოგვითხრობს თავის მოგონებებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მეორე გამოჩენილი მოღვაწე, პოლკოვნიკი დავით (დათა) ვაჩნაძე [ვაჩნაძე დ. 1992: 126]. იგი მიუთითებს, რომ რაზმების მოქმედებამ ბათუმ-არტანუჯის ხაზზე რუსებისა და კაზაკების თარეშისგან დაიცვა ადგილობრივი მოსახლეობა და უზრუნველყო აჭარელთა უსაფრთხოება. აღსანიშნავია, რომ თავად კოტე აფხაზი 1914 წლის აგვისტოში დაინიშნა მის მიერვე შედგენილი საარტილერიო ბრიგადის სარდლად და გამწესებულ იქნა სწორედ ოსმალეთის ფრონტზე. აქ მისი ფარული ამოცანა იყო მისი ბრიგადით ზემოხსენებული ჯგუფების წარმატებული მოქმედების უზრუნველყოფა [სცსა, ფ. 1836, 1918: 80]. მცირე ხნის შემდეგ კ. აფხაზს მიენიჭა არტილერიის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1915 წლის მარტში მისი ბრიგადა მოექცა მეხუთე კორპუსის დაქვემდებარებაში და გადასროლილ იქნა დასავლეთის ფრონტზე, სადაც მან დაჰყო იმავე წლის დეკემბრამდე [სცსა, ფ. 1836, 1918: 80]. უნდა ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ ფრონტზე ბრიგადის გადასროლის დროს კ. აფხაზს და მის ეროგულ რაზმებს უკვე ჰქონდათ აღსრულებული მათზე დაკისრებული ფარული მისია.

1906 წელს საქართველოს მისადგომებთან ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ დაპირისპირებას სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. შეიქმნა დიდი საშიშროება იმისა, რომ ეს დაპირისპირება მოედებოდა ქვემო ქართლს და თბილისს. მთავარმართებელმა განიზრახა თბილისის არსენალიდან 300 „ბერდენკის" დარიგება სოციალ-დემოკრატებისთვის, რომელნიც მუდამ გამოირჩეოდნენ ეროვნული ნიჰილიზმით. ამ განზრახვას წინ აღუდგა ეროვნული სულისკვეთების მქონე ქართველი ოფიცრობა, რომლის აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა არტილერიის კაპიტანი კოტე აფხაზი. ამ აქტიურობამ სასურველი შედეგი გამოიღო: პატრიოტ ოფიცერთა დაუღალავმა მოქმედებამ თბილისს აარიდა მოსალოდნელი დაპირისპირება [ვაჩნაძე დ. 1992: 121-122].

იმავე 1906 წელს შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „კავკასიის ოფიცერთა კავშირი", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი იყო კონსტანტინე აფხაზი.

დათა ვაჩნაძე იგონებდა, რომ 1916 წელს, ცენზურის მიერ დახურული ეროვნულ-პოლიტიკური ჟურნალის „კლდე"-ს ნაცვლად მემარჯვენე მიმართულების გაზეთის „საქართველო"-ს გამოცემა მთლიანად უზრუნველყო ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს და მისი წინამძღოლის ფინანსურმა (5000 მანეთი) დახმარებამ [ვაჩნაძე დ. 1992: 127].

1916-1917 წლებში გენერალი კოტე აფხაზი არჩეული იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად და იქ წარმოადგენდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს [სცსა, ფ. 1836 1918: 80], სადაც მისი მთავარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნული, მემარჯვენე პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა. ეროვნული პოლიტიკური ძალების ეს აქტიურო-

ბა დაგვირგვინდა საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევით 1917 წლის ნოემბერში, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კოტე აფხაზის სახელთან.

## 2. კოტე აფხაზი და საქართველოს ეროვნული საბჭო (1917-1919)

როგორც ცნობილია, 1917 წელს აღდგენილ იქნა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, რაშიც ძალზე დიდი იყო ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს, პირადად კ. აფხაზის, დამსახურება. ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას მოჰყვა მეორე, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება.

„1917 წელს ნოემბერში ხომ ილია ჭავჭავაძის დისწულმა, ნეტარხსენებულმა კოტე აფხაზმა ეროვნულ საბჭოს გადასცა ილიას ბანკის შენაძენი 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულების ქონება (ე.ი. 8 მილიარდი ფრანკის) და ის დაედვა საფუძვლად ჩვენს დამოუკიდებლობასაც", აღნიშნავდა რევაზ გაბაშვილი [გაბაშვილი რ. 1957: 21].

„ამ აქტის შედეგი იყო 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა..." – მიუთითებდა დათა ვაჩნაძე [ვაჩნაძე დ. 1992: 138].

1917 წლის ნოემბერში კოტე აფხაზი იყო მთავარი ინიციატორი საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევისა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სათავეში ედგა ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი ნოე ჟორდანია, საბჭოს შემადგენლობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ ეროვნული, მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. გარდა აღმასრულებელი კომიტეტისა, დათა ვაჩნაძესთან ერთად, კოტე აფხაზი მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა სამხედრო კომისიაში. გერმანელ და ქართველ სამხედრო მოღვაწეებთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული არმიის ორგანიზაციის პროექტის შედგენაში [სცსა, ფ. 1836, 1918: 81; ვაჩნაძე დ. 1992: 129-130, 156-157]. როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის თებერვლამდე (დამფუძნებელი კრების არჩევამდე) „საქართველოს ეროვნული საბჭო" წარმატებით ასრულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფუნქციას. სწორედ ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის საგანგებო სხდომაზე იქნა დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც ამშვენებს თავად კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზის ხელმოწერაც [დამოუკიდებლობის ამ ნამდვილი სამგვერდიანი აქტის ერთ-ერთი ასლი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის არქივში].

1918 წლის ივნისში თბილისში ჩამოვიდა კაიზერული გერმანიის ორი ბავარიული ათასეული 1800 კაცის შემადგენლობით. ამ სამხედრო კონტიგენტს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი გერმანელი გენერალი, ბარონი კრეს ფონ კრესენშტაინი. გერმანული სამხედრო-დიპლომატიური მისიის საქართველოში გამოგზავნის ინიციატორი იყო გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, ქართველი ერის ჭეშმარიტი მეგობარი, გერმანიის კონსული თბილისში, გრაფი ფონ დერ შულენბურგი. მისიის მიზანი იყო ახლადდამოუკიდებლობაადგენილი ქართული სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერა. ამასთან, ქართული

და გერმანული სამხედრო უწყებების სრულუფლებიან წარმომადგენლებს შორის დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები, რომელთა მიზანი იყო ერთიანი, ცენტრალიზებული ქართული პროფესიული, ეროვნული არმიის სტრუქტურულ-ორგანიზაციული წყობის ჩამოყალიბება. გერმანიის მხრიდან მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდა ჰინდენბურგის რწმუნების მქონე სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი, მაიორი, გრაფი ფონ ვოლფსკელი. საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებებს წარმართავდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს და მისი სამხედრო კომისიის წევრები – გენერალი კონსტანტინე აფხაზი და პოლკოვნიკი დავით ვაჩნაძე [ვაჩნაძე დ. 1992: 152-153, 156].

სამწუხაროდ, ხსენებულმა მცდელობამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი,რომლის უმთავრესი მიზეზი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატი ლიდერების, პირველ რიგში, ნოე ჟორდანიას პოლიტიკური სიბეცე. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ერთიან სარდლობას დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების არსებობისა. ჟორდანია და მისი გუნდი ალმაცერად უყურებდა და არ წყალობდა პროფესიულ არმიას, რომელიც გერის როლში ჰყავდათ. მათ სასათბურე პირობები შეუქმნეს საკუთარ, ყოვლად უგვანო შიდაპარტიულ გასამხედროებულ სტრუქტურას, ე.წ. „სახალხო გვარდიას", რომელიც უმთავრესად დილეტანტებით იყო დაკომპლექტებული [ვაჩნაძე დ. 1992: 156-157]. დათა ვაჩნაძეს მოაქვს გერმანელი გრაფის მრავლისმთქმელი სიტყვები:

„ვტოვებ საქართველოს, თან მიმაქვს ქართველების უდიდესი სიმპათია. მაგრამ, ამავე დროს, თან მიმყვება გულისტკივილი იმაზე, რომ ვერ შევძელი თქვენი ხალხის ეხლანდელი მეთაურობის ჩემი რჩევების სარგებლობაში დარწმუნება. ჩემთვის სამწუხაროა, რომ მათ უკუაგდეს ქართული სამხედრო ძალის საფუძვლიანი შექმნის საქმე. ამ აფორიაქებულ ხანაში და სახიფათო გეოგრაფიულ-პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი პატარა საქართველოს ეხლანდელი მმართველები სჭრიან იმ ხის ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან" [ვაჩნაძე დ. 1992: 157].

## 3. კოტე აფხაზი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ათწლეულების მანძილზე, საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის ბატონობის პირობებში, მიზანმიმართულად იყო მიჩქმალული კოტე აფხაზის უდიდესი წვლილი ქართული მეცნიერების თეორი ტაძრის – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დაარსების საქმეში.

თავის ავტობიოგრაფიაში კ. აფხაზი მიუთითებს, რომ 1917 წელს იგი იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საორგანიზაციო ჯგუფის (ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების) ხელმძღვანელი და ამ საზოგადოების წესდების ერთ-ერთი ძირითადი ავტორი [სცსა, ფ. 1836, 1918: 80].

1917 წლის მაისში შეიქმნა საფინანსო კომისია (ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ყიფიანი, იასონ ლორთქიფანიძე, გიორგი ჟურული და ფილიპე გოგიჩაიშვილი), რომელსაც დაევალა ფინანსური სახსრების მოძიება თბილისის უნივერსიტეტის საორგანიზაციო საჭიროებებისათვის. იმავე სხდომაზე შეიქმნა „ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება" [ჯორბენაძე ს., 1984: 193-194]. რაც შეეხება საფინანსო კომისიის ერთ

კონკრეტულ და ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს, იგი ნათლად არის ჩამოყალიბებული ქართული უნივერსიტეტის საბჭოს 1917 წლის 26 ნოემბრით დათარიღებული პირველი სხდომის ოქმში. კერძოდ, მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: „განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის ბინა და თანხა. განაჩენი: ვიზრუნოთ და ვეცადოთ, რომ ქართული გიმნაზიის (თბილისის ქართული სათავად-აზნაურო გიმნაზია – ლ.უ.) შენობა როგორმე შევიძინოთ და აგრეთვე საადგილმამულო ბანკიდან 800 000 მანეთი მივიღოთ" [პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926). 2006: 82-83].

თბილისის საადგილმამულო ბანკში უდიდესი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა კოტე აფხაზი, რომელიც 1906-1913 წლებში იყო ამ ბანკის საზედამხედველო კომიტეტის წევრი. სწორედ მისი დამსახურება იყო ქართული უნივერსიტეტის დასაფუძნებლად საზოგადოებისთვის ზემოხსენებული 800 000 მანეთის გადაცემა.

1917 წლის 29 აგვისტოს ქართული უნივერსიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე აფხაზმა მიიღო ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომ"-ი) ხელმძღვანელის ხარლამოვის შეტყობინება იმის შესახებ, რომ კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წესდება და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებები [ჯორბენაძე ს. 1984: 196].

1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ სადღესასწაულო ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების თავმჯდომარე კონსტანტინე აფხაზი [პროფესორთა საბჭოს ოქმები. 2006: 13].

1917 წლის შემოდგომაზე სტამბამ „სახალხო საქმე" ცალკე ბროშურის სახით გამოსცა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება". მას ხელს აწერენ ხსენებული საზოგადოების თავკაცები, მოღვაწენი, რომელთა სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში: კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული, ექვთიმე სიმონიხ ძე თაყაიშვილი, იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე და ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი.

## 4. ორიოდე საკითხის გარკვევისთვის

გაზეთის „ქართული უნივერსიტეტი" 2009 წლის 10-16 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია მაკა ბიბილაშვილის სტატია „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! – ამ შეძახილებით ხვდებოდნენ გმირები სიკვდილს". პუბლიკაცია ეძღვნება გენერალ კონსტანტინე აფხაზის მოღვაწეობას. სამწუხაროდ, წერილში რეალურ ფაქტად არის წარმოჩენილი ერთი ბინძური დეზინფორმაცია, რომელიც სავსებით შეგნებულად იქნა გავრცელებული საოკუპაციო ბოლშევიკური რეჟიმის მიერ.

როგორც ცნობილია, კოტე აფხაზი, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921-1923 წლებში, სათავეში ედგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს, იმავე წლებში ასრულებდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (იგივე „დამკომი", „ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტი") „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის" შტაბის უფროსის მოვალეობას [შსსა, ფ. 6, საქ. 22313, 1923: 8]. ამაზე მიუთითებს დამკომის წევრი ივანე ნარიკელაძე თავის 1923 წლის 2 მარტის ჩვენებაში. ამდენად, სავსებით ნათელია, რომ 1921-1923 წლებში გენერალი კოტე აფხაზი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტისაოკუპაციო

მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერი.

თავის სტატიაში მ. ბიბილაშვილი უშვებს ორ შეცდომას. იგი მიუთითებს, რომ კოტე აფხაზი და მისი 14 თანამებრძოლი, გაერთიანებული სამხედრო ცენტრის წევრები გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, გენერალი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრი ფარნაოზ ყარალაშვილი, როტმისტრი სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი და ივანე ქუთათელაძე დახვრეტილ იქნენ 1923 წლის 19 მაისს. ავადსახსენებელმა ჩეკამ 19 მაისს მათ მიუსაჯა დახვრეტა და დაადგინა, რომ განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ 24 საათის განმავლობაში. ზემოხსენებული მამულიშვილები დახვრიტეს 20 მაისს, თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე [სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას. 1923]. ამიერკავკასიის ფედერაციის და საქართველოს საოკუპაციო ბოლშევიკური რეჟიმების საგანგებო კომისიების კოლეგიების ერთობლივ გაფართოებულ სხდომას, რომელმაც კოტე აფხაზს და გაერთიანებული სამხედრო ცენტრის სხვა წევრებს ეს საზარელი განაჩენი გამოუტანა, ესწრებოდნენ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მოგილევსკი, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანი და საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლები: პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, ბერია, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე. მე-19 ოქმის დედანი, რომელიც წარმოადგენს კოტე აფხაზისთვის გამოტანილ განაჩენს, დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მე-6 ფონდში. ოქმის ფოტოასლი ერთვის წინამდებარე ნაშრომს.

მ. ბიბილაშვილის მიერ დაშვებული მეორე შეცდომა განაპირობა საბჭოთა უშიშროების მიერ მიზანმიმართულად გავრცელებულმა ბინძურმა დეზინფორმაციამ.

„სიკვდილმისჯილების გმირულ აღსასრულზე ლეგენდები დადის. გადმოცემით ცნობილია, რომ წითელი რაზმის მეთაურს მათთვის ბოლო სურვილის შესრულება აღუთქვამს. გვაქეიფეთ და ქართველი ოფიცრის სიტყვას ვიძლევი, გაქცევას არც ერთი შეეცდებაო – უთქვამს კოტე აფხაზს. ტაბახმელას გზაზე, ნარიყალას გადასახვევთან, მუხნარში სუფრა გაუშლიათ, ბადრაგს ტუსაღებისთვის ბორკილები აუხსნია, ქართული ლხინი გაჩაღებულა, სადღეგრძელოებით, მრავალხმიანი სიმღერით, გალობითა და თან ცრემლით. ასე გაგრძელებულა მთელი ღამე. გამთენიისას კოტე აფხაზს „ჩეკისტებისთვის" მიუმართავს: ახლა კი წაგვიყვანეთო" აღნიშნავს ზემოხსენებული სტატიის ავტორი. ეს თხრობა თავიდან ბოლომდე წარმოადგენს მკრეხელურ სიცრუეს.

ქართული ემიგრანტული ჟურნალის „მხედარი" (პარიზი) მე-2 ნომერში (1929 წლის ნოემბერი) „ალ. ხლი"-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ყოფილი იუნკერის ალექსანდრე ხიმშიაშვილის წერილი „იუნკერის მოგონება". მასში აღწერილია კოტე აფხაზის და მის სიკვდილმისჯილ თანამებრძოლთა დახვრეტის წინა ღამე მეტეხის ციხეში.

„დერეფნის ბოლოში იდგნენ: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, მუსხელიშვილი, სიმ. ბაგრატიონ-მუხრანელი და სხვა, ათ კაცამდე; იდგნენ უქამროდ, უქუდოდ და ყრუ დუმილით იხედებოდნენ ოთხივე კუთხივ: მხოლოდ კოტე აფხაზი, მიმქრალი და თეხისფერი სახით, იდგა უკან ხელებ-შემოწყობილი და შთაგონებული გამომეტყველებით, ხმადაბლა

ელაპარაკებოდა ვარდენ წულუკიძეს... დაბრუნებისას დასუსტებული ნაბიჯებით ნელა მოვდიოდი დერეფანში და ვიყურებოდი ჩვენებისკენ: ყველანი ისე მომჩერებოდნენ, თითქოს რაღაც უნდოდათ ეკითხათ; სევდიანად გაიღიმა კოტე აფხაზმა და შემომახვედრა გამამხნევებელი თვალები. მისი ტუჩები ჩურჩულით მოძრაობდენ... ჩამავალი მზის სხივით განათებული და სულის შინაგანი სიმტკიცით გასხივოსნებული სახე აძლევდა მას მოციქულის შეხედულებას მოწაფეთა შორის. მთელი ჯგუფი რაღაც გაურკვეველ მოლოდინში გაქვავებულიყო – ვეღარ ვიკავებდი მისუსტებულ გრძნობებს და მინდოდა მივვარდნილიყავი მასთან: „ბატონო კოტე! ბატონო!" ნერვიულად წამოვიძახე, მაგრამ მეთვალყურემ მკრა ხელი და დაიღრიალა „გაიარე, ჩქარა, ნუ ლაპარაკობ შენ..." უკანასკნელად გადავხედე მათ აღელვებულ სახეებს. „ყოჩაღად იყავი შვილო!" გადმომიგდო სიტყვა კოტე აფხაზმა" – აღნიშნულია ალ. ხიმშიაშვილის მოგონებაში [ალ. ხლი. 1929: 23].

დიდად საძუხარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი შეცდომები არის ძალზე ხშირი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ენციკლოპედიის „საქართველო" პირველი ტომის კ. აფხაზისადმი მიძღვნილი ტერმინ-სტატია [სიდამონიძე უ. 1997: 256-257]. მასში დაშვებულია მთელი რიგი შეცდომებისა: 1) მითითებულია, რომ კოტე აფხაზი იყო გენერალი, მაგრამ ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე; 2) მეტად სუმბურულია ფრაზა „აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ თავისი წოდებრივი ორგანიზაციის მთელი ქონება ქართველი ერის საკუთრებად გამოაცხადა"; 3) მითითებულია, რომ კ. აფხაზი იყო „ქართული უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე". სინამდვილეში, ეს გახლდათ არა „საინიციატივო ჯგუფი", არამედ „თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება"; 4) ტერმინ-სტატიაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ კოტე აფხაზი იყო თსუ-ის პირველი წესდების ერთ-ერთი ავტორი; 5) ტერმინ-სტატიაში მითითებულია: „საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ (1917 წ. 19-22 ნოემბ.) აფხაზი ეროვნული საბჭოს – საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩია". ჯერ ერთი, არ არის მითითებული, თუ როდემდე არსებობდა საქართველოს ეროვნული საბჭო, მეორე, პარლამენტის ფუნქცია ეროვნულმა საბჭომ ოფიციალურად შეიძინა მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს; 6) არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ კოტე აფხაზის ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1918 წლის 26 მაისის აქტს; 7) არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ დიდი იყო კ. აფხაზის დამსახურება 1917 წელს ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში; 8) ყოვლად მიუღებელია ფრაზა „საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ...". ეს გახლდათ არა „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება", არამედ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და მისი ფაქტობრივი ანექსია; 9) ტერმინ-სტატიაში მითითებულია, რომ კ. აფხაზი იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი"-ს სამხედრო სექციის მეთაური. ეს გახლდათ არა „სამხედრო სექცია", არამედ „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი" და კოტე აფხაზი იყო მისი შტაბის უფროსი; 10) კოტე აფხაზის და მისი 14 თანამებრძოლის დახვრეტის თარიღად მითითებულია 1923 წლის 19 მაისი. სინამდვილეში, ისინი დახვრიტეს აღნიშნული წლის 20 მაისს; 11) ტერმინ-სტატიის ბოლოში არ არის მითითებული არცერთი წყარო და ლიტერატურა. დიდად დასანანია, რომ ისეთ უმ-

ნიშვნელოვანეს გამოცემაში, როგორიც ეროვნული ენციკლოპედიაა, ვაწყდებით ამდენ უზუსტობას, მეტადრე, ტერმინ-სტატიაში, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთ-ერთ უდიდეს ეროვნულ მოღვაწეს, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზს.

1925 წელს საქართველოს საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა (ასე ეწოდებოდა აღნიშნული რეჟიმის იუსტიციის სამინისტროს) თბილისში გამოსცა „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა)". გამოცემაში სრულადაა წარმოდგენილი პარიტეტული კომიტეტის საქმეზე გამოტანილი საბრალმდებლო დასკვნა. პარიტეტული კომიტეტი იყო იგივე დამოუკიდებლობის კომიტეტი („დამკომი"), რომელიც ფარულად მოქმედებდა 1922-1924 წლებში, რომელსაც ევალებოდა საქართველოს მთელი ანტისაოკუპაციო მოძრაობის კოორდინირება. კომიტეტში პარიტეტულ საფუძველზე წარმოდგენილი იყო შემდეგი პოლიტიკური ორგანიზაციები: 1. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1921-1923 წლებში მის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა კოტე აფხაზი); 2. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატია ორგანიზაცია „ახალი სხივი" (მის წევრებს „სხიველებს" უწოდებდნენ); 3. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები); 4. მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტები და 5. მემარჯვენე ესერები. ვინაიდან, აღნიშნული გამოცემა წარმოადგენდა რარიტეტს (1925 წელს გამოიცა მხოლოდ 1000 ეგზემპლიარი), 1994 წელს იგი გამოიცა ო. კალანდარიშვილის ინიციატივით. გამოცემა შეიცავს მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს დამკომის გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ [საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. 1994: 15-21; 57-59]. საგულისხმოა, რომ მასში რამდენიმეგზის არის დაფიქსირებული კ. აფხაზის ფსევდონიმი – „მუხა" [საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. 1994: 57-59]. საინტერესო და მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ საბჭოთა საგანგებო კომისიამ ვერ შეძლო ამ ფსევდონიმის გაშიფვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს აუცილებლად იქნებოდა მითითებული საბრალმდებლო დასკვნაში. მითითებული მასალა ადასტურებს კ. აფხაზის წამყვან როლს მთელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კერძოდ, საბრალმდებლო დასკვნაში მოხმობილია ნიკოლოზ ქარცივაძის ჩვენება 1922 წლის სექტემბრის დამდეგს პარიტეტული კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩატარებულ იმ ფარულ შეკრებაზე, რომელზეც ოფიციალურად გადაწყდა სამხედრო ცენტრის შექმნა. შეკრებას ესწრებოდნენ: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე და ივანე ნარიკელაძე. არაერთგზის ხაზგასმით არის მითითებული, რომ სამხედრო ცენტრის საქმიანობას რეალურად წარმართავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი და მისი სამხედრო კომისია, რომლებსაც სათავეში ედგა კოტე აფხაზი (მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად სამხედრო ცენტრის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ცნობილი სამხედრო და ეროვნული მოღვაწე, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი).

მოხმობილია დ. ვაჩნაძის 1922 წლის 26 ივლისის წერილი პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილისადმი. წერილში ხაზგასმით არის მითითებული, რომ ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულებს სამხედრო

ცენტრთან და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბთან ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ "მუხას" (კ. აფხაზი) საშუალებით. გარდა ამისა, მოხმობილია ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმისადმი ბრძანება № 1 (1922 წლის 20 აგვისტო). მასში აღნიშნულია, რომ ცენტრალური შტაბის (გაერთიანებული სამხედრო ცენტრის) მთავარი საკონტაქტო პირია „მუხა" [საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. 1994: 57-58].

თავის ჩვენებაში კოტე აფხაზი მიუთითებდა, რომ 1922 წლის სექტემბერში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკა-ში არსებობდა ორი ჯგუფი: ერთი წინააღმდეგი იყო აქტიური შეიარაღებული გამოსვლისა, მეორე – მომხრე. სწორედ მეორე ჯგუფის ლიდერი იყო კ. აფხაზი [საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. 1994: 59].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ჟურნალის „საარქივო მოამბე" პირველ ნომერში (2008 წ.) გამოქვეყნებულია ამ პერიოდული გამოცემის მთავარი რედაქტორის ნინო ყიფშიძის ოთხგვერდიანი სტატია „კოტე აფხაზი: ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს". მეტად სამწუხაროა, რომ პუბლიკაციაში ვხვდებით მთელ რიგ შეცდომებს: 1. ავტორის მიერ შერყვნილია ის საკითხი, რომელიც მუდამ უპირველესი იყო კოტე აფხაზისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, ნაშრომში ვკითხულობთ: „მის სახელს უკავშირდება... ქართული ეროვნული არმიის შექმნა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტი იყო თავისუფლებაახალმოპოვებული საქართველოსთვის" [ყიფშიძე ნ. 2008: 15]. საქმე ის არის, რომ 1918 წელს საქართველომ კი არ მოიპოვა, არამედ აღიდგინა რუსეთის მიერ 1801 წელს ოკუპაციის გზით წართმეული დამოუკიდებლობა. იქვე ავტორი მიუთითებს: „დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელი იარსება. შემდეგ კი ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა" [ყიფშიძე ნ. 2008: 15]. რას ნიშნავს „დაკარგა"? სად დაკარგა?.. 1921 წლის თებერვალში აწ უკვე ბოლშევიკურმა რუსეთმა კვლავ ცეცხლითა და მახვილით, კვლავ ოკუპაციის გზით, დაიპყრო საქართველო და მოახდინა მისი ფაქტობრივი ანექსია. 2. საგანგებო კომისიის (ჩეკა-ს) კოლეგიის იმ ავადსახსენებელ სხდომას, რომელმაც დახვრეტა მიუსაჯა კოტე აფხაზს და მის თანამებრძოლებს, ესწრებოდა არა ვინმე „ორახველიძე" [ყიფშიძე ნ. 2008: 15], არამედ საქართველოს სისხლიანი ოკუპაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე, იმხანად კი საოკუპაციო რეჟიმის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი. 3. ავტორი მიუთითებს, რომ „1921 წლის ბოლოსთვის იქმნება ერთიანი სამხედრო ცენტრი" [ყიფშიძე ნ. 2008: 15]. ჯერ ერთი, ცენტრი შეიქმნა არა 1921 წლის დამლევს, არამედ 1922 წლის სექტემბრის დამდეგს, მეორე, მას ეწოდებოდა არა „ერთიანი სამხედრო ცენტრი", არამედ „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი". 4. ავტორის თქმით, ცენტრში შედიოდნენ „მენშევიკებიდან და მემარჯვენე ფედერალისტებიდან გენერალი ვარდენ წულუკიძე და ნაციონალ-დემოკრატებიდან კოტე აფხაზი" [ყიფშიძე ნ. 2008: 15-16]. აქ კი სამი შეცდომაა დაშვებული: ა) ვარდენ წულუკიძე სამხედრო ცენტრში წარმოადგენდა არა მენშევიკებს და მემარჯვენე ფედერალისტებს, არამედ მენშევიკებს (თუმცა, გენერალი ოფიციალურად არ იყო არცერთი პარტიის წევრი); ბ) არა „ნაციონალ-დემოკრატები", არამედ „ეროვნულ-დემოკრატები"; გ) ავტორს „გამორჩა" გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი

როსტომ მუსხელიშვილი და სხვანი, რომლებიც ასევე იყვნენ სამხედრო ცენტრის წევრები. 5. სტატიაში ვკითხულობთ: „პირველ ეტაპზე სამხედრო ცენტრის დანიშნულება გახლდათ საქართველოს ყველა კუთხეში მსგავსი პატარ-პატარა ცენტრების შექმნა, რომელიც ერთიანი სამხედრო ცენტრისგან გაკონტროლდებოდა" [ყიფშიძე ნ. 2008: 16]. რომელ „პატარ-პატარა ცენტრებზეა" ლაპარაკი? გაერთიანებული სამხედრო ცენტრის მისია, დღიდან მისი დაფუძნებისა, გახლდათ საქართველოს კუთხეებში შექმნილი შეიარაღებული რაზმების საქმიანობის კოორდინირება. მაგალითად, ასეთი რაზმი კახეთის მხარეში იყო პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმი". 6. თურმე, ბათუმში არსებობდა ცენტრის „დიდი ფილიალი", რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი [ყიფშიძე ნ. 2008: 16]. რომელი „დიდი ფილიალი"? ბათუმში მოქმედებდა დამკომის აჭარის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგა გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ქალაქ ბათუმის თავი). 7. ავტორი აღნიშნავს: „პოლიტიკური ცენტრი, რომელშიც უკვე პარიტეტული კომიტეტიც მოიაზრებოდა და ხშირად განმათავისუფლებელ კომიტეტსაც უწოდებდნენ, საბოლოოდ 1922 წლის სექტემბრის სხდომაზე გაფორმდა, რომელიც ნარიყალიძის ბინაში მიმდინარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, როსტომ მუსხელიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ნარიყალიძე და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი" [ყიფშიძე ნ. 2008: 16]. ეს ამონარიდი დახუნძლულია შეცდომებით: ა) რას ნიშნავს „მოიაზრებოდა"? საკუთრივ პარიტეტული, ანუ იგივე დამოუკიდებლობის კომიტეტი წარმოადგენდა ანტისაოკუპაციო მოძრაობის პოლიტიკურ ცენტრს; ბ) 1922 წლის სექტემბერში შეიქმნა არა პარიტეტული კომიტეტი, არამედ მის დაქვემდებარებაში მოქმედი „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი"; გ) ვინ არის „ნარიყალიძე"? ავტორი, ალბათ, გულისხმობს პოლკოვნიკ ივანე ნარიკელაძეს; დ) შეკრებას არ ესწრებოდნენ იოსებ გედევანიშვილი და როსტომ მუსხელიშვილი. ვარდენ წულუკიძის, კოტე აფხაზის და ალექსანდრე ანდრონიკაშვილის გარდა მას ესწრებოდნენ ნიკოლოზ ქარცივაძე, იასონ ჯავახიშვილი და ივანე ნარიკელაძე [საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ. 1994: 17]. 8. სტატიის ავტორის მითითებით, „პარიტეტული კომიტეტი ხუთი პარტიისგან შედგებოდა" [ყიფშიძე ნ. 2008: 16]. პარიტეტული კომიტეტი კი არ შედგებოდა ხუთი პარტიისგან, არამედ მასში შედიოდა ხუთი პარტიის ორ-ორი წარმომადგენელი. 9. ნ. ყიფშიძეც არასწორად ასახელებს კოტე აფხაზის და მის თანამებრძოლთა დახვრეტის თარიღს. იგი მიუთითებს, რომ სამხედრო ცენტრის წევრები დახვრიტეს 1923 წლის 19 მაისს [ყიფშიძე ნ. 2008: 18]. 19 მაისს გამოიტანეს განაჩენი, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე, 1923 წლის 20 მაისს. ამას ადასტურებს თუნდაც 19 მაისის სხდომის მე-19 ოქმის ის ამონაწერი, რომლის ფოტოასლი გამოქვეყნებულია წინამდებარე სტატიის ბოლოში.

დიდად სამწუხაროა, რომ ამგვარ შეცდომებს ვხვდებით (და ძალზე ხშირად!) იმ ჟურნალში, რომელსაც ევალება (!!!) თავის პუბლიკაციებში სიზუსტის, ისტორიული სიმართლის დაცვა.

1954 წლის 31 დეკემბერს, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესის მეორე სხდომაზე შედგა კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი საგანგებო კომიტეტის №6 სპეციალური ანგარიში „კომუნის-

ტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია” განხილვა. დოკუმენტი ცალკე წიგნად გამოსცა აშშ-ის სამთავრობო გამომცემლობამ 1955 წელს. 2008 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმმა გამოსცა მისი ქართული თარგმანი. მოხსენებაში განხილულია ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხები.

„1923 წლის დასაწყისში ქართველებმა ძლიერი ზარალი განიცადეს. კომუნისტებმა “სამხედრო ცენტრის” 15 წევრი დააკავეს. მათ შორის იყვნენ დამოუკიდებლობის მოძრაობის მთავარი ლიდერები: გენერალი კონსტანტინე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და ვარდენ წულუკიძე. 1923 წლის 20 მაისს ისინი კომუნისტებმა დახვრიტეს. ამ პატრიოტთა დასჯა მძიმე დარტყმა იყო, მაგრამ კომუნისტების იმედი, რომ ქართველებს შიშით დაიმორჩილებდნენ და საბჭოთა რეჟიმის მიღებას აიძულებდნენ, არ გამართლდა” – აღნიშნულია ამ მეტად საყურადღებო გამოცემაში [კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია. 2008: 30].

## 5. ერთი ლექსისა და წერილის შესახებ

გენერალ კოტე აფხაზის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი იყო ასევე ცნობილი ეროვნული მოღვაწე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი შალვა ამირეჯიბი. 1923 წლის 22 მაისს, ქუთაისში ყოფნის დროს, მან შეიტყო თავზარდამცემი ამბავი კოტე აფხაზის და გაერთიანებული სამხედრო ცენტრის 14 სხვა წევრის დახვრეტის შესახებ. ამ ამბით შეძრულმა შალვა ამირეჯიბმა დაწერა ლექსი „თავად აფხაზის სიკვდილზე”. მოგვიანებით, 1925 წელს, უკვე ემიგრანტმა, ეს ლექსი თანმხლებ წერილთან ერთად გაუგზავნა ასევე საფრანგეთში მყოფ კ. აფხაზის ქვრივს, ელენე აფხაზს.

„დიდათ პატივცემულო ქალბატონო ელენე, გიგზავნით ლექსს,
მიძღვნილს, ჩემთვის დაუვიწყარ, თავად კოტეს ხსოვნისადმი.

„მე გახლდით მაშინ ქუთაისში, როცა, არ მახსოვს, 22 თუ 23 მაისს, კაკო დგებუაძემ (ის და მისი ძმა – ორივე სტუდენტები – დახვრეტილ იქნენ აჯანყების დროს) შემომიტანა გაზეთის ნომერი, სადაც გამოცხადებული იყო თხუთმეტ დახვრეტილთა სია. მე არ აგიწერთ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ამ საშინელმა ამბავმა. რამდენიმე დღის შემდეგ მე დავწერე ეს ლექსი. ერთი კვირის შემდეგ მე უკვე ტფილისში ვიყავი. მე არ მიმიღია ჩემს ცხოვრებაში ჯილდო ჯერ უფრო დიდი, ვიდრე ის, რომ ჩავმდგარიყავ მის ადგილზე” – წერდა 1925 წლის აპრილში შალვა ამირეჯიბი სახელოვანი მამულიშვილის ქვრივს.

ქვემოთ გთავაზობთ ლექსის ფოტოასლს [ამირეჯიბი შ. 1970: 97].

## დასკვნა

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მასალები და თხრობა სავსებით ნათელს ხდის, რომ გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის (1867-1923 წწ.) სახით საქმე გვაქვს ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთ-ერთ უდიდეს ეროვნულ მოღვაწესთან, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო თავის სამშობლოს როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა გამოკვეთილმა ლიდერმა, ისე თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთმა მესაძირკვლემ. უდაოა ის განსაკუთრებული ამაგი, რაც კოტე აფხაზმა დასდო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში, თბილისის საადგილმამულო ბანკს და ქართულ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

და ბოლოს, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხზე. დღეს, 21-ე საუკუნეში, კახეთის სოფელ კარდენახში გაპარტახებულია და ნადგურდება აფხაზების საგვარეულო სასახლე, მე-18 საუკუნის შენობა, სადაც ამ ქვეყანას მოევლინა და არაერთი წელი გაატარა კოტე აფხაზმა... სასურველია, აღდგენილ იქნას სასახლე და იქ მოეწყოს სახელოვანი მამულიშვილის სახლ-მუზეუმი.

**HISTORY**


**Levan Urushadze**

The Georgian National Museum, The Soviet Occupation Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: urushadze_levan@yahoo.com


## For the Biography of General Konstantine (Kote) Abkhazi


### Summary

On the ground of analysis of the State Archives documents and the emigrant periodicals, the paper deals with the unknown or less known details of biography of an outstanding Georgian military, political and public figure, the leader of the national-liberation movement of 1921-1923 years, Ilia Chavchavadze's nephew, general Konstantine (Kote) Abkhazi (1867-1923). The aim of the article is to show Kote Abkhazi's particular role in the 1915-1917 years national movement of Georgia, in foundation of the Tbilisi State University (1918), in restoration of Georgia's state independence (May 26, 1918), in restoration of the autocephaly of the Georgian Orthodox Church (1917), in the 1921-1923years Georgian national-liberation movement.

In the present article attention has been paid to the mistakes which were published in different scientific publications devoted to Kote Abkhazi.

This work is dedicated to the 145th anniversary of General Kote Abkhazi.


## ბიბლიოგრაფია


**სცსა. ფ. 1836. 1918:** ან. 1, ეროვნული საბჭოს წევრთა ავტობიოგრაფიები, ფურც. 80-81.

**შსსა. ფ. 6. 1923:** ან. 1, საქ. 22313.

**გაბაშვილი რ. 1992:** მოგონებები. *„დაბრუნება"*. ტ. 3. თბილისი.

**ვაჩნაძე დ.** სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). *„ივერია"*. 1992: № 35, პარიზი.

**ჯორბენაძე ს. 1984:** *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა.* თბილისი.

***საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა).* 1994:** თბილისი.
**კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია. 2008:** *კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია. საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში №6 კომუნისტური აგრესიის შესახებ. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა. ოთხმოცდამესამე კონგრესი. მეორე სხდომა. 1954 წლის 31 დეკემბერი.* თბილისი **(ქართული თარგმანი).**
**ყიფშიძე ნ.** *კოტე აფხაზი: „ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს". „საარქივო მოამბე".* 2008. № 1, გვ. 15-18. თბილისი.
**პროფესორთა საბჭოს ოქმები. 2006:** *ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926).* თბილისი.
**სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას. 1923:** *კონსტანტინეპოლი.*
**ალ. ხ-ლი. 1929:** *იუნკერის მოგონებები. „მხედარი". № 2.* პარიზი
**სიდამონიძე უ. 1997:** *აფხაზი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე. ენციკლოპედია „საქართველო".* ტ. 1. თბილისი.
**ამირეჯიბი შ.** *შალვა ამირეჯიბის დაუბეჭდავი ლექსები. „კავკასიონი",* 1970: XIV. გვ. 96-97. პარიზი.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** *კოტე აფხაზი.* 1898 *წელი.*
**სურ. 2.** *კოტე აფხაზი.* 1913 *წელი.*
**სურ. 3.** *საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები. თბილისი.* 1918 *წლის* 26 *მაისი. მესამე რიგში, მარცხნიდან პირველი – კოტე აფხაზი.*
**სურ. 4.** *თბილისის ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი* (1918 *წ.*).
**სურ. 5.** *ჩეკას მიერ კოტე აფხაზისათვის გამოტანილი განაჩენი (დოკუმენტის დედანი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი №6).*
**სურ. 6.** *შალვა ამირეჯიბის ლექსი მიძღვნილი კოტე აფხაზისადმი.* 1923 *წელი.*

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1**. Kote Abkhazi. 1898.
**Fig. 2**. Kote Abhazi. 1913.
**Fig. 3**. Members of the Georgian National council after statement of the Georgian State Independent act, May 26, 1918. The first from the left in the third line- Kote Abkhazi.
**Fig. 4**.The main rules of the Tbilisi Georgian University regulations. 1918.
**Fig. 5**. Verdict passed to Kote Bkhazi. (The original is kept in the archives of the Georgian Ministry of inner affairs. Fund №6).
**Fig. 6**. Rhyme of Shalva Amirejimi dedicated to Kote Abkhazi (1923).

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



I

ქარაფუნ უნივერსიტეტის

წესდების პირველი დებულებანი.

§1. ქარაფუნ უნივერსიტეტი წარმოადგენს ხელოვნებისა და მეცნიერების ავტონომიური დაწესებულებაა; ხელოვნების-ხელოვნებისა და მეცნიერების ხელშეწყობა და ხელოვნებისა და მეცნიერების მეშვეობით ეროვნული ინტერესების დაცვა ამ ინსტიტუტის ერთადერთი მიზანია.

§2. ქონებრივ ხასიათს ქარ.-უნივერსიტეტს "ქარ.-უნივერსიტეტის ხელოვნება" ეწოდება.

§3. ქარაფუნ უნივერსიტეტის პროფესორია ხელმძღვანელობა ოვიოვე ეფუძნება უნივერსიტეტის ყოველწლიურ წინასწარ ხელოვნებაზე ხელმძღვანელობა, რომელიც ქარ.-უნივერსიტეტის ეკონომიკურ ინტერესებს ეფუძნება. ეს ინტერესები ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს ემთხვევა. ამ ინტერესებს ხელოვნებაზე ხელმძღვანელობა ეფუძნება. ეროვნული ინტერესების ინტერესებს ეფუძნება. ეროვნული ინტერესების ინტერესებს ეფუძნება. ეროვნული ინტერესების ინტერესებს



45

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширеннаго Заседания Коллегии Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссии.

Под председательством Председателя т. МОГИЛЕВСКАГО.

Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРДЖОНИКИДЗЕ и ЛОМИНАДЗЕ.

| Слушали: | Постановили: |
|---|---|
| Докладчик тов. АШУКИН:<br>I - Дело военной организации анти-советских партий, по обвинению:<br>5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 лет, с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. предводителя дворянства, председателя ЦК Грузинской и Н.Д. Партии.- | I - За организацию заговора против Сов власти Грузии, создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству - ПОСТАНОВИЛИ:<br>5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 л с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. предводителя дворянства, председателя ЦК Грузинской Н.-Д Партии. Вошел в Н.Ц. и участвовал в руководстве подготовкой к возстанию против Соввласти в Грузии, при обсуждении в ЦКН.А. вопроса о возстании голосовал, по собственному признанию, за немедленное вооруженное возстание - РАССТРЕЛЯТЬ Приговор привести в испол. в 24 час. сро |

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК / МАЙСОВ/

**სურ. 5 Fig.**



**სურ. 6 Fig.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 247-261
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 247-261

**ისტორია**

**ოთარ ჩიქოვანი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: o.chikovani@yahoo.com

# საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები

სახელმწიფოთა შორის ტერიტორიების გამიჯვნასა და საზღვრების დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისა და იქ მცხოვრები ხალხებისათვის. იგი თითოეული ქვეყნის უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი განვითარების გარანტიაა. ამდენად, სტაბილური, სტრატეგიული, ეკონომიკური და ისტორიული თვალსაზრისით დადგენილი სახელმწიფოებრივი საზღვრები ყოველი დამოუკიდებელი ქვეყნის უმთავრესი საზრუნავია. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემა ახალდამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნებისათვის, რადგან ტერიტორიების კუთვნილების განსაზღვრა და დადგენა ძალზე ხშირად იწვევს სახელმწიფოებს შორის გაუთავებელ დაპირისპირებებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს.

საზღვრების გამიჯვნისა და დადგენის საკითხი ურთულესი პრობლემაა. სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული დავის გადასაჭრელად მიღებულია ორი მთავარი პრინციპი: რეალური მოსახლეობის (ეთნოგრაფიული) და ისტორიული. რეალური პრინციპის მიხედვით საზღვრების გამიჯვნისას მთავარი ყურადღება ექცევა არა ეროვნულ-ისტორიულ, ეკონომიურ, სტრატეგიულ ან სხვა რომელიმე მოსაზრებას, არამედ მოსახლეობის ეროვნების უმრავლესობას (აზერბაიჯანის პრეტენზიები კი აღნიშნულთან ერთად დამყარებული იყო რელიგიურ პრინციპზეც – მუსულმანობაზე). საზღვრების ისტორიული პრინციპით განსაზღვრა კი გულისხმობს საზღვრების დადგენას ეკონომიკური, ეროვნული, პოლიტიკური, სტრატეგიული და სხვა პარამეტრებით.

რევოლუციამდე, როგორც ცნობილია, შიდაკავკასიური საზღვრების გამიჯვნის პრობლემა არ იდგა დღის წესრიგში, რადგანაც კავკასია რუსეთის იმპერიაში შედიოდა და დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ნაწილებად – გუბერნიებად, მაზრებად, სოფლთა საზოგადოებებად. პირველად შიდაკავკასიური გამიჯვნის პრობლემა წარმოდგა კავკასიაში ერობის („ზემსტვო“) შემოღებასთან დაკავშირებით, როდესაც საჭირო გახდა საერთო დებულების მიღება ტერიტორიების გასანაწილებლად. თუმცა, პირველმა მსოფლიო ომმა კავკასიის ადმინისტრაციული გადამიჯვნის საკითხი გადაუჭრელი დატოვა. ამიტომ კავკასიის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საზღვრე-

ბის საკითხი მთელი სიმწვავით დადგა ჯერ ოსმალეთთან და შემდეგ თვით ამ რესპუბლიკებს შორის [ნოზაძე ვ. 1990:13].

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად 1918 წლის მაისში ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ გამოაქვეყნა „საქართველოს დამოუკიდებლის აქტი". საქართველომ აღიდგინა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სახელმწიფოებრიობა და სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. იმავე წლის 27 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა აზერბაიჯანმა, 28 მაისს კი - სომხეთმა. დამოუკიდებლობის აქტში სხვა უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან ერთად აღნიშნული იყო: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან" [საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 1990: 4]. აღნიშნულ პრინციპებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის მანძილზე პირნათლად ასრულებდა.

ამიერკავკასიის ახალწარმოქმნილმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენეს საქართველოს. პარიზის საზავო კონფერენციისათვის წარსადგენ რუკაზე სომხებმა თავიანთ ტერიტორიად მოინიშნეს თბილისი, ბორჩალოს მაზრა, მცხეთა, გორი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ბათუმი და ბათუმის ოლქი. აზერბაიჯანმა კი თავის საზღვრებში მოაქცია საინგილო (ზაქათალა), ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ბათუმის ოლქი, ე.ი. ყველა მეზობელი საქართველოს მიწა-წყლის წაგლეჯას ლამობდა [ნოზაძე ვ. 1990:13-14]. რას ეფუძნებოდა ამ ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ? სომხები მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივი საზღვრების გატარებას ეთნოგრაფიული, ანუ რეალური პრინციპის მიხედვით, რომლის მიხედვითაც, როგორც აღინიშნა, მთავარი იქნებოდა არა ეროვნულ-ისტორიული, ეკონომიკური, სტრატეგიული მოსაზრება, არამედ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის უმრავლესობა. აზერბაიჯანის პრეტენზიები კი ჩვენს მიწებზე აღნიშნულთან ერთად დამყარებული იყო რელიგიურ პრინციპზეც, ვინაიდან საქართველოს ამ მხარეებს არავითარი საერთო არ ჰქონდათ აზერბაიჯანელებთან. შექმნილ ურთულეს სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებამ 1918 წლის 11 ივნისს შექმნა საზღვრების დამდგენი კომისია: ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა, გენერალი ი. ოდიშელიძე. კომისიას დაევალა შეესწავლა და დაედგინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები აზერბაიჯანსა და სომხეთთან. კომისიის გადაწყვეტილებით მეზობლების მიერ სადავოდ გამხდარი ყველა ქართული ტერიტორია საქართველომ თავის კუთვნილებად აღიარა. კომისიის დასკვნაში ნათქვამია: „აღმოსავლეთ საქართველოს ერთადერთი ბუნებრივი საზღვრები აღმოსავლეთ და სამხრეთის მხრიდან ამგვარია: სამხრეთიდან საზღვარი გადაჭიმულია მცირე კავკასიის ქედზე, გაივლის

ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან ახლოს, ყარაკლისის სამხრეთით, მიდის გოგჩის ტბის ჩრდილო ნაპირებამდე, უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აღსტაფაზე, მიდის სადგურ ძეგამამდე, მოიცავს ზაქათალის ოლქს და მთავრდება სილავათის მთით“ [Из Истории армяно-грузинских отношений, 1918 год. 1919:10].

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ჩვენი მეზობლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გათვალისწინებული იქნა ისიც, რომ რეალური პრინციპის მიღებისას დედაქალაქი თბილისი ახლოს რჩებოდა სახელმწიფოს საზღვართან, რაც ძალზე ართულებდა მის დაცვას; დიდ საფრთხეს ქმნიდა ოსმალეთის სიახლოვეც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტერიტორიული გამიჯვნის საფუძვლად რეალური მოსახლეობის პრინციპის აღიარება ქართველი ერის მომავლისათვის მიუღებელი იყო. ამასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოების სხდომაზე გამოსვლისას 1918 წლის 7 თებერვალს აღნიშნავდა: „წამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა სამართლიანი იქნებოდა მხოლოდ იქ, სადაც ეს სამართლიანობა დარღვეული არ ყოფილა მოსახლეობის ეხლანდელი სახის შექმნის დროს. მაგრამ თუ დღევანდელი მოსახლეობის მიხედვით გადავწყვეტთ ისეთ მხარეთა ბედს, რომელიც კოლონიზაციისა და ძალმომრეობის გზით არის გადარჯულებული, ეს ყველაზე ნაკლებ შეიძლება გამართლებული იქნას. სამართლიანობის სახელით გაზომვა აქ „რეალური“ მოსახლეობის მეტრით, ეს ბოლოს და ბოლოს „რეალური“ უსამართლობა იქნება და ძალმომრეობის დაკანონება.... და ჩამორთმევა ქართველი ერისათვის ძირეული ქართული ქვეყნებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ მისი პოლიტიკურად უფლება-ახდილობის ხანაში გაძლიერდა უცხო ელემენტი – ქვეყნისა, რომელიც მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც გადაბმულია იგი თანამედროვე და სამერმისო რეალური საჭიროებით, ეს იქნებოდა ყოველგვარი სამართლიანობის დათრგუნვა და ქართველი ერის უფლებათა აბუჩად აგდება. ქართველობა ვერ შეურიგდებოდა ამ ძალადობას“ [ინგოროყვა პ. 1990: 42-43].

ტერიტორიების გამიჯვნისა და შიდაკავკასიური საზღვრების დადგენის საკითხების განხილვამდე მოკლედ შევეხოთ არაქართველი მოსახლეობის დემოგრაფიულ ექსპანსიას საქართველოში და დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას, იმ დროისათვის შექმნილ არასტაბილურ ვითარებას, თურქეთის აგრესიის საფრთხესა და სხვ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საბჭოთა რუსეთმა დაიწყო საზავო მოლაპარაკება გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ბრესტლიტოვსკში. 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებით რუსეთს უნდა დაეტოვებინა ამიერკავკასია და დაუყოვნებლივ დაეცალა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები. ეს სავსებით შეესაბამებოდა გერმანიის მოკავშირე თურქეთის ინტერესებს, რომლის მიზანიც იყო ამ ოლქების ხელში ჩაგდება. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ არ ცნო ბრესტის ზავი, თურქეთმა ძალის გამოყენებით მაინც დაიკავა ეს ტერიტორიები. 1917 წლის დეკემბერ-იანვარში რუსეთის ჯარის დაშლისა და ამიერკავკასიიდან წასვლის შემდეგ თურქები დარწმუნდნენ, რომ მათ სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარავინ გაუწევდა და დაიწყეს ახალ-

ახალი პრეტენზიების წამოყენება. მათ, ფაქტობრივად, მთელი საქართველოს ოკუპაცია მოინდომეს. 1918 წლის 15 აპრილს ოსმალებმა დაიკავეს ბათუმი, 17-ში – ოზურგეთი, ჩოლოქთან კი დამარცხდნენ. მათს ხელში გადავიდა მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე, ასევე ამიერკავკასიის დიდი ნაწილი. შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამოსასვლელად უცილობლად იქნა მიჩნეული მსოფლიოს რომელიმე ძლიერი ქვეყნის მხარდაჭერის და მფარველობის მოპოვება, რათა დაცული ყოფილიყო ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ასეთი ქვეყანა აღმოჩნდა გერმანია, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო საქართველოს დაცვაზე და შეიარაღებული ძალები და ტექნიკა გამოაგზავნა. 1918 წლის ივნისში საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია გენერალ-კონსულ კრესს ფონ კრესსენშტაინის მეთაურობით, რომელსაც ჩამოყვა ბავარიის სარეზერვო ეგერთა ბატალიონის 1080 ოფიცერი და ჯარისკაცი, პრუსიის მოიერიშე ბატალიონის 488 ოფიცერი და ჯარისკაცი. გერმანელთა შეიარაღებაში შედიოდა ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, კავალერიის ბრიგადები, საავიაციო ქვედანაყოფები და სხვ. გერმანელები განლაგდნენ ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ბორჩალოს მაზრაში, აღბულაღში, თბილისსა და სხვ. 1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისათვის კავკასიაში მყოფ გერმანელ სამხედროთა რიცხვი 19 ათასამდე გაიზარდა. მარტო თბილისში იმყოფებოდა 2 ათასამდე გერმანელი სამხედრო სპეციალისტი (მფრინავები, მძღოლები, რკინიგზელები და სხვ.). გერმანელმა სამხედროებმა მონაწილეობა მიიღეს ოსმალების წინააღმდეგ ბორჩალოში გამართულ ბრძოლებში და რამდენიმე ჯარისკაცი დაიღუპა კიდეც. სანაცვლოდ გერმანელებმა საქართველოს მთავრობისაგან მიიღეს მანგანუმის საბადოების ათვისებისა და მოპოვებული მადნეულით ვაჭრობის საგანგებო უფლებები, ასევე მოიპოვეს რკინიგზებითა და ფოსტა-ტელეგრაფით სარგებლობის ნება [შპრინგჰორნი დ. 2004:50; გაბრიჩიძე მ. 1942:15-16].

ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ხელმოწერილი ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურამალინის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების სამი მეოთხედი და სხვ. ამ ხელშეკრულებით საქართველოს ჩამოსცილდა 11 381 კმ$^2$ ტერიტორია 250 ათასი მცხოვრებით, ხოლო სომხეთს 18 125 კმ$^2$ ტერიტორია 404 ათასი მცხოვრებით. გარდა ამისა, ოსმალეთმა მიიღო უფლება კონტროლი დაეწესებინა საქართველოს მთავარ სტრატეგიულ რკინიგზებზე, გამოეყენებინა ისინი სამხედრო ინტერესებისათვის [ქსე 1977:151-152]. კონფერენციის მსვლელობისას სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება დაიწყეს ოსმალებთან საზღვრების საკითხზე. ამის გამო საქართველოს მთავრობამ პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ საზღვრების დადგენა არის სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის კომპეტენცია და თუ რაიმე შეთანხმება დაიდება ამ ქვეყნებს შორის, საქართველოს მთავრობა არ ცნობს მას სავალდებულოდ და მისაღებად. საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ გერმანიისა და მისი მოკავშირეების დახმარებით მოხერხდებოდა ბათუმში ხელმოწერილი ხელშეკრულების

გადასინჯვა და ამიტომ მისი რატიფიცირება არ მოუხდენია. იგი არც ოსმალეთს დაუმტკიცებია და ამიტომ იურიდიულად ძალაში არ შესულა. გარდა ზემოჩამოთვლილი ტერიტორიებისა, ოსმალები აგრძელებდნენ ახალი ტერიტორიების დაპყრობას. ისინი შეიჭრნენ ბორჩალოში და დესანტი გადასხეს აფხაზეთში; შეიჭრნენ ასევე საინგილოში და გააჩაღეს აგიტაცია ქართველების წინააღმდეგ. 14 ივლისს ბათუმში არაკანონიერად მოაწყვეს რეფერენდუმი და სხვ.

1918 წლის ოქტომბრისათვის ნათელი გახდა, რომ I მსოფლიო ომში გერმანია და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ. 29 სექტემბერს დანებდა ბულგარეთი, 30 ოქტომბერს – ოსმალეთი, 3 ნოემბერს კაპიტულაცია გამოაცხადა ავსტრია-უნგრეთმა, 11 ნოემბერს – გერმანიამ. გერმანიაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ 1918 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა გააუქმა მთლიანად ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ხნის განმავლობაში ბათუმის საზავო ხელშეკრულება არავის დაუმტკიცებია და მას იურიდიული ძალა არ მისცემია. I მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა 30 ოქტომბერს გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოებთან დადო მუდროსის დროებითი საზავო ხელშეკრულება. მუდროსის დაზავებით ანტანტის სახელმწიფოებისათვის იხსნებოდა ბოსფორი და დარდანელი. ოსმალეთს ჯარები უნდა გაეყვანა ოსმალეთის იმპერიის ყველა არაბული ოლქიდან, ირანიდან და ამიერკავკასიიდან. ანტანტის სახელმწიფოებს შეეძლოთ დაეკავებინათ ოსმალეთის მიერ 1918 წელს მიტაცებული ბათუმი და ბაქო. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ დაზავებამდე ოსმალეთმა დაიწყო ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანა. 1918 წლის დასასრულისათვის მუდროსის ზავის თანახმად თურქეთმა მესხეთ-ჯავახეთიდან და აჭარიდან გაიყვანა თავისი ჯარები. საქართველოს ეს ისტორიული ნაწილები საქართველოს ჯარებმა დაიკავეს.

ოსმალეთი ორმაგ პოლიტიკას ატარებდა. ოსმალებმა საქართველოს შესთავაზეს მათ მიერ დატოვებული ტერიტორიების დაკავება. იგივე შესთავაზეს სომხეთსაც, რომლემაც დაიკავა კიდევაც თურქეთის ჯარების მიერ დატოვებული ბორჩალოს მაზრის ნაწილი; პრეტენზიები ჰქონდა აგრეთვე თბილისზე, მცხეთაზე, გორზე, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. როგორც აღინიშნა, სომხები მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივი საზღვრების გატარებას რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით, რაც საქართველოსათვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ვითარება რეგიონში ძალზე დაძაბული რჩებოდა. გერმანიისა და მისი მოკავშირეების მარცხი ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს საქართველოს ტერიტორიების მისატაცებლად და 1918 წლის დეკემბერში სომხეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს.

როგორც ცნობილია, სომხების ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოს მიმართ დიდი ხნის ისტორია აქვს. საუკუნეების განმავლობაში სომხეთი იბრძოდა კავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად, რისთვისაც მას უპირველესად, საქართველოზე უნდა გაევრცელებინა თავისი ჰეგემონობა. ამიტომ ჩვენი სასაზღვრო ტერიტორიები ხშირად ქიშპობის საგანი ხდებოდა და იმ ქვეყნის ხელში ექცეოდა, რომელიც გაძლიერ-

დებოდა. „სტრაბონის ცნობით, სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის, მაშინ ქართველთა ტომებისთვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენა და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს – კარინი და დერქსინი. ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად“ [ჯავახიშვილი ივ. 1996:14].

XI საუკუნის შუა ხანებიდან მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა სომხური სახელმწიფოებრიობის დაცემა. შინაგანი წინააღმდეგობებით დასუსტებულმა სომხეთმა ვერ გაუძლო ბიზანტიის შემოსევას და 1054 წელს ბიზანტიელებმა დაიკავეს სომხეთის დედაქალაქი ანისი. იმავე ხანებში სომხეთი დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა. ამ დროიდან 1918 წლამდე სომხური სახელმწიფო წყვეტს არსებობას. XI საუკუნიდან იწყება სომხური მოსახლეობის ემიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. ისინი მასობრივად გადასახლდნენ მცირე აზიაში, ოქროს ურდოში, ყირიმში, პოლონეთში, უკრაინაში, საქართველოში, ბიზანტიაში, სირიაში, ლიბანსა და სხვ. სომხები დიდი რაოდენობით შემოვიდნენ საქართველოშიც და დასახლდნენ სომხეთის მოსაზღვრე რაიონებში, ძირითადად, ქვემო ქართლში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, სადაც არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ისინი შემოიხიზნებოდნენ სწორედ ქვემო ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკვრა, ე.წ. სომხითში, ლორეში, ტაშირსა და სხვაგან [ჯავახიშვილი ივ. 1996: 25].

რუსეთის მიერ საქართველოს ძალდატანებითი მიერთების შემდეგ იწყება სომხების მასობრივი ჩამოსახლება და კომპაქტური დასახლება საქართველოში. აქ საიმედო ელემენტის – სომხების ჩასახლებით ცარიზმი ვარაუდობდა, რომ საზღვრები კავკასიის მოსაზღვრე მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან (ირანი, თურქეთი) საიმედოდ იქნებოდა ჩაკეტილი. მეფის რუსეთს სომხები აპოლიტიკურ ხალხად მიაჩნდა, ქართველები კი – არასაიმედოდ. ამიტომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე ერთგული სომხების მასობრივი ჩასახლება სასურველად იქნა მიჩნეული. ცარიზმის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართული მოსახლეობა 95%-ს აღემატებოდა, 1832 წლისათვის უმრავლესობად სომხები იქცნენ [ჯავახიშვილი ივ. 1998:8].

სომეხთა საქართველოში მიგრაციას ხელი შეუწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებულმა რუსეთ-თურქეთის ომებმა. ომების შემდეგ საქართველოში ჩამოსახლებულ სომეხთა რიცხვი განუხრელად იზრდებოდა და მაქსიმუმს მიაღწია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე – 1897 წელს საქართველოში ჩამოსახლებულ სომეხთა რაოდენობამ შეადგინა 19 ათასი [ჯაოშვილი ვ. 1984:112].

XIX საუკუნის 90-იან წლებში თურქებმა განახორციელეს სომხების მასობრივი განადგურება – ამოჟლიტეს 300 ათასი სომეხი, ხოლო 1909 წელს ქალაქ ადანასა და კილიკიის პროვინციებში – კიდევ 40 ათასი

ადამიანი [Геноцид Армян в Османской Империи. 1982:3].

1897-1902 წლებში საქართველოში ჩამოსახლდა კიდევ 55 ათასი სომეხი. ისინი ძირითადად დასახლდნენ სამცხე-ჯავახეთში, თბილისში, გორში, ბათუმში, სოხუმში, აფხაზეთის სოფლებსა და სხვა ადგილებში. თბილისში სომეხთა რაოდენობა 1897 წელს შეადგენდა 46 713-ს, ხოლო 1914 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 129 589 კაცამდე [Аргутинский П. 1917]. 1915-1916 წლებში თურქეთში მცხოვრებ სომხებში დატრიალეული ტრაგედიის შემდეგ, კიდევ 100 ათასი სომეხი შემოვიდა და დამკვიდრდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებას დროებითი ხასიათი არ ჰქონია. ისინი სხვაგან წასვლას აღარ აპირებდნენ. მათი მიზანი იყო საქართველოში დამკვიდრება.

ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კედია აღნიშნავდა, რომ „სომხების დღევანდელ მესვეურთ გადაწყვეტილი აქვთ საქართველოს ჩამოგლიჯონ ბორჩალო-ახალციხის ნაწილები და ახალქალაქის მაზრა. დამოუკიდებელი საქართველო და ისიც ბორჩალო-ახალციხე-ახალქალაქის მაზრებით აბსოლუტურად შეუწყნარებლად მიაჩნია სომხების პოლიტიკურ შემეცნებას; ან ამიერკავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაუმიჯნაობა და ძველებურად ზურგზედ საერთო ბატონი, ან თუ ეროვნებათა დამოუკიდებლობა იქნება, მაშინ ბორჩალო-ახალციხის ნაწილები და ახალქალაქის მაზრა სომხეთს უნდა ეჭიროს. აი, ეს არის მათი აზრი და მისწრაფება“ [კედია ს. „საქართველო“, 1918: №203].

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს მთავრობა თავიდანვე მიისწრაფოდა რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებასა და ცდილობდა ამიერკავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებას და სადავო საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაჭრას. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით 1918 წლის 10 გიორგობისთვეს თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ხალხთა და სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე სომხებთან ერთად მოწვეულნი იყვნენ აზერბაიჯანისა და კავკასიის მთიელთა წარმომადგენლები. საქართველოს მთავრობის ვარაუდით, კონფერენციაზე უნდა განხილულიყო საკითხები, რომელთა გადაჭრაც ხელს შუწყობდა მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარებას: 1) კონფერენციაზე წარმოდგენილი სახელმწიფოების მიერ ურთიერთდამოუკიდებლობის ცნობა; 2) ყველა სადავო საკითხის გადაჭრა, მათ შორის, საზღვრების გამო დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით და თუ ეს შეთანხმება არ მოხდება, არბიტრაჟის საშუალებით; 3) რესპუბლიკებს არ უნდა ჰქონოდათ უფლება რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან კავშირის შეკვრისა, რომელიც მიმართული იქნებოდა კონფერენციაზე წარმოდგენილ რომელიმე ხალხის წინააღმდეგ; 4) ურთიერთთანადგომითა და დახმარებით გამოსვლა მსოფლიო კონგრესზე, რათა ცნობილი ყოფილიყო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და დაცული საერთო ინტერესები. კონფერენციაზე დასმულ საკითხთა შორის უმთავრესი იყო ტერიტორიებისა და საზღვრების საკითხი [„ერთობა“, 1918: №234].

აზერბაიჯანის მთავრობა მიესალმა საქართველოს მთავრობის

ინიციატივას; სომხები კი სხვადასხვა მიზეზის გამო წინააღმდეგ წავიდნენ და კონფერენცია ჩაიშალა. ამგვარად, სადავო საკითხები გადაუჭრელი დარჩა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ წერდა: „სამშვიდობო კონფერენციაზე არდასწრებით სომხებმა დაამტკიცეს, რომ სომხურ-ქართული დავის გადაჭრა არ შეიძლება დიპლომატიური გზით. ჩვენი მთავრობისა და ხალხის სინდისი სრულიად წმინდაა; მათ ყველა საშუალება იხმარეს ოღონდ ომი აეცდინათ თავიდან, მაგრამ ვერავითარმა დათმობამ ვერ გაჭრა სომხეთის მთავრობასა და მის ხელმძღვანელ პარტიაზე „დაშნაკცუთიუნზე“... ახლა მხოლოდ ომზე უნდა ვიფიქროთ და მის გამარჯვებით დამთავრებაზე [„ერთობა“, 1918: №274].

სომხებმა ჯერ კიდევ 1918 წლის ოქტომბერში მოსინჯეს ძალები. 13 ოქტომბერს სომხეთის რეგულარულმა ჯარმა დაიჭირა ქობერისა და სასაზღვრო ხიდის მიდამოები სანაინის გასწვრივ, ბორჩალოს მაზრაში და დაიკავა ოსმალთაგან დაცლილი ადგილები. საქართველოს მთავრობამ მიიღო სათანადო ზომები საზღვრების დასაცავად და აიძულა ისინი სასწრაფოდ დაეცალათ ჩვენი მიწა-წყალი. სომხები დროს არ კარგავდნენ და მალულად განაგრძნობდნენ საომრად მზადებას. ისინი ეძებდნენ საბაბს ომის დასაწყებად და საქართველოს ტერიტორიების მისატაცებლად. ეს საბაბიც მალე მოიძებნა. ეს გახლდათ 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში ქართული ჯარის შესვლა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, რაც ჩათვლილი იქნა სომხეთის „განუყოფელი“ ნაწილის ხელყოფად.

1918 წლის დეკემბრის დასაწყისში მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად, სომხეთის რეგულარული ჯარი თავს დაესხა საზღვრებზე მდგარ ჩვენს მცირერიცხოვან რაზმებს. სომეხთა თავდასხმები სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. სომხებმა ომის დასაწყისში უპირატესობა მოიპოვეს, რაც, ძირითადად, მოულოდნელობის ფაქტორით იყო განპირობებული. გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ახალქალაქის მაზრასა და ბორჩალოს ფრონტებზე. საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა სათანადო ღონისძიებები და 1918 წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან საომარი ვითარება ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა. სომხეთის არამართებულმა მოქმედებამ ქართველი ხალხის საშინელი გულისწყრომა გამოიწვია. მომხდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ყველა კუთხიდან გაეშურნენ მოხალისეები. გენერალი გიორგი კვინიტაძე იგონებს: „აღსანიშნავია, რომ ბათუმის ეპოპეის დროს მის დაცვას უმთავრესად დასავლეთ საქართველო გამოეხმაურა, სომხეთთან ომს კი – მთელი საქართველო. ომი ერთობ პოპულარული გამოდგა; თბილისთან მტრის სიახლოვე და ჩვენი ხელმოცარვა მხოლოდ აღაგზნებდა და გულს უნოებდა ხალხს“ [კვინიტაძე გ. 1998:75]. გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა ეკატერინენფელდთან (ბოლნისი) და შულავერთან, სადაც განადგურებულ იქნა სომხეთის თითქმის მთელი შეირაღებული ძალები. 1919 წლის 1 იანვრისათვის აშკარა შეიქმნა, რომ სომხეთი მარცხდებოდა, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოთა წარმომადგენლები და საქართველოსა და სომხეთს მოსთხოვეს საომარ მოქმედებათა შეჩერება და

დროებითი ზავის დადება (ზავი დაიდო საქართველოსათვის არახელსაყრელი პირობებით, რამაც ქართველი საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია). საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია და დათანხმებოდა ანტანტის ქვეყნების ულტიმატუმს. 1918 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე სომხეთ-საქართველოს ომი შეწყდა. 1919 წლის იანვარში შედგა საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია. სულ ჩატარდა 4 სხდომა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ – პოლკოვნიკი სტიუარტი (თავმჯდომარე), კონსული დიურუა, კაპიტანი დუაბასი; საქართველოს მხრივ – ე.პ. გეგეჭკორი, ნ.ბ. რამიშვილი, გენ. გედევანიშვილი, კ. საბახტარიშვილი; სომხეთის მხრიდან – მ.მ. არუთინიანი, გენ. ყორდანოვი, ს.ტ. მამიკონიანი, ა. ხაჩატრიანი, ა. ხონთქარიანი.

ყველა ძირითად საკითხში მხარეთა შეხედულებანი ძალზე განსხვავებული იყო. ამიტომ გადამწყვეტი იყო მოკავშირეთა წარმომადგენლების ხმა, როგორც ნეიტრალური მხარისა. შეთანხმების მიხედვით შეიქმნა ნეიტრალური ზონა (ლორეს რაიონი), მოხდა ჯარების დაშორიშორება. ჩვენი ჯარი შეჩერდებოდა იქ, სადაც იქნებოდნენ 1918 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე; დიდი უთანხმოება გამოიწვია საკითხმა ადმინისტრაციის შესახებ ნეიტრალურ ზონაში. მიღებულ იქნა საქართველოს დელეგაციის წინადადება – საქართველოსა და სომხეთს ამ ადმინისტრაციაში ეყოლებოდათ თითო წარმომადგენელი იმ პირობით, რომ ყველა სადავო საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემოდა მოკავშირეთა სარდლობას. მოკავშირე სახელმწიფოთა მხარდაჭერით გადაწყდა რკინიგზის საკითხი: ყოველგვარი სარკინიგზო საქმე ნეიტრალურ ზონაში უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს გზათა სამინისტროს. სომხები აყენებდნენ ახალქალაქის ადმინისტრაციის მოწყობის საკითხსაც. საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ ახალქალაქის მაზრის საკითხი საქართველოს შინაური საქმე იყო და კონფერენციის განხილვას არ ექვემდებარება. მოკავშირეთა წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დელეგაციის განცხადებას და ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან. მხარეებს შორის შეთანხმება მოხდა აგრეთვე გარნიზონების რიცხვის თაობაზე [„ერთობა“, 1919: №11]. სომხეთის ჯარი ცლიდა ბორჩალოს მაზრას და უბრუნდებოდა თავის საზღვრებს, ე.ი. უნდა აღდგენილიყო ომამდელი მდგომარეობა „სტატუს ქვო“, მაგრამ ეს მდგომარეობა მაშინ არ აღდგენილა, რადგანაც ლორეს რაიონი გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად და იქ ჩვენი ჯარი არ შესულა (1920 წლის ნოემბერში საქართველომ დაიბრუნა ნეიტრალური ზონა – ლორეს ოლქი, რასაც სომხეთი დაეთანხმა). საბოლოოდ საზღვრების საკითხი კავკასიის სახელმწიფოთა შორის უნდა გადაეწყვიტა პარიზის საზავო კონფერენციას.

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წარმატებით გადაჭრა აფხაზეთის, აჭარისა (სამუსლიმანო საქართველოს) და საინგილოს პრობლემები. საქართველოს ხელისუფლება ცნობდა აფხაზეთში შექმნილ თვითმმართველობას და შესაძლებლად მიიჩნევდა მისთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას. 1918 წლის 8 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება აფხაზეთის

სახალხო საბჭოს წარმომადგენლობასთან, რომელიც საქართველოსგან აფხაზეთის განუყოფლობასა და აფხაზეთის ავტონომიას ადასტურებდა, მაგრამ სეპარატისტებმა მოინდომეს საქართველოსგან გამოყოფა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. დენიკინის ასპარეზზე გამოჩენისთანავე აფხაზეთის თავადებმა და მსხვილმა მემამულეებმა – ჩიკაშუამ, შერვაშიძემ, აშხვაცავამ, მდვდელმა თუმანოვმა და სხვებმა „აფხაზი ხალხის“ სახელით დენიკინს მიმართეს საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთში დენიკინის ჯარების შეყვანას [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1972:626]. მშვიდობიანი მოლაპარაკება ვერ მოხერხდა და საჭირო გახდა სამხედრო ძალის გამოყენება. საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში გაგზავნა ჯარის ნაწილები გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით. ქართულმა ჯარმა დაამარცხა ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკის 2 ათასიანი რაზმი და 1918 წლის 2 ივლისს დაიკავა ადლერი, 6 ივლისს – სოჭი, 26 ივლისს – ტუაფსე. 1918 წლის სექტემბერში კი დენიკინის მოხალისეთა არმიამ აიძულა ქართული ჯარი დაეტოვებინა ტუაფსე, ხოლო მოგვიანებით, 1919 წლის თებერვალში, სოჭიც. დენიკინი სამხედრო ოპერაციებს განაგრძობდა. მისი დევიზი იყო „მთლიანი და განუყოფელი რუსეთი“. სოჭის დაკავების შემდეგ მოხალისეთა არმია გაგრის აღებასაც აპირებდა. დენიკინის მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა რუსეთის უბრალო გუბერნიად. საქართველო მას მეფის რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა, მაგრამ მისი ზრახვები ჩაიფუშა. საბჭოთა არმიამ გაანადგურა დენიკინის არმია და საქართველო მაშინ გადაურჩა თეორგვარდიელთა შემოსევებს. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 1919 წლის გაზაფხულზე ჩატარდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები. საბჭომ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო,რომ აფხაზეთი შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით. 1919 წლის აფხაზეთის ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილ აქტის საფუძველზე 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულმა საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ ოფიციალურად დაადასტურა აფხაზეთის ავტონომია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

ძალზე დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან აჭარისა და საინგილოს საკითხების მოგვარება. საუკუნეების განმავლობაში საქართველოსგან განშორებამ და მაჰმადიანობის გავრცელებამ განაპირობა ამ მხარეების მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სოციალურ-ეკონომიურად და კულტურულად. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო საინგილოში. საინგილო ისტორიულად კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია და მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიებს. 1803 წლიდან ეს მხარე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. 1860-1917 წლებში ზაქათალის ოკრუგი, რომელიც მოიცავდა ისტორიულ საინგილოსაც, ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიას ექვემდებარებოდა. მართალია, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით რუსეთმა დე-იურედ აღიარა ზაქათალის ოლქი (საინგილო) საქართველოს

შემადგენელ ნაწილად, მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საინგილო გადაეცა აზერბაიჯანს და დღესაც მის შემადგენლობაშია. ოსმალეთისა და სპარსეთის გამუდმებულმა შემოსევებმა და დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის დაცემა გამოიწვია. ნადგურდებოდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა და მის ადგილზე სახლდებოდნენ წახურელი და ავარიელი ლეკები. მძიმე სიტუაცია იყო აჭარაშიც. მართალია, 1918 წლის დასასრულს მუდროსის ზავის თანახმად თურქეთი აჭარიდან და მესხეთ-ჯავახეთიდან გავიდა და იქ ჩვენი ჯარი შევიდა, მაგრამ 1919 წლის დასაწყისში ეს მხარეები ინგლისელებმა დაიკავეს და საქართველოსგან მის მოწყვეტას ცდილობდნენ. ბათუმსა და მთელ შავი ზღვის სანაპიროზე პრეტენზიას აცხადებდა დენიკინიც. ამ რთულ ვითარებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა აჭარის მოსახლეობის ნება. მაჰმადიან ქართველთა შორის ეროვნული გაფვითცნობიერებისა და ქართული ორიენტაციის გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა 1918 წლის შექმნილმა „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“. ამ კომიტეტის ძალისხმევით გამართულმა ბათუმის ოლქის მაჰმადიან ქართველთა ყრილობამ (1919 წლის 31 აგვისტო) დაადგინა ბათუმის ოლქის „სამარადისო შეერთება“ დედა-საქართველოსთან. დელეგაციამ მეჰმედ ბეგ აბაშიძის მეთაურობით ეს გადაწყვეტილება დამფუძნებელ კრებას ჩამოუტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ძალით რუსეთი დე-იურედ აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად შავი ზღვის (ჩერნომორსკაიას) გუბერნიას მდ. ფსოუმდე, თბილისის გუბერნიას, ქუთაისის გუბერნიას, ბათუმის ოლქს ყველა მაზრითა და ოლქით, საინგილოსა (ზაქათალა) და სოხუმის ოლქებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ცნო აჭარისა და საინგილოსთვის ტერიტორიულ-ავტონომიური თვითმმართველობის მინიჭება და 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 107) გარკვევით აღინიშნა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს: აფხაზეთს-სოხუმის ოლქი, სამუსულმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას-ზაქათალას ოლქი ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“ [საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. 1992].

ყოველივე აღნიშნული, იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მიუხედავად იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში არსებული სირთულეებისა და კატაკლიზმებისა, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი სწორად და მიზანმიმართულად გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკით შეძლო აღედგინა და ძირითადად შეენარჩუნებინა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა. ამის დასტურია ის, რომ გასაბჭოებამდე ე.ი. 1921 წლამდე, საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 90 ათას კვადრატულ კილომეტრს. სამწუხაროდ, საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოების პირველსავე წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს – აზერბაიჯანს, სომხეთს, რუსეთსა და თურქეთს დაუნაწილა და საჩუქრად გადასცა ქართველი ხალხის კუთვნილი 20 ათას კვ. კილომეტრამდე ტერიტორია

(იხ. ცხრილი[1]). ამის გამო დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე: „დაიპყრეს თუ არა საქართველო, მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას. ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშეთ-ერუშეთ-არტაანი-ფოცხოეთი. სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც მოუჭრეს საქართველოს მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი. სომხეთს მიეცა ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნით, ხოლო აზერბაიჯანს სიღნაღისა და ტფილისის მაზრების ნაწილები, ყარაიას ველის აღმოსავლეთ ნახევრითა და დავით გარეჯის რაიონით.... რუსეთმა თვითონაც მიიჭრა და მიიზომა საქართველოს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სახელდობრ, გაგრის ოლქის დასავლეთი ნახევარი ცივი წყლიდან მდინარე ფსოუმდე. ე.ი. დაარღვია ის საზღვარი, რომელიც 7 მაისის ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს" [ლორთქიფანიძე გრ. 1995:226].

[1] ცხრილი მოგვყავს ლევან თოიძის სტატიიდან „ეს ჩვენი ბრალი კი არა, უბედურებაა". *„კომუნისტი"*, 1990, №230-231. 7 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის იმ ნაწილების მოსახლეობისა და ფართობის ოდენობა, რომლებიც გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს, რსფსრ-სა და თურქეთს 1921-დან 1928 წლამდე, აგრეთვე აღნიშნული რესპუბლიკების იმ ნაწილებისა, რომლებიც საქართველოს სსრ-ს გადაეცა იმავე პერიოდში (იხ. საქ. სსრ ორსმცხა. ფ. 334, აღწ. 12, საქ. 118. ფურც. 28)

| ადგილის დასახელება | ფართობი კვ. კილომეტრობით | მოსახლეობის რაოდენობა | ვის გადაეცა | აქტი, რომლის მიხედვითაც მოხდა ადგილის გადაცემა |
|---|---|---|---|---|
| ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი) | 936,15 | 16380 | | |
| ართვინის ოლქი | 3388,82 | 56480 | თურქეთს | ყარსის 1921 წლის ხელშეკრულება |
| არდაგანის ოლქი | 5644,74 | 85869 | | |
| ვორონცოვ-ლორეს რაიონი (ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი) | 2367,44 | 37800 | სომხეთის სსრ-ს | საქართველოს რევკომის 1921 წლის დეკლარაცია |
| ზაქათალას ოლქი | 3993,89 | 92608 | აზერბაიჯანის სსრ-ს | |
| გარეჯის ველი და ქვემო ყარაიაზის სექტორი (თბილისის მაზრისა) | 658,89 | მოსახლეობა არ არის | | საქ. სსრ. და აზ. სსრ რევკომების შეთანხმება და ამიერკავკასიის ცაკის დადგენილება |
| ელდარი (სიღნაღის მაზრისა) | 546,69 | | | |
| ლოკ-ლალვანის ქედის ჩრდ. ფერდობი (ბორჩალოს მაზრა) | 207,94 | | სომხეთის სსრ-ს | |
| პილენკოვო (აფხაზეთი) | 268,15 | 3500 | რსფსრ-ს | სსრკ ცაკის 1925 წლის დადგენილება |
| მელხესტი და ცეკარო (დუშეთის მაზრისა) | 166,78 | 1600 | რსფსრ-ს | სსრკ ცაკის 1927 წლის დადგენილება |
| წინა მინდორი (ალაზნისპირა ველი, ზაქათალის მაზრისა) | 188,44 | მოსახლეობა არ არის | საქართველოს სსრ-ს | ამიერკავკასიის ცაკის 1923 წლის დადგენილება |
| ჩათმა (ველი, კახეთის მაზრისა) | 132,66 | | | ამიერკავკასიის ცაკის 1927 წლის დადგენილება |

შენიშვნა: *მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1917 წლის კავკასიის კალენდრიდან. ფართობი გამოთვლილია „ამსლერ“-ის სისტემის პლანიმეტრით 5-ვერსიანი მასშტაბის რუკაზე.*

Otar Chikovani

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: o.chikovani@yahoo.com

# The Restoration of Statehood and Territorial Claims of Neighboring Countries

## Summary

Separation of territories between states and determination of boundaries is very important for all countries and for people living in Georgia. Boundaries established with stable, strategic, economic and historical point of view are the guarantee of security and development for each country. It is particularly important for the countries which got independence recently. Belonging to them territories are connected with many misunderstandings and difficulties.

Collapse of the Russian Empire in May 1918 caused foundation of three independent states in Trancaucasia – Republics of Georgia, Azerbaijan and Armenia. After foundation of those independent countries, separation of borders demarcation with neighboring counties was on the top of agenda, as those countries had the territorial claims to Georgia. Before the revolution, there was no problem concerning borders demarcation in Caucasian region, as it was the part of the Russian Empire and was divided into administrative parts – provinces and village societies. Therefore, after proclaiming independence in the Caucasian republics, the issues of borders demarcation became the key priority - first with the Ottoman Empire and then among the mentioned republics. Despite the territorial claims towards Georgia by those states and many other difficulties (including armed conflicts), Democratic Republic of Georgia managed to restore and preserve territorial integrity. Before the forced Russian annexation the territory of Georgia was 90 thousand square kilometers. Unfortunately, from the first years of the Soviet rule, the Soviet government has donated 20 thousand square kilometers of Georgia's territory to neighboring countries.

## ბიბლიოგრაფია


**ინგოროყვა პ. 1990:** *საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ.* თბილისი.

**კვინიტაძე გ. 1998:** *მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921.* თბილისი.

**ლორთქიფანიძე გრ. 1995:** *ფიქრები საქართველოზე.* თბილისი.

**ნოზაძე ვ. 1990:** *საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო.* თბილისი.

***საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 1972:** თბილისი.

***ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* 1977:** თბილისი.

**შპრინგჰორნი დ. 2004:** *გერმანელები საქართველოში.* თბილისი.

**გაბრიჩიძე მ. 1942:** *გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. დოკუმენტებისა და მასალების კრებული.* თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1996:** *საქართველოს საზღვრები.* თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1998:** *დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XXს.ს.).* თბილისი.

**ჯაოშვილი ვ. 1984:** *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში.* თბილისი.

**საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 1990***: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921.* გვ. 3-4. თბილისი (რედ. ვ. შარაშენიძე).

**საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს. 1992.** თბილისი.

**კედია სპ.** სომხეთის თავდასხმა. *„საქართველო“*, 1918: №203, გვ. 1.

**კავკასიის ერები საზავო კონფერენციაზე.** *„ერთობა“*, 1918: №234, გვ. 3.

**ზურგის გაწმენდა.** *„ერთობა“*, 1918: №274, გვ. 1.

**საქართველო-სომხეთის წარმომადგ.** ყრილობა. *„ერთობა“*, 1919: №11, გვ. 2.

**Положение пограничного вопроса между Грузией и Арменией ко времени первого конфликта, возникщего на почве этого вопроса в октябре 1918 года. 1919:** *Из Истории Армяно-Грузинских Отнощений 1918 год.* Сс. 7-13. Тифлис.

**Геноцид Армян в Османской Империи. 1982.** Сборник Документов и Материалов. III-XVI. Ереван.

**Аргутинский П. 1917:** *Численность и Состав Населения г. Тифлиса. Тифлисский Муниципальный Календарь На 1917год.* Сс. 159-179. Тифлис (Ред. А.И. Ставровский).

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 262-275
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 262-275

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**ელენე კავლელაშვილი*, ვერა ჩიხლაძე****

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: elenekavlelashvili@yahoo.com

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
დ. უზნაძის ქ. 14, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: vaxtangnikolaishvili@yahoo.com

# ჟინვალის საბეჭდავი ქრისტეს შობის არქაული სცენით*

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელ-ლი რ. რამიშვილი) მიერ მდინარეების – მთიულეთისა და ფშავის არაგვის შესაყარზე 1974-1985 წლებში გამოვლენილი სამაროვანი[1] მასში მიკვლეულ სამარხთა ტიპებით, დაკრძალვის წესითა და სამარხეული ინვენტარით ფასდაუდებელ მასალას გვაწვდის ამ მთის წინა ზოლში ახ.წ. I-VIII საუკუნეებში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესების კვლევის საქმეში. მოპოვებული სიძველეებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ადრექრისტიანული ხანის საბეჭდავები. მათმა შესწავლამ გვაჩვენა, რომ აქ მოცემულია ქრისტიანული იკონოგრაფიული პროგრამები, რომლებიც უადრესია საქართველოში დღემდე გამოკვლეულთა შორის. ისინი გარკვეულწილად ავსებენ აღნიშნული ეპოქის ქართულ კულტურაში მანამდე არსებულ ვაკუუმს, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის აღნიშნული სამაროვნის მნიშვნელობას.

სამაროვანზე გამოვლენილია 558 სამარხი, რომელთა შორის უმეტესობა ორმოსამარხები და ქვაყუთებია. უკანასკნელში დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. ძირითადად, იგივე წესი დასტურდება მესამე, ე.წ. კატაკომბური ტიპის, სამარხებში. ისინი დანარჩენ სამარხებთან შედარებით მცირერიცხოვანია და მათი რაოდენობა 51-ით განისაზღვრება. არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური[2] მასალის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ჟინვალის კატაკომბური სამარხები ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის საოჯახო საკრძალავებია და მათი თარიღი IV საუკუნის მიწურულითა და VI საუკუნით განისაზღვრა [ჩიხლაძე ვ. 1990: 9]. თითქმის ყველა სამარხი ინვენტარიანია. მათი ძირითადი

[1] მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირის მიმდებარე ტერასაზე სამაროვანს ეკავა დაახლოებით 1 ჰა ფართობი. უბანს ხელმძღვანელობდა ამ წერილის თანაავტორი ვერა ჩიხლაძე.

[2] კრანიოლოგიურ მასალაზე საგანგებო კვლევები ჩაატარეს ანთროპოლოგებმა: პავლე ფირფილაშვილმა, მზია რჩეულიშვილმა და ვლადიმერ ასლანიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ნაწილია რკინის, ბრინჯაოს, მინისა და ვერცხლის ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, სასაფეთქლეები, თიხის ფერადი მძივები და სხვ. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ბეჭდებზე. ისინი თავიანთი ფორმით იდენტურია ჟინვალის ორმოსამარხებში, ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხებსა და ქვაყუთებში გამოვლენილი ბეჭდებისა.

მოპოვებული მასალიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კატაკომბურ სამარხებში მიკვლეული ბრინჯაოს რვა საბეჭდავი ბეჭედი. ამ ინტალიოების სქემატური გამოსახულებები, ძირითადად, სიმბოლური დატვირთვისაა და ქრისტიანულ თემატიკას უკავშირდება. აქვე გვაქვს ორი იკონური პროგრამა. ამათგან ერთი ინტალიო – ჩვილიანი ღმრთისმშობლის გამოსახულებით უკვე კარგადაა ცნობილი სამეცნიერო წრეებისათვის [კავლელაშვილი ელ., ჩიხლაძე ვ. 1997: 87-96]. ქრისტეს შობის სცენიანი მეორე ინტაგლიო კი ჩვენი ამჟამინდელი განხილვის საგანია.

ბეჭედი გამოვლინდა 1976 წელს №82 კატაკომბურ სამარხში. ორნაწილიანი სამარხი (ტაბ. I-1) შედგებოდა ვერტიკალურად ჩაჭრილი დრომოსისა და ნახევარსფერულთაღიანი დასაკრძალავი კამერისაგან, რომლის შესავლელს კეტავდა ვერტიკალურად ჩასობილი ქვის სამი ფილა (ტაბ. I-2). სამარხში შესასვლელი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 2,1 მ-ის სიღრმეზე. მას ფარავდა დრომოსის ქვედა ნაწილში ჩაყრილი ფხვიერი მიწის ერთი მეტრი სისქის ფენა და მის ზემოდან მოქცეული, იმავე სისქის, კლდის ნატეხი ქვისგან შედგენილი 2X1,2 მ ფართობის ქვაყრილი (ტაბ. I-2). ოვალური კონფიგურაციის კამერა, დამხრობილი დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ნახევარსფერული თაღით[3] ფორმდებოდა, რომელიც გათხრების წარმოების დროს ჩაქცეული ჰქონდა. დასაკრძალავი კამერის ფართობი შეადგენდა 1,9X1,45 მ-ს. მისი ფსკერი გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 2,3 მ-ის სიღრმეზე. სამარხში დაკრძალული იყო ხუთი მიცვალებული – ერთი მამაკაცი, ქრისტიანული წესით ზურგზე გაშოტილი, სამი ქალი მოხრილად, სახის წინ დაწყობილი ხელებითა და ბავშვი (ტაბ. I-3). აქ გამოვლენილ სამარხეულ ინვენტარს ამჯერად სრულად არ შევეხებით. ეროს კი აღვნიშნავთ – მამაკაცს მარცხენა ხელის არათითზე ეკეთა ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს მოოქრული საბეჭდავი ბეჭედი.

მოოქრული ბრინჯაოს ბეჭდის (საინვ. კოდი 09-XXV-76-186)[4] რკალი (D-2,4 სმ) ნახევარწრიულგანივკვეთიანია, მხრებისაკენ ირეგულარულად მოხრილი და მცირედ შესქელებული (ტაბ. II-1). მის ცენტრალურ მონაკვეთს გარე პირზე სუსტად გმოხატული, თანაბარი მანძილით დაცილებული, ხუთი კოპისებური შვერილი მიუყვება, რაც რკალის აბრისს რბილ, ტალღოვან განვითარებას ანიჭებს. რგოლი მკვეთრად გაბრტყელებული ბოლოებით მირჩილულია ირეგულარული წრის

[3] სამაროვანზე გამოვლენილი კატაკომბურ სამარხთაგან ჩვენამდე სრული სახით მოაღწია მხოლოდ ორმა: №№ 66, 77, რომელთა დასაკრძალავ კამერებს ჭერი ნახევარსფერულკამარიანი ჰქონდა [ჩიხლაძე ვ. 1990: 2], რამაც შემდგომ უკვე საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა დანარჩენი დაზიანებული დასაკრძალავი კამერების ჭერის ფორმა.

[4] საბეჭდავი ბეჭედი დაცულია დუშეთის არქეოლოგიური ბაზის საცავში.

ფორმის სხმული ფარაკის (D-1,6 სმ) ფუძეზე. ფარაკის წინა პირი გარშემოწერილია ოდნავ შემაღლებული წვრილი კიდით. იგი ფარაკზე თხლად ჩაკვეთილი ქრისტეს შობის არქაული სცენის შემომსაზღვრელ ზოლად გვევლინება (ტაბ. II-2).

ჟინვალის №82 კატაკომბური სამარხის საბეჭდავის მსგავსი ფორმის ბეჭდები გამოვლენილია ჟინვალის №68 კატაკომბურ სამარხში (V ს-ის II ნახევარი) [კავლელაშვილი ელ., ჩიხლაძე ვ. 1997: სურ. IV]; მცხეთაში: არმაზისხევისა [აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: ტაბ. XV-10, XVII-14] და სამთავროს (IV–V სს.) [უგრელიძე ნ. 1967: 51-53. სურ. 28; აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ... 1979: 194-195. ტაბ. 1523], ერწო-თიანეთის [ჯორბენაძე ბ. 1982: 48-49. სურ. 9-208], ვაშლაჯვარის [ნიკოლაიშვილი ვ. 1979: 63-76. ტაბ. XVII] სამაროვნებზე; არაგვის ხეობის ადრექრისტიანული ხანის ძეგლებზე: თელოვანის №12 სამარხში (IV ს) [ნიკოლაიშვილი ვ. 1978: 99. ტაბ. XVII], ნავთსადენის (IV-V სს) [უგრელიძე ნ. 1967: ტაბ. 3], ნეძიხის (V–VI სს), უშგულისა და ალევის (VI ს) [აფხაზავა ნ. 1988: 103-104. ტაბ. VI1-2, VII-12] სამაროვნებზე. უკანასკნელ ხანებში მსგავსი ბეჭედი გამოვლინდა ახალციხის რეგიონში, ჭორატის სამაროვანზე (V-VI სს) [ჩიხლაძე ვ. 2010: 472-473. ტაბ. VIII-2]. ეს ბეჭდები თარიღდება IV-V და V–VI საუკუნეებით და მიჩნეულია ადგილობრივ სახელოსნოებში დამზადებულად. ამდენად, ბეჭდის ტიპის გათვალისწინებით საბეჭდავი ადგილობრივი წარმომავლობისაა და მისი თარიღი პარალელური მასალის გათვალისწინებით, ზოგადად, IV-VI საუკუნეებში თავსდება. თარიღის დაზუსტებაში ბეჭდის ზოგად ტიპთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფარაკზე მოცემულ ქრისტეს შობის უაღრესად არქაულ იკონოგრაფიულ პროგრამას.

ბეჭდის ფარაკზე თხლად ჩაკვეთილი ქრისტეს შობა (ტაბ. II-3; III-1) გაჯერებულია ანტიკურ-ელინისტური ტრადიციებით. ამ ტრადიციის შესაბამისად კომპოზიცია მარტივია. მისი აღნაგობა ითვალისწინებს ფარაკის კონფიგურაციას და სცენა წრესთან მიახლოებულ ელიფსზე ნაწილდება. ნეიტრალურ, მოოქრულ, ფონზე, მოცემულია კომპოზიციის აზრობრივი ცენტრი – მიწაზე მწოლი[5], სახვევებში შეფუთული, შარავანდმოსილი ჩვილის ხაზგასმულად დიდი ზომის ფიგურა, რომელიც დომინირებს მთელ პროგრამაში. ჩვილის მაწონასწორებლად გამოდის მის ჩამოსწვრივ, პარალელურად განაწილებული, არაწესიერი ელიფსი, დაფარული ურთიერთმკვეთი ჭდეული ხაზებით შედგენილი რომბული ორნამენტით. ფარაკის ქვედა ნახევარწრეზე კომპოზიციის მეორე დომინანტი – ღმრთისმშობლის აქცენტირებული ფიგურა და უფლის სახილველად მოსული მწყემსი[6] გამოისახება. ზედა ნახევარწრეზე, ცენტრში, ქრიზმაა წარმოდგენილი, რომელიც სემანტიკურად შობის ვარსკვლავს უკავშირდება. მის ორივე მხარეს ნაწილდებიან მიწაზე მწოლი[7] ხარისა და სახედრის ფიგურები. სახედარი ფეხებშეკეცილი,

[5] 2001 წლის პუბლიკაციით ჩვილი ბაგაზე მწოლია [ჩიხლაძე ვ., კავლელაშვილი ელ. 2001: 83].

[6] 2001 წლის პუბლიკაციით მარიამის საპირისპირო მხარეს მჯდომარე იოსები გამოისახება [ჩიხლაძე ვ., კავლელაშვილი ელ. 2001: 83].

[7] 2001 წლის პუბლიკაციით: ზედა ნახევარწრეზე მოცემული ხარისა და სახედრის ფიგურები

ხოლო ხარი წინ გაშლილი ერთი ფეხით გამოისახება. ერთმანეთის მიმართ სარკულად განაწილებულ ორივე ცხოველს თავი ახალშობილისაკენ მკვეთრად აქვს შემობრუნებული. ხარი ყნოსავს განსხეულებულ მაცხოვარს, სახედარი კი მის ალოკვას ლამობს (ტაბ. II-3; III-1).

ღმრთისმშობელი ზურგზე მწოლია, შარავანდის გარეშე[8]. ახალშობილის მსგავსად მისი ფიგურა დიდი ზომისაა (ტაბ. II-3; III-1). იგი იკავებს ქვედა ნახევარწრის ცენტრალურსა და მარჯვენა მხარეებს. დედა ღმრთისა გამართული თავითაა წარმოდგენილი. წევს მიწაზე დაფენილ დაბალ სარეცელზე. წმ. მარიამი პირდაპირ იყურება. იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი მკერდზე უდევს. გათხოვილი ქალის შესამოსელში წარმოდგენილს, თავის ირგვლივ ფართოდ შემოვლებული დიდი ზომის ზეწარი მარჯვენა მხარსა და ზურგზე აქვს დაშვებული და მისი სხეულის წელს ქვემო ნაწილს ჭარბი გოფრირებული ნაკეცებით მთლიანად ფარავს. ღმრთისმშობელი ანტიკური ხანის მწოლიარე მატრონას პოზას იმეორებს. მარიამის საპირისპირო მხარეს მოცემულია ფეხზე მდგომი უწვერული ჭაბუკი, გამოწყობილი მოკლე ტუნიკაში, მხარზე გადებული კომბლით. მას მარცხენა ხელით დოინჯი აქვს შემოყრილი. ჭაბუკი მწყემსი გაოცებული დაჰყურებს ახალშობილს (ტაბ. II-3; III-1).

ღმრთისმშობლის, მწყემსისა და ცხოველთა ფიგურები ნაწილდებიან ფარაკის აბრისის გასწვრივ (ტაბ. II-3; III-1). მათი სხეულთა მდებარეობა ითვალისწინებს აბრისის მოხაზულობას და მას მიჰყვება, რის შედეგადაც ისინი ერთმანეთის მიმდევრობით მჭიდროდ მიჯრილნი გამოისახებიან. ასეთი ხერხით წრიულად შემოისაზღვრება ცენტრალური არე, რომელზეც თავისუფლად ნაწილდება: ვარსკვლავი, ახალშობილი და არაწესიერი ელიფსი. გარშემომწერი ფიგურებისაგან განსხვავებით, ხალვათად მოცემულ ცენტრალურ გამოსახულებებს შორის მეტი სივრცე და ჰაერია, რის შედეგად ისინი გაკრიალებულ, ნეიტრალურ ფონზე მკაფიოდ იკითხება. ეს კი აღნიშნულ ფიგურებს რეპრეზენტატულობას ანიჭებს და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს იკონოგრაფიული პროგრამის აზრობრივ მხარეს.

ქრისტეს შობა ის გამორჩეული თემაა, რომელმაც ქრისტიანულ ხელოვნებაში იმთავითვე დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი. მას ჯერ მაცხოვრის ხორციელ გაცხადებასთან შერწყმულს გამოსახავდნენ უძველესი ქრისტიანები სარკოფაგების ეპოქაში. სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, არც ერთი ამგვარი ძეგლი არ გვხვდება IV საუკუნეზე ადრე [Покровский Н. 1892: 48]. ანტიკურ-ელინისტური ტრადიციის შესაბამისად, ჟინვალის საბეჭდავზე კომპოზიცია ზედმიწევნით მარტივია, რაც მის არქაულობაზე მიგვანიშნებს. ოსტატი იკონოგრაფიულ პროგრამაში მხოლოდ ხუთ ფიგურას გამოსახავს:

---

რთული რაკურსითაა გადმოცემული [ჩიხლაძე ვ., კავლელაშვილი ელ. 2001: 83].

[8] 2011 წლის პუბლიკაციაში ღმრთისმშობელი, არასწორად, შარავანდმოსილადაა მიჩნეული [Кавлелашвили Е., Чихладзе В. 2011: 128]. წმ. მარიამს ფართო ზეწარი თავზე ისევე აქვს მობურული, როგორც ამას ჟინვალის პირველ, ჩვილიანი ღმრთისმშობლის გამოსახულებიან, საბეჭდავზე ვხვდებით (ტაბ. III-1, 2), სადაც ღმრთისმშობელი შარავანდის გარეშე გამოისახება.

ახალშობილს, ღმრთისმშობელს, ხარს, სახედარსა და მწყემსს. ამით იგი ორგანულ კავშირს ამჟღავნებს სარკოფაგული ეპოქის ძეგლებთან, კერძოდ, მანტუეს სარკოფაგის სცენასთან (IV ს.), სადაც ჩვილი, წმ. მარიამი, სახედარი, ხარი და მწყემსი არიან წარმოდგენილი [Покровский Н. 1892: 50. рис. 37]. ყრმა, სახედარი, ხარი და მწყემსი გამოისახება რომში მიკვლეულ კლავდიანის სარკოფაგზე (IV ს.) [Покровский Н. 1892: 50].

ჟინვალის საბეჭდავზე ოსტატი მიწაზე მწოლი ახალშობილისა და ცხოველების გამოსახვით ირჩევს კომპოზიციის იმ იშვიათ რედაქციას, რომელიც ცალკეული გამონაკლისების სახით გვხვდება სარკოფაგული ეპოქის ძეგლებში. სახვევებში შეფუთული, მიწაზე მწოლი, ჩვილი დასტურდება პლაკიდასა და რომულის დროს, 343 წელს, მოწყობილ რომის სარკოფაგის ფრაგმენტზე [Покровский Н. 1892: 50]. ეს კომპოზიცია ფიგურების რაოდენობითაც ეხმიანება ჟინვალის სცენას. მიწაზე მწოლი ხარი და სახედარი გამოისახება საწოლზე (lectica) წარმოდგენილი, სახვევებში შეფუთული ყრმის თავსა და ფეხებთან მილანის წმ. ამბროსის ეკლესიის სარკოფაგზე (IV ს.). ყრმის ფეხებთან, მიწაზე, წევს ხარი და სახედარი არლის წმ. ტროფიმის ეკლესიის სარკოფაგის მოგვთა თაყვანისცემაში (IV ს.) [Кондаков Н. 1998: 39].

უძველეს ქრისტიანულ გამოსახულებებთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ჟინვალის საბეჭდავში თავს იჩენს ისეთი თავისებურებებიც, რომლებიც დამახასიათებელია შემდგომი ეპოქის ქრისტიანული აღმოსავლეთის წრის ძეგლებისათვის. არქაულ – რომაულსა და გალურ სარკოფაგებზე გამოსახულ ქრისტეს შობისგან განსხვავებით, ჟინვალის № 82 კატაკომბის საბეჭდავის ქრისტეს შობის სცენაში ფანჩატური გამქრალია, რაც მიგვანიშნებს მოქმედების განვითარებაზე გამოქვაბულში. ქრიზმა, რომელიც ცვლის ვარსკვლავს, ქრისტიანული აღმოსავლეთის ტრადიციის შესაბამისად, კომპოზიციის ზენიტში გამოისახება. ამავე ტრადიციის თანახმად, ღმრთისმშობელს მინიჭებული აქვს განსხვავებული მდგომარეობა. იგი აღარ ზის, მწოლიარეა. ცხოველები სახვევებში შეფუთული ყრმის გვერდებზე კი არ იკავებენ ადგილს, როგორც ეს სარკოფაგების რელიეფებში გვხვდება, არამედ ყრმის უკან გამოისახებიან, მის თავსა და ბოლოში, ხოლო ცხოველების თავებს შორის თავსდება ვარსკვლავი. აღნიშნული ნიშნებით იკონოგრაფიული პროგრამა ემსგავსება წმ. მიწიდან მომდინარე მონცის წმ. იოანეს ეკლესიის ამპულის (VI ს.) ქრისტეს შობის სცენას (ტაბ. IV-1, 2).

მონცის ამპულაზეც კომპოზიცია წრეშია ჩაწერილი და იმავე რაოდენობის პერსონაჟებს ითავსებს, რამდენიც გვხვდება ჟინვალის საბეჭდავზე, მაგრამ მისგან განსხვავებით, აქ ყრმა ბაგაში წევს, ხოლო მწყემსის ადგილზე მჯდომარე იოსები გამოისახება. ამავე დროს, ბაგის კედელში, კომპოზიციის ცენტრალურ არეზე, გაჭრილია კარი. იგი სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვაბულში შესასვლელ კართანაა იდენტიფიცირებული [Покровский Н. 1892: рис.40].

მონცის ამპულაზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს გამოქვაბულში შესასვლელი კარის ტოპოგრაფია – კომპოზიციის ცენტრალურ მონაკვეთში განაწილება და მისი ზედაპირის ურთიერთმკვეთი ხაზებით შედგენილი რომბული ორნამენტული დეკორით შემკობა (ტაბ. IV-1, 2).

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჟინვალის საბეჭდავზე მოცემული არაწესიერი ელიფსის (ტაბ. I-2; III-1) ტოპოგრაფია – კომპოზიციის ცენტრში განაწილება და მისი დეკორატიული სახე – ურთიერთმკვეთი ხაზებით შედგენილი რომბული დეკორი, რითაც იგი შეესაბამება მონცის ამპულის შობის სცენაში გამოქვაბულის კარს. მაშინ ჟინვალის საბეჭდავის ხსენებული დეკორატიული ელემენტი თავისი ტოპოგრაფიითა და ორნამენტული სახით გვიმოწმებს, რომ იგი ანალოგიური დატვირთვისაა და გამოქვაბულის შესასვლელი კარია.

მონცის წმ. იოანეს ეკლესიის ამპულაზე გამოქვაბულის კარი, შობის სცენის ცენტრში განაწილების მიუხედავად, თავდაპირველად არ აღიქმება და იგი მეორეული დატვირთვისაა (ტაბ. IV-1, 2). მისგან განსხვავებით, ჟინვალის საბეჭდავის ცენტრალურ არეზე ხაზგასმულად თვალსაჩინოდ გამოსახული კარი იკონოგრაფიულ პროგრამაში ახალშობილსა და ქრიზმა-ვარსკვლავთან ერთად უპირატეს ადგილს იკავებს ჩვილი იესოს ფიგურის ქვემოთ მის პარალელურად ნაწილდება და კომპოზიციის აზრობრივი ცენტრია, რაც მას განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს. შობის იკონოგრაფიულ პროგრამაში იესოს გვერდით, ერთ სიბრტყეზე, ასეთი დატვირთვა მხოლოდ მისი სახის განმსაზღვრელს შეიძლებოდა მინიჭებოდა. მაშინ კარი, რომელიც აქაა გაცხადებული, როგორც მაცხოვრის მსაზღვრელი, იოანეს სახარების ტექსტის ილუსტრაციაა: „მე ვარ კარი ცხოვართაი“ (ი. 10,7); „მე ვარ კარი ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოოს“ (ი. 10,9). აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით „ქრისტე მაცხოვარი არის კარი არა თავისა თვისისა, არამედ ღმრთისა როგორც ეს დაბადებაშია ნათქვამი (ი. X. 9, შეად. საქმე მოც. XIV, 27, 2 კორ. 11, 12)“ [კეკელიძე კ. 1973: 137]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ კარს თასის ანუ ჭურჭლის ფორმა აქვს მინიჭებული, რითაც იგი კიდევ უფრო მეტად აძლიერებს წმიდა წერილიდან მომდინარე სიმბოლურ დატვირთვას, სადაც ჭურჭელი კაცებრივი სხეულია: „...ოდითგან გამოვედ მე გზასა ზედა, და იყვნენ ყრმანიცა ყოველნი განწმენდილნი; და გზა ესე არა წმიდაი არს, არამედ განწმიდეს დღეს **ჭურჭლისათვის ჩემისა**“ (მეფეთა I. 21, 5); ახალ აღთქმაში ჭურჭელი შედარებულია სიწმიდითა და პატივით დატვირთულ კაცებრივ სხეულს: „ცნობად კაცად-კაცადისა თქუენისა **თავისა თვისისა ჭურჭელი** მოგებად სიწმინდით და პატივით“ (თესალონ. I. IV, 5). აქედან გამომდინარე, ჟინვალის საბეჭდავზე, თასის ფორმის მქონე კარი სიმბოლოა სიწმიდითა და პატივით სავსე მაცხოვრის კაცებრივი სხეულისა, რომელიც ჭურჭლის ფორმის გათვალისწინებით [Уваров А. 1908: 175-177] უშუალოდ უკავშირდება ზიარების საიდუმლოს. ამდენად, ჟინვალის საბეჭდავზე, არქაული ტრადიციის შესაბამისად, ქრისტეს შობისა და მაცხოვრის ხორციელი გაცხადების იდეა ჯერ კიდევ გამიჯნული არაა და ისინი ურთიერთშერწყმულად გამოისახება.

ჟინვალის საბეჭდავის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ქრისტეს შობის სცენა ემსგავსება, ერთი მხრივ, სარკოფაგების ეპოქის ძეგლებს, ხოლო მეორე მხრივ, ადრექრისტიანული ხანის აღმოსავლეთის, კერძოდ, პალესტინის სამხატვრო წრეში შემუშავებულ იკონოგრაფიულ პროგრამას. შემდგომი დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ იგი არც ისე ძველია,

როგორც IV საუკუნის სარკოფაგული ეპოქის ძეგლები და არც იმ-დენად შემდგომი ხანის, როგორც წმინდა მიწიდან წარმომავალი VI საუკუნის შობის სცენა. ჟინვალის სიუჟეტი (ტაბ. II-2; III-1), მონცის ამ-პულასთან (ტაბ. IV-1,2) შედარებით უფრო არქაულ ნიშნებს შეიცავს. კერძოდ, სარკოფაგების ეპოქის (IV-V სს.) შობის სცენების მსგავსად, საბეჭდავზე სახვევებში შეფუთული ყრმის ფიგურა დიდი ზომისაა და მას გაბატონებული, ცენტრალური ადგილი უკავია კომპოზიცია-ში. მაგრამ, სარკოფაგული ეპოქის ძეგლებისაგან განსხვავებით, დედა ღმრთისა დამჯდარი არ გამოისახება. მონცის ამპულის ღმრთისმშობ-ლის მსგავსად, იგი მწოლიარეა. თუმცადა, ამ ღმრთისმშობელთა პო-ზები შესატყვისი არაა. მონცის ამპულაზე ღმრთისმშობელი გვერდზეა გადმობრუნებული, ღონემიხდილია და მეტ დაღლილობას გვიჩვენებს. გ. მილე ღონემიხდილი ღმრთისმშობლის გამოსახულების გაჩენას VI საუკუნეს უკავშირებს [Millett G.1916:101]. ჟინვალის საბეჭდავზე კი დედა ღმრთისა ზურგზე წევს და გამართული თავით პირდაპირ იყურე-ბა. იგი ინარჩუნებს ძალიან დიდ სიმტკიცეს ქალწულისას, რომელმაც უმტკივნეულოდ შობა. მსგავსად ადრექრისტიანული ხანის დასაწყისის შობის კომპოზიციებისა, სადაც იკონოგრაფები ადამიანურ ტკივილებს არიდებულ ღმრთისმშობელს უსვამდნენ ხაზს.

დღემდე ჩვენთვის ცნობილ ძეგლთაგან ადამიანურ ტკივილებს მოკლე-ბული მწოლიარე ღმრთისმშობლის ადრეული გამოსახულება გვხვდება V-VI საუკუნეების მიჯნით დათარიღებული წმ. ლუდგერიუსის ტაძრის სპილოს ძვლის პიქსიდაზე (სირია-პალესტინა). მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აღნიშნულ პიქსიდას უსწრებს ჟინვალის ქრისტეს შობის სცენიანი საბეჭდავი, რომელმაც ტკივილებს მოკლებული მწო-ლიარე ღმრთისმშობლის არქაული გამოსახულება შემოგვინახა. შედარ-ებამ გვაჩვენა, რომ ჟინვალის საბეჭდავი ყველაზე მეტად ემსგავსება იმავე სამაროვანზე მიკვლეულ ჩვილიანი ღმრთისმშობლის გამოსახ-ულებიან ბეჭედს (ტაბ. III-2). შობის სცენაში დედა ღმრთისა ჩვილიანი ღმრთისმშობლის მსგავსად გათხოვილი ქალის შესამოსელშია წარმოდ-გენილი, რომელის თავზე გადადებული ფართო ზეწარი მარჯვენა მხ-არსა და ზურგზე ეშვება და სხეულის წელს ქვემო ნაწილს გოფრირე-ბული, ჭარბი ნაოჭებით მთლიანად ფარავს. შობის სცენიან საბეჭდავზე ღმრთისმშობელს ფართო ზეწარი თავზე ისევე აქვს მობურული, რო-გორც ამას ჩვილიანი ღმრთისმშობლის გამოსახულებიან საბეჭდავზე ვხვდებით (ტაბ. III-1,2). ერთნაირია მათი ნაკვთების დამუშავება. ორივეგ-ან დედა ღმრთისა შარავანდის გარეშე, ხოლო ჩვილი შარავანდმოსილი გამოისახება. ორივე კომპოზიციაში ქრიზმაა ჩართული. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ორივე ეს ძეგლი ერთი და იმავე სახელოსნოდანაა გამო-სული და მათზე მოცემული გამოსახულებანი თავიანთი სტილითა და შესრულების მანერით მსგავსია. ჩვილიანი ღმრთისმშობლის გამოსახ-ულებიანი საბეჭდავი ბეჭდის თარიღი თავის დროზე V საუკუნის II ნახ-ევრით განვსაზღვრეთ [კავლელაშვილი ელ., ჩიხლაძე ვ. 1997: 96]. ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს ქრისტეს შობის სცენიანი საბეჭდავიც, რომლის იკონოგრაფიული პროგრამა პალესტინური ტიპისაა და, საფიქრებელია, მისი ყალიბი წმ. მიწიდან იყოს საქართველოში შემოტანილი.

Elene Kavlelashvili*, Vera Chikhladze**

*The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: elenekavlelashvili@yahoo.com

**The Georgian National Museum, Otar Lordkipanidze Archeological Centre
14 D. Uznadze St., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: vaxtangnikolaishvili@yahoo.com

# Zhinvali Seal with Archaic Nativity Scene

## Summary

Zhinvali archaeological excavations revealed about 51 Christian family catacomb like burial grounds. It should be noted that there were excavated eight guilt bronze seal rings.Among them were found eight guilded copper seals. A seal discovered in №82 catacomb is a very special one. It depicts the Nativity scene. In the circle form centre a big lying figure of baby Christ is depicted with a halo over the head. The Child is represented in full length, he is wrapped in chothes. An entrance door to the cave is below the figure. Around the central part of the scene other figures are depicted: the lying Virgin, a standing shepherd, a lying bull and a donkey with the Nativity Star shinning between their heads. The Virgin is looking straight. She is depicted without a halo over her head and is dressed in married woman's clothes. A large piece of cloth covers her body from head to feet. The Virgin's figure is depicted so that it indicates to her painless labour. Her head is covered with folded sheet of cloth, which coveres her body.

This seal whith the scene of Nativity is similar to the stamp ring found in Zhinvali in burial №68 and therefore it dates back to the second half of the 5th c. A.D.

## ბიბლიოგრაფია


**აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955:** *მცხეთა. I. არქეოლოგიური კვლევის შედეგები.* თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ბიბილური თ., ღლონტი ნ. 1982:** *დიდი მცხეთა 1979 წელს. მცხეთა VI.* გვ. 191-212. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**აფხაზავა ნ. 1988:** *ქვემო ავლევი ადრეულ შუა საუკუნეებში.* თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

**კავლელაშვილი ელ., ჩიხლაძე ვ. 1997:** საბეჭდავი ჟინვალიდან. აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. *ნარკვევები.* III. გვ. 85-96. თბილისი (რედ. ნ. ლომოური, გ. ყიფიანი).

**კეკელიძე კ. 1973:** *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.* ტ. IX. თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** დიღმის ხეობა ადრეულ შუა საუკუნეებში. *საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. I.* გვ. 91-102. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

**ნიკოლაიშვილი ვ. 1979**: ვაშლაჯვარის სამაროვანი. *საქართველოს არქეოლოგიის საკითხები.* II. გვ. 63-77. თბილისი (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე).

**უგრელიძე ნ. 1967:** *ადრეულ შუა საუკუნეთა მინის წარმოშობის ისტორიისათვის.* თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 1990**: *ჟინვალის კატაკომბები. პრეპრინტი.* თბილისი.

**ჩიხლაძე ვ., კავლელაშვილი ელ. 2001:** *ჟინვალის ბეჭედი ქრისტეს შობის სცენით.* ქრისტიანული არქეოლოგიის V სამეცნიერო კონფერენცია. შინაარსები. გვ. 80-84. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 2010:** ჭორატის ადრექრისტიანული ხანის სამაროვანი. *ბაქოთბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია სამხრეთ საქართველოში.* გვ. 472-473; ტაბ. VIII-2. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე, ნ. ერქომაიშვილი).

**ჯორბენაძე ბ. 1982**. *ერწო-თიანეთი ადრეშუასაუკუნეებში.* თბილისი.

**Кавлелашвили Е., Чихладзе В. 2011**: Иконографическая программа рождения Христа из Жинвальского могильника. *Археология, этнология, фольклористика Кавказа.* с. 128-132. Тбилиси.

**Кондаков Н. 1998**: *Иконография Богоматери* .Т. I. Москва.

**Покровский Н. 1892:** *Евангелие в памятниках иконографии преимущественно византийских и русских.*Москва.

**Уваров А. 1908**: *Христианская Символика. часть первая. Символика древнехристианского периода.* Москва.

**Millet G. 1916**: *Recherches sur l'ikonographie de l'Evangelie Aux XIVe, XVe et XVI Siecles.* Paris.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**
**სურ. 1.** ჟინვალის კატაკომბური სამარხი № 82. ჰორიზონტალური ჭრილი (ნახ. მერაბ ვაჩნაძისა).
**სურ. 2.** ჟინვალის კატაკომბური სამარხი № 82. ვერტიკალური ჭრილი (ნახ. მერაბ ვაჩნაძისა).
**სურ. 3.** ჟინვალის კატაკომბური სამარხი № 82 (ნახ. მერაბ ვაჩნაძისა).
**ტაბ. II**
**სურ. 1.** ჟინვალის საბეჭდავი ქრისტეს შობის სცენით. გვერდითი ხედი (ფოტო ვახტანგ ნიკოლაიშვილისა).
**სურ. 2.** ჟინვალის საბეჭდავი ქრისტეს შობის სცენით (ფოტო ვახტანგ ნიკოლაიშვილისა).
**ტაბ. III**
**სურ. 1.** ჟინვალის №82 სამარხის საბეჭდავი ქრისტეს შობის სცენით (ნახ. ელენე კავლელაშვილისა).
**სურ. 2.** ჟინვალის №68 სამარხის საბეჭდავი. ჩვილიანი ღმრთისმშობელი (ნახ. ელენე კავლელაშვილისა).
**ტაბ. IV**
**სურ. 1**. მონცის წმ იოანეს ეკლესიის ამპულა ცენტრში ქრისტეს შობის სცენით. VI ს.
**სურ. 2.** მონცის წმ იოანეს ეკლესიის ამპულა ცენტრში ქრისტეს შობის სცენით. VI ს. (ნახ. Garucci, 433, 8 ).

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**
**Fig. 1.** Zhinvali. Burial № 82 . Horizontal section (Draught by M. Vachnadze).
**Fig. 2**. Zhinvali. Burial № 82. Vertical section (Draught by M. Vachnadze).
**Fig. 3**. Zhinvali. Burial № 82 (Draught by M. Vachnadze).
**Tab. II**
**Fig. 1**. Zhinvali. Seal ring with the Nativity Scene (Photo by V. Nikolaishvili).
**Fig. 2**. Zhinvali. Seal ring. The Nativity Scene (Photo by V. Nikolaishvili).
**Tab. III**
**Fig. 1.** Zhinvali. Stamp seal from №82 burial ground. The Nativity Scene (Painting of E. Kavlelashvili).
**Fig. 2**. Zhinvali. Seal from №68 burial ground. The Virgin with a Child (Painting of E. Kavlelashvili).
**Tab. IV**
**Fig. 1**. Ampulla from Saint John's church in Montzi with the Nativity Scene in the centre. The 6th c.
**Fig. 2.** Ampulla from Saint John's church in Montzi. The 6th c (Painting by Garucci, 433, 8).

ტაბ. I Tab.




სურ. 1, 2 Fig.




სურ. 3 Fig.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 276-282
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 276-282

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**გიორგი ჯავახიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105. თბილისი, საქართველო
ელფოსტა: gog_toreli@yahoo.com

# ადრეული შუა საუკუნეების ქართული სტელების გენეზისისათვის

საქართველოს ადრექრისტიანული ხანის ძეგლებს შორის სტელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ახალი სარწმუნოების დამკვიდრების სიმბოლურ გამოხატულებად იქცა. საიდან უნდა გაჩენილიყო ძეგლის ეს სახე – ქვის სვეტი, დაგვირგვინებული ჯვრით? ხომ არ იყო ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების რეალურ გამოხატულებებს შორის ისეთი ობიექტი, რომელიც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ძეგლის ამ ფორმას?

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. მელიქსეთ-ბეგი ქრისტიანულ სტელებს მეგალითებთან უშუალო გენეტიკურ კავშირში განიხილავდა და მათ ე.წ. ვეშაპ-ვეშაპოიდებიდან ტრანსფორმირებულ ობიექტებად თვლიდა [მელქისეთ-ბეგი. 1938]. პროფ. მელქისეთ-ბეგის ეს მოსაზრება იმჟამად ნ. მარის ძალზე გავრცელებულ, საზოგადოების სტადიური განვითარების თეორიას ემყარება. ეს მოსაზრება არსებითად არ იყო სრულიად უსაფუძვლო, რადგან ცნობილია, რომ ხალხური წარმოდგენები მეტად მდგრადია და ხშირად სახვითი სიმბოლური გამოხატულებები თვით რწმენა-წარმოდგენების შეცვლის შემდეგ ახალ შინაარსს იძენენ და მხოლოდ ძნელად, თანდათანობით იცვლიან ფორმას.

ძველი სამყაროს არაერთ მხარეში, მათ შორის მახლობელ აღმოსავლეთში ხალხებში შემუშავებულ კოსმოგონიურ წარმოდგენებში სამყაროს აგებულების შესახებ ძალიან დიდი ადგილი უჭირავს სვეტს, სამყაროს სამი ნაწილის (ზეცის, ზესკნელისა და ქვესკნელის) დამაკავშირებელ ღერძს; ე.წ. ვეშაპ-ვეშაპოიდები ქვისგან გამოთლილი დიდი სვეტებია, რომლებსაც ფანტასტიკური სახე ჰქონდათ მიცემული. ისინი წყაროს სათავეების მფარველ ღვთაებებად იყვნენ მიჩნეულნი და, როგორც ჩანს, სამყაროს სამი ელემენტის დამაკავშირებლადაც განიხილებოდნენ. ნიშანდობლივია, და ამას ლ. მელიქსეთ-ბეგიც (იქვე) აღნიშნავს, რომ გვიან ხანაში ზოგიერთ „ვეშაპზე“ ჯვრის გამოსახულება გამოიკვეთა, ე.ი. ის ქრისტიანულ სიმბოლოდ გადაკეთდა.

წარმოდგენამ სვეტის როგორც სამყაროს ღერძის შესახებ კავკასიის ძველი მოსახლეობის, მათ შორის ქართველური ტომების, ყოფაში ჰპოვა გამოხატულება. ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-III ათასწლეულების

მიჯნაზე შიდა ქართლში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენდა ნასახლარები ბრტყელი გადახურვით, რომლებიც ცალკე მდგარ ხის სვეტს ეყრდნობოდა [ჯაფარიძე ო. ჯავახიშვილი ა. 1971]; ის საბოლოოდ ყალიბდება არსებობის ათასწლეულების მანძილზე და აღწევს XIX საუკუნემდე როგორც გლეხის ძირითადი საცხოვრებელი დარბაზი [ციციშვილი ი. 1995].

ცნობილია, რომ დარბაზის კონსტრუქციული და აზრობრივი ელემენტი დედაბოძია. ის დგას შენობის შუაგულში, საძირკველზე, ცენტრალური კერის წინ და იჭერს გადახურვას, ერდოიან ბანს. მისა და კერის ირგვლივ არსებობდა საოჯახო ცხოვრების გარკვეული წესრიგი, რომელიც ბუნების კანონებს ექვემდებარებოდა და მისი თავისებური ანარეკლი იყო; დედაბოძიც კოსმოსის სამი ელემენტის დამაკავშირებელ ღერძად განიხილებოდა. მასზე გამოსახავდნენ ქართველური ტომების ასტრალური პანთეონის მთავარ ღვთაებებთან – მზესთან, მთვარესა და ცისკრის ვარსკვლავებთან – დაკავშირებულ სიმბოლურ გამოსახულებებს: ბორჯღალოს, კვადრატსა და სხვა ნიშნებს, მათ შორის, ჯვარს, რომელიც ქვეყნის ოთხ მხარეს აღნიშნავდა. ასე რომ, სვეტი სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის შეგნებასა და ყოფაში უცხო არ იყო. როგორც ჩანს, დედაბოძი და მის წინ გამართული კერა უნდა იყოს შუმერულსა და ხეთურ მითებში აღწერილი სამყაროს წესრიგის ეროვნული გამოხატულება [Бериашвили М. 1998].

ქართლის მოქცევის მოთხრობაში მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ქართლში პირველი ჯვრების აღმართვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მისი შელამაზეული ლეგენდალური ხასიათისა, მასში უნდა იყოს ისტორიული ფაქტის ანარეკლი. მართლაც, ამის დამადასტურებლად მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში სტელის ბაზის ფრაგმენტის აღმოჩენაც გამოდგებოდა; მართალია, ამ ბაზაზე მოთავსებულ წარწერაში მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის აღმშენებლები – სტეფანოზ, დემეტრე და ადარნესე ერისთავები იხსენებიან და მასზე მდგარი სტელა მათს მოსახსენიებლად უნდა ყოფილიყო აღმართული მშენებლობის დამთავრების შემდეგ [Чубинашвили Г. 1948], მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მირიანის დროს ხის ჯვარი სათანადოდ იქნებოდა დაცული და ქვის მონუმენტით შეიცვლებოდა.

ამრიგად, როგორც ჩანს, ქრისტიანობის გავრცელების პირველი ხანებიდან საქართველოში ჯვრით დაგვირგვინებული სტელების აღმართვის ჩვეულება იკიდებს ფეხს. ჩვენ შევეცადეთ, მოგვეძებნა ამ ჩვეულების ფესვები ძველი წარმართული რწმენა-წარმოდგენების ამსახველ სიმბოლურ გამოსახულებებში, რომელთა კვალი ქრისტიანობის პერიოდის მონუმენტურ ძეგლებზეც, თუნდაც ბოლნისის სიონის დეკორში, ჩანს.

ნიშანდობლივი უნდა იყოს, რომ დროთა განმავლობაში სტელებს გარეგნულად არსებითი ცვლილება არ განუცდია. მათი ძირითადი ფორმები და დეკორი იმდენად მდგრადია, რომ ამის მიხედვით ხერხდება ძეგლის ზუსტად დათარიღება და მისი სხვადასხვა სახელოსნოსადმი კუთვნილების დადგენა. კ. მაჩაბლის აზრით, პირველი ქართუ-

ლი საკულტო ძეგლები იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გოლგოთაზე აღმართული ჯვრის სახეს გამოხატავდნენ [მაჩაბელი კ. 1988: №7]. დმანისში აღმოჩენილი სტელის ერთ ფრაგმენტზე წარმოდგენილია ჯვრის თაყვანისცემის სცენა – ქვაჯვრის წინ ფეხმორთხმული დიდებულის გამოსახულება. სხვაგან კ. მაჩაბელი სტელების პროტოტიპად მდინარე იორდანეზე ნათლისღების ადგილას აღმართულ ჯვრიან სვეტსაც ასახელებს. ის დასძენს, რომ, საყოველთაოდ მიღებული აზრის მიხედვით, ამ ჯვრიანი სვეტების შესახებ წარმოდგენას ავრცელებდნენ წმინდა მიწაზე ნამყოფი მლოცველების მიერ ჩამოტანილი ე.წ. მონცას ამპულებსა და სხვა ნივთებზე მოთავსებული გამოსახულების მიხედვით. ასეც უნდა იყოს, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია სვეტისა (დედაბოძის), და მისი დეკორის განსაკუთრებული ადგილი ქართველური ტომების შეგნებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ, თუნდაც ქვეცნობიერად, ამანაც მოახდინა გავლენა პირველი ქვაჯვრების ფორმებზე.

სტელის ზოგადი ფორმისა და შემკულობის ჩამოყალიბების თანმიმდევრული პროცესის თვალის გადევნებისას ვრწმუნდებით, რომ ის შედარებით სწრაფი და ხანმოკლე იყო. როგორც ზემოთ ითქვა, თავდაპირველად ჯვრები და შემდეგ ჯვრით დაგვირგვინებული ქვის სვეტები გოლგოთის ჯვრის – ანუ ქრისტიანობის სიმბოლო იყო და აღიმართებოდა მდინარესთან ახლოს ნათლობის საიდუმლოს აღსასრულებლად.

სამწუხაროდ, ამ პირველ ჯვართაგან არც ერთმა ჩვენამდე არ მოაღწია, რადგან ისინი თავდაპირველად ხის იყო და მხოლოდ შემდეგ ქვისა. მკვლევართა უმრავლესობა ქართულ სტელებს VI-IX საუკუნეებით ათარიღებს. მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილი წერს, რომ „Судя по реальным памятникам, она известна с последней четверти V века, но не исключено, что стела могла быть известна в Картли и в более раннее время, может быть уже во второй половине IV века и во всяком случае в первой половине V столетия~ [ჩუბინიშვილი ნ. 1972]. მიუხედავად ამ შეხედულებისა,ადრეული ხანების ქართული რელიეფის შესწავლისადმი მიძღვნილ ზემოთ მითითებულ ნაშრომში V საუკუნის და, მით უფრო, IV საუკუნის მეორე ნახევრის არც ერთი „რეალური ძეგლი“ დასახელებული არ აქვს. მაშასადამე, V საუკუნით დათარიღებულ სტელას ჩვენ, ფაქტობრივად არ ვიცნობთ. როგორც ჩანს, სტელების ფართო გავრცელება VI საუკუნიდან დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურსა და სოციალურ პროცესებთან, რომლებიც ხდებოდა მახლობელ აღმოსავლეთში, კავკასიასა და, კერძოდ, ქართლში IV-V საუკუნეებში და V-VI საუკუნეთა მიჯნაზე. მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის სპარსეთსა და რომს, შემდეგ ბიზანტიას შორის მიმდინარე ბრძოლაში ჩათრეულსა და უკვე გაქრისტიანებულ ქართლში ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი; 532 წელს სპარსელები ქართლში მეფობას აუქმებენ [ჯავახიშვილი ივ. 1918], ხოლო უკვე თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ქართლის წარჩინებულებმა „...განაჩინეს ერისთავად გუარამ“ [ქართლის ცხოვრება. 1918: 217]; ეს იყო პოლიტიკური დაქუცმაცებულობის, მაგრამ კულტურულად დიდი აღმავლობის ხანის დასაწყისი, როდესაც ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა ცალკეული საფეოდალოების მფლობელების მოღვაწეობას. ამი-

ტომ იყო, რომ თავდაპირველად საკულტო დანიშნულების სალოცავმა ძეგლმა – ჯვრიანმა სვეტმა, რომლის აღმართვა და ფლობა სამეფო სახლის პრეროგატივა იყო V–VI საუკუნეების მიჯნაზე, საკულტოს გარდა იურიდიული და მემორიალური მნიშვნელობაც შეიძინა.

ამასთან დაკავშირებით ნ. შოშიაშვილი წერს: კვარცხლბეკიანი დიდი ჯვრები, პირველ რიგში, საკულტო ნაგებობებია – სათაყვანო ჯვრები. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ჯვრებზე ან მის კვარცხლ-ბეკზე ამოკვეთილია მათი აღმმართველის (ადგილობრივი უფლის – მამფალის ან მოხელე განმგებლის) სახელი, სათაყვანო სტელა ამავე დროს იძენს კიდევ ორ მნიშვნელობას: ა) იურიდიულს – აღნიშნავს სტელის დამდგმელის უფლებას ამ ადგილზე, ე.ი. სათაყვანო სტელა ხდება ამავე დროს საუფლოც; ბ) მოსახსენიებელ-მემორიალურს – წარწერა სტელის დამდგმელის მოსახსენიებელი ჩანაწერია (ისევე, რო-გორც აღაპი და მოსახსენიებლები ხელნაწერ წიგნში).

სტელა-ჯვრებს აღნიშნული იურიდიული შინაარსი აქვთ პოლიტი-კური დაქუცმაცებულობის ხანაში, როდესაც არსებობდნენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეული საუფლო-სამამფლოები და ეს უფალი-მამფლები თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ასეთი სტელა-ჯვრებით გამოხატავდნენ. ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ სტელა-ჯვრები კარგავენ თავიანთ აღნიშნულ შინაარსს. მათ ადგილს იკავებს სამეფო სტელა – „ჰელი“ ან სამიჯნე სტელა და სამლოცველო ქვაჯვარი [შოშიაშვილი ნ. 1980].

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს, V-VI საუკუნეების მიჯნაზე, შემუშავდა და დაკანონდა სტელის ის სახე, რომელმაც თითქმის უცვ-ლელად იარსება დაახლოებით სამნახევარი საუკუნის მანძილზე. კუ-ბურ ბაზაზე აღმართული მაღალი ოთხწახნაგა სვეტი, დაგვირგვინებუ-ლი ჯვრითა და შემკული წახნაგებზე დაბალი რელიეფით გამოჭრილი რელიგიური და სიმბოლურ-დეკორატიული გამოსახულებით. ამიტომ გარეგნული ნიშნებით სტელების ადრეული ნიმუშების გამოყოფა რთუ-ლია, მაგრამ შესაძლებელი.

ჩანს, რომ VI საუკუნის ბოლოს ქართული სტელის ფორმირების პროცესი ძირითადად სრულდება. ადრეული ხანის სტელებზე (V საუკუნის დასასრული – VI საუკუნის დასაწყისი) ხშირად უკვე შე-მუშავებული ორნამენტული დეკორის ტრადიციული სახეები – ვაზის ან მსხვილი ტალღოვანი ღერო, დაგრძელებული სადა პალმეტი, პალმე-ტებისა და ფოთლოვანი ვარდულების მწკრივი, ჯვრიანი შტანდარტები. ამ ელემენტების კომბინაციით მიღებულია დეკორი. ვაზს, ყურძნის მტე-ვანს, ჯვრიან შტანდარტს, აყვავებული ჯვრის მოტივს დიდი ადგილი ეკავა ადრეული ხანის პლასტიკაში, რადგან ისინი ქრისტიანულ სიმ-ბოლოებს განასახიერებდნენ (ვაზისა და ყურძნის მტევანი საიდუმლო სერობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, იერუსალიმში შესვლისას მაცხოვარს აყვავებული პალმეტებით, ბზის ტოტებითა და ყვავილებით ეგებებოდნენ). შეიძლება ითქვას, რომ ბოლნისის, დმანისის, ხანდისის, ზედა თმოგვის, მამულოს, კატაულის სტელებზე ეს რელიეფები საკ-მაოდ მაღალი ოსტატობით არის შესრულებული (ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლთაგან შედარებით მოგვიანო ხანით მამულოსა და კატაულის

სტელები თარიღდება, VII საუკუნის დასასრული – VIII საუკუნის დასაწყისი). შემდგომ, თანდათანობით მათს ადგილს სტელებზე სიუჟეტური რელიეფები იკავებს. ამას მოგვიანებით (VI საუკუნის II ნახევარი) ემატება ზემოთ ნახსენები სიუჟეტური გამოსახულებები, ნასესხები ძველი და ახალი აღთქმიდან.

ბიბლიური სიუჟეტებიდან სტელებზე გვხვდება:

„ცდუნება“ – მამულაანთ სოფლის სტელა.

„აბრაამის შეწირულობა“ – მამულაანთ სოფლისა და ბრდაძორის დიდ სტელაზე.

„დანიელი ლომების ხარაში“ – უსანეთისა და ზედა თმოგვის სტელებზე.

„ევსტათე პლაკიდას ნადირობა“ – დავით გარეჯის სტელა.

სახარების სცენებიდან:

„შობა“ – საცხენისისა და ბრდაძორის დიდ სტელაზე.

„ნათლისღება“ – უსანეთისა და მუსხის სტელაზე.

„იერუსალიმში შესვლა“ – უსანეთისა და მუსხის სტელის ფრაგმენტი.

„ჯვარცმა“ – საცხენისის, ბერიჯვრის სტელა.

„მაცხოვრის ამაღლება“ – მუსხის, ბრდაძორის მცირე სტელა. ნაღვარების სტელა.

„ღვთისმშობლის ამაღლება“ – ბრდაძორის მცირე სტელა, ხანდისი, მუსხის სტელა, სოფ. ედიქილისას სტელა.

„ჯვრის ამაღლება“ – პანტიანი (სტელის ბაზა), მცხეთის ჯვრის სტელა.

„ღვთისმშობლის სულის ამაღლება“ – ბრდაძორის მცირე სტელა.

ბუნებრივია, რომ სტელებზე ვხედავთ წმინდანების გამოსახულებებსაც. მაგ.: წმ. გიორგი (ბრდაძორის მცირე სტელა), წმ. კვირიკე (კატაულის სტელა) და სხვ.

ბიბლიური და სახარების სცენები სტელების გარდა ამ დროის ძეგლებზე თითქმის არ გვხვდება (გამონაკლისია კანკელები). ტაძრების დეკორიდან ცნობილია: ქვემო ბოლნისი, ეძანის სიონი, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი და მარტვილის რელიეფები.

VIII საუკუნის ბოლოს სტელები თანდათანობით კარგავენ დანიშნულებას. ხშირად მათ იყენებდნენ ეკლესიების საამშენებლო მასალადაც. ამან განაპირობა მათი გადარჩენა და ჩვენამდე მოღწევა (სათხე, საკირე, ქვეში, ბუზავეთი, დავათი). რაც შეეხება მცირე პლასტიკას, მან თავისი განვითარება ოქრომჭედლობაში ჰპოვა.

სტელებმა იარსებეს, როგორც ჩანს, VIII-IX საუკუნეებამდე. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე გვიანდელი ძეგლები – უსანეთისა და კატაულის სტელები – სტილისა და ტექნიკის მიხედვით VIII საუკუნის მიწურულით თარიღდება.

ამ დროის განმავლობაში მათ არსებითი ცვლილება არ განუცდიათ. შესამჩნევია მხოლოდ საერთო დეკორატიულობის ერთგვარი გაძლიერება. კუთხის ცრუ სვეტების ნაცვლად სტელის ოთხივე წიბო ცერად არის ჩამოკვეთილი და დაფარულია სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტით. სიუჟეტური რელიეფებიც მოჩარჩოებულია

ისეთივე ორნამენტებით; დაწვრილმანებულია გვერდითი წახნაგების შემამკობელი ერთიანი ორნამენტული ზოლებიც – ვაზის რტო, სხვადასხვა გეომეტრიული სახეები – რგოლები, ბადეები და სხვ. გარდა ამისა, სვეტის ბოლოს ჩნდება კამაროვანი კაპიტელი – ერთ ან ორსართულიანი ტაძრის მოდელი, შემკული ნალისებური კამარებით, რომლის გუმბათში მაგრდებოდა დამაგვირგვინებელი ჯვარი; ჩვეულებრივი კუბური კვარცხლბეკის გარდა ზოგჯერ კეთდება ხარიხებიანი, მრავალწახნაგოვანი ან ისეთი რთული კონფიგურაციის კვარცხლბეკები, როგორებიცაა ვეჟან ატენელის, ხუნამისის ან მუსხის სტელის ბაზები. ეს ცვლილებები ქართული სტელების გარეგნულ სახეში, ემთხვევა ადრეულ შუა საუკუნეებში სოციალური ურთიერთობის განვითარების იმ საფეხურს, რომელიც "ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობის" პერიოდად არის მიჩნეული [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973]. სწორედ ამ დროს იძენენ ისინი საკულტოსთან ერთად მემორიალურ და იურიდიულ ხასიათს, რასაც მათს კვარცხლბეკებზე მოთავსებული წარწერებიც ადასტურებენ.

ის გზა, რომელიც გაიარა ადრეული შუა საუკუნეების ქართულმა სტელებმა ისტორიული განვითარების მანძილზე (VI-VIII სს), მკაფიოდ გამოხატავდა იმ ეპოქის იდეოლოგიას, კულტურასა და ხელოვნების განვითარების მთავარ მიმართულებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტელები ის საკულტო-მემორიალური ძეგლებია, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ხელოვნებაში ქრისტიანული თემატიკის დამკვიდრებაში.

## ART CRITICISM


**George Javakhishvili**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: gog_toreli@yahoo.com


# For the Genesis of the Early Middle Ages Georgian Steles


### Summary

The article tries to show the attempt of joining the forms of the Early Christian Georgian steles with a pillar which was apprehended as the axis of the universe in Near Eastern nations' cosmogonic ideas. It was used in mode of life of ancient Caucasion population including the Georgian tribes in the 4th-3rd millenium. The best illustration of the above-mentioned fact is flat roofing which rested on a wooden column in old settlements. This form of living place was found on the

territory of Georgia in many discovered settlements.. It was finally formed during a thousand years and came up to the 19th century as the main form of roofing.

It can be said that a pillar had a special meaning in subconscious consciousness of Georgian tribes. Its decoration symbolically expressed the faiths and ideas about the universe and its structure which were actual in the concrete period of time.

One can think that that fact, subconsciously, influenced on the forms of steles.

## ბიბლიოგრაფია


**მაჩაბელი კ. 1988:** ქვაჯვარის გამოსახულება ძველ ქართულ რელიეფზე. *საბჭოთა ხელოვნება.* №7. გვ. 63-70. თბილისი (რედ. ნ. გურაბანიძე).

**მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938:** მეგალითური კულტურა საქართველოში. *მასალები არქაიკული მონუმენტური ხელოვნების ისტორიისათვის.* გვ. 40-43. თბილისი.

**ციციშვილი ი. 1995:** *ქართული ხელოვნების ისტორია.* თბილისი.

**ჩუბინაშვილი ნ. 1972:** ხანდისი. თბილისი.

**შოშიაშვილი ნ. 1980:** ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო (V-X სს.) თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1918:** *ქართველი ერის ისტორია.* I. თბილისი.

**ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ა. 1971:** *უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე.* თბილისი.

***ქართლის ცხოვრება.*** 1918: I. თბილისი.

**საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1973:** ტ. II. თბილისი.

**Бериашвили М. Г. 1988:** Древо жизни. *Материалы I симпозиума – «Кавказ и восточная Европа в эпоху раннего металла».* сс. 254-255. Тбилиси.

**Чубинашвили Г.Н. 1948:** *Памятники типа Джвари. Иследование по Истории Грузинского искусства.* Тбилиси.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 283-288
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 283-288

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**გიორგი გაგოშიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილი სახელობის ხელოვნების მუზეუმი
გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: g_gagoshidze@yahoo.com

# რელიეფის ფრაგმენტები ქალაქ არტაანიდან

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის „ქვის ფონდში" დაცულია ქვის რელიეფის ორი, ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტი (სხსმ 49/1, 2), რომლებიც საქართველოს „საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების" მუზეუმიდანაა შემოსული. ამ მუზეუმის დავთარში აღნიშნული ექსპონატები 1910 წელსაა გატარებული (A-938). აქ ვკითხულობთ, რომ ისინი არდაგანიდან ჩამოუტანია ექვთიმე თაყაიშვილს, მისთვის კი ეს ფრაგმენტები გადაუცია პოლკოვნიკ ნადეჟდინს.

ქალაქი არდაჰანი (თურქ.) – ძველი ქართული ციხე-ქალაქი არტაანი დღეს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის ზემო წელზე, ყარსის ვილაიეთში მდებარეობს. იგი, საქართველოს ისტორიული მხარის – არტაანის ცენტრი, XVI საუკუნეში სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა დაიპყრო. 1877 წლის 5 (17) მაისს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთის არმიამ შტურმით აიღო არტაანი და მალე იგი (1883 წ.) რუსეთის იმპერიის ყარსის ოლქის არდაგანის მაზრის ცენტრი გახდა. 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა თურქეთს სხვა ძირძველ ქართულ მიწებთან ერთად არდაგანის მაზრაც გადასცა. 1919-1920 წწ-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შესძლო ისტორიული მესხეთის ტერიტორიების დიდი ნაწილის და, მათ შორის, არდაგანის მაზრის შემოერთებაც. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, არდაგანის მაზრა რუსეთ-თურქეთის მოსკოვის საზავო ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა [ცინცაძე ზ. 1997: 208-209].

ექვთიმე თაყაიშვილმა 1902 წელს იმოგზაურა არტაანის მხარეში. ექსპედიციის მასალა გამოქვეყნდა 1909 წელს ჟურნალში – „Материалы по археологии Кавказа" XII. ამ ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება თვით ქ. არტაანს, განხილულია არტაანის ციხის კედლებში ჩაშენებული ქართული წარწერების ფრაგმენტები და სხვ. [Такайшвили Е. 1909: 76-78], თუმცა, აქ განსახილველი რელიეფის ფრაგმენტები არ იხსენიება. ისინი კი ექ. თაყაიშვილს სწორედ 1902 წელს უნდა მოეპოვებინა. ბუნდოვანებითაა მოცული ვინმე პოლკოვნიკ ნადეჟდინის პიროვნებაც. ამ გვარის სამხედრო მოსამსახურე 1902 წლის კავკასიაში რუს სამხე-

დროთა შორის არ ჩანს. 1903 წლის „Кавказский календарь”-ის მიხედვით რაზმის ოფიცერი ნიკოლოზ პეტრეს ძე ნადეჟდინი სოფ. ბულგანში[1], ერევნის ბრიგადის სასაზღვრო დაცვის კორპუსში, მუშაობდა [Кавказскиий календарь. 1902: 53]. იმავე ადგილასაა დასაქმებული ეს პირი 1904 წელსაც [Кавказскиий календарь. 1903: 57]. თუმცა, არის თუ არა იგი „საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების” სამუზეუმო დავთრის ჩანაწერის პოლკოვნიკი ნადეჟდინი, გაურკვეველია. მთავარ წინაღობად ამ ოფიცრის სამუშაო ადგილი გვესახება, რადგანაც არდაგანი ყარსის ოლქს განეკუთვნებოდა და ამ ტერიტორიას ყარსის სასაზღვრო ბრიგადა იცავდა და არა ერევნისა...

შემორჩენილია რელიეფის ორი ფრაგმენტი, რომლებიც ერთმანეთს უდგება, მიუხედავად ამისა, რელიეფური კომპოზიციის მხოლოდ ნაწილი იკვრება. მარცხენა მოზრდილ ფრაგმენტზე (ზომა: 25X22X11 სმ) გამოსახულია დეკორატიული თაღის მონაკვეთი, რომლის შიდა მხარე ორ რიგად გამოკვეთილი „კოვზისებრი” ორნამენტითაა დაფარული. ამ თაღის ქვეშ ორი ერთმანეთზე გადასული ფრთაა, რომლებიც ბუმბულის აღმნიშვნელი ხაზებითაა დაფარული. ფრთებს შორის მოხაზულ წვეთის ფორმის ზედაპირზე ფრთაგაშლილი და ნისკარტით მარჯვნივ მიმართული ფრინველის მცირე გამოსახულებაა. კეხიანი დიდი ნისკარტით ვასკვნით, რომ ეს არწივი უნდა იყოს. არწივის ქვეშ ასევე ფრთის მორკალული ფრაგმენტი და ადამინის სახის ნაწილია შემორჩენილი. თაღსა და სახეს შორის ფონზე სამი ასომთავრული დაქარაგმებული გრაფემაა ჩაკვეთილი: ᏧᏂᏁ –[ქერა]ბ(ი)ნი. ამ ფრაგმენტის ზედა მარჯვენა კუთხეში შარავანდმოსილი ადამიანის თავის ნაწილია შემორჩენილი. თავი ჰორიზონტალურადაა გამოსახული, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ მფრინავი ანგელოზი უნდა იყოს წარმოდგენილი. ანგელოზის სახეზე განირჩევა ნუშის ფორმის ორი თვალი, წარბების, ცხვირის ნაწილი და შუბლზე დაფენილი თმა.

რელიეფის მეორე, შედარებით მცირე ფრაგმენტზე (ზომები: 16X14X5,5სმ) მოჩანს შეწყვილებული გრეხილი ლილვი – სვეტი, რომელიც კაპიტელისებრი შემსხვილებით ბოლოვდება და ზუსტად უერთდება დიდ ფრაგმენტზე წარმოდგენილ დეკორატიულ თაღს. ამ სვეტის მარჯვნივ და მის პარალელურად გამოსახულია წვრილ ბუნზე დამყარებული მცირედ დაგრძელებული ჯვარი. ეს ჯვრიანი ბუნი მარჯვნიდან უკავია პირს, რომლის მხოლოდ ხელის მტევანიღაა შემორჩენილი ბუნის შუა ნაწილზე. ჯვრის ზევით თაღოვანი სტრუქტურისკენ მიმართული მკლავის ფრაგმენტია. იგი მფრინავი ანგელოზისა უნდა იყოს. ჯვრის ბუნსა და შეწყვილებულ სვეტს შორის დარჩენილ არეზე ოთხსტრიქონიანი ასომთავრული განმარტებითი წარწერაა: ᏏᏂᏁ ᏕᏣᏍᏫᏣᏍᏣᏕ – კ(ა)რი სამოთხისა.

ეს წარწერა, ფაქტობრივად, ხსნის ამ რელიეფის ძლიერ ფრაგმენტირებულ კომპოზიციას. თაღი და სვეტი სამოთხის კარს ასახავს, რომლის შუაგულშია კარის მცველი ქერობინი – ტეტრამორფი (იეზეკიელი: 1,5). ქერობინის ფრთებში გამოკვეთილი იქნებოდა მოციქულთა სიმბოლოე-

[1] სოფ. ბულგანი დღეს აზერბაიჯანში, ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარეობს

ბი, რომელთაგან მხოლოდ იოანე მახარებლის (არწივი) და ნაწილობრივ მათე მახარებლის (ანგელოზი) სიმბოლოებია შემორჩენილი[2], ე.ი. არტაანის რელიეფზე სამოთხე უნდა ყოფილიყო გამოსახული. სამოთხის სცენა, სამოთხის კარის მცველი ქერობინით, საშინელი სამსჯავროს კომპოზიციის ნაწილია; იგი გვხვდება ატენის სიონის (XI ს.), იკვის (XII ს.), ვარძიის (XII ს-ის ბოლო), ბეთანიის (XIII ს-ის დასაწყისი), ტიმოთესუბნის (XIII ს-ის დასაწყისი) ახტალის (XIII ს.), ჭულეს (XIV ს.), ნაბახტევისა (1412-1431 წწ.) და სხვ. მოხატულობებში [Привалова Е. 1980: 91, 223, 225-227]. აღსანიშნავია ტიმოთესუბნის დასავლეთი კედლის სამოთხის კომპოზიცია, რომლის სამხრეთ კიდეში სამოთხის კარის მცველი მახვილმომარჯვებული ქერობინია. სამოთხის კარის მარჯვნივ გამოსახულია მორწმუნე ავაზაკი, რომელიც დიდ ჯვარს იკავებს ხელით [Привалова Е. 1980: Рис. 40, ტაბ.XXVI]. ვფიქრობ, რომ არტაანის რელიეფის მცირე ფრაგმენტზე ბუნიანი ჯვარი სწორედ მორწმუნე ავაზაკს უნდა სჭეროდა ხელთ, რომლისგან მხოლოდ ხელის მტევანიღაა შემორჩენილი.

რელიეფის ორივე ფრაგმენტზე არსებული წარწერების ასო-ნიშანთა მოხაზულობა მსგავსია (უდიდესი ასო-ნიშანი – 2,5 სმ; უმცირესი ასო-ნიშანი _ 1,0 სმ; ქარაგმა – სწორი, განივი ხაზი) და X საუკუნის მეორე ნახევარსა ან XI საუკუნის პირველ ნახევარზე მიგვითითებს. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა რელიეფის ფრაგმენტების სტილისტური მახასიათებლებიც: არწივის მკერდი და თავი წინაა გამოწეული, გამოსახულების კიდეები მომრგვალებულია და რბილად ეშვება ფონისკენ, რაც რელიეფის მცირე სიმაღლის მიუხედავად, მოცულობითობის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ მიდგომით, ვფიქრობ, ძეგლის თარიღის კიდევ უფრო დაკონკრეტებაა შესაძლებელი და იგი X საუკუნის მიწურულითა და XI საუკუნის დასაწყისით იფარგლება.

არტაანის რელიეფის ფრაგმენტებზე არსებულ გამოსახულებათა მცირე ზომები და მათი სკრუპულოზული დამუშავება ახლო მანძილიდან აღქმისთვის იყო გათვლილი და, სავარაუდოდ, ისინი კანკელის ფილის ნაწილები იყო, რაც კომპოზიციიდანაც ნათლად ჩანს. ეკლესიაში საკურთხევლის აფსიდი სიმბოლურად სამოთხეს აღნიშნავს, კანკელი კი „სამოთხეში" შესასვლელი ზღუდე-კარია. ამდენად, აღსავლის კარის მახლობლად ამგვარი კომპოზიციით შემკული კანკელის ფილის განთავსება აზრობრივად გამართულია. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში შემორჩენილ ვერც ერთ ძველ კანკელზე მსგავს კომპოზიციას ვერ ვხვდებით.

ვფიქრობ, რადგან ექ. თაყაიშვილმა რელიეფის ეს ფრაგმენტები ქალაქ არტაანში მოიპოვა, ისინი არტაანშივე მდგარი ან ახლომდებარე რომელიმე ეკლესიის კუთვნილი უნდა ყოფილიყო. ვახუშტი ბატონიშვილი მცირე ქალაქ არტაანის აღწერისას შენიშნავს: „აქა არს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, შვენიერი და აწ ცალიერი"-ო [ვახუშტი 1941: 132]. ამ ეკლესიის კვალი დღეს გამქრალია და ექ. თაყაიშვილის მო-

[2] რელიეფის ფრაგმენტების ზურგის მხარე არათანაბარია, ჩამომტვრეულია და ე.ი. მათი სისქე თავდაპირველს არ შეესაბამება. აქ მოტანილია ფრაგმენტების სისქის უდიდესი ზომები: 11 სმ, 5,5 სმ.

საზრებით, იგი ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც (XVIII ს.) უკვე დანგრეული უნდა ყოფილიყო [Такайшвили Е. 1909: 77], რადგანაც ეკლესიის ქვები სულთან სულეიმან დიდის დროს (1520-1566 წწ.) არტაანის ციხის მშენებლობაში გამოუყენებიათ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული მესხეთიდან, ამ მცირე ფრაგმენტების გარდა კანკელის სხვა ნიმუშები ჩვენთვის უცნობია.

## ART CRITICISM


**George Gagoshidze**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: g_gagoshidze@yahoo.com


# Fragments of a Relief from Artaan


### Summary

Two badly damaged fragments of a stone relief are preserved in a stone depository of the Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts (GSAM 49/1,2 ), which have been brought from the Georgian Museum of Historical Ethnographical Society. We find out from the information recorded in the Museum register that they were delivered from Ardagan by Ekvtime Takaishvili, who had been given these fragments by a Colonel Nadezhdin.

These fragments are parts of an altar screen slab. The representations and Georgian *asomtavruli* inscriptions displayed on them announce that they are parts of the paradise composition. There were Paradise Doors with a Cherub and Penitent Thief represented there; the relief composition dates back to the end of the 10th and the beginning of the 11th century.

An ancient Georgian town Artaan (Turkish: Ardahan) is presently situated in the province of Kars, Turkey. These reliefs are presumably parts of the altar screen slab of the domed church in Artaan. This town, mentioned by Vakhushti Batonishvili does not exist today, it was destroyed during the conquest of Artaan in the times of Sultan Suleiman the Great (1520-1566).

It is remarkable, that apart from these small fragments there are no other samples of altar screens from the territory of historical Georgia included within Turkish borders.

## ბიბლიოგრაფია

**აბულაძე ი. 1973:** *ძველი ქართული ენის ლექსიკონი.* თბილისი.
**ვახუშტი 1941:** *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* თბილისი.
**თაყაიშვილი ექ. 1960:** *1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში.* თბილისი.
**ცინცაძე ზ. 1997:** *არტაანის ოკრუგი. საქართველო ენციკლოპედია.* თბილისი.
***Кавказскиий календарь. 1902:*** на 1903 год; LVIII. Тифлис.
***Кавказскиий календарь. 1903:*** на 1904 год; LIX. Тифлис.
**Привалова Е. 1980:** *Роспись Тимотесубани.Тбилиси.*
**Такайшвили Е. 1909:** *Материалы по археологии Кавказа.* XII. Москва.
**Шевякова Т. 1983 :** *Монументальная Живопись раннего средневековья Грузии.* Тбилиси.
**Winfield D. 1968:** Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey. *Journal of the Warburg and Courtauld Institutes.*Volume XXXI. pp. 33-72. London.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** არტაანის რელიეფი.
**სურ. 2.** არტაანის რელიეფი. მონახაზი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Relief from Artaan.
**Fig. 2.** Relief from Artaan. Drawing.

სურ. 1 Fig.




სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 289-309
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 289-309

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**ნინო ჩიხლაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino_chikhladze@yahoo.com

# შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის შესწავლისა და შენახვა-გადარჩენის ისტორიისათვის

შუა საუკუნეების ქართული ფრესკა ეროვნული კულტურის განსაკუთრებული ნაწილია. მის მნიშვნელოვნებას მხოლოდ მაღალი მხატვრული ღირებულება როდი განსაზღვრავს. ქართულ ფრესკას, როგორც საისტორიო წყაროს, უკვე XVIII საუკუნეში იყენებდა ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომებში საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ. 1755-1759 წლებში ტრაპიზონის, ათონის მთისა და იერუსალიმის წმინდა ადგილთა მოხილვისას ქართლის მთავარეპისკოპოსი და ქუთაისის მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი ქართველთა კულტურულ ნამოღვაწარს კედლის მხატვრობის ნიმუშებშიც პოულობს, აღწერს და შემცირებულ ასლებსაც გადმოაღებინებს [Амиранашвили Ш. 1957: 9]. ისტორიულ პირთა პორტრეტები, უძველესი ქართული წარწერები, ყოფა-ცხოვრების ამსახველი დეტალები თუ სახელმწიფო პოლიტიკის გამომხატველი იდეოლოგიური აქცენტები ფრესკას ქართველთა ცხოვრების ხილულ მატიანედ და, ამდენად, ეროვნული იდენტობის დეკლარირებულ სახედაც აქცევს.

XIX საუკუნის განმავლობაში, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს მოქცევის შემდეგ, სხვა „სიძველეთაგან" (თუნდაც არქიტექტურისა ან ოქრომჭედლობის) განსხვავებით, ქართული კედლის მხატვრობისადმი ინტერესი უმნიშვნელოა. მოგზაურთა და სიძველეთცოდნეთა ჩანაწერ-ჩანახატებში ის იშვიათად და ფრაგმენტულად ჩნდება, რადგან ერთმორწმუნე იმპერიის ცნობილი ბიზანტინისტებისთვისაც ქართული ფრესკა დიდხანს რჩებოდა „ბიზანტიური სტილის უკიდურესი დაცემის" გამოხატულებად [Кондаков Н. 1876: 260]

მდგომარეობა იცვლება XX საუკუნის დასაწყისიდან. რუსეთის იმპერატორის ოჯახის წევრის ზარზმის ეკლესიით შემოხვევითმა დაინტერესებამ და რესტავრირება-აღდგენის სურვილმა ძეგლის გამოკვლევის აუცილებლობა გამოიწვია, რაშიც რუს ბიზანტინისტებთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილიც მონაწილეობდა. მანვე გადადგა პირველი ნაბიჯი ქართული კედლის მხატვრობის მეცნიერული შესწავლის საქმეში და 1905 წელს გამოსცა ნაშრომი ზარზმის მოხატულობის შესახებ [Такаишвили Е. 1905]. ამას მოჰყვა ქართული ფრესკის შენახვა-გადარ-

ჩენის მიმართულებით ღონისძიებანი, კერძოდ, უკვე 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებულმა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ" წესდებაშივე შეიტანა ფრესკების პირთა გადმოღების ვალდებულება [ლომთათიძე გ. 1990: 72-73 ]. მომდევნო წლებში ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობითვე ორგანიზებული ექსპედიციების მონაწილე მხატვრები – ა. ეისნერი, ქ. კრონი, ჰ. ჰრინევსკი, თ. კიუნე, გ. ხმალაძე, ს. პოლტორაცკი, ა. გარიბჯანიანი სწორედ საქართველოს „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების" დაკვეთით ქმნიდნენ ქართული კედლის მხატვრობის პირებს. ამ მხატვართა შორის იყო ახალგაზრდა დავით კაკაბაძე [მეტრეველი რ. 1982: 52-54]. 1912-1913 წლებში დავით კაკაბაძის მიერ შესრულებული სვეტიცხოვლისა და ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის XVII საუკუნის ცნობილ ისტორიულ პირთა პორტრეტების დღეს უკვე ასწლოვანი ასლები მნახველს ჯერაც ხიბლავს სტილისა და ხასიათის გადმოცემის უნარით, ინფორმაციულობითა და, რაც მთავარია, მეტყველი გამომსახველობით (სურ. 1).

„საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების" წამოწყებას ფრესკების პირთა გადმოღების შესახებ იმთავითვე შეუერთდა 1916 წლის აპრილში დაფუძნებული „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება", რომელსაც სათავეში ჩაუდგა გერმანიაში განსწავლული მხატვარი და შემდგომ დიდი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე. როგორც გამგეობის სხდომის ოქმიდან ირკვევა, ორი საზოგადოების შეთანხმებული მოქმედება უნდა „გაჩაღდეს იმ ფრესკების გადმოღებისათვის, რომელთაც ამა თუ იმ გარემოებათა გამო განადგურება მოელის" [სემხმხმფ, ფ. 1, 1916: 5; ძუცოვა ი., ხარატიშვილი ნ. 1999: 194]. იმავე წლის ზაფხულის თვეებში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ" მოაწყო ექსპედიცია სოფელ ნაბახტევის სახურავჩაქცეული ეკლესიის XV საუკუნის კედლის დეკორის შესასწავლად და ასლების გადმოსაღებად. ნაბახტევის მხატვრობა შემთხვევით არ შერჩეულა. პირველი ექსპედიციის ნაბახტევით დაწყება ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით გადაწყდა, რადგან ა) გადახურვის გარეშე დარჩენილი ძეგლი დასაღუპად იყო განწირული, ბ) მასში მოიპოვებოდა ისტორიულ პირთა პორტრეტები და გ) ცნობილი იყო მოხატვის თარიღი, რაც ქართული კედლის მხატვრობის შესწავლის სამომავლო საქმეში მყარი ორიენტირის ფუნქციას შეასრულებდა. საკვლევი ძეგლების თანმიმდევრობის განსასაზღვრად სწორედ ეს სამი კრიტერიუმი იყო ძირითად პირობად ჩადებული ივანე ჯავახიშვილის მიერ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისთვის" გაგზავნილ ცნობილ მოხსენებაში, რომელსაც ეროვნული კულტურის შემსწავლელ საზოგადოებათა სამოქმედო გეგმის მნიშვნელობაც გააჩნდა [ჯავახიშვილი ი. „ძეგლის მეგობარი". 1966: №7, 46-47]. ზაფხულის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ საზოგადოების წევრი და მოწვეული მხატვრები: დიმიტრი შევარდნაძე, მამა-შვილი მოსე და ირაკლი თოიძეები, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, გიორგი ერისთავი და შალვა ქიქოძე (სურ. 2). ისინი მუშაობდნენ დიდი გატაცებითა და ენთუზიაზმით. თანაბარი გულმოდგინებითა და სიფაქიზით ასრულებდნენ არა მხოლოდ ზუსტ, არამედ შემცირებული ზომის ასლებსაც. ამის მაგალითია თუნდაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქი-

ვში (ფ. №432) დაცული ლადო გუდიაშვილის სამი ნამუშევარი – „მძლეველი წმ. გიორგი" (სურ. 3). „ქუცნა ამირეჯიბი ოჯახის წევრებთან ერთად" (სურ. 4) და „მეფე ალექსანდრე დიდი" (სურ. 5). 1916 წლის ნოემბერშივე დაიწყეს ნაბახტევში გადმოღებული ათობით ფრესკის პირის საგამოფენოდ მზადება. ამასთან, თხოვნით მიმართეს „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას", რომ ნება დაერთო გამოეფინათ ამ საზოგადოების მიერ წლების განმავლობაში შეგროვებული ფრესკის ასლებიც, „აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები ფრესკებისა და სხვა სიძველეებისა. გამოფენა გაიმართება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ხელოვანთა საზოგადოებების სახელით. შემოსავალი და ხარჯი გაიყოფა სანახევროდ" [სემხმხმფ, ფ. 1, 1916: 22].

მათ დაიქირავეს იმ დროის თბილისის ყველაზე დიდი საგამოფენო სივრცე – ყოფილი „დიდების ტაძარი" (1920 წლიდან დიმიტრი შევარდნაძის ძალისხმევით აქ დაიდო ბინა ეროვნულმა გალერეამ, რომელსაც სულ ახლახან დიმიტრი შევარდნაძის სახელი მიენიჭა). მასზე არჩევანის შეჩერება მხოლოდ ხალვათი საგამოფენო სივრცით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. ეს იყო ადგილი, სადაც მანამდე რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის ამსახველი ექსპონატები იფინებოდა, ანუ, ტიციან ტაბიძის სიტყვებით რომ გამოვთქვათ, ადგილი, სადაც „მანამდე მხოლოდ ჩვენი მონობის დიდების ტაძარი იყო, სადაც ეკიდა საქართველოს დახეული დროშები, შამილის გამტყდარი ხმალი და ჰაჯი-მურატის შეხსნილი მუზარადები, რომელსაც გარს ერტყა რუსეთის ცარიზმის ზარბაზნები და იმპერატორ ალექსანდრე I-ის მაცდური მანიფესტის თუჯის სიტყვები" [ტაბიძე ტ. 1966: 169]. სწორედ აქ 1917 წლის 8 იანვარს გაიხსნა „ქართული ფრესკის" გამოფენა, რომლის მნიშვნელობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის პოპულარიზაცია. ეს იყო ეროვნული კულტურის პირველი საჯარო და მასშტაბური ექსპოზიცია, რაც მის მიმართ არნახულმა ინტერესმაც დაადასტურა. ქართული ფრესკის მხატვრული ღირსების, მისი გადარჩენისა და შესწავლის მნიშვნელობის წარმოჩენას მიეძღვნა როგორც გამოფენის გახსნაზე ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ისე საზოგადო მოღვაწეთა – იროდიონ სონღულაშვილის, გერონტი ქიქოძის გამოხმაურებები. აღინიშნა, რომ ამ ტიპის გამოფენა სიახლე იყო „არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის და რუსეთისთვის, არამედ ევროპის განათლებულ ქვეყნებისთვისაც" [სხირტლაძე ზ. 1988: 111-117]. 8 იანვრიდან 19 თებერვლამდე გამოფენას ჰყავდა 9000-ზე მეტი მნახველი, რაც დოკუმენტურადაა დადასტურებული გაყიდული ბილეთებითა და უფასო საშვებით ჯარისკაცებისა და ღარიბი მოწაფეებისთვის [სემხმხმფ, ფ.1, 1917: 25]. დაიბეჭდა გამოფენის კატალოგი, რომელიც ერთი მხრივ, უტყუარი საბუთია ამ მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენისა, მეორე მხრივ კი – ერთადერთი წყარო ზოგიერთი ფრესკის პირის ავტორის დასადგენად [გამოფენა ძველის ქართულის საეკლესიო ფრესკებისა (გამოფენის კატალოგი), 1916-1917]. საქმე ისაა, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს აკრძალული იყო არა მხოლოდ 1937 წელს დახვრეტილი დიმიტრი შევარდნაძის, არამედ 1921 წელს საფრანგეთში გარდაცვლილი შალვა ქიქოძის სახელიც. ამიტომ ნაბახტევში

1916 წელს მათ მიერ შესრულებულ ფრესკათა პირები, მათი შესაძლო განადგურების საშიშროების გამო, 50-იანი წლების სამუზეუმო დავთარში ექსპედიციაში მონაწილე სხვა მხატვრებს მიაწერეს.

ექვთიმე თაყაიშვილისა და დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით მოქმედი ორი საზოგადოების საერთო ძალისხმევით შემდგარი კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი 1917 წლის ზაფხულის ექსპედიციაა ისტორიული ტაოს მხარეში, თორთუმისა და ისპირის ხეობაში ანუ, როგორც მას თავად უწოდებდნენ, „სამაჰმადიანო საქართველოში" [სემხმხმფ, ფ. 1, 1917: 29]. ამ მნიშვნელოვანი ექსპედიციის სამეცნიერო მონაპოვრის შესახებ ცნობილია ექვთიმე თაყაიშვილის ფუნდამენტური მონოგრაფიიდან, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ლამის ერთადერთი ხელმისაწვდომი წყარო იყო შუა საუკუნეების ქართული კულტურის ამ საკვანძო ძეგლების შესახებ [Такаишвили Е. 1952]. შეგროვებული მასალის სიმდიდრე დიდად განაპირობა ექსპედიციის მონაწილეთა პროფესიული მომზადებითა და ნიჭიერებით გამორჩეულმა შემადგენლობამ. აქ იყვნენ არქიტექტურული ანაზომების შემსრულებელი ანატოლი კალგინი, დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის შეფასებით, „დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და უაღრესად პატრიოტული გრძნობით მუშაობდა ექსპედიციაში" [ლომთათიძე გ. 1990: 118-119]. იყო ასევე ახალგაზრდა ილია ზდანევიჩი, რომელზეც იმდენად ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ამ ექსპედიციამ, რომ ის შემდგომ წლებში პარიზში, XX საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე ცნობილ მხატვართა და ხელოვანთა წრეში უკვე აღიარებული წიგნის დიზაინერი არ წყვეტს ტაო-კლარჯეთის ქართულ ძეგლებზე ფიქრსა და ზრუნვას. ეს ირკვევა როგორც 1934 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მისადმი მიწერილი საპასუხო წერილიდან [ხარატიშვილი ნ. 2004: 206-207], ისე ბიზანტინისტების საერთაშორისო კონგრესებზე მისი გამოსვლებიდანაც [გეირო რ. 2009: 95]. ექსპედიციაში მონაწილე მხატვრისა და მოქანდაკის, შემდგომ ცნობილი კინორეჟისორის, მიხეილ ჭიაურელის თაბაშირის ზუსტი ასლების წყალობით შემოგვრჩა ოშკის რელიეფური სამკაულის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოსახულებები და, მათ შორის, 90-იანი წლების მიწურულს ოშკის ტაძარში ჩამომტვრეული და უკვალოდ გამქრალი წმ. ნინოს X საუკუნის რელიეფი, რომელიც წმინდანის ჩვენამდე მოღწეულ გამოსახულებებს შორის ყველაზე ადრეულად ითვლება.

ექსპედიციის დროს მოპოვებულ უნიკალურ მასალაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებულ ოშკის მოხატულობის ფრაგმენტებსა და მომხატველი ქტიტორისა და ხახულის ეკლესიის XI საუკუნის „მაცხოვრის იერუსალიმს შესვლის" სცენის ასლებს. ამ უკანასკნელის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ დედანი აღარ არსებობს. იშვიათი იკონოგრაფიული ვერსიით წარმოდგენილ ამ სცენაში გუდიაშვილის მიერ მხატვრული სტილის ფაქიზი შეგრძნებითა და დახვეწილი ოსტატობით შესრულებული მაცხოვრისა და მოწაფეების შთამბეჭდავი სახეები წარმოდგენას გვიქმნის ამ ადრეული ხანის ქართული კედლის მხატვრობის „დედაქალაქური სკოლის" კლასიკურ პერიოდად წოდებული არც თუ მრავალრიცხოვანი შემორ-

ჩენილი ფერწერული ნიმუშის მხატვრულ ძალაზე.

„საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების" დაკვეთით ტილოზე ზეთით შესრულებული ასლები, ცხადია, უზრუნველყოფდა მხოლოდ მხატვრის თვალით დანახულ მიახლოებითს მსგავსებას და „სუსტი წერტილებიც" გააჩნდა. ზოგიერთი უზუსტობის გარდა, აქ თვალში გხვდება დაზიანებული ადგილების გადმოსაცემად ტონალური ფერწერის პრინციპით დადებული არაბუნებრივი ლაქებიც. ზეთით შესრულებული ასლები არც წერის ხასიათითა და არც ზედაპირის ფაქტურით არ ჰგავდა ფრესკას. ჩანს, რომ მასალის ცვლილება პირველად დავით კაკაბაძის ასლში ჩნდება, რაც მისი შემოქმედების მუდმივად ნოვატორული ხასიათის გამო სულაც არ არის გასაკვირი. თუკი სვეტიცხოვლის ფრესკის 1912 წლის მისი ასლი ზეთითაა დაწერილი, 1913 წლის ნაკურალეშის მხატვრობის პირები უკვე ტილოზე ტემპერითაა შესრულებული. საგულისხმოა, რომ ტემპერის საღებავებით მუშაობდნენ 1916 და 1917 წლის ექსპედიციებში მონაწილე მხატვრებიც, რაც, უთუოდ, ფრესკის წერის ტექნიკასთან მეტი ფაქტურული მსგავსების მისაღწევად იყო გამიზნული[1]. როგორც ჩანს, მასალის შეცვლის თვალსაზრისით 10-იან წლებშივე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ასლი-ფაქსიმილეს შექმნის გზაზე. ტილოზე ტემპერით შესრულებულ ასლებს შორის გამოირჩევა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც უდავო ისტორიული ღირებულების გარდა, მხატვრულ მომხიბვლელობასაც ინარჩუნებს. ესაა ქტიტორების, ანუ ეკლესია-მონასტრების ან მოხატულობების დამკვეთი ისტორიული პირების პორტრეტები (სურ. 6). ივანე ჯავახიშვილის უშუალო დავალებით, საგანგებოდ სწორედ მათი პირების გადმოღებაზე მუშაობდა 1937-1941 წლებში მერი მიქელაძე-ბაგრატიონი, რომელიც პარიზისა და ლოზანის სამხატვრო სასწავლებლებისა და 1922 წელს დაარსებული თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული იყო. გიგო გაბაშვილის რჩეული მოწაფის მიერ სანდო სიზუსტითა და გულმოდგინედ შესრულებული საქტიტორო პორტრეტების ასლები მნიშვნელოვანი წყაროა შუა საუკუნეების ქართული შესამოსლის შესასწავლადაც (სურ. 7)[2].

ქართული ფრესკის მეცნიერული კვლევის ახალი ეტაპი 20-იანი წლების ექსპედიციებიდან იწყება და ეს, უწინარესად, დავითგარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსებს უკავშირდება. 1922 წელს მის შესასწავლად ჩადის გიორგი ჩუბინაშვილი, შემდგომ ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის ფუძემდებელი და დიდი მეცნიერი. ექსპედიციაში მოპოვებული მასალების საფუძველზე იქმნება მისი ფუნდამენტური ნაშრომი „დავით გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები", რომლის გამოცემა მხოლოდ 1948 წელს მოხერხდა. წიგნში შევიდა გიორგი ჩუბინაშვილის მეგობრის, XIX-XX საუკუნეთა მიჯნის რუს მხატვართა ცნობილი გაერთიანების – „მირ ისკუსტვოს" წევრ ევგენი

[1] ვეყრდნობით ახალ მონაცემებს, რომელიც რესტავრატორ ნინო მერაბიშვილის მიერ აღნიშნულ მასალაზე მუშაობისას გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ ძველ სამუზეუმო ჩანაწერებში XX საუკუნის 10-იანი წლების ყველა ასლი ტილოზე ზეთით შესრულებულადაა მიჩნეული.

[2] მერი მიქელაძე-ბაგრატიონის შესახებ მონაცემები და ფოტომასალა მოგვაწოდეს ქ-მა ნინო ბაგრატიონმა და ბ-მა გიორგი ბაგრატიონმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

ლანსერეს მიერ ექსპედიციაში შესრულებული ფანქრით ჩანახატები და დახვეწილი აკვარელები [Чубинашвили Г. 1948: Таб. 1-30; ბერიძე ვ. 1993: 60], რომლებშიც თუმცა, ესკიზურად, მაგრამ ფერადოვნებისა და სტილის ხასიათის შენარჩუნებით გადმოცემულია მრავალმთის მონასტრებისა და სატრაპეზოების ფერწერის მომხიბვლელი მხატვრული სახე.

1929 წლის დავითგარეჯის მეორე ექსპედიცია უფრო მასშტაბურია. საგანგებო კომისიამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო 1930 წელს გერმანიაში ძველი ქართული ხელოვნების დიდი გამოფენის მოწყობაზე, გადაწყვიტა ქართული ფრესკის საუკეთესო ნიმუშთა ასლებითაც გაემდიდრებინა საექსპოზიციოდ წარსადგენი მასალა. ამიტომაც ექსპედიციაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ მკვლევრები – გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ახალგაზრდა ნიკო ჩუბინაშვილი, არქიტექტორი ვლადიმერ წილოსანი, არამედ ახალი თაობის მხატვარ-კოპიისტებისა და მხატვრების დიდი ჯგუფი: ქეთევან მაღალაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, შალვა აბრამიშვილი, სევერიან მაისაშვილი, ელენე საჩავეც-ფედოროვიჩი, ტატიანა შჩერბატოვა-შევიაკოვა, ბორის შევიაკოვი. ამათგან უკანასკნელი სამი ლენინგრადიდან მოწვეული სპეციალისტი იყო [Амиранашвили Ш. 1957: 15].

1929 წლის ექსპედიციის დროს გარეჯის მხატვრული სკოლის XI საუკუნის ბრწყინვალე მოხატულობების ახალი მეთოდით შექმნილი ფრესკის ასლები საუკეთესოა მხატვრული სიზუსტისა და შესრულების ოსტატობის თვალსაზრისით. ამავე პერიოდში ეყრება საფუძველი ქართული ფრესკის ასლების ყველაზე ნაყოფიერი შემსრულებლის, ტატიანა შევიაკოვას მრავალწლიან მოღვაწეობას, რამაც დიდი სამსახური გაუწია შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის შესწავლის საქმეს.

ასლების გადმოღების ახალი მეთოდი ეფუძნებოდა 20-იანი წლების დასაწყისში ლენინგრადის ხელოვნების ისტორიის (ყოფილი ზუბოვის) ინსტიტუტის პედაგოგის, ხელოვნებათმცოდნისა და მხატვარ-კოპიისტის, ლიდია დურნოვოს მიერ შემუშავებულ რთულ ტექნოლოგიას, რომელიც ასლი-ფაქსიმილეს შექმნას ითვალისწინებდა. ფრესკის ფაქტურასთან სიახლოვის მისაღწევად იცვლება მასალა და ტილოზე ზეთით ან ტემპერით დაწერილი პირების ნაცვლად ჩნდება დაგრუნტულ ქაღალდზე ტემპერით შესრულებული ასლები. მეთოდი კოპიისტისგან მოითხოვდა შუა საუკუნეების ფრესკის წერის პროცესის სრულ აღდგენასა და დამატებით ყველა იმ ცვლილების აღნიშვნას, რომელიც დრო-ჟამიერი თუ მექანიკური დაზიანებების შედეგად განიცადა ამა თუ იმ ფრესკამ [Иосебидзе Д., Лидов А. 1985: 19-20; Щербатова-Шевякова Т. 2004: 22-30]. ასლს უნდა გადმოეცა შესრულების მომენტისთვის დედნის ზუსტი სახე. ეს კი შემსრულებელი ოსტატისგან პროფესიონალიზმთან ერთად კოლოსალურ დროს, მოთმინებასა და საქმისადმი უკიდურეს ერთგულებას მოითხოვდა. სწორედ დედანთან მაქსიმალური ავთენტიკურობის გამოა განსაკუთრებით სანდო და ღირებული ლიდია დურნოვოსა და მისი მოწაფეების – ტატიანა და ბორის შევიაკოვების, ელენე საჩავეც-ფედოროვიჩისა და ნატალია ტოლმაჩევსკაიას მიერ ქართული კედ-

ლის მხატვრობის სხვადასხვა დროს შესრულებული ასლები. ნატალია ტოლმაჩევსკაია 30-იან წლებში გამოცემული მიმოხილვითი ხასიათის საგულისხმო წიგნის „ძველი საქართველოს ფრესკების" ავტორიცაა [Толмачевская Н. 1930]. თუმცა, დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მდებარე ძეგლების მისეული ასლები. მათ შორისაა აფხაზეთში ბედიის ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტები: გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III–ის (975-1014) 1927 წელსა და XVI საუკუნის ქტიტორების – „დეუფალთ დეუფალ" მარეხისა და მანდატურთუხუცეს გიორგი დადიანის პორტრეტების 1930 წელს შესრულებული ასლი-ფაქსიმილეები ქართული ასომთავრული განმარტებითი წარწერებით. 2011 წელს აღნიშნული ფრესკების სრული განადგურების შესახებ მასმედიის საშუალებით გაშუქებულმა სამწუხარო ცნობამ, რომელმაც საზოგადოებაში შესაბამისი რეზონანსი გამოიწვია, მუზეუმში დაცული ეს ასლებიც დედნების მდგომარეობაში გადაიყვანა.

1932 წლის ზაფხულში „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებიდან" შალვა ამირანაშვილის თაოსნობით გელათის სამონასტრო კომპლექსის მოხატულობათა შესასწავლად მოწყობილ ექსპედიციაში ასლების გადმოსაღებად მოიწვიეს ლიდია დურნოვო, რომელმაც გელათის მთავარი ტაძრის XII საუკუნის მოზაიკური კონქის კომპოზიციის პირები და, მათ შორის, ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულება შეასრულა [Амиранашвили Ш. 1957: 16]. ის ხვდება ახალგაზრდა მხატვარ სოფიო მირზაშვილს, რომელიც მოგვიანებით მისი მოწაფე ხდება [ჩიხლაძე ნ. 1989: 5] (სურ. 8)[3]. შემდგომ, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ძირითადად, სწორედ სოფიო მირზაშვილმა და 1936 წლიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოსულმა ტატიანა შევიაკოვამ იტვირთეს ქართული ფრესკის მრავალრიცხოვანი ზუსტი ასლის გადმოღების უმძიმესი ტვირთი. მათ შორისაა ასლები სვანეთის მხატვრული სკოლის პირველხარისხოვანი მხატვრობის ნიმუშებისა – მეფის მხატვარი თევდორესა და მიქაელ მაღლაკელის XI-XII საუკუნეების მოხატულობები იფრარის, ლაგურკას, ნაკიფარისა და მაცხვარიშის ეკლესიებიდან (სურ. 9).

ასლების გადმოღება და მათი შეგროვება წლების განმავლობაში პრიორიტეტულად რჩებოდა სამუზეუმო საქმიანობაში, რასაც ხელოვნების მუზეუმში ხელმძღვანელობდა ქართული კედლის მხატვრობის მკვლევარი და დიდი მოამაგე შალვა ამირანაშვილი. ტატიანა შევიაკოვა ხუმრობით ამბობდა, რომ შალვა „იასონოვიჩი" მას აძლევდა მუზეუმის მწირი ბიუჯეტის ლამის უმეტეს ნაწილს. ხუმრობაში სიმართლის მარცვალიცაა. ტატიანა შევიაკოვამ ხომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში 500-მდე კვადრატული მეტრი ქართული ფრესკის ასლი შეასრულა [ბურჭულაძე ნ..., 1986: 2] ამავე დროს, მან შექმნა ქართული კედლის მხატვრობის ორნამენტული დეკორის უმშვენიერესი შემცირებული ნიმუშები და სხვადასხვა მხატვრული დეტალის ჩანახატები.

[3] ფოტომასალა მოგვაწოდა ქმა მანანა თავაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

70-იანი წლებიდან მოსკოველ რესტავრატორ ადოლფ ავჩინნიკოვის თაოსნობით მკვიდრდება ფრესკის კოპირების ახალი მეთოდი [Иосебидзе Д., Лидов А. 1985: 21], რომლის მიხედვითაც ზედაპირზე გვიანდელი დაზიანებები აღარ გადმოჰქონდათ და დეფორმირებული კოლორიტიც ჩატარებული ანალიზით აღდგენილი „თავდაპირველი" ფერებით იცვლებოდა. 80-იან წლებში ტატიანა შევიაკოვამაც შეასრულა ამ მეთოდით რამდენიმე ასლი-რეკონსტრუქცია. მათ შორისაა დავითგარეჯის საბერეების ადრეული შუა საუკუნეების შთამბეჭდავი მოხატულობის ასლები, რომელთა ვიზუალური აღქმის ეფექტი, უდავოდ, ძლიერდება გვიანდელი ნაკაწრ-ნაფხაჭნებისგან თავისუფალი მისი ზედაპირის „სისუფთავით" (სურ. 10). თუმცა, ასლი-რეკონსტრუქცია აღდგენის სიზუსტის თვალსაზრისით მაინც საკამათოა და შევიაკოვაც ბოლომდე ასლი-ფაქსიმილეს შექმნის ბევრად შრომატევადი, მაგრამ უფრო უტყუარი მეთოდის ერთგული დარჩა.

დღეს ეროვნულ მუზეუმში დაცული ქართული ფრესკების ასლების უნიკალური კოლექცია, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მხატვარ-კოპიისტთა რამდენიმე თაობას (მათ შორის იყვნენ: მ. შეიბლერი, ლ. ხითარიშვილი, ლ. ცუცქირიძე, გ. ხუციშვილი, ნ. ნახუცრიშვილი, ო. სულავა, კ. თოდუა, კ. ბაკურაძე), ბევრ ისეთ პირსაც ინახავს, რომელთა ორიგინალის დაღუპვის, ძლიერი ცვლილების ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი მიუწვდომლობის გამო თავად იტვირთა დედნების მნიშვნელობა. თუმცა, უმთავრესი მაინც ისაა, რომ მათი ერთობლიობა შუა საუკუნეების მდიდარი ქართული კულტურის, მხატვრულ სტილთა და სკოლათა მრავალფეროვანსა და მომხიბვლელ სურათს გადმოსცემს. ამის ერთად ხილვა კი მხოლოდ სამუზეუმო სივრცეშია შესაძლებელი.

სამუზეუმო სივრცეს ქართული ფრესკის გადარჩენის სხვა ტრადიციაც უკავშირდება. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობითა და მხატვრების – სევერიან მაისაშვილისა და შალვა აბრამიშვილის მონაწილეობით (სრული განადგურების საშიშროების გამო) ადგილიდან მოიხსნა და მუზეუმში გადმოვიდა წრომის ამაღლების ეკლესიის VII საუკუნის საკურთხევლის კონქის მოზაიკური ფრაგმენტები [Смирнов Я. 1935: VI] და ნაბახტევის ღმრთისმშობლის ეკლესიის ფრესკების ნაწილი [ლორთქიფანიძე ი. 1973: 8]. 60-იან წლებში დავითგარეჯის ბერთუბნის სამონასტრო კომპლექსის ნახევრად ჩამონგრეული მთავარი ტაძრის განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა არქიტექტურის რესტავრატორების – ოთარ თორთლაძისა და ნუკრი ალხაზიშვილის მიერ 1965-66 წლებში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე გამოიკვეთა. ნუკრი ალხაზიშვილის, როგორც დავითგარეჯის დაცვის სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელის, დიდი ძალისხმევით 1971 წელს შედგა ექსპედიცია განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაში მყოფი ფრესკების მოხსნის მიზნით. სამუშაო ჯგუფში ნუკრი ალხაზიშვილის გარდა, შედიოდნენ არქიტექტურის რესტავრატორი თემურ აბრამიშვილი და მხატვრობის რესტავრატორი შალვა აბრამიშვილი[4]. ამ ადამიანთა გამბედავი გადაწყვეტილებისა და

[4] მონაცემები მუზეუმს გადმოსცა ბ-მა ნუკრი ალხაზიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

პროფესიონალიზმის წყალობით ხელოვნების მუზეუმში გადმოვიდა თამარ მეფისა და ლაშა გიორგის პორტრეტები, რომელთა გადარჩენის მნიშვნელობა ძნელია გადააფასო.

ბერთუბნის კედლის მხატვრობის მუზეუმში გადმოტანილი დედნების გამაგრება-კონსერვაციაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ რესტავრატორები კარლო ბაკურაძე და თეიმურაზ თოდუა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ განსაკუთრებით დიდია თეიმურაზ თოდუას როლი 1950-იან წლებში აფხაზეთში, ბიჭვინთის ტერიტორიაზე, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღმოჩენილი კომპლექსის V-VI საუკუნეების მოზაიკური მხატვრობის ფრაგმენტების მუზეუმში გადმოტანასა და დამონტაჟებაში [Шервашидзе Л. 1980: 8]. ადრეული შუა საუკუნეების ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს დღეს სწორედ რესტავრატორის მიერ 1966 წელს ოსტატურად შესრულებული მხატვრული ობიექტების სახით ვიცნობთ.

2010-11 წლებში მონუმენტური მხატვრობის ფონდში დაცული მოზაიკური და ფრესკული დედნების, მათ შორის, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ბერთუბნის მთავარი ტაძრის ცნობილი გამოსახულებების გაწმენდა-გასამაგრებლად დიდი შრომა გაწიეს ახალგაზრდა თაობის რესტავრატორებმა გიორგი მინდორაშვილმა და დავით გაგოშიძის ჯგუფმა ვახტანგ ჯანაშიას, ზურაბ მიქელაძის, გიორგი გაგოშიძისა და თეიმურაზ გოცაძის მონაწილეობით. ამ შრომის შედეგად ბიჭვინთის იატაკის მოზაიკის, ბერთუბნის, ნაბახტევისა და ჭალის ეკლესიათა ფრესკული ფრაგმენტები, ნიუ იორკის მეტროპოლიტან მუზეუმის წამყვანი სპეციალისტების – ბიზანტიის კოლექციების კურატორ ელენ ევანსის, რესტავრატორ ჟაკ სულთანიანისა და დიზაინერ დენიელ ქერშოუს ქმედითი კონსულტაციების გათვალისწინებით, თანამედროვე საგამოფენო სივრცისთვის შესაფერისი ფორმით მომზადდა.

1996 წლის ნოემბერში ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიისა და გარეჯის კვლევის ცენტრის ექსპედიციამ დავითგარეჯის ლავრიდან დაახლოებით 14 კილომეტრის დაცილებით, თეთრი უდაბნოს სერის სამხრეთ ფერდზე, მიაგნო უძველესი გამოქვაბული კომპლექსის ნაშთს, რომელსაც „თეთრი უდაბნო" უწოდა. ექსპედიციამ, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრო გრძივი ბზარით დაზიანებულ, სანახევროდ ჩამოშლილი ეკლესიის საკურთხევლს. მასში VII-VIII საუკუნეების უნიკალური ფერწერის ფრაგმენტები აღმოჩნდა: წრიულ ნათებაში ჩაწერილი ჯვარი, გარემოცული სამოთხის ბაღზე მიმანიშნებელი პალმებით და „მირქმის" სცენა [Skhirtladze Z. 2000: 149-167; სხირტლაძე ზ. 2008: 114-117]. მხატვრობა 1997-1999 წლების პროექტის (INTAS) ფარგლებში 1999-2000 წლების დეკემბერ-იანვარში მოიხსნა [ბუჩუკური მ. 2001: 259-262. სურ. 5-12], ხოლო მოგვიანებით, 2007-2008 წლების ოქტომბერ-აპრილში, აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაფინანსებითა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობით მოხდა ფრესკების რეაბილიტაცია-კონსერვაცია [თეთრი უდაბნოს ფრესკები. საინფორმაციო ბუკლეტი: 2007-2008].

ამ უნიკალური ძეგლის გადასარჩენად განხორციელებული პროექტების მოთავე და სულისჩამდგმელი მისი აღმოჩენისა და სახელ-

დების დღიდან მუზეუმში დაბინავებამდე შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის გამოცდილი მკვლევარი ზაზა სხირტლაძეა. მასთან ერთად ფრესკების მოხსნის პირველი ეტაპი შეასრულა რესტავრატორთა ჯგუფმა მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით, ხოლო მოხსნილი ფრაგმენტების სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები – რესტავრატორებმა ამირან გოგლიძის ხელმძღვანელობით.

თეორი უდაბნოს უძველესი ფრესკების შემორჩენილი მკრთალი ფრაგმენტების მუზეუმში გადმოტანით გაგრძელდა საუკუნოვანი ტრადიცია ქართული კულტურისა და, კერძოდ, ქართული ფრესკის მოამაგე განსაკუთრებული ადამიანების მოღვაწეობისა, რომელთა მოქმედება „უხმაურო", ხშირად დაუმსახურებლად შეუმჩნეველიც, მაგრამ მათი ნაღვაწის გარეშე, ვინ იცის, რამდენად გაღარიბდებოდა ქართული კულტურა.

## ART CRITICISM


**Nino Chikhladze**

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: nino_chikhladze@yahoo.com


# To the History of Studying and Preserving Medieval Georgian Murals


### Summary

The Georgian fresco of the middle ages is a special part of our national culture. Its importance is defined not only from its being high in value. Portraits of historical persons, old Georgian inscriptions, details describing the mode of life, ideological accents and expressions of state policy make frescoes a visible chronicle of the Georgians' life and of those defining this policy. In the 19th c., when Georgia became a part of Russia, interest in Georgian wall painting became insignificant, as for Russian researchers of Byzantine Art the Georgian fresco remained the expression of "the greatest decline of the Byzantine style".

The situation changed from the beginning of the 20th century. The Historical-Ethnographic Society, founded in 1907 by the great researcher of Georgian culture Eqvtime Takaishvili, made first steps in copying frescoes. Then the Society of Georgian Artists, founded in 1916 by the well-known public figure Dimitri Shevardnadze, followed the Historical-Ethnographic Society. Both of them organized the first exposition of Medieval Georgian murals. It took place in former "Temple of Glory" in 1917. It was the first public and large-scale exhibition of national culture. A huge

public interests towards it proved the fact. A new stage of scientific study of the Georgian frescoes begins after the expeditions of 20s, initially connected with the monastic complex of David Gareja. At the same time a new method of making copies was used by the artists invited from Leningrad Tatiana and Boris Shevjakovs, Elena Sachavets-Fjodorovich, Natalya Tolmachevskaja. The new method meant the creation of copy-facsimile. The copies of Georgian wall paintings carried out at various times by Tatiana Shevjakova, Sofia Mirzashvili, Mary Mikeladze-Bagrationi and other copyists, are trustful and valuable, because of maximum authenticity with the original.

Today, the Georgian National Museum houses a unique collection of Georgian wall paintings, in the creation of which several generations of copyist artists contributed greatly. (Among them were: M. Sheibler, L. Khitarishvili, L. Tsutsqiridze, G. Khutsishvili, N. Nakhutsrishvili, O. Sulava, K. Todua, K. Bakuradze). These frescoes could be considered as originals as some of their originals were indeed lost, the others have been much changed or are inaccessible, being on occupied territory. But the main thing is that the collection shows a picture of the rich Georgian culture of the Middle Ages, the variety of art styles and schools. To see them together is possible only in the museum.

Another tradition of saving frescoes is also connected with the museum. Even in the early 30s by the initiative of Dmitri Shevardnadze and with the participation of artists Severian Maisashvili and Shalva Abramishvili, mosaic fragments of the altar conch from Tsromi Church of the Ascension (7th century) and fragments of frescoes Nabakhtevi's Church of the Virgin were removed to the museum. In the 60 s owing to architects and restorers _ Nukry Alkhazishvili, Otar Tortladze, Temur and Shalva Abramishvili_ fearless decisions and professionalism, portraits of Queen Tamar and King Lasha Giorgi were carried from Bertubani Monastery to the museum. The importance of saving these frescoes should not be underestimated.

In 1996 the expedition of the "Laboratory of restoring the monuments of Art" and "the center of Gareja research" discovered the ruins of a cave complex in Gareja desert which subsequently was named "Tetri Udabno". The expedition was just in time. The altar screen of the church was half destroyed. Fragments of unique wall painting dated from 7-8th cc represented a cross in a shining circle flanked by palm trees, specifying Paradise and the scene of "The Presentation at the Temple". Later, in October-April 2007-2008, owing to the financial fund for cultural heritage protection of the USA Embassy and the National Museum of Georgia, the frescoes were restored and preserved. The art historian and researcher of Georgian wall paintings of the Middle Ages Zaza Skhirtladze was the initiator of the project of saving the unique art monument from the date of its discovery till its housing in the museum. The first stage of the removal of the frescoes was carried out by a group of restorers headed by Merab Buchukuri. Restoration and conservation works of the removed frescoes were performed by restorers under the guidance of Amiran Goglidze.

By housing these faded fragments of old frescoes from "Tetri Udabno" the centuries-old tradition of Georgian culture has been continued. The guarding activity of particular people, whose work is "quiet" and often unfairly unnoticed, is very effective. Who knows how would be Georgian culture pauperized if not those people's merit.

## ბიბლიოგრაფია

**ბერიძე ვ. 1993:** *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 50 წელი.* თბილისი (რედ. ნ. ჯანბერიძე).

**ბურჭულაძე ნ., გაგოშიძე გ., გაგოშიძე თ., იაკობაშვილი ირ., კიტოვანი ნ., ქავთარაძე მ., ქვარიანი თ. 1986:** *საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ტ. შევიაკოვას ნამუშევართა კატალოგი.* თბილისი.

**ბუჩუკური მ. 2001:** გარეჯის ფრესკების რესტავრაცია: შედეგები და პერსპექტივები, *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში, გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი.* გვ. 254-275. თბილისი (რედ. ზ. სხირტლაძე).

**გამოფენა ძველის ქართულის საეკლესიო ფრესკებისა „დიდების ტაძარში" გოლოვინის პროსპექტზე. 1916-1917:** გამოფენის კატალოგი. ტფილისი.

**გეირო რ. 2009:** კავკასიური მოტივი ზდანევიჩის შემოქმედებაში. *კირილე ზდანევიჩი, ილია ზდანევიჩი. თბილისი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.* გვ. 93-95. თბილისი (რედ. ი. არსენიშვილი).

**თეთრი უდაბნოს ფრესკები. VII-VIII სს. გარეჯის უდაბნოს ადრე შუა საუკუნეების მონასტერში მოხსნილი მხატვრობის გამაგრება-რეაბილიტაციის გადაუდებელი სამუშაოები. 2007 წლის ოქტომბერი – 2008 წლის აპრილი:** საინფორმაციო ბუკლეტი. თბილისი.

**ლომთათიძე გ. 1990**: *ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი.* თბილისი (რედ. თ. ტურიაშვილი).

**ლორთქიფანიძე ი. 1973**: *ნაბახტევის მხატვრობა.* თბილისი (რედ. თ. ვირსალაძე).

**მეტრეველი რ. 1982:** *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ისტორიული ნარკვევი. მასალები.* თბილისი.

**სემხმხმფ. ფ. 1. 1916**. აღწ. 1, საქმე №4, გვ. 5, 22.

**სემხმხმფ. ფ. 1. 1917**. აღწ. 1, საქმე №4, გვ. 25, 29.

**სემხმხმფ. ფ .1. 1919**. აღწ. 1, საქმე №11, გვ. 1-2.

**სხირტლაძე ზ.** ქართული ფრესკის პირველი გამოფენა, *საბჭოთა ხელოვნება,* 1988: №1. გვ. 105-119. თბილისი.

**სხირტლაძე ზ. 2008:** *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა. თელოვანის ჯვარპატიოსანი.* თბილისი.

**ტაბიძე ტ. 1966**: ლადო გუდიაშვილი. *თხზულებანი სამ ტომად. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზ.* ტ. 2. გვ. 169-172. თბილისი (რედ. შ. დემეტრაძე).

**ჩიხლაძე ნ. 1989**: *საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სოფიო მირზაშვილის ნამუშევართა კატალოგი.* თბილისი.

**ძუცოვა ი., ხარატიშვილი ნ. 1999:** ხელნაწერთა მემუარული განყოფილება. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები.* ტ. V. გვ. 192-196. თბილისი (რედ. ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

**ხარატიშვილი ნ. 2004:** მუზეუმის მოამაგენი. *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები.* ტ. IX. გვ. 206-207. თბილისი (რედ. ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

**ჯავახიშვილი ი. 1966:** ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას – მოხსენება, „*ძეგლის მეგობარი*" №7. გვ. 43-51. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).
**Амиранашвили Ш. 1957:** *История грузинской монументальной живописи*. т. I. Тбилиси (ред. Л. Мацулевич).
**Иосебидзе Д. Лидов А. 1985:** *Средневековые фрески Грузии, каталог выставки*. Москва (ред. Т. Саникидзе).
**Кондаков Н. 1876:** Древняя архитектура Грузии. Древности. *Труды Московского Археологического общества.* VI сс. 256-261. Москва.
**Смирнов Я. 1935**: *Цромская мозаика, посмертное издание*. Тифлис.
**Такаишвили Е. 1952**: *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии*.Тбилиси (ред. А. Шанидзе).
**Такаишвили Е. 1905:** *Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, Археологические экскурсии, разыскания и заметки,* вып. I. Тифлис.
**Толмачевская Н. 1930**: *Фрески древней Грузии*. Тифлис.
**Чубинашвили Г.1948:** *Пещерные памятники Давид-Гареджи*.Тбилиси.
**Щербатова-Шевякова Т. 2004:** *Нередица.*Москва.
**Шервашидзе Л. 1980:** *Средневековая монументальная живопись в Абхазии.* Тбилиси (ред. В. Беридзе).
**Skhirtladze Z. 2001:** Newly Discovered early Paintings in Gareja Desert, *Eastern Approaches to Byzantium*, p. 149-167. Aldershot (ed. A. Eastmond).

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ 1.** ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესია. ჩიქვანთა საგვარეულოს წარმომადგენლები. XVII ს-ის მეორე ნახევარი. ასლი დავით კაკაბაძისა. 1913 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.
**სურ. 2.** 1916 წლის ნაბახტევის ექსპედიციის ჯგუფი სოფელ ავლევში მასპინძლის, კონსტანტინე ამირეჯიბის ოჯახის წევრებთან ერთად. მარცხნიდან: გიორგი ერისთავი, დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი, მოსე თოიძე, 14 წლის ირაკლი თოიძე და ლადო გუდიაშვილი.
**სურ. 3.** ნაბახტევის ღმრთისმშობლის ეკლესია. მძლეველი წმ. გიორგი. 1412-1431 წწ. შემცირებული ასლი ლადო გუდიაშვილისა. 1916 წ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
**სურ. 4.** ნაბახტევის ღმრთისმშობლის ეკლესია. ქუცნა ამირეჯიბი ოჯახთან ერთად. 1412-1431 წწ. შემცირებული ასლი ლადო გუდიაშვილისა. 1916 წ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
**სურ. 5.** ნაბახტევის ღმრთისმშობლის ეკლესია. მეფე ალექსანდრე დიდი. 1412-1431 წწ. შემცირებული ასლი ლადო გუდიაშვილისა. 1916 წ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
**სურ. 6.** მარტვილის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. გიორგი ლიპარტიან- ჩიქვანი ოჯახთან ერთად. XVII ს.-ის 80-იანი წლები. ასლი მერი მიქელაძე-ბაგრატიონისა. 1937 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

**სურ. 7.** მერი მიქელაძე-ბაგრატიონი. შვეიცარია. ლოზანა. 1914-1916 წწ.
**სურ. 8.** სოფიო მირზაშვილი მცირეწლოვან ვაჟთან, თენგიზ მირზაშვილთან ერთად. XX ს.-ის 30-იანი წლები.
**სურ. 9.** ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია. მძლეველი წმ. გიორგი. XII ს.-ის 30-იანი წლები. ასლი სოფიო მირზაშვილისა. 1947 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.
**სურ. 10.** ახტალის ღმრთისმშობლის ეკლესია. ორნამენტული მოტივი. XIII ს. დასაწყისი. შემცირებული ასლი ტატიანა შევიაკოვასი, 1945 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
**სურ. 11.** დავითგარეჯი. საბერების სამონასტრო კომპლექსი. VIII ეკლესიის სამხრეთი კაპელა. მთავარანგელოზი. X ს. დასაწყისი. ასლი-რეკონსტრუქცია ტატიანა შევიაკოვასი, 1981 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Nakuraleshi Church of St.George. Chikvani family members. The 2nd half of 17th c. Copy of D. Kakabadze, 1913. The Georgian National Museum, Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.
**Fig. 2**. The Group of Nabakhtevi expedition with the host Konstantine Amirejibi's family members in the village Avlevi in 1916. From left to right: Giorgi Eristavi, Dimitri Shevardnadze, Mikheil Chiaureli, Mose Toidze, 14 years old Irakli Toidze and Lado Gudiashvili.
**Fig. 3.** Nabakhtevi Church of the Holy Virgin. Warrior St. George on horseback. 1412-1431. Reduced copy of L. Gudiashvili, 1916. The Georgian National Centre of Manuscripts.
**Fig. 4.** Nabakhtevi Church of the Holy Virgin. Qutsna Amirejibi with his family. 1412-1431. Reduced copy of L. Gudiashvili, 1916. The Georgian National Centre of Manuscripts.
**Fig. 5.** Nabakhtevi Church of the Holy Virgin. King Aleksandre the Great.(1412-1431). Reduced copy of L. Gudiashvili, 1916. The Georgian National Centre of Manuscripts.
**Fig. 6.** Martvili Cathedral of Dormition. Giorgi Lipartian-Chikvani with his family. 80s of the 17th c. Copy of M. Mikeladze-Bagrationi, 1937. The Georgian National Museum, S. Janashia Museum of Georgian History
**Fig. 7.** Mary Mikeladze-Bagrationi, Switzerland. Lausanne. 1914-1916 .
**Fig. 8.** Sofa Mirzashvili with her underage son Tengiz Mirzashvili. 30s of the 20th c.
**Fig. 9.** Nakipari Church of St. George. Warrior St. George on horseback. 30s of the 12th c. Copy of S. Mirzashvili, 1947. The Georgian National Museum, Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.
**Fig. 10.** Akhtala Church of the Holy Virgin. Ornamental motif. Beginning of the 13th c. Reduced copy of T. Sheviakova, 1945. The Georgian National Museum, Sh.

Amiranashvili Museum of Fine Arts.

**Fig. 11.** Gareja. Monastic complex of Sabereebi. The South Chapel of the 8th c. church. Archangel. Beginning of the 10th c. Copy-Reconstruction of T. Sheviakova, 1981. The Georgian National Museum, Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



**სურ. 3 Fig.**

**სურ. 4 Fig.**



სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 310-336
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 310-336

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**გულნაზ ბარათაშვილი,* ნანა ბურჭულაძე***

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: zvibar2000@gmail.com
nburchuladze@museum.ge

# ფერწერული ხატები და ნაქარგი ქსოვილები წმინდა ესტატე პლაკიდას გამოსახულებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

წინამდებარე ნაშრომში განხილულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის რამდენიმე ექსპონატი, რომლებიც დღემდე არ ყოფილა სათანადოდ გამოკვლეული, თუმცა, ზოგ მათგანზე გარკვეული ინფორმაცია უკვე გავრცელებულია საეკლესიო პერიოდიკაში [ბურჭულაძე ნ. 2003: 28-30; ბარათაშვილი გ.,ბურჭულაძე ნ. 2012: 45-50]. აღნიშნული ექსპონატები განსხვავებულია მასალით, ტექნიკით, ქრონოლოგიითა და ფუნქციითაც კი, მაგრამ მათ აერთიანებს შინაარსი. ნათქვამი ეხება ფერწერულ ხატსა და ნაქარგ ქსოვილებს, რომლებზეც წარმოდგენილია წმ. ესტატე პლაკიდას სასწაული ან ამ სასწაულის შედეგად ქრისტეს რჯულზე მოქცეული მისი ოჯახი.

წმინდა ესტატე პლაკიდა (პლაციდიუსი) ერთნაირად პატივმიგებული წმინდანია ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. იგი იმპერატორების – ტიტუსისა (79-81 წწ.) და ტრაიანეს (98-117 წწ.) დროს სათავეში ედგა რომაელთა ჯარის ნაწილს და სახელი გაითქვა განსაკუთრებული შემართებითა და მრავალი საბრძოლო გამარჯვებით. უძლეველ მხედართმთავარს მოცალეობის ჟამს ნადირობა უყვარდა. ერთხელ, ირემს გამოდევნებული, იგი უჩვეულო ამბის მოწმე გახდა – მშვილდ-ისრის დამიზნების შემდეგ ცხოველს რქებს შორის მაცხოვარი გამოესახა, რომელმაც მას ასე მიმართა – „პლაციდიუს, რაისა მდევნი მე? მე ვარ უფალი იესო ქრისტე, კაცთა ხსნისთვის განხორციელებული, რომელსა მსურს მოგაქციო ჭეშმარიტებაზე სიკეთისათვის შენისა და მსურს შეგაერთო სამწყსოსა ჩემსა". ამ სასწაულის შემდეგ პლაციდიუსი ესტატეს (იმავე ევსტათის) სახელით ცოლ-შვილთან ერთად მოინათლა, რისთვისაც კერპთთაყვანისმცემელთაგან ჯერ წაერთვა ოჯახი და ქონება (მართალი იობის მსგავსად), შემდეგ ყველაფერი დაუბრუნდა, ბოლოს კი, მეუღლესა და ორ ვაჟთან ერთად, გახურებულ რკინის ღუმელში აღესრულა, მაგრამ, ღვთის განგებით, ისე მოხდა, რომ გარდაცვლილ მოწამეთა ცხედრები შეუწველი დარჩა.

შემთხვევითი არაა, რომ წმ. ესტატეს სასწაულის მონაწილე ირემი

აღმოჩნდა, ვინაიდან, ქრისტიანული სახისმეტყველებით, ირემი სახე-სიმბოლოა უფლისა. იგი „ვითარმედ ჯეკმა მტერ არის გუელისა. და რა ჟამს იხილოს და ივლტინ გუელი და შთაჴდის ჴუერელად,მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თჳისნი წყლითა წყაროჲსაჲთა და მივიდის ჴურელად,სადა-იგი გუელი დამალულ არს და დაასხის წყალი იგი და აღავსის ჴურელი იგი,ვიდრემდე გამოჴდის გუელი იგი და დათრგუნის ფერჴითა და მოკლის. ეგრეცა მაცხოვარმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მოკლა დიდი იგი ვეშაპი ეშმაკი წყლითა ცისაჲთა,რომელი აქუნდა ღმრთეებისა სიბრძნისგან, რომელსა წყალსა ვერ დაუდგნეს ვეშაპთა ეშმაკთა” [მხეცთათჳს... 1979: 190]. ისე რომ,პლაციდიუსს უფალი გამოეცხადა სიტყვითაც (მამა ღმერთი), სახიერადაც (ძე ღმერთი – იესო ქრისტე) და სიმბოლურადაც (ირემი).

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ წმ. ესტატემ უფალი საკუთარი თვალით იხილა. დასტურად ამისა, ადრექრისტიანული ხანის იკონოგრაფიაში ირმის რქებს შორის ადამიანის სახე და ჯვრული შარავანდი მოჩანს. იგი ისეა გარშემოწერილი რქებით, რომ წრიულ მანდორლაში გამოსახულ უფლის ხელთუქმნელ ხატს – „პირი ღვთისას” ჰგავს. ხელთუქმნელი ხატები კი,ეკლესიის სწავლებით, ვიზუალური მტკიცებულებაა ხატის ღვთივკურთხეულობისა და მისი არსებობის აუცილებლობისა,რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა იმ დროს, როცა ბიზანტიაში ხატმებრძოლეობა მძვინვარებდა (VIII-IX სს.). სწორედ უფლის ხელთუქმნელი ხატები მოჰყავდათ არგუმენტად ხატთა აპოლოგეტებს მათი არსებობის აუცილებლობის ასახსნელად.

ამდენად,წმ. ესტატეს სასწაულის ამბავსა და მის საფუძველზე შექმნილ ხატებს იდეურად მრავალმხრივი დატვირთვა მიეცა. ისინი თეოფანიას, მის შედეგად ადამიანის მოქცევას, მარტვილობის ღვაწლსა და ხატის გამოცხადების სასწაულს ასახავდა. ამიტომ, ეს თემა მთელ საქრისტიანოში თავიდანვე ფართოდ გავრცელდა და,ცხადია,რომ იგი ქართულ საეკლესიო ხელოვნებაშიც სათანადოდ აისახა.

ნიშანდობლივია, რომ წმინდანის სასწაულის ყველაზე ადრეული გამოსახულებები სულიერად ისეთ მონათესავე ქვეყნებს შემორჩა,როგორებიც კაბადოკია და საქართველოა. მათ შორის კი უმეტესი ქართული ძეგლებია [დიდებულიძე მ. 1992]. წმ. ესტატეს ნადირობის VI-VIII საუკუნეების რელიეფური გამოსახულებები შემორჩა: გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის სტელას [Чубинашвили Н. 1972: 90-91. таб. 62-63], ატენის სიონისა და მარტვილის ღვთისმშობლის ტაძრების ფასადებს [Аладашвили Н. 1977: 48-56. таб. 2, 3] და აგრეთვე წებელდის კანკელის ფილას [Шмерлинг Р. 1980: 62-69. таб. 2,3; Чубинашвили Н. 1972: 86-90. таб. 62]. დასახელებულ ნიმუშთაგან,წებელდის ფილისა და მარტვილის ტაძრის რელიეფების თარიღის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები გვხვდება, თუმცა, მათი ზედა ზღვარი IX-X საუკუნეებს მაინც არ სცილდება.

ქვაზე კვეთილობის გარდა, წმ. ესტატეს სასწაული განვითარებული შუა საუკუნეების ხელოვნების სხვა დარგების ნიმუშებზეც გვხვდება. მათ შორისაა: იფრალის, ლაღამისა და ლაშთხვერის ეკლე-

სიების ფასადების XI, XV საუკუნეების მხატვრობა [Аладашвили Н., Вольская А. 1987: 103, 105-106]; ზენობანის [Вельманс Т. 1983; Дидебулидзе М. 1983], ნუზალისა [ჩიხლაძე ნ. 2004: 100-101] და საფარის ტაძრების XIII-XIV საუკუნეების მოხატულობა [ხუციშვილი გ. 1988: 64-66, 89-91][1]. გვიანი შუა საუკუნეების ძეგლთაგან წმ. ესტატეს გამოსახულებებს წარმოგვიდგენს ქვემო ილემისა და ქორეთის ეკლესიების XVI-XVII საუკუნეების ე.წ. ხალხური მოხატულობები [ხუსკივაძე ი. 2003: 166, 195-196], ერთაწმინდის ტაძრის XVII საუკუნის მხატვრობა, XVIII-XIX საუკუნეების ფერწერული ხატები და საფასადო სკულპტურა, XVIII-XIX საუკუნეების ნაქარგობის ნიმუშები, XVII საუკუნის ფერწერული ხატი ყარა-ბულახიდან და ა.შ.

ცხადია, დასახელებული ძეგლები სრულად არ ასახავს ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებების ქრონოლოგიურ დიაპაზონსა და გავრცელების არეალს. მათი რიცხვიც გაცილებით მეტია და თავის დროზე კიდევ უფრო ბევრი იქნებოდა. ისიც ფაქტია, რომ წმ. ესტატეს დღემდე შემორჩენილი ყველა გამოსახულება ჯერ გამოვლენილი და შესწავლილი არაა[2].

რაც შეეხება „ნადირობის" არაქართულ ნიმუშებს, ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მათ შორისაა XIII საუკუნის კაბადოკიური მოხატულობები, IX-XIII საუკუნეების ბიზანტიურ ხელნაწერთა (ძირითადად, ფსალმუნთა) ილუსტრაციები, XII-XIII საუკუნეებისა და მომდევნო ხანის კათოლიკური ტაძრების ტრაპეზებისა და სვეტისთავების რელიეფები, ვიტრაჟები და სხვ. [Вельманс Т. 1983].

როგორც ირკვევა, ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში წმ. ესტატეს თემა განსხვავებული იკონოგრაფიული რედაქციებით გადმოიცემა. აღმოსავლეთში უპირატესობა ენიჭება „სასწაულს", დასავლეთში კი აქცენტი მის ოჯახზე კეთდება. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ესტატესა და მისი ცოლ-შვილის წამების ეპიზოდები კაბადოკიურ მხატვრობაშიც გვხვდება [Вельманс Т. 1983].

ამასთან, როგორც ყველა სხვა თემა, წმ. ესტატეს სასწაულიც სხვადასხვა იკონოგრაფიული ვერსიით ვრცელდება. მხედარი ზოგან ისარს უმიზნებს ან ესვრის ცხოველს (ასეთ შემთხვევებში ისრის წვერი, სასწაულის ძალის ნიშნად, ხშირად მოღუნულია), ზოგან ევედრება მას. არის ვარიანტები, სადაც იგი, ცხენიდან ჩამომხდარ-მუხლმოყრილი ლოცულობს ირმის მიმართ. ადრეულ ნიმუშებში ცხოველის რქებს შორის ძირითადად უფალი მოჩანს, გვიანებში – მას ჯვრის ან ჯვარცმის გამოსახულება ენაცვლება.

სხვადასხვა იკონოგრაფიული სქემითაა გადმოცემული წმინდანის თემა იმ მასალაზეც, რომელიც ხელოვნების მუზეუმშია დაცული. მათ განხილვას დავიწყებთ ფერწერული ხატით, რომელიც ნაქარგობის ნიმუშებზე ადრინდელია და ძალზე საინტერესოა იკონოლოგიური თვალ-

[1] საფარის წმ. საბას ტაძარში „წმ. ესტატეს ხილვა" განსაკუთრებულადაა აქცენტირებული. იგი დასავლეთ კედელზე, „განკითხვის დღის" ზემოთ, რეგისტრის მთელ სიგრძეზე, ფართოდაა გაშლილი, რითიც ხსნის დოგმატთან ამ თემის უშუალო კავშირი მიგვენიშნება..

[2] წმ. ესტატეს გამოსახულებები ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებსა და, მათ შორის, ხელოვნების მუზეუმის ექსპონატებზეცაა, მაგრამ მათი კვლევა-ატრიბუცია ამჯერად ჩვენი მიზანი არ ყოფილა.

საზრისითა და მხატვრული სტილის თავისებურებებითაც.

ეს არის მცირე ზომის (20,5X15 სმ) თხელ დაფაზე ტემპერის საღებავებით შესრულებული ხატი,რომელიც ყარაბულახის ჩოლოყაშვილთა ეკლესიას ეკუთვნოდა. იგი 1932 წელს იმხანად თბილისში მოქმედი ქართული ხელოვნების მუზეუმისთვის ლევან ლეონიძეს ჩაუბარებია (სურ. 1). ხატი ამჟამად ხელოვნების მუზეუმის ფერწერული ხატების ფონდში ინახება (სხსმ "ხ" 561). მისი ფერწერის დაზიანებული ადგილები ტონირებულია, მაგრამ ხატწერის ყველა მახასიათებელი ნიშანი გარკვევით იკითხება.

ხატზე წმინდა მხედარი ვედრების პოზაშია. მისი მზერა და ხელები ცხენის თავს ზემოთ მოთავსებული ირმისკენაა მიპყრობილი. ცხოველს გატოტილ-გადაშლილ რქებს შორის დიდი ზომის ჯვარი მოუჩანს. რქები ანტიკური და ადრექრისტიანული ხანის იკონოგრაფიიდან კარგად ცნობილ სიცოცხლის ხესა ჰგავს. „ხის" ტოტებზე მოკლე შტრიხებისგან შემდგარი სამკაპა განშტოებები კი სიმბოლურად ყოვლადწმინდა სამების დოგმატს უკავშირდება.

საყურადღებოა, რომ ხატზე არ ჩანს მშვილდისარი და მხედრის იარაღი, აქცენტირებული კი იყო, მხოლოდ განსაკუთრებულად გრძელი შუბია, რომლის თავი ლითონის მსხვილი, წამახვილებული პირით სრულდება, ბოლო კი მიწას ებჯინება. შუბი დიაგონალურადაა დახრილი, რითაც მას კომპოზიციის საერთო, სწორხაზოვან წყობაში ერთგვარი დინამიკა შეაქვს. იგი მხედრის მავედრებელ ხელსაა მიყრდნობილი, ისე თითქოს „თავისით დგას". პირობითია მხედრის მოძრაობაც, რასაც განაპირობებს მისი სხეულის სხვადასხვა რაკურსით ჩვენება. წმ. ესტატეს თავი 3/4 ბრუნშია, ფიგურა წელამდე ფრონტალურია, ფეხი კი თითქმის სრული პროფილითაა ნაჩვენები, რის შედეგად მხედარი თითქოს ამოძრავებულია. მისგან განსხვავებით, ცხენის დიდი და მოუხეშავი, მოყავისფრო სხეული იმდენად სტატიკურია, რომ უღონოდ დაშვებულ კისერზე თავიც კი უსიცოცხლოდ „ჰკიდია". ირმის ფიგურაც ცხენისებურად გახევებულია, თუმცა, მისი მკერდი 3/4 ბრუნში, ხოლო თავი პროფილშია.

კომპოზიცია ხატზე ისეა განაწილებული, რომ თითქმის ავსებს დაფას და ცხენის გამონასკვული სქელი კუდი თეთრზოლმოვლებული ჩარჩოს ქანობსაც კი ფარავს. ამ ხერხით მხედარიცა და ცხოველებიც „მსხვილი პლანით" – ახლო ხედით ჩანან.

ხატის კოლორიტი ძირითადად ლოკალური და კონტრასტული ფერებისგან შედგება. მასში ოქრო, მწვანე, მოვარდისფრო ყავისფერი, ღია წაბლისფერი, შინდისფერი და კაშკაშა წითელი (სინგური) ფერები ერთიანდება. ფონის ზედა ნაწილი ჰაეროვნად ღია, ქვედა კი მძიმედ მუქი მწვანეა. ცხენი და ირემი სრულიად მონოქრომულია. მიუხედავად მხედრის გამოსახულების ერთგვარი გაშეშება-მოუქნელობისა, მისი „გაფრიალებული" წითელი მოსასხამით, მუქი მწვანე აბჯრით, თეთრით დამუშავებული შინდისფერი ტუნიკითა და რეიტუზით, ოქროს შარავანდის ბზინვარებითა და აბჯრისა და ცხენის წითელი საფენის ოქროსავე საოლველით სადღესასწაულო ფერადოვნება და შესაბამისი განწყობა იქმნება.

ხატის სტილი და წერის მანერა სიბრტყობრივ-დეკორატიულია. დეკორატიულობის ეფექტს აძლიერებს მსხვილად დატანილი შავი ფერის განმარტებითი წარწერის უკიდურესი აჟურულობა. გრაფემათა მომრგვალებულ, სტილიზებული ხვეულებით გაფორმებულ მოხაზულობას ემატება ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნების „ყვავილოვნებაც". ქარაგმის კლაკნილი ხაზი, ირმის რქების სამკაპებით მორთვის ანალოგიურად, სამფოთოლა მცენარეებით ირთვება. სამყურა ფოთლის ფორმითაა ოთხკუთხივ „გამონასკვული" ხატის მოჩარჩოების ვიწრო, თეთრი ზოლი, რომელიც მინიატიურების მოჩარჩოებას წააგავს. საფიქრალია, რომ აღნიშნული დეკორატიული დეტალებით კვლავ ყოვლადწმინდა სამების დოგმატზე ხდება მინიშნება.

ხატის დასათარიღებლად მნიშვნელოვანია, რომ თვით წარწერის პალეოგრაფიაში უკვე მჟღავნდება მისი გვიანდელობა, რაც მხატვრული გამოსახულების სტილის ნიშნებითაც მტკიცდება. წმინდანის მაღალი შუბლი, გრძლად გადაჭიმული შავი, სქელი წარბები, ცხვირის თითქოს ჩაღუნული თხემი, მჭიდროდ მოკუმული მსხვილბაგეებიანი პირი მკაფიო წითელი ქვედა ტუჩით, დაშვებული ლოყები, წაგრძელებული ჭრილის თვალები მუქი შავი კაკლებითა და შებერილ-შეშუპებული ქუთუთოებით აღმოსავლურ იერს ანიჭებს მას.

დამახასიათებელია სახის წერის მანერაც. ოვალი და ნაკვთები ნახატია შავი კონტურით. სახის მთელი ფართი ერთიანადაა დაფარული კომპაქტურად დატანილი პირისფერი საღებავით ისე, რომ მასზე საერთოდ არ ჩანს „შუქჩრდილი". სახისგან განსხვავებულადაა დამუშავებული სამოსი. ტუნიკისა და ვიწრო შარვლის ვარდისფერი ფუძე ინტენსიურადაა დაშტრიხული პარალელური თეთრი ხაზებით, რითაც შექმნილია მკვეთრი განათების ეფექტი. ამასთან ხაზების მიმართულება არ მიუყვება ფორმას, არამედ ძალზე პირობითი და სქემატურია. თავისებურია ხაზის ხასიათიც. იგი საკმაოდ სქელია და მკაფიოდ შემოწერს ფორმას, თუმცა, საკმაოდ არაპლასტიკური, ხისტი და ნაკლებგამომსახველია.

ხატის თარიღის დაზუსტებაში გვეხმარება შუა საუკუნეების საეკლესიო მხატვრობის ძეგლები, რომელთაგან მისი ყველაზე ახლო ანალოგებია ხელოვნების მუზეუმში დაცული შიომღვიმის მონასტრის კანკელზედა ხატები (სურ. 2), რომლებიც XVII საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება [ბ ურჭულაძე ნ. 2000: 36-37]. უახლოესი პარალელია ჩვენი ხატისთვის ანანურის ტაძარის გუმბათქვეშა ბურჯის ფრესკული ხატები [კვაჭატაძე ე., ჯანჯალია მ. 2012: 99, 102-103, 105, 107-109, 111] (სურ. 3), სვეტიცხოვლის ცხოველი სვეტის მოხატულობა (ქართული ქრისტიანული ხელოვნება. 2008: 239; ჩიხლაძე ნ. 2011: 250-255) და აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოში დაცული წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის ხატი (სურ. 4), რომლებიც შიომღვიმის ხატების მსგავსად XVII საუკუნის ბოლოსაა შესრულებული და სტილის თავისებურებებით ე.წ. მელქიტთა (არაბულენოვან ქრისტიანთა) ხელოვნებას უკავშირდება [ბურჭულაძე ნ. 2007: 134-138]. თავის მხრივ, ეს ფაქტი დამატებითი საბუთია იმისა, რომ საქართველოს XVII საუკუნეში ძალზე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმსა და ანტიოქიასთან.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩვენი ხატის მსგავსება მინიატურული მხატვრობის ნიმუშებთანაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია როგორც ხატის ფორმატის შესატყვისობა წიგნის ფურცლის ზომებთან, ასევე მხედრის სხეულისა და სახის ნაკვთების სიმცირე, წარწერის განსაკუთრებული აჟურულობა, ცალკეული დეტალების გულდასმით დამუშავების ხერხი და კომპოზიციის „ჩასმა" ვიწრო ზოლებით შედგენილ კუთხეებგამშვენებულ ჩარჩოში, რაც აახლოებს ყარაბულახის ხატის შესრულების მანერას მინიატურული მხატვრობისთვის დამახასიათებელ ხელწერასთან.

მინიატურული მხატვრობისთვის დამახასიათებელი მანერითაა შესრულებული აგრეთვე მუზეუმის კოლექციის კიდევ ერთი ფერწერული ხატი წმ. ესტატეს ნადირობის სცენით რომლისგანაც მხოლოდ მარცხენა ნახევარი შემორჩა (სხსმ "ხ" 670). მასზე წარმოდგენილია წითელ ცხენზე მჯდარი მშვილდოსანი მხედარი, რომელსაც ყარაბულახის ხატისგან განსხვავებით კომპოზიციის მარცხენა ნაწილი უკავია (სურ. 5). ამ მცირე ზომის (18 X 10 სმ) ხატის ფერწერა ძლიერაა ჩამუქებული, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი საკმაოდ ოსტატურადაა შესრულებული და მისი სტილის ნიშნებიც ყარაბულახის ხატის მხატვრულ მახასიათებლებს უახლოვდება, თუმცა ისინი მომდევნო პერიოდის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს. ეს კი, საშუალებას იძლევა, რომ ხატი XVII-XVIII საუკუნეებით დავათარიღოთ. სამწუხაროდ, ნაკლული ხატის წარმომავლობა უცნობია, ვიცით მხოლოდ, რომ თავის დროზე იგი საეკლესიო მუზეუმის ექსპონატს წარმოადგენდა, რაც სავარაუდოს ხდის, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე ეკლესიას ეკუთვნოდა.

ხელოვნების მუზეუმში ინახება წმ. ესტატეს სხვა, მოზრდილი ხატიც (74X65 სმ), რომელიც წინა ორისგან განსხვავებით ტილოზე ზეთის საღებავებითაა შესრულებული და თავის დროზე ხის მაღალ იკონოსტასს ეკუთვნოდა (სხსმ "ხ" 111). ხატზე წმინდანი გამოსახულია მეუღლესთან და ორ ვაჟთან ერთად (სურ. 6). მათ ვინაობას ასომთავრული წარწერები განმარტავს – **წმ. ევსტათი**, **მეუღლე მისი** და **ძენი**. ხატწერის სტილი, წერის მანერა, მასალა და ტექნიკა მიგვანიშნებს, რომ ეს ხატი სხვებთან შედარებით გვიანია და XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება. სამწუხაროდ, ამ ხატის წარმომავლობაც უცნობია, თუმცა, სამუზეუმო მასალის კლასიფიკაციის შესაბამისად, იგიც აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილ საეკლესიო ნივთთა შორის ხვდება.

განხილული ფერწერული ხატებისგან განსხვავებით, ხელოვნების მუზეუმში დაცული წმ. ესტატეს გამოსახულებიანი ნაქარგი ქსოვილების წარმომავლობა ძირითადად ერთაწმინდის ტაძარს უკავშირდება.

მათგან ერთი, თითქმის კვადრატული ფორმის ქსოვილი (50,7X53 სმ) საინვენტარო დავთარში გატარებულია როგორც ერთაწმინდიდან ჩამოტანილი ხატის ფარდა (სხმ/ნ 3564). მის მიწარს სანთლის ნაღვენთები ეტყობა, ფოჩები ნაკლულია, საკერებლები მოწმობს, რომ იგი რესტავრირებულია (სურ. 7). თვით ქსოვილი მუქი ყავისფერი ხავერდისაა და მასზე ნათლად იკვეთება ვერცხლისფერ ცხენზე ამხედრებული მამაკაცის ფიგურა, რომელსაც ახლავს განმარტებითი

ასომთავრული წარწერა – **წ(მინდ)ა ესტატე.** მხედარს ოქრომკედით მოსითვული გრძელი ტუნიკა და ვარდისფერ-წითელი ზეზით მოქარგული გაფრიალებული მდიდრული მოსასხამი მოსავს, აცვია მაღალყელიანი მწვანე წაღები, ხელში საბრძოლო იარაღი – გოგუთი (გურზი) უჭირავს, თავზე მუზარადი ხურავს. მისი ცხენიც მდიდრულადაა შეკაზმული; გადაფარებული აქვს ასალი, რომელსაც ჰორიზონტალურად გავლებული თეთრი, მწვანე და ცისფერი ზოლები დაუყვება. ცხენის წინ, რქებს შორის, ჯვრისგამოსახულებიანი ვერცხლისფერი ირემი დგას. ქსოვილის კუთხეებში ორფრთიანი უსხეულო ანგელოზები მოჩანს. მაყვლის ყვავილ-ფოთლების ზენარი მკაფიოდ აჩარჩოებს ცენტრალურ სცენას და ხაზს უსვამს ძირითადი გამოსახულების შინაარსობრივ მიზანსწრაფულობას – წმინდანის ნადირობისას მომხდარი სასწაულის წარმოჩენას. ქსოვილზე არსებული საქტიტორო წარწერის თანახმად – **„ესე შესაწირავი შევსწირე წმინდა ევსტატეს ელისაბედ. მამულოვის მეუღლემ".** სტილისა და ტექნიკის მიხედვით წინამდებარე ხატის ფარდა მამულაშვილის მეუღლეს XIX საუკუნეში მოუქარგავს.

შემდეგი ქსოვილი (48X44 სმ) ნაქარგი ხატია და იგიც ერთაწმინდის ტაძარს ეკუთვნოდა (სხმ/ნ 2706). ხატი თეთრ ატლასზეა შესრულებული. მასზე ნამაგრი სითვის ტექნიკითაა ნაქარგი წმინდა ესტატეს ნადირობის სასწაული (სურ. 8). გაჭენებულ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა წმინდანი, ნაცვლად ტრადიციული მშვილდისრისა, თოფს უმიზნებს ირემს. მისი თავი და ხელები ფერწერის ტექნიკითაა შესრულებული. წმინდანს აქვს მოკლედ დაყენებული ხშირი და ხვეული ღია წაბლისფერი თმა; ტანს მოსავს ძვირფასი ოქრონაყარი, მოვერცხლისფრო ქსოვილის მოკლე ტუნიკა – უკან გაფრიალებული, ვერცხლმკედით გაწყობილი მუქი ნაცრისფერი მოსასხამით. ცხენიც მდიდრულადაა მორთული: წითელი ვარდულებით შემკული ასალი ცალ მხარეს შავ-თეთრი საოლველითაა გაწყობილი. ცხენის საგულდაგულოდ დაწნული ფაფარი, ძვირფასი ლაგამი და სამკერდული მხედრის წარჩინებაზე მიანიშნებს. ირემიც საღებავებითაა ნახატი. მას, დაზიანების გამო, აკლია წინა ფეხები და „სასწაულის" მთავარი დეტალი – ჯვარი. მხედარი შარავანდის გარეშეა და არც პიროვნების აღმნიშვნელი წარწერა ახლავს, მაგრამ ეჭვი არაა, რომ აქ წმინდა ესტატეს პლაკიდას ნადირობის სასწაულის" გვიანდელი ვარიანტი უნდა იყოს გამოსახული. გვიანდელ პერიოდზე, გარდა იარაღისა, მიუთითებს აგრეთვე კომბინირებული ტექნიკა – მხატვრობისა და ქარგულობის ერთდროულად გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან ქართულ ნაქარგობაში გვხვდება უამრავი ნიმუში, რომლებზეც ამა თუ იმ პერსონაჟის სახე და ხელები დახატულია და არა მოქარგული. ამის მაგალითებია: მაცხოვრის სახე XVIII საუკუნის ენქერზე (სხმ/ნ 2904), ანგელოზთა სახეები ჭყონდიდელის XVIII საუკუნის მცირე ომოფორზე (სხმ/ნ 2208), წმ. ინოკენტისა და წმ. ნიკოლოზის სახეები XIX საუკუნის ფილონებზე (სხმ/ნ 3320 და 3321) და სხვ., რაც უდავოდ რუსული ხელოვნების გავლენით აიხსნება.

ქსოვილზე კარგადაა დაცული ლითონის ძაფებით (ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ზეზი) მოქარგული ფიგურები, ასევე წარწერა და ქსოვილის ის მონაკვეთი, რომელზედაც ეს ფიგურებია განთავსებული. ქსოვილის მოუქარგავი ზედა მარცხენა მხარე გაცვეთილი და დახეულია, და-

ზიანებულია ირმის ფიგურაც. რქებისა და წინა ფეხებისაგან შემორჩენილია მცირე ფრაგმენტები, ჯვარი რქებს შორის საერთოდ არ ჩანს. როგორც ირკვევა, მქარგველს ხატის შეკერვა ვერ მოუსწრია – ქსოვილის კიდეებზე წითელი და შავი ძაფის ბლანდები ჯერაც შემორჩენილია.

აღსანიშნავია, რომ ეს ხატი უახლოესი ანალოგია ერთაწმინდის ტაძარში დაცული ერთ-ერთი ფერწერული ხატისა (სურ. 9). ქსოვილზე თითქმის ზუსტადაა გადმოღებული კომპოზიციის ძირითადი ნაწილი, საქტიტორო წარწერის შინაარსი და ასოთა მოხაზულობაც. ორივე წარწერაში მოხსენიებულია გიორგი დიმიტრის ძე თარხან-მოურავი, რომელიც წმინდა ესტატეს ავედრებს თავის ვაჟიშვილს – ნიკოლოზს. ქსოვილის ტექსტი ასეთია: **„ცოდვილის თავად გიორგი დიმიტრის ძის თარხან მოურავისაგან შეისმინე ვედრებაჲ. წმიდაო ევსტატი შემიწყალე მეოხებითა და მფარველობითა შეავედრე ღმერთსა და შეწევნითა აღზარდე კეთილგონიერათ ძეი ჩემი ნიკოლოზ. შემწე იყავ და იხსენ ყოვლისა გაჭირვებისაგან და განსაცდელისაგან“.**

რაც შეეხება ხატის საქტიტორო ტექსტს – მისი დასაწყისი და ბოლო განსხვავებულია. წარწერის დასაწყისში ნათქვამია: „**შეიწირე ხატი ესე**...” ბოლოში კი მოცემულია ხატის შეწირვის თარიღი – **1854 წელი** (ბოჭორიძე გ. 2011: 50). აქედან გამომდინარე, ხელოვნების მუზეუმის ქსოვილი (სხმ/ნ 2706), რომელიც, უთუოდ ამ ხატის ასლია, ორიგინალის თანადროული უნდა იყოს.

ერთაწმინდის ტაძარს ეკუთვნოდა აგრეთვე XIX საუკუნის ხატის ფარდა (34X31 სმ), რომელიც ცისფერი ატლასის ქსოვილისგანაა შეკერილი (სხმ/ნ 3779) და წარმოგვიდგენს წმინდანის სასწაულის მოკლე ვერსიას (სურ. 10). ამ ქსოვილზე, „ტყის ფონზე“, მოჩანს მხოლოდ ირემი – რქებს შორის ჯვრის გამოსახულებით. კუთხეებში მოცემულია თითო ქერუბინი. კომპოზიციას ასრულებს ვერცხლმკედნარევი ფოჩებით შემოვლებული ყვავილ-ფოთლებისაგან შემდგარი მოჩარჩოება. ხატის ფარდა მოუქარგავს ვინმე ანნა ჩინჩალაძეს ფერადი აბრეშუმის ძაფითა და „ჯვრულის“ ტექნიკით. უაღრესად საყურადღებოა ქსოვილზე არსებული ტექსტი, რომელიც გვამცნობს, რომ მას იგი ერთაწმინდის ტაძარში დაბრძანებული წმინდა ესტატეს მკლავისათვის შეუწირავს: **„შევწირე სადღეგრძელოთ ჩემად წმინდა ესტატეს მკლავს ანნა ჩინჩალაძის ასულ 1845 წ”.**

ამ წარწერით ირკვევა, რომ წმინდა ესტატეს უხრწნელი მკლავი 1845 წელს ჯერ კიდევ ერთაწმინდაში ინახებოდა. ეს ფაქტი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ ტაძარი რამდენჯერმე გაიძარცვა და მასში ამჟამად წმინდანის წმინდა ნაწილები აღარაა.

ამის გარდა, წმ. ესტატეს ნადირობის სცენა ამოქარგულია გიორგი და გულქან აბაშიძეების მიერ შეწირულ XVIII საუკუნის საკოსზე (სურ. 15, 16). ეს სამღვდელმთავრო შესამოსელი (სხმ/ნ 1364) ათორმეტ დღესასწაულთა გამოსახულებებითაა მოროული და მათ წმ. გიორგისა და წმ. ესტატეს სასწაულებიც ემატება [ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე.;... 2011: 196]. წმ. ესტატეს ხილვა სამოსის წინა მხარეს, ქვედა ნაწილში, „ღვთისმშობლის მიძინების” გვერდითაა მოთავსებული, მის საპირისპიროდ კი, „ფერისცვალებასთან”, გამოსახულია „წმ. გიორგის მიერ ლასია ქალაქის მოქცევის სასწაული”.

საინტერესოა, რომ ხელოვნების მუზეუმში დაცული ქსოვილების

გარდა, წმ. ესტატეს გამოსახულება გვხვდება XVIII საუკუნის ნაქარგ ქსოვილებზე, რომელთაგან ერთი სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერში, ხოლო მეორე ინგლისში, ერთ-ერთ კერძო კოლექციაში ინახება. ეს უკანასკნელი იმითაცაა საინტერესო, რომ იგი მფლობელს სოტბის აუქციონზე შეუძენია [Lang D. 1964: 612]. ისინი წმინდანს სრულიად განსხვავებული იკონოგრაფიით წარმოგვიდგენს და მუზეუმის ქსოვილების ატრიბუციისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია.

სამთავროს ქსოვილი შესანიშნავადაა შენახული (სურ. 10). მისი სითვითნაქარგი წინა მხარეცა და სადა ზურგიც თითქმის დაუზიანებელია. სრულად ჩანს გამოსახულება, ფერადოვნება, განმარტებითი წარწერები, საქარგავი მასალა და ქარგვის ტექნიკა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ჩვენ წინაშეა გვიანი შუა საუკუნეების ხელოვნების მაღალი დონის ნიმუში, რომლის შემსრულებელიც ქარგვაში დიდად გაწაფული ყოფილა. მასალად მას გამოყენებული აქვს ლითონის ძაფები: ვერცხლმკედი – მიწარისათვის, ოქრომკედი – წმინდანთა შარავანდებისთვის, ზეზი – ფერადი აქცენტებისათვის, აბრეშუმის ძაფი კი – თმა-წვერისა და წარწერებისთვის. მას სამუშაო გვიანი შუა საუკნეებისთვის დამახასიათებელი, შედარებით მარტივი ხერხით – მხოლოდ „ტეხური“ და „სადა“ სითვის ტექნიკით შეუსრულებია და, მიუხედავად ამისა, მაინც მაღალმხატვრული დონის ნაქარგობა შეუქმნია. კომპოზიციაში კარგადაა შეხამებული ფერები, მტკიცე, გაწაფული ხელითაა გამოყვანილი განსხვავებული ფორმის ნაწილები (ადამიანთა და ცხოველის ფიგურები, მთები, ხეები, ნიადაგი), ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოცემული დეტალები და თითოეულ სახეს ინდივიდუალური გამომეტყველება აქვს.

ნაქარგი სცენა ორნაწილიანია – მარცხნივ ფრონტალურად დგას წმ. გიორგი, რომელიც მის გვერდით გამოსახულ სხვა წმინდანებს ერთგვარად ემიჯნება; მარჯვნივ, მისგან ზურგშექცევით, წარმოდგენილია მასზე გაცილებით ახოვანი წმინდა ესტატე ცოლ-შვილთან – თეოპისტიასთან, თეოპისტესა და აღაპისთან ერთად (წმ. გიორგისა და წმ. ესტატეს ასომთავრული წარწერებისგან განსხავავებით, ამ უკანასკნელის ცოლ-შვილის წარწერები მხედრულია). წმ. გიორგი უწვერულია, წმ. ევსტათის მუქი, მოკლედ შეჭრილი თმა-წვერი აქვს. ორივეს მეომრის სამოსი – მოკლე ტუნიკა, აბჯარი და მუხლამდე წაღები აცვია. წმ. ესტატეს „ქერცლიან” აბჯარზე წითელი მოსასხამი ახვევია, რომელიც მხარზე ფიბულით იკვრება. მეომრებს ხელთ პალმის ტოტები (მოწამეთა ატრიბუტი, მარადიული ცხოვრებისა და დიდების სიმბოლო) და შუბები უპყრიათ, რომლებიც ვერტიკალურად აღუმართავთ. ესტათის ვაჟებს მოკლე ხალათები და მაღალყელიანი წაღები მოსავთ. ორივეს ხელთ მოწამეობის აღმნიშვნელი სიმბოლური ნიშანი – ჯვარი უჭირავს. კომპოზიციის მარჯვენა მხარეს გულხელდაკრეფილი თეოპისტია დგას. მისი პოზა ზიარების მიმღები ადამიანისას ჰგავს, თუმცა, მარჯვენა ხელის მტევანი მას მეუღლისკენაც გაუწვდია. ცოლ-ქმარს შორის, მაღლა, სქემატურად მინიშნებულ ტყიან მთაზე, ირმის გამოსახულებაა, რაც იმ სასწაულს გვახსენებს, რის შედეგადაც ესტატე და მისი ცოლ-შვილი ქრისტეს რჯულს შეუდგნენ და აღესრულნენ კიდეც მოწამეობრივად. აღსანიშნავია, რომ ზედა კუთხეებში ნაქარგი ღრუბლებიდან,

როგორც ციდან, ისე ეშვება სამ-სამი სხივი წმ. გიორგის თავზეც და წმ. ესტატეს ოჯახის მხარესაც, რაც მათზე ყოვლადწმინდა სამების მადლის გარდამოსვლას ნიშნავს.

კომპოზიცია კარგადაა აგებული. ფიგურები ოდნავ დაბალი და განიერი პროპორციებისაა, მათი პოზები, ჩაცმულობა, ატრიბუტები, მთიანი ფონი და ფეხქვეშ გამოსახული ნიადაგის ფართო ზოლი მკაფიოდ და დამაჯერებლად გადმოიცემა. ოქროსა და ვერცხლის ძაფების ბრწყინვალება, მოსასხამების, ხალათებისა და წადების წითელი შეფერილობა, ზეთისხილისფერის ოქროსფერსა და ვერცხლისფერთან შეხამება, მწვანე ხეები, ირმის ყავისფერი სხეული – ისეა ერთმანეთთან მისადაგებული, რომ თვალს სიამოვნებს ნაქარგი ხატის ცქერა. იმავდროულად, ფერთა შერჩევაში მჟღავნდება ქრისტიანული სიმბოლიკის გათვალისწინება. მცენარეული სახეები და მწვანე ფერი, რომელიც ზედა რეგისტრში უხვადაა ნახმარი, ახალი ცხოვრების, უკვდავებისა და სამოთხის ნიშანია; წითელი – სამეფო დიდებულების, მოწამეობრივი ღვაწლის, ვნების, აღდგომისა და მეორედ მოსვლის ფერია; ოქრო გადმოსცემს სასუფევლის უნივთო და უქრობ ბრწყინვალებას, ვერცხლი კი – საღმრთო განგებულების საიდუმლოებრივი, მისტიკური არსის გამომხატველია.

სამთავროს მონასტრის ქსოვილის კარგად მოფიქრებულ კომპოზიციურ სქემას ეფექტურად შემოწერს ტალღოვანი და სამფოთლა მცენარეული ორნამენტებისგან შედგენილი საშუალო სიფართის ზოლი, რომელიც მკაფიოდ აჩარჩოებს სცენას და გარკვევით წარმოაჩენს მასში მოთავსებული გამოსახულების შინაარსობრივ მიზანსწრაფულობას – ნაქარგობის ავტორს მიზნად ჰქონია ყურადღება გაემახვილებინა წმ. ესტატეს საყოველთაოდ ცნობილ ირემზე ნადირობის სასწაულზე კი არა, არამედ იმაზე, რაც ამის შედეგად მოხდა. გამოსახულება ერისკაცთა ოჯახურ პორტრეტს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე წმინდანის ჰაგიოგრაფიული ცხოვრების სიუჟეტს, რაც, ძირითადად, ევროპული იკონოგრაფიისთვისაა დამახასიათებელი და აღნიშნული პერიოდის ქართული მხატვრული ქარგულობისათვის მეტად უჩვეულოა[3].

რაც შეეხება ინგლისში დაცულ ქსოვილს (80X67 სმ), რომლის ცენტრში (25X26 სმ) წმ. ესტატეს ოჯახი ამოუქარგავთ (სურ. 13, 14), იგი ქართველოლოგ დავიდ ლენგს უნახავს, შეუსწავლია და 1964 წელს გამოუქვეყნებია [Lang. D. 1964][4]. მასში მკვლევარი აანალიზებს გამოსახულებას, მასზე დაქარგულ ვრცელ წარწერას და გვთავაზობს ტექსტში ნახსენები პიროვნებების იდენტიფიკაციას, რაც სამთავროს ქსოვილის წარმომავლობის გარკვევაში დიდად გვეხმარება.

დ. ლენგი გვამცნობს, რომ „პანოს აქვს აბრეშუმის მიწარი, გარეთა მოჩარჩოებაზე დაუყვება ყვავილებისგან და ფოთლებისგან შემდგარი მცენარეული ორნამენტი. ორნამენტი მოქარგულია ვერცხლის თმითა

[3] XVIII საუკუნიდან ქართულ ნაქარგობაში ადამიანთა ფიგურები მცენარეულმა ორნამენტმა და სიმბოლურმა ნიშნებმა შეცვალა. ქარგულობის ეს ნიმუში კი მათგან სრულიად განსხვავებულია.

[4] მადლობას ვუხდით მარიამ გველესიანს ამ პუბლიკაციის მოწოდებისა და ეკატერინე ბერელაშვილს მისი თარგმნისათვის.

და ყვითელი, მწვანე და ნარინჯისფერი აბრეშუმის ძაფებით. გარეთა მოჩარჩოება შემოსაზღვრავს ცენტრალურ ნაწილს სტილიზებული ყვავილებითა და ფოთლებით, სადაც ასევე ჩართულია ხილის მოტივები. ცენტრალური მედალიონის ირგვლივ განთავსებულია ქართული (მხედრული) წარწერა, შიდა არეზე კი – წმ. ევსტათი პლაკიდას ხილვა, სადაც ესტატე მეუღლესა და ორ შვილთან ერთადაა წარმოდგენილი".

დ. ლენგი სრულად გვაწვდის ქსოვილის წარწერას „**ქ: ეჰა. მოწამეთა შორის ბრწყინვალედ მნათობო. რომელის სასწაულითა და კურნებითა იდიდები მარადის. მოწამეო ქ(რისტ)ესო ევსტათი. შეგიმკევ კნინი ესე თითთა მიერ შრომილი მე. ფ(რია)დ მსასოებელმან შენმან სრულიად საქართუელოს მეფის ირაკლის პირმშოსა ძისა გიორგის ასულმან და თანამეცხედრემან თარხნის–შვილის ლუარსაბისამან სოფიო. მიიღე ესე მწულილებრ [ქურივისა ?][5] და ნაცუალდ გუაგე ფარვაში მრჩობლისა შინა ცხოვრებასა მეუღლით და შვილით ჩემით უკე: აგვისტოს კბ ქკს უპბ**".

წარწერაში მოხსენიებულია ისტორიული პირები: ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744-98 წწ.), მისი მემკვიდრე გიორგი XII (1798-1800 წწ.) და გიორგის ქალიშვილი სოფიო (1771-1838 წწ.). სოფიო იყო მეფე გიორგი XII-ისა და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის მეოთხე შვილი, რომელიც 1792 ან 1793 წელს დაქორწინდა ლუარსაბ თარხნიშვილზე...სოფიოსა და ლუარსაბს ჰყავდათ ოთხი შვილი, რომელთაგან **პირველს. წმ. ევსტათის პატივსაცემად დაარქვეს ესტატერის გამოც მიუძღვნეს პანო მფარველ წმინდანს (**ხაზი ჩვენია – გ.ბ., ნ.ბ.). 1794 წელს დაბადებული ესტატე თარხნიშვილი დაქორწინდა სოფიო ციციშვილზე...

ამგვარად, **ზემოაღწერილი პანო მოიქარგა სოფიოს მიერ და მიეძღვნა წმ. ევსტათი პლაკიდას მისი პირველი შვილის მფარველად და საოხად...** საქართველოში წმ. ევსტათის თაყვანს სცემდნენ ადრეული პერიოდიდან, ქართული ეკლესია მას 20 სექტემბერს /3 ოქტომბერს მოიხსენიებს . . . წმინდანის ცხოვრების ისტორია პოპულარული გახდა აღმოსავლურ, მათ შორის სომხურ და სირიულ ეკლესიებში. ქართულად კი ითარგმნა ადრეულ საუკუნეებშივე, მაგალითად, ათონის მთის ქართულ კოლექციაში მოიპოვება X საუკუნით დათარიღებული თარგმანი. იკონოგრაფიული თვალსაზრისით, სოფიოს მიერ შემოთავაზებული ვერსია საკმაოდ საინტერესოა. რამდენადაც მასში კომბინირებულია ორი განსხვავებული ეპიზოდი წმ. ევსტათის ლეგენდისა – კერძოდ, ნადირობის დროს მომხდარი სასწაული და მისი ოჯახის მოქცევა ქრისტიანებად და მათი ერთობლივი მოწამეობა..."

როგორც ვხედავთ, დ. ლანგის ამ სტატიითა და ფოტოებით, რომლებსაც იგი იძლევა, ბევრი რამ ირკვევა. მათზე მოცემული გამოსახულების დიდი მსგავსება სამთავროს ქსოვილის ტექნიკურ, იკონოგრაფიულ და მხატვრულ მახასიათებლებთან საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ შესაძლოა **სამთავროს ქსოვილის მქარგავიც სო-**

[5] ლანგის მიერვე კითხვის ნიშნით აღდგენილი ეს სიტყვა წარწერაში საერთოდ არ გვხვდება და თანაც, მას გამორიცხავს წარწერისავე თარიღი (1794 წ.) და ის ფაქტი, რომ სოფიოს მეუღლე ცოცხლად ჰყავს მოხსენიებული შვილთან ერთად.

**ფიო ბაგრატიონ-თარხნიშვილია.**

ჩვენს ვარაუდს ამტკიცებს სამთავროსა და „ინგლისური" ქსოვილების ისტორიული ვითარების ფონზე განხილვაც. საამისოდ კი, პირველ ყოვლისა, უნდა დავსვათ კითხვა – რატომ უწოდეს ლუარსაბ თარხნიშვილმა და სოფიომ უფროს ვაჟს ესტატე და არა გიორგი, მაშინ, როცა ახალშობილის ბაბუას, საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი ერქვა? ამ კითხვაზე პასუხს თარხნიშვილების გვარის, მათი კუთვნილი მამულისა და ტაძრის ისტორია იძლევა.

როგორც ცნობილია, თარხნიშვილების გვარი დიდი მოურავის, გიორგი სააკაძისგან წარმოდგება [მაკალათია ს. 1955: 22-25]. იგი სათავეს XVII საუკუნიდან იღებს და ქართლის მეფე როსტომის (1632-1658) მიერ გიორგის ვაჟის, იორამ სააკაძისთვის (+ 1664) „თარხანის" (თავისუფალი მსახურის) წოდების მინიჭებას უკავშირდება. ცნობილია ისიც, რომ მეფემ იორამს აღუდგინა პაპისთვის, სიაუშ სააკაძისთვის, სვიმონ I-ის (1537-1611) მიერ 1610 წელს ბოძებული ერთაწმინდის მამულებისა და ტაძრის მფლობელობა, რის შემდეგაც ერთაწმინდის ტაძარი სააკაძეთა შთამომავლების, თარხან-მოურავების, იმავე – თარხნიშვილების საგვარეულო სიწმინდედ და განსასვენებელ ადგილად იქცა [იოსელიანი პლ. 1973: 78]

ისმის სხვა კითხვაც, რა შუაშია ეს ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო ქსოვილებთან? საქმე ისაა, რომ ერთაწმინდის მამულებიცა და ტაძარიც უშუალოდ წმ. ესტატე პლაკიდას უკავშირდება და თვით სახელწოდება „ერთაწმინდა" (ზოგი საბუთის მიხედვით – „ესტაწმინდა") წმინდა მოწამე მხედრის სახელიდან წარმოიქმნა [იოსელიანი პლ. 1973: 81].

გადმოცემით, ერთაწმინდაში პირველი ტაძარი ვახტანგ გორგასალს აუგია [იოსელიანი პ. 1973: 71], თუმცა, ამჟამინდელი საკმაოდ დიდი, გუმბათიანი ნაგებობა XIII საუკუნის შუა წლებით თარიღდება [გომელაური ი. 1976: 58-65]. აღსანიშნავია, რომ მის აღმოსავლეთ ფასადზე, სამხრეთი ნიშის თაღის ძირში, ჩადგმულია წმ. ესტატეს ხილვის რელიეფური სცენა. ამასთან, იგივე გამოსახულება იქვე, დასავლეთ ფასადზე, რელიეფური ჯვრის ორნამენტირებული ბაზის ძირთან ჩაყოლებულ ქვაზეც მეორდება. საყურადღებოა ისიც, რომ თარხნიშვილების საგვარეულო გერბზე გამოსახულია შუბოსანი მხედარი, ირემი, იალქანი და კოშკი. აქედან, შუბოსანი მხედარი და ირემი წმ. ესტატეს სასწაულს უკავშირდება, ხოლო კოშკში, ტაძრის სიახლოვეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ბორცვზე მდგარი და აწ ნანგრევებად ქცეული ლუარსაბ მეფის დროინდელი ციხესიმაგრე მოიაზრება.

ერთაწმინდის ტაძარი ძალზე სახელგანოქმული ყოფილა სასწაულებით. ვახუშტი ბატონიშვილის უწყებით – „თეძამზედ არს ახალქალაქი. მის ზეით **ეკლესია გუმბათიანი ერთაწმინდისა. სასწაულმოქმედი: თლილის ქვით ნაშენი. კეთილოვანი. საარქიმანდრიტო. არამედ კატოლიკოსს უპყრია ტახტად თვისად"** [ღეოღრაფიული აღწერა...1842: 198]. XIX საუკუნეში იქ, ტაძრის სახურავზე დიდი რაოდენობით ირმის რქები უნახავთ. ტაძარში ინახებოდა „დადიანისეული" სასწაულმოქმედი ჯაჭვი, რომლითაც იკურნებოდნენ სულით ავადმყოფები და სხვაც

მრავალი სიწმინდე, რომელთა შორის მოიხსენიება **წმ. ესტატეს წმინდა ნაწილებიც**[6].

პლ. იოსელიანის ცნობით: „ტაძარში, ცილინდრული ფორმის კიდობანში, ინახება წმ. ესტატეს მკლავის ნაწილი და ცერი, რომლებიც წმინდანის მთელი ნაწილებისგან მძლივს გადარჩენილა 1795 წლამდე. ბატონიშვილ თეკლას ავადმყოფობის გამო, ერეკლე II-ს კათოლიკოსისთვის გამოუთხოვია ისინი თბილისში გადასატანად. თბილისის დარბევისასას სამეფო ეკლესიის სხვა ძვირფასეულობასთან ერთად წმ. ესტატეს ნაწილებიც დაკარგულა. ისინი მეფის დას, ანას გამოუსყიდია და ერთაწმინდაში დაუბრუნებია. ამჟამად ისინი თაყვანის საცემლად ხშირად გამოაქვთ წმინდანის ხატის წინ" [იოსელიანი პლ. 1973: 77][7]. მისივე გადმოცემით, მოოქრული ვერცხლისგან ნაჭედ ამ დიდებულ ხატზე ტაძრის პატრონი გამოსახული ყოფილა სრული ტანით, შუბითა და მოწამის ჯვრით. ტაძრის საგანძურში XIII-XIX საუკუნეების სხვა ჯვარ-ხატები და საღვთისმსახურო წიგნებიც ინახებოდა. მათ შორის: წმ. ევსტათის „ცხორებიანი" ხატი, მუხლმოდრეკილი ქტიტორის, დემეტრე II თავდადებულის გამოსახულებით; ხატები წმ. მოწამეებისა და წმ. მღვდელმთავრებისა; მცირე ზომის გულსაკიდი სანაწილე 48 ბუდით; XVIII საუკუნის ჯვარი წმ. ესტატეს გამოსახულებით, ლიტურგიული ჭურჭელი და ა.შ. [იოსელიანი პლ. 1973: 75-78].

სხვა ყველაფერთან ერთად, ტაძარი ძალზე მნიშვნელოვანია მასში შემორჩენილი XVII საუკუნის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებითაც, რომლებზეც წმ. ევსტათი პლაკიდასა და წმ. გიორგის ვნებებისა და სასწაულების სცენები მოჩანს[8]. როგორც ფრესკული წარწერებით ირკვევა, ტაძარი იორამ საკაძე – თარხნიშვილის დროს, ქართლში როსტომ მეფისა და დედოფალი მარიამის ზეობისას (1634-1658 წწ.) მოუხატავთ.

ტაძარში დღემდე შემორჩა დიდმოურავ გიორგის ვაჟის, პაატას, მისი შვილთაშვილებისა და მათი ოჯახის წევრების საფლავები და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, **იქაა 1836 წელს გარდაცვლილი თარხნიშვილების რძლის, ლუარსაბის მეუღლის, ბატონიშვილ სოფიოს განსასვენებელიც.**

ნათქვამიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ უწოდეს ლუარსაბმა და სოფიომ თავიანთ პირმშოს ესტატე და რატომ გამოსახა სოფიომ შვილის დაბადების წელს (1794 წ) მოქარგულ ქსოვილზე წმ. ესტატე ოჯახით. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში, ერთაწმინდის ტაძრის გარდა, წმინდა ესტატეს ცხოვრების ციკლი (თანაც

---

[6] ერთაწმინდის ტაძრის გარდა, წმინდა ესტატეს წმინდა ნაწილებს XIX საუკუნეში ინახავდა ქვათახევის ტაძარი და რაჭის ერთ-ერთი მონასტერი (ამ უკანასკნელში დაბრძანებული ყოფილა მოწამის თავის ქალის ნაწილი). თბილისის სიონის ტაძარში კი დღესაცაა დაცული მისი ნაწილი [ბუბულაშვილი ე. 2007: 302-303].

[7] სამწუხაროდ, XX საუკუნეში ტაძრის მძარცველებს წმინდა ნაწილები გაუტაციათ და ამჟამად მათი სამყოფელი უცნობია. ის კი ცნობილია, რომ ამ უმძიმესი დანაშაულის გამო სოფელს თავს უამრავი მძიმე განსაცდელი დასტეხია.

[8] ეს მხატვრობა, რომელიც 1848 წელს ნაწილობრივ აქვს აღწერილი პლ. იოსელიანს, 1907 წელს ე. თაყაიშვილს ვეღარ უნახავს, რადგან ის კირით გადაულესავთ [გომელაური ი. 1976: 4]. 1990-იანი წლების დასაწყისში ფრესკები გაიწმინდა რესტავრატორ თ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ტაძარში აღდგენითი სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს.

ასეთი გავრცობილი) არსად გვაქვს. ამრიგად, უეჭველია, რომ სოფიოს საკუთარი ნაქარგობისთვის ნიმუშად (არა ზუსტი მიბაძვით, არამედ გარკვეული სახეცვლილებით) ამ ტაძრის ფრესკული ხატები გამოუყენებია.

რაც შეეხება სამთავროს მონასტრისა და „ინგლისურ" ქსოვილებს შორის კავშირს, მიუხედავად მათი კომპოზიციების ნაწილობრივი სხვაობისა („ინგლისურზე" არ არის გამოსახული წმ. გიორგი; ზედა მარცხენა კუთხეში ღრუბლებში მოჩანს მაკურთხეველი მაცხოვარი; ირემი დაბალ მთაზეა შემომდგარი; წმ. ესტატეს ზურგს უკან „უფრიალებს" მოსასხამი), მათ შორის იმდენია საერთო ნიშანი (გამარტივებული, მაგრამ დახვეწილი ტექნიკა, ერთი სტილის სამოსელი, ირმის რქებს შორის ჯვარი), რომ შეიძლება სამთავროს ქსოვილიც სოფიოს მოექარგა მოგვიანებით – უკეთესი ესკიზით, ტექნიკითა და გაუმჯობესებული მხატვრული გემოვნებით. თუმცა, ამ ვარაუდს არ აქვს რაიმე პირდაპირი არგუმენტი.

სოფიო ბაგრატიონის ქარგულობასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ მას 1814 წელს, უკვე ოთხშვილიან დედას, მოუქარგავს კიდევ ერთი ქსოვილი – დაფარნა, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული (სხმ/ნ 3787). მისი ორფეროვანი ფონი მთლიანადაა შევსებული „ინგლისური" ქსოვილის დეკორის მსგავსი მცენარეული ორნამენტით, ნაპირებს კი შემოუყვება საქტიტორო ტექსტი: **„ქ. წმინდაო სამებაო და ღმერთო ჩვენო. შეიწირე მცირე ესე შესაწირავი ჩემი უღირსის მეფის გიორგის ასულის სოფიასაგან ჩემის ძეებით და ასულებით ჩემისა. ჩყიდ იანვრისა. საუკუნოდ შემიწყალენ. ღირს მყავ შენს წყალობას"** (სურ. 11).

გასარკვევი რჩება სამთავროს მონასტერსა და ინგლისში დაცული ქსოვილების დანიშნულების საკითხი. დ. ლანგი ერთ მათგანს „პანოს"უწოდებს და არ აკონკრეტებს მის მნიშვნელობას. ამასთან-დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ საქართველოში, და მით უფრო, ეკლესია-მონასტრებში უფუნქციო ქსოვილები არ არსებობდა. თითოეულ-მათგანს მკაცრად რეგლამენტირებული დანიშნულება ჰქონდა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნამდე ჩვენთან ხატებისა და ხატის ფარდების ქარგვის ტრადიცია არ ყოფილა გავრცელებული, თუმცა, ხელოვნების მუზეუმში ინახება წმ. ესტატესთან დაკავშირებული, 1794 წლით დათარიღებული ქსოვილი[9] (სხმ/ნ 2940), რომელზეც ასეთი ტექსტია ამოქარგული: **„მოწ(ა)მ(ე)თა შვენიერებაო. მხედართ მთავარო ევსტათი შეგიმკევ ფარდა ესე ენისელთ მოურავის ასულის ნინას გამდელმან გმირისეულმან გაზრდილისა ჩემისა ძისა მისისა ჯ(ვ)ვახიშვილის იოანეს კეთილსაცხოვრებლად და საკურნებლად. წელს** ᲰᲘᲮ როგორც ჩანს, ქვეყნის რუსეთთან დაახლოება-შეერთების და ჩვენი ეკლესიის სინოდალური მმართველობის პერიოდში ხატის ასლის ქარგვისა და ფარდად გამოყენების წესი რუსეთიდან გავრცელდა საქართველოშიც. საქართველოსგან განსხვავებით, საბერძნეთსა და

[9] ფარდის ჩალისფერ აბრეშუმის ქსოვილზე (66 X 62 სმ), მცენარეული სახეებით შექმნილი ბადით დაფარული მიწარის ცენტრში გამოსახულია ჯვარი. ბადის ყოველ კვადრატში ყვავილთა (ლოტოსი, შროშანი, ზამბახი) სტილიზებული სახეებია ამოქარგული. ნაქარგობა შესრულებულია ოქრომკედით, ვერცხლმკედით და ფერადი აბრეშუმის ძაფით.

რუსეთში ხატის ფარდების ქარგვის ტრადიცია ადრიდანვე იყო დამკვიდრებული. იქაური ოსტატები ხშირად ქარგავდნენ ფერწერული ხატების ასლებს და ამ ქსოვილებს ხატების საფენებად ან ფარდებად იყენებდნენ. ამის დასტურია ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდში არსებული ერთ-ერთი ნაქარგი ხატი (სხმ/ნ 4067) მაცხოვრის გამოსახულებით (სურ. 17), რომლის წარწერა გვამცნობს, რომ მაცხოვრის გამოსახულება **„პირდაპირ ხატიდან არის გადმოღებული ელენე გიორგი ფავლენიშვილის ასულის კნეინა ავალიშვილისაგან“.** გარდა მხატვრულ-სტილური ნიშნებისა, ამ ნაქარგობის თარიღის განსაზღვრაში გვეხმარება ტერმინი „კნეინაც", რაც მიგვანიშნებს, რომ ხატი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეა შესრულებული. საგულისხმოა, რომ არსებობს იმავე ხატის მცირედ განსხვავებული ასლი, რომელიც ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მის წარწერაში ნათქვამია **„შევსწირე ხატი ესე მაცხოვრის წმინდის დავით ეკლესი(ი)სადმი დავით თარხანოვის ასულმა კნეინა მართამ“** (სურ. 18). როგორც ვხედავთ, ამ ნაქარგი ხატის ავტორიც თარხნიშვილთა საგვარეულო ოჯახის ერთ-ერთი წევრი ყოფილა.

ამრიგად, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული ხატწერისა და ნაქარგი ქსოვილების ფონდების ექსპონატების შესწავლა გვიჩვენებს, რომ წმინდა ესტატეს სასწაულისა და ოჯახის გამოსახულებები საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული XVII-XIX საუკუნეების საეკლესიო ხელოვნებაში, და ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. იმ დროს მის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი ერთაწმინდის ტაძარმა, რომელიც სახელგანთქმული იყო წმ. ესტატეს ცხოვრების ციკლის შემცველი შესანიშნავი კედლის მხატვრობით[10] და უწმინდესი, სასწაულთმოქმედი რელიქვიებით, რომელთა შორის განსაკუთრებილი მნიშვნელობისა იყო წმ. მოწამის მკლავისა და ხელის ნაწილები. ნიშანდობლივია, რომ წმინდანის თაყვანისცემის გაძლიერებაში დიდი როლი ითამაშა ერთაწმინდის ტაძრისა და მამულების პატრონების, თარხან-მოურავთა საგვარეულოს წარმომადგენლების მოწიწებულმა მცდელობამ პატივი მიეგოთ მათი საგვარეულოს მფარველი წმინდანისათვის და საგანგებო შესაწირი მიეძღვნათ მისთვის, რათა მიეღოთ მისი შეწევნა საკუთარი ოჯახებისთვის. ამის ნათელი მაგალითებია თარხან-მოურავთა ოჯახების წევრ ქალბატონთა ნაქარგი ხატები, დაფარნები თუ ხატთა ფარდები, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლუარსაბ თარხნიშვილის მეუღლის, სოფიო ბაგრატიონის „თითთა მიერ შრომილი", შესანიშნავად ნაქარგი ქსოვილები.

[10] 2012 წელს ტაძარში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები: მოწესრიგდა ექსტერიერი, გამოიცვალა გადახურვა, მოეწყო სარინელი; ინტერიერში მოიხსნა გვიანდელი გაჯის შელესილობა, გამოვლინდა თავდაპირველი ხუროთმოძღვრული დეტალები და XVII საუკუნის მოხატულობის დამატებითი მცირე ფრაგმენტები.

Gulnaz Baratashvili*, Nana Burtchuladze*

*The Georgian National Muzeum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: zvibar2000@gmail.com
nburchuladze@museum.ge

# Embroidered Textiles and Pictorial Icon with St. Eustacius' Imagein Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts

The article deals with several exhibits stored in the funds of Sh. Amiranashvili Fine Art Museum of the Georgian National Museum. The samples have not been examined till now. The article examines embroidered fabrics and painted icon, where the miracle of St. Eustacius and his family are represented. The theme of appearance of God to St. Eustacius hunting a deer and his family's conversion to Christianity was spread in Georgia long ago (since the 7th century). It has very interesting iconographical versions which are depicted in different monuments of religious art of the Middle Ages.

In the present work the exhibits with the image of St. Eustacius' miracle are analyzed from iconographical and stylistic point of view with the help of different branches of art (monumental painting, reliefs) and historical sources. For the parallel analyses of the embroidery exhibits of the National Museum icons and embroidery from Georgian functional churches and monasteries (Samtavro, Ertatsminda) as well as churches which are located abroad (in Great Britain) are compared. The painted icon from the Museum of Fine Arts is dated back to the 17th century and the embroidery - to the 18th-19th centuries.

Among the textiles are copies taken from icons which were used for covering original ones.

A group of embroidery samples of the 19th century is revealed among the museum pieces. It is connected with embroideress and donater Sophia-Bagrationi-Tarkhnishvili, who was a representative of the Tarkhan-Mouravi family. Both St. Eustacius Placidus church and Ertatsminda monastery in village Ertatsminda ( Kaspi region) are connected with her name.

In contrast to embroidery, the painted icon of St. Eustacius was brought to Museum of Fine Art from Kakheti, Khara-Bulakhi church of Cholokashvili's family. Stylistic signs of this icon have a set of analogues with icons of post Byzantine period, namely, with such samples of Georgian church paintings as celebratory icons from Shiomgvime and Urbnisi monasteries, mural paintings of Ananuri church, Gulani miniatures of Anchiskhati, the icon of St. Simeon Stylite, housed in the Patriarchy of Georgia, etc.

Thanks to similarities among them Kara-Bulakhi icon is also dated back to the 17th century. It belongs to the group of Antiokhia-Jerusalem monuments and it indicates to the active cultural relationships of Georgia with the most important spiritual

centers of Christian East during the mentioned period of time.

In the Art Museum besides the Kara-Bulakhi icon two other icons of St. Eustacius are also preserved. On the first icon (17th -18th cc.) is represented the fragment from the scene of Saint's hunting and on the second icon (18th -19th cc.) St.martir is represented together with the members of his family. Both icons are also from the Eastern Georgia.

Translated by Tsira Basiladze

## ბიბლიოგრაფია


**ბარათაშვილი გ., ბერელაშვილი ე., კეცხოველი მ., მელიქიშვილი ი., ნადარაია ნ., სულხანიშვილი ე. 2011:** *ქართული ნაქარგობა.* თბილისი.

**ბარათაშვილი გ., ბურჭულაძე ნ. 2012:** ნაქარგი ხატი სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრიდან. *„მაყვლოვანი". სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა.* № 2 (8). გვ. 45-50. თბილისი (რედ. მ. ნიაური).

**ბოჭორიძე გ. 2011:** ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები. თბილისი.

**ბუბულაშვილი ე. 2007:** *საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები.* თბილისი

**ბურჭულაძე ნ. 2000:** ათორმეტ დღესასწაულთა რიგის ხატები საქართველოში. *თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული.* გვ. 29-52. თბილისი (რედ. ი. არსენიშვილი).

**ბურჭულაძე ნ. 2003:** წმიდა ევსტათი პლაკიდას ხატი ყარა-ბულახიდან. *„მოყვასი", ალავერდის ეპარქიის ჟურნალი.* № 10. გვ. 28-30. თბილისი (რედ. თ. გაბისონია).

**ბურჭულაძე ნ. 2007:** ანანურის ტაძრის მოხატულობა და საპატრიარქოს კუთვნილი წმ. სვიმეონ მესვეტის ხატი. მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში. *საქართველოს სიძველენი.* № 11. გვ. 122-145. თბილისი (რედ. ნ. ვაჩეიშვილი, ი. ხუსკივაძე).

**გომელაური ი. 1976:** *ერთაწმინდა.* თბილისი.

**დიდებულიძე მ. 1990.** „წმ. ესტატეს ხილვა" შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. *ლიტერატურა და ხელოვნება.* № 2. გვ. 197-206. თბილისი (რედ. ს. ცაიშვილი).

**თაყაიშვილი ექ. 1907:** არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წიგნი 1. ტფილისი.

**იოსელიანი პლ. 1973:** ერთაწმინდის *ტაძრის აღწერა //დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება//.* თბილისი.

**კვაჭატაძე ე., ჯანჯალია მ. 2012:** *ანანური.* თბილისი.

**მაკალათია ს. 1955:** *თეძმის ხეობა.* თბილისი.

**მაჩაბელი კ. 2008:** *ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვრები.* თბილისი.

**მხეცთათჳს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუმული წმიდისა ბასილი ებისკოპოსისა კესარიელისაჲ, 1979:** *შატბერდის კრებული X საუკუნისა,*

*ძველი ქართული წერილობითი ძეგლები.* ტ. I. გვ. 175-190. თბილისი (რედ. მ. შანიძე).
**ქართული ქრისტიანული ხელოვნება. 2008:** თბილისი.
**ღეოღრაფიული აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. მის ნამდჳლზე დაბეჭდილი აკადემიკოსი ბროსეტისგან. 1842**: SPb.
**ჩიხლაძე ნ. 2004:** საქართველოს მუზეუმებში დაცული ნუზალის ეკლესიის კედლის მხატვრობის ასლები და მათი როლი მოხატულობის შესწავლაში. *ნარკვევები,* IX. გვ. 91-103. თბილისი (რედ. ნ. ნადარაია).
**ჩიხლაძე ნ. 2011:** სვეტიცხოვლის მოხატულობანი //სვეტიცხოველი//. გვ. 237-301. თბილისი (რედ. ს. ვარდოსანიძე).
**ხუციშვილი გ. 1988:** *საფარის კედლის მოხატულობა.* თბილისი.
**ხუსკივაძე ი. 2003:** *ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური" მოხატულობანი.* თბილისი.
**Аладашвили Н. 1977:** *Монументальная скульптура Грузии.* Москва.
**Аладашвили Н.. Вольская А. 1987**: Фасадные росписи Верхней Сванети (X-XVII вв.). *ქართული ხელოვნება.* № 9. გვ. 94-120. თბილისი (რედ. ვ. ცინცაძე).
**Вельманс Т. 1983:** Роспись церкви Зенобани и тема Видения св. Евстафия. *IV Международный симпозиум по грузинскому искусству.* Тбилиси.
**Дидебулидзе М. 1983:** Два памятника грузинской монументальной живописи в Верхней Имерети (Зенобани,Кисорети). *IV Международный симпозиум по грузинскому искусству.* Тбилиси.
**Шмерлинг Р. 1962:** *Малые формы в архитектуре средневековой Грузии.* Тбилиси.
**Чубинашвили Н. 1972:** *Хандиси.* Тбилиси.
**Lang D. 1964:** A Georgian Embroidery Panel in Hull. *Bulletin of the Scool of Oriental and African Studies. University of London.* Vol. 27. No. 3, pp. 612-615. Cambridge University Press.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ფერწერული ხატი ყარა-ბულახიდან. XVII ს.
**სურ. 2.** ფერწერული ხატი შიომღვიმის მონასტრიდან. XVII ს.
**სურ. 3.** ანანურის ტაძრის მოხატულობა. XVII ს.
**სურ. 4.** ფერწერული ხატი საპატრიარქოდან. XVII ს.
**სურ. 5.** ფერწერული ხატის ფრაგმენტი. ეროვნული მუზეუმიდან. XVIII ს.
**სურ. 6.** ფერწერული ხატი. ეროვნული მუზეუმიდან. XVIII-XIX სს.
**სურ. 7.** ხატის ფარდა ერთაწმინდიდან. XIX ს.
**სურ. 8.** ნაქარგი ხატი ერთაწმინდიდან. XIX ს.
**სურ. 9.** ფერწერული ხატი ერთაწმინდიდან. XIX ს.
**სურ. 10.** ხატის ფარდა ერთაწმინდიდან. XIX ს.
**სურ. 11.** დაფარნა ერთაწმინდიდან. XIX ს.
**სურ. 12.** ნაქარგი ქსოვილი სამთავროს მონასტრიდან. XVIII ს.
**სურ. 13.** ნაქარგი ქსოვილი ქ. ჰულის კერძო კოლექციიდან. XVIII ს.
**სურ. 14.** ქ. ჰულის კოლექციის ნაქარგი ქსოვილის დეტალი. XVIII ს.
**სურ. 15.** საკოსი წმ. ესტატეს სასწაულის გამოსახულებით. XVIII ს.
**სურ. 16.** საკოსის დეტალი. XVIII ს.
**სურ. 17.** მაცხოვრის ნაქარგი ხატი. XVIII-XIX სს.
**სურ. 18.** მაცხოვრის ნაქარგი ხატი კასპის მუზეუმიდან. XVIII-XIX სს.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Painted icon of the Kara-Bulakhi church. 17$^{th}$c.
**Fig. 2.** Painted icon of the Shiomgvime monastery. 17$^{th}$c.
**Fig. 3.** Wall-painting of the Ananuri church. 17$^{th}$c.
**Fig. 4.** Painted icon of the Patriarchate of Georgia. 17$^{th}$c.
**Fig. 5.** Fragment of the painted icon of Georgian National Museum. 18$^{th}$ c.
**Fig. 6.** Painted icon of Georgian National Museum. 18$^{th}$ -19$^{th}$ cc.
**Fig. 7.** Curtain of an icon of the Ertacminda church. 19$^{th}$c.
**Fig. 8.** Embroidered icon of the Ertacminda church. 19$^{th}$c.
**Fig. 9.** Painted icon of the Ertacminda church. 19$^{th}$c.
**Fig. 10.** Curtain of an icon of the Ertacminda church. 19$^{th}$c.
**Fig. 11.** *Ear* of the Ertacminda church. 19$^{th}$c.
**Fig. 12.** Embroidered panel of the Samtavro monastery. 18$^{th}$c.
**Fig. 13.** Embroidered panel of private collection at Hull. 18$^{th}$c.
**Fig. 14.** Detail of the embroidered panel at Hull. 18$^{th}$c.
**Fig. 15.** *Sakos* with the image of St. Eustacious miracle. 18$^{th}$c.
**Fig. 16.** Detail of the Sakos.
**Fig. 17.** Embroidered icon of the Saviour. 18$^{th}$-19$^{th}$cc.
**Fig. 18.** Embroidered icon on of the Saviour of the Kaspi Museum. 18$^{th}$-19$^{th}$cc.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.



სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

სურ. 15 Fig.

სურ. 16 Fig.

სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 337-350
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 337-350

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**დარეჯან გოგაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: dgogashvili@yahoo.com

# ლაჰილის ეკლესიაში დაცული ჭედური ყდის იდენტიფიკაციისათვის

ლაჰილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ზემო სვანეთში, მაღალი მთის ფერდობზე გაშენებულ სოფელ ლაჰილში (ლატალის თემი). ზემო სვანეთი, რომელიც მოიცავს ენგურის ხეობას დაბა ჯვარიდან უშგულამდე, ისტორიულად თორმეტი თემისაგან შედგებოდა. ბალის ქედით იგი ორ ნაწილად იყოფა: ბალზემო, ანუ თავისუფალ სვანეთად და ბალქვემო, ყოფილ სათავადოდ, ანუ სადადეშქელიანო სვანეთად[1]. ლატალის თემით იწყება ბალზემოთა სვანეთი. იგი ენგურის ფართო ხეობაში გაშენებული ერთ-ერთი გამორჩეული და მდიდარი თემია. ეგნატე გაბლიანის თქმით,„ლატალი მუდამ მედგრად იცავდა თავისუფალი სვანეთის დასავლეთის საზღვრებს ბატონების შემოსვლისაგან და ამიტომაც დარქმევია ლატალი, რაც ნიშნავს დარაჯს.”ლატალის თემი ათი სოფლისაგან შედგება. მათ შორის გამორჩეულია მაცხვარიში, იენაში, იფხი, ლაჰილი, ლახუშტი [თაყაიშვილი ექ. 1991: 153; ყენია რ., ალადაშვილი ნ. 2000: 15, 82; გაბლიანი ეგ. 1925: 6, 8].

ლაჰილი, როგორც აღვნიშნეთ, მაღალი მთის ფერდობზე გაშენებული პატარა სოფელია. სოფელში ერთი, XIX საუკუნის წმ. გიორგის სახელზე აგებული დარბაზული ტიპის, ერთნავიანი ეკლესია დგას. იგი მცირე ზომისაა, ქვით ნაგები, შესასვლელი ერთი აქვს, დასავლეთიდან, სარკმელი სამი-აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით (სურ. 1). საკურთხეველი ამაღლებულია. საკურთხევლის აფსიდი დარბაზული სივრცისაგან სამმალიანი ქვის კანკელითაა გამოყოფილი, რომლის ცენტრში აღსავლის კარია დატანებული. თაღებით გახსნილი ანტაბლემენტის სვეტები ქვის დაბალ ზღუდეზეა დადგმული. ექვთიმე თაყაიშვილი ასე აღწერს ეკლესიას: „სოფელში სულ პატარა ეკლესია არის, ქვისა, წმიდის გიორგის სახელობისა. შესავალი ერთი აქვს, დასავლეთიდან. დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს პატარა ხის ოთახი, ეკვტერის მსგავსად[2]. კანკელი ძველია, ქვისა, სამის კამარით და ერთის შესავალით. ფანჯარა თითო: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ეკლესიაში დაგროვილია ხატები და ჯვრები სამი

[1] ბალზემო სვანეთში რვა თემია: ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, მუჟალოს, იფარის, კალისა და უშგულის, ხოლო ბალქვემოთ ოთხი – ცხუმარის, ბჩოს, ეცერისა და ფარის.
[2] ეკვდერის მსგავსი პატარა ხის ოთახი, რომელიც, ექ. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით (1910 წ.), დასავლეთის მხარიდან ყოფილა მიშენებული, ამჟამად ადარ არსებობს.

დანგრეული და გაუქმებული ეკლესიიდან; მათ შორის ერთი ეკლესია ყოფილა მაცხოვრისა და მეორე ღვთის მშობლისა; ესენი თვით სოფელშია და ერთი მთავარ ანგელოზთა ნასოფლარ მუჰერში (მუჰერი), მაღალ მთაზე, ლაჰილის ზემოდ" [თაყაიშვილი ექ. 1991: 411].

ლაჰილის წმ. გიორგის ეკლესიაში თავმოყრილი სიწმინდეების ნაწილი სხვადასხვა დროს გადაიტანეს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში. ამჟამად ეკლესიაში რამდენიმე ჯვარ-ხატთან ერთად ინახება ხელნაწერს მოცილებული, საკმაოდ დაზიანებული, ტყავგადაკრული, მოოქრული ვერცხლის ჭედური ყდის ზედა და ქვედა ფრთა (25X17სმ), რომლის ერთ მხარეს ჯვარცმაა წარმოდგენილი ღვთისმშობლის და იოანე ღვთისმეტყველის სრული ფიგურებით[3]. ჯვარცმის კომპოზიციის ზემოთ, მედალიონებში, მარჯვნივ, ღვთისმშობელია გამოსახული, ხოლო მარცხნივ – იოანე მახარებელი. ქვემოთ, მედალიონებში, წარმოდგენილია ქრისტესა და მიქაელ მთავარანგელოზის წელზევითი გამოსახულებები. ქრისტე გამოსახულია სადა ჯვრული შარავანდით. მთავარანგელოზს მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს, ხოლო მარცხენა მტევანი გაშლილი აქვს. ყდის მეორე მხარეს მოცემულია ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება ყრმით ხელში. ღვთისმშობლის ზემოთ, ისევე, როგორც ყდის ზედა ფრთაზე, მედალიონებში, ღვთისმშობელი და იოანეა წარმოდგენილი, ხოლო ქვემოთ, მედალიონებში – მახარებლების ნახევარფიგურებია მაკურთხებელი მარჯვენითა და სახარებით ხელში[4] (სურ. 2, 3).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყდა საკმაოდ დაზიანებულია (სურ. 4). დაზიანებული და დეფორმირებულია როგორც ხის დაფა, ასევე მასზე გადაკრული ტვიფრული ტყავი და ვერცხლის ჭედურობა, რომელიც, როგორც ჩანს, მოოქრული ყოფილა, ოქროს კვალი დღესაც კარგად შეინიშნება მის ზედაპირზე. ყდას შემორჩენილი აქვს ოთხი საკეტი, კაპტალის მცირე ზომის ფრაგმენტები და აკინძვის ძაფები. ყდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტად მწირი ინფორმაციაა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის შუა წლებიდან კავკასიის სიძველეებით დაინტერესებული მოგზაურები და მკვლევრები დღიურებში სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის აღწერასთან ერთად იხსენიებენ ხელოვნების ძეგლებსაც, ასახელებენ სვანეთის ეკლესიებში დაცულ სიწმინდეებს. 1853 წელს სვანეთში იმოგზაურა ბარტოლომეიმ. მან ზემო სვანეთის თითქმის ყველა თემი მოიარა, დაათვალიერა ეკლესიებში მოთავსებული სიძველენი და მოგვცა სვანეთის თემებისა და ზოგიერთი ძეგლის ზოგადი აღწერა. 1860 წელს სვანეთში იმოგზაურა დიმიტრი ბაქრაძემ. მოგზაურობის შედეგები (გამოიცა 1864 წ.) მდიდარ ისტორიულსა და ეპიგრაფიკულ მასალას შეიცავს და მასალის სიზუსტითა და სიმრავლით დღემდე ერთ-ერთი საფუძვლიანი ნაშრომია. 1895 წელს სვანეთში იმოგზაურა პ. უვაროვამ. მან აღწერა სვანეთის ეკლესიებ-

[3] ჯვარცმული ქრისტეს მარჯვნივ მდგომი ფიგურა ძალზე დაზიანებულია. მისი სახის გამოსახულება თითქმის მთლიანად დაკარგულია. საგულისხმოა, რომ იგი წარმოდგენილია მაკურთხებელი მარჯვენითა და სახარებით ხელში (ჭედური ყდის იკონოგრაფიულსა და მხატვრულ-სტილურ თავისებურებს ამჯერად არ განვიხილავთ).

[4] ყდის დეტალური აღწერა, შესწავლა, არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური კვლევა და ფოტოფიქსაცია განხორციელდა 2010-2011 წწ-ში.

ში დაცული ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები და შემოგვინახა მდიდარი ფაქტობრივი მასალა. აღწერილობაში მოცემულია ნივთის დასახელება, მასალა და ზომა (ექპედიციაში უვაროვას ახლდა დ. ერმაკოვი). 1910 წელს სპეციალური ექსპედიცია მოეწყო ლეჩხუმსა და სვანეთში ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის დროს მეტ-ნაკლები სისრულით აღიწერა ქვედა და ზედა სვანეთის ეკლესიებში დაცული ოქრომჭედლობის ძეგლები. დ. ერმაკოვმა, რომელიც თაყაიშვილსაც ახლდა, გადაიღო 1500-ზე მეტი ფოტოსურათი. თაყაიშვილი სოფელში მდებარე ეკლესიების მოკლე აღწერასთან ერთად გვაძლევს ეკლესიებში თავმოყრილი ძეგლების აღწერას, ასახელებს ნივთს, მასზე მოთავსებულ გამოსახულებას, მასალას, ზომებს და იქვე უთითებს ერმაკოვის ფოტოსურათების კოლექციის ნეგატივის ნომერს. შემდეგი სამეცნიერო ექსპედიცია 1931 წელს განხორციელდა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს ზემო სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლთა შესწავლის საქმეში[5]. XX საუკუნის 70-იან წლებში სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისა და აღრიცხვის მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის შემსწავლელმა კომპლექსურმა სამეცნიერო ექსპედიციამ მიხეილ ჩართოლანის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრებმა აღნუსხეს ზემო სვანეთის თითქმის ყველა თემის განძეულობა (1972-1976 წწ.)[6] [ყენია რ., სილოგავა ვ. 1986: 1-15; ყენია რ., ალადაშვილი ნ. 2000: 15-20; ჩართოლანი მ. 1977: 6-14].

ლაჰილის წმ. გიორგის ეკლესია და მასში დაცული ძეგლები აღწერილია დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ელენე მეტრეველისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსური ექსპედიციის მიერ (1974 წ.).

ექ. თაყაიშვილი ეკლესიაში თავმოყრილ სიწმინდეებს შორის ასახელებს სახარებას და გვაძლევს მის ვრცელ აღწერილობას: „სახარება, უცნობი ლიტერატურაში, ეტრატზე დაწერილი ნუსხა ხუცურით, 25x17 სანტ, ხის ტყავ-გადაკრულ ყდაში, რომლის ზემოთ ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფურცელია ზედ ნაჭედი ფიგურებით. პირველ გვერდზე წარმოდგენილია ჯვარცმა, წინამდგომებითურთ, ღვთის მშობლით და იოანეთი. ფირფიტა საზოგადოდ დაბალი ხელობის არის და მასთან დაზიანებული; პირის სახე ჯვარცმულისა და ღვთის მშობლისა მოშლილია; ზემოთ და ქვემოთ ჯვარცმის კომპოზიციისა ეხლა დარჩენილია ორ-ორი მედალიონი კუთხეში; შუა მედალიონები აღარ არის. ზემოთ ყოფილა ვედრება, მაგრამ მაცხოვარი შუაში აღარ დარჩენილა; შენახულია ღვთის მშობელი და იოანე; ქვემოთ მახარობლებია; შუა აკლია. ყდა შემკობილია ძვირფასი ქვებით, მაგრამ ბევრი აკლია (იხ. ფოტო № 17020). მეორე გვერდზე ყდისა, შუაში, ღვთის მშობე-

[5] 1931 წელს შედგა საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ჩუბინაშვილი, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი. ექსპედიციას ახლდა მუზეუმის ფოტოგრაფი ვ. თულაშვილი. გ. ჩუბინაშვილმა კვლავ იმოგზაურა სვანეთში 1948 და 1954 წლებში.

[6] თავდაპირველად ექსპედიცია შეიქმნა ექვსი სხვადასხვა დარგის სპეციალისტის შემადგენლობით: მ. ჩართოლანი (ეთნოგრაფი), რ. ყენია (ხელოვნებათმცოდნე), ლ. ბედუკიძე (ეთნოგრაფი), მ. მაკალათია (ეთნოგრაფი), შ. ჩართოლანი (არქეოლოგი), ვ. სილოგავა (პალეოგრაფი).

ლია ჩჩვილედი, წელსზევით, ბერძნულის წარწერით სახელისა. ზემოთ აქაც ვედრება ყოფილა, მაგრამ მაცხოვარი არ შენახულა. ქვემოთ აქაც იგივე მახარებლები, მაგრამ შუანა აკლია (იხ. ფოტო № 17021). ეს ყდა მე-15 –16 საუკუნის უნდა იყოს.

თვით ტექსტი სახარებისა, ნუსხა ხუცურით ნაწერი, უფრო ძველია მე-13–14 საუკუნისა. ტექსტი იწყება ევსების წერილით კარპიანესთან: „ევსები კარპიანეს საყვარელსა ძმასა . . .” თითოეული სახარების წინ სათვალავია თავებისა; ბოლოში დღიური საკითხავების მაჩვენებელია. სულ ხელნაწერში 23 რვეულია; რვეულში 8 ფურცელია. მარკოზის სახარების ბოლოს, ტექსტის ხელით სწერია: სახელითა ღმრთისაჲთა აღდგომისა ეკლესიასა შინა, წინაშე საფლავისა ქრისტესსა, მე ცოდვილმან და უცბად მჩხრეკელმან იოანე ქსცხიანისა – შვილმან, ჴელ ნაკლულმან, გრიგოლ ჴელ ვყავ აღწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა და შევსწირე სუანეთს წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა. ვინცა და რამანცა კაცმან და რაჲთამცა საქმითა გამოაჴუას, ჰრისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდაჲ, და კანონსაცა ქუშე არს. ვითარ იჴმარებდეთ, მე და მამა ჩემი იოანე და დედაჲ ირინე მოგჴსენენ, რაითა თქუნცა მოგიჴსენოს ღმერთმან სასუფეველსა მისსა, ამინ. კუამლისაგან შეინახეთ, ღამე სანთელსა[7] ნუ ვინ მიუშვებთ. ფხტითერისა[8] დეკანოზისა ჴელითა გამომიგზავნია, მასცა შეუნდვენ ღმართმან. ტილოსა შინა შემიკრავს, ჩემო ძმაო მიქელ, შენდა სასუდრედ დაიმჭირე ” [თაყაიშვილი ექ. 1991: 416 418].

დ. ბაქრაძე ასე აღწერს ამ სახარებას: „სახარება ოქროთი მოჭედილი, რომელიცა შეუწირავს მუხერის მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის იოანე ქარცხიანნის (sic) ძესა გრიგოლს“ [თაყაიშვილი ექ. 1991: 418].

როგორც ვხედავთ, ექ. თაყაიშვილი დეტალურად აღწერს ხელნაწერის ყდას და იქვე უთითებს დ. ერმაკოვის ფოტოკოლექციის ნეგატივის ნომერს - „იხ. ფოტო № 17020; იხ. ფოტო № 17021”. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივებთან ერთად დაცულია ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, სადაც 1910 წლის ექსპედიციის დროს დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოებს შორის ინახება ლაჰილის ეკლესიაში დაცული სახარების ამსახველი ფოტომასალა [ხეცა. ექ. თაყაიშვილის პირ. არქივი №403] (სურ. 5-8), რომლის მიხედვითაც აშკარაა, რომ ჩვენ მიერ ლაჰილის ეკლესიაში ნანახი ხელნაწერის ყდის ზედა და ქვედა ფრთა და ექ. თაყაიშვილის მიერ 1910 წელს აღწერილი ოთხთავის ყდა იდენტურია. თუმცა, შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობა; კერძოდ, ექ. თაყაიშვილის მიხედვით: 1. ყდა შემკულია ძვირფასი ქვებით; 2. ყდის ორივე მხარეს, ქვემოთ, მედალიონებში, მახარებლებია გამოსახული. დაკვირვე-

[7] ექ. თაყაიშვილი ამ სიტყვის შესახებ ასეთ განმარტებას გვაძლევს: „ეს სიტყვა აზრით მოგვყავს, დედანში წაშლილია [თაყაიშვილი ექ. 1991: 418].

8 ექ. თაყაიშვილის აზრით„ამაში უნდა იგულისხმებოდეს ეხლანდელი სოფელი ფხოტრერი. ეწერის თემისა, სადადეშქელიანო სვანეთში“ [თაყაიშვილი ექ. 1991: 418].

ბამ გვიჩვენა, რომ ყდაზე სადა, რელიეფური ვერცხლის ბურთულებია, ხოლო, რაც შეეხება მედალიონებში გამოსახულ ფიგურებს, ქვედა ფრთაზე მახარებელთა, ხოლო ზედა ფრთაზე ქრისტესა და მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულებებია წარმოდგენილი (სურ. 2, 3, 5, 6).

ოთხთავი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა წმ. გიორგის ეკლესიაში ნახა და აღწერა, ამჟამად დაცულია სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (სიემ-მესტია 75) და ლაჰილის ოთხთავის სახელითაა ცნობილი (ხელნაწერის სახელწოდება – ლაჰილის ოთხთავი მისი ბოლოდროინდელი დაცვის ადგილის მიხედვით დამკვიდრდა). ოთხთავი რესტავრირებულია 1975 წელს. აკინძულია და ჩასმულია ტყავგადაკრულ ახალ ყდაში. ხელნაწერი აღწერა ელენე მეტრეველმა და ვალერი სილოგავამ. ვ. სილოგავა ოთხთავს XIV საუკუნით ათარიღებს: „ლაჰილის ოთხთავი, XIV ს. 198 ფურცელი; 25x17 სმ; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ახალი ყდა; ხელნაწერს მოეპოვება ტექსტის გადაწერისდროინდელი რვეულებრივი პაგინაცია (ამჟამად ძალზე ნაკლული), შესრულებული ნუსხურით ორ სვეტად; [XIVს]. გადამწერი – იოვანე ქსცხიანის შვილი; გადაწერის ადგილი – აღდგომის ეკლესია (იერუსალიმი), . . . რესტავრირებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში 1975 წელს" (სურ. 9, 10). ვ. სილოგავას ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად მოტანილი აქვს გადამწერ-შემწირველის ანდერძი: „ს(ა)ხელითა ღ(მრთ)ისაჲთა, |აღდგომისა ეკლესიასა | შ(ინ)ა, წ(ინაშ)ე საფლ(ა)ვისა ქ(რისტე)სა | მე, ცოდვ(ი)ლმ(ა)ნ და უმეცარ | მ(ა)ნ და უცბად მჩხრეკ(ა)ლ | მ(ა)ნ, ი(ოვა)ნე ქსცხიანისა შვი | (ლ)მ(ა)ნ ჴ(ე)ლ-ვყ(ა)ვ აღ | წერად წ(მიდა)თა ამ(ა)თ ოთ | ხთ(ა)ვთა, და შევწირე | სუანეთს წ(მიდას)ა მთ(ა)ვ(ა)რა | ნგ(ე)ლ(ო)ზსა მუხერისა. ვი | ნცა და რამ(ა)ნცა კ(ა)ცმ(ა)ნ და | რ(ა)სთ(ა)ცა ს(ა)ქმითა გ(ა)მოა ჴ |უას, ჰრისხავს-მცა | მ(ა)მ(ა)ჲ, ძე და ს(უ)ლი წ(მიდა)ჲ და კ(ა)ნ(ო)ნსა-მცა ქუშე არს. | ვინცა იჴმარებდეთ მე, | [და] მ(ა)მ(ა)ჲ ჩ(ემ)ი ი(ოვა)ნე, და დედაი | [ჩ(ემ)ი] მოგჳჴსენეთ, რ(ათ)ა | თქ(უR)ნცა მოგიჴსენ(ო)ს ღ(მერთმა)ნ | საფლ(ავ)სა მისსა, ა(მე)ნ.

კუამ | ლისგ(ა)ნ შეინახეთ, ღამი | [თა] კუ(ა)რას ნუვინ მიუშ | ვებთ. ||

ფხ(ო)ტლერისა დეკ(ა)ნოზისა | ჴ(ე)ლითა გ(ა)მომიგზ(ა)ვნია, | მ(ა)სცა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

ტილოისა შ(ინ)ა შემიკრა | ვს, ჩემაო ძმაო მ(ი)ქ(აე)ლ, | შ(ე)ნ(ა)დ სასუდრედ დაიმჭი | რე" (172 v)[9] [სილოგავა ვ. 1986: 56 -57].

ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ელენე მეტრეველი, მას, როგორც ჩანს, პირველად ლაჰილის წმ. გიორგის ეკლესიაში უნახავს ოთხთავი იერუსალიმის კანონართან ერთად. მის სარქივო ფონდში დაცულია ცნობა, სადაც მოცემულია ეკლესიაში არსებული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა: „ლაჰილის ეკლესია: 1. იერუსალიმის კანონარი, ასომთავრული, მრავალი ფურცელი დაზიანებულია სინესტისაგან (?), ჩადებულია ხის ბუდეში მეორე ხელნაწერთან ერთად.

[9] ხელნაწერს აშიებსა და ტექსტისაგან თავისუფალ გვერდებზე დართული აქვს სვანური ისტორიული საბუთები: დაწერილი ლაჰილელთა ეროობისა, I; დაწერილი ლაჰილელთა ეროობისა, II [სილოგავა ვ. 1986: 131, 132; თაყაიშვილი ექ. 1991: 418-420; ხეცა. ელ. მეტრეველის პირ. არქივი №369].

2. ლაჰილის ოთხთავი, გადაწერილი აღდგომის ეკლესიაში, გააჩნია მინაწერები – ანდერძი ლაჰილის ეკლესიის მცველობის უფლებების შესახებ (მეტად საინტერესო ანდერძი). თაყაიშვილისა და პ. ინგოროყვას აღწერილობით ხელნაწერს გააჩნდა ვერცხლის მოჭედილი და ძვირფასქვებიანი ყდა; ამჟამად აღარ არის, ხელნაწერი უყდოა, მცველი ამის თაობაზე არაფერს ამბობს". ელ. მეტრეველის პირად არქივში დაცულია ოთხთავის ვრცელი, დეტალური აღწერილობაც, რომელიც ხელნაწერის მესტიის მუზეუმში გადატანის შემდეგაა შესრულებული[10] (ოთხთავი ეკლესიიდან სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში 1955 წელს გადაიტანეს). ელ. მეტრეველი აქაც აღნიშნავს, რომ ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს, სადაც „ვრცლად არის აღწერილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის მოჭედილი ყდა. ყდა ხელნაწერს აღარ გააჩნია (გააჩნდა ვერცხლის მოჭედილი ყდა, რომელიც ამჟამად აღარსად სჩანს)" [ხეცა. ელ. მეტრეველის პირ. არქივი №369].

და კიდევ, ერთი საინტერესო ცნობა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის შემსწავლელი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის მიერ 1974 წელს ლაჰილის წმ. გიორგის ეკლესიაში აღრიცხულ ნივთებს შორის დასახელებულია სახარების ყდა და იქვე მოცემულია მისი აღწერილობა: „სახარების ყდა – 25x16 სმ. ტყავგადაკრულ ფიცარზე – ვერცხლი, დაფერილი ოქროთი. წინა პირზე ჯვარცმა ყოფილა გამოსახული, იოანესა და ღვთისმშობლის სრული ფიგურებით. ზემოთ მედალიონებში ვედრება – ღვთისმშობელი და იოანეს მედალიონებია შემორჩენილია, მაცხოვარი ამოტეხილია. ჯვარცმა დაზიანებულია. ქვემოთ მედალიონებში მთავარანგელოზებია, ცენტრალური მედალიონი დაღუპულია, ზურგზე ზემოთ კვლავ ვედრება, მედალიონებში აქაც შუა მედალიონი აკლია. ქვემოთ – მახარებლებია, შუა მედალიონი ამოტეხილია. ცენტრში –ღვთისმშობელია ყრმით. გარშემო ორნამენტი" [სსმა, შ. ჩართოლანის პირადი არქივი. 1974: 54]. უდავოა, რომ ამ შემთხვევაშიც ხელნაწერს მოცილებული და ეკლესიაში ცალკე დაცული ყდა ლაჰილის ოთხთავს ეკუთვნის.

ხელნაწერზე დართული გადამწერ-შემწირველის ანდერძის მიხედვით, გადამწერს სახარება მუხერის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიისთვის შეუწირავს და „ფხ(ო)ტლერისა დეკ(ა)ნოზისა ჴ(ე)ლითა" იერუსალიმიდან სვანეთში გამოუგზავნია: „ცოდვ(ი)ლმ(ა)ნ და უმეცარმ(ა)ნ და უცბად მჩხრეკ(ა)ლმ(ა)ნ, ი(ოვან)ე ქსცხიანისა შვი(ლ)მ(ა)ნ ჴ(ე)ლ-ვყ(ა)ვ აღწერად წ(მიდა)თა ამ(ა)თ ოთხთ(ა)ვთა, და შევწირე სუანეთს წ(მიდას)ა მთ(ა)ვ(ა)რანგ(ე)ლ(ო)ზსა მუხერისა"(172 v) [სილოგავა ვ. 1986: 57]. მუხერის მთავარანგელოზის ეკლესია (მხერ თარინგზელ) მდებარეობს მუხერის მთაზე, ლატალის თემში, სვანეთის გამყოფი ქედის ჩრდილოეთ მხარეს, ზღვის დონიდან დაახლოებით 2500 მეტრ სიმაღლეზე. ეკლესია ნაწილობრივ დანგრეულია[11]. სავარაუდოდ, მუხერის ეკლესია აშენებული უნდა იყოს X–XI საუკუნეებში. ვარაუდობენ, რომ

[10] [ხეცა. ელ. მეტრეველის პირ. არქივი №369].

[11] მუხერში რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო 1975, 1989 და 1990 წლებში გაიწმინდა მუხერის ეკლესია და მისი მინაშენი სამლოცველო, ჩატარდა გათხრები, დამზადდა კედლის ნაშთების ანაზომები.

ეკლესია, რომელიც შუა საუკუნეებში ერთ-ერთი მძლავრი სალოცავი იყო, XVIII საუკუნის II ნახევარში დაინგრა. სწორედ ამ დროს მოხდა მასში დაცული სიწმინდეების, ჯერ ლაჰილის მაცხვარიშის ეკლესიაში, ხოლო შემდეგ წმ. გიორგის ეკლესიაში გადატანა [ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი. შ. ჩართოლანის პირადი არქივი. სვანეთი – ქართულ კულტურის საგანძური: 2, 7].

ამრიგად, მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას: 1. ლაჰილის ეკლესიაში დაცული ჭედური ყდის ზედა და ქვედა ფრთა ეკუთვნის იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში გადაწერილ ლაჰილის ოთხთავის სახელით ცნობილ ხელნაწერს (XIV ს.); 2. ყდა სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, დღემდე დაკარგულად ითვლებოდა; 3. ხელნაწერი გადამწერს (იოვანე ქსცხიანის შვილი) შეუწირავს მუხერის მთავარალგელოზის ეკლესიისათვის, ხოლო ეკლესიის დანგრევის შემდეგ, სავარაუდოდ, XVIII ს-ის. II ნახევარში, ოთხთავი ლაჰილის ეკლესიაში გადაუტანიათ. ხელნაწერის სახელწოდება – ლაჰილის ოთხთავი მისი ბოლოდროინდელი დაცვის ადგილის მიხედვით დამკვიდრდა; 4. ხელნაწერი 1955 წელს ლაჰილის წმინდა გიორგის ეკლესიიდან გადაიტანეს მესტიის მუზეუმში ჭედური ყდის გარეშე. ლაჰილის ოთხთავი (სიემმესტია 75) ამჟამად დაცულია სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, რესტავრირებულია და აქვს ტყავგადაკრული ხის ახალი ყდა.

## ART CRITICISM


**Darejan Gogashvili**

The Georgian National Museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: dgogashvili@yahoo.com


# Identification of a Chased Book-Cover Kept in Lahili Church


## Summary

Lachili St. George church is located in upper Svaneti on a high mountain slope. There is a little the 19th century stone St. George church in the village. The church has one entrance from west and three windows from east, west and south. There are gathered icons, crosses and manuscripts from three destroyed and inefficacious churches – church of the Saviour, of the Holy Virgin and of Archangel Michael.

Studying of Svanety cultural heritage began in the 19th century, when scholars started describing art stored in churches (the relics of Svaneti churches where the subjects of resurch of D. Bakradze (1860), P. Uvariva (1894), E. Takaishvili (1910), G. Chubinashvili (1931, 1948, 1954), P. Ingorokva (1931), etc. Speciments of material culture kept in Svaneti were registered by multy-functional expedition of the S. Janashia State Museum (1972 – 1976).

Holy relics which are kept in Lahili St. George church were transfered, durring

different times, into the Svaneti Historical and Ethnographical Museum. There is preserved rather damaged, covered with leather, silver upper and lower book-cover (25X17). Both coveres are chaced and gilded. There is a scene representing Crusifiction with figures of the Virgin and St.Johnon on its one side. In medallions below Christ and Archangel Michael are depicted. Christ is reprisented with a simple halo, St. Michael is carrying a cross in his right hand, the left hand is streched out. The virgin and the child are represented on the other side of the cover. Above the Virgin as well as on the upper side of the cover, the Virgin and St. John are depicted in medallions. Below in medallions are Evangelists' figures with the blessing hand and the Gospel.

There is very little information about the cover in scientific literature. St. George's church, the relics which are kept there and impotant facts about the reserched subject are described by D. Bakradze, E. Takaishvili, E. Metreveli and by multy-functional expedition of the S. Janashia State Museum (1974).

The detailed description of the cover, its studying, archaeografical-codicological research and its fotofixation was carried out in 2010-2011 years. The results of research are the following: 1. the upper and lower part of the book-cover which is kept in Lahili church belongs to manuscript written in Jerusalim. This manuscript is known as Lahili Gospel. 2. The cover, according to the scientific literature, was considered to be lost. 3. This manuscript was donated for Mukhery Michael church by copyist's son Iovane Khsckhiani. After distruction of the church (about the second half of the 18th c.) the Gospel was transfered to Lahili St. George church. The name Lahili Gospel comes from its last location place. 4. In 1955 the manuscript from St. George church was carried to the Svaneti Museum without original cover. Nowadays Lahili Gospel is stored in the Svaneti Museum of History and Etnography (Mestia). It has been restored and has a new leather cover.

## ბიბლიოგრაფია


**გაბლიანი ეგ.** 1925: *ძველი და ახალი სვანეთი.* თბილისი.

**თაყაიშვილი ექ.** 1991: *არქეოლოგიური ექსპედიციის ლეჩხუმ-სვანეთში 1910.* თბილისი.

**სილოგავა ვ.** 1986: *სვანეთის წერილობითი ძეგლები* I. თბილსი.

**სსმა. შ. ჩართოლანის პირადი არქივი. 1974***:* ზემო სვანეთის ეკლესიებში 1974 წელს ექსპედიციის მიერ აღწერილი ნივთების. სია. ლატალი.

**სსმა.** შ. ჩართოლანის პირადი არქივი. სვანეთი – ქართულ კულტურის საგანძური.

**ყენია რ., ალადაშვილი ნ. 2000:** *ზემო სვანეთი (შუა საუკუნეების ხელოვნება, გზამკვლევი).* თბილისი.

**ყენია რ., სილოგავა ვ. 1986:** *უშგული.* თბილისი.

**ხეცა. ელ. მერტეველის პირადი არქივი №369.** *მესტიის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ავტოგრაფი.*

**ხეცა. ექ. თაყაიშვილის პირადი არქივი №403.**

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ლაჰილის წმ. გიორგის ეკლესია, XIXს. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. ფოტო გადაღებულია 2010წ. დ. გოგაშვილის მიერ.
**სურ. 2.** ლაჰილის ეკლესიაში დაცული ჭედური ყდის ზედა ფრთა. ფოტო გადაღებულია 2010წ. დ. გოგაშვილის მიერ.
**სურ. 3.** ლაჰილის ეკლესიაში დაცული ჭედური ყდის ქვედა ფრთა. ფოტო გადაღებულია 2010წ. დ. გოგაშვილის მიერ.
**სურ. 4.** დაზიანებული, დეფორმირებული ხის დაფა და ჭედურობა.
**სურ. 5.** ლაჰილის ოთხთავი, ჭედური ყდის ზედა ფრთა. ფოტო გადაღებულია 1910 წ. დ. ერმაკოვის მიერ.
**სურ. 6**. ლაჰილის ოთხთავი, ჭედური ყდის ქვედა ფრთა. ფოტო გადაღებულია 1910 წ. დ. ერმაკოვის მიერ.
**სურ. 7**. 1910 წ. დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტო № 1720 (დეტალი).
**სურ. 8.** 1910 წ. დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტო № 1721 (დეტალი).
**სურ. 9**. ლაჰილის ოთხთავი, XIVს. ტყავგადაკრული ყდის ზედა ფრთა და ყუა. ფოტო გადაღებულია 2010წ. დ. გოგაშვილის მიერ.
**სურ. 10.** ლაჰილის ოთხთავი, სახარების დასაწყისი გვერდი მარტივი თავსამკაულით.
**სურ. 11**. მუხერის მთავარანგელოზის ეკლესია. ფოტო გადაღებულია 1975, 1980 წლებში  მ. ჩართოლანის მიერ.
**სურ. 12.** მუხერის ეკლესიის საკურთხეველი. ფოტო გადაღებულია 1975, 1980 წლებში მ. ჩართოლანის მიერ.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Lahili. St. George's church from the north-west. 19th c.
**Fig. 2.** Upper part of a chased book-cover kept in Lahili Church.
**Fig. 3.** Lower part of a chased book-cover.
**Fig. 4.** Damaged and deformed wooden board and chasing.
**Fig. 5.** Lahili Gospel, upper part of book-cover. The photo was taken in 1910.
**Fig. 6.** Lahili Gospel, lower part of book-cover. The photo was taken in 1910.
**Fig. 7.** Photo № 1720 (detail). The photo was taken in 1910 by D. Ermakov.
**Fig. 8.** Photo № 1721 (detail). The photo was taken in 1910 by D. Ermakov.
**Fig. 9.** Lahili Gospel, 14th,  leather upper cover and back.
**Fig. 10.** Lahili Gospel, pages of the manuscript with headpiece.
**Fig. 11.** Mukheri. Church of St. Archangel Michael.The photo was taken in 1975 and 1980 by M. Chartolani.
**Fig. 12.** Mukheri.Church altar. The photo was taken in 1975, 1980 by M. Chartolani.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

**სურ. 4 Fig.**

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 351-365
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 351-365

**ხელოვნებათმცოდნეობა**

**ნათია დემურიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
ლ. გუდიაშვილის ქ. 1, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: natia2906@yahoo.com

# ირანის სამეფო კარისათვის დამზადებული ჩინური ფაიფურის ჭურჭელი

(შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების კოლექციაში დაცული ორი ექსპონატის ატრიბუციისათვის)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების საცავებში დაცულია ჩინური ფაიფურის მდიდარი კოლექცია, რომლის კვლევა ეტაპობრივად ხორციელდება ჩვენ მიერ [როსტიაშვილი ნ. 2003; როსტიაშვილი ნ. 2005; Rostiashvili N. 2008;]. კოლექცია საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ჩინური ფაიფურის განვითარების გზას უძველესი წარსულიდან თანამედროვეობამდე, რადგან აქ დაცულია თითქმის ყველა ეპოქის ფაიფურის ნაკეთობა რაც თავისთავად მის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ამავე დროს, ექსპონატთა ასეთი მრავალფეროვნება შესაძლებელს ხდის განვსაზღვროთ ჩინური ფაიფურწარმოების თავისებურებანი, განვითარების ეტაპები და ტენდენციები.

აღნიშნული კოლექციიდან ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ჩინური საექსპორტო ფაიფური, რომელიც, ძირითადად XVIII საუკუნის II ნახევრითა და XIX საუკუნით თარიღდება.

როგორც ცნობილია, ჩინური ფაიფურის ისტორია სათავეს შორეულ წარსულში იღებს. მეცნიერთა უმრავლესობა ამ უმნიშვნელოვანეს გამოგონებას თანის დინასტიის (618-960) მმართველობის პერიოდს უკავშირებს [Кречатова М. Н., Вестфален Э.Х. 1947:4]. საუკუნეების განმავლობაში ჩინურმა ფაიფურწარმოებამ არნახულ სიმაღლეს მიაღწია. მასალისა თუ მხატვრული დეკორირების ხერხების სრულყოფით ჩინეთმა კერამიკის წარმოების მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრის პრივილეგირებული სტატუსი ხანგრძლივად შეინარჩუნა, ისევე, როგორც ფაიფურის მთავარი ექსპორტიორის სტატუსი მსოფლიო ბაზარზე. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩინური ფაიფურის ექსპორტი მნიშვნელოვნად ფართოვდება XVI საუკუნიდან. ორიგინალური, დახვეწილი ფორმითა თუ ნატიფი მხატვრული დეკორით გამორჩეული ჭურჭელი და მცირე პლასტიკის ნიმუშები პოპულარულია და ძალზე ძვირად ფასობს როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე ევროპაში.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ჩინური ფაიფური მიზანდასახულად

მზადდებოდა საგარეო ბაზრისათვის. 1757 წლიდან საპორტო ქალაქ კანტონიდან მთელ მსოფლიოში გაედინებოდა ფაიფურის უმსხვილესი პარტიები. სწორედ ამიტომ XVIII საუკუნის II ნახევრისა და XIX საუკუნის ჩინურ საექსპორტო ფაიფურს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებენ ტერმინით *კანტონური ფაიფური.* თუ XVI-XVII საუკუნეების საექსპორტო ნაკეთობანი ტრადიციული ჩინური ფორმითა და მოხატულობით ხასიათდება, XVIII საუკუნიდან დამკვიდრდა პრინციპი, რომ ფაიფურის ფორმა და დეკორი დამკვეთის გემოვნების გათვალისწინებით უნდა შექმნილიყო. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებაა კანტონური ფაიფურის სპეციფიკის უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანიც. დამკვეთის გემოვნების გათვალისწინებით, ჩინურ ფაიფურწარმოებაში მკვიდრდება მხატვრული დეკორირების ახალი ხერხებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩინური ფაიფურის პოპულარობას მთელ მსოფლიოსა და განსაკუთრებით, ევროპაში. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლიქრომული ფაიფური, რომელიც ფერთა არაჩვეულებრივად მდიდარ პალიტრას გვთავაზობს და საფუძველს უყრის სახელგანთქმულ *მწვანე, ვარდისფერსა თუ შავ ოჯახს,* ასე პოპულარულს მაშინდელ ევროპაში.

ჩვენი მუზეუმის კოლექციაში *კანტონური ფაიფური* მართლაც რომ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ამასთან, კოლექციაში რაოდენობრივად ჭარბობს ირანისათვის დამზადებული XIX საუკუნის საექსპორტო ჭურჭელი.

ისლამურ სამყაროში დიდად აფასებდნენ ჩინურ კულტურას. ჩინურმა კერამიკამ უკვე IX საუკუნიდან იქონია გავლენა ისლამური კერამიკის ხელოვნების განვითარებზე; XIII საუკუნიდან ჩინური ორნამენტული მოტივები ჩნდება ირანულ ლუსტრიან შორენკეცებზე. ისტორიიდან ცნობილია ასევე ფაქტი შაჰ აბას I-ის (1587-1629) ბრძანებით, ისფაჰანში ჩინელი მეთუნეების ჩამოსახლებისა [Watson O. 1992:455-456; Арапова Т.Б., Рапопорт И. В. 1971:27-28].

აღსანიშნავია, რომ გვიანი შუა საუკუნეების ირანულ კერამიკაზე (განსაკუთრებით კი, კერამიკულ ჭურჭელზე) მრავალმხრივ ვლინდება ჩინური ფაიფურის გავლენა, როგორც ფორმათა, ისე მხატვრული დეკორირების კუთხით. XVII საუკუნეში ეს გავლენა ასლების დამზადებით გამოიხატა [როსტიაშვილი ნ. 2005:175]. ფრანგი იუველირი და მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც XVII საუკუნეში სამჯერ იმოგზაურა ირანში და უმნიშვნელოვანესი ცნობები შემოგვინახა ამ ქვეყნის ყოფისა და კულტურის შესახებ, გვაწვდის ცნობებს ჩინური ფაიფურის პოპულარობაზე შაჰის კარზე და ირანის არისტოკრატიულ წრეებში [Арапова Т.Б., Рапопорт И. В. 1971:25-36].

ირანისათვის დამზადებულ ჩინურ საექსპორტო ჭურჭელს ორი უმთავრესი ნიშნით გამოვარჩევთ: ეს არის ოქროთი უხვად შემკობა და წარწერები არაბულსა თუ სპარსულ ენებზე. სხვა მხრივ ჭურჭელი კანტონური ფაიფურის ზოგად მხატვრულ პრინციპებს ეფუძნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფერთა მდიდარი პალიტრა, პეპლებითა და ყვავილებით უხვად მოოთვა და კარტუშებში ჩაწერილი მრავალფიგურიანი ჟანრული კომპოზიციები. მხატვრობა, უმეტესწილად, ჭიქურზედაა, შესრულებული ულამაზესი ფერის მინანქრის საღებავე-

ბით, გადაწყვეტილი სხვადასხვა, ძირითადად, *მწვანე ან ვარდისფერი ოჯახის* ფაიფურის სტილისტიკისათვის დამახასიათებელ ფერთა პალიტრით. ჭურჭლის ფორმებს შორის ჭარბობს საშუალო ზომის ფიალები და თეფშები, თუმცა, დამკვეთის გემოვნების გათვალისწინებით, გვხვდება აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ფორმის საგნებიც, ძირითადად, სასმისები ანდა ჭურჭელი დეკორატიული სამშვენისის ფუნქციითა და სხვ.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების საცავებში დაუნჯებულ კანტონურ კოლექციაში, რომელიც ირანში ექსპორტისთვის იყო განკუთვნილი, მნიშვნელობითა და მხატვრული დირსებებით, უდავოდ, გამოირჩევა ორი ნივთი: თეფში (სხმ/აღ 3859) და თასი (სხმ/აღ 3858), სავარაუდოდ, დიდი სერვიზის შემადგენელი ნაწილი. მხატვრული სტილის მიხედვით ისინი ე.წ *ვარდისფერ ოჯახს* მიეკუთვნება (სურ. 1, 2). აღნიშნული ნივთები 1985 წელს შეისყიდა მუზეუმმა საქართველოს მოქალაქის, აზადა ჰუსეინის ასულ ეფენდიევასგან. ჯამი შესყიდულია 2500, ხოლო თეფში 1000 საბჭოურ მანეთად. რა გზით მოხვდა აღნიშნული ნივთები ა. ეფენდიევას ოჯახში, კონკრეტული ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება.

ნივთების მხატვრული გაფორმება საერთო მხატვრულ სქემას ემყარება:

თეფშის (სხმ/აღ 3859; D – 26 სმ.) მოლურჯო-ნაცრისფერ ფონზე, რომელიც სტილიზებული ყვავილებითაა მორთული, წარმოდგენილია ხუთი კარტუში: ერთი განთავსებულია თეფშის ფსკერზე, ცენტრში, ხოლო დანარჩენი ოთხი კი – მის გარშემო, წრიულად. ცენტრში განთავსებულ მრგვალი კარტუშის რძისფერ ფონზე ოქროთი შესრულებულია სპარსულენოვანი წარწერა. ირგვლივ განლაგებულ კარტუშებში კი ჩაწერილია ინტერიერის ფონზე წარმოდგენილი ყოფითი სიუჟეტები ჩინელთა ცხოვრებიდან, აგრეთვე ნეიტრალურ ოქროსფერ ფონზე შესრულებული პეიზაჟური კომპოზიციები პეპლებით, ყვავილებითა (ძირითადად, ვარდებით) და ჩიტებით.

თეფშს კიდეზე შემოუყვება სტილიზებული არშია. იდენტური არშია მეორდება თეფშის ფსკერზე, კარტუშების ირგვლივ. თეფშის ძირი მოხატულობის გარეშეა.

თასი (სხმ/აღ 3858; D – 36 სმ.) თეფშისაგან განსხვავებით, მოხატულია ორივე მხარიდან. გარე კედელი წარმოგვიდგენს მოლურჯო-ნაცრისფერ ფონზე წრიულად, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებულ ექვს კარტუშს. მათში მონაცვლეობით ჩაწერილია იმავე შინაარსის კომპოზიციები, რაც თეფშზეა. ერთი რეგისტრით მაღლა, კარტუშებს ზევით, მოცემულია წრიული ფორმის ორი მედალიონი სპარსულენოვანი წარწერით. წარწერის ტექსტი ოქროთია შესრულებულია მოთეთრო-რძისფერ ფონზე.

თასის შიდა ნაწილიც მთლიანად მოხატულია დეკორატიული კარტუშებით,რომლებშიც იგივე სცენები მეორდება, რაც თეფშსა და თასის გარე კედელზე: ჟანრული კომპოზიციები ჩინელთა ყოფა-ცხოვრებიდან, აგრეთვე ჩიტები, პეპლები და ყვავილები, შესრულებული ნეიტრალურ ოქროსფერ ფონზე. თასის კიდეს, ისევე, როგორც თეფშს, შემოუყვება

არშია,რომელიც რამდენიმეჯერ მეორდება თეფშის მოხატულობაში და რეგისტრებად ყოფს დეკორს.

წარწერები თასზე, ისევე, როგორც თეფშზე, შესრულებულია სპარსულ ენაზე ე. წ. „*ნასთა'ლიყით*" (XIV საუკუნიდან არაბულ-სპარსულ დამწერლობაში დამკვიდრებული კალიგრაფიის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო სპარსულენოვან სამყაროში). თეფშის წარწერა ძალზე დაზიანებულია, ისევე, როგორც თასის გარე კედელზე განთავსებული ერთი წარწერაც. სამაგიეროდ, მკაფიოდ იკითხება მეორე წარწერა, რომელიც შეიცავს დამკვეთის ვინაობასა და კონკრეტულ თარიღს (წარწერა წაკითხულია პროფ. გრიგოლ ბერაძის მიერ) (სურ. 3).

წარწერის სპარსული ტექსტი (იკითხება ქვევიდან ზევით): „*ფარმაიეშ-ე ჰაზრათ-ე ას'ად ამჯად არფა' აშრაფ ვალა სოლთან მას'უდ მირზა იამინ ოდ-დოულე ზელლ-ე სოლთან. 1297* ".

თარგმანი: „*შეკვეთა მისი უმაღლესობის, უბედნიერესის, უსახელოვანესის, უდიადესის, უკეთილშობილესის, დიდებულ სულთან მასუდ მირზა იამინ ად-დავლა ზელლ-ე სულთნის. 1297*".

წარწერის ბოლოს მითითებული თარიღი მთვარის ჰიჯრის კალენდრით არის 1297 წელი, რომელიც შეესაბამება ჩვენი წელთაღრიცხვით 1880 წელს (უფრო ზუსტად კი პერიოდს – 1879 წლის 15 დეკემბერი – 1880 წლის 3 დეკემბერი).

სპარსული წარწერის პირველი სიტყვა „*ფარმაიეშ*" მოცემულ კონტექსტში ნიშნავს არა „ბრძანებას" , არამედ „შეკვეთას" (შდრ. „*ფარმაიეში*" = „შეკვეთილი", „*ფარმაიეშ-დაჰანდე*" = „შემკვეთი", „დამკვეთი").

ტექსტში მითითებულია შემკვეთი პირის (ყაჯარი პრინცის) როგორც საუფლისწულო სახელი „სულთან მასუდ მირზა", ასევე მისთვის შემდგომ, ირანული ტრადიციისამებრ, მინიჭებული საგანგებო ტიტულები: „*იამინ ად-დავლა*" (სპარსული ჟღერადობით „*იამინ ოდ-დოულე*" = „სახელმწიფოს (ხელისუფლების) მარჯვენა") და „*ზელლ-ე სულთან*" (არაბული „*ზილლ სულტან*" // „*ზილლ ას-სულტან*", სპარსული ჟღერადობით, „*ზელლ-ე სოლთან*" // „*ზელლ ოს-სოლთან*" = „სულთნის ჩრდილი"). ტექსტში მოცემული ტერმინი „*ვალა*", ისევე, როგორც შედგენილი ტერმინები „*ჰაზრათ-ე ვალა*" ან „*ვალა-ჰაზრათ*", ჩვეულებრივ იხმარებოდა ირანელი უფლისწულების მიმართ და აღნიშნავდა მიმართვით ფორმულას „მისი უმაღლესობა"[1].

ყაჯართა დინასტიის წარმომადგენლის, მასუდ მირზა ზელლ-ე სულთნის (1850-1918) სახელი ცნობილია როგორც ირანულ, ისე უცხოურ წყაროებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში (სურ. 4).

ყაჯართა დინასტია XVIII საუკუნის მიწურულიდან მართავდა ირანს. ამ დინასტიის მეოთხე მონარქის, ნასერ ად-დინ შაჰის (1848 – 1896) მეოთხე ვაჟი გახლდათ ზემოხსენებული მასუდ მირზა, მაგრამ, ვინაიდან მისი სამი უფროსი ძმა ბავშვობაშივე გარდაიცვალა, იგი ყაჯართა

[1] შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. გრიგოლ ბერაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

დინასტიის უფროს უფლისწულად ითვლება. მასუდ მირზას დედა, ეფათ ოს-სალთანე, წარმომავლობით ყაჯართა გვარს არ ეკუთვნოდა, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით ტახტის მომავალი მემკვიდრე როგორც მამის, ისე დედის ხაზითაც ყაჯართა საგვარეულო შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ასე რომ, მასუდ მირზას ბედი თავიდანვე განისაზღვრა: იგი ვერასოდეს გახდებოდა ირანის ტახტის მპყრობელი. მიუხედავად ბედისწერის ამგვარი განაჩენისა, მასუდ მირზა მთელი ცხოვრება ცდილობდა ტახტის მემკვიდრედ აღიარებას, რასაც ვერ მიაღწია [მეჰდი ბამდადი. 1347/1968: 78-100].

მოგვიანებით ნასერ ად-დინ შაჰმა ყაჯარ ქალზე იქორწინა და ამ ქორწინების შედეგად იშვა მასუდ მირზას უმცროსი ნახევარძმა მუზაფარ ად-დინ მირზა, შემდგომ ირანის ხელმწიფე მუზაფარ ად-დინ შაჰი (დაიბ.1853წ, ირანის შაჰი – 1896 – 1907) [Ali Asghar Bakhtiar. 2005: №V].

მასუდ მირზას 1860 წელს, 11 წლის ასაკში უწყალობეს პირველი ტიტული იამინ ად-დავლა ანუ „სამეფოს (ხელისუფლების) მარჯვენა". ამავე წელს ხდება იგი მაზანდარანის, ასთარაბადის, გორგანის, სემნანისა და დამღანის გამგებელი. ერთი წლის შემდეგ კი იგი მიავლინეს ფარსში, სადაც 1866 წლამდე გამგებლობდა. დაქორწინების შემდეგ, 1865 წლიდან 1870 წლამდე, მასუდ მირზა ისფაჰანის მმართველია [Firouzeh Rastegar Diba. 2005: №V].

ახალი ტიტული „*ზელლ-ე სულთან*" (ანუ „სულთნის ჩრდილი") მას 1869 წელს უბოძეს და იგი კვლავ ფარსის გამგებლად გაამწესეს. იგი რამდენიმეჯერ იყო ფარსის მმართველი. 1866 წელს მასუდ მირზა ისფაჰანის გამგებელი ხდება. სწორედ ისფაჰანი, რომელსაც იგი 34 წლის განმავლობაში განაგებდა, იქცა მისი დიდი პოლიტიკური კარიერის საწყის ადგილად. ისფაჰანთან ერთად იგი პარალელურად თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთი ირანის გამგებელიცაა (სახელდობრ, მას ემორჩილებოდა ფარსი, იეზდი, ბახთიარი, ხუზისთანი, ქერმანშაჰი, ბორუჯერდი, ლურისთანი, არაქი, გოლფაიეგანი, ხვანსარი, მალაიერი, ნეჰავანდი და სხვ.). მან მოიხვეჭა ზღაპრული სიმდიდრე და განუსაზღვრელი ძალაუფლება. საკუთარი ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი ისფაჰანი აქცია, სეფიანთა ხანის ირანის ულამაზესი და უპირველესი ქალაქი. მისი საარაკო სიმდიდრე და განუზომელი ამბიცია შეიქმნა იმის მიზეზიც, რომ მასუდ მირზა ზელლ-ე სულთანს მამისათვის, ნასერ ად-დინ შაჰისათვის, ქრთამად ერთი მილიონი თუმანი შეუთავაზებია, რათა შაჰს იგი ტახტის მემკვიდრედ ეღიარებინა უფლისწულ მუზაფარ ად-დინის ნაცვლად, თუმცა, მისი ეს მცდელობა მარცხით დამთავრებულა [მეჰდი ბამდადი.1347/1968: 78-100].

საკმაოდ ნიჭიერმა და შორსმჭვრეტელმა ზელლ-ე სულთანმა კარგად უწყოდა, რომ სანამ მამამისი ცოცხალი იყო, მისი პოზიციები სამეფოში დაცული და უზრუნველყოფილი იქნებოდა, ხოლო ნასერ ად-დინ შაჰის სიკვდილის შემდეგ ამ პოზიციებს, ისევე, როგორც მის სიმდიდრესა და ძალაუფლებას, აშკარა საფრთხე დაემუქრებოდა. ამიტომ მან დაიწყო ოქროულობის, ძვირფასი თვლებისა და უძრავი ქონების თავმოყრა და მიზნობრივი გადანაწილება თავისი მრავალრიცხოვანი შვილებისათვის (ზელლ-ე სულთანს 14 ვაჟი და 10 ქალიშვილი ჰყავდა) [Ali Asghar

Bakhtiar. 2005:№V]. ამან მაინც ვერ იხსნა იგი საფრთხისა და ქონების ნაწილობრივი კონფისკაციისგან. 1888 წელს ზელლ-ე სულთანს მრავალი პროვინცია ჩამოართვეს და მხოლოდ ისფაჰანის გამგებლობით შემოზღუდეს, თუმცა, ცოტა ხანში ისევ დაუბრუნეს იეზდის, არაქისა და გოლფაიეგანის გამგებლობაც. ზელლ-ე სულთანის პოლიტიკური დისკრედიტაცია მის მიერ ძალაუფლების გადაჭარბებისა და ბოროტად გამოყენების გამო იმდენად საგრძნობი გახდა, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი მთლიანად ჩამოაშორეს აქტიურ პოლიტიკას, ხოლო 1909 წელს, ირანის კონსტიტუციური რევოლუციის დროს ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი 300 ათასი თუმნის გადახდის შემდეგ მას ევროპაში ემიგრირების უფლება მისცეს ინგლისელთა უშუალო ჩარევის წყალობით, რომელთა კეთილგანწყობითა და მხარდაჭერითაც იგი ყოველთვის სარგებლობდა. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის ბოლოსათვის დაბრუნდა ზელლ-ე სულთანი ისფაჰანში, სადაც დარდსა და სინანულში გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები. განსაკუთრებით მწვავედ განიცადა მან ტრაგიკული სიკვდილი თავისი უსაყვარლესი ვაჟიშვილისა, რომელიც ევროპაში გემით მგზავრობისას ზღვაში დაიხრჩო. მასუდ მირზა ზელლ-ე სულთანი გარდაიცვალა ჰიჯრის 1336 წლის 22 რამაზანს (ანუ 1918 წლის 1 ივლისს) ისფაჰანში, 70 წლის ასაკში. მისი ცხედარი გადაასვენეს და დაკრძალეს შიიტთა წმინდა ქალაქ მეშჰედში [მეჰდი ბამდადი. 1347/1968: 78-100].

მასუდ მირზა ზელლ-ე სულთნის, თავისი დროის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ირანელი პოლიტიკური ფიგურის ბიოგრაფია, როგორც ერთი მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, ნათელი მაგალითია იმისა, რომ აღმოსავლეთში ეკონომიკური რესურსები არასოდესაა გარანტი პოლიტიკური ძალაუფლების მოხვეჭისა და შენარჩუნებისა [Reza Sheikholeslami A. 1979: 96-97]. ფლობდა რა მთელი იმდროინდელი ირანის დაახლოებით 2/5 ნაწილს, ზელლ-ე სულთანი ახორციელებდა თავისი დროისათვის უმნიშვნელოვანესსა და საჭირო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო რეფორმებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ვრცელდებოდა მხოლოდ მის კუთვნილ ტერიტორიებზე. მან განახორციელა საგადასახადო რეფორმა, შექმნა თავისი დროისათვის ირანში ყველაზე უკეთ მობილიზებული და მომზადებული ინფანტერია (15,800) და კავალერია (5,200). მის მთავარ სარეზიდენციო ქალაქ ისფაჰანში მას მანამდე არნახული სამეფო დიდებით დააცილებდნენ ავსტრიულ უნიფორმებში გამოწყობილი გვარდიელები; მის პატივსაცემად უკრავდა სამხედრო ორკესტრი; მის მიერ მოწყობილი სამხედრო აღლუმების დროს სავაჭრო ობიექტებიც კი წყვეტდა მუშაობას. ზელლ-ე სულთანს ჰქონდა საკუთარი სამეფო ინსიგნიებიც [Reza Sheikholeslami A.1979:96].

მასუდ მირზა ზელლ-ე სულთანის უსაყვარლეს ადგილსამყოფლად სრულიად სამართლიანად მიიჩნევა ქალაქი ისფაჰანი. მისი მემკვიდრეები აღნიშნავენ და საგანგებოდ ხაზს უსვამენ, რომ ზელლ-ე სულთანმა ხელმეორედ ააშენა ეს სახელგანთქმული ქალაქი, გაამშვენიერა, გაამდიდრა იგი ახალი ნაგებობებითა თუ ბაღებით [Ali Asghar Bakhtiar. 2005: №V], თუმცა, სხვა წყაროებში ამის საპირისპიროდ ზელლ-ე სულთანს ისფაჰანის სეფიანთა ეპოქის არქიტექტურული ძეგლების

იავარმყოფლად მოიხსენიებენ და მიზეზად იმასაც კი ასახელებენ, რომ უფლისწულს მუდმივი შიში ჰქონდა, ისფაჰანის გამორჩეულად ლამაზ ძეგლებს შაჰის საგანგებო ყურადღება და ინტერესი არ გამოეწვია [მეჰდი ბამდადი. 1347/1968: 78-100; Walcher H. 2008: 94; Bakhtiari P. S., Habibi A. 2008].

ჩვენ გვიჭირს მივემხროთ რომელიმე წყაროს და განვსაზღვროთ ზელლ-ე სულთანის კულტურული თუ აღმშენებლობითი მოღვაწეობის პერიპეტიები ისფაჰანში, თუმცა, ჩინური ფაიფურის ის მშვენიერი ნიმუშები, რომლებიც ხელოვნების მუზეუმში ინახება, ირანელი უფლისწულის ესთეტიზმს ნამდვილად თვალშისაცემს ხდის და წარმოგვიდგენს მას, როგორც ხელოვნების ნიმუშთა დამფასებელს. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ჩვენს მიერ ზემოთ უკვე აღნიშნულ იმ გარემოებასაც, რომ XVIII საუკუნიდან ჩინური ფაიფურის წარმოების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენდა დამკვეთის გემოვნების გათვალისწინება. ჩინური ტრადიციული დეკორით დამშვენებული თეფში და თასი, ჩინელ ოსტატთან ერთად ირანელი მხატვარ-დეკორატორის, კალიგრაფის შრომის კვალსაც რომ ატარებს, მხატვრული სრულყოფით ნამდვილად აკმაყოფილებს სამეფო სტანდარტის, ასევე კარგი გემოვნების ადამიანის მოთხოვნებს.

სხვათა შორის ფრიად საგულისხმოა, რომ წარწერათა მიხედვით, დაკვეთის თარიღია ჰიჯრის 1297 წელი. ამ დროს კი ჭურჭლის შემკვეთი მასუდ მირზა ზელლ-ე სულთანი თავისი კარიერის თითქმის ზენიტში იმყოფებოდა. ამ დროისათვის იგი იყო არა მარტო ისფაჰანისა და ფარსის მმართველი, არამედ მისსავე გამგებლობის ქვეშ იყო მოქცეული აგრეთვე სხვა ირანული პროვინციებიც: გოლფაიეგანი, ხვანსარი, მაჰალათი, იეზდი, ხუზისთანი, ლურისთანი, არაქი და სხვ. ცხადია, მყარი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დიდებისა და სიმდიდრის მწვერვალზე მყოფი ყაჯარი უფლისწული საკუთარ თავს სრულ უფლებას მისცემდა იმხანად ყველაზე მოდური და ჭეშმარიტად საუკეთესო ჩინური ფაიფური დაეკვეთა საკუთარი სახლეულობისათვის.

კვლევისას გამოვლინდა საინტერესო პარალელური მასალაც: მოვიძიეთ იდენტური დეკორისა და წარწერის მქონე სხვა ნაკეთობებიც, უმთავრესად, თეფშები და თასები, რომელთა შესწავლამაც ნათლად აჩვენა, რომ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი თეფში და თასი დიდი სერვიზის შემადგენელი ნაწილია, რომელიც, სამწუხაროდ, დანაწევრებული სახითაა დღემდე შემორჩენილი და გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში. ჩვენი დაკვირვებით, ესაა სადილის სერვიზი, რომელიც წარწერათა შინაარსის და მხატვრული დეკორის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სამეფო სერვიზი იყო. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას მხოლოდ დეკორატიული სამშვენისის ფუნქცია ჰქონოდა, რადგანაც ამგვარი დანიშნულების დაკვეთები, როგორც წესი, ფორმათა ნაირსახეობითა და მხატვრული გადაწყვეტის სირთულით ხასიათდება. ჩვენს შემთხვევაში კი საქმე გვაქვს, თუმცა კი მდიდრული დეკორის, მაგრამ საკმაოდ მარტივი, გამოყენებითი ფუნქციის მქონე ჭურჭლის ჯგუფთან, სადაც ისევე, როგორც ტიპური სადილის სერვიზის შემადგენლობაში,

შედის ერთი ფორმის, მაგრამ სხვადასხვა ზომის თეფშები თუ თასები. ჩვენს ვარაუდს დიდი სადილის სერვიზის შესახებ ამყარებს ის ცნობილი გარემოებაც, რომ XVIII და, განსაკუთრებით კი, XIX საუკუნეში დიდი სადილის სერვიზები უმეტესწილად სწორედ „ვარდისფერი ოჯახის" მხატვრული დეკორით ფორმდებოდა [Patterson J. 1979:85-95].

ე.წ. ვარდისფერი ოჯახი, ესოდენ პოპულარული უკვე XVIII საუკუნიდან, როგორც ცნობილია, გულისხმობს ფაიფურს მინანქრის ჭიქურზე და მხატვრობით, სადაც ძირითადი და არა დომინანტი ფერია არაჩვეულებრივად ნაზი, თითქმის გამჭვირვალე ვარდისფერი. სწორედ ვარდისფერი მინანქრის საღებავი არის მხატვრული დეკორის მთავარი ღერძი. სხვათა შორის, აღნიშნული ფერის საღებავი ჩინეთში ევროპიდან შემოდის და იმდენად იმკვიდრებს ადგილს და ისეთ პოპულარობას იძენს, რომ ხშირად ჩინელი ოსტატები XIX საუკუნის მიწურულის ჩინურ ნაკეთობებს *ვარდისფერი ოჯახის* სტილში – 150 წლით ადრეული დამდეთაც კი ნიშნავდნენ. ძველი დამღების გამოყენება არცთუ იშვიათი მოვლენაა ჩინურ ფაიფურწარმოებაში. ამგვარი ქმედებით ჩინელი ოსტატები გამოხატავდნენ ეროგვარ პატივისცემას წარსულის დიადი ტრადიციების მიმართ. როგორც ჩანს, ვარდისფერი მინანქრის საღებავი იმდენად მოწონებული და გათავისებული იყო ჩინეთში, რომ მისი ზუსტი წარმომავლობა მიივიწყეს ანდა უგულვებელყვეს და ის ადგილობრივ აღმოჩენად იქნა აღიარებული [Patterson J. 1979:85-95].

ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების კოლექციაში დაცული თეფში და თასი, ჩვენი დაკვირვებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი სერვიზის შემადგენელი ჭურჭელია. ამავე სერვიზის შემადგენელი ნაწილია აზერბაიჯანის მოქალაქის, ყაჯართა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის, მკვლევრის, ჩვენი მუზეუმის დიდი მეგობრის ჩინგიზ ყაჯარის კოლექციაში დაცული ერთი თეფშიც [Каджар Ч. 2001: 81].

2006 წელს კრისტის აუქციონზე წარმოდგენილ ნივთებს შორის მოვიკვლიეთ თასი [http://www.christies.com], 2005 წლის ცნობილ, ე.წ. მილერის კატალოგში კი დიდი თეფში [Miller's International Antiques Price Guide. 2005:310], ჩვენის აზრით, იმავე სერვიზის შემადგენელი ჭურჭელი. მართალია, მათზე განთავსებული სპარსული წარწერის ზუსტი ტექსტი არც აუქციონის ვებგვერდზე და არც კატალოგში განთავსებული არაა, მაგრამ წარმოდგენილი ინფორმაციისა და გარეგნული მსგავსების მიხედვითაც ვფიქრობთ, რომ ნივთები საერთო წარმომავლობისაა.

გვაქვს ანალოგებიც: კვლევის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ პარალელურ მასალებს შორის, უდავოდ, ყველაზე საინტერესოა ქ. თბილისში მცხოვრებ სანდრო თევდორაძის კერძო კოლექციაში დაცული ნივთები: სულ შვიდი ერთეული – თეფშები და თასები, განსხვავებული ზომებით (D – 39,5 სმ., 40 სმ., 27 სმ., 23 სმ., 19 სმ., 14 სმ., 11 სმ.). უშუალოდ ვიმუშავეთ რა აღნიშნულ მასალაზე, დეკორის და მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებათა შესწავლის შემდგომ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი ვერსია დიდი სამეფო სადილის სერვიზის შესახებ ეჭვს აღარ იწვევს. რაც შეეხება წარწერებს, თევდორაძის კერძო კოლექციისა და ხელოვნების მუზეუმში დაცულ ჭურ-

ჭელზე არსებული ყველა სპარსული წარწერის ტექსტი და თარიღები იდენტურია. მხოლოდ ორ თეფშს ს. თევდორაძის კერძო კოლექციიდან წარწერის ზედა ნაწილში აქვს დამატებითი დეკორატიულ-ეპიგრაფიკული ელემენტები: არაბული ასოები „ალიფი" და „ვავი"[2].

იმავე სერვიზის ნაწილია ქ. თბილისში, სიმონ მაჩაბლის კერძო კოლექციაში დაცული თასიც (სურ. 5. D – 64სმ). მასზე განთავსებული წარწერები, ორივე კარტუშში (წარწერათაგან ერთი – დაზიანებული, მეორე იკითხება სრულად) იდენტურია ხელოვნების მუზეუმის საცავებში მყოფი ნივთებისა[3].

უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოებაც, რაც ჩვენი კვლევის პროცესში გამოვლინდა: დანიელ ნადლერი, ჩინური საექსპორტო ფაიფურის მკვლევარი და კოლექციონერი, აღნიშნულ თემაზე მრავალი საინტერესო სტატიის და მონოგრაფიის ავტორი, საგანგებოდ მიუთითებს, რომ მასუდ მირზა ზელლ-ე სულთანმა, რომელმაც ირანის ისტორიას თავი სეფიანთა ხანის ისფაჰანის არქიტექტურული ძეგლების ხელყოფით დაამახსოვრა, სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ფაიფურის ისტორიაში, რადგანაც გამორჩეულად ძვირფასი და იშვიათი ჩინური საექსპორტო ფაიფურის ჭურჭელი ატარებს მის სახელს [Nadler D. 2000]. მკვლევარი საინტერესოდ განმარტავს XIX საუკუნის ჩინური საექსპორტო პროდუქციის თავისებურებებს, და იმავდროულად, აღწერილი და გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნიმუში ჩინური ფაიფურის ჭურჭლისა, ცნობილი მასუდის სახელითა თუ გამოსახულებებით (უმეტესობა დაცულია ავტორის კერძო კოლექციაში). ავტორს მოყვანილი აქვს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ნივთების იდენტური ჭურჭელიც, სახელდობრ, თეფში (D – 33,5სმ) და თასი (D – 39,7 სმ.) [Nadler D. 2001:171]. წარმოდგენილი ფოტომასალების მიხედვით ნადლერის მიერ გამოქვეყნებული ნივთები ჩვენი ნივთების იდენტურია, თუმცა იგი განმარტავს რა წარწერებს ჭურჭელზე, მიუთითებს ვინმე ასადს (someone named As'ad), რომლის შეკვეთითაც, ნადლერის განმარტებით, დაუმზადებიათ ჭურჭელი ძღვნად ზელლ-ე სულთნისთვის [Nadler D. 2001:171]. გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ თეფშსა და თასზე არსებული წარწერა ნაშრომში მოტანილია ცალკე, მსხვილი პლანით და შესაბამისად, სრულიად თავისუფლადაა შესაძლებელი მისი ამოკითხვა, თავს უფლებას ვაძლევთ დავასკვნათ, რომ დ.ნადლერის მიერ წარწერათა წაკითხვისას დაშვებულ იქნა შეცდომა; კერძოდ, ტექსტში: *„ ფარმაიეშ-ე ჰაზრათ-ე ას'ად ამჯად არფა' აშრაფ ვალა სოლთან მას'უდ მირზა იამინ ოდ-დოულე ზელლ-ე სოლთან, 1297 ", სიტყვა –* „*ას'ად*" – განმარტებულ იქნა როგორც ოსტატის სახელი, ნაცვლად მიმართვის ეროგვარი ფორმისა – *„უბედნიერესი"*, რომელიც, როგორც წესი, სხვა ტერმინებთან ერთად (როგორებიცაა მაგალითად, „მისი უმაღლესობა", „უდიადესი", „უკეთილშობილესი" და სხვ.), ჩვეულებისამებრ, იხმარებოდა ირანელი უფლისწულების მიმართ[4]. ამგვარად, ნადლერის

[2] შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. გრიგოლ ბერაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[3] ს. მაჩაბელის კუთვნილ თასზე წარწერები ამოიკითხა პროფ. გ. ბერაძემ.

[4] შენიშვნები და განმარტებები პროფ. გ. ბერაძისა.

მიერ წარმოდგენილი ჭურჭელი, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენი საკვლევი მასალის იდენტურია და იმ დიდი სერვიზის ნაწილია, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

დ. ნადლერის მონოგრაფიამ კიდევ ერთი საინტერესო პუბლიკაციით მიიქცია ჩვენი ყურადღება. თავის ნაშრომში "*China to Order, Focusing on the XIX th century and Surveying Polychrome Export Porcelain Produced During the Qing Dunasty (1644-1908)*" იგი წარმოგვიდგენს მოზრდილი ზომის ერთ მეტად საინტერესო თასს, რომელსაც სავარაუდოდ, 1865 წლით ათარიღებს (საკუთრივ ნივთზე თარიღი არ არის!). ამ ფიალაზე წრიულად ოთხი კარტუშია წარმოდგენილი, რომელთაგანაც სამში - პორტრეტები, მეოთხეში კი არაბული დამწერლობით შესრულებული წარწერაა განთავსებული. აღნიშნულ პორტრეტებზე, ავტორის განმარტებით, წარმოდგენილნი არიან ნასერ ად-დინ შაჰი და მისი ორი ვაჟი: მასუდ მირზა და მუზაფარ ად-დინ მირზა. მეოთხე კარტუშში განთავსებული წარწერა კი გვაუწყებს: *„ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი, სულთანი, ძე სულთნისა"* (წაკითხულია სტატიის ავტორის, ნადლერის მიერ) [Nadler D. 2001:169] .

ჩვენს მიერ პარალელურ მასალათა მოძიებისას, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის ფაიფურის საცავში (კურატორი ქ-ნი მარინე ბოკუჩავა) მივაკვლიეთ ნადლერის მიერ გამოქვეყნებული ზემოხსენებული თასის იდენტურ ნივთს. ეს გახლავთ თასი ოთხი კარტუშით, რომელიც წარმოგვიდგენს ნასერ ად-დინ შაჰს ორ ახალგაზრდა ყმაწვილთან ერთად და არაბულ წარწერას (იკითხება ქვევიდან ზევით): *„ალ-სულტან იბნ ალ-სულტან ნასირ ალ-დინ შაჰ ყაჯარ"* (თარგმანი: *„სულთანი, ძე სულთნისა, ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი"*).

დამზადების თარიღი არც ამ შემთხვევაშია მითითებული. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ირანის სამეფო ოჯახისათვის დამზადებულ კიდევ ერთ (ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელ) სერვიზთან, რომელიც ასევე დანაწევრებული სახით არის მოღწეული ჩვენს დრომდე. თუ დანიელ ნადლერის დათარიღებას დავეყრდნობით, რომელიც გამომდინარეობს ისტორიული პიროვნებების – მასუდ მირზასა და მუზაფარ ად-დინ მირზას ბიოგრაფიული ცნობების საფუძვლიანი შესწავლიდან, იკონოგრაფიული კვლევებიდან თუ ჩვენს ხელთ არსებული ფოტომასალებიდან, სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმში დაცულ თასზე გამოსახული ერთ-ერთი ყმაწვილი მასუდ მირზაა, და იგი ამ დროისათვის 15-16 წლის ჭაბუკი უნდა იყოს. თასზე გამოსახული ორივე ჭაბუკის ასაკი, ერთი შეხედვით, მართლაც ასე განისაზღვრება. თუმცა, მასალათა სიმწირის გამო რთულია დაბეჯითებული ვარაუდი გამოვთქვათ აღნიშნულ თასზე გამოსახულ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ. ერთი რამ კი სავსებით ცხადია: თასი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, ნადლერის მიერ გამოქვეყნებული ჭურჭლის იდენტური უნდა იყოს, ტიპოლოგიურად და სტილისტურად ახლოს დგას ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების საცავებში დაცულ ჭურჭელთან და წარმოადგენს ძალზე საგულისხმო და მნიშვნელოვან მასალას როგორც ჩვენი ჭურჭლის ატრიბუციისათვის, ისე ზოგადად საქართ-

ველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული XIX საუკუნის ჩინური საექსპორტო ფაიფურის კვლევისათვის. იმავდროულად აღნიშნული ნივთი საინტერესო პარალელური მასალაა თავად მასუდ მირზა ზელლ-ე სულთნისა თუ მუზაფარ ად-დინ მირზას ბიოგრაფიის ცალკეული დეტალების დასადგენად.

აუცილებელია საგანგებო ყურადღება მივაპყროთ კიდევ ერთ გარემოებას: საქმე ისაა, რომ XVIII-XIX საუკუნეების საექსპორტო ჩინურ კერამიკას, მათ შორის, ფაიფურის ნაკეთობებს, ხშირად ემჩნევა დაუსრულებლობის კვალი: ჭურჭლის ძირი ზოგჯერ ძალზე დაუდევრად, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდაც ჭიქურის გარეშეა დატოვებული, მინანქრის საღებავები ზედაპირზე უხეშად, არაპროფესიონალურადაა დატანილი,რაც ნაკეთობის ზედაპირსაც არასასურველად რელიეფურსა და უხეშს ხდის. ამგვარი დარღვევების მიზეზად იმხანად საერთაშორისო ბაზარზე ჩინური ფაიფურის განსაკუთრებით მზარდ საექსპორტო მაჩვენებელს ასახელებენ. დაკვეთების მომრავლებამ გარკვეულწილად მართლაც დააქვეითა პროდუქციის ხარისხი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ ნანახი და ზემოთ განხილული ნივთები, რომლებიც სტილისტური ანალიზის მიხედვით ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება, ამგვარი დაუსრულებლობის კვალს ნამდვილად არ ატარებს. პირიქით, მათი შესრულების მაღალი ხარისხი ნათლად მეტყველებს, რომ ჭურჭლის დამზადების პროცესში სათანადოდ იქნა გათვალისწინებული დამკვეთის ვინაობაცა და გემოვნებაც. სავსებით ნათელია ისიც, რომ დამკვეთი მხარის მიერ არჩეულ იქნა სამეთუნეო სახელოსნო, სადაც ჩინური ფაიფურწარმოების საუკეთესო ტრადიციები ჯერ კიდევ არსებობდა. ჭურჭელი საუკეთესო ხარისხის ფაიფურია მინანქრის ჭიქურზედა მოხატულობით, გამოირჩევა შესრულების მაღალი დონითა და დახვეწილი დეკორით.

კვლევის ამ ეტაპზე სხვა პარალელების მოძიება არ მოხერხდა. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი მუშაობა ამ მიმართულებით გამოავლენს საინტერესო დამატებით მასალას და მეტ ნათელს მოჰფენს როგორც ირან-ჩინეთის სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებს, ასევე ყაჯართა პერიოდის ირანის ეთნო-კულტურულ ტრადიციებთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო პრობლემებს. ასეთი მდიდარი და საინტერესო ირანული კოლექციების არსებობა საქართველოში, როგორც ეროვნულ მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველო-ირანის მჭიდრო ისტორიულსა და კულტურულ ურთიერთობასაც, რომელზეც უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტი იწერება როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

NATIA DEMURISHVILI

The Georgian National Museum, Shalva Amiranashvili Museum of Fine Art
1 L. Gudiashvili St. 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: natia2906@yahoo.com

# CHINESE PORCELAIN DISHES FOR THE IRANIAN ROYAL FAMILY

**(For attribution of two items kept in the Oriental collection of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Art)**

## Summary

The distinguished collection of Chinese porcelain is kept in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Art (Georgian National Museum). The presented paper discusses two brilliant pieces of Chinese porcelain production dated back from the 19th century. These are a bowl and a plate which are decorated with elegantly dressed figures, floral motives and scenes in the interiors. They have not only artistic, but also historical value. They were produced for export to the Persian market.

According to the Persian inscriptions on them the bowl and plate (the details of this inscriptions were given to us by Professor G. Beradze; Georgia; Institute of Oriental Studies) have been made by the Qajar ruler Mass'oud Mirza Zell-e Sultan's order. Both items bear his name, complimentary titles and the date A.H. 1297 (A.D. 1879-1880).

Mass'oud Mirza Zell-e Sultan, known as the "Yamin-al-Dowleh" ("Right Hand of the Government") was Nasser-al- Din Shah's son; He could not ascend as Shah as his mother did not belong to the Qajar dynasty family group. He served as governor of Esfahan. Mass'oud Mirza Zell-e Sultan is remembered as the most powerful of the Qajar princes and the richest person of that period of time. Besides his successes in political carrier he also retains a place in porcelain history.

The plate and bowl in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Art collection are the part of a large dinner set; the same kind of objects are found in different private and museum collections.

## ბიბლიოგრაფია


**მეჰდი ბამდადი: 1347-1968:** *ჰიჯრის XII,XIII და XIV საუკუნეების ირანის ცნობილ მოღვაწეთა ბიოგრაფიები.* ტ. IV. თეირანი (სპარსულ ენაზე).

**როსტიაშვილი ნ. 2003:** ჩინური ფაიფურის კოლექცია, *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები.* ტ. VIII. გვ. 92-99. თბილისი (რედ. ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

**როსტიაშვილი ნ. 2005:** ირანისა და ჩინეთის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის, *შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები,* ტ. X. გვ. 165-178. თბილისი (რედ. ნ. ლომოური, გ. მარსაგიშვილი).

**Арапова Т.Б., Рапопорт И. В. 1971:** „К истории культурных связей Ирана и Китая в XVI – XVIII вв. Искусство и археология Ирана *(*Доклады*)*. Москва.

**Каджар Ч. 2001:Каджары.** Баку.

**Кречатова М. Н., Вестфален Э. Х. 1947:** *Китаиский фарфор.* Москва.

**Nadler D. 2001**: *China to Order, Focusing on the XIXth Century and Surveying Polychrome Export Porcelain Produced During the Qing Dunasty (1644-1908).* VILO International. Paris.

**Patterson J. E. 1979**: *Porcelain: The Smithsonian Illustrated Library of Antiques*, Cooper-Hewitt Museum, The Smithsonian Institution. Washington, D.C.

**Walcher H.2008:** A., *In the Shadow of the King: Zill al-Sultan and Isfahan under the Qajars*, I.B.Tauris & Co., London.

**A. Reza Sheikholeslami, 1979:** Zill al-Sultan: Political Leadership,*Islam in Balkans: Persian Art and Culture of the 18th and 19th Centuries*, edited by Jennifer M. Scarce, The Royal Scottish Museum. Edinburgh. pp. 95-97. (Ed. by Jennifer M. Scarce).

**Ali Asghar Bakhtiar, 2005:** H.I.H. Prince Massoud Qajar 'Zell os-Soltan' and his Family, *Qajar Studies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol. V, Rotterdam/ Santa Barbara/, pp. 155-165. Tehran (Ed.by Said Amir Arjomand).

**Firouzeh Rastegar Diba, 2005:** Qajar Family History: H.I.H. Prince Massoud Miurza ``Yamin od-Doleh``, ``Zell os-Soltan`` , *Qajar Sudies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol. V, Rotterdam/ Santa Barbara. pp.167-211. Tehran (Ed.by Said Amir Arjomand).

**Rostiashvili N. 2008**: Two Chinese bowls from the Chini-khana of Ardabil,*Journal of Persianate Studies*, Vol. 1, No. 2. pp. 249-253. Leiden (Ed.by Said Amir Arjomand).

**Watsom O. 1992:** Chinese-Iranian Relations, XI. Mutual Influence of Chinese and Persian Ceramics, *Encyclopedia Iranica*, edited by Ehsan Yarshater, vol V, Mazda Publishers. pp. 445-447. Costa Mesa, California (Ed. by Ehsan Yarshater).

http://www.qajarpages.org/zellesoltan.html>;<http://www.qajarpages.org/massoud.html>.(**Parinaz Samsam Bakhtiari, Ali Habibi**, **2008** : Additions to the Genealogy of Prince Massoud Mirza Qajar 'Zell os-Soltan' in Qajar Studies V, *Qajar Studies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol. VIII, Rotterdam/ Santa Barbara/ Tehran. pp. 155-162).

http://findarticles.com/p/articles/mi_m1026/is_3_157/ai_60370499>(**Daniel Nadler, 2000:** Chinese export porcelain with Arabic inscriptions*, The Magazine Antiques*, New York).

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ჩინური ფაიფურის თეფში სპარსული წარწერით (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია).
**სურ. 2.** ჩინური ფაიფურის თასი სპარსული წარწერით (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია).
**სურ. 3.** ჩინური ფაიფურის თასი სპარსული წარწერით. დეტალი (სპარსული წარწერა ჩინურ თასზე).
**სურ. 4.** ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი მასუდ მირზა ზელლ-ე სულთანი (1850-1918).
**სურ. 5.** ჩინური თასი სპარსული წარწერით. სიმონ მაჩაბლის კერძო კოლექცია (თბილისი).

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Chinese plate with Persian inscriptions (Georgian National Musem).
**Fig. 2.** Chinese bowl with Persian inscriptions (Georgian National Musem).
**Fig. 3.** Chinese bowl with Persian inscriptions; Detail (Persian inscription on the bowl).
**Fig. 4.** Qajar Prince Mass'oud Mirza Zell-e Sultan (1850-1918).
**Fig. 5.** Chinese bowl with Persian inscriptions From Simon Machabeli's private collection (Tbilisi).

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 366-384
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 366-384

**სამუზეუმო საქმე**

**გურამ ჩხაიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105 თბილისი, საქართველო
ელფოსტა: Chkhaidze@museum.ge

# ივანე ჯავახიშვილის სამუზეუმო მოღვაწეობა

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის, ივანე ჯავახიშვილის მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე სამუზეუმო საქმიანობაა. იგი ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩაება ამ საქმეში და სიცოცხლის ბოლო დღემდე არ შეუწყვეტია აქტიური სამუზეუმო ცხოვრება. მან ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს მუზეუმის განვითარებაში. ამ დაწესებულებაში მისი საქმიანობა ფართო დიაპაზონის მქონე ლიდერის წარმატებული მოღვაწეობის ნათელი მაგალითი იყო.

1904 წელს ივანე ჯავახიშვილმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრანტმა, მონაწილეობა მიიღო რუსული ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ დაღესტანში მოწყობილ ექსპედიციაში. აქ მან მოვლო ხუნძახი, დიდოეთი და სხვა მხარეები და შესანიშნავი ეთნოგრაფიული კოლექცია შეაგროვა. ფორმითა და ორნამენტებით მდიდარი კოლექციის ნაწილის შესახებ მან სამეცნიერო ნაშრომიც გამოაქვეყნა.

როგორც გ. ჩიტაია გადმოგვცემს, ამ ექსპედიციიდან 35 წლის შემდეგაც კი ივანე ჯავახიშვილი, უკვე საქართველოს მუზეუმის თანამშრომელი, დიდი სინანულით იგონებდა იმას, რომ მას დაღესტანში კიდევ ბევრი საინტერესო და უნიკალური ეთნოგრაფიული კოლექცია დარჩა მოსაპოვებელი და ახალი ექსპედიციის წევრებს ავალებდა მათს მოძიებას.

ივანე ჯავახიშვილს მუზეუმის მთავარ ამოცანად კოლექციების მოძიება, შეგროვება, დაცვა და მათი მეცნიერულად შესწავლა მიაჩნდა. „იგი თითოეულ სამუზეუმო საგანს განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მისთვის მუზეუმი ისეთი სამეცნიერო ლაბორატორია იყო, რომელიც მოწოდებულია ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგები გამოფენის მეშვეობით ხალხში, ფართო მასებში გაავრცელოს" [ჩიტაია გ. 1942: 281].

ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება სამუზეუმო საქმისადმი, მისი შეხედულება საერთოდ, სამუზეუმო დაწესებულების როლსა და მნიშვნელობაზე, შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ იმ ვრცელი მოხსენებითი ბარათით, რომელიც მან, როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს (ყოფილი კავკასიის) მუზეუმის საქმიანობის

შემოწმების შემდეგ 1921 წლის ბოლოს წარმოადგინა.

იმ პერიოდისთვის, როდესაც ივანე ჯავახიშვილი დაბრუნდა საქართველოში (1917 წლის აპრილი), თბილისში ფუნქციონირებდა ერთადერთი მრავალპროფილიანი, სოლიდური პროფესიული სამუზეუმო დაწესებულება – კავკასიის მუზეუმი, რომელიც 1884 წლიდან შედიოდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. 1865 წელს დაფუძნებულმა ამ მუზეუმმა უდიდესი წვლილი შეიტანა კავკასიის მხარის მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშების მოძიებაშეგროვებაში და მათს დაცვაში, რეგიონის ბუნების, ფლორისა და ფაუნის შესწავლაში, მეცნიერების ახალი დარგების (განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველოს) შექმნასა და განვითარებაში.

საქართველოს კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ კავკასიის მუზეუმი მოიაზრებოდა, როგორც ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ნაშთთა თავმოყრისა და დაცვის ცენტრი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული ინტერესების მატარებელი სამუზეუმო დაწესებულების ჩამოყალიბება. საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 1919 წლის პირველი აგვისტოს დეკრეტით კავკასიის მუზეუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმი.

მუზეუმს განაგებდა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შედიოდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ არჩეული 5 წარმომადგენელი. 1921 წლის 10 მარტიდან სამუზეუმო განძეულის საპატრონოდ უცხოეთში ემიგრირებული ექ. თაყაიშვილის ნაცვლად მუზეუმის საბჭოში ადგილი დაიკავა ივანე ჯავახიშვილმა [სმა, ფ. 151, 1921].

ბევრისთვის, განსაკუთრებით კი მუზეუმის არაქართველი თანამშრომლებისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა ამ სამუზეუმო დაწესებულების გაეროვნულობის პროცესი და სტატუსის შეცვლა, რადგან მათ დაკარგეს ძველი პრივილეგიები, მაღალი ხელფასები და ის შეღავათები, რომლებიც რუსეთის საიმპერატორო აკადემიის სისტემაში ყოფნით დებულებით ჰქონდათ მინიჭებული, რაც მენშევიკური ღარიბი მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ძალზე საგრძნობი ჩანდა. მუზეუმის თანამშრომელთა ის ნაწილი, რომელიც ვერ შეეგუა ასეთ ვითარებას, საპროტესტო წერილების მთელ ნაკადს აგზავნიდა რუსეთში და მოითხოვდა ისევ რუსეთის სამეცნიერო სისტემაში აღდგენას. ისინი ამის მოტივაციად ასახელებდნენ იმ ფაქტს, რომ მუზეუმის ფონდებში თავმოყრილია მასალები მთელი კავკასიიდან, ამიტომ მუზეუმი საერთო კავკასიის საკუთრება უნდა იყოს და არა მხოლოდ საქართველოსი. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელი დიმიტრი გორდეევი და მხატვარი ევგენი ლანსერე.

მდგომარეობა თანდათობით სერიოზულ ხასიათს იღებდა. საქმეს ამძიმებდა 1921 წლის თებერვალში საქართველოს ყოფილი მთავრობის მიერ ემიგრაციაში წასვლისას მუზეუმიდან მისი საუკეთესო და უძვირფასესი ნაწილის საზღვარგარეთ, საფრანგეთში, გატანა და მისი ბედის გაურკვევლობა. რუსეთში გაგზავნილ წერილებში განსაკუთრებით

მუქი ფერებით იყო გადმოცემული  მუზეუმის საფონდო მუშაობა, საერთოდ, ხელოვნებისა და არქეოლოგიური ძეგლების ვითომცდა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.  ეჭვქვეშ იდგა ჩვენში, საერთოდ, კულტურულ დაწესებულებათა არსებობის საკითხიც.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ და განათლების კომისარიატმა კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს მთავრობას საათანადო სერიოზული ზომების მიღება. 1921 წლის 24  სექტემბერს საქართველოს განათლების კომისარიატის № 283 ბრძანებით საქართველოს მუზეუმის მუშაობის შესამოწმებლად  შეიქმნა სარევიზიო კომისია ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიამ იმავე წლის ბოლოს წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილი ვრცელი მოხსენება.  იგი სამი ნაწილისგან შედგებოდა: 1. საქართველოს მუზეუმის ისტორიის მიმოხილვა; 2. მუზეუმის საქმის წარმოება და მდგომარეობა დაარსებიდან 1919 წლამდე და ახლა; 3. „მუზეუმის გარშემო ატეხილი განგაშის მიზეზი და მისი მომწყობნი". ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ  ცენტრში [ხეცა, ფ. 918, 1921].

როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებით ბარათშია აღნიშნული, „კომისიამ აუცილებელ საჭიროდ მიიჩნია მუზეუმის წინანდელი და აწინდელი მდგომარეობა საფუძვლიანად შეესწავლა ყოველგვარი მასალის განხილვითა და ადგილობრივი დათვალიერებით" [ხეცა, ფ. 918, 1921:30]. კომისიას განსაკუთრებით უნდა „გაერკვია რამდენად წესიერად იყო დაყენებული მუზეუმში იქ შემოსული ნივთებისა და წიგნების აღნუსხვა და საქმის წარმოება" [ხეცა, ფ. 918, 1921:32].

კომისიამ ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით დასაბუთებულად უარყო და გააბათილა ცრუ ბრალდებები. მოხსენებითი ბარათის დასკვნით ნაწილში აღინიშნა: „როდესაც სარევიზიო კომისია დარწმუნდა, რომ საქართველოს მუზეუმში ქონება შენახულია და ყოველგვარი მავნებელთაგან უზრუნველყოფილია, ცხადი შეიქმნა მუზეუმის გარშემო ატეხილი განგაში რაიმე მიზნით უნდა იყოს მოწყობილი. უკვე დიდი  ხანია საქართველოს მუზეუმის წინააღმდეგ გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს... ნათლად ჩანს, რომ აქედან  ვიღაცას მოსკოვში განზრახ ყალბი ცნობები უნდა მიეწოდებინა, ვითომცდა საქართველოს მუზეუმის, ხელოვნების და არქეოლოგიის ძეგლები ისეთ საშინელ  მდგომარეობაში იმყოფებოდეს, რომ თუ მოსკოვის მთავრობა არ ჩაერია, ყველაფერი დაიკარგება, ან გაფუჭდება. ამ ცრუ ცნობის მოსკოვში მიმწოდებელს, როგორც ეტყობა, ორგვარი მიზნის მიღწევა უნდა ჰქონოდა დასახული: ჯერ ერთი, მოსკოვის მთავრობის საქართველოს რესპუბლიკის საქმეში ჩარევით მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შელახვა, შემდეგ მას შეეძლო პირდაპირი წადილის განხორციელებაც ღირსებოდა" [ხეცა, ფ. 918, 1921:  85].

კომისია შეეცადა გაერკვია მუზეუმის წინააღმდეგ ატეხილი განგაშის ნამდვილი მიზეზი: „ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მის მიწაწყალზე არსებულ სამეცნიერო  ღირებულებათა გაეროვნულობას ისე აუღელვებია ნიკო მარრი, რომ სამეცნიერო აკადემიას სთხოვს დაევალებინა რუსეთის კომისართა საბჭოსთვის ქართველთა „უსაფუძვლო" პრეტენზიებისგან დაცვა" [ხეცა, ფ. 918, 1921:

94.].

საყურადღებოა აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება რევიზიისადმი. იგი მუზეუმის შემოწმების დროსაც, როცა ობიექტურად აღნუსხავდა მუზეუმის რეალურ მდგომარეობას, იქვე გამოთქვამდა საყურადღებო რჩევებსა და მოსაზრებებს. ამასთანავე, აუცილებლად დასძენდა აღონისძიების რომელი ვარიანტი იქნებოდა სამომავლოდ უკეთესი მუზეუმისათვის. არ იშურებდა საქებარ სიტყვებსაც: „ცხოვრების ხელშემშლელ პირობებისდა მიუხედავად, საქართველოს მუზეუმის პირად შემადგენლობას ბევრი ახალი მასალების შეგროვებითაც გაუმდიდრებია ეს დაწესებულება და არც სამეცნიერო მუშაობისათვის დაუნებებია თავი“ – ასკვნიდა იგი [ხეცა, ფ. 918, 1921: 82].

1921 წელს ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით შექმნილი სარევიზიო კომისიის მიერ დამაჯერებლად დასაბუთებული მოხსენების წყალობით ბოლო მოეღო სამუზეუმო საქმეში გამოწვეულ ყალბ განგაშს და ვითარება დამშვიდდა.

20-იან წლებში საქართველოს სამუზეუმო სივრცეში ხელოვნურად გაჩენილ დაძაბულობას ცოტა ხანში საინტერესო მოვლენები მოჰყვა: ახალჩამოყალიბებულ ბოლშევიკურ, ტოტალურ რეჟიმს, რომელიც ემზადებოდა ახალი სახელმწიფოს „ძმური ოჯახის“ – საბჭოთა კავშირის შესაქმნელად, დასჭირდა დემოკრატიის გათამაშება. 1922 წლის 22 აგვისტოს რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ლენინის ინიციატივით მიიღო დადგენილება, რომლის მე-12 მუხლში აღნიშნული იყო: „რსფსრ-ის საცავებსა და მუზეუმებში დაცული ყველა რეგალიები და სიძველეები მათი ქართული წარმომავლობის დამტკიცების შემთხვევაში გადაეცეს საქართველოს სს რესპუბლიკას“ [სუიცა, ფ. 600] საქართველოსთვის მისი კუთვნილი სიძველეების დაბრუნების გადაწყვეტილებას მოჰყვა საპროტესტო ტალღა რუსეთის სამეცნიერო წრეებიდან. შალვა ამირანაშვილის გადმოცემით, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები: „როგორც ნ. მარისა და ს.ოლდენბურგის წერილობითი განცხადებიდან ჩანს, ისინი არ ცნობდნენ საქართველოს სიძველეთა და ისტორიულ ფასეულობათა უკან დაბრუნების უფლებას”. მათ ბევრი რუსი მეცნიერი თანაუგრძნობდა. „სამუზეუმო ნივთების ასეთმა გადაცემებმა რუსეთის საცავები შეიძლება ჩააყენოს კატასტროფიულ მდგომარეობაში“ [სუიცა, ფ. 600] – ჟღერდა მათს მოტივაციად. თუმცა, ქართულ მხარესაც გააჩნდა მტკიცე არგუმენტები: მათს მხარეს იყო სიმართლე და ძლიერი მხარდამჭერები, იმხანად კრემლში მომუშავე პარტიული მუშაკების – ი. სტალინის, ა. ენუქიძის და ა. სვანიძის სახით.

ბოლოს, როგორც აკად, კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „საქმე დაბოლოვდა ჩვენდა სასარგებლოდ და სასურველად”. მიღწეული შეთანხმების თანახმად, „მოსკოვის მუზეუმებში დაცული ქართული სიძველეები დაუყონებლივ, უდავოდ და სრულად უნდა დაბრუნებოდა საქართველოს. პეტროგრადის მუზეუმებიდან პირველ რიგში უდავოდ უნდა გადაცემოდა ყველა უნიკუმი, ხოლო პეტროგრადში უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ის მასალა, რომლის მსგავსი მოიპოვებოდა საქართველოს მუზეუმებში” [ხეცა, ფ. 1513].

რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა ერთობლივ სხდომაზე საბოლოოდ დადგინდა ქართული მხარისათვის გადასაცემი ნივთებისა და დოკუმენტების ნუსხა. 1923 წლის იანვრიდან დაიწყო ქართულ სიძველეთა დაბრუნება სამშობლოში. იმავე წლის 24 მაისს პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან საქართველოს მხარეს გადაეცა ძველი ქართული ხელნაწერები, დოკუმენტები და ისტორიულ ნივთთა დიდი კოლექცია [ამირანაშვილი შ. 1968:5].

ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული თითქმის ყველა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი და საზოგადოების წარმომადგენელი. 1923 წლის 17 მარტის წერილით შალვა ამირანაშვილი პარიზში ატყობინებდა ექვთიმე თაყაიშვილს: „მსურს შეგატყობინოთ ისეთი რამ, რაც თქვენ ძალზე გესიამოვნებათ. რუსეთიდან ჩვენში ჩამოიტანეს და აგვისტოს დამლევს ისტორიის მუზეუმს ჩააბარეს: 1. ქართული დროშა 1711 წლის (არჩილ მეფის საკუთრება ყოფილა, როგორც წარწერა მოწმობს), 2. ვეფხისტყაოსანი, გიორგი XI-ის ვეფხისტყაოსნის მსგავსი. არშიები მოსურათებულია, 3. პატარა ტანის ეტრატზე ნაწერი სახარება მინიატურებით, 4. 1783 წლის ტრაქტატი, ორ ხვეულად ეტრატზე მხედრული ხელით ნაწერი, 5. ტყავის ფარი, მოხატული წმინდანების სურათებით, 6. ავგაროზი, სურათებით შემკული XVIII საუკუნის დამლევის“ [ხეცა, ფ. 1513. ან. 1].

წერილში ჩამოთვლილია აგრეთვე ამ პერიოდში საქართველოში დაბრუნებული ის სამეფო რეგალიები, რომლებსაც ქართლ-კახეთის ბოლო მეფე გიორგი XII ფლობდა და სხვა უმნიშვნელოვანესი ნივთები: მეფის ოქროს გვირგვინი, ძვირფასი ქვებით შემკული, სამეფო ტახტი, მინანქრის ხატებით შემკული კვერთხის თავი და სხვ.

რუსეთიდან ქართულ სიძველეთა რეევაკუაციას, მართალია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იგი სრულად მაინც ვერ განხორციელდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. უწინარესად, ბევრი სიძველის კვალის მიგნება გაჭირდა. ამიტომ კიდევ დიდხანს გრძელდებოდა მათი ძებნა და საქართველოში დაბრუნებისთვის ზრუნვა.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ქართული სიძველეების დიდი გულშემატკივარი, შემდგომ წლებშიც თავდადებულად ზრუნავდა და იღწვოდა მათს დასაბრუნებლად. ამის დამამტკიცებელია ის მრავალრიცხოვანი მოხსენებითი ბარათები და წერილები, რომლებითაც იგი ზემდგომ ორგანოებს ახსენებდა პრობლემის აქტუალობას და მოითხოვდა საქართველოს კუთვნილი ისტორიული მასალების დაბრუნების პროცესის ბოლომდე მიყვანას. მან პირველმა მოაწერა ხელი საკავშირო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ.მოლოტოვის სახელზე გაგზავნილ დოკუმენტს. ამავე საკითხს ეხებოდა სამთავრობო ორგანოებში 1923 წლის 19 სექტემბრის, 1937 წლის 28 ივლისის, 1938 წლის 28 იანვრისა და სხვა წერილები.

ამ პერიოდში სამუზეუმო საქმიანობის საკავშირო ხელმძღვანელობის მხრიდან ხშირად ჰქონდა ადგილი საეჭვო ექსპერიმენტებისა და გაუგებარი გადაწყვეტილებების მიღებას. მათ არც ადგილობრივი მუშაკები ჩამორჩებოდნენ. საქართველოს მუზეუმების დიდ რეორგანიზაციას ისახავდა მიზნად რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბ-

ჭოს 1923 წლის 12 ნოემბრის №114 დადგენილება, რომლის მიხედვითაც თბილისში არსებული სამუზეუმო ფონდების, ქართული ეკლესიებისთვის ჩამორთმეული სათანადო კოლექციებისა და რუსეთიდან რეევაკუაციის წესით მიღებული სამუზეუმო ნივთების მოსათავსებლად თბილისში უნდა შექმნილიყო ორი ახალი მუზეუმი: საბუნებისმეტყველო და საისტორიო-საეთნოგრაფიო. აქვე განისაზღვრა, რა მასალით უნდა შევსებულიყო ამ მუზეუმების ფონდები: „საბუნებისმეტყველო მუზეუმი გამოყოფილ იქნას საქართველოს ახლანდელი მუზეუმიდან, ხოლო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი შევსებულ იქნას საქართველოს მუზეუმიდან გამოყოფილი საისტორიო-საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო განყოფილების კოლექციებით“ [სუიცა, ფ. 600, საქმე 1215].

ეს, ფაქტობრივად, საქართველოს მუზეუმის დაშლას ნიშნავდა. მას ხელიდან ეცლებოდა როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ეთნოგრაფიული კოლექციები. ამაზე მუზეუმს მკაცრი რეაქცია ჰქონდა. 3 იანვარს საგანგებოდ მოწვეული მუზეუმის სამეცნიერო საბჭო ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით პროტესტს გამოთქვამდა: „მუზეუმი მიზანშეუწონლად სცნობს განზრახულ რეორგანიზაციას მუზეუმისას და მოითხოვს გამორკვეული იქნეს, რა მიზეზების გამო დაუპირეს მოსპობა საქართველოს მუზეუმს” [სმა, ფ. 153, 1923].

ივანე ჯავახიშვილს კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნდა ზემდგომი ორგანოების ასეთი მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების განხორციელება. მისი აზრით, დანაწილება–დაყოფის ნაცვლად საჭირო იყო მუზეუმების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, მათი ძალების გაერთიანება, კონცენტრაცია. გ. ჩიტაია ამასთან დაკავშირებით იხსენებდა: „განსვენებული (ივანე ჯავახიშვილი) მუზეუმის მთლიანი სახის შენარჩუნებას მოითხოვდა და მის დანაწილებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა... ამითვე იყო გამოწვეული ის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა განსვენებული მუზეუმის პროფანატორებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მეტად შორს იდგნენ მუზეუმის დანიშნულებისაგან, რომელთაც სამუზეუმო საქმეების არაფერი გაეგებოდათ“ [ჩიტაია გ. 1942: 282]. ამასთან ერთად, იგი დასძენდა: „მაგონდება ერთი ყრილობა, სადაც ამ ჯურის მუშაკების გამოსვლების გამო, განსვენებულმა განაცხადა: „მე არ მგონია, რომ მავანმა სამუზეუმო საქმე გვასწავლოს, თუ ის ამის შემძლებელია, მოხარული ვიქნები”.

ივანე ჯავახიშვილმა შეძლო ზემდგომ სათანადო ორგანოებისთვის დამაჯერებლად დაესაბუთებინა ამ გადაწყვეტილების დაუშვებლობა. იგი პრაქტიკულად ვერც განხორციელდებოდა. მოგვიანებით განათლების კომისარიატი რესპუბლიკის მთავრობას მოახსენებდა: „დადგენილება ვერ შესრულდა სათანადო შენობის უქონლობის გამო“ [სუიცა, ფ. 600, საქ. 1758] ახალი შენობის მიღების შესაძლებლობა იმხანად კი მხოლოდ საქართველოს მუზეუმს გააჩნდა. ამიტომ მალე დადგა ამ მუზეუმიდან სხვა უჯრედების გამოყოფის ნაცვლად მთელი რესპუბლიკის მუზეუმების კოლექციების თავმოყრის, ცენტრალიზაციისა და საპირისპირო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მალე სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს მუზეუმის ფონდებში თავი უნდა მოეყარა

რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმებში გაბნეულ კოლექციებს [სუიცა, ფ. 600, საქ. 1758]. ამრიგად, საქართველოს მუზეუმისთვის ახალი შენობის აგება იძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი ხდებოდა ამ მუზეუმში მთელი საქართველოს მუზეუმების „სამუზეუმო ფონდების გაერთიანებისა და ცენტრალიზაციის“ ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი. ამიტომ დიდი ყურადღება მიექცა საქართველოს მუზეუმის შენობის გაჭიანურებული მშენებლობის დამთავრებას.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 80-იან წლებში ა. ზალცმანისა და ლ. ბილფელდის პროექტით აგებული მუზეუმის შენობა ავარიული მდგომარეობის გამო კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით 1908 წელს დაიკეტა. მუხედავად იმისა, რომ ახლის აგება იმპერიის დიდმნიშვნელოვან მშენებლობად იქნა აღიარებული: ხარჯთაღრიცხვა, გეგმა და პროექტი დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოს, სათათბიროსა და ბოლოს, თვით იმპერატორის მიერ, მისი დამთავრება დათქმულ დროს (1914 წელს) მაინც ვერ მოხერხდა. შემდგომ წლებში მსოფლიო ომმა და რევოლუციებმა კიდევ უფრო გააჭიანურა მშენებლობა. მდგომარეობას უფრო ამძიმებდა ის ფაქტი, რომ შენობის ფასადი არქიტექტორების (კ. ტატიშჩევი, მ. ნეპრინცევი) მიერ გადაწყვეტილი იყო აღმოსავლურ, კერძოდ, გვიანი ხანის სპარსული არქიტექტურის სტილში. ეს მიზგითისა და ქარვასლის ულაზათო ნარევი სრულიად არ შეესაბამებოდა მუზეუმს. ქართველი ერის კუტურული მემკვიდრეობის საცავს გარეგნული იერიც შესაბამისი უნდა ჰქონოდა. დაისვა მუზეუმის შენობის ფასადის გადაკეთების, ტრადიციულ ეროვნულ არქიტექტურასთან მისი მიახლოების საკითხი. ეს საქმეც ისევ ივანე ჯავახიშვილმა ითავა.

მისი ინიციატივითა და განათლების კომისარიატის დადგენილებით, 1923 წლის ზაფხულში შეიკრიბა მუზეუმის შენობის ფასადის გადაკეთებისთვის წარმოდგენილი პროექტების შემაჯამებელი კომისია. მას თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი. კომისიაში შევიდნენ: გ. ჩუბინაშვილი, დ. შევარდნაძე, ო. შარლემანი, ჰ. ჰრინევსკი, და ნ. ყიფიანი [სუიცა, ფ. 300, ს. 69:94]. კომისიამ დაადგინა: „ხმების უმეტესობით პირველი პრემია (ჯილდო 375 მან.) მიეცეს არქიტექტორ ნ. სევეროვს, როგორც შედარებით დამაკმაყოფილებლად შესრულებული პროექტისათვის, მაგრამ შენობის აგების დროს მასში უნდა იქნეს შეტანილი ზოგიერთი ცვლილებები“ [სმა, ფ. 153, 1923: 116].

ნიკოლოზ სევეროვის მიერ წარმოდგენილი გამარჯვებული პროექტის ვარიანტი მართალია, ითვალისწინებდა ძველი ქართული არქიტექტურის მოტივებს – ბოლნისის, სიონის, სვეტიცხოვლის ორნამენტებს, მაგრამ არ იყო თავისუფალი ეკლექტურობისგან და გადატვირთული იყო. კომისიის დავალებით, ნ. სევეროვი წლების მანძილზე აგრძელებდა პროექტზე მუშაობას და ხვეწდა მას.

1926 წელს ივანე ჯავახიშვილი გაათავისუფლეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორობიდან. ამ პერიოდში ტოტალურმა რეჟიმმა იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე და, რასაკვირველია, მის დამცველებზეც. შეტევა მიმდინარეობდა ე..წ. კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის საბაბით. ბრძოლა წარმოებდა ყველას მიმართ, ვინც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას განსხვავებულად, მისი თავისებურებიდან

გამომდინარე მოიაზრებდა, ვინც არ ეწეოდა საბჭოთა ეკონომიკის იდეალიზებასა და კაპიტალისტურზე მისი უპირატესობის მტკიცებას. ამ ბრძოლამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა „ძველი“, ამაგდარი პროფესურა. მემარჯვენე პროფესურის ლიდერად ივანე ჯავახიშვილი დასახელდა, რომლის რექტორად ყოფნის დროს უნივერსიტეტში არც ერთი მარქსისტული ლექცია არ წაკითხულა.

1926-31 წლებში ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. 1931 წლის 28 მაისს მას „კონდრატიევშჩინის“ მავნებელთა ჯგუფთან თანამოაზრეობის ბრალდებით საერთოდ დაატოვებინეს თბილისის უნივერსიტეტი, ის დაწესებულება, რომლის დამაარსებლის ამაგზედაც პეტრე მელიქიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება.“

1931 წლის 27 სექტემბერს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის №245 ბრძანებით ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად. „დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერგიის ადამიანი აღტაცებით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, თუმცა მისი ჯანმრთელობა უკვე საკმაოდ შერყეული იყო. მუზეუმის ცხოვრების ყოველ წვრილმანს დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მუზეუმში მუშაობის პირობები, განსაკუთრებით ზამთარის პერიოდში, წლების მანძილზე საკმაოდ მძიმე იყო, ვინაიდან შენობა არ თბებოდა“ [ჯავახიშვილი ნ. 1975:8].

იგი თავიდანვე აქტიურად ებმევა მუზეუმის საქმიანობაში და, როგორც მოსალოდნელი იყო, უდიდეს კვალს ტოვებს ამ დაწესებულების მუშაობის ყველა სფეროზე (სურ. 1). მის გასაუმჯობესებლად ადგენს პროექტებს, შემოაქვს წინადადებები, გეგმავს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებასა და სხვ. მის მიერ დასახული გეგმით საფონდო, საგამოფენო, სამეცნიერო და მოძიებით საქმიანობათა ერთობლიობა მუზეუმის სამუშაოების საფუძველი უნდა გამხდარიყო, რაც მის კომპლექსურობას განაპირობებდა.

1929 წლის გაზაფხულზე დამთავრდა მუზეუმის შენობის გაჭიანურებული მშენებლობა. იგი სამართლიანად არის მიჩნეული ქართულ არქიტექტურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეტაპო ნაგებობად, ძველი ეროვნული ხურომოძღვრული მემკვიდრეობისა და ახალი ქართული არქიტექტურული ფორმების წარმატებული შერწყმის ნიმუშად. მშენებლობის დამთავრებამ უკეთესობისკენ შეცვალა საქართველოს მუზეუმის ორგანიზაცია და სულ ახალი მიმართულება მისცა მის დანიშნულებასა და საქმიანობას. 21 წლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მუზეუმს დაუბრუნდა თავისი ძირითადი-საგამოფენო სამუშაოთა ფუნქცია. თუ წინა წლებში მუზეუმის თანამშრომელთა მუშაობა მოძიებითი და სამეცნიერო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ახალი შენობისა და საგამოფენო დარბაზების მწყობრში ჩადგომის შემდეგ მათს წინაშე დადგა ექსპოზიციების ფართოდ გაშლის ამოცანა. ხშირად ეს ადვილი არ იყო: უნდა გათვალისწინებულიყო ხელისუფლების დაკვეთა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ხშირად გაუგებარი,

მოთხოვნები.

„ივანე ჯავახიშვილი, როგორც მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამუზეუმო საქმიანობაში. მას თავიდანვე შემუშავებული ჰქონდა მუზეუმის ჰარმონიული მეცნიერული განვითარების სტრატეგია, რაც ითვალისწინებდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემების სინთეზის ჩვენებას ადამიანის განვითარების მთელ სიგრძეზე. ბუნებრივი გარემოს ადამიანზე ზემოქმედების დინამიკის ასახვა, ისევე, როგორც ადამიანის მოქმედება ბუნებაზე და მის გამოვლინებებზე სრული სურათის წარმოდგენისათვის გამოიყენებოდა. ასეთი მიდგომით მუზეუმში შესანიშნავი ფონი იქმნებოდა, ერთის მხრივ, პალეონტოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მონაცემები და მეორე მხრივ, არქეოლოგიური კოლექციები გონივრული მიდგომით დიდ ასპარეზს უხსნიდა მუზეუმს" [ჭილაშვილი ლ. 2002: 44].

ფინანსური შეზღუდულობის გამო გადაწყდა მუზეუმში უპირველესად ის კოლექციები გამოფენილიყო, რომლებიც საქართველოს მრეწველობის, ნედლეულისა და წარმოების ეკონომიკური გამოყენების საკითხებს უკავშირდებოდა: 1928 წელს მუზეუმში ჩატარდა ზოოლოგიური გამოფენის რეექსპოზიცია (მხატვ. ი. ვეფხვაძე). იგი მოეწყო ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრინციპით, დიორამების ფონზე, ბუნებრივ გარემოში და ასახავდა საქართველოს თითქმის ყველა ლანდშაფტის ცხოველსა და ფრინველს. 1931 წელს გაიხსნა გამოფენა „საქართველოს მინერალური რესურსები" (მხატვ. ი. შარლემანი) და „სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა" (მხატვ. ი. შარლემანი), შემდეგ „დინამიკური და ისტორიული გეოლოგია", ცოტა მოგვიანებით გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპოზიციების მთელი სერია: „ხევსურეთის ეთნოგრაფია", „სვანეთის ეთნოგრაფია" (მხატ. ი. შარლემანი) „ქართული ნაქარგობა" (მხატვ. ო. შმერლინგი) (1932 წ.), „კავკასიური ხალიჩები" (1938 წ.), „ქართული ტანსაცმელი" (1939 წ.), „ქართული ჩუქურთმა" (1939 წ), „ქართული ხელსაქმის ნიმუშები" (1939 წ.), „ქართული საჭურველი" (1941 წ). ამით მომზადდა პირობები შემდეგ ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მოსაწყობად.

1934 წელს გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით, ბ. კუფტინისა და მხატვარ ი.შარლემანის მონაწილეობით მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში". ეს იყო საეტაპო მნიშვნელობის გამოფენა, რომელმაც მუზეუმში ფართო საექსპოზიციო მუშაობას ჩაუყარა საფუძველი. მუზეუმში დაცულია ივანე ჯავახიშვილის 1934 წლის მარტის ვრცელი მოხსენებითი ბარათი მუზეუმის დირექტორის სახელზე სათაურით – „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს მუზეუმის გამოფენის შესახებ „კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში" არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით."

მუზეუმის სწავლული მრჩეველი დაწვრილებით და მუხლობრივად განიხილავს გამოფენის გეგმას. იგი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ საერთოდ გეგმა კარგად არის შედგენილი და სასიამოვნოა, რომ განყოფილებაში მანამდე უსისტემოდ და უქმად მდებარე არქეოლოგიური

მასალა, მეცნიერებისათვის მთელი შესაძლებლობით გამოუყენებელი, ახლა სისტემურად,გააზრებულად გამოიფინება და მისაწვდიმი გახდება. შემდეგ ავტორი ბევრ რამეს ასწორებს,ბევრს დამატებითი მოსაზრება ცნობებით აძლიერებს და ამით,როგორც მას საერთოდ სჩვეოდა, ფრიად ამდიდრებს და აშინაარსიანებს განხილულ ნაშრომს. როგორც არქეოლოგი გ. ლომთათიძე აღნიშნავდა: „ეს ბარათი მოწმობს მნიშვნელოვან ძვრა-გარდატეხას „კლასთა უწინარესი საზოგადოების არქეოლოგიური ძეგლების“ შესწავლის საქმეში,რასაც ივანე ჯავახიშვილი კმაყოფილებით ეგებება. მეორე მხრივ,ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ,რომ ივანე ჯავახიშვილი ამ დარგშიც გეზს აძლევს მეცნიერულ მუშაობას. საფუძვლიან კრიტიკასთან ერთად მოცემულია ნიმუში იმისა,თუ როგორ უნდა მივუდგეთ არქეოლოგიურ ფაქტებს,რათა ჯეროვნად მოვაქციოთ ისინი ქართველთა უძველესი ისტორიის სამსახურში“ (ლომთათიძე გ. 1951:12].

„ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მუზეუმს უდიდეს როლს აკისრებდა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი ფართოდ სახავდა მუზეუმის ამოცანებს და ამოცანების შესასრულებლად იღწვოდა. მისი შეხედულება საქართველოს მუზეუმის ამოცანებზე სცილდებოდა ჩვეულებრივ ტრაფარეტებს. მისი აზრით,საქართველოს მუზეუმი უნდა გადაქცეულიყო ისეთ დაწესებულებად,სადაც საქართველოს მრავალსაუკუნიანი კულტურის ისტორია იქნებოდა ასახული. ამ ამოცანის განხორციელება განსვენებულს სავსებით ორიგინალურ ფორმებში ჰქონდა წარმოდგენილი“ [ჩიტაია გ. 1942:281].

მუზეუმის მუშაობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს,მისი საქმიანობის გაუმჯობესების გეგმებს ეხება ივანე ჯავახიშვილის 1934 წლის 25 ივნისის ვრცელი მოხსენებითი ბარათი მუზეუმის დირექტორისადმი [ლიტ. მ. ა, ფ. 9080, 1934].

მოხსენებითი ბარათის ავტორმა კრიტიკულად შეაფასა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის მიერ შედგენილი პროგრამა და ამ საკითხში მისეული ხედვის საპროგრამო დებულება წარმოადგინა: მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუზეუმის სტრუქტურაში ახალი უჯრედის – ისტორიის განყოფილების შექმნას. მიუხედავად მუზეუმის დირექციისა და რამდენიმე წამყვანი თანამშრომლის (გ. ნიორაძე, ს. მაკალათია) წინააღმდეგობისა,მან დამაჯერებლად დაასაბუთა ახალი განყოფილების ჩამოყალიბების აუცილებლობა – „მუზეუმი ვადებულია თავის წიაღში საისტორიო განყოფილება შექმნას“ – აცხადებდა იგი. ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა მის სტრუქტურას და სახავდა განყოფილების რეალურ მიზნებს. მისი აზრით, ახალმა განყოფილებამ „უპირველეს თავის მოვალეობად კავკასიისა და საქართველოს ისტორიის ნივთიერი ნაშთების შეგროვება, შესწავლა და გამოფენა უნდა მიიჩნიოს, ხოლო, რაკი ქართველი ერის წარსული მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის არა ერთი დიდი ერის სახელმწიფოებრიობასა და კულტურასთან იყო მრავალჯერ დაკავშირებული, ამიტომაც, ცხადია, თანდათანობით მათი ნაშთების შეგროვება – გამოფენის სასურველობაცა და მოვალეობა უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული” [ლიტ.მ.ა, ფ. 9080, 1934:2].

ივანე ჯავახიშვილმა დასახა განყოფილების სამოქმედო გზაც: „ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვა ამიერითგან მუზეუმებს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური, ნივთიერი და გონებრივი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლისათვის ფართო საზოგადოებასა და მეტადრე მოსწავლე თაობასაც ისეთი მუზეუმები სჭირდება, სადაც ყოველს მსურველს წაკითხული ისტორიის ხორცშესხმულად გასათვალისწინებელი იმდროინდელი ნივთიერი ნაშთების ნახვა შეეძლება“ [ლიტ.მ.ა, ფ. 9080, 1934: 2]. შემდეგ ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით განიხილავდა ახალი განყოფილების სტრუქტურასა და მის მუშაობაში მოსალოდნელ სიძნელეებს: „მიზნის მიღწევაც ადვილი არ იქნება, რადგან ბევრი იშვიათი ნაშთი დიდი ხანია, რაც უცხოეთისა და რუსეთის მუზეუმებშია გატანილ-მოთავსებული. მათი მსგავსის შოვნა საქართველოში ამჟამად ან სრულებით აღარ შეიძლება, ანდა ძალიან ძნელია. მაგ. შესაძლებელია მხედრისა და ცხენის სრული XIII ს. ჯავშნის ორი ცალი იყოს დასახელებული, რომელიც გერმანიაშია ხევსურეთითგან გატანილი და ბერლინის ცოიგჰაუზ-ის ზარდახანაშია ორი მხედრის მანეკენად გამოფენილი. საქართველოში ცხენის ჯავშანი თუ არ ვცდები, აღარსად უნდა მოიპოვებოდეს, და სხვაც ბევრია ამის მსგავსი უნიკუმი გატანილი“ [ლიტ.მ.ა, ფ. 9080, 1934: 3]. უნიკალური ქართული სამუზეუმო ნივთების მსოფლიოში გაფანტვისა და მათდამი უგულისყურო დამოკიდებულების შესახებ ივანე ჯავახიშვილს კიდევ ბევრჯერ გულისტკივილით აღუნიშნავს: „მშვენიერი, ოქროს ზარნიშით უხვად შემკული ქართული მუზარადიც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით არც ის არის საქართველოში“ [ჯავახიშვილი ი. „კომუნისტი”. 1937. №55:3].

მოხსენებითი ბარათის ავტორი ეხებოდა საგამოფენო სამუშაოებსაც, ექსპოზიციებში მულაჟების ჩართვის პრობლემას. იგი უკმაყოფილებას გამოხატავდა მულაჟების ჭარბი გამოყენების გამო და მიუთითებდა: „დედნების შოვნა, რასაკვირველია, ადვილი არ არის და მეტად ძვირიც ჯდება. ამიტომაც, ნამდვილი ძეგლების მაგიერ მულაჟების გამოყენებას მოკიდეს ხელი. ამ გზით დანაკლისის შევსება გაცილებით უფრო ადვილადაც და უფრო იაფადაც შეიძლება, მაგრამ, ცხადია, რომ იქ, სადაც მულაჟები სჭარბობენ, მუზეუმს სამეცნიერო დაწესებულების თვისება ეკარგება და უკვე სასწავლო – საჩვენებელ დამხმარე დაწესებულებად ხდება“ [ლიტ.მ.ა, ფ. 9080, 1934:3].

მოხსენებით ბარათში ავტორი მუზეუმის სათანადო გაფართოებასაც აქცევდა ყურადღებას: „ამ შენობაში ეხლაც დიდი ვიწროობაა საგრძნობი და განყოფილების სრულად მოწყობისა და გამოფენისათვის აუცილებლად საჭირო იქნება, რომ საქ. მუზეუმის მაშინდელ ფართობს გვერდითა და უკან მდებარე შენობებიც (ტეხნიკუმის, სტამბის, განათლების მუშაკთა და საჯარო წიგნსაცავის გვერდით შენობებითურთ) საქ. მუზეუმს გადმოეცეს თანდათანობით მაინც. უამისოდ საქ. მუზეუმის ზრდა და ნორმალური განვითარება შეუძლებელი იქნება“ [ლიტ. მა, ფ. 9080, 1934: 4].

მომხსენებელს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ისტორიის განყოფილების სექციებისთვის პირადი შემადგენლობის შერჩევა-მომზადების

საკითხიც: „საისტორიო განყოფილების შესაქმნელად სათანადოდ განსწავლული თანამშრომლების შემადგენლობაა საჭირო. ისტორიის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად, მათ ძველი და ახალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ენებიც უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“ [ლიტ.მა, ფ. 9080, 1934: 4].

იმისთვის, რომ „მუზეუმს თავისი მუდმივი კადრი ჰყოლოდა”, ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ ზრუნავდა თანამშრომელთა პროფესიული დონის ასამაღლებლად. იგი ამ საკითხს არაერთხელ შეხებია ყრილობებზე, კრებებსა თუ სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე. მას მიაჩნდა, რომ მუზეუმის თანამშრომელი ერთნაირად კარგად უნდა ყოფილიყო მომზადებული სამუზეუმო საქმიანობის ყველა სფეროში: „რადგან არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს სამუზეუმო მუშაკებს... შემოღებულ იქნას სამუზეუმო ხელოვნების (კატალოგიზაციის, ინვენტარიზაციის, წყაროთმცოდნეობისა და მსგავსთა) სემინარები, რის გავლაც ყველა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკისთვის სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული. ამით მუზეუმის მომავალ საქმიანობას მტკიცე საფუძველი ექნება კარგად მომზადებული მუშაკების ყოლით” – წერდა იგი 1939 წლის 20 თებერვალს ზემდგომ ორგანოებს [ხეცა. ფ. 960. 1939: 3].

ივანე ჯავახიშვილის ძველი თანამშრომელი და მოწაფე გ. ჩიტაია, ეხებოდა რა მის დამოკიდებულებას ახალგაზრდობისადმი, იგონებდა: „განსვენებული გულმოდგინებით იკრებდა ახალგაზრდობას, ატარებდა მათთან სემინარებს, ზრუნავდა მათზე სიყვარულით, შეტრფოდა იმათ ზრდას. მრავალ სხვა დადებით მხარეებთან ერთადერთი იშვიათი თვისება ახასიათებდა. ის ნაკლოვან ადამიანში ადვილად მიაგნებდა კარგს და ამ კარგის გაზრდასა და გაღვივებას ხელს უწყობდა” [ჩიტაია გ. 1942:182].

ზემომოყვანილი ბარათის ყველა მოთხოვნა თანდათანობით სრულდებოდა და რეალურ სახეს იღებდა. მუზეუმში 1937 წლის 28 თებერვალს შეიქმნა ისტორიის განყოფილება, რომლის გამგედ იმავე წლის 13 მარტს დაინიშნა ივანე ჯავახიშვილი. იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე წარმართავდა მუზეუმის საქმიანობას და ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა ამ დაწესებულების ავტორიტეტის ასამაღლებლად და გამართულად ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს მუზეუმის მთავარი ამოცანების განსაზღვრისას თანამშრომელთა საერთო კრებაზე 1935 წლის 29 ივნისს ივანე ჯავახიშვილი აცხადებდა: „საქართველოს მუზეუმი დიდი დაწესებულებაა 1. მან უნდა ასახოს წარსული და თანამედროვე კულტურა და ამ მიზნით უნდა დააგროვოს სამუზეუმო ნაშთები და მასალები საქართველოს ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისთვის. 2. მას სოციალური მოვალეობაც აწევს: მან ფართო საზოგადოებასა და მეტადრე ისტორიული ცოდნის გასაღრმავებლად დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეახალგაზრდობას და 3. საქართველოს მუზეუმი, როგორც უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ მტკიცე გეგმის საფუძველზე მოხერხდეს, რაც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, მთლად ასე არ უნდა

იყოს” [სმა, ფ. 65, 1935] და მოითხოვდა მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას. საქმის მოსაგვარებლად მას მიაჩნდა, რომ „მთავარი მნიშვნელობა თვით მუზეუმის აღწერილობას, სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და მუშაკების საქმიანობას აქვს“ [სმა, ფ. 65, 1935] და აყენებდა მუზეუმის საფონდო, სააღრიცხვო-საინვენტარიზაციო მუშაობის მთელი სისტემის დახვეწისა და გაუმჯობესების გეგმას.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ივანე ჯავახიშვილი მუზეუმის საექსპოზიციო სამუშაოებსაც, რომლებიც მიაჩნდა მუზეუმის უმთავრეს საქმიანობად და ანიჭებდა მათ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობას.

ივანე ჯავახიშვილი მუზეუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ქართული ხელოვნების ნიმუშების მოძიება-გამოფენა, შესწავლასა და პროპაგანდაში ხედავდა. მას მიაჩნდა, რომ მათს აღსაქმელად მარტო ახსნით დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ახალგაზრდობას თვალწინ ყოველთვის ჰქონოდა მაგალითები, ნიმუშები და ეს ფუნქცია მუზეუმს უნდა ეტვირთა ისე, როგორც ხელოვნების ძეგლების დაცვა-შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად, მისი აზრით, 3 გზა არსებობდა: „1. ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლა; 2. თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული მასალის (შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნები, ავეჯი, ჭურჭელი)შეგროვება და შესწავლა; 3. საქართველოს ბუნების შესწავლა და შემოქმედებითი აღბეჭდვა“ [ჯავახიშვილი ი. 1966: 44], რადგან მას მიაჩნდა, რომ „საქართველო ყველაზე დიდი მუზეუმი“ იყო და მოითხოვდა მის სრულად გამოყენებასა და შეცნობას.

ივანე ჯავახიშვილის სამუზეუმო საქმიანობა მთელი სისრულით განსაკუთრებით გამოჩნდა შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენის მოწყობის დროს, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1937 წლის ბოლოს გაიხსნა (სურ. 2). იგი ნათელი გამოვლინება აღმოჩნდა არა მარტო საქართველოს „ოქროს ხანის“ ბრწინვალე კულტურის წარმოჩენისა, არამედ იმ მეცნიერული ცოდნისაც, რომელმაც იგი გამოავლინა: „ივანე ჯავახიშვილმა მეცნიერების სხვადასხვა დარგის საუკეთესო წარმომადგენელთა მთელი კოლექტივი დარაზმა შოთა რუსთაველის ეპოქის ქართული ყოფის წარმოჩენისათვის” [გვრიტიშვილი დ. 1968:99]. გამოფენის მომზადების პერიოდში ივანე ჯავახიშვილმა გაზეთ „კომუნისტში“ [ჯავახიშვილი ივ. „კომუნისტი“, 1937: №55] გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, სადაც ჩამოაყალიბა მთელი გამოფენის კონცეფცია, მიზნები, ამოცანები და მისი სტრუქტურა. იგი დაწვრილებით შეეხო აგრეთვე ექსპოზიციის მოწყობის საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „გამოფენამ მნახველს უნდა უჩვენოს, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI-XIII საუკუნეებში, როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, როგორი იყო მისი წეს-წყობილობა. გამოფენის მნახველს საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო დარბაზობისა და ვაზირობის, ისევე, როგორც რაინდობის წესები, წარმოიდგინოს, იცოდეს, რას იცვამდნენ, იხურავდნენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ჭურჭელი ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლო

იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა“ [ჯავახიშვილი ივ. „კომუნისტი“ 1937: №55].

თემატურ-საექსპოზიციო გეგმა მთელ სამუშაოს 3 განყოფილებად ჰყოფდა: სალიტერატურო, ხელოვნების, ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის სექტორებად. აქედან მთავარი ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, რომელიც მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი იქნებოდა. ივანე ჯავახიშვილმა უშუალო, პირადი ხელმძღვანელობა გაუწია მთელი გამოფენის ორგანიზაციას. გ. ჩუბინაშვილი იგონებდა: „აქ შეეძლო თვალყური ედევნებინა კაცს, თუ როგორი გარკვეულობით ამუშავებდა იგი განყოფილების შინაარსის მთელ გეგმას, მისი აგების რამდენიმე ვარიანტს შორის, თუ როგორი გეგმაშეწონილობით შეჩერდა განხორციელებულზე... იგი ნათლად ხელმძღვანელობდა, ეს შეეხება როგორც დარბაზების დაგეგმვას, ფარების დადგმას, ისე საგამოფენო ავეჯის ფორმას, ეტიკეტაჟს და სხვა... ვიგონებ ამ სამუშაოს იმიტომ, რომ ამ კერძო შემთხვევაშიც მთელი სისრულით თავი იჩინა ადამიანმა, რომელსაც სამუზეუმო ექსპოზიციის შინაარსზე და მოთხოვნაზე თავისი გარკვეული, მკაფიო და სწორი შეხედულება ჰქონდა“ [ჩუბინაშვილი გ. 1942:276].

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ XI-XIII საუკუნეების მატერიალური კულტურის ისტორიის აღსადგენად და დამთვალიერებლისთვის აღსაქმელად მარტო წერილობითი წყაროების ცნობები არ კმაროდა. აუცილებელი იყო ამ კულტურის იმდროინდელი ორიგინალი ნივთების მიძიება–მოპოვება, რაც ამჟამად უკვე ძნელი იყო. ხშირად მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციებმა, ჟამთა სვლისა და წინა თაობათა დაუდევრობამ ასეთი საგნების უმრავლესობა უკვალოდ გააქრო: „ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო, რაც გადარჩა, ბევრი რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და გაუბედურდა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ ჩვენ XI-XIII სს-ის საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფაცხოვრების ნივთიერ ნაშთთაგან ძალიან ცოტაღა გვაქვს გადარჩენილი. ამ გადარჩენილთაგანაც არაერთი უძვირფასესი ძეგლი საქართველოდან უცხოეთშია გატანილი, ზოგი იქაურ მუზეუმებშია დაცული...საქართველოსათვის რაინდობა იყო დამახასიათებელი. ამიტომაც გამოფენაზე ამ რაინდობის გარეგნული გამოხატულობა უნდა იყოს შეჭურვილი რაინდის სახით მაინც. სამწუხაროდ, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება“ [ჯავახიშვილი ივ. „კომუნისტი”, 1937: №55].

ამ დანაკლისის ანაზღაურება და შევსება ივანე ჯავახიშვილს კომპლექსური მიდგომით – ისტორიული კედლის მხატვრობის, ფრესკების, მინიატიურებისა და ძველი ჩანახატების მონაცემების დახმარებით ჰქონდა დასახული. ასეთი მიდგომა შესაძლებელს გახდიდა „რა თქმა

უნდა, სათანადო სიფრთხილის დაცვითა და წინასწარი კვლევა-ძიების შემდგომ, საგამოფენო ექსპონატი „მკვლევარს საკმაოდ კარგად აღედგინა“ და „გამოფენის დამთვალიერებელს თავსაბურავების, ტანისამოსის, ფეხსაცმელებისა და სამკაულების, ისევე, როგორც იარაღის თითოეული დარგის, ცალცალკე შედარებითი შესწავლისათვის განკუთვნილი მთელი მასალა წარმოუდგება“ [ჯავახიშვილი ივ. „კომუნისტი”, 1937: №55].

ექსპოზიციაში ფართოდ იყო წარმოდგენილი XI–XIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მეურნეობის ამსახველი მასალა: მარცვლეულისა და მევენახეობის წარმოება, ხორბლისა და ვაზის ძველი ჯიშები, მეცხოველეობა და მესაქონლეობა – ცხვრისა და ცხენის ქართული ჯიშები. ჯეროვანი ყურადღება დაეთმო: სარწყავი მიწათმოქმედების, მიწების ინტენსიფიკაციის-საირიგაციო არხების (ალაზნის, სამგორის), ძველი წყალსადენების (შიომღვიმის, სხალტბის) მშენებლობის, აგრეთვე ვაჭრობისა და ხელობა–ხელოსნობის განვითარების ამსახველ მასალასაც.

შოთა რუსთაველის ეპოქის გამოფენისთვის საქალაქო ცხოვრების წარმოსადგენად ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით 1936 წელს დმანისსა და ბოლნისში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც შესანიშნავი აღმოჩენა მოჰყვა: „თხრის შედეგებმა ბევრად გადაამეტა გამოფენისთვის ნივთების მოპოვების ამოცანას. იქ ნამდვილად ჩაეყარა საფუძველი ფეოდალური საქართველოს ძეგლთა მეცნიერულ გათხრა-შესწავლას” [ლომთათიძე გ. 1975:18]. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1937 წელს გეგუთში ივანე ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით დაწყებული სამეფო სასახლის გათხრები (ხელმ. ლ. მუსხელიშვილი, ე. წილოსანი).

ამ გამოფენამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სამუზეუმო საქმიანობა მეცნიერების სხვადასხვა დარგის სინთეზი იყო, რომელიც სრულყოფილად განახორციელა ივანე ჯავახიშვილმა. მისი ხელმძღვანელობით შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენის გახსნა საქართველოს მუზეუმში თბილისის საზოგადოების ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა. იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზე. როგორც არქეოლოგი გ. ლომთათიძე ასკვნიდა: „შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივმა ღირსეულად მოიხადა ვალი დიდი რუსთაველის წინაშე: შექმნა პირველხარისხოვანი, ვრცელი გამოფენა. საქმიანად წამოიწყო ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა (ნაქალაქარის, ნასასახლარის, ნამონასტრალის, ძვ.წყალსადენისა და სხვ.) გათხრა-შესწავლა და გამოსცა სერიოზული კრებული, რომელშიც XI-XIII სს-ის საქართველოს ნივთიერი კულტურა მრავალმხრივ, საფუძვლიან ნაკვლევთა სახით არის წარმოდგენილი“ [ლომთათიძე გ. 1951:20].

30-იანი წლების ბოლოს მცხეთაში, სამთავროსა და არმაზისხევში არქეოლოგიური სამუშაოების ფართოდ გაშლასთან დაკავშირებით, საექსპერტო სამუშაოებისა და ექსპედიციების საერთო ხელმძღვანელობაც ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. მოძიებული მთელი მასალის ტექნიკური დამუშავება კი დაევალა საქართველოს მუზეუმს. „მცხეთა-

ში სამთავროს ჩრდილოეთით ბებრისციხემდე 14 ჰექტარ ფართობზე გაითხარა 300-მდე სამარხი, საიდანაც აკრეფილი იქნა 1400-ზე მეტი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნივთი" [ჯავახიშვილი ივ. „კომუნისტი", 1938: №225].

ამრიგად, საქართველოს მუზეუმში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამუშაო ივანე ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. იგი ამ სამუშაოთა სრულყოფისათვის გულმოდგინედ იღწვოდა. მის სამუზეუმო მოღვაწეობაში კარგად ჩანს სხვადასხვა სამუზეუმო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული ხედვა.

ამავე დროს, ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა და მზრუნველობდა მუზეუმის კოლექტივში ურთიერთკეთილგანწყობისა და მაღალი ზნეობრივი სულისკვეთების განმტკიცებას, რომლის თვალსაჩინო მაგალითს ყოველთვის მისი მოქმედება იძლეოდა – დარბაისლური სიდინჯე, თავდამბლობა, თავაზიანობა, დიდი ტაქტი და ამავე დროს საკუთარი ღირსების მაღალი შეგრძნება [ჯავახიშვილი ნ. 1975: 20].

## MUSEOLOGY


**Guram Chkhaidze**

The Georgian National Museum, Simon Janashia Georgian Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: Chkhaidze@museum.ge


# Ivane Javakhishvili's Museum Activity


## Summary

Museum activity was one of the main spheres in Georgian scientist's and patriot's Ivane Javakhishvili's fruitful and many-sided work. He was involved into this activity when being a youth, during his student years and continued it till the end of his life.

He left a deep and indelible trace in development of the Georgian National Museum. His activity in this institution was a good example of a brilliant leader.

Ivane Javakhishvili's considerations about the museum activities are seen in his reports, letters. articles, public speeches which are discussed in the present work. Some of them are less known for the broad society and the author intends to pay the reader's attention on them.

## ბიბლიოგრაფია


**ამირანაშვილი შ. 1969:** *საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება.* თბილისი.

**გვრიტიშვილი დ.** 1948: *ივანე ჯავახიშვილი.* თბილისი.

**გურული ვ. 2004:** *ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროზე.* თბილისი.

**მეტრეველი რ. 1996:** *ივ. ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი.* თბილისი.

**ჯორბენაძე ს. 1984:** *ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა.* თბილისი.

**ლიტ. მ. ა. ფ. 9080. 1934:** ივანე ჯავახიშვილის წერილი საქართველოს მუზეუმის დირექტორს, 25/ VI საქმე № 4.

**ლომთათიძე გ. 1951:** ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. *მიმომხილველი.* ტ. II. გვ. 1-36. თბილისი (რედ. ნ. ბერძენიშვილი).

**სმა. ფ. 65. 1934:** ან. 1.

**სმა. ფ. 65. 1935: გვ.** 10.

**სმა. ფ. 151. 1921:** გვ. 67.

**სმა. ფ. 153. 1923.** გვ. 14, 116.

**სუიცა. ფ. 600.** საქმე 47. გვ. 15.

**სუიცა. ფ.600.** საქმე 1215. გვ. 6.

**სუიცა. ფ.600.** საქმე 1758. გვ. 5

**სცა. ფ. 570. 1937:** ივანე ჯავახიშვილის მიმართვა შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტისადმი, საქმე. 3.

**ჩიტაია გ. 1942:** აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავი, *ენიმკის მოამბე.* ტ. XIII. გვ. 174-285. თბილისი (რედ. ნ. ბერძენიშვილი).

**ჩუბინაშვილი გ. 1942:** აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავი. *ენიმკი-ს მოამბე.* XIII. გვ. 263-277. თბილისი (რედ ნ. ბერძენიშვილი).

**ჭილაშვილი ლ. 2002:** საუკუნენახევრის გადასახედიდან, *სსმ* №44, გვ. 29-71. თბილისი (რედ. ლ. ჭილაშვილი).

**ჯავახიშვილი ნ.** 1975: ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს მუზეუმი. *მრავალთავი.* ტ. V გვ. 6-20. თბილისი (რედ. ე. ხოშტარია).

**ჯავახიშვილი ი.** მოხსენება ქართველ ხელოვანთა გამგეობას, *„ძეგლის მეგობარი"*, 1966: №7. გვ. 43-59. თბილისი (რედ. გ. ჩიტაია).

**ხეცა. ფ. 918. 1921:** ივანე ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს მუზეუმის საქამიანობის შემოწმების შესახებ.

**ხეცა. ფ. 960. 1939.** გვ. 3.

**ხეცა. ფ. 1513** ან. 1, გვ. 1.

**ჯავახიშვილი ივ.** *შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, „კომუნისტი"*, 1937: №55, 9 მარტი.

**ჯავახიშვილი ივ.** მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, *„კომუნისტი"*, 1937:23/XII.

**ჯავახიშვილი** *ივ. „კომუნისტი"*, 1938: №225. გვ. 2.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებში. 1932 წ.
**სურ. 2.** შოთა რუსთაველის ეპოქის ამსახველი გამოფენის საზეიმო გახსნა. 28. 12. 1937 წ.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Fig. 1.** Ivane Javakhishvili among the Georgian Museum workers. 1932 year.
**Fig. 2**. Inauguration of the exhibition dedicated to the Shota Rustaveli epoch. 28.2.1937 year.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 385-395
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 385-395

**სამუზეუმო საქმე**

**მედეა თავაძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი
სიონის ქ. 8, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: medikotavaze@posta.ge

# თბილისის მუნიციპალური მუზეუმის პროგრამა

ჩვენი მიზანია ფართო საზოგადოებას გავაცნოთ თბილისის მუნიციპალური მუზეუმის პროგრამა, რომელიც გამოქვეყნდა 1910 წელს რუსულ ენაზე და სადღეისოდ რარიტეტია (სურ. 1).

თბილისის მუნიციპალური მუზეუმი ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალი თბილისის ისტორიის მუზეუმის ე.წ. ქარვასლის წინამორბედია, რომელმაც განვითარების საკმაოდ გრძელი და საინტერესო გზა განვლო.

ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში ასახულია თბილისის ისტორიის მუზეუმის დაარსების ისტორია, XX-ის დასაწყისში თბილისის თვითმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებული ვითარება, ასევე მუზეუმის მიზნები და უფლებამოსილებანი [Программа муниципального музея. 1910].

პროგრამისა და მსგავსი წყაროების გამოქვეყნების აქტუალობა გამოწვეულია იმითაც, რომ თანამედროვე საქართველოში სწრაფი ტემპებით ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, ამიტომ საჭიროა ფართოდ გაშუქდეს კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, მუზეუმების შექმნისა და განვითარების დინამიკა, რათა უფრო ნათლად წარმოჩნდეს, თუ რა ფაქტორები მოქმედებს კულტურული დაწესებულებების ფორმირებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის მუნიციპალური მუზეუმის პროგრამა ქალაქის თვითმართველობის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტია.

თბილისის საქალაქო მმართველობაში საკმაოდ ადრეული ეტაპიდან, XI საუკუნიდან, აღინიშნება თვითმართველობის ელემენტები. XI-ს 80-იანი წლებიდან 1122 წლამდე თბილისი დამოუკიდებელი ქალაქია, სადაც ე.წ. საქალაქო კომუნა არსებობდა (მესხია შ., გვრიტიშვილი დ., ... 1958: 39). ეს მოვლენა ქალაქში დემოკრატიული მმართველობის არსებობაზე მიგვითითებს.

1870 წლიდან იწყება „ახალი ერა" რუსეთის იმპერიის ქალაქთა ცხოვრებაში. იმპერიის ყველაზე დიდი და გამორჩეული ქალაქები იღებენ თვითმართველობის უფლებას. მათ შორისაა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უპირველესი ქალაქი თბილისი.

1874 წლის ნოემბერში თბილისში ჩატარდა თვითმართველობის

არჩევნები, ხოლო 1875 წლის 1 იანვარი მიჩნეულია თბილისის თვითმართველობის საქმიანობის დაწყების თარიღად [Сборник Тифлисской городской думы. 1902: 7].

თბილისის საქალაქო თვითმართველობის 35-ე წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით 1909 წელს შედგა თბილისის საქალაქო გამგეობის სხდომა, სადაც გამოითქვა მოსაზრება, ამ თარიღთან დაკავშირებით გაეხსნათ საქალაქო მეურნეობის მუზეუმი საქალაქო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგის ასახვით [Известия Тифлисской городской думы. 1909: 5]. ეს მუზეუმი თავდაპირველად უნდა განთავსებულიყო ქალაქის ერთ-ერთ ნაგებობაში, თუმცა აქვე დადგენილების მე-4 პუნკტში, აღინიშნა ისიც, რომ ქალაქის გადაწყვეტილების შემთხვევაში ქალაქის ყოფილი თავის, ა. მატინოვის (მათიაშვილი) ანდერძით დატოვებული კაპიტალი გამოეყენებინათ მუზეუმისათვის საგანგებო შენობის ასაგებად (სურ. 2-4).

ამგვარად, 1910 წელს თვითმართველობის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა ღონისძიებებმა განაპირობა რუსეთის იმპერიაში პირველი მუნიციპალური მუზეუმის დაარსება თბილისში, რომლის უმთავრესი მისია იყო ქალაქის თვითმართველობის მუშაობის უკეთ წარმოჩენა და რეკლამირება. თუმცა, მოგვიანებით თბილისის ისტორიისა და ყოფის ამსახველ მნიშვნელოვან ექსპონატთა რაოდენობამ და მუზეუმის ფუნქციის გაფართოებამ განსაზღვრა მისი პროფილი და იგი თბილისის ისტორიის მუზეუმად გარდაიქმნა.

გთავაზობთ, ზემოთ აღნიშნული წყაროს სრულ ვერსიას ქართულ ენაზე.

<u>პ რ ო გ რ ა მ ა</u>

## ქალაქ ტფილისის მუნიციპალური მუზეუმი

*ამონაბეჭდი "ტფილისის საქალაქო სათათბიროს უწყებებიდან"*
*№5-6, 1910 წ. ტფილისი*
*კ.პ. კოზლოვსკის სტამბა, გოლოვინის გამზირი, № 12*
*1910 წ.*

## ქალაქ ტფილისის

# მუნიციპალური მუზეუმი

ტფილისის საქალაქო გამგეობის 1909 წლის დადგენილება
ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის 35-ე წლისთავის
აღნიშვნის შესახებ

თამჯდომარეობდა ქალაქის თავის ადგილმონაცვლე ა.ი. ხატისოვი.

ესწრებობდნენ გამგეობის წევრები: ნ.პ. კოკჩაევი, ა.მ. არღუტინსკი, ნ.ე. არღუტინსკი, საქალაქო მდივანი მ.ა. ჯაბარი

გამგეობის მდივანი: ს. დანდუროვი

მოუსმინეს: ქალაქის თავის ადგილმონაცვლეს, რომელმაც მოახსენა რა დამსწრეთ, რომ 1910 წლის 1 იანვარს სრულდება ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის 35-ე წლისთავი და ქალაქმა რაიმე სახით მაინც უნდა აღნიშნოს ეს დღე. ამასთან, გადმოცა ამის თაობაზე შემოსული წერილების შინაარსი: 1. სარქისოვისა – წინადადებით საქალაქო მეურნეობის მუზეუმის დაარსებისა და ქალაქის თავის მიერ გაწეული შრომისა დიაგრამის შესადგენად. 2. მოქანდაკე მიქაელიანცისა – ქალაქის სამხატვრო გალერეის მოწყობის შესახებ.

დაადგინეს:

1. 35-ე წლისთავის აღსანიშნავად გამგეობისა და ფასების კომიტეტის დადგენილებების თანახმად ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა გათავისუფლდეს სამიკიტნოსა და ცხენის მოსაკრებლების გადასახადის ნარჩენისაგან 20,000 მანეთის ოდენობით.

2. სათათბიროს სხდომების დარბაზში გამოიფინოს ქალაქის ყველა ყოფილი თავის პორტრეტი, როგორც ეს გაკეთდა მოსკოვში, ოდესაში და სხვა ქალაქებში.

3. გამოიცეს კრებული – ტფილისი საქალაქო თვითმმართველობის 35 წლოვანი ისტორია საქალაქო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის თანდათანობითი ზრდის ჩვენებით, კრებულის, პროგრამის შემოშავება დაევალოს თავად გამგეობას.

4. გაიხსნას საქალაქო მეურნეობის მუზეუმი მისი ყველა უმთავრესი დარგის ასახვით და განთავსდეს იგი ქალაქის ერთ-ერთ ნაგებობაში. ამასთან, თუკი ქალაქი გადაწყვეტს გამოიყენოს მატინოვის მიერ ანდერძით დატოვებული კაპიტალი მშენებლობისათვის, გათვალისწინებულ იქნას სპეციალური ნაგებობა ამ მუზეუმისათვის.

5. მოხსენდეს სათათბიროს, რომ ხმოსანი ა.თ. ფრიდონოვი, უხუცესი ამჟამინდელ ხმოსანთაგან, 35 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ არის ხმოსანი და ამასთანავე, ყველაზე აკურატული და ენერგიული, ვინც ცხოვლად ინტერესტება ყველა საქალაქო საქმით, რისთვისაც მას გადაეცეს მილოცვა სათათბიროს სახელით.

## ქალაქის სათათბიროს განჩინება

*1910 წლის 22 თებერვლისა*

მოისმინეს: გამგეობის დადგენილება ტფილისში საქალაქო დებულების შემოღების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით.

სათათბირომ განაჩინა: დამტკიცდეს გამგეობის დაგენილება

.

# პროგრამა ქალაქ ტფილისის მუნიციპალური მუზეუმის შესაქმნელად

1

ქალაქის ისტორია. ქალაქის ძველი გეგმები, ხედები, ფოტოსურათები; მისი ტერიტორიული განვითარება.

ქალაქ ტფილისის კლიმატი (ჰაერის საშუალო ტემპერატურა, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა და ქარების სიმძლავრე და ა.შ).

ტფილისის გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული პირობები (განედი, გრძედი, ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული მონაცემები, ქალაქის უთავრესი პუნკტების სიმაღლე ზღვის დონიდან).

ტფილისის ფლორა და ფაუნა. ქუჩის, ბაღებისა და პარკების ნარგავების ჯიშები; უმთავრესი გაშენებული მცენარეები და მათი მავნებლები და სხვ.)

*შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი სამი განხრის შესაბამისად მუზეუმში შეიძლება განთავსებულ იქნან: რელიეფური რუკები, დიაგრამები, ნახატები, ოვალსაჩინო და სქემატური გამოსახულებანი, ჰერბარიუმები და სხვა, ხოლო საიუბილეო მუნიციპალურ კრებულში – შესაბამისი ნარკვევები.*

**2.**

დებულება ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ ქართული სახელმწიფოებრიობის დროს და რუსეთთან შეერთების შემდეგ (ისტორიული დოკუმენტები და ლიტერატურული წყაროები, რომლებიც ამ პერიოდს განეკუთვნებიან).

**3.**

ქალაქ ტფილისში 1870 წლის საქალაქო დებულების შემოღების ისტორია (იმ დროის დოკუმენტები, გაზეთები). ხმოსანთა ფოტოსურათებით და გამგეობის შემადგენლობა 35 წლის განმავლობაში. ტფილისის მკვიდრნი, რომლებმაც განსაკუთრებით განითქვეს სახელი ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სხვ. ასპარეზზე. ტფილისის საზოგადოებრივი მმართველობის დამოკიდებულება ქალაქის, როგორც თვითმმართველი ეროეულის, სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (1870 და 1892 წლების საქალაქო დებულებათა კრიტიკული შეფასება არსებული ბეჭვდითი მასალების მიხედვით და ახალი საქალაქო დებულების პროექტი). ქალაქ ტფილისის მონაწილეობა არჩევნებში, ქალაქის ხარჯები საარჩევნო სიების შედგენისა და საარჩევნო წარმოებისათვის და სხვ.

**4.**

არჩევნები ქალაქის სათათბიროში (საარჩევნო სისტემა 1870 და 1892 წლების საქალაქო დებულებათა მიხედვით, ქალაქის მოსახლეობის მიერ საარჩევნო უფლებების განხორციელება და სხვ.).

ქალაქის მმართველობის ბეჭვდითი შრომები საქალაქო დებულების ფუნქციონირების დროს.

**5.**

სახალხო განათლება (უდაბლესი, საშუალო, უმაღლესი, პროფესიული). ისტორია საკითხისა ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, რასაც ოცდაათწლიანზე მეტი ხნის ხანდაზმულობა აქვს ტფილისის მუნიციპალურ ქრონიკაში და ქალაქის თვითმმართველობის როლი ამ საქმეში. სახალხო სახლი, მისი ცხოვრება.

**6.**

ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მოსახლეობის მოძრაობა, სიკვდილიანობა (საავადმყოფოები, სამკურნალო ადგილები, სანიტარული სამსახური, ლაბორატორია). სულით ავადმყოფთა მოვლა. ავადმყოფთა რაოდენობის ზრდა, როგორც სტაციონარულთა, ისე ამბულატორიულთა, საავადმყოფოებსა და სამკურნალო ადგილებში. ლაბორატორიისა და სადეზინფექციო კამერის საქმიანობა. გაჩენილი ეპიდემიები.

**7.**

წყალმომარაგება: ა) წყალმომარაგება წყალგაყვანილობის ამოქმედებამდე; ბ) წყალმომარაგება წყალგაყვანილობის ამოქმედების შემდეგ. ახალი პროექტები. ავჭალის (წყაროების) ხედები.

**8.**

სასაკლაო: ა) ძველი სასაკლაო; ბ) ახალი სასაკლაო.

**9.**

კანალიზაცია (ძველი მილები, ახალი ქსელი, მილების სახეობა, კანალიზაციის განვითარება). სანაგვე ორმოები.

**10.**

განათება (ფარნების ტიპი, ფარნების განაწილების რუკა, ელექტრული განათების ქსელის ღირებულების სტატისტიკა, ცენტრალური სადგური, ჰიდრავლიკური სადგურების პროექტები).

**11.**

ფინანსები (შემოსავლებისა და გასავლების ბიუჯეტის ზრდა განხრების მიხედვით 35 წლის განმავლობაში, ქალაქის სესხები, სხვადასხვა გადასახადების შემოღების დრო). ქონებების საქალაქო შეფასებანი.

**12.**

საზოგადოებრივი თავშესაფრები (დამის სათევები, მომსხვლელთა სტატისტიკა, უპოვართა სახლი).

**13.**

კრედიტის დაფუძნება (სააუქციონო დარბაზი, ლომბარდი, ურთიერთდაზღვევის საზოგადოება, მიმოქცევათა სტატისტიკა). საზოგადოებრივი უსაფრთხოება: პოლიცია, წოდებების რაოდენობა; მეხანძრეთა რაზმი; სასწრაფო დახმარება.

**14.**

კეთილმოწყობა და მშენებლობა – ქალაქის მოკირწყვლა სხვადასხვა სახეობებით და მათი რაოდენობა. ტროტუარები, მათი სახეობანი და რაოდენობა. სამშენებლო მასალები, მათი ნიმუშები. გათბობა, ვენტილაცია, მათი სისტემა. ხიდები, საბანელები, სამუშაო სახლების გეგმები. საავადმყოფოების უბანი, მისი შიდა მოწყობა. ქალაქში ნაგებობათა რაოდენობის ზრდა წლების მიხედვით, ქალაქის ტერიტორიის გაფართოება წლების მიხედვით; ქალაქის განაშენიანებული ტერიტორიის გაფართოება; ქალაქის კეთილმოწყობის ხარჯთაღრიცხვის ზრდა წლების მიხედვით. ქალაქის ძეგლები. ქალაქის სასაფლაოები, ქალაქის ქვიშის, ხრეშის, გრანიტის კარიერები, მათი სახეობები, მასალების სახეობები.

**15.**

მიწის მეურნეობა – ქალაქის მიწების რაოდენობა და ადგილმდებარეობა, მუნიციპალური მიწის ფართობების მოძრაობა; ქალაქის მიწების ექსპლუატაციის ფორმები, შემოსავლები ქალაქის მიწებიდან, ქალაქის ახალი ნაწილების შემოერთება, საქალაქო ინვენტარი; ბაღები, პარკები, სკვერები, გაზონები. ქალაქის მცენარეულობა და მათი განვითარებით გეგმა. სანერგე (სანაშენე).

**16.**

მიმოსვლის გზების სრულყოფა – ტრამვაი, ვაგონი; სადგურების, სახელოსნოების გეგმა; შემოსავლების ცხრილი წლების მიხედვით, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა, უბედურ შემთხვევათა რაოდენობა, მათი ფოტოსურათები; ფუნიკულიორი, გზის სიგრძე და სახეობა, ვაგონის სახეობა, წამოწყების შემოსავლიანობა, სადგური. გვირაბი, მისი სახეობა, სიგრძე, ჭრილი. ეკიპაჟების ტიპები სამგზავრო და სატვირთო მოძრაობისათვის (ტრანსპორტისათვის).

**17.**

ბალნეოლოგიური სადგური (არსებული ვარიანტები, წყალთა ანალიზები, მათი ტემპერატურა, მათკენ მიმავალი გზები, დებეტი, ლიტერატურა მათ შესახებ. არსებული აბანოები).

**18.**

შრომის ბირჟა. გამგეობისა და სათათბიროს საშუამავლო როლი. ბაკი (პირუტყვის ეზო, სადგომი).

**19.**

მხატვრების ნახატები, რომლებიც ტფილისის ხედებს ასახავენ (ქალაქის ხედების სახეობები, ჟანრი და ყოფა; ძველი სურათები, რომლებზეც ტფილისია გამოხატული)

**20.**

მოსწავლეთა ნაშრომები მეცნიერებებში, ხელობებსა და ხელოვნებაში, შესრულებულნი საქალაქო სკოლებში (სახელობო და პროფესიული სკოლა, დაწყებითი სკოლების ნაკეთობები, ავლაბრის გიმნაზია).

**21.**

იმ მასალების ნიმუშები, რომლებიც გამოყენებულია ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვან ნაგებობებში (იატაკები, საღებავები, ბეტონი, ქვიშა, მოსაკირწყლი ქვები და სხვა სამშენებლო მასალები).

**22.**

ქალაქის ნაგებობათა მოდელები და ალბომები (სახალხო სახლის და მაყურებელთა დარბაზის, სახანძრო რაზმის, არამიანცის საავადმყოფოს, სანიმუშო სკოლის, სანიმუშო სასწავლო კლასის, უპოვართა სახლისა და სხვათა) მოდელები და ალბომები, სააფიშე ბოძები.

**23.**

ძველისძველი ნივთები, დაკავშირებულნი ქალაქის მრეწველობასთან (ქსოვილები, იარაღი, ხელსაწყოები).

**24.**

ლიტერატურა ქალაქ ტფილისის შესახებ (წიგნები, გაზეთები, წერილები). ტფილისში გამართული გამოფენები და ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის მონაწილეობა მათში.

**25.**

საგნები და ცნობები, რომლებიც საგანგებოდ მუნიციპალურ მეურნეობას კი არ განეკუთვნებიან, არამედ საერთოდ ქალაქ ტფილისს, მაგალითად: მის ისტორიას, მრეწველობას, კულტურას, ეთნოგრაფიას (ფაბრიკებს, ქარხნებს) და მათ მიერ გამოშვებულ ნაწარმს; სამეცნიერო, საგანმანათლებლო საზოგადოებებს და მათს საქმიანობას ცხრილებში; სასწავლო დაწესებულებს და მათს მუშაობას; მუშებს და მათს ყოფას. ქალაქის მოსახლეობის მოძრაობას ეროვნებებისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობების მიხედვით).

## ქალაქის გამგეობის დადგენილება
1910 წლის 29 მაისისა

მოისმინა რა პროგრამის პროექტი მუნიციპალური მუზეუმის შესადგენად, რომელიც წარმოადგინა გამგეობის წევრმა ა.ი. ხატისოვმა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ეს პროექტი დამტკიცდეს.

## დასკვნა

ამრიგად, ჩვენი აზრით აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი ექსპონატია, რომელიც ასახავს თბილისში 1910 წელს მუნიციპალური მუზეუმის დაარსების წინაპირობებსა და დეტალურად განსაზღვრავს მის მიზნებსა და გეგმებს. თბილისის მუნ იციპალური მუზეუმის პროგრამის ძირითადი თემატიკა გახლდათ თბილისში 1875 წლის 1 იანვრიდან 35 წლის მანძილზე ქალაქის თვითმართველობის მიერ განხორციელებული საქმიანობის ნათლად წარმოჩენა საზოგადოების ფართო ფენებისათვის ქალაქის სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგის ასახვით.

გარკვეული პერიოდის მანძილზე აღნიშნული მუზეუმი სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა,მაგრამ თბილისის ისტორიის ამსახველ ექსპონატთა მნიშვნელობამ, ამასთანავე, მისი რაოდენობის საგრძნობლად გაზრდამ განაპირობა მუზეუმის არსებითი ცვლილება და იგი საბოლოოდ ჩვენი დედაქალაქის ისტორიის ამსახველ მნიშვნელოვან კერად ჩამოაყალიბა.

**MUSEOLOGY**

**Medea Tavadze**

The Georgian National Museum, Tbilisi History Museum
8 Sioni St. 0105.Tbilisi,Georgia
E-mail: medikotavaze@posta.ge

## Program of Tbilisi Municipal Museum

### Summary

Thus, by our opinion, the archival documents of the exhibits represents a significant artifact of the municipal museum in 1910, showing the establishment of the background and detailing its goals and plans. The Municipal Museum's main theme was clearly to promote Government's activities since 1875 January 1, for 35 years, detailing broad layers of social and economic life of the city for every sphere of life. The museum was developed in this direction for some period, but because of significantly increased number of exhibits depicting the history, the museum has undergone substantial changes. And finally the museum has established as an im-

portant place that reflects the history of our city. The project "Establishment of the Municipal Museum," on May 29, 1910 was presented for approval by the board member A.I. Khatisov. This project was approved by the city administration in 1910 and publication sent to kozlovsky print shop what was located at 12th number of Golovin's prospect . Program consists of 5 printed pages and a Home.

## ბიბლიოგრაფია


**მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა. 1958:** *თბილისის ისტორია.* თბილისი.

**Программа 1909г .Январь №1. Муниципальный музей города Тифлиса.**

**1910:** *Известия Тифлисской Городской Думы*.Тифлис.

***Известия Тифлисской Думы.* 1911: №3**.Тифлис.

***Систематический сборник определении Тифлисской Городской Думы по важнейшим вопросам городского хозяйства за время 1875г. - по 1902г.***

**1902:** Тифлис.


## ილუსტრაციების აღწერილობა

**სურ. 1.** მუნიციპალური მუზეუმის პროგრამა.

**სურ. 2.** მატინოვი (მათიაშვილი) ა.ი. ქალაქის თავი 1878 წ.

**სურ. 3.** არდუთინსკი (არდუთაშვილი) ნ. ა. ქალაქის თავი 19-ე საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

**სურ. 4.** კოკჩაევი ნ.პ. ქალაქის საკრებულოს წევრი მე-20 საუკუნის დასაწყისში.

## LIST OF ILUSTRATIONS

**Fig. 1.** Home Project of Tbilisi Municipal History Museum's program.

**Fig. 2.** Matinov (Matiashvili) A.I. Mayor of city in 1878.

**Fig. 3.** Arghutinski (Arghutashvili) N.A The Mayor of City late 19th, early 20th century.

**Fig. 4.** N.P.Kokchaev-member of City Board in beginning of 20th century.

Программа.

МУНИЦИПАЛЬНЫЙ
МУЗЕЙ
ГОРОДА ТИФЛИСА.

Отд. отт. изъ «Извѣстій Тифлисской Городской Думы» № 5—6, 1910 года

ТИФЛИСЪ
Типографія К. П. Козловскаго. Головинск. пр., № 12.
1910.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 396-408
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 396-408

**სამუზეუმო საქმე**

**ნატალია შელეგია**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო.
ელფოსტა: nata_shelegia@yahoo.com

# ბრენდის იდენტობის შექმნის ტექნოლოგია თანამედროვე დასავლური მუზეუმების მაგალითზე*

„საქართველოს ეროვნული მუზეუმის მწირე ფინანსური რესურსების მიუხედავად, მაინც ახდენს გარკვეულ კომუნიკაციას სხვადასხვა მასმედიის საშუალებებთან. ქვენ უფრო მეტი გაგაჩნიათ, ვიდრე გგონიათ. ქართველ ხალხს სიღრმისეულად ესმის და აფასებს კულტურას. მნიშვნელობა არა აქვს რამხელაა თქვენი ფინანსური რესურსი. მთავარია ყველა თანამშრომელი აცნობიერებდეს მუზეუმის მისიას და ორგანიზაცია სწორად აგებდეს თავის გზავნილებს და კომუნიკაციის სქემას" – ემილ რაფერტი (Emily Rafferty) მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის პრეზიდენტი.

ბრენდინგი და მარკეტინგი არაკომერციულ ორგანიზაციებში, მით უფრო ისეთ აკადემიურ სივრცეში,როგორიცაა მუზეუმი,ჯერ კიდევ საკმაოდ ახალი და შეუსწავლელია. დღეს ქართული მუზეუმები არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. იმისათვის, რომ მუზეუმებმა შეინარჩუნონ აქტუალურობა და საზოგადოების ინტერესი, მათ უწევთ ახალი ფუნქციების შეთვისება. მძაფრ კონკურენტუნარიან მუდმივად ცვალებად პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში, მუზეუმებს, როგორც არასდროს, ესაჭიროებათ ბრენდინგისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და მათი გამოყენება თავიანთ საქმიანობაში.

მთელ მსოფლიოში სწორედ ამ თანამედროვე ტენდენციებმა აიძულა მუზეუმები, მოეძებნათ ახალი გზები და შესაძლებლობები იდენტიფიცირებისა და გამოირჩეულ ნიშანთა სისტემის შემუშავებისთვის.

როდესაც საუბარი გვაქვს მუზეუმის ბრენდის იდენტობის შექმნაზე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ბრენდინგის ძირითადი საკითხები: ბრენდის იდენტობა/პერსონა, ძირითადი და ქვენარატივები.

ბრენდინგის კლასიკური სახელმძღვანელოების მიხედვით, ბრენდინგის მთავარი ამოცანაა ორგანიზაციის განმასხვავებელი ნიშან-თვისებების განსაზღვრა, ჰოლისტიკური მარკეტინგული სტრატეგიისა და კომუნიკაციის აგება. კომპანიებისთვის ის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა, დამატებითი ღირებულება შესძინონ თავიანთ საქმიანობას,

*მადლობას მოვახსენებ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს (CRRC), ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციას, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდსა და ბრაუნის უნივერსიტეტს, რომლებმაც უზრუნველყვეს ამ კვლევისათვის საჭირო ყველა შესაძლო ფინანსური თუ ტექნიკური დახმარება.

რაც შესაძლებლობას მისცემს მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრონ ეროგვაროვან, კონკურენციით გაჯერებულ ბაზარზე.

ბრენდი კომპანიის მიერ დადებული პირობაა, რომ ის მუდმივად უზრუნველყოფს გარკვეული დონის ხარისხს, მომსახურებას, პროდუქციასა თუ გამოცდილებას. მომხმარებლის ცნობიერებაში მას სტაბილური და ღირებული ადგილი უჭირავს, ხოლო გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

კულტურის სფეროზე, კერძოდ კი სამუზეუმო საქმეზე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკურმა და სოციალურმა გარემოებებმა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ და კომუნიკაციის ახალმა პარადიგმებმა. სწორედ არსებულმა გარემოებებმა აიძულა მუზეუმები ძლიერი ბრენდის იდენტობის შექმნაზე ეფიქრათ, რაც, თავის მხრივ, ბიზნესთეორიებისა და მეთოდოლოგიების ათვისებას მოითხოვს. როგორც კვლევებმა ცხადყო, ბრენდინგის მეთოდოლოგია და სტრატეგია კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის ფუნდამენტურად ერთნაირია. მნიშვნელოვანი განსხვავება მხოლოდ მიზნობრივ აუდიტორიასა და ფინანსურ/ადამიანურ რესურსშია. შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო, მუზეუმებს ბრენდის სტრატეგიის აღსასრულებლად უფრო შემოქმედებითი ტაქტიკური ამოცანების დასახვა უხდებათ.

ბრენდის განმარტება შემდეგნაირია: ბრენდი არის ადამიანების ცნობიერებაში არსებული სწორი თუ არასწორი წარმოდგენა ამა თუ იმ ორგანიზაციაზე. ამგვარი წარმოდგენები ადამიანებს ორგანიზაციასთან პირდაპირი ან ირიბი შეხებით ექმნებათ. შესაბამისად, ბრენდი მნიშვნელოვანია ბიზნესის ყველა დონეზე: მომხარებელთან ურთიერთობაში, თანამშრომლების მოზიდვაში, სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში და სხვ.

როდესაც ვსაუბრობთ მუზეუმის ბრენდინგსა და ინტეგრირებულ კომუნიკაციებზე, უწინარესად, საჭიროა, ამ ბიზნესდისციპლინების ზოგადად გარკვევა. თუ ბრენდი არის ინდივიდუალური ღირებულება, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციას, ბრენდინგი არის მარკეტინგული და მმართველობითი ტექნოლოგია, რომელიც ნორმათა სისტემაა. ბრენდი სხვა არაფერია, თუ არა შთაბეჭდილებების ნაკრები მომხმარებლის გონებაში. ეს შთაბეჭდილებები დროის განმავლობაში ყალიბდება, იმისდა მიხედვით, თუ რას აკეთებს და რას ამბობს ბრენდი. ბრენდის სტრატეგიის ყველა ასპექტი ბრენდის დნმ-ის შემადგენელი ნაწილია, ხოლო ბრენდის დნმ-ის ძიების პროცესი ყოველთვის იწყება მაგიდასთან, რაოდენობრივი და ხარისხობრივი გამოკვლევების მეშვეობით. მუზეუმის ბრენდინგის სამი ძირითადი მიზეზი არსებობს: დიფერენციაცია, გამჭვირვალობა და ხარჯების შემცირება. ბრენდი კორპორაციის იდენტიფიკატორია. შესაბამისად, ის არის საერთო ქოლგა, რომლის ქვეშ გაერთიანებულია ორგანიზაციის ყველა საქმიანობა. მუზეუმის ბრენდის იდენტობა კი გამოხატავს კორპორატიულ ხედვას, ღირებულებებს, პიროვნებას, პოზიციონირებას, იმიჯს და მრავალ სხვა მნიშვნელოვან კორპორატიულ ელემენტს.

ამ ყველაფრის წარმოსადგენად და მეთოდოლოგიური ტექნოლოგიის დასახვეწად, რამდენადაც ეს პრობლემა კარგა ხანია დგას ქართუ-

ლი მუზეუმების წინაშე, ჩვენ მიერ ჩატარდა საქესპერტო კვლევა.

კვლევის ძირითადი მიზანი გახლდათ ბრენდის იდენტობის აგების მეთოდოლოგიის შესწავლა ამერიკისა და ევროპის წამყვან მუზეუმებში; უფრო ზუსტად კი ბრენდის ნიშან-თვისებების და ელემენტების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, რაც მუზეუმის ბრენდის იდენტობის შექმნის ძირითადი საფუძველია.

თვისობრივი საექსპერტო კვლევა მიზნად ისახავდა მუზეუმის ბრენდის პროცესების აღწერასა და ბრენდის იდენტობის მეთოდოლოგიის ანალიზს, რათა შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკისა და გერმანიის მუზეუმების ადმინისტრაციის წამყვანი სპეციალისტები და დამოუკიდებელი ექსპერტები: კვლევის ობიექტები კი გახლდათ – სმითსონიანის ინსტიტუტი, მეტროპოლიტენის ხელოვნების, ვიტნის ამერიკის ხელოვნების, ბოსტონის ხელოვნების, იზაბელა სტუარდ გარდნერის, ჯონ კენედის სახელობის, დეკორდოვას, ჰეფენრეფერის ეთნოგრაფიის, პროვიდენსის საბავშვო და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები.

კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ საკონსულტაციო კომპანიების ექსპერტები.

კვლევის პროცესში თვალსაჩინო გახდა, რომ მუზეუმის არსებობა მოიაზრება შემდეგ მიმართულებით:

მუზეუმის შიდა კომუნიკაცია, თავისი ხედვითა და კონცეფციით, ფასეულობებით, კოლექციებით, იდენტობით, მუზეუმის შიდა კულტურითა და სხვ.

მუზეუმის გარე კომუნიკაცია, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი ბრენდის იდენტობაა. როგორც კვლევამ აჩვენა, ნებისმიერი ორგანიზაციის ბრენდის იდენტობის შემუშავება ორგანიზაციის მთავარი ფილოსოფიითა და ღირებულებათა ძირითადი სისტემით იწყება, რისი მეშვეობითაც ხდება დაწესებულების საქმიანობის ადმინისტრირება. შესაბამისად, მისიის განაცხადი უფრო ქმედებაზეა ორიენტირებული. ის ეგზისტენციალურ კონტექსტში მოიაზრება და შემდეგ კითხვებს მოიცავს: ვინ? რა? რატომ? ვისთვის?

მუზეუმის ნათლად გამოკვეთილი მისია „უხილავი ხელის“ როლს ასრულებს, რომლის საშუალებით მიმართულება ეძლევა ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობას. ამ თემასთან დაკავშირებით აღმოჩენილი ემპირიული ვერსია ნათლად გვიჩვენებს, რომ მუზეუმისთვის მისია ძლიერი ფუნდამენტია. მასზე დაყრდნობით დგინდება ბრენდის იდენტობის კონცეფცია, ძირითადი ნარატივები და კორპორატიული სტრატეგია. საკონსულტაციო სააგენტო ლაპა კოენთან ინტერვიუს დროს, ბრენდ მენეჯერმა აღნიშნა, რომ მისიის შემუშავება ინფორმაციის მოგროვებითა და ანალიზით იწყება – ჩაღრმავებული ინტერვიუებით ორგანიზაციის მაღალ მენეჯმენტთან (Stakeholders), რომლის მთავარი მიზანია მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა: ვინ ვართ ჩვენ? სწორედ გამოხატავს თუ არა არსებული მისია ორგანიზაციის სასურველ მიზანს?

მისიის ფორმულირების პროცესში, ორგანიზაციის ობიექტურად შე-

ფასების მიზნით, ინტერვიუები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: გარე და შიდა აუდიტორიის გამოკითხვა. აღნიშნული მეთოდოლოგიით იკვეთება გარე და შიდა გადაფარვის ველები, რაც თავის მხრივ მისიის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი და საჭირო ინფორმაციაა.

წინამდებარე კვლევა შეიძლება სხვადასხვა ფორმატით განხორციელდეს: ონლაინ გამოკითხვა, ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და სხვ. საექსპერტო კვლევის დროს ასევე გამოიკვეთა განსხვავებული მეთოდოლოგია, რომელიც მუზეუმში ერთზე მეტი ორგანიზაციული ერთეულის არსებობის დროს გამოიყენება. მაგალითისთვის განვიხილოთ სმითსონიანის ინსტიტუტი, რომლის გაერთიანებაში 19 მუზეუმი, ზოოპარკი და კვლევითი ცენტრია. სმითსონიანის ბუნებრივი ისტორიის ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მათ დაწესებულებაში შემავალ თითოეულ მუზეუმს უნიკალური კოლექცია და შესაბამისად, ინდივიდუალური მისია გააჩნია. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ მუზეუმის ბრენდინგის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ინდენტიფიცირების ერთი სახე არსებობდეს, თუმცა, არ უნდა დაიკარგოს თითოეული მუზეუმის მისია და მისი უნიკალური იდენტობა. ამგვარი მეთოდოლოგიის პრაქტიკულად გამოყენება სმითსონიანის ინსტიტუტმა 2011 წელს შემდეგნაირად მოახერხა. ინსტიტუტის ერთიან მისიაზე დაყრნობით მან ერთგვარი მატრიცა შეიმუშავა, სადაც გამოიყო ოთხი სტრატეგიული მიმართულება. თითოეული მუზეუმი თავისი მისიისა და კოლექციების გათვალისწინებით შემდეგნაირად დაიყო: ამერიკული გამოცდილების/კულტურის გააზრება – ამერიკის ისტორიის ეროვნული მუზეუმი, ბიოპლანეტის შემეცნება და შენარჩუნება – ისტორიის ეროვნული მუზეუმი, მსოფლიო კულტურების დაფასება – აფრიკის მუზეუმი და სამყაროს საიდუმლოების აღმოჩენა.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მეშვეობით, სმითსონიანის ინსტიტუტმა მოახერხა სხვადასხვა კონცეფციისა და მისიის მატარებელი მუზეუმების ერთ სტრატეგიულ დოკომენტში გაერთიანება, რაც მოგვიანებით 2011 წლის კორპორატიული სტრატეგიის შემუშავების საფუძველი გახდა. ამერიკის ერთ-ერთ ძველ მუზეუმთა რიცხვშია მეტროპლიტენის ხელოვნების მუზეუმი, რომლის პირვანდელი ფუნქცია 1870 წელს განისაზღვრა და მისი ძირითადი მიზანი გახლდათ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების პრეზენტაცია და ამერიკელი საზოგადოების განათლება. თანამედროვე მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც 17 საკურატორო დეპარტამენტი და 2,000 თანამშრომელი ჰყავს, ბრენდის განვითარების სხვა ეტაპზეა, თუმცა, მისი არსებობის ძირითადი იდეა უცვლელი რჩება. დღემდე იგი ცდილობს საზოგადოების შთაგონებასა და ხელოვნების მიმართ სიყვარულის გაღვიძებას. მუზეუმის მიერ განხორციელებული ყველა აქტი თუ ძალისხმევა სწორედ ამ ძირითადი იდეის მხარდაჭერას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის მისიის ინტერპრეტაცია ინდივიდუალურად ხდება, თუმცა, მეტროპოლიტენის მუზეუმის მიზანია შეუნახოს კაცობრიობას მსოფლიო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები და კოლექციების საშუალებით ხელი შეუწყოს საზოგადოების განათლებასა და განვითარებას. როგორც მეტროპოლიტენის მუზეუმის არა ერთმა

თანამშრომელმა ინტერვიუში აღნიშნა, მუზეუმის მისია ასწლეულების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის საზოგადოების განათლების დონე მკვეთრად გაიზარდა. დღეს კულტურული ორგანიზაციებიდან სხვა ტიპის აქტივობებსა და კომუნიკაციას ელიან. მათთვის თანამედროვე მუზეუმები უფრო კულტურული პარტნიორები არიან და მათგან მეტ ჩართულობასა და ნაკლებ ელიტარიზმს ითხოვენ.

საექსპერტო ინტერვიუს დროს მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის პრეზიდენტმა ემილ რაფერტმა კითხვაზე, თუ რა არის მუზეუმის წარმატების ფორმულა, შემდეგნაირად უპასუხა: „მუზეუმის თანამშრომლებმა კარგად იციან და გააზრებული აქვთ, თუ რა არის ორგანიზაციის ძირითადი კონცეფცია და მისია. ყველაფერს, რასაც მუზეუმი ქმნის (საგანმანათლებლო პროგრამები, გამოფენები, წვეულებები, ლექციები და სხვ.) სარჩულად ორგანიზაციის მისია და მისი ძირითადი ფასეულობები უდევს. რაც უფრო მეტად გაცნობიერებული აქვს ორგანიზაციას თავისი არსებობის მიზანი, მით უფრო მეტი შანსი აქვს წარმატებული მომავლისთვის". მან ასევე დასძინა, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ურჩევდა, რომ ნათლად განესაზღვრა თავისი მისია და ხედვა, რის საფუძველზეც მოახდენდა სწორი გზავნილების აგებას, რაც თავის მხრივ, წარმატებული ბრენდის იდენტობის შექმნის საწინდარი იქნებოდა.

კვლევამ აგრეთვე ცხადყო, რომ ისეთ კომპლექსურ ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაში ერთზე მეტი ეროვნულია, შეიძლება ერთიანი მისიის განსაზღვრისა და საერთო კონცეფციის პრობლემა გააჩნდეს. ამის ნათელი მაგალითია პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი, რომლის მთავარი სირთულე სწორედ 15 სხვადასხვა ტიპის მუზეუმის, კვლევითი ცენტრისა და ბიბლიოთეკის გაერთიანება გახლდათ. შესაბამისად, რებრენდინგის მთავარი მიზანი იყო ერთიანი ბრენდის იდენტობის შექმნა და ორგანიზაციებს შორის კავშირის დამყარება. რთული იყო ერთიანი იდენტობის მონახვა, რადგანაც ფონდში სხვადასხვა დანიშნულების ორგანიზაციაა გაერთიანებული. თუმცა, ფონდის ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება საერთო მისიის და ხედვის მეშვეობით მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიტუაციის წინაშე დგას საქართველოს ეროვნული მუზეუმიც.

დასავლური მუზეუმებისთვის მისია ორგანიზაციის ძირითად საყრდენი ელემენტია. როგორც ემპირიულმა კვლევებმა გვაჩვენა, მისიის ანალიზი საწყისი ეტაპია მუზეუმის ბრენდის იდენტობის შექმნის პროცესში. წარმატებულ მუზეუმებში მისია კარგად გააზრებული აქვთ, როგორც მაღალ მენეჯმენტს, ასევე დაბალი რგოლის თანამშრომლებს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი საქმიანობისა და ქცევის საფუძველია ორგანიზაციის ნათლად განსაზღვრული მისია.

ზოგჯერ გამოიკვეთა, რომ მუზეუმის დამფუძნებლის პირვანდელი მისია თანამედროვე სამუზეუმო სივრცეში თითქმის უცვლელად აგრძელებს სიცოცხლეს. ასევე გაირკვა, რომ სამუზეუმო გაერთიანებები ხშირად ვერ ახერხებენ ერთიანი ბრენდის იდენტობის შექმნას, რაც უწინარეს გამოწვეულია ერთიანი მისიის უქონლობით.

მუზეუმის ბრენდის შექმნაში მნიშვნელოვანი ელემენტებია: ორგანიზაციის კორპორატიული კულტურა და ღირებულებები, ეთიკის ნორმების ერთიანი სისტემა, რომელიც თანამშრომლების ქცევასა და კომუნიკაციის გარკვეულ პატერნს განაპირობებს, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მისი შენობის მიღმა. კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ მუზეუმის შიდა კულტურა მჭიდროდ უკავშირდება მუზეუმის მისიას, ბრენდის სახეს, და შესაბამისად, შიდა კულტურა ორგანიზაციის გარე იმიჯის ფორმირებისთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ხშირად მუზეუმების შიდა კულტურა უნივერსიტეტის ან აკადემიური დაწესებულების კულტურას წააგავს. სამუზეუმო სფეროში მეტროპოლიტენის მუზეუმი გარკვეულწილად ოქროს სტანდარტების მქონე მუზეუმია. ამგვარი მაღალი დონის სტანდარტები და ხარისხი მუზეუმის შიდა კულტურის უცვლელი ფილოსოფიაა. მაგალითისთვის, მუზეუმში 1956 წლიდან სპეციალური კლუბი ფუნქციონირებს, რომელიც 25 წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე თანამშრომლებს აერთიანებს. აღნიშნულ კლუბში 500-ზე მეტი წევრია, რაც ნათლად მეტყველებს მუზეუმის თანამშრომლების ლოიალურობაზე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მუზეუმის პერსონა გარკვეულ წილად მისი თანამშრომლების იდენტობას გამოხატავს. შიდა კულტურა ორგანიზაციის მისიაზე და ღირებულებაზე იგება. ისეთი წარმატებული ორგანიზაცია, როგორიც არის მეტროპოლიტენის მუზეუმი, შიდა კულტურის განვითარებასა და გაძლიერებას დიდ რესურს მოახმარს. მას კარგად აქვს გააზრებული ფასეულობათა სისტემა, მუშაობის სტანდარტები და წარმატებით ახდენს თანამშრომლებთან კომუნიკაციას.

როგორც ჩანს, წარმატებულ მუზეუმებს გააჩნიათ ეფექტური შიდა საკომუნიკაციო რეჟიმი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლების ჩართულობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. მუდმივი კომუნიკაციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ორგანიზაციის მისიისა და ხედვის, ფასეულობებისა და ნორმების არტიკულაცია. ამგვარი, შიდა კომუნიკაციის სისტემის ასაგებად მუზეუმები იყენებენ სხვადასხვა ტიპის საშულებას. მუზეუმების უმეტესობისთვის ეფექტური შიდა კომუნიკაციის ძირითადი ფორმა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრებია. მუზეუმის ორგანიზაციის სტრუქტურა და სამუშაო ფორმატი ისეთი სახით არის შემუშავებული, რომ საშუალებას აძლევს თანამშრომლებს კომუნიკაცია რამდენიმე დონეზე გამართონ. კვლევაში გამოიკვეთა ისეც, რომ მუზეუმის ორგანიზაციულ სტრუქტურას შიდა კომუნიკაციის წარმატებაზე დიდი გავლენა აქვს. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორი შიდა საკომუნიკაციო სისტემის შემუშავება მუზეუმის ყოველდღიურ საქმიანობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მეტროპოლიტენის მუზეუმის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ შიდა კომუნიკაციის ყველზე ეფექტური საშუალება სისტემატური შეხვედრების წარმართვაა. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ელექტრონული სახით გაზიარება.

კვლევაში გამოვლინდა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური მიდგომა და ინსტრუმენტები, რომლებსაც მუზეუმები ბრენდის

იდენტობის შექმნაში იყენებენ.

კვლევით ასევე გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა შორის ყველა მუზეუმმა ბრენდინგის განსახორციელებლად გარე საკონსულტაციო კომპანია მოიწვია (გარე და შიდა ხედვების შეჯერების გამო). მეთოდოლოგიური მიდგომა კი ძირითადად საერთო პრინციპებს ემყარება: ბრენდის იდენტობის შექმნისას, უწინარედ განისაზღვრება ბრენდის არსი, შემდგომ ბრენდის სტრუქტურა. მხოლოდ ამის მერე განისაზღვრება ვიზუალური იდენტობა, ბოლო ეტაპზე კი – ტაქტიკური ამოცანების განხორციელების გეგმა.

ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ბრენდის და ადამიანების ურთიერთქმედება. აქ კი არსებითია მიღებული გამოცდილება და არა კომუნიკაცია. და ბოლოს, აუცილებელია, რომ რეალობა და ბრენდის მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდეს. ბრენდინგის ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ბრენდინგში საბოლოო გადაწყვეტილებებს მუზეუმის ტოპმენეჯმენტი იღებს. პროცესში ჩართული უნდა იყვნენ იმ დეპარტამენტების უფროსები, რომლებიც ბრენდინგის სტრატეგიის აღსრულებაში მიიღებენ მონაწილეობას. საჭიროა თანამშრომლებს ეცნობოთ მიმდინარე პროცესების თაობაზე, რათა უფრო მშვიდად მიიღონ სიახლეები და შეძლონ ბრენდის სტრატეგიის სისრულეში მოყვანა.

ბრენდინგში არსებობს სხვადასხვა სტრატეგია: ბრენდი, როგორც პროდუქტი, და ბრენდი, როგორც ორგანზაცია, და ბრენდი, როგორც პერსონა. სამუზეუმო საქმეში უფრო ხშირად ვხვდებით ბრენდს, როგორც „ორგანიზაციას". თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როგორც არის კენედის სახელობის მუზეუმი და ბიბლიოთეკა, რომლებიც წმინდა ბიზნეს განმარტებით, განიხილება როგორც „ბრენდი პერსონა". იგი ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის სახლ-მუზეუმია და მის ცნობადობითა და იდენტობით სარგებლობს. იზაბელა სტუარდ გარდნერის მუზეუმიც ამავე კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ, რადგან ისიც მისი დამფუძნებლის იდენტობასა და ფასეულობებს გამოხატავს. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახლ-მუზეუმებისთვის დამახასიათებელია „ბრენდი, როგორც პერსონის" სტრატეგიის გამოიყენება.

შეიძლება ითქვას, რომ ბრენდის იდენტობის ძირითადი მახასიათებელი მისიის შესაბამისი ნარატივია, რომელიც შეიძლება დაიყოს ქვენარატივებად (მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმი, რომლის ნარატივი ეთნიკურ იდენტობას გულისხმობს.) ძირითად ნარატივში მოცემული უნდა იყოს საკრალური ელემენტი, რომელიც განსხვავებულია მატერიალური ღირებულებისაგან. მუზეუმის ბრენდის იდენტობის განმსაზღვრელი ხშირ შემთხვევაში მისი კოლექციის კონცეფციაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბრენდის იდენტობასა და ნარატივს შორის აუცილებელია კორელაცია. მუზეუმისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ძვირფასი კოლექცია, რომელიც მას ღირებულებას ანიჭებდა. ამ ტრადიციული გაგებისგან განსხვავებით დღევანდელი მუზეუმი არის კოლექციებისთვის შექმნილი სივრცე, რომელიც აღემატება კოლექციას და რომელიც აძლევს მნახველს ახალ გამოცდილებას.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის ძირითადი კონცეფცია ექსპერტ-

თა კვლევით იგება, სადაც მონაწილეობას იღებენ ყველა სამუზეუმო ექსპერტი, მუზეუმის თანამშრომლები და ყველა სხვა გარე ექსპერტი, რომლებსაც ეროვნულ იდენტობასთან ზოგადი შეხება ჰქონია. გარე და შიდა ისტორიების შეჯერების გზით ბრენდის იდენტობის მეთოდოლოგია მუშავდება. ხოლო რებრენდიგის შემთხვევაში საჭიროა მუზეუმმა შეისწავლოს არსებული გარემო და განსაზღვროს მუზეუმის ნიშა. ბრენდის იდენტობის დაგეგმისა და კულტურის ობიექტის წარდგენისას უმნიშვნელოვანესია ზომიერების დაცვა და სიფაქიზე.

როგორც ვიცით, მუზეუმები ისტორიულად ელიტური და დახურული სივრცე იყო. მუზეუმის კულტურის პარადიგმის შეცვლისას გარდაიქმნა მისი იმიჯიც, თუმცა, დღემდე მუზეუმები ცდილობენ დამკვიდრებული ცივი და ელიტური იმიჯის შეცვლას. მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის ბრენდის ნარატივი წლების განმავლობაში თანდათანობით იცვლება. XIX საუკუნეში იგი გარკვეულწილად კულტურული ეკლესია იყო. დღეს მეტროპოლიტენის მუზეუმი და მისი დირექტორი ტომ ქემბელი, ცდილობენ მუზეუმში შექმნან უფრო დემოკრატიული კულტურა, რომელიც დამთვალიერებელთა მიერ შეძენილ ახალ ე.წ. „გამოცდილებაში" აღიბეჭდება. ასევე აღსანიშნავია, რომ მუზეუმებს ბრენდის იდენტობის შემუშავების განსხვავებული მიდგომები გააჩნიათ. მაგალითად, შოტლანდიის მუზეუმის კონცეფციის შექმნის პროცესში მონაწილეობდა მთელი ქვეყანის სამოქალაქო საზოგადოება. მუზეუმმა დასვა ფუნდამენტური კითხვა, თუ რას ნიშნავდა შოტლანდია თანამედროვე კონტექსტში? საზოგადოების პასუხებზე დაყრდნობით კი მუზეუმის ძირითადი ნარატივი შემუშავდა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისეთი პატარა ქვეყნების, როგორებიცაა სინგაპური და ჰონგ-კონგი, „ისტორიაზე აგებული" ნარატივის შექმნის პროცესში მონაწილეობას არა კურატორები, არამედ მთავრობის წარმომადგენლები იღებდნენ. ჰონგ-კონგის მაგალითით, რომ ვიმსჯელოთ, ნარატივი ობიექტურად არ გამოხატავს ქვეყნის ისტორიას. ისტორია კი ადამიანებს ეკუთვნის. ამიტომაც ეროვნული იდენტობის შექმნის პროცესი ყველა მუზეუმისთვის უფრო გახსნილი და ტრანსპარანტული უნდა იყოს. თუმცა, აქაც არსებობს სერიოზული საფრთხეები და საჭიროა გარკვეული შუალედის მოძებნა. შესაბამისად, ისმის კითხვა, ვის აქვს უფლება შექმნას ეროვნული ნარატივი და ობიექტურად გადმოგვცეს ეროვნული ისტორია? კვლევის დროს არაერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საჭიროა ოქროს შუალედის მონახვა. აუცილებელია, რომ მუზეუმებმა ავტორიტეტული და პედაგოგიური ტონი შეინარჩუნონ. დიდი შეცდომა იქნება, თუ მუზეუმები ამ როლს დაკარგავენ, რადგანაც საზოგადოებისთვის მუზეუმები საგანმანათლებლო და საკრალური სივრცეა. მუზეუმის კურატორებმა ნარატივის გარკვეული სტრუქტურა უნდა ჩამოაყალიბონ. ამის შემდეგ შესაძლებელია იდეების შეგროვება და საზოგადოების ჩართვა. აღსანიშნავია, რომ დასავლურ მუზეუმებში ეროვნული იდენტობის შექმნის ორი მეთოდოლოგია არსებობს: მუზეუმები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ეროვნული ნარატივი არსებული კოლექციების მიხედვით ააგონ (არტეფაქტზე აგებული ნარატივი) და მეორე მხრივ, (ისტორიაზე აგებული ნარატივი), სადაც წამყვანია არა კოლექცია, არა-

მედ თავად ისტორია.

კვლევამ გვიჩვენა, რომ კულტურის სფეროში ხშირად შეხვდებით ბრენდის იდენტობის შექმნის სხვადასხვა სტრატეგიას. მაგალითად, დედა ბრენდის სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს ერთი ძლიერი ბრენდ და ვიზუალური იდენტობის შექმნას, ხოლო დანარჩენი ეროვნულები (შვილი ბრენდები) გაერთიანებული არიან ძირითადი ბრენდის ქოლგის ქვეშ. ეს სტრატეგია საკმაოდ რთული მისაღწევია. მაგალითად, წარმატებული ორგანიზაციები – ლინკოლნ ცენტრი, სმითსონიანის მუზეუმი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები, რომლებიც ახერხებენ „შვილი ბრენდების" დაკავშირებას ძირითად ბრენდთან. ამ შემთხვევაში, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება, რათა კონცეპტუალურად და ვიზუალურად უფრო იოლად მოხდეს მათი დაკავშირება. შესაბამისად, ბრენდინგი ორგანიზაციას აძლევს სწორ მიმართულებას და ხელს უწყობს აუდიტორიასთან ურთიერთობის შენარჩუნებაში. წარმატებული ბრენდები შემთხვევით არ იქმნება, ისინი სიღრმისეული გააზრებისა და სწორად დაგეგმვის შედეგია.

ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს თითქმის ყველა მუზეუმის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ბრენდინგისას გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები: თანმიმდევრულობა – ერთიანი ინტეგრირებული სისტემის შემუშავება, სიცხადე – ბრენდი იოლად გასაგები და ხელშესახები უნდა იყოს მომხმარებლისთვის. სიცხადე ემყარება ორგანიზაციის მისიას, ძირითად ფასეულობებსა და ხედვას. უწყვეტობა უნდა არსებობდეს ბრენდის მომსახურებაში, ხარისხში, გამოცდილებაში. ორგანიზაციები – პროგნოზირებადი და სტაბილური უნდა იყოს, განსაკუთრებით კი მუზეუმები. მუზეუმბრენდები ხილვადი და ცნობადი უნდა იყვნენ საზოგადოებაში.

მუზეუმებისთვის ბრენდი ჩარჩოა, რისი მეშვეობითაც ხდება იდეებისა და ღირებულებების ტრანსფორმაცია კონკრეტული ღონისძიებებისა და მომსახურების სახით. ასევე მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინება, რომ ბრენდი აუთენტური და უნიკალური უნდა იყოს.

ცალსახაა, რომ ბრენდის იდენტობის შექმნა ხანგრძლივ დაგეგმვასა და ანალიზს მოითხოვს ორგანიზაციის მაღალი მენეჯმენტისგან, მისი განხორციელება კი მუზეუმის ყველა დონის მენეჯერულ რგოლს მოიცავს.

ბრენდის იდენტობას ქმნის პირდაპირი და ირიბი კომუნიკაციის, სწორი და ცრუ წარმოდგენების ერთობლიობა. დღეს არაერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ბრენდი გაცილებით მეტია. ის განცდილი ემოციაა, რომელსაც თან წაიღებს დამთვალიერებელი. სამომავლოდ ბრენდები თავიანთ თავს ციფრულად გამოავლენენ. მუზეუმებისთვის ეს პრობლემატური და რთული იქნება, რადგანაც მუზეუმებისთვის ძირითადი შეთავაზება მათს სივრცეებში მიღებული ემოცია და შეძენილი გამოცდილებაა. მუზეუმებისთვის ამისი ციფრულ ვერსიად გადატანა საკმაოდ რთული იქნება. საზოგადოება მუზეუმებს ყოველთვის მოიაზრებდა როგორც ავტორიტეტულ სუბიექტს. ამ იმიჯის შეცვლა არ არის საჭირო, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუზეუმებმა არ უნდა გამართონ დიალოგი საზოგადოებასთან. სწორედ ეს არის ყველაზე საოუთი და

როული თემა თანამედროვე მუზეუმებისთვის – როგორ შეინარჩუნონ ავტორიტეტული ხმა და თან შეცვალონ კომუნიკაციის ფორმატი.

მუზეუმის ბრენდის იდენტობის კონცეფციის შემუშავების შემდეგ ხდება მუზეუმის იმიჯის ელემენტების განსაზღვრა, ხოლო მისი კომუნიკაცია პოზიციონირების საშუალებით არის შესაძლებელი. ინტერვიუს დროს ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მუზეუმის მისია შიდა აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი, პოზიციონირება კი გარე საზოგადოებისთვის არის საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს ორგანიზაციის მთავარი მისიისა და ფასეულობების განსაზღვრა. შესაბამისად, პოზიციონირების კონცეფცია ბრენდის იდენტობისა და მუზეუმის ღირებულებათა სისტემის ნაწილია, რომელიც მუზეუმის კონკურენტული უპირატესობის შექმნაში ეხმარება. მუზეუმის პოზიციონირებისთვის, უპირველესად საჭიროა: შიდა და გარე კვლევა, არსებული მისიისა და ხედვის შეფასება, ძირითადი ბრენდის იდენტობის კონცეფციის და შემდგომ მისი ნარატივის შემუშავება,სასურველი იმიჯის ელემენტების დადგენა,სეგმენტის პროფილის შეფასება და სამიზნე აუდიტორიის შერჩევა. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ პოზიციონირების სტრატეგია ორგანიზაციის ენის საბაზისო ცოდნაა, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ თანამშრომელს თავიანთი სამსახურის გზავნილების სისტემაა სწორედ შეიმუშაოს. ამგვარად, პოზიციონირება არამარტო გარე საზოგადოებისთვისაა აუცილებელი, არამედ შიდა აუდიტორიისთვისაც საჭირო საშუალებაა მუზეუმის სწორი და თანმიმდევრული კომუნიკაციისთვის.

ბრენდის არქიტექტურა და მოდელი განსაზღვრავს, პროდუქტისა და ბრენდის ურთიერთობას. შესაბამიდ, ის მნიშვნელოვანი ნაწილია ბრენდის იდენტობის ფორმულირებაში. ორგანიზაციის მისიიდან და არსებული რესურსიდან გამომდინარე, დგინდება შესაფერი ბრენდის არქიტექტურა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ორგანიზაციაში არსებული ერთეულების ურთიერთობა.

ექსპერტთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ბრენდის კონცეპტუალური ნაწილის შემუშავების დროს დიდი ყურადღება ბრენდის არქიტექტურას ეთმობა. ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების ბრენდინგის პროცესში პირველივე ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა, რომელიც მუზეუმების დირექტორებით იყო დაკომპლექტებული, განიხილეს ბრენდის არქიტექტურა და აგების სხვადასხვა სტრატეგია: მონობრენდი, ოჯახური ბრენდი და სხვ. პრუსიის ფონდში არსებული ერთეულებისა და მისიის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი მონობრენდის სტრატეგიაზე შეჯერდა. ისეთ ბრენდ არქიტექტურაზე, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მასში შემავალი რამდენიმე ცალკე ერთეული ერთიანი ქოლგის ქვეშ გააერთიანოს, აღნიშნულ მიდგომას „კორპორატიული ქოლგის ბრენდის სტრატეგია" ჰქვია. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა. მუზეუმების ორი კატეგორია არსებობს: 1. დიდი კულტურული ორგანიზაციები, სადაც ერთზე მეტი მუზეუმია გაერთიანებული. 2. ორგანიზაცია, სადაც მხოლოდ ერთი მუზეუმია. ამ ორ კატეგორიის მუზეუმს, სხვადასხვა ტიპის მიდგომა აქვთ ბრენდინგისა და მით უფრო, ბრენდის არქიტექტურის

კონტექსტში. კერძოდ, კვლევამ გვაჩვენა, რომ ისეთი ტიპის კულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ერთზე მეტ მუზეუმს აიერთიანებენ უფრო ხშირად მონო ბრენდის-ერთი კორპორატიული ბრენდის სტრატეგიას ირჩევენ.

თავისთავად, მუზეუმი კომპლექსური ორგანიზაციაა მრავალმხრივი დისციპლინებითა და საქმიანობით. შესაბამისად, ბრენდის აღქმასა და მის ცნობადობაზე ვიზუალური პრეზენტაცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს. ბრენდის ვიზუალური იდენტობა მისი კომუნიკაციის საერთო სახეა, შეიძლება ითქვას, მისი ვიზუალური ორეული. ეფექტური ვიზუალური ბრენდის იდენტობა მიიღწევა თანმიმდევრული იმიჯის ელემენტების გამოყენების გზით: ფერი, ლოგოტიპი, ფონტი, სტილი, გრაფიკული დიზაინი და სხვ.

ექსპერტთა მონაწილეობით ჩატარებული კვლევის დროს დადგინდა, რომ მუზეუმების უმრავლესობამ ვიზუალური იდენტობის შექმნა მოახერხეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუზეუმის მისია ჩამოყალიბდება, შეიქმნება პოზიციონირების სტრატეგია და სიღრმისეულად განისაზღვრა აუდიტორიის კატეგორიები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამუზეუმო კულტურა ძალზე კომპლექსურია და მას თავისი არსებობისთვის ტრანსფორმირება უხდება. ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტის ეპოქაში უმნიშვნელოვანესი გახდა ბრენდის იდენტობა და ინტეგრირებული საინფორმაციო უზრუნველყოფა. სახელმწიფო დაფინანსების შემცირებამ, მომხმარებლის ქცევისა და აზროვნების ახალმა პატერნებმა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, სხვადასხვა დისციპლინას შორის კონცეპტუალური სხვაობის მინიმალიზაციამ, კონკურენციის არნახულმა ზრდამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სამუზეუმო სივრცეში და მუზეუმები იძულებული გახდნენ გადაეხედათ თავიანთი საქმიანობის არეალისთვის და ფართოდ აეთვისებინათ ერთ დროს გამოუყენებელი ბიზნესტექნოლოგიები. დღეს ბრენდინგი და მარკეტინგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აქტუალური იარაღია ნებისმიერი ტიპის მუზეუმისთვის.

მსოფლიო კომუნიკაციის ქსელში ჩასართავად ქართულ მუზეუმებსაც მოუწევთ მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. შესაბამისად, ჩვენი საექსპერტო კვლევის მიზანი გახლდათ უცხოური მუზეუმების ტრანსფორმაციის პატერნების შესწავლა და შედარება. აღნიშნულ სტატიაში ვეცადეთ, წარმოგვედგინა მუზეუმის ბრენდის იდენტობის შექმნის დასავლური მოდელი, რომელიც ქართულ მუზეუმებს მისცემს შესაძლებლობას, გაწევრიანდნენ თანამედროვე საერთაშორისო სამუზეუმო კავშირში, რადგანაც მათ გააჩნიათ ის პოტენციალი და რესურსი, რომლებიც მსოფლიო კულტურას გაამდიდრებს და უნიკალურ ელფერს შესძენს.

Natalia Shelegia

The Georgian National Museum
3 Rustaveli Ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nata_shelegia@yahoo.com

# Creating Brand Identity for Museums Based on Western Museum Case Studies

The article examines some of the leading American and European museum cultures, explores the methodologies that are used to create the brand identities in museums, studies Western communication paradigm transformation and reviews new trends affecting museum activities. The empirical and qualitative study that was conducted among the prominent world known museums attempts to explore and analyze the significant brand elements that are the fundamental for building museum brand identities. The research topics are interesting as they facilitate deeper understanding of a phenomenon that is still less known in non-profit organizations. The ultimate goal of the empirical study was to describe the brand identity building process and analyze the branding methodologies, in order to broaden the knowledge about museum branding and to deliberate a set of recommendations for the Georgian National Museum. The data obtained with the qualitative research could assist museum in creation of affective branding tools for transforming Georgian museums into living and interesting, vital community resource and educational center, devoted to diffusion of knowledge and understanding in society. The article reviews some of the case studies of the leading museum brands in the world: the Metropolitan Museum of Art in New York (USA), Whitney Museum of American Art (New York, USA), the Smithsonian Institution in Washington, (USA),the Museum of Fine Arts in Boston (USA), Isabella Stewart Gardner Museum in Boston (USA), John F. Kennedy Presidential Library and Museum in Boston ( USA), De Cordova Museum and Sculpture Park in Boston ( USA), MIT Museum in Boston ( USA), Heffenreffer Museum of Anthropology, Providence ( USA), Providence Children's Museum, Providence (USA), State Museums of Berlin ( Germany) and some other independent experts.

The article reviews some of the most significant research findings that help in understanding of the museum branding process itself. According to the research, branding and marketing are the main for any kind of museum, which wants to survive and stay relevant for young and old generations. The qualitative research showed that the museum branding methodology could be divided into two main parts: museum and the internal conceptual modeling: inside audit of mission/vision, values, collections, identity, internal communication, corporate culture, brand equity, positioning and etc. On the other hand, Museum and the external communication scheme: outside representation and the reflection of the brand identity, communication mix, visual identity and etc.

It became obvious that only after establishing the conceptual part of the brand identity, museum is able to create the visual brand representation and the external communication strategy. Based on the principles mentioned above, museums can analyze, develop and implement their branding initiatives. The following main topics were uncovered in Internal Conceptual Modeling section: Mission and Vision; Corporate Culture; Internal Communication Scheme; Branding, Identity, Core Narrative and Sub-narratives; Positioning; Audience Segmentation; Brand Architecture; Museum Marketing Complex and etc.

Additionally, other important principles were uncovered during the qualitative research, mainly the external communication elements that creates museum's informational reflection and the visual identity. In this category the following major topics were revealed: External Communication Mix; Visual Brand Identity and External Trends Affecting the Future of Museums.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 409-418
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 409-418

**რესტავრაცია-კონსერვაცია**

**ნინო ქებულაძე*, ნინო კალანდაძე***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nino.kebuladze@yahoo.com
ninokalo@gmail.com

# ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის რესტავრაცია-კონსერვაცია და შემდგომი კვლევის შედეგები

## შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქარელის რაიონის სოფ. დოღლაურში, დედოფლის გორაზე, ძვ.წ. I-ახ.წ I საუკუნეების სასახლის №15 ოთახის გათხრების შედეგად აღმოჩენილი და ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში დაცული ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ.27-ახ.წ.14 წწ.) რომაული დენარის მინაბაძის (ინვ.№26274) რესტავრაცია-კონსერვაციისა და კვლევის საკითხები.

მონეტა 2004 წლის შემოდგომაზე გაიწმინდა. კვლევების შემდეგ ამ მონეტის საშუალებით მუზეუმში არსებული ოქტავიანე ავგუსტუსის ვერცხლის უპასპორტო დენარების ერთი ჯგუფი ზუსტად დათარიღდა.

## რესტავრაციის საგანი

რესტავრაცია-კონსერვაცია, როგორც ნაწილი ფართო და მრავალფეროვანი პრობლემისა, ყველა სახის ძეგლთა დაცვას, მათი დაძველების მიზეზთა გარკვევას, პირველსაწყისი სახის შესაძლებელ აღდგენა-შენარჩუნებას ეხება და თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის არქეოლოგიასთანაც მჭიდრო კავშირშია.

რესტავრაციის პირველი კვალი არქეოლოგიურ აღმოჩენებში ფიქსირდება. ცნობილია, რომ ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა შესაწებებელ ნივთიერებებს და ახდენდა დაზიანებული ან გატეხილი ნივთების აღდგენა-რესტავრაციას. უნიკალურ ნივთთა აღდგენითი სამუშაოები დიდი ცივილიზაციის ხელოვანთა და ოსტატთა კლასიკურ სახელოსნოებშიც წარმოებდა. კუ-ძუ-კსიე აღწერს ჩინეთში რულონების შეკეთების მეთოდებს ახ.წ. V საუკუნეში [Caldararo N. 1987: 85]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კულ-ობას V ყორღანში ნაპოვნია ოქროს სასინჯი ქვა, რომელიც ძვ.წ. 400-350 წწ-ით თარიღდება [Уильямс Д., Огден Дж. 195: 142]. როგორც ჩანს, ნაკეთობა ელიტური საზოგადოებისათვის საკმაოდ ძვირფასი იყო, ვინაიდან იგი მაშინვე აღუდგენიათ და დაზიანებული სახითაც იყენებდნენ [Кебуладзе Н., Ломиташвили Д. 2000: 74].

შესაწებებლად სხვადასხვა მასალას ხმარობდნენ, მაგალითად, ძველ

ეგვიპტეში შემაკავშირებელ მასალად გამოიყენებოდა: ალბუმინი (კვერცხის ცილა), ფუტკრის ცვილი, თიხა, წებო, ფისი, სახამებელი [Лукас А. 1958: 31]. არსებობდა აღდგენის პრიმიტიული წესიც, როდესაც გატეხილ ფრაგმენტებს გახვრეტდნენ და აერთებდნენ ერთმანეთს. ასეთი ნიმუშები ბევრია აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს.

რესტავრაციას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. სიტყვა რესტავრაცია, წარმოდგება ლათინური ზმნა "restauro"-დან, რაც ნიშნავს აღვადგენ, აქედან, "restauratio" – აღდგენა. სიტყვა კონსერვაცია წარმოდგება ლათინური ზმნა "kounservo"-დან, რაც შენახვას ნიშნავს [Фармаковскии М. 1947: 5].

ნივთი რესტავრაციამდე ხშირად გაწმენდას საჭიროებს. გაწმენდის დროს ზედაპირის დაზიანებული ფორების ნაპრალებში შეღწევამ, შესაძლოა, ფორებს შორის თხელი კედლების დამტვრევა გამოიწვიოს. არის უამრავი საკითხი, რომელიც გაწმენდის მეთოდის შერჩევამდე გათვალისწინებული უნდა იქნეს.

დღესდღეობით უპირატესობა ე.წ. მექანიკური წმენდის მეთოდს ეძლევა. მას ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგ., ქიმიური წმენდისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც გამოყენებულ გამხსნელებს დაშლილი ნადები ფოროვან ნივთებში შეაქვთ, რამაც მომავალში, შესაძლოა, გამოიწვიოს მისი დაზიანება. მექანიკური წმენდის მეთოდი განსხვავდება წყლის გამოყენებისგანაც, რომელმაც შეიძლება ლითონებში კოროზია გამოიწვიოს. მექანიკური წმენდის დროს ნივთს არაფერი ემატება, ის არ შეიცავს რესტავრატორთათვის მომწამლავ ნივთიერებებს, მაგრამ სავალდებულოა წმენდისას რესტავრატორის თვალების, კანისა და ფილტვების დაცვა. მექანიკური წმენდის მეთოდის შერჩევისას აუცილებელია გაეცეს პასუხი კითხვებს:

- რამდენად მტკიცეა კავშირი ნადებსა და ნივთს შორის?
- ნადები მყიფეა (ადვილად მსხვრევადი) თუ მყარი (მდგრადი დაშლის მიმართ)?
- როგორია ნივთის ფიზიკურ-მექანიკური მონაცემები?

წინასწარი გამოკვლევის შემდეგ უნდა შეირჩეს მეთოდი, რომლითაც კონკრეტული ნივთი უნდა გაიწმინდოს.

ყველა რესტავრატორისათვის კარგად არის ცნობილი, რომ გაწმენდა რესტავრაცია-კონსერვაციის ყველაზე მთავარი ოპერაციაა. ის შეუქცევადი პროცესია. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო წმენდის მეთოდის შერჩევისას. მექანიკური წმენდის მეთოდი კოროზიის ან ნადები ფენებისა და ნივთის განსხვავებულ ფიზიკურ თვისებებზეა დამყარებული. იგი არ იწვევს ქიმიურ ცვლილებებს და არ ეხება ლოკალურ უბნებს [Jedrzejewska H. 1976: 104]. ამდენად, მისი ერთ-ერთი უპირატესობა წმენდის სხვა მეთოდებთან შედარებით ისაა, რომ იგი კონტროლირებადია [Biasini V., Cristoferi E. 1995: 23]. მექანიკური წმენდის მეთოდებს განეკუთვნება ქვიშის ჭავლით წმენდის მეთოდიც, რომელიც საჭიროებს სპეციალურ დანადგარს. ეს მეთოდი ნადების ქვეშ არსებული უმცირესი დეტალების გამოჩენის საშუალებასაც იძლევა.

მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში 2002 წლიდან არსებობს მექანიკური წმენდის აპარატი, რომლის საშუალებითაც არ-

ქეოლოგიური მასალა ქვიშის ჭავლით იწმინდება (ტაბ. I-1, 2).

## მონეტის აღმოჩენა და რესტავრაცია-კონსერვაცია

2004 წლის შემოდგომაზე სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში შემოვიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი იულონ გაგოშიძე) ქარელის რაიონის სოფ. დოღლაურში, დედოფლის გორაზე, ძვ.წ. I-ახ.წ I საუკუნეების სასახლის №15 ოთახის გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა: კერამიკა, ლითონისა და მინის ნივთები და სხვ. უმეტეს კერამიკასა და თიოქმის ყველა ნივთს ცეცხლში ყოფნის კვალი ეტყობოდა.

ძეგლის გამთხრელის მოსაზრებით [Gagoshidze I. 2004: 172], სასახლე ახ.წ. I საუკუნის ბოლოს ხანძარმა იმსხვერპლა. ზემოხსენებულ მასალასთან ერთად ლაბორატორიაში მოხვდა ლითონის წრიული ფირფიტა, სავარაუდოდ, მონეტა. იგი ოქსიდების მარილების, მიწისა და კენჭების გამაგრებული კონგლომერანტი იყო, სრულიად არ იკითხებოდა და ნუმიზმატებისთვისაც არანაირი ინფორმაციის მომცემი არ იყო (ტაბ. I-3) (ასეთი მასალა, რომელიც არასამუზეუმო ღირებულების მქონეა, თავს იყრის ერთ საცავში და ფაქტობრივად, მას აღარავინ უბრუნდება შესასწავლად, ანუ ის დაკარგულია).

ფირფიტის ქიმიური გაწმენდა სახიფათო იყო, ვინაიდან, თუკი მასში რაიმე ინფორმაცია იყო შემორჩენილი, ისიც დაიკარგებოდა. მექანიკურად, ლანცეტით, მისი გაწმენდა შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთადერთი მეთოდი, რომლითაც შეიძლებოდა ნივთის გაწმენდა გვეცადა, ქვიშის ჭავლით წნევის ქვეშ ზემოთ აღწერილი წმენდის მეთოდი რჩებოდა. ფირფიტა გაიწმინდა ალუმინის ოქსიდის ($Al_2O_3$-კორუნდი) ჭავლით. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მთლიანად მოხერხდა ნადების მოშორება. ეჭვი აღარ იყო, რომ აღნიშნული ფირფიტა ვერცხლის მონეტა იყო.

გაწმენდის შემდეგ მონეტის ორივე მხარეს გამოიკვეთა გამოსახულება:

ერთ მხარეს დაფიქსირდა დაფნის გვირგვინიანი მამაკაცის თავი დიდი ცხვირით. გამოსახულება დაზიანებულია: ლოყის ნაწილი, პირის, ნიკაპისა და ყელის ადგილი კოროზიის შედეგადა ამოჭმული, გაცრეცილია და ალაგ-ალაგ ნახვრეტები აქვს. თავს უკან სამი ჯვრის ფორმის ხაზია, სავარაუდოდ, წარწერა. პროფილის წინაც წარწერა ფიქსირდება. ირგვლივ შემოუყვება ხაზებით დაკავშირებული წერტილებისაგან შემდგარი წრე (ტაბ. I-4).

მონეტის მეორე მხარეს ორი ადამიანის გამოსახულებაა შუაში ფარებითა და შუბებით, შუბებს შორის ორი საგნის გამოსახულებაა. მათაც ირგვლივ შემოუყვება ხაზებით დაკავშირებული წერტილებისაგან შემდგარი წრე. გამჭოლი კოროზიის შედეგად ეს მხარეც დაზიანებულია (ტაბ. I-5).

მონეტა შემდგომი კვლევისათვის გადაეცა ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელ მედეა შეროზიას. ვიზუალური შესწავლის შედეგად მისგან მიღებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია: მონეტის შუბლი – მამაკაცის მარჯვნივ მიმართული სახე თავზე დაფნის გვირგვინით, რომლის ბაფთები კეფაზე იკვრება, რომაელ იმპერატორ ოქტავიან ავგუსტუსის პორტრეტია. არის წარწერის გადმოცემის მცდელობა (თავს უკან სამი გადაჯვარედინებული ხაზი (XXX); პროფილის წინ ასოების მოხაზულობა თითქმის ემსგავსება ლათინურს (VI...IX...). ზურგი: მოჩანს კეისრის შვილების, სავარაუდოდ, გაიუს და ლუციუს ცეზარების სქემატური გამოსახულებანი, მათს ზურგს უკან წარწერის იმიტაციის მცდელობაა (ეს არის რევერსზე წარწერის გამოსახვის მცდელობის ერთადერთი შემთხვევა) [შეროზია მ. 2009: 66]

უფლისწულებს შორის ორ-ორი ფარი და შუბია. შუბებს შორის, მაღლა, სიმპულუმი და ლიტუსია განთავსებული (სიმპულუმი – simpulum-შესაწირი ჩამჩა პონტიფიკებისა, ლიტუსი-litus-მოღუნული კვერთხი ავგურისა). სიმპულუმი და ლიტუსი ემბლემებია ქურუმთა ორი უმაღლესი წოდებისა – პონტიფიკისა და ავგურებისა,რომლებსაც ეკუთვნოდნენ ახალგაზრდა უფლისწულები[Grant M. 1954: 78; შეროზია მ. 2009: 66]

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონეტა (გ.ფ. №26274) ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 14 წწ.) რომაული დენარის მინაბაძია (ტაბ. I-8, მონეტა №1).

ორიგინალი მონეტის აღწერილობა შემდეგია:

**შუბლი:** ავგუსტუსის დაფნის გვირგვინიანი თავი მარჯვნივ,ირგვლივ წრიული წარწერა: CAESAR AVGUSTUS DIVI F.PATER PATRIE („კეისარი ავგუსტე ღვთაებრივი მამა სამშობლოსი“).

**ზურგი:** გაიუს და ლუციუს ცეზარები მოსასხამებითა და თავსაბურავებით დგანან ერთმანეთის პირისპირ, ხელით ეყრდნობიან ფარებს. მათ შორის შუბებია გადაჯვარედინებული, შუბებს შორის, ზემოთ, მარჯვნივ გამოსახულია სიმპულუმი, მარცხნივ – ლიტუსი. წრიული ზედწერილი: C.L. CAESARES AVGUSTI F.COS,DESIA.PRINC.INVENT.(C(ajus) (et)L(ucius)CaesaresAugustiF(iliae)Cos(=Cosulatus)aliciu)Desig(natus) Pric(eps)juvent(utis) („გაიუსი (და) ლუციუსი კეისარ ავგუსტეს შვილები კონსულებად დეზიგნირებულნი (არჩეულნი) ტახტის მემკვიდრეები“) [Mattingly H. 1965: 89. Tab. 13. Coin №9; Robertson A. 1962: 41. Tab. 7] (ტაბ. I-8).

მედეა შეროზიას ვარაუდით ჩვენ მიერ გაწმენდილი მონეტა ანალოგიურია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართული მონეტების ფონდში დაცული №4049 (ტაბ. I-8, მონეტა №2), №1704 (ტაბ. I-8, მონეტა №3) და №3372 (ტაბ. I-8, მონეტა №4) მონეტებისა. ამ ოთხივე მინაბაძის რევერსის შემთხვევაში არაა გამოყენებული ერთი და იგივე სიქა, მაგრამ ისინი მსგავსია და ერთი სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლოები–სიმპულუმი და ლიტუსი, რომლებიც ამ მინაბაძებზეა გამოსახული, დანარჩენ შემორჩენილ ცალებზე აღარ ჩანს.

მონეტებს: ქ.ძ. №4049 (წონა – 2,59 გრ, ზომა – 20 მმ), ქ.ძ. №1704 (წონა – 3,42 გრ, ზომა – 19 მმ, ევ.პოხომოვის კოლექციიდან) და ქ.ძ. №3372 (წონა – 3,55 გრ, ზომა – 188/19 მმ) დაკარგული აქვთ ცნობები მოპოვების გარემოებათა შესახებ და, შესაბამისად, მათი ზუსტი დათარიღება, №26274 ცალის აღმოჩენამდე შეუძლებელი გახლდათ.

ამ მინაბაძების ანალოგიურია ერევნის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში დაცული უპასპორტო ეგზემპლარი (№14362. წონა – 3,77გრ, ზომა – 19 მმ) (ტაბ. I-8, მონეტა №6) და ქალაქ მოსკოვის ა.ს.პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ასევე უპასპორტო ეგზემპლარი (წონა – 4,14 გრ), რომელიც გახვრეტილია (ტაბ. I-8, მონეტა №5). მ. შეროზიას აზრით, ორივე მონეტა საქართველოშია აღმოჩენილი.

თარიღთან ერთად საინტერესო იყო თუ სად იყვნენ ეს მინაბაძები დამზადებულნი. ამისათვის გადაწყდა მონეტების სპექტრული გამოკვლევა.

## სპექტრული ანალიზი

სამუზეუმო ექსპონატების ელემენტური შედგენილობის დასადგენად სპექტრული აპარატებით ანალიზი საქართველოში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. იმ დროიდან ბევრი საინტერესო ინფორმაცია იქნა მიღებული, თუმცა, საანალიზო სინჯის მოსამზადებლად ექსპონატიდან სინჯის აღება იყო საჭირო, რის გამოც ნივთი ვიზუალურად და სტრუქტურულად საგრძნობლად ზიანდებოდა და შესაბამისად ,მონეტების ანალიზს თავს არიდებდნენ.

2009 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა სამეცნიერო ფონდის დახმარებით შეიძინა პორტატული რენტგენოფლუორესცენტული სპექტრომეტრი „ElvaX", რომლის უპირატესობა ანალიზის არადესტრუქციული გზით წარმოებაა.

ხელსაწყო შედგება: X-სხივების გენერატორისაგან, X-სხივების დეტექტორისა და მრავალარხიანი ანალიზატორისაგან. დეტექტორი ნახევარგამტარი Si-პინ-დიოდია თერმოელექტრული გაგრილებით, 200 eV რეზოლუციით 5,9KeV, 5,5მმ² ფართობზე.

ანალიზები ვაწარმოეთ 40 kv -ზე, 100წმ ცოცხალი დროის პირობებში.

არადესტრუქციული სპექტრული ანალიზი ჩაუტარდა ოქტავიან ავგუსტუსის დენარის სამ ორიგინალს – №25424, №25428, №9349 და ოთხ მინაბაძს №26274, №3372, №4049, №1704 (ტაბ. I-6). ანალიზის შედეგები ცხრილის სახითაა მოცემული (ტაბ. II).

მონეტების ორიგინალი ცალების შედგენილობაში ძირითადად ვერცხლია (Ag – 98,427%-დან ზევით) და ოქრო (Au-0.768%-დან 1.573%-მდე), სპილენძი კი მინარევის სახითაა (Cu-0.471%). ერთში (№9349) დაფიქსირდა 0.279% თუთია (Zn). ყველა მინაბაძში ვერცხლსა (Ag - 89%-დან ზევით, მაქსიმუმ 96%) და ოქროსთან (Au – მაქს. 1.226%) ერთად აღმოჩნდა სპილენძი (Cu – მაქს. 8.585%) და ტყვია (Pb – მაქს. 0.453%), ორში (№26274 და №4049) მცირე რაოდენობით–დარიშხანი (As), და თითოში საკმაო რაოდენობით–რკინა (№1704: Fe – 5.530%) და კალა (№2674: Sn-

5.963%).

## დასკვნა

ამგვარად, ამ ექვსმა მინაბაძმა შექმნა ჯგუფი (ექვსივეს ავერსი ერთი და იმავე სიქითაა შესრულებული), რომელიც ოქტავიან ავგუსტუსის მინაბაძების სამი ჯგუფიდან ყველაზე ადრეულად შეიძლება ჩაითვალოს (ტაბ. I-9). დ. კაპანაძე ამ ჯგუფს III საუკუნით ათარიღებდა [კაპანაძე დ. 1969: 228] ა.ზოგრაფის აზრით, ეს მინაბაძები მზადდებოდა მთელი I საუკუნის განმავლობაში, ხოლო მიმოქცევა გრძელდებოდა მნიშვნელოვნად დიდხანს [Зограф А. 1945: 45].

რესტავრატორების მიერ გაცოცხლებულმა მონეტამ ამ ჯგუფის ზუსტი დათარიღების საშუალება მისცა მეცნიერებს. როგორც ზევით ითქვა, მონეტის აღმოჩენის ადგილი – სასახლე I საუკუნის ბოლოს დაიწვა, ამდენად, ჩვენი მინაბაძი I საუკუნეზე გვიანი დროით ვერ დათარიღდება და, შესაბამისად, მინაბაძების ეს ჯგუფიც ახ.წ. I საუკუნეს განეკუთვნება.

# RESTORATION-CONSERVATON

**Nino Kebuladze*, Nino Kalandadze***

The Georgian National Musem
3 Rustaveli Ave., 0105 Tbilisi, Georgia
E-mail: nino.kebuladze@yahoo.com
ninokalo@gmail.com

## Restoration-conservation of Octavian Augustus Denarius and the Results of the Following Researches

### Summary

Restoration-conservation and the research of the imitation of Roman denarius of Octavian Augustus (27th century B.C. - 14th century A.D.) is surveyed in this article (GNM №26274). The coin was found in Dedoplis Gora in village of Doghlauri ( Kareli district) during the excavations in room №15 in the palace of the 1st c. B.C.-1st c. A.D. The coin is kept in the funds of the Numismatic Department of the Georgian National Museum.

In 2004 year a metal plate was brought to Simon Janashia State Museum chemical-restoration laboratory. Presumably the coin, which was hit in fire and hardened into stone conglomerate of soil, pebbles, oxides and salt. It was impossible for numismatists to distinguish anything on it and to have any information about it (this

kind of material, that has no value for the museum is gathered in one depository, it is useless for working, practically it is lost) (Tab. I-3).

The coin was cleaned mechanically by the sandblaster. It turned out that the coin was an imitation of denarius of Octavian Augustus. After a range of researches with this coin it became possible to receive the exact date of one group of silver denarius of Octavian Augustus. These coins are stored in the museum without having places of finding.

Together with the date it was interesting whether this coin was produced locally. Thus it was decided to carry out spectral analysis which was conducted on the portative X-ray fluorescence spectrometer "ElvaX", the advantages of which is that it is able to perform analysis by non-destructive way.

The results of analysis showed that the original coins were made of silver (Ag-98,427% and more), gold (Au- from 0.768% till 1.573%) and copper as an admixture (Cu – 0.471%). In one case (№9349) was found 0.279% zinc (Zn). Analyses of all imitations showed that they were made of silver (Ag _ from 89% till 96%), gold (Au _ max – 1.226%), copper (Cu _ max-8.585%) and lead (Pb max _0.453%). In two cases № 26274 and №4049 little amount of arsenic (As) was found. In one by one cases sufficient amount of iron (№1704: Fe-5.530%) and tin (№2674: Sn-5.963%) were fixed (Tab. II).

Thus, these six imitations made a group of coins (the obverse of all six coins was struck with the same mintage) that can be considered as the earliest group among the three ones of the imitations of Octavian Augustus denarii (Tab. I. figure 9). D.Kapanadze dated this group of coins back to the 3rd c. A.D. A.Zograph thought that those imitations were produced during the whole 1st c. and that they circulated for a long time.

The coin that was resurrected by restorers allowed scientists to give the exact date to the group of coins. As we have already mentioned above, the place of discovery of this coin was burnt at the end of 1st c. Thus, our imitation cannot be dated later than the 1st century AD.

## ბიბლიოგრაფია


**კაპანაძე დ. 1969:** *ქართული ნუმიზმატიკა.* თბილისი.

**შეროზია მ. 2009:** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ. *იბერია-კოლხეთი. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი.* №5. 61-71. თბილისი (რედ. გ. გამყრელიძე).

**Зограф А. 1945:** Распространение находок античных монет на Кавказе. *ТОНГЭ.* Т. I. с. 44-50. Ленинград.

**Кебуладзе Н., Ломиташвили Д. 2000:** Златокузнечное дело в Колхиде вв.до н.э.(по материалам Нокалакевского городища). *Актуальные проблемы изучения гуманитарных наук. Межвузовский тематический сборник-Бакинский Словянский Университет*. с. 72-79. Баку.

**Лукас А. 1958:** *Материалы и ремесленные производства древнего Египта.* Москва.

**Уильямс Д., Огден Дж. 1995:** *Греческое Золото. Ювелирное искусство*

*класической эпохи V-IVвв.до н.э.* Санкт-Петербург.
**Фармаковскии 1947:** *Консервация и реставрация музейных коллекций.* Москва.
**Biasini V., Cristoferi E. 1995:** A study of the corrosion products of the 16th and 17th cc. armour from the Ravenna National Museum. *Studies in conservation.* v.40, N4. pp.20-26. London .
**Caldararo N.L. 1987:** An outline history of conservation in archaeology and anthropology as presented through its publications. *JAIC.* v.26, N2, article 3. pp. 85-104. New-York .
**Gagoshidze I. 2004:** The Royal palace of the 1st c. B.C. *Journal of Georgian Archaeology.*VI. Tbilisi.
**Grant M.1954:** *Roman imperial money.* London.
**Jedrzejewska H. 1976:** A copper Egyptian bronze: cleaning and discoveries, *Studies in conservation,* 21, pp. 101-114. London.
**Mattingly H. 1965:** *Coins of the Roman Empire in the British Museum.* London.
**Robertson A.S. 1962:** *Roman imperial Coins in the Hunter coin University of Glasgow, I.* Oxford.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I**
**სურ. 1.** მექანიკური წმენდის აპარატი.
**სურ. 2.** ქვიშის ჭავლით წმენდის პროცესი.
**სურ. 3.** მონეტა გაწმენდამდე.
**სურ. 4.** მონეტის შუბლი გაწმენდის შემდეგ.
**სურ. 5.** მონეტის ზურგი გაწმენდის შემდეგ.
**სურ. 6.** №26274 მონეტაზე ანალიზის ჩატარების უბანი.
**სურ. 7.** სპექტრული ანალიზის გრაფიკული გამოსახულება.
**სურ. 8.** ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ორიგინალი.
**სურ. 9.** ოქტავიან ავგუსტუსის დენარის ყველაზე ადრეული მინაბაძების ჯგუფი.
**ტაბ. II**
**ცხრილი.** სპექტრული ანალიზის შედეგები.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I**
**Fig. 1.** Equipment for mechanical cleaning.
**Fig. 2**. Cleaning process.
**Fig. 3.** Coin before restoration.
**Fig. 4.** Obverse of the coin after restoration.
**Fig. 5.** Reverse of the coin after restoration.
**Fig. 6.** Place of the analysis on the coin №26274.
**Fig. 7.** Graphical image of spectral analysis of the coin №26274.
**Fig. 8** Octavius Augustus's denarius (original).
**Fig. 9**. Group of the earliest imitations of Octavius Augustus denarii.
**Tab. II**
**Table.** Resualts of spectral analysis.

ტაბ. I Tab.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

ტაბ. II Tab.

## ცხრილი. Table

## სპექტრული ანალიზის შედეგები

| ნივთის დასახელება | ინვ.N | Fe | Cu | Zn | As | Ag | Sn | Au | Pb | წონა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავგუსტუსის დენარი (მინაბაძი) | 26274 | | 0.765 | | 0.132 | 92.039 | 5.963 | 0.693 | 0.407 | 3.120 |
| ავგუსტუსის დენარი (მინაბაძი) | 3372 | | 8.585 | | | 90.616 | | 0.346 | 0.453 | 3.550 |
| ავგუსტუსის დენარი (მინაბაძი) | 4049 | | 2.335 | | 0.119 | 96.802 | | 0.601 | 0.061 | 2.590 |
| ავგუსტუსის დენარი (მინაბაძი) | 1704 | 5.530 | 2.554 | | | 89.924 | | 1.226 | 0.214 | 3.420 |
| ავგუსტუსის დენარი (ორიგინალი) | 25424 | | | | | 98.427 | | 1.573 | | 3.370 |
| ავგუსტუსის დენარი (ორიგინალი) | 25428 | | 0.102 | | | 99.063 | | 0.835 | | 3.650 |
| ავგუსტუსის დენარი (ორიგინალი) | 9349 | | 0.471 | 0.279 | | 98.443 | | 0.768 | | |

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 419-431
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 419-431

**რესტავრაცია-კონსერვაცია**

**ნანა გოგინაშვილი,* ნინო ქებულაძე,* ნინო თავართქილაძე,* მარიამ მჭედლიშვილი***

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: nanikog@posta.ge; nino.kebuladze@yahoo.com
ia.tavartkiladze@yahoo.com; info_marika@yahoo.com

# სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოში აღმოჩენილი არტეფაქტების კვლევა და რესტავრაცია-კონსერვაცია

## შესავალი

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია 2001 წელს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოში აღმოჩენილი №14 ქვასამარხ-აკლდამის არტეფაქტების კვლევისა და რესტავრაცია-კონსერვაციის შედეგები. სამარხი III-IV საუკუნეებით თარიღდება. აღმოჩენილი მასალიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ვერცხლის უნიკალურმა ძლიერ დაზიანებულმა საწერმა მოწყობილობამ (პენალმა). დაზიანების ხარისხის მიხედვით იგი არაერთგვაროვანად იყო დაცული. პენალი საკმაო რაოდენობის ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი. რესტავრაცია-კონსერვაციის შედეგად აღდგა ცალკეული ნაწილების ფორმა და კომპოზიცია.

## აღმოჩენის ისტორია

მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის საძირკვლის შესწავლისა და გამაგრების მიზნით, 2001 წლის ივლისში მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაიწყეს მიწის სამუშაოები ტაძრის ეზოში, სადაც გაითხარა ცხრა სამარხი. სამარხები, ზოგადად, III-IV საუკუნეებით თარიღდება. ინვენტარის რაოდენობითა და მრავალფეროვნებით დიდი ყურადღება მიიქცია №14 ქვასამარხ–აკლდამამ. სამარხი 2001 წლის 13 აგვისტოს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს გამოვლინდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამარხმა ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე. მასში ჩასვენებული იყო გულაღმა გაშოტილი მიცვალებული ქალი თავით დასავლეთისკენ. ანთროპოლოგების მიერ მიცვალებულის ასაკი განისაზღვრა 45-50 წლით (ტაბ. I). [აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ. 2003: 83].

სამარხის არტეფაქტები მცხეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა გადასცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის საგანძურის განყოფილებას.

№14 ქვასამარხ-აკლდამაში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, მინისა და სხვადასხვა მინერალისაგან დამზადებული განსხვავებული დანიშნულების ნივთები (ტაბ. II-1, 2; ტაბ. III-8):

1. ბეჭედი. №16-2002:1 – ოქრო. სარდიონის გემა – ინტალიო ბერძნული წარწერით. ზომა – 2,8X1,6X1,9 სმ; წონა – 9,90 გრ;
2. სამელნე. №16-2002:2 – ოქრო. სიმაღლე – 7,0 სმ; დმ – 4,7 სმ.; წონა – 94,85 გრ;
3. ჭვირული ფირფიტა. №16-2002:3 – ოქრო. ზომა – 9,7X8,9X1,0 სმ; წონა–53,06 გრ;
4. ამულეტის გარსაკრავი. №16-2002:4 – ოქრო. ზომა – 1,9X1,0 სმ; წონა – 1,77 გრ;
5. საკიდი. №16-2002:5 – ოქრო. თევზების გამოსახულებით. ზომა – 2,3X1,8სმ; წონა – 4,95 გრ;
6. საკიდი. №16-2002:6 – ოქრო. კამეა ქალის ბიუსტით. ზომა – 2,8X1,6 სმ; წონა – 4,26 გრ;
7. საკიდი. №16-2002:7 – ოქრო. კამეა ბავშვის ბიუსტით. ზომა – 1,4X1,1X1,0 სმ; წონა – 1 69 გრ;
8. საკიდი. №16-2002:8 – ოქრო. კამეა ბავშვის ბიუსტით. ზომა – 1,4X1,2X1,0 სმ; წონა – 1,73 გრ;
9. საკიდი. №16-2002:9 – ოქრო. გემა-ინტალიოთი. ზომა – 2,5X1,7სმ.; წონა – 3,59 გრ;
10. საკიდი. №16-2002:10 – ოქრო. ამეთვისტოს თვალი. ზომა – 2,7X1,6 სმ; წონა – 3,69 გრ;
11. საკიდი. ორყუნწიანი №16-2002:11 – ოქრო. მინა. ზომა – 2,3X2,5 სმ; წონა – 6,20 გრ;
12. საკიდი. ორყუნწიანი №16-2002:12 – ოქრო. მინა. ზომა – 2,1X2,3 სმ; წონა – 5,48 გრ;
13. სანელსაცხებლე ოქროს ხუფით. №16-2002:13 – გიშერი. ზომა – 3,0X2,5 სმ; წონა – 13,75 გრ;
14. მონეტა საკიდი (დიდი). №16-2002:14 – ოქრო. ზომა – 1,5X1,7 სმ; წონა – 3,88 გრ;
15. მონეტა საკიდი (პატარა). №16-2002:15 – ოქრო. ზომა – 1,5X1,7 სმ; წონა–3,75 გრ;
16. საყურე. №16-2002:16 – ოქრო. წონა – 1,36 გრ;
17. პენალი. №16-2002:17 – ვერცხლი. სიგრძე – 35,0 სმ; მაქსიმალური სიგანე – 9,0 სმ; წონა – 1 378 გრ;
18. კალამი (3ც). №16-2002:17 – ვერცხლი. სიგრძე – 23,3 სმ; დმ – 0,7 სმ; 0,8 სმ; წონა – 96,0 გრ;
19. დაფა (სარკე?). №16-2002:18 – ბრინჯაო. სიმაღლე – 31,3 სმ; სიგანე – 27,0 სმ;
20. ლამბაქი ოვალური. №16-2002:19 – აქატი. სიგრძე – 9,5 სმ; სიგანე – 7,4 სმ;
21. ფიგურული სასმისი №16-2002:20 – აქატი. სიმაღლე – 7,5 სმ; პირის

დმ – 5,6 სმ; წონა – 99,51 გრ;

22. ჭურჭლის ნატეხები. №16-2002:21,22 – მინა (თეთრი);
23. ბურთულთავიანი საკინძები (2 ც.). №16-2002:23,24 – რკინა. სიგრძე – 12,0 სმ;
24. ხის ნაშთი. №16-2002:25.

ამათგან ყველაზე დიდი ყურადღება ვერცხლის უნიკალურმა, საკმაოდ რთული კონსტრუქციის, საწერმა ხელსაწყომ მიიპყრო. მისი ანალოგი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. იგი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

ა) **კოლოფის ზურგი (პენალი)**. რომელზეც რელიეფურად გამოსახულია მოოქრული ცხრა მუზა. 3-3 ფიგურა სამ რიგადაა განლაგებული (ტაბ. II-2). ბერძნული ასოებით ზედა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ, იკითხება მუზები: კლიო, ევტერპე და თალია; მე-2 რიგში – მელპომენე, ტერპსიქორე და ერატო. ქვედა რიგში კი – პოლიმნია, ურანია და კალიოპე [ყაუხჩიშვილი თ. 2003: 125].

ბ) **ვერცხლის სახურავი**. გოფრირებული ვერცხლის სახურავი ბოლოვდება ამაღლებული ჰორელიეფურგამოსახულებიანი სამელნის ბუდით (ტაბ. III-8). ბუდეზე გამოსახული კომპოზიცია მოჩარჩოებულია გრეხილ სვეტებზე განლაგებული სამმაგი თაღით. ბერძნული ასოებით მასზე იკითხება: მენენდრე, ჰომეროსი და დემოსთენე (ტაბ. III-7) [ყაუხჩიშვილი თ. 2003: 124].

გ) **ვერცხლის ფირფიტა**. რომელიც ზურგსა და სახურავს შორის თავსდება და მასზე სამი ოთხწახნაგა ღერაკია დატანებული ნაპირებთან სიგრძეზე და გარდიგარდმო, შუაში (ტაბ. III-3).

დ) **ოქროს ჭვირული ფირფიტა**. საწერი ხელსაწყოს დამაგვირგვინებელი ოთხკუთხა ნაწილი. მას გვერდები მოხრილი აქვს. კოლოფის ზურგის გვერდებზე დასამაგრებლად, ზედა კუთხეში, შერჩენილი აქვს რვაფურცლოვანი ვარდული. შუა ნაწილში ორ ზოლად ამოჭრილია და ბერძნული ასოებით იკითხება: „მეფე უსტამოსისა და აგრეთვე ევგენიოსისა", რომელიც, შესაძლოა, იყოს მეფის მდივან-მწერალი (ტაბ. I-2). [ყაუხჩიშვილი თ. 2003: 125]. მსგავსი ლათინურწარწერიანი ვერცხლის შეჭედილობა, რომელიც სატევარზე ყოფილა დამაგრებული, აღმოჩენილია კიოლნში და თარიღდება III-IV საუკუნეებით [Kisa A. 1984: 164].

ე) **ოქროს სამელნე (პიქსიდა)** შედგება ორი ნაწილისაგან: ქვედა, ცილინდრული, კოლოფი და ზედა, შვიდწახნაგა, სახურავი, რომელიც ოდნავ შეჭყლეტილია (ტაბ. II-2). სამელნეში შემორჩენილია შიგთავსი; მცხეთაში სამელნის აღმოჩენის ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა. პირველი სამელნის მოპოვება სამთავროს სამაროვანზე XIX საუკუნის 70-იან წლებში ფ. ბაიერნის სახელთანაა დაკავშირებული. ბრინჯაოს ცილინდრული სამელნის ძირზე ამოკვეთილია ლათინური წარწერა. ვერცხლის მეორე ცილინდრული სამელნე სტილოსთან ერთად აღმოჩნდა ქ. მცხეთაში, კრამიტსამარხში, სვეტიცხოვლის დასავლეთით [აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1978: 72]. 1975 წელს ბრინჯაოს მესამე ცილინდრული სამელნე №6 კრამიტსამარხში და-

დასტურდა. რიგით მეოთხე სამელნე 1987 წელს სამთავროს ჩრდილოეთით ბაიათხევში, 35-ე კრამიტსამარხში, გამოვლინდა [აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1995: 131]. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსი II-III საუკუნეებით თარიღდება. ბრინჯაოსა და ვერცხლის მსგავსი სამელნეები გავრცელებული ჩანს ანტიკურ სამყაროში [Eschebach H. 1984: 40].

**ვ) ვერცხლის კალმები (3 ც.).** კალმები ვერცხლის ფურცლებისგანაა დამზადებული. ერთ-ერთს რკინის ღეროს საცობი აქვს ჩასმული. სამივე კალმის წვერი სხვადასხვა დონეზეა განლაგებული. სავარაუდოდ, კალმები ვერცხლის ორ გოფრირებულ ფურცელს შორის უნდა ყოფილიყო მოთავსებული (ტაბ. II-2; ტაბ. III-1, 2).

მსგავსი საწერი ხელსაწყო საქართველოში არ აღმოჩენილა. კოლოფში ჩასმული საწერი ხელსაწყო გამოსახულია პომპეის გათხრებისას გამოვლენილ ფრესკებზე [Apakidze A., Kipiani G., Nikolaishvili V. 2004: 108]

## კვლევა

საწერი მოწყობილობის ზოგიერთი ნაწილი „გაწმენდილი" სახით გადმოეცა ეროვნულ მუზეუმს. მასზე აშკარად ეტყობოდა ნაფხაჭნი ზოლები, რაც ფრიად დასანანია. ჩვენი მიზანი იყო: ა)უნიკალური საწერი მოწყობილობის ცალკეული არტეფაქტების კვლევა, გაწმენდა და რესტავრაცია-კონსერვაცია და ბ)საწერი მოწყობილობის ცალკეული ნაწილების ერთ მთლიან კონსტრუქციად პირველადი სახით აღდგენა.

არქეოლოგიური ვერცხლის ნივთები თითქმის ყოველთვის კოროდირებულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ლითონზე მოქმედებს ნიადაგქვეშა წყლები, მარილები, ორგანული ნივთიერებები და სხვ. განსაკუთრებით მავნედ მოქმედებს ვერცხლზე ქლორ-იონი. აგრესიულ გარემოში ზედაპირული ფენა გადადის რქა-ვერცხლში. ამ დროს არქეოლოგიური ვერცხლის ნივთი იფარება მონაცრისფრო-იისფერი ფენით, რომელიც დროთა განმავლობაში სინათლის გავლენით მუქდება. ვერცხლის სტრუქტურა იცვლება, ლითონი მყიფე და მსხვრევადი ხდება. ძალიან ხშირად არქეოლოგიური ვერცხლის ნივთები მიწიდან ამოღების შემდეგ იფარება შავი გოგირდოვანი ვერცხლით. ამას იწვევს ჰაერში მყოფი სხვადასხვა ქიმიური აგენტი ($H_2S$, $SO_2$ და სხვ.) [Cronyn J. 1990: 230].

სარესტავრაციოდ გადმოგვეცა საწერი მოწყობილობის ნაწილები, რომლებიც, დაზიანების ხარისხის მიხედვით, არაერთგვაროვანი დაცულობისა იყო. ცალკეული დაზიანებული ნაწილები კი, ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი.

წინასწარ ჩატარებული სათანადო კვლევით კომპლექსურად შევისწავლეთ თითოეული არტეფაქტი. მიკროსკოპული დათვალიერებისა და სპექტრული ანალიზის შემდეგ გაირკვა, რომ ვერცხლის არტეფაქტები დაფარული იყო გოგირდოვანი ვერცხლის შავი ფენით და ალაგ-ალაგ მოიისფრო-ნაცრისფერი ვერცხლის ქლორიდით.

სათითაოდ ყველა არტეფაქტს ჩაუტარდა სპექტრული ანალიზი პორტატიულ რენტგენოფლუორესცენტულ სპექტრომეტრ „ელვა X”-ზე, რომლის უპირატესობა ანალიზის არადესტრუქციული გზით წარმოებაა. ამის შედეგად დადგინდა, რომ ვეცხლისა და ოქროს სინჯები საკმაოდ მაღალი იყო.

ოქროს ყველაზე დიდი პროცენტული შემცველობა გამოვლინდა ქალის ბიუსტიან საკიდზე (№16-2002:16). მასში ოქრო (Au) – 98,034% იყო, ვერცხლი (Ag) კი – 1,966%. ჩვენ მიერ გამოკვლეულ არტეფაქტთაგან შორის ყველაზე დაბალი ოქროს შემცველობაც კი 80,277% იყო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (ამულეტის გარსაკრავი №16-2002:4), ოქროს არტეფაქტებიდან მხოლოდ ორში იყო რკინა (Fe) №16-2002:4 - 0,608% და №16-2002:10 - 1,146%-ის ოდენობით (ცხრილი 1).

ვერცხლის ნივთებში ვერცხლის პროცენტული შემადგენლობა მერყეობდა 86,692%-დან (პენალის ვერცხლის ფირფიტა) 95,778%-მდე (სამელნის ბუდე). ვერცხლის ნივთებში აგრეთვე დაფიქსირდა სპილენძის (Cu), რკინისა (Fe) და ტყვიის (Pb) შემცველობა (ცხრილი 1 და 2).

## რესტავრაცია-კონსერვაცია

ზემოთ ჩამოთვლილ ნივთთაგან განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო საწერი მოწყობილობა (პენალი) და აქატის სასმისი. ისინი დამტვრეული იყო და საჭიროებდნენ რესტავრაცია-კონსერვაციას.

ნივთების დაცულობის ხარისხის მიხედვით შეირჩა მათი სარესტავრაციოდ დამუშავების სქემა.

სარესტავრაციო პრაქტიკაში ცნობილია არქეოლოგიური ვერცხლის გაწმენდის მექანიკური, ქიმიური და ელექტროქიმიური მეთოდები.

ვერცხლის ქლორიდით დაზიანებული საწერი მოწყობილობის ნაწილები დამუშავდა მხოლოდ მექანიკურად. ისინი წარმოდგენილი იყო მრავალი მყიფე და მსხვრევადი ფრაგმენტის სახით. ასეთ მდგომარეობაში იყო გოფრირებული სახურავის ნაწილები. ჩვენ მოვახდინეთ არსებული ფრაგმენტების ფიქსაცია-რესტავრაცია. პირველადი ფიქსაცია მოხდა „Dai-ichi”-ის აკრილატით. მისი მოშორება ძალიან ადვილია. იგი იხსნება აცეტონში და ხასიათდება მყისიერი გამყარებით. შემდგომი ფიქსაცია-გამაგრება მოვახდინეთ მინის ქსოვილით და „UHU”-ის ორკომპონენტიანი წებოთი (ეპოქსიდური ფისი) 3:1 თანაფარდობით, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე 24 სთ-ის შემდეგ გვაძლევს სასურველ შედეგს.

ვერცხლის რელიეფურგამოსახულებიანი სამელნის ბუდის ნაწილები (10 ფრაგმენტი), კალმები (3ც.), ვერცხლის ფირფიტა და სამი ოთხწახნაგა ღერო დავამუშავეთ კომპლექსურად. არტეფაქტები მოვათავსეთ ტიტრიპლექსის ხსნარში 70-80 C-ზე. Titriplex+ $H_2O$ (40გრ + 1ლ). დაახლოებით 20 წთ-ის შემდეგ ხსნარი გამწვანდა. შემდეგ, ნივთები ჩავდეთ გამოხდილ წყალში, რომელიც რამდენჯერმე გამოვცვალეთ ნეიტრალურ რეაქციამდე. ასე გავიმეორეთ სასურველი შედეგის მიღწევამდე. სპილენძის ქვეჟანგის არსებობისა და ლითონის სიმყიფის

გამო არტეფაქტები დავამუშავეთ ატომური წყალბადით (ელექტროქიმიური მეთოდი). ატომური წყალბადი აღწევს ნივთის ფორებში და უზრუნველყოფს ჟანგეულის აღდგენას [აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1962:18].

სამელნის ჩასადები ბუდე წარმოდგენილი იყო ამაღლებული,მომრგვალებული, ჰორელიეფურგამოსახულებიანი 10 ფრაგმენტის სახით. ბუდის ზომისა და ფორმის მიხედვით შევარჩიეთ ჭურჭელი, რომელსაც გადავაკარით სილიკონი. მისი მეშვეობით თანდათანობით მოვახდინეთ დამტვრეული ფრაგმენტების აღდგენა და ფიქსაცია-რესტავრაცია გავუკეთეთ დაზიანებულ ფრაგმენტებს ზემოთ აღწერილი მეთოდით, რის შედეგად სამელნის ბუდე თითქმის მთლიანად აღდგა პირვანდელი სახით. გოფრირებული ვერცხლის სახურავი და სამელნის ბუდე ზოგიერთ ადგილას ერთმანეთს უერთდება. სასურველია, მათი გადაბმა მოხდეს ორგანული მინის საშუალებით,რათა ამოივსოს ღიად დარჩენილი ადგილები და ამით მოხდეს მათი ერთმანეთთან მყარად მიერთება.

ოქროს სამელნე, ოქროს ჭვირული ფირფიტა და პენალის ზურგი გაიწმინდა სპირტით და დამუშავდა მექანიკურად.

ნივთის ხანგრძლივი დაცვისათვის საწერი მოწყობილობის თითოეული არტეფაქტი დაიფარა კონსოლიდატით, რომელიც მას დაიცავს ტენისა და სხვა ატმოსფერული რეაგენტების ზემოქმედებისაგან. საკონსერვაციოდ გამოყენებულ იქნა პარალოიდ B-72 თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერის (მეთილაკრილატი) ხსნარი აცეტონში (40 გრ. პარალოიდი B-72 + 1,5ლ აცეტონი). იგი ერთ-ერთი სტაბილური პოლიმერია. მას ახასიათებს მდგრადობა და უკუქცევადობა. პარალოიდის დაძველებისას ფერის ცვლილება არ შეიმჩნევა. იგი გამჭვირვალეა და ნაკლებად პრიალებს.

აქატის სასმისი მთლიანად აღდგა პირვანდელი სახით. მისი შეწებება მოხდა ორკომპონენტიანი არალდიტით.

## დასკვნა

ამრიგად, უნიკალური საწერი მოწყობილობა გაიწმინდა. მის ცალკეულ ნაწილებს, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობის ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი, გაუკეთდა რესტავრაცია. აღდგა ცალკეული ნაწილების ფორმა და კომპოზიცია. ჩატარდა კვლევა. სათითაოდ ყველა არტეფაქტს გაუკეთდა სპექტრული ანალიზი. იმის გამო, რომ საწერი მოწყობილობის კოლოფის ზურგი, კალმები, ჭვირული ფირფიტა და სამელნე გამოიფინა ეროვნული მუზეუმის „არქეოლოგიური საგანძურის“ გამოფენაზე, ჩვენი მთავარი მიზანი – საწერი მოწყობილობა ერთ მთლიან კონსტრუქციად აღდგენილიყო, გარკვეული პერიოდით გადაიდო.

NANA GOGINASHVILI*, NINO KEBULADZE*, NINO TAVARTKILADZE*,
MARIAM MCHEDLISHVILI*

The Georgian National Museum
3 Rustaveli ave., 0105, Tbilisi, Georgia
E-mail: nanikog@posta.ge; nino.kebuladze@yahoo.com
ia.tavartkiladze@yahoo.com; info_marika@yahoo.com

# RESEARCH AND RESTORATION - CONSERVATION OF ARTIFACTS DISCOVERED IN THE YARD OF SVETITSKHOVELI CATHEDRAL

## Summary

On August 13, 2001 nine graves were discovered in Mtskheta – Svetitsckhoveli Cathedral during archaeological excavations. The most interesting from them was tomb №14 with a woman's skeleton, which was buried supine with her head to the west. Anthropologists stated that the deceesed person's age was between 45-50 years.

Different items, which were discovered in the grave, were made of gold, silver, bronze, iron, glass and other minerals. The grave dates back to the end of the 3rd - beginning of the 4th cc. It should be noted that the grave was untouched.

Each artifact was examined by portable X-ray fluorescence spectrometer ``Elva X``. The advantage of XRF is that it can conduct analysis by non- destructive method. As a result of the analysis it was found that consistence of both metals-silver and gold were quite high.

The highest percent of gold content was in the pendants with a woman's bust (№16-2002:16). Au – 98,034%, Ag – 1,966 %. The lowest percent of gold content in the researched artifacts was 80, 277%, which is a very high rate (case for amulet №16-2002:4). Only two of golden artifacts contained iron with an amount of – 0,608% and 1,146%.

In the silver objects content of silver was between 86,692% (silver plate of desk set) – 95,778% (case for holding an inkpot). Cu, Fe, and Pb were also identified in the silver objects.

The most remarkable from these finds was a set of unique silver writing device . According to the degrees of damage it was of the various conditions. The restoration scheme was chosen for treatment.

We studied each artifact due to complex research carried out in advance. Microscopic view and spectral analysis showed that silver artifacts were covered with black sulfur silver patina and locally with violate - gray silver chloride.

In the restoration practice it is known that the archaeological silver can be treated by mechanical, chemical or electrochemical methods, the complex treatment may be also used.

The artifacts damaged by silver sulfur where treated only mechanically. Fragile and broken pieces were restored and fixed by glass fiber and two component glue ``UHU-plus``. Other parts were cleaned with a complex method. For conservation we used Paraloid B -72. Each artifact was clean, researched and tasted by spectral analyses. The separate parts of unique silver writing device, which contained a numerous fragments, were restored and conserved.

As the back of the writing device, pens, an openwork plate and an inkpot are exposed on the Georgian National Museum's exhibition – ``Archaeological treasure`` our main goal – to put together the writing device as a hole construction, has been temporally delayed.

## ბიბლიოგრაფია


**აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1962:** *სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაცია.* თბილისი.

**აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1978:** მცხეთა. 1975. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. *მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.* ტ. II. გვ. 97-134. თბილისი. (რედ. ა. აფაქიძე)

**ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:** ბაიათხევი. *არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.* ტ. X. გვ. 8-80. თბილისი. (რედ. ა. აფაქიძე)

**აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ. 2003:** სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, მცხეთა. 2001. *მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია. სამეცნიერო სესია VI. 2001-2002 წლების საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.* გვ. 81-123. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**ყაუხჩიშვილი თ. 2003:** ბერძნულწარწერიანი ნივთები მცხეთიდან. *მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. კავკასიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია. სამეცნიერო სესია VI. 2001-2002 წლების საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.* გვ. 124-127. თბილისი (რედ. ა. აფაქიძე).

**Apakidze A., Kipiani G., Nikolaishvili V. 2004:** Arich burial from Mtskheta (Caucasian Iberia). *Ancient West and East, Vol. III. p.* 104-123. Brill. Leiden- Boston (Ed. Gocha R. Tsetskladze).

**Cronyn J.M. 1990:** *The elements of archaelohical conservation*. NY.

**Eschebach H. 1984:** *Pompei*. Leipzig.

**Kisa A. 1984:** Roman Art and Culture. *Exhibition of Rome-German Museum in Koln*. Koln.

## ილუსტრაციების აღწერილობა

**ტაბ. I** სვეტიცხოველი. №14 ქვასამარხ-აკლდამა.
**ტაბ. II**
**სურ. 1.** №14 ქვასამარხ-აკლდამის ოქროს არტეფაქტები.
**სურ. 2.** საწერი მოწყობილობა.
**ტაბ. III**
**სურ. 1.** ვერცხლის კალმები რესტავრაციამდე.
**სურ. 2.** ვერცხლის კალმები რესტავრაციის შემდეგ.
**სურ. 3.** ვერცხლის ფირფიტა (ტიხარი).
**სურ. 4.** გოფრირებული ვერცხლის ფირფიტა რესტავრაციამდე.
**სურ. 5.** გოფრირებული ვერცხლის ფირფიტა რესტავრაციის შემდეგ.
**სურ. 6.** მოოქრული ვერცხლის სამელნის ბუდე რესტავრაციამდე.
**სურ. 7.** მოოქრული ვერცხლის სამელნის ბუდე რესტავრაციის შემ-დეგ.
**სურ. 8**. ვერცხლის საწერი მოწყობილობის ნაწილი და სამელნის ბუდე.
**სურ. 9.** აქატის სასმისი.
**ტაბ. IV**
**ცხრილი 1.** №14 ქვასამარხ-აკლდამის ოქროს არტეფაქტების სპექტრული ანალიზის შედეგები.
**ცხრილი 2.** №14 ქვასამარხ-აკლდამის საწერი მოწყობილობის სპექტრული ანალიზის შედეგები.

## LIST OF ILLUSTRATIONS

**Tab. I** Svetitskhoveli, burial №14.
**Tab. II**
**Fig. 1.** Golden grave goods.
**Fig. 2**. Silver desk set and pensil-box**.**
**Tab. III**
**Fig. 1.**Writing instruments made of silver before restoration.
**Fig. 2.** Writing instruments made of silver after restoration.
**Fig. 3**. Silver plate of desk set after restoration.
**Fig. 4.** Crimped silver plate before restoration.
**Fig. 5.** Crimped silver plate after restoration.
**Fig. 6.** Gilded silver case for holding an inkpot before restoration.
**Fig. 7.** Gilded silver case for holding an inkpot after restoration.
**Fig. 8.** Part of the silver desk set and pensil-box.
**Fig. 9.** Agate vessel.
**Tab. IV**
**Table 1.** Results of spectral analysis of golden goods from grave №14.
**Table 2.** Results of spectral analysis of the silver desk set and pensil-box from the grave №14.

ტაბ. I Tab.

## მაი. სვეტიცხოველი. 01-6-X

ნაკვეთი DCCCXXXIII$_4$, სამარხი – აკლდამა 14. გეგმა. 2001 წ.




1. გვიანდელ საგვიანდავო ოქროსი.
2. სამელნე ოქროსი (ვიქსილდა). (სანთრი ხელსაწყოს ნაწილი)
3. შეკეთებულობა ოქროსი. (საწერი ხელსაწყოს ნაწილი).
4. საკინძი ოქროსი.
5. საკიდი ოქროსი.
6. საკიდი ოქროსი.
7. საკიდი ოქროსი
8. საკიდი ოქროსი
9. საკიდი ოქროსი.
10. საკიდი ოქროსი.
11. საკიდი ოქროსი.
12. საკიდი ოქროსი.
13. სანელსაცხებლე ბეჭრისა.
14. საკიდი ოქროსი.
15. საკიდი ოქროსი
16. საყურე ოქროსი.
17. საწერი ხელსაწყო ვერცხლისა.
18. დაფა (სარეკე?) ბრონზაოსი.
19. ლაგვანი ვინისა.
20. სასვისი ვინისა.
21. ვინის ჭურჭლის ნატეხები.
22. ვინის ჭურჭლის ნატეხები.
23. საკინძი რკინისა.
24. საკინძი რკინისა.
25. ხის ნაშთი.
26. ვინის ჭურჭლის ნატეხები

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

ტაბ. III Tab.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.

**ტაბ. IV. Tab.**
**ცხრილი 1**

| № | ნივთის დასახელება | საინვ. № | ელემენტური შედგენილობა % | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Cu | Fe | Ag | Au |
| 1 | ბეჭედი გემა-ინტალიო | *16-2002:1* | 0.66 | | 2.25 | 97.1 |
| 2 | ამულეტის გარსაკრავი | *16-2002:4* | 2.9 | 0.61 | 16.2 | 80.3 |
| 3 | საკიდი თევზების გამოსახულებით | *16-2002:5* | 0.7 | | 3.58 | 95.7 |
| 4 | საკიდი-კამეა ქალის ბიუსტით | *16-2002:6* | | | 1.97 | 98 |
| 5 | საკიდი-კამეა ბავშვის ბიუსტით (გაბზარული) | *16-2002:7* | 1.44 | | 8.11 | 90.5 |
| 6 | საკიდი-კამეა ბავშვის ბიუსტით | *16-2002:8* | 1.04 | | 7.59 | 91.4 |
| 7 | საკიდი გემა-ინტალიო | *16-2002:9* | 2.02 | | 10.9 | 87 |
| 8 | საკიდი ამეთვისტოთი | *16-2002:10* | 1.93 | 1.15 | 10.4 | 86.5 |
| 9 | საკიდი ორყუნწიანი | *16-2002:11* | 0.7 | | 3.34 | 96 |
| 10 | საკიდი ორყუნწიანი (ირიზირებული თვლით) | *16-2002:12* | 0.5 | | 3.55 | 96 |
| 11 | სანელსაცხებლე | *16-2002:13* | 3.31 | | 10.6 | 86 |
| 12 | საკიდი-მონეტა (დიდი) | *16-2002:14* | | | 2.3 | 97.7 |
| 13 | საკიდი-მონეტა (პატარა) | *16-2002:15* | | | 1.4 | 98.6 |

## საწერი მოწყობილობის სპექტული ანალიზის შედეგები
## ცხრილი 2

| № | ნივთის დასახელება | საინვ. № | ელემენტური შედგენილობა % | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Cu | Fe | Ag | Au | Pb |
| 1 | სამელნე-პიქსიდია | *16-2002:2* | 1.58 | | 14.2 | 84.3 | |
| 2 | პენალ- ოქროს ჭვირული ფირფიტა | *16-2002:3* | 0.48 | | 8.87 | 90.7 | |
| 3 | პენალი-სამელნის ბუდის უკანა მხარე | *16-2002:17* | 3.01 | 0.55 | 95.8 | 0.37 | 0.29 |
| 4 | პენალი-სამელნის ბუდის წინა მხარე (მოოქროვილი) | *16-2002:17* | 0.44 | | 34.2 | 53.7 | |
| 5 | პენალი გოფრირებული ნაწილი | *16-2002:17* | 4.42 | 1.08 | 93.7 | 0.29 | 0.54 |
| 6 | პენალი-ვერცხლ;ის ფირფიტა | *16-2002:17* | 6.72 | | 86.7 | 0.55 | 1.32 |
| 7 | პენალი-დეტალი | *16-2002:17* | | | 92.4 | | 6.04 |
| 8 | კალამი | *16-2002:17* | 4.13 | 0.69 | 95.3 | 0.26 | 0.28 |
| 9 | კალმის შიგთავსი | *16-2002:17* | | 93 | 6.98 | | |
| 10 | წკირი (ტიხარი) | *16-2002:17* | 2.54 | | 94 | 0.41 | 2.77 |

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. სოციალურ მეცნიერებათა სერია №3 (48-B), 2012, 432-455
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №3 (48-B), 2012, 432-455

**ქრონიკა**

**ანა ვერულაშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: averulashvili@museum.ge

# საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ 2012 წელს განხორციელებული ღონისძიებები

2012 წელი დატვირთული იყო არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენით: გაიხსნა ახალი მუზეუმები, მოეწყო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენები, ჩატარდა კონფერენციები, საჯარო ლექციები, სესიები, პრეზენტაციები და კონკურსები, სხვადახვა ასაკის დამთვალიერებლისათვის განხორციელდა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები. 2012 წელი დასამახსოვრებელი იყო ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებითა და სამეცნიერო მიღწევებით.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 2012 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით უმასპინძლა 42 გამოფენას, მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართა 118 კონფერენცია, საჯარო ლექცია, სესია, ფილმის ჩვენება და პრეზენტაცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოეწყო 41 საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპედიცია. მიმდინარე წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივმა, ისე სხვადასხვა კუთხის 1200-მდე მოსწავლემ, სტუდენტებმა, პედაგოგებმა და მუზეუმის თანამშრომლებმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალ მუზეუმებს 2012 წელის იანვრიდან – ნოემბრის ჩათვლით ესტუმრა 135.256 დამთვალიერებელი.

## განახლებული მუზეუმები და გამოფენები

2011 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმისა და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეაში მრავალწლიანი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრებისა და მათი ევროპული სტანდარტებით ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, ჯერი რეგიონული მუზეუმების განახლებაზე დადგა.

**სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზუმი** 2004 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა. მასში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული კოლექციები, უძველესი ხელნაწერები და ხელოვნების ძეგლები.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის რეაბილიტაციისა და განვითარების საპროექტო სამუშაოების მოსამზადებლად, წლების მანძილზე მესტიაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არაერთი კომპლექსური ექსპედიცია იქნა მივლინებული. 2011 წელს,ამას შედეგად მოჰყვა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, რომლის პროექტი უცხოელ სპეციალისტებთან ერთად,საქართველოს ეროვნული მუზეუმში ჩამოყალიბებულმა კომპლექსურმა ჯგუფმა დაამუშავა. კერძოდ, საექსპოზიციო სივრცის დიზაინი წარმოადგინა ფრანგმა დიზაინერმა ლინა მარია ლოპესმა, საექსპოზიციო განათება – ფრანგულმა კომპანია „ანფაზმა", არქიტექტურული პროექტის ავტორია გაგა კიკნაძე, ხოლო სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა კომპანია „ზიმო"-მ.

2012 წლის სექტემბერში დასრულდა მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტის პირველი, ძირითადი ეტაპი – „მოეწყო საგამოფენო დარბაზები, რომლებიც აღიჭურვნენ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სამუზეუმო ნივთებისთვის ხელსაყრელი სამუზეუმო განათება, სპეციფიკური პირობები და კლიმატური გარემო"[1].

მუზეუმში შეიქმნა ახალი ლაბორატორია, საცავები და ოფისები, მოეწყო საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც დამთვალიერებელს შესაძლებლობას მისცემს, იქვე ესტუმროს კაფესა და მაღაზიას. მუზეუმის რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე დაგეგმილია აუდიტორიისა და მედიათეკის მოწყობა.

ამჟამად, მიმდინარეობს მუზეუმის შენობის კლიმატისა და ტემპერატურული რეჟიმის მონიტორინგი, რომლის დასრულებისა და შენობის საბოლოო ადაპტაციის შემდგომ, კოლექციები განთავსდება უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საგამოფენო სივრცეებსა და ფონდსაცავებში. ყოველივე ეს, მუზეუმს საშუალებას მისცემს განახორციელოს მისი მთავარი მისია – მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მეცნიერული შესწავლა, საგანმანათლებლო საქმიანობა და პოპულარიზაცია. ამ გზით მუზეუმი რეგიონის მთავარი კულტურული, საგანმანათლებლო და ტურისტული ცენტრი გახდება.

ისტორიული რაბათის ტერიტორიაზე განახლებული **ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი** – 2012 წლის 16 აგვისტოდან მასპინძლობს დამთვალიერებლებს. გამოფენაზე ექსპონირებული პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და არქიტექტურული ექსპონატები დამთვალიერებელს ნათელ წარმოდგენას უქმნის ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ლანდშაფტზე, მეტალურგიაზე, მეთუნეობაზე, კულტმსახურებაზე, დაკრძალვის რიტუალზე, სოციალური იერარქიის საწყისებზე, წარმართობასა და ქრისტიანობაზე, შუა საუკუნეების ხელოვნებაზე, მწერლობასა და მწიგნობრობაზე.

ახალციხის მუზეუმის რეაბილიტაცია განახორციელა საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისა და უცხოელი სპეციალისტების ჯგუფმა: საექსპოზიციო სივრცის დიზაინზე მუშაობდნენ ფრანგი

[1] ირემაშვილი ე. „ახალი თაობა", 2012: №222 (5912)

დიზაინერი ლინა მარია ლოპესი და კონსულტანტი ლორენ კასატი; საექსპოზიციო განათება დაამონტაჟა ფრანგულმა კომპანია „ანფაზ"-მა, ხოლო არქიტექტურული პროექტის ავტორია გაგა კიკნაძე.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რეგიონული მუზეუმების განახლებაში ადგილობრივი თანამშრომლების გარდა, მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებსაც მიუძღვით. სწორედ მათი გამოცდილებითა და დახმარებით მოხდა, ახალციხის მუზეუმის გამოფენის უმოკლეს დროში მომზადება და ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა: „სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის განახლება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში"[2].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის პრიორეტიტულ მიმართულებას საგამოფენო საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. მიმდინარე წელს გამართული გამოფენებიდან გამოიყოფა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ჩატარებული გამოფენები: „გერმანელები და ქართველები – შუა საუკუნეებიდან დღემდე"; საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის ორმხრივი ურთიერთობების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ჰოლანდიური ფერწერის გამოფენა; „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი – წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა"; „რეკონსტრუქცია: კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა"; „აღმოსავლური კოლექციების ახალი სიცოცხლე".

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა გამოფენებმა: „ნაქარგობისა და ქსოვილების ახალი სიცოცხლე"; „ქურთული მატერიალური კულტურა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან"; გურამ (ხიტა) ქუთათელაძის ნამუშევრების გამოფენამ – „უკრაინული ვერნისაჟი" და სხვ.

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ვიზიტორთა სიმრავლით გამოირჩეოდა შემდეგი ექსპოზიციები: „არტ ნუვო რიგაში"; „პეტრე ოცხელი – რეტროსპექტივა" და „80-90-იანი წლების ქართული ხელოვნება".

საზოგადოების მოწონება დაიმსახურა იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში გამართულმა გამოფენებმა: „პაულა მოდერზონ-ბეკერი. 1895-1905წწ. ტრადიციული და დაზგური გრაფიკა"; „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება"; ფოტოგამოფენებმა – „დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე"; „კავკასია. მე-19 საუკუნის პორტრეტები" და სხვ.

## კონფერენციები და საჯარო ლექციები

2012 წელს ჩატარდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენცია, საჯარო ლექცია, მოხსენება და სეს-

[2] სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის კატალოგი. 2012.

ია, რომელთა შორის გამოვყოფთ საერთაშორისო კონფერენციას – „შუა საუკუნეები XXI საუკუნის პერსპექტივიდან: კვლევა, რესტავრაცია, საგამოფენო სტრატეგია". კონფერენცია ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მეტროპოლიტენ მუზეუმის (აშშ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში: „ტრადიცია და ტრანსფორმაცია. ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების გალერეების რეინსტალაცია". კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი, ამერიკელი, ინგლისელი და შვეიცარიელი ექსპერტები. პრესა წერდა: „მუზეუმში დაცული შუა საუკუნეების კოლექციები წარმოგვიჩენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნლოვანეს პერიოდს. პროექტის ორგანიზატორების მიზანია, ექსპოზიციაზე წარმოდგენილი შუა საუკუნეების კოლექციები გაერთიანდეს სრულიად განსხვავებული ერთიანი მხატვრული კონცეფციის ფარგლებში, რაც შესაძლებელს გახდის უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ქართული ქრისტიანული ხელოვნების გამორჩეული თვითმყოფადობა და მისი მნიშვნელობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში"[3].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართა „თედექს თბილისის" პრეზენტაცია. „თედექს-თბილისი" არის „თედექსის" გლობალური კონფერენციებისა და ღონისძიებების ქსელის წევრი, რომლის ზოგადი მიზანია არაორდინალური, საინტერესო, შთამაგონებელი იდეების გავრცელება.

კონფერენციის თემა გახლდათ „გრძელვადიანი ხედვა". ღონისძიების მთავარი ამოცანა იყო იმ უნიკალური და ინოვაციური იდეების/მიღწევების წარმოჩენა, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ან საქართველოსთან კავშირში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი უძველესი ადამიანის კვლევის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და მეცნიერული კვლევის შედეგები. კონფერენციის შესახებ მედია წერდა: „პირველ TED კონფერენციას თერომეტი სპიკერი ეყოლება. ერთ-ერთი მომხსენებელი იქნება დავით ლორთქიფანიძე. იგი ისაუბრებს უკანასკნელ წლებში საქართველოში არქეოლოგიური აღმოჩენების მნიშვნელობაზე, რომლებიც, ფაქტობრივად, კაცობრიობის წარმომავლობისა და ევოლუციის საკითხს ახალ ჭრილში წარმოგვიდგენს. ამას ჩვენთვის ლოკალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ამავდროულად, ეს გლობალური მნიშვნელობის საკითხია და მეცნიერებისა თუ ისტორიის სამომავლო განვითარებაზე აუცილებლად ექნება გავლენა. მომხსენებელთა შორის იქნებიან აგრეთვე შვედეთის სამეფოს ელჩი საქართველოში დანიელა იანსე ლექციით სიახლეებზე დიპლომატიაში, დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩი დონალდ მაკლარენი, რომელიც შოტლანდიის მომავალზე ისაუბრებს"[4].

აღსანიშნავია 19-22 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამართული საერთაშორისო კონფერენცია – „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა". კონფერენციას

[3] გაზეთი „24 საათი", 2012: №2914 (7).
[4] ყიასაშვილი მ. გაზეთი "Weekend", 2012: №2938 (31)

ესწრებოდნენ მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების დირექტორები და კურატორები, მეცნიერები, მენეჯერები და არქიტექტორები. კონფერენცია გაიმართა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების – პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის, გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებითა და ბერლინის სამუზეუმო კუნძულის სამეურვეო საბჭოსა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

კონფერენციის მთავარი თემა გახლდათ მუზეუმის ახალი როლის განხილვა. კონფერენციის მონაწილეებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მსოფლიოს წარმატებული სამუზეუმო დაწესებულებების – ლონდონის ბრითიშ მუზეუმის, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმის, ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუციის, ბერლინის სამუზეუმო კუნძულის, აზიისა თუ სხვა მოწინავე მუზეუმების მუშაობის თანამედროვე ტენდენციები.

მიმდინარე წლის 7-12 ოქტომბერს ეროვნულმა მუზეუმმა უმასპინძლა მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის (ICMS) 37-ე საერთაშორისო კონფერენციას – „შესაძლო საფრთხე საგანძურისთვის და მისი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების დროს“.

კონფერენციის მიზანი იყო მსოფლიოს წარმატებული მუზეუმების: ბერლინის სამუზეუმო კუნძულის, პრადის ეროვნული გალერეას, ჩინეთის მუზეუმისა და სხვა მუზეუმების უსაფრთხოების სისტემათა თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოჩენა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის მუზეუმების უსაფრთხოების განყოფილების დირექტორები, წამყვანი მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების მენეჯერები, უსაფრთხოების სისტემაში ფართოდ აღიარებული სპეციალისტები.

როგორც გაზეთი „24 საათი” აღნიშნავს: „UNESCO-ს სისტემაში შემავალი მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის ICMS-ის ყოველწიური კონფერენციის საქართველოში ჩატარება ჩვენს ქვეყანას მსოფლიო პროცესების მონაწილედ ხდის და ქართველი სპეციალისტებისათვის საუკეთესო საშუალებაა როგორც სიახლეების გაცნობის, ასევე კონსულტაციების მისაღებად ისეთ სფეროში, როგორიცაა საგანგებო სიტუაციებში მოქმედება. როგორც ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე აღნიშნავს, მუზეუმი ის ინსტიტუციაა, რომელსაც უსაფრთხოებაზე ზრუნვა მუდმივად სჭირდება, ისევე, როგორც ევაკუაციის მოქმედების გეგმა, რაც აუცილებელი არაა მაინცდამაინც საომარ ან ბუნებრივ კატაკლიზმებს გულისხმობდეს. ექსპონატებს გარკვეული მეთოდოლოგიის მიხედვით მოპყრობა საცავისა თუ შენობის შეცვლის დროსაც სჭირდება, რისთვისაც არსებობს საერთაშორისო სტანდარტი. ქართველმა სპეციალისტებმა ამ სტანდარტის მიხედვით შეძლეს მოქმედება სვანეთში მუზეუმის შენობის რესტავრაციის დროს, ასევე ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების ახალ საცავში გადატანისას”[5].

კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო იმათაც, რომ მონაწილეებმა დაათ-

[5] ჩეკურიშვილი ბ. გაზეთი „24 საათი” 2012: №3132 (225).

ვალიერეს გიორგი ჩიტაიას სახელობის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, შეისწავლეს მუზეუმის უსაფრთხოების საკითხები, რომლის შემდეგაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციასა და უსაფრთხოების სამსახურს წარუდგინეს რეკომენდაციები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერების მონაწილეობით აგრძელებდა საჯარო ლექციების ციკლს, რომელშიც გამოიყოფა: ფრანგი ანთროპოლოგის, პროფესორ მარკ ოჟეს საჯარო ლექცია – „ბუნება, კულტურა, პეიზაჟი"; საფრანგეთის მუზეუმების კვლევისა და რესტავრაციის ცენტრის დირექტორ ჟან-პიერ მოენის საჯარო ლექცია საერთაშორისო კონფერენციის – „იდენტობა და კულტურა" ფარგლებში; პოლიტოლოგ სილვია სერანოს ლექცია – „რელიგია და პოლიტიკური იდენტობა პოსტსაბჭოთა საქართველოში".

აღნიშნული ფორმატის კონფერენციები და ლექციები ჩვენს საზოგადოებას ხელს უწყობს გაეცნოს წამყვან სამეცნიერო მიღწევებს, ხოლო ახალგაზრდა თაობისათვის ამით იქნება ხელსაყრელი პირობები, რათა ისინი კვალდაკვალ მიჰყვნენ მსოფლიოს კულტურულ მიღწევებსა და მეცნიერებაში მიმდინარე პროცესებს.

## განხორციელებული პროექტები

მუზეუმის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „თვინინგის" ორწლიანი პროექტი, რომელიც 2012 წლის შემოდგომაზე დასრულდა.

„თვინინგი" არის თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი და დახმარების მიმღები ქვეყნების საჯარო სამსახურებს შორის პროგრამის ერთობლივ განხორციელებას. პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მეზობელ ქვეყანას ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზებაში ორეინინგების, რეორგანიზაციისა და კანონმდებლობის განვითარების გზით. „თვინინგის" პროგრამა ათწლეულზე მეტია არსებობს და მას დიდი წარმატება ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც მოგვიანებით ევროკავშირის წევრები გახდნენ. „პროგრამა ეფექტური ინსტრუმენტი აღმოჩნდა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „თვინინგი", როგორც პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და დახმარების მიმღები ქვეყნებისთვის უფრო ძლიერი ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძვლად, სტაბილურობის, დემოკრატიის განვითრებისა და კეთილდღეობის გარანტად გვევლინება"[6].

„თვინინგი" ევროკავშირის პირველი პროექტია კულტურის სფეროში, რის გამოც, პროექტის წარმატებით განხორციელება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტში იყო მოქცეული, რადგანაც ის შეიძლება გახდეს „თვინინგის" სტრატეგიის

[6] ირემაშვილი ე. „ახალი თაობა", 2012: №221 (5911).

მომავალი მიმართულების განმსაზღვრელი.

პროექტში საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარ პარტნიორს წარმოადგენდა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები – პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. მასში ჩართულნი იყვნენ გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც გერმანიის გაერთიანების შემდეგ მუშაობდნენ სამუზეუმო კუნძულის განვითარებასა და კოლექციების შერწყმაზე.

„ოვინინგის" მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციურ განვითარებაში დახმარების გაწევა, რაც გამოიხატებოდა სამუზეუმო საქმიანობის გამოცდილების გაზიარებაში, შენობების დაგეგმარებაში, კოლექციების გადაადგილებაში, ექსპონატების რესტავრაციასა და კონსერვაციაში, მუზეუმის მართვაში და ა.შ.

როგორც გაზეთი ``Georgian Journal`` „ოვინინგის" პროექტისა და მიღწეული შედეგების შესახებ იუწყება: „ქართული და გერმანული მედიის ანგარიშების მიხედვით, აღნიშნულმა პროექტმა მოახერხა გაემართლებინა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აუდიტორიის მოლოდინი"[7].

აღნიშნული პროექტის ფარგლებში რამდენიმე ეტაპად განხორციელდა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების კოლექციების კონსერვაციისა და ევაკუაციის პროგრამა, რომელიც შესაძლოა გარკვეულ წილად საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების ევაკუაციის პროცედურების ერთგვარ ნიმუშადაც იქცეს.

პროექტის შედეგები აღმოსავლური კოლექციის შედევრებთან ერთად წარმოდგენილ იქნა მუზეუმის გამოფენაზე – „აღმოსავლური კოლექციების ახალი სიცოცხლე."

2012 წელს განხორციელებულ პროექტთაგან, ასევე მნიშვნელოვნად გვესახება – „ქართველოლოგიის დმანისის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის" პროექტი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განახორციელა. დმანისის საზაფხულო სკოლაში კონკურსის წესით შეირჩა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, დოქტორანტები და პროფესორები – საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, ლიტვიდან, გერმანიიდან, აშშ-დან და ბრაზილიიდან.

პროექტის მიზანი გახლდათ მონაწილეთათვის ქართველოლოგიური მეცნიერებების მიღწევებისა და მათი კვლევის მეთოდოლოგიის გაცნობა, თეორიული და პრაქტიკული სამუშაო უნარჩვევების გამომუშავება, ქართველებსა და უცხოელთა შორის არსებული შემოქმედებითი ურთიერთობისადმი ხელშეწყობა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, მუზეუმში დაცული მატერიალური კულტურის წარმოჩენა და საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარები-

[7] Bagrationi N. "Georgian Journal" 2012: #37 (260); http://www.georgianjournal.ge/index.php/city-lights/10960-closing-conference-of-eu-twinning-project.

სადმი ხელშეწყობა.

პროგრამის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ „გაცნობოდნენ ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებულ თეორიული სახის სალექციო კურსებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს შემდეგ დისციპლინებში: ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია და ნუმიზმატიკა, საქართველოს ისტორია და არქეოლოგია"[8].

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ქართული ხალხური რეწვის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2012 წლის 25 აგვისტოდან გიორგი ჩიტაიას ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ღია ცის ქვეშ დაიწყო განხორციელება პროექტის – „ხალხური რეწვის ღია გაკვეთილები", რომლის მიზანია საქართველოში ხალხური რეწვის ცოცხალი ტრადიციის შენარჩუნება[9]. პროგრამაში მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკის ორმოცდაათი რეგულარული წარმომადგენელი – სულ 600-მდე მონაწილე. პროექტის მონაწილეები გაეცნენ და დახელოვნდნენ ხალხური რეწვის სხვადასხვა სახეობაში: ფარდაგების დაზგაზე ქსოვაში, ხეზე კვეთაში, ტრადიციულ მეთუნეობასა და დურგლობაში. პროექტი განხორციელდა UNESCO-ს მხარდაჭერით.

აღსანიშნავია ნორვეგიის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი „იუნესკოსა" და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტი,რომელიც გულისხმობს XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი ქართული (მეგრული) ოჯახის ტრადიციული ყოფისა და ისტორიის წარმოდგენას. კერძოდ, საჯალაბო სახლსა და კარმიდამოში ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი მასპინძლები აცოცხლებენ კერას, იღებენ სტუმრებს და მოუთხრობენ სახლისა და ოჯახის ისტორიას, რწმენა-წარმოჩენას, რიტუალებისა და მეურნეობის შესახებ. ისინი ცოცხლად წარმოადგენენ ტრადიციული საკვების მომზადებისა და ხელსაქმის პროცესს და, რაც მთავარია, ქმნიან ინტერაქტიულ გარემოს სტუმრისათვის,რომელსაც ეძლევა საშუალება ჩაერთოს წარმოდგენილ აქტივობაში.

მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია იმითაც,რომ საერთო გლობალიზაციის ფონზე, ქვეყნის კულტურის განუყრელი ნაწილი – ხალხური რეწვა და ყოფა, როგორც მისი თვითმყოფადობისა და ესთეტიკურობის გამოხატულება, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

## სამეცნიერო აღმოჩენები

2012 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევართა სამეცნიერო აღმოჩენებს ფართო საზოგადოებრივი და მედია რეზონანსი მოჰყვა. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველო-ქუვეითის საერთაშორისო ექსპედიციის შესახებ. ქუვეითში საქართველოს არქეოლოგიური მისიის შექმნა ადასტურებს ქართველ მეცნიერთა მაღალ საერთაშორისო რეპუტაციას[10].

---

[8] Natsvlishvili I. "Georgian Today", 2012: #628.
http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=10419

[9] http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=76&info_id=11737

[10] კილასონია ს. გაზეთი „24 საათი" 2012: №2921 (14)

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის საერთაშორისო ექსპედიციამ 2012 წელს განაახლა არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. ნაცარგორაში (ხაშურის მუნიციპალიტეტი) ძვ.წ. III ათასწლეულის ნამოსახლარზე. არქეოლოგიური კვლავა-ძიების შედეგად ძეგლზე „გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი, სამუშაო და სამეურნეო იარაღები"[11].

პროექტში ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან ერთად მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და დუბლინის ტრინიტის კოლეჯის საერთაშორისო ექსპედიციამ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საწურბლიას გამოქვაბულში გამოავლინა თიხატკეპნილ იატაკიანი საცხოვრებლის უძველესი დონე. გამოქვაბულში აღმოჩენილი ადამიანის ცხოვრების კვალი ზედაპალეოლითის ხანით – დაახ. 15 ათასი წლით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში მსგავსი მნიშვნელობის აღმოჩენა არ დასტურდება[12].

2012 წლის არქეოლოგირი აღმოჩენებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ჭაბუკიანთან შესწავლილი ორი დიდი ყორღანული სამარხი. ორივე სამარხი მიეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანის ე.წ. ბედენის არქეოლოგიურ კულტურას და თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

მიუხედავად იმისა რომ, სამარხები ძველ დროში გაიძარცვა, ერთერთში ანანაურის №3 ყორღანში აღმოჩნდა უნიკალური მასალა. დასაკრძალავ კამერაში ჩადგმული იყო ორი ოთხთვალა ეტლი, რაც პირველი შემთხვევაა კავკასიაში. თუ დღემდე ეტლი ფიქსირდებოდა ყორღანში, ის მხოლოდ ერთი ერთეულით იყო წარმოდგენილი.

სამარხში აღმოჩნდა ორნამენტირებული კერამიკა და ხის ჭურჭლები, კაჟის ისრისპირები, ტყავისა და ქსოვილის ნაკეთობები, უნიკალური ხის სავარძელი, ქალცედონის ქვის რგოლი, სარდიონისა და ქარვის მძივები, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე ადრეულ ქარვის ნაკეთობას კავკასიაში. სამარხში აგრეთვე აღმოჩნდა ოქროს სამკაულები, რომელთა უმეტესობა უნიკალური ფორმისაა, დღემდე უცნობია და ისინი მაღალმხატვრულ ნიმუშებს წარმოადგენენ.

შესანიშნავად არის შემონახული ორგანული მასალები, მოწნული კალათები, რომლებშიც დიდი რაოდენობით იყო თხილი, წაბლი, რკო და ტყის სხვადასხვა კენკროვანი ნაყოფი, ნატურალური სახით შემონახული. ასეთი დაცულობის მასალა დღემდე არ აღმოჩენილა. ამჟამად მიმდინარეობს მათი ლაბორატორიული შესწავლა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც კიდევ გაიზრდება სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევის შედეგად.

---

[11] http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=105&info_id=11746

[12] http://news.ge/ge/news/story/22390-tsyaltuboshi-55-atasi-tslis-tsinandeli-satskhovrebeli-aghmoachines

# ადგილობრივი გამოფენები

| № | გამოფენა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | „ნაქარგობისა და ქსოვილების ახალი სიცოცხლე” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 29.12.2011-01.06.2012 |
| 2 | ფოტოგამოფენა „ინტეგრაციისკენ მიმავალი მრავალი გზა“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 10-17.02.2012 |
| 3 | იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ბავშვების ნახატების ფოტოგამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 11-18.03.2012 |
| 4 | „ქართული მატერიალური კულტურა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 17-25.03.2012 |
| 5 | „მზერა კულტურული მემკვიდრეობისკენ”– იუნესკოს მიერ დაცული იტალიური კულტურის ძეგლთა 150 წლის ფოტოები | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 22.03-01.04.2012 |
| 6 | „სამი თაობა” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 22.03-03.04.2012 |
| 7 | „ენკაუსტიკა” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 04-15.04.2012 |
| 8 | გურამ (ხიტა) ქუთათელაძის ნამუშევრების გამოფენა | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 05-22.04.2012 |
| 9 | საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის ორმხრივი ურთიერთობის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ჰოლანდიური ფერწერის გამოფენა | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 01-24.05.2012 |
| 10 | „არტ ნუვო რიგაში” | დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 04-24.05.2012 |
| 11 | ფოტოგამოფენა „დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 08-22.05.2012 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | „გერმანელები და ქართველები – შუა საუკუნეებიდან დღემდე” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 14.05-19.08.2012 |
| 13 | „პაულა მოდერზონ-ბეკერი. 1895 – 1905 წწ. ტრადიციული და დახგური გრაფიკა” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 15.05-15.06.2012 |
| 14 | ფოტოგამოფენა „ჩინეთი საქართველოს თვალით” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 30.05- 15.06.2012 |
| 15 | „უკრაინული ვერნისაჟი” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 30.05-07.06.2012 |
| 16 | ფოტოგამოფენა „კავკასია: XIX საუკუნის პორტრეტები” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 03-25.06.2012 |
| 17 | „ქოლგა – თბილისის ფოტოფესტივალი 2012” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 10-17.06.2012 |
| 18 | ``Puncum Contra Puncum``. ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 10-20.06.2012 |
| 19 | დავით გაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 20.06-02.07.2012 |
| 20 | „ინტოქსიკაცია და ინსპირირებული ეროერები” – ნაწილი მეორე - „დაკარგული ედემი” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 29.06-13.07.2012 |
| 21 | „კარანტინი” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 04-14.07.2012 |
| 22 | „პეტრე ოცხელი – რეტროსპექტივა” | დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 04.07-15.09.2012 |
| 23 | „საზღვრებს მიღმა” | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 25.07-10.09.2012 |
| 24 | სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის მუდმივმოქმედი ექსპოზიცია | სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი | 16.08.2012 |
| 25 | ირინა გაბიანის ვიდეოარტი „შეუცნობელი სამყარო” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 05-06.09.2012 |
| 26 | ფოტოგამოფენა „რადგან საქართველოში ყოველი მე-11 დევნილია” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 05-09.09.2012 |
| 27 | „ვერა ფაღავა თბილისში” | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 14.09-15.10.2012 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 28 | განახლებული სვანეთის მუზეუმის პრეზენტაცია და გამოფენის პროტოტიპის ჩვენება | სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი | 16.09.2012 |
| 29 | „აღმოსავლური ხელოვნების კოლექციების ახალი სიცოცხლე“ | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 17.09-17.12.2012 |
| 30 | „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი. წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 22.09-15.10.2012 |
| 31 | ფოტოგამოფენა „National Geographic-ის საარქივო ფოტოები საქართველოს შესახებ” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 19.09-23.10.2013 |
| 32 | „Blackout სინამდვილისა და რეალობის გასაყარზე” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 20.09-12.10.2012 |
| 33 | „80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისის ქართული ხელოვნება” | დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა | 25.09-20.11.2012 |
| 34 | არტისტერიუმი 2012 | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 05-13.10.2012 |
| 35 | „რეკონსტრუქცია: კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა” | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 20.10-20.11.2012 |
| 36 | Tbilisis pirveli trienale - Offside Effect | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 20.10-20.11.2012 |
| 37 | „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 20.10-05.11.2012 |
| 38 | ლატვიური ნაციონალური სამოსის გამოფენა | ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი | 27.11-15.12.2012 |
| 39 | მალხაზ კუხაშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 08-20.11.2012 |
| 40 | გიორგი გომიაშვილის (1972-2012) პირველ პერსონალური ფოტოგამოფენა | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 09-20.11.2012 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 41 | „მემკვიდრეობა და თანამედროვეობა” | შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი | 28.11-12.12.2012 |
| 42 | „13/13” | ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი | 30.11-10.12.2012 |

## საერთაშორისო გამოფენები

| № | გამოფენა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | „ბიზანტია და ისლამი: გარდამავალი ხანა (VII-IX სს.)”/``Byzantium and Islam: Age of Transition (VII-IX)`` | აშშ., ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენის მუზეუმი | 14.03-08.07.2012 |
| 2 | ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა | ჰოლანდიის დორდრეხტის მუზეუმი | 06.05-21.11.2012 |

## ექსპედიციები

| № | დასახელება | თარიღი | ქვეყანა. ადგილი | ხელმძღვანელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქართულ-ქუვეითური საერთაშორისო ექსპედიცია | 01.03-17.04 | ქუვეითი, კუნძ. ფაილაკა | პროექტის ხელმძღვანელი – დ. ლორთქიფანიძე; საველე ხელმძღვანელი – ზ. მახარაძე |
| 2 | მცენარეთა საჰერბარიუმო ნიმუშების მოსაპოვებლად ქართულ-შვეიცარიული პროექტის ფარგლებში განხორციელებული ექსპედიცია | 30.04.2012 | საქართველო, იმერეთის რეგიონი | მ. ბოკერია |
| 3 | წყალტუბოს საერთაშორისო ექსპედიცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი – დუბლინის ტრინიტის უნივერსიტეტი | 30.05-20.07. 2012 | საქართველო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავი | თ. მეშველიანი |
| 4 | ბოტანიკური ექსპედიცია | 21-25.05.2012 | საქართველო, სტეფანწმინდა | მ. მოსულიშვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის – „ქართული ეროვნული სამოსი”-ს ფარგლებში განხორციელებული ექსპედიცია | 29-31.05.2012 | საქართველო, კასპის რაიონი | ი. მელიქიშვილი |
| 6 | საქართველოს ეროვნული მუზეუმი – ავსტრალია, მელბურნის უნივერსიტეტი – საფრანგეთი, ნიცას უნივერსიტეტი | 01.06-01.07 .2012 | ასპინძის რაიონი | კ. კახიანი |
| 7 | ლაგოდეხის ყორღანების შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია | 05.06-05.10. 2012 | საქართველო, კახეთი, ლაგოდეხი | ზ. მახარაძე |
| 8 | იშვიათი სახეობის ამფიბიების საველე პირობებში შესწავლა და მოპოვება | 07-09.07. 2012 | საქართველო, ყვარელი, ალაზნის ხეობა | ვ. ჩხიკვაძე |
| 9 | ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი – დიდი ბრიტანეთი, კემბრიჯის, ოქსფორდისა და ვინჩესტერის უნივერსიტეტები | 01.07-30.10. 2012 | საქართველოს, სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოქალაქევი | დ. ლომიტაშვილი |
| 10 | შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის – „ქართული ეროვნული სამოსი”-ს ფარგლებში განხორციელებული ექსპედიცია | 29.06-05.07. 2012 | საქართველო, კახეთის, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ყვარელი | ი. მელიქიშვილი |
| 11 | ჯავახეთის საერთაშორისო ექსპედიცია. საქართველო– საფრანგეთი | 15.07-15.08.2012 | საქართველო, ჯავახეთი, ნინოწმინდა, ახალქალაქი | ა. მგელაძე |
| 12 | შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის – „ქართული ეროვნული სამოსი”-ს ფარგლებში განხორციელებული ექსპედიცია | 30.07-03.08. 2012 | საქართველო, თუშეთი, ომალო, | ი. მელიქიშვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | ქართულ-გერმანული საერთაშორისო ექსპედიცია | 20.08-01.10. 2012 | საქართველო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი | გ. მირცხულავა |
| 14 | ქართულ-ფრანგული საერთაშორისო ექსპედიცია | 10-26.09. 2012 | საქართველო, მარნეულის მუნიციპალიტეტი | მ. ჯალაბაძე |
| 15 | დოღლაურის სამაროვნის არქეოლოგიური ექსპედიცია | 24.09-03.11. 2012 | საქართველო, ქარელის მუნიციპალიტეტი | ი. გაგოშიძე |
| 16 | დმანისის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია | 17.06-18.09. 2012 | საქართველო, დმანისი | დ. ლორთქიფანიძე |
| 17 | ქართულ-იტალიური საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი – ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი – „ადრებრინჯაოს ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარი" | 15.06-04.08. 2012 | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაცარგორა | ა. მურვანიძე<br>ე. როვა |
| 18 | ქართულ - შვეიცარიული ვანის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია | 20.10-30.11. 2012 | ვანის მუნიციპალიტეტი | დ. კაჭარავა |
| 19 | შპს „რუსთავის აზოტი" | 18.01.2012 | საქართველო, შპს "რუსთავის აზოტის" საწარმოს მიმდებარე ტერიტორია | გ. მინდიაშვილი |
| 20 | შპს „შავი ზღვის ტერმინალი" | 11-12.03.2012 | საქართველო, ხობის რაიონი, სოფ. ყულევი | რ. პაპუაშვილი |
| 21 | საქართველოს ეროვნული მუზეუმი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. „არმაზცინე-ბაგინეთის არქეოლოგიური ექსპედიცია" | 22.05-13.07. 2012 | საქართველო, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ბაგინეთის კომპლექსი | ვ. ნიკოლაიშვილი |
| 22 | საქართველოს ეროვნული მუზეუმი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 04-14.04. 2012 | საქართველო, ოზურგეთი | ვ. სადრაძე |
| 23 | შპს „შავი ზღვის ტერმინალი" | 10-21.05.2012 | საქართველო, ხობის რაიონი, სოფ. ყულევი | რ. პაპუაშვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24 | შპს „კვარციტი". საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიცია | 13.08-21.09. 2012 | საქართველო, ბოლნისისა და დმანისის რაიონები, საყდრისის საბადო | ი. დამბაშიძე |
| 25 | ქ. თბილისის მერია | 28.05-16.06. 2012 | საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი | მ. აბრამიშვილი |
| 26 | „BP საქართველო" | 18.06-23.09. 2012 | საქართველო, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია | გ. ნარიმანიშვილი |
| 27 | შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანია" | 24.05-02.07. 2012 | საქართველო, თეთრიწყაროს, წალკის, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების ტერიტორია | გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი, ზ. ბრაგვაძე |
| 28 | „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგი" | 05-08.06. 2012 | საქართველო, ფოთი სამეგრელოს ქ.№1 | რ. პაპუაშვილი |
| 29 | „თბილისის განვითარების ფონდი" | 02.06.2012 | საქართველო, თბილისი, ათონელის ქუჩა | დ. მინდორაშვილი |
| 30 | „თბილისის განვითარების ფონდი" | 22-23.06. 2012 | საქართველო, თბილისი, ჯორბენაძის ქ.№32 | დ. მინდორაშვილი |
| 31 | შპს შპს „იონყაშ ჯორჯია" | 05-20.07.2012 | საქართველო, სოფ. დიღომი | მ. აბრამიშვილი |
| 32 | „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" | 07-21.07. 2012 | საქართველო, ხობის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები | რ. პაპუაშვილი, ლ. ჯიბლაძე |
| 33 | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | 10-15.07.2012 | საქართველოს, თბილისი-წითელი ხიდის ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის პირველი მონაკვეთი | ვ. სადრაძე, ე. ღლიღვაშვილი |
| 34 | ქალაქ თბილისის მერია | 11-17.07.2012 | საქართველო, თბილისი, ვართაგავას ქ. №2-4 | დ. მინდორაშვილი |
| 35 | ცხეთა-დეხვირის არქეოლოგიური ექსპედიცია | 15-25.08.2012 | საქართველო, ლეჩხუმის რაიონი | ნ. სულავა |
| 36 | შპს „ენერგოტრანსი" | 21.08.2012 | საქართველო, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია | თ. მეშველიანი |
| 37 | „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" | 10-21.09.2012 | საქართველო, ხობის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები | რ. პაპუაშვილი, ლ. ჯიბლაძე |
| 38 | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | 24.08.2012 | საქართველო, მცხეთა | ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 39 | შპს „კანარგო ჯორჯია” | 08.09.2012-07.09.2012 | საქართველო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | თ. მეშველიანი, ა. ორჯონიკიძე, ვ. სადრაძე |
| 40 | შპს ``Next league pvt`` | 17.09.2012 | საქართველო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. განმუხური | ლ. ჯიბლაძე |
| 41 | BP-ის ექსპედიცია მარნეულში | 22.10-14.11. 2012 | საქართველოს, მარნეულის მუნიციპალიტეტი | დ. მინდორაშვილი |

## გამოცემები
## წიგნები, კატალოგები, ბროშურები

| № | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა/ სტამბა | წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ა. ვეკუა, დ. ლორთქიფანიძე | „დმანისელი ჰომინიდი” | „ფავორიტი” | 2011 |
| 2 | ნ. სულავა | „კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი)” | შპს „ძწიგნობარი” | 2011 |
| 3 | ი. მენთეშაშვილი | „საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკის ინგლისურენოვანი გამოცემების კოლექცია” | „ფავორიტი პრინტი” | 2011 |
| 4 | ი. კოშორიძე | „საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. XVI-XVIII საუკუნეები” | „უნივერსალი” | 2011 |
| 5 | G. Gamkrelidze | “RESEARCHES IN IBERIA-COLCHOLOGY” | „დეგაპრინტი” | 2012 |
| 6 | G. Gamkrelidze, L. Zerbini, T. Todu | “I Romani nella Terra del Vello d’Oro (La Colchide e l’Iberia in età romana)” | ``Universit Ferrara`` | 2012 |
| 7 | ზ. ბრაგვაძე | „არქეოლოგია” | „კავკასიის უნივერსიტეტი” | 2012 |
| 8 | გ.სარაჯიშვილი, მ. დამენია, მ. ციციშვილი | არტგამოცემა „გიგო გაბაშვილის ფოტოგრაფია” | ``IMAK OFSET`` თურქეთი, სტამბული | 2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | თ. აბულაშვილი | „საქართველოს არქეოლოგიის ისტორია. 1920-1960” | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა | 2012 |
| 10 | ნ. ჯაყელი, მ.ჯალაბაძე, გ.მარსაგიშვილი, ე. ნადირაძე, ი.კოშორიძე, ი. არსენიშვილი. რედაქტორი – ზ. სხირტლაძე | „საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან” (კატალოგი) | „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | 2012 |
| 11 | ი. კოშორიძე | „ისლამური ხელოვნება – არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (VII-XIX სს.)” | „უნივერსალი” | 2012 |
| 12 | საქაროველოს ეროვნული მუზეუმი | „სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი”. კატალოგი | შპს „სეხანი” | 2012 |
| 13 | ი. კოშორიძე, მ. დგებუაძე, გ. ბერიძე | „საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების კოლექციები”. კატალოგი | „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” | 2012 |
| 14 | საქაროველოს ეროვნული მუზეუმი | საქართველოს ეროვნული მუზეუმის გზამკვლევი (ქართულ-ინგლისური) | „ფავორიტი” | 2012 |
| 15 | დ. ლორთქიფანიძე, ბ. მაისურაძე, ზ. მახარაძე, გ. ბედიანაშვილი | „პრევენციული არქეოლოგია”. ბროშურა | „ფავორიტი” | 2012 |
| 16 | საქაროველოს ეროვნული მუზეუმი | „მუზეუმის მეგობრების”. ბროშურა | „ფავორიტი” | 2012 |
| 17 | ნ. შოშიტაშვილი, რ. გუჯეჯიანი | „ჩაუქრალი კერა საჯალობო სახლში”. ბროშურა | „ფავორიტი” | 2012 |

## კრებულები

| № | სახელწოდება | გამომცემლობა/ სტამბა | რედაქტორი |
|---|---|---|---|
| 1 | ვასილ წერეთლის დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული | „ფავორიტი” | ზ. ურუშაძე |

## პერიოდული გამოცემები

| № | სახელწოდება | ნომერი | რედაქტორი |
|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე” | III (48-B) | ზ. თვალჭრელიძე |
| 2 | „იბერია-კოლხეთი” | №8 | გ. გამყრელიძე |
| 3 | „Археология Кавказа” | №4 | К. Пицхелаури |

## სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, საჯარო ლექციები, საუბრები, სხდომები

| № | მომხსენებელი / თემა | ჩატარების ადგილი | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | საერთაშორისო კონფერენცია „შუა საუკუნეები 21-ე საუკუნის პერსპექტივიდან: კვლევა, რესტავრაცია, საგამოფენო სტრატეგია” | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 11.01.2012 |
| 2 | საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა – „არქეოლოგიური საუბრები“ | ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი | 28.03.2012 |
| 3 | საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა – „არქეოლოგიური საუბრები“ | ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი | 04.04.2012 |
| 4 | საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა – „არქეოლოგიური საუბრები“ | ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი | 11.04.2012 |
| 5 | საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა – „არქეოლოგიური საუბრები“ | ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი | 18.04.2012 |
| 6 | საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის 2012 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესია | ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრი | 24-27.04.2012 |
| 7 | ჟან-პიერ მოენის საჯარო ლექცია საერთაშორისო კონფერენციების „იდენტობა და კულტურა – ლევი სტროსის მემკვიდრეობა“ ფარგლებში | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 23.05.2012 |
| 8 | მარკ ოჟეს საჯარო ლექცია საერთაშორისო კონფერენციების „იდენტობა და კულტურა – ლევი სტროსის მემკვიდრეობა“ ფარგლებში | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27.06.2012 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა” | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 19-22.09.2012 |
| 10 | საერთაშორისო კონფერენცია „შესაძლო საფრთხე საგანძურისთვის და მისი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების დროს“ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 7-12.10.2012 |
| 11 | ვასილ წერეთლის დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია | თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია-ჭიათურა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი | 18-20.10.2012 |
| 12 | სილვია სერანოს ლექცია „რელიგია და პოლიტიკური იდენტობა პოსტსაბჭოთა საქართველოში“. საერთაშორისო კონფერენციების „იდენტობა და კულტურა” ფარგლებში | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 01.11.2012 |
| 13 | ფილმის ჩვენება „საუკეთესო ფეშენ-ფილმები დიდი ბრიტანეთიდან” | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 09.11.2012 |
| 14 | მოდის ისტორიკოსი კენდალ-მარტინ რობინსი „მოდის გამოფენების ისტორია დიდ ბრიტანეთში” | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 09.11.2012 |
| 15 | სამეცნიერო კონფერენცია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია მუზეუმში’’ | საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია | 27-28.11.2012 |

## დისერტაციები
## დოქტორის აკადემიური ხარისხი მოიპოვეს:

| № | ავტორი | თემა | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | ს. სვანაძე | „ახალი ტიპის სამუზეუმო გაერთიანების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაგალითზე)“ | 2012 |
| 2 | ლ. წიწუაშვილი | „იუდაიზმი XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ხელოვნებაში (საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციის საფუძველზე)“ | 2012 |
| 3 | მ. მიქელაძე | „მგელ-ძაღლის სიმბოლო ქართულ მითოლოგიაში” | 2012 |
| 4 | მ. ქაფიანიძე | „საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბრძოლო იარაღის კოლექციის ატრიბუცია და ექსპერტიზა“ | 2012 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | მ. ჩემია | „საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული XII-XIV სს-ის ირანული მხატვრული კერამიკის ატრიბუცია (სელჯუკური და ადრეილხანური პერიოდი)” | 2012 |
| 6 | ი. ჯაფარიძე | „ბრინჯაოს წარმოება საქართველოში, ძეგლთა ლოკალიზაცია, შეფასების კრიტერიუმები, ექსპერტიზა (ძვ.წ. III-I ათასწლეულები)“ | 2012 |
| 7 | ვ. ცინცაძე | „ქართული მართლმადიდებლური სალიტურგიო ჭურჭელი” | 2012 |

## საგანმანათლებლო პროგრამები

- „ჟანრი – სამყაროს თემატური აღქმა ფერისა და ფორმის მეშვეობით“ – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „ამოიცანი ხელოვნების ნიმუშის შექმნის საიდუმლო“ – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „დიმიტრი შევარდნაძე და ეროვნული გალერეის დაარსების ისტორია“ – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „მე – მხატვარი” – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „თავსატეხის საიდუმლო“ – ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის „გიორგობა ბოლნისში“ მიხედვით – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „აბსტრაქცია – ჩაუღრმავდი საგანთა და მოვლენების არსს ვერა ფადავა“ – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „ეროვნული გალერეის ექსპოზიცია” – ტური საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- ბავშვთა სერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პროგრამა ეთნოგრაფიულ მუზეუმში უნარშეზღუდულ მოზარდთა მონაწილეობით – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- „ბავშვთა დაცვის დღე ეროვნულ გალერეაში“ შეხვედრა მხატვარ ქეთევან მატაბელთან – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- „საზაფხულო სკოლა” – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- „ნუმიზმატიკის ისტორია” – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- „პეტრე ოცხელის შემოქმედება, მოგზაურობა თეატრის ჯადოსნურ სამყაროში“ – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

- „პრეისტორიული თამაშები“ – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- „სახალისო არქეოლოგია“ – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- CISV Georgi-ის (ბავშვთა საერთაშორისო საზაფხულო ბანაკები) ქართულ-იტალიური ჯგუფები – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- საგანმანათლებლო პროგრამა და შემეცნებითი თამაშები: ეკოლოგია, ეთნოგრაფია, სახალისო არქეოლოგია, ტრადიციული ღურგლობა, მეთუნეობა, ქსოვა და დედოფლების დამზადება – გ. ჩიტაიას სახ. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
- „ქართველოლოგიის დმანისის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა” – დმანისის მუზეუმი.
- სამუშაო შეხვედრა მუზეუმის კურატორებისათვის – „რეკონსტრუქცია, კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა” – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- გამოფენა „აღმოსავლური ხელოვნების კოლექციების ახალი სიცოცხლის“ თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამა – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- „აღმოაჩინე მრავალკულტურული საქართველო“ – პრეზიდენტის პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში (პროგრამა ჩატარდა ა.ა.ი.პ. „ადამიანი ადამიანისათვის“ და „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების“ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით) – გარდაბნის რაიონი (სოფ. ყარაჯალა); სამცხე-ჯავახეთი (ქ. ნინოწმინდა)
- „აღმოაჩინე მრავალკულტურული საქართველო“ –„ქართველოლოგიის დმანისის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა” – დმანისის მუზეუმი.
- იაპონიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა ნახატების ფოტოგამოფენის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამა – ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
- გამოფენა „ენკაუსტიკის” თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამა – ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
- ფოტოგამოფენა „კავკასია. XIX საუკუნის პორტრეტების” თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამა – ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
- დავით გაბაშვილის ნამუშევრების გამოფენის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამა – ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

## ღონისძიებები

- „ღამე მუზეუმში“ – 16.01.2012 – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა.
- „საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების ახალი სიცოცხლე” – 27.01.2012 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- „TEDxTilisi“-ის პრეზენტაცია – 11.02.2012 – საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია
- თანამშრომლობის მემორანდუმი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის – 20.03.2012 – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ელენე ახვლედიანის დაბადებიდან 114 წელი – 18.04.2012 – ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
- ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი – 08-10.05.2012 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- მუზეუმების საერთაშორისო დღე – 18.05.2012 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- საქართველოს ეროვნულ გალერეას მიენიჭა ცნობილი ქართველი მოღვაწის, დიმიტრი შევარდნაძის სახელი – 21.05.2012 – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- თანამშრომლობის მემორანდუმი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის – 11.06.2012 - საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია
- პრეზენტაცია წიგნის – „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა – ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“ – 09.08.2012 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- განახლებული სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის სივრცის პრეზენტაცია – 16.09.2012 – სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი
- ვერა ფალავას ასოციაციის საჩუქარი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს – 15.10.2012 – დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
- პრეზენტაცია წიგნისა – „კერძთაყვანისცემა - კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში“ – 09.10.2012 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
- იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მის აღმატებულება მასაიოში კამოჰარას საჩუქარი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს – 19.10.2012 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

## ბიბლიოგრაფია

**ირემაშვილი ე.** ეროვნულ მუზეუმში საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნება, *ახალი თაობა,* 2012: №221 (5911) გვ. 8.
**ირემაშვილი ე.** სვანეთის მუზეუმის რეაბილიტაციის ძირითადი ეტაპი დასრულდა, *ახალი თაობა,* 2012: №222 (5912), გვ. 5-10.
**კილასონია ს.** მუზეუმი ცოდნის არქივის ფორმატში, *24 საათი,* 2012: №2921 (14), გვ. 1-11.
**სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის კატალოგი**. 2012, გვ. 5.
**ყიასაშვილი მ.** საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი გლობალური კავშირის ნაწილი ხდება, *Weekend,* 2012: №2938 (31), გვ. 20.
**ჩეკურიშვილი ბ.** საგანძურის დაცვის მექანიზმები – ევროპული გამოცდილება საქართველოსთვის, *24 საათი,* 2012: №3132 (225), გვ. 5.
**24 საათი**. შუა საუკუნეები – კვლევა, რესტავრაცია, საგამოფენო სტრატეგია. *24 საათი,* 2012: №2914 (7), გვ. 5.
**Bagrationi N.** Closing Conference of EU Twinning Project, *Georgian Journal*, 2012: #37 (260), p.7.
**Natsvlishvili I.** Summer School opens in Dmanisi, *Georgian Today*, 2012: #628. p. 8.
**http://www.georgianjournal.ge/index.php/city-lights/10960-closing-conference-of-eu-twinning-project]**
**http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=10419**
**http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=76&info_id=11737**
**http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=105&info_id=11746**
**http://news.ge/ge/news/story/22390-tsyaltuboshi-55-atasi-tslis-tsinandeli-satskhovrebeli-aghmoachines**

# ვლადიმერ (ვილი) ასათიანი



მუზეუმის ისტორიის ცალკეულ მონაკვეთზე ჩნდებიან პიროვნებები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით შესამჩნევ კვალს ტოვებენ სამუზეუმო ცხოვრებაში. სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ვლადიმერ (ვილი) ასათიანი. იგი დაიბადა 1928 წელს ქ. თბილისში, ცნობილი ექიმისა და მეცნიერის ანთიმოზ ასათიანისა და ალექსანდრა შულგინას ოჯახში. წიგნიერმა და განათლებულმა მშობლებმა სიყრმის ასაკიდანვე შეუქმნეს შესაბამისი გარემო და საფუძველი, რათა მას სათანადო განათლება მიედო და მომავალში ქართული საზოგადოების ღირსეული წევრი გამხდარიყო.

ბატონმა ვილიმ მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხებზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. აღნიშნულ თემატიკაზე მან ოთხმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე მონოგრაფია გამოაქვეყნა.

ვილი ასათიანი წლების განმავლობაში სათავეში ედგა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყოფილებას. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის კათედრის პროფესორი და სტუდენტთა საყვარელი ლექტორი.

ბატონი ვილი ისტორიკოსთა და ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ერთობ პოპულარული პიროვნება გახლდათ, რასაც განაპირობებდა მისი გამორჩეული თვისებები: გონიერება, თავაზიანობა, ადამიანთა მიმართ ხაზგასმული ყურადღების გამოჩენისა და დახმარების უნარი, თვალშისაცემი კაცური თვისებები.

ბატონი ვილი სხვადასხვა პროფესიული მიმართულების ქართული თუ რუსული საზოგადოების წრეში ტრიალებდა და სავსებით ბუნებრივად ახერხებდა, რომ მისი წევრებისათვის ადვილად მისაღები და ახლობელი ადამიანი ყოფილიყო. ამ ფენომენის ჩამოყალიბებაში მას ხელს უწყობდა მისი ერუდიცია, გაწონასწორებული იუმორი, საზოგადოებაში დაძაბულობის განმუხტვისა და კეთილგანწყობის შექმნის განსაკუთრებული უნარი. სწორედ ამიტომაც იყო, რომ საზოგადოების განსხვავებული რანგის წარმომადგენლებში მის მიმართ, ზოგადად ეროგვაროვანი დამოკიდებულება ყალიბდებოდა – მას ყველა

პატივს მიაგებდა როგორც ღირსეულ და მეგობრულ პიროვნებას. რაც შეგვეხება ჩვენ, მის მეგობრებსა და კოლეგებს, ამ მრავალისმნახველი ადამიანისგან მცირეოდენი შექებაც დიდად გვსიამოვნებდა, ხოლო რაც შეეხება საყვედურს, იგი მას ისეთი ფორმით გამოხატავდა, რომ წყენის მცირეოდენ შანსსაც არ გვიტოვებდა.

ბატონ ვილის გააჩნდა მეგობრების შერჩევის შესანიშნავი ალღო, რის დასტურსაც წარმოადგენს ის ფართო სამეგობრო წრე, რომელიც მრავალ გამოჩენილ პიროვნებასა თუ მეცნიერს აერთიანებდა. აქვე, უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებით ყურადღებიანი და თავაზიანი დამოკიდებულება მანდილოსნების მიმართ – ქათინაურებით შემკობა და მათთვის ამაღლებული განწყობის შექმნა, ხომ მისი ცხოვრების წესს წარმოადგენდა.

ბატონ ვილის ფართო განათლება და ღრმა ერუდიცია საშუალებას აძლევდა პროფესიულად ესაუბრა ისტორიისა და ხელოვნების საკვანძო საკითხებზე, ქართულ და უცხოურ ლიტერატურაზე. განსაკუთრებით უყვარდა მსჯელობა პოლიტიკურ ბატალიებზე და რუს კლასიკოსთა შემოქმედებაზე. იგი ცალკეულ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს კარგად უსადაგებდა ამონარიდებს კლასიკური პოეზიიდან, რასაც მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით გადმოსცემდა.

ბატონ ვილის თავისუფალი და ლაღი ბუნების გამო, განსაკუთრებით უყვარდა ბუნების წიაღში გასვლა, რაც უფრო თვალნათლივ გამოჩნდა მისი ჭარმაგ ასაკში გადასვლის დროს. ქალაქური ყოფით დაღლილი, როგორც კი მას ამის საშუალება ეძლეოდა, სიხარულით მიეშურებოდა ლისის ტბის სიახლოვეს მდებარე აგარაკისკენ, სადაც იგი სიმშვიდეში და თავისუფალ გარემოში მყოფი, უკეთესად აღიქვამდა სიცოცხლისა და ბუნების სიდიადეს.

ბოლო წლებში, როდესაც ბატონი ვილი უკურნებელი სენით იყო დაავადებული, ჩვენდა გასაოცრად თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი ხდებოდა და სიცოცხლის ბოლომდე აქტიურ სამეცნიერო და სამუზეუმო მოღვაწეობას ეწეოდა. დიდი რუდუნებით ფუსფუსებდა თავის საყვარელ მუზეუმში, თანამშრომლებთან გულთბილ და მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი, დირექციის თხოვნას მყისიერად და მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებდა. განსაკუთრებით ზრუნავდა ახალგაზრდა თაობაზე – მეგობრობდა და ეხმარებოდა მათ სამეცნიერო თუ ცხოვრებისეული ლაბირინთების გაკვალვაში.

სწორედ, რომ ავადმყოფობის ბოლო და მძიმე პერიოდი ბატონი ვილის პიროვნების მიმართ კიდევ უფრო მეტი მოკრძალებითა და პატივისცემით გაგვაწყობს. დღევანდალი ერთწლიანი გადასახედიდან, მას შემდეგ რაც ამაგდარი მეცნიერი ჩვენს გვერდით აღარაა, კარგად ჩანს თუ, როგორი განსაცვიფრებელი სიმშვიდით იდგა იგი მოახლოებული განსაცდელის წინაშე – გარეგნულად არ იმჩნევდა ამქვეყნიური დასასრულის მოახლოებას, კვლავ სხვათა კეთილგანწყობაზე, დახმარებაზე ფიქრობდა და მისთვის ჩვეული რაინდული შემართებით ხვდებოდა წუთისოფლიდან გადასვლის ჟამს.

კოლეგები

# რამინ რამიშვილი

## შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის ღვაწლმოსილი მკვლევარი

(1928-2012)

ძნელია წარსულ დროში მოიხსენიო ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანი, როგორიც ბატონი რამინ რამიშვილი იყო. კეთილი, თბილი, მოკრძალებული, ყურადღებიანი, გაჭირვების ჟამს გვერდზე მდგომი, მიმტევებელი, სხვისი წარმატების მოხარული და დამფასებელი, თავის საქმის უზადო მცოდნე და მასზე შეყვარებული, თავისი მასწავლებლების მადლიერი და ახალგაზრდა კოლეგების ქომაგი და დამხმარე – ასეთი ემახსოვრებათ ბატონი რამინი ყველას, ვინც კი მას იცნობდა.

ბატონი რამინი დაიბადა 1928 წელს ქ. თბილისში, ცნობილი მეცნიერის, მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1947 წელს მან ვერცხლის მედალზე დაამთავრა მე-9 საშუალო სკოლა, 1952 წელს კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ასპირანტი. 1957 წლიდან ის ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია.

ბატონმა რამინმა სამოცდაორი წელი შეალია შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიებას. 1950 წელს მან, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა, პირველად მიიღო მონაწილეობა უჯარმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელსაც ბატონი გიორგი ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. ექსპედიციის ხელმძღვანელს იმთავითვე არ გამოჰპარვია ახალგაზრდის ნიჭი და შრომისმოყვარეობა. გ. ლომთათიძის 1952 წლის საველე დღიურის 5 ივლისის ჩანაწერში ვკითხულობთ: „რამინ რამიშვილი ისევ „თავის“ კოშკს მოუვლის, რომლის თხრა 1950 წელს დაიწყო, და, მისი ამბავი რომ ვიცი, ჯანს გააგდებინებს“. ასეთი საოცარი შემართებითა და ენერგიით ემსახურებოდა ბატონი რამინი საყვარელ საქმეს სიცოცხლის ბოლომდე. უჯარმის ექსპედიციას მოჰყვა: მცხეთა, ქვემო ქართლი, ენგურის ხეობა, ბიჭვინთა, იყალთო, მატანი, კვეტერა, ივრის ხეობა, ბოლოს კი არაგვის ხეობა. ის საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სამოცზე მეტ ექსპედი-

ციაში მონაწილეობდა, რომელთაგან ოცზე მეტს თავად ხელმძღვანელობდა.

1960 წელს ბატონმა რამინმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ქართლის სამეფო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში.“ დისერტაციას საფუძვლად დაედო კამარახევში მისი მონაწილეობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. 1962 წლიდან ის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია.

1984 წელს ბატონმა რამინმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ქართლის სამეფო ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში.“ იგი ამავე წელს სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეთა ხანის განყოფილებას, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა 2003 წლამდე.

ბატონმა რამინმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში. ის ავტორია ასორმოცდაათზე მეტი ნაშრომის, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფიისა, სადაც სრულიად ახლებურადაა დასმული და გადაჭრილი იმ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. ბატონი რამინი მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო ფორუმში. მისი თაოსნობით დუშეთის (მილახვრიანთ კარის) არქეოლოგიურ ბაზაზე რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია მოეწყო. კონფერენციების ძირითადი თემა იყო მთისა და ბარის ურთიერთობა საქართველოს, კავკასიისა თუ ევრაზიის მასშტაბით. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე მონოგრაფია, კრებული და პერიოდული გამოცემა. მათ შორისაა მნიშვნელოვანი გამოცემები: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „ჟინვალის ექსპედიციის სამეცნიერო სესიის მასალები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ძეგლები“, „ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენციის მასალები“. ამ პერიოდულ გამოცემათა შორის ცალკე უნდა აღინიშნოს ასევე ბატონი რამინის ინიციატივით დაარსებული და გამოცემული „არქეოლოგიური ძიებანი“, ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები ხუთ წიგნად. ეს იყო ბატონ რამინის მხრიდან ახალგაზრდა მეცნიერთათვის დიდი მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატულება, რადგანაც ამ კრებულებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალგაზრდა არქეოლოგების პროფესიონალ მკვლევარებად ჩამოყალიბების საქმეში. ბევრ ჩვენგანს ახსოვს, როგორ ათენებდა დამეებს ბატონი რამინი ჩვენს მიერ დაწერილი ანგარიშების, მოხსენებების, სტატიებისა თუ დისერტაციების რედაქტირებაში. მის ხალხმრავალ ექსპედიციაში ყველა ახალგაზრდას ჰქონდა განსაზღვრული სამეცნიერო კვლევა-ძიების სფერო, ყველას ჰქონდა სანიმუშო ხელშეწყობა რათა წარმატებით ეკეთებინათ თავიანთი საქმე. დანარჩენი კი ახალგაზრდის ნიჭსა და მონდომებაზე იყო დამოკიდებული.

ბატონ რამინის ხელმძღვანელობით დაცულია ათამდე საკანდიდატო დისერტაცია. ამასთანავე, იგი იყო რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-კონსულტანტი. ის თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტ-

სა და სამხატვრო აკადემიაში წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს – „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია და ძეგლთა დაცვის საფუძვლები“. 1992 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ რამინ რამიშვილი აირჩია პროფესორის თანამდებობაზე.

1971 წელს ბატონი რამინი სათავეში ჩაუდგა ჟინვალის (შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის) არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომლის მიზანი იყო ჟინვალის წყალსაცავის დატბორვის ზონაში მოქცეული ძეგლების შესწავლა. ექსპედიციის სამეცნიერო ინტერესების სფერო თანდათან გაფართოვდა და მალე მან მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიცვა. ექსპედიციის ხელმძღვანელისა და წევრების თავდადებული შრომის შედეგად გაითხარა სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლი. გათხრების პარალელურად თითქმის სრულად იქნა აღწერილი და დაფიქსირებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა შორის მრავლად იყო მანამდე სრულიად უცნობი არქეოლოგიური თუ ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები. მრავალი სიძნელის მიუხედავად, ბატონ რამინის ხელმძღვანელობით ექსპედიციამ მოკლე დროში წარმატებით ჩაატარა მასშტაბური სამუშაოები როგორც დატბორვის ზონაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ რამინის მიერ დუშეთის რაიონის სოფ. მილახვრიანთ კარში XVIII საუკუნის, იმჟამად ნახევრად დანგრეული, დამწვარი და გაპარტახებული, ჭილაშვილების სასახლის ნანგრევებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის შექმნა. ბატონ რამინის გარდა დიდხანს თითქმის არავის სჯეროდა, რომ ამ წამოწყებიდან რამე გამოვიდოდა. ხანძრისაგან გადარჩენილი სასახლის ნაწილში, რომელიც ასევე სავალალოდ გამოიყურებოდა, განთავსებული იყო: სკოლა, კლუბი, მაღაზია, რამდენიმე ოჯახი, სოფტექნიკის დირექცია. სასახლის კარის ეკლესიაში კი ტრაქტორების სარემონტო სახელოსნო ფუნქციონირებდა. ბატონ რამინის თავდაუზოგავი მცდელობისა და მტკიცე ხასიათის წყალობით ყველაფერი მოგვარდა. ჭილაშვილების სასახლეში განთავსებულ დაწესებულებებსა თუ უსახლკარო ოჯახებს გამოეყოთ სათანადო ადგილები და შენობები. დანგრეულ-დამწვარ ბაზას კი ისევ ბატონ რამინის წყალობით პირვანდელი სახე დაუბრუნდა. 1975 წელს ბაზაში განთავსდა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის (და არა მარტო ამ ექსპედიციის) მიერ მოპოვებული დიდძალი მასალა, გათხრების დოკუმენტაცია, არქივი, ბიბლიოთეკა, ფოტოლაბორატორია, სარესტავრაციო სახელოსნო, საკონფერენციო დარბაზი, ეთნოგრაფიული კოლექციების საცავი, სამუშაო ოთახები ექსპედიციის წევრთათვის თუ მასალის გასაცნობად ჩამოსული კოლეგებისათვის. წლების მანძილზე ამავე ბაზაზე ტარდებოდა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. სანიმუშოდ მოვლილი ბაზის ეზოში გადმოტანილ იქნა დატბორვის ზონაში აღმოჩენილი არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლები. ბატონმა რამინმა ბაზაზე მოაწყო არქეოლოგიური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ექსპედიციის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი მა-

სალა. მისი მცდელობით მილახვრიანთ კარის ბაზა იქცა სამეცნიერო ცენტრად, სადაც მომზადდა არაერთი საინტერესო ნაშრომი საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემების შესახებ. ბატონ რამინს უსაზღვროდ უყვარდა მილახვრიანთ კარის ბაზაზე ყოფნა და მუშაობა. ბოლო ხანებში ჯანმრთელობის გაუარესების გამო ის ხშირად ველარ ახერხებდა იქ ასვლას, რასაც მტკივნეულად განიცდიდა. თუმცა, ბოლოს მან მაინც აისრულა სურვილი და ზაფხულის თვეები თავის უსაყვარლეს ადგილას გაატარა. თბილისში ჩამოსვლიდან სულ რამდენიმე დღეში, 30 აგვისტოს, გარდაიცვალა.

მომავალ წელს ბატონ რამინის კოლეგებსა და მოსწავლეებს განზრახული გვაქვს გამოჩენილი მეცნიერის ოთხმოცდახუთი წლის იუბილეს აღნიშვნა, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე მის გარეშე ჩატარდება. ბუნებრივია, ამ მოგონებაში სრულად ვერ წარმოვადგენდით ბატონ რამინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს, მის დიდ დამსახურებას შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში. ვიმედოვნებ, რომ ის მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც ღვაწლმოსილი პროფესორის თავდადებული შრომის შედეგად დარჩა ქართულ საისტორიო მეცნიერებას, მომავალში საგანგებო კვლევა-ძიების საგნად იქცევა.

დავით მინდორაშვილი

# შემოკლებათა განმარტება

**ან** – ანაწერი
**აღ** – აღწერილობა
**ბამშ** – ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის შრომები
**გეორგიკა** – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ
**გფ** – განძების ფონდი
**ენიმკის „მოამბე"**– ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის კრებული „მოამბე"
**თსუშ** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
**იბერია-კოლხეთი** – საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდების არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი
**კაეშ** – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები
**ლიტ. მ ა**-- ლიტერატურის მუზეუმის არქივი
**„მაცნე"** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.
**მსკა** – მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის
**მსკი** – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
**მცხეთა** – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები
**ნარკვევები** – შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები
**სდსძ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები
**სებ** – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
**სემ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი
**სემმ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჟურნალი „მოამბე"
**სეცსა** – საქართველოს ეროვნული ცენტრალური საისტორიო არქივი
**სემხმხმფ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა მემუარული ფონდი
**სმა** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
**სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრებული „მოამბე"
**სსმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
**სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჟურნალი „მოამბე"
**სსუ** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**სუიცა** – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი
**სშაძ** – საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები
**სხსმა** – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივი
**სხსმ** – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
**ფ** – ფონდი
**ფსაძ** – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები
**ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის გამოცემა (ყოფილი არც-ის ჟურნალი)
**ძმ** – ჟურნალი „ძეგლის მეგობარი"
**ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
**ქც** – ქართლის ცხოვრება
**ქმკელ** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი
**შსსა** – შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, თბილისი
**ხია** – ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი
**ხეცა** – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივი

**АН** – Академия наук
**ВДИ** – Вестник древней истории
**Д** – Дело
**ЗКОРГО** – Записки Казказского отдела русского географического общества
**КК** – Кавказский календарь
**КОИРГО** - Кавказский отдел Императорского Русского Географичесского Общества
**КСИА** – Краткие сообщения института археологии
**КСИИМК** – Краткие сообщения Института Истории Материалной Культуры Академии Наук СССР
**МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Институт археологии АН СССР
**ОП** – Опись
**ПАИ** – Полевые археологические исследования (Краткие сообщения)
**ПАК** – Проблемы античной культуры
**СА** – Советская археология
**САИ** – Свод археологических источников. Институт археологии
**САНГ** – Сообщения Академии наук Грузии
**СЭ** – Советская этнография
**ТОНГЭ** – Труды отдела нумизматики государственного Эрмитажа
**Ф** – Фонд
**ЦГАА** – Центральный государственный архив Абхазии
**ЦГИАР** – Центральный государственный исторический архив России

**AJA** – American Journal of Archaeology
**EAA** – Enciclopedia dell'Arte Antica
**JAIC** – Journal of the American Institute for Conservation
**JAOS** – Journal of the American Oriental Society
**JRA** – Journal of the Royal Asiatic Society
**JRAS** – The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland
**LIMC** – Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae
**KlPaul** – Der Kleine Paul – Lexikon der Antike

# ს ა რ ჩ ე ვ ი

# CONTENTS

## არქეოლოგია
## Archaeology

**გიორგი გოგოჭური**
გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსები.....6

**George Gogochuri**
Grave Complexes Discovered in Gujareti Ravine

**ნანა რეზესიძე, მარინე ჭკადუა**
დაკრძალვის განსხვავებული წესი დმანისის ნაქალაქარზე.....32

**Nana Rezesidze, Marina Chkadua**
A New Type of Burial Discovered in Dmanisi

**მარიამ გველესიანი**
ცეცხლის ტაძრებში ცხოველთა მსხვერპლშეწირვის საკითხისათვის.....44

**Mariam Gvelesiani**
On the Problem of Animal Sacrifice in Fire Temples

**ვახტანგ ნიკოლაიშვილი, მედეა შეროზია**
ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე 1967 აღმოჩენილი საინტერესო სამარხეული
კომპლექსი.....67

**Vakhtang Nikolaisvili, Medea Sherozia**
An Interesting Burial Place Discovered on the Territory of Mtskheta

**ნიკოლოზ მურღულია**
ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების სისტემა .....82

**Nikoloz Murgulia**
The Fortification System of the Central Part of the Lazica (Egrisi) Kingdom

**დავით ბერიკაშვილი**
ოლოზის ღვთისმშობლის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები .....101

**David Berikashvili**
Archeological excavations of the Olozi Virgin's church

## ნუმიზმატიკა
## Numismatics

**მედეა შეროზია**
ოქროს მედალიონი სამთავროს სამაროვნიდან ..... 133

**Medea Sherozia**
Golden medallion from Samtavro Burial

**ციალა ღვაბერიძე**
ნახიდურის განძი ..... 139

**Tsiala Ghvaberidze**
The hoard of village Nakhiduri

**თინათინ ქუთელია**
XVII საუკუნის მონეტები სოფელ აბანოდან (კოდის განძი) ..... 147

**Tinatin Kutelia**
The 17-th Century Coins from Village Abano (Koda Treasure)

## ეთნოგრაფია/ეთნოლოგია
## Ethnography/Ethnology

**გულნარა კვანტიძე**
სავაჭრო ნაგებობანი გვიანშუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში..... 156

**Gulnara Kvantidze**
Trade Constructions in the Late Middle Ages East Georgia

**მარინე ბოკუჩავა**
იაპონური ფაიფურის ჭურჭელი (სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმის საფონდო მასალის მიხედვით) ..... 178

**Marine Bokuchava**
Japanese Porcelain Dishes
(Based on the Fund Materials of Simon Janashia Georgian Museum)

**ცისანა კაკაბაძე**
ლ|ლღენი — საკულტო-სარიტუალო სპილენძის ჭურჭელი (სიმონ ჯანაშიას
სახელობის საქართველოს მუზეუმის ფერადი ლითონების ფონდი) ..... 187

**Tsisana Kakabadze**
Lglgeni - a cult-ritual copper pot
(Depository of color metal of Simon Janashia Georgian Museum)

**თამარ გელაძე**
მხატვარ დავით გველესიანის ნამუშევართა უცნობი კოლექცია ..... 194

**Tamar Geladze**
Painter David Gvelesiani's Unknown Collection of Works

**გვანცა არჩვაძე**
მცირე პლასტიკის ზოომორფული ფიგურები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციებიდან ..... 204

**Gvantsa Archvadze**
Small Plastic Zoomorphic Figures from the Collections of the Georgian National Museum

**როზეტა გუჯეჯიანი**
სოციალური მეხსიერების ფაქტები სვანეთის ტრადიციულ ყოფაში ..... 215

**Rozeta Gujejiani**
The Facts of Social Memory in the Traditional Life of Svaneti

## ისტორია
## History

**ლევან ურუშაძე**
გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის ბიოგრაფიისათვის ..... 230

**Levan Urushadze**
For the Biography of General Konstantine (Kote) Abkhazi Summary

**ოთარ ჩიქოვანი**
საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები ..... 247

**Otar Chikovani**
The Restoration of Statehood and Territorial Claims of Neighboring Countries

## ხელოვნებათმცოდნეობა
## Art Criticism

**ელენე კავლელაშვილი, ვერა ჩიხლაძე**
ჟინვალის საბეჭდავი ქრისტეს შობის არქაული სცენით ..... 262

**Elene Kavlelashvili, Vera Chikhladze**
Zhinvali Seal with Archaic Nativity Scene

**გიორგი ჯავახიშვილი**
ადრეული შუა საუკუნეების ქართული სტელების გენეზისისათვის ..... 276

**George Javakhishvili**
For the Genesis of the Early Middle Ages
Georgian Steles

**გიორგი გაგოშიძე**
რელიეფის ფრაგმენტები ქალაქ არტაანიდან ..... 283

**George Gagoshidze**
Fragments of a Relief from Artaan

**ნინო ჩიხლაძე**
შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის შესწავლისა და შენახვა-გადარჩენის ისტორიისათვის.....289

**Nino Chikhladze**
To the History of Studying and Preserving Medieval Georgian Murals

**გულნაზ ბარათაშვილი, ნანა ბურჭულაძე**
ფერწერული ხატები და ნაქარგი ქსოვილები წმინდა ესტატე პლაკიდას გამოსახულებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.....310

**Gulnaz Baratashvili, Nana Burtchuladze**
Embroidered Textiles and Pictorial Icon with St. Eustacius' Imagein Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts

**დარეჯან გოგაშვილი**
ლაჰილის ეკლესიაში დაცული ჭედური ყდის იდენტიფიკაციისათვის .....337

**Darejan Gogashvili**
Identification of a Chased Book-Cover Kept in Lahili Church

**ნათია დემურიშვილი**
ირანის სამეფო კარისათვის დამზადებული ჩინური ფაიფურის ჭურჭელი .....351

**Natia Demurishvili**
Chinese porcelain dishes for the Iranian Royal Family

## სამუზეუმო საქმე
## Museology

**გურამ ჩხაიძე**
ივანე ჯავახიშვილის სამუზეუმო მოღვაწეობა .....366

**Guram Chkhaidze**
Ivane Javakhishvili's Museum Activity

**მედეა თავაძე**
თბილისის მუნიციპალური მუზეუმის პროგრამა .....385

**Medea Tavadze**
Program of Tbilisi Municipal Museum

**ნატალია შელეგია**
ბრენდის იდენტობის შექმნის ტექნოლოგია თანამედროვე დასავლური მუზეუმების მაგალითზე .....396

**Natalia Shelegia**
Creating Brand Identity for Museums Based on Western Museum Case Studies

## რესტავრაცია-კონსერვაცია
## Restoration-Conservation

**ნინო ქებულაძე, ნინო კალანდაძე**
ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის რესტავრაცია-კონსერვაცია და შემდგომი კვლევის შედეგები.....409

**Nino Kebuladze, Nino Kalandadze**
Restoration-conservation of Octavian Augustus Denarius and the Results of the Following Researches

**ნანა გოგინაშვილი, ნინო ქებულაძე, ნინო თავართქილაძე, მარიამ მჭედლიშვილი**
სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოში აღმოჩენილი არტეფაქტების კვლევა და რესტავრაცია-კონსერვაცია .....419

**Nana Goginashvili, Nino Kebuladze, Nino Tavartkiladze, Mariam Mchedlishvili**
Research and Restoration - Conservation of Artifacts Discovered in the Yard of Svetitskhoveli Cathedral

## ქრონიკა
## Chronicle

**ანა ვერულაშვილი**
საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ 2012 წელს განხორციელებული ღონისძიებები .....432

## მოგონებები
## Memories

ვლადიმერ (ვილი) ასათიანი .....456

რამინ რამიშვილი.....458

შემოკლებათა განმარტება.....462

**ინგლისური თარგმანი:** მედეა წოწელია
**English translation:** Medea Tsotselia

**კორექტორ-ლიტერატურული რედაქტორი**: ნინო ნადარაია
**Proof-reader, copy-editor:** Nino Nadaraia

**ტექნიკური მდივანი:** ნინო დათუნაშვილი
**Technical secretary:** Nino Datunashvili

**კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი:** ვერა ფხაკაძე, ირაკლი ხუციშვილი.
**Computer and graphic design:** Vera Pkhakadze, Irakli Khutsishvili.

**ტექნიკური ჯგუფი:** აკაკი გოგიჩაიშვილი, ანა დვალი, იზოლდა ჩხარტიშვილი
**Technical stuff:** Akaki Gogichaishvili, Anna Dvali, Izolda Chkhartishvili

ISSN 1512-1895